Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

19

იბეჭდება
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА — ЭНГЕЛЬСА — ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1948

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1951

ვ. ი. ლენინი

ტომი

19

1913 მარტი — დეკემბერი

წინასიტყვაობა

მეტხრამეტე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1913 წლის მარტ-დეკემბერში, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის პერიოდში. ტომის უმეტეს ნაწილს შეადგენენ ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში: გაზეთებში «პრავდასა» და «ნაშ პუტში» და ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» გამოქვეყნებული სტატიები.

სტატიებში «მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი», «იოსებ დიცგენის გარდაცვალების ოცდახუთი წლისთავისათვის», «კლასობრივი ბრძოლის ლიბერალური და მარქსისტული გაგების შესახებ», «მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერა» ლენინი გადმოგვცემს და ავითარებს მარქსიზმის თეორიის ძირითად საკითხებს.

ნაციონალურ საკითხზე ბოლშევიკური პროგრამის დამუშავებისა და დასაბუთებისადმი მიძღვნილია სტატიები: «რსდმ პარტიის ნაციონალური პროგრამის შესახებ», «მუშათა კლასი და ნაციონალური საკითხი» და სხვ.

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მენშევიკ-ლიკვიდატორების, ტროცკისტების, ბუნდელებისა და ესერების წინააღმდეგ მიმართულ სტატიებს, რომელთა საგანია ბოლშევიკური პარტიის განმტკიცებისა და მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლის საკითხები. მათ რიცხვს მიეკუთვნება: «სადავო საკითხები», «მუშათა ერთიანობის შესახებ», «დამტკიცა თუ არა «პრავდამ» ბუნდელების სეპარატიზმი?»,

«ვითომ-ტრუდოვიკი», აგრეთვე რეზოლუციები რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პორონინის «ზაფხულის» თათბირისა პარტიულ მუშაკებთან.

ნაწარმოებებში «რევოლუციური პროლეტარიატის მაისობა», «1912 წლის გაფიცვათა წარმატება წარსულთან შედარებით», «წოდებათა და კლასთა როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში», «ლიბერალები IV სათათბიროს დამცველთა როლში» ლენინი აშუქებს რუსეთში საერთო-ნაციონალური მასშტაბის პოლიტიკური კრიზისის მომწიფების საკითხს, გვიჩვენებს პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს მზარდ რევოლუციურ მოძრაობაში და ამხელს ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურობას.

სტატიებში «წელში სწორდება თუ ღარიბდება გლეხობა?», «მიწათმოწყობა და სოფლის ღარიბები», «აგრარული საკითხი და რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა» ლენინი ააშკარავებს გლეხთა ძირითადი მასის გაღატაკებასა და გაჩანაგებას სტოლიპინის აგრარული პოლიტიკის შედეგად და ბოლშევიკურ პარტიასა და მუშათა კლასს უსახავს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გლეხობის აქტიურ ბრძოლაში ჩაბმის ამოცანას.

ტომში მოთავსებულია დოკუმენტები, რომლებიც ახასიათებენ ლენინის ხელმძღვანელობას IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის მიმართ: პროექტები სიტყვებისა — «სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის», «თანამედროვე მთავრობის აგრარული პოლიტიკის (ზოგადის) საკითხისათვის», სტატიები — «სათათბიროს «შვიდეული»», «მასალები სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შიგნით არსებული ბრძოლის საკითხისათვის» და სხვები.

სტატიების ჯგუფი — «ცივილიზებული ბარბაროსობა», «ტექნიკის ერთ-ერთი დიდი გამარჯვება», «შეიარაღება და კაპიტალიზმი», «ვისთვისაა ხელსაყრელი?», «აზიის გამოღვიძება», «ინგლისელი ოპორტუნისტების მხილება» —

მიძღვნილია მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხებისადმი. ლენინი მათში აშუქებს კაპიტალიზმის ლპობის, შეიარაღებათა ზრდისა და იმპერიალისტური ომის მზადების, კოლონიურ ხალხთა გამოღვიძების ფაქტებს და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მზარდ ოპორტუნიზმს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

ტომში იბეჭდება ცხრა დოკუმენტი, რომელიც პირველად შედის ვ. ი. ლენინის თხზულებებში. მოხსენებაში «თანამედროვე რუსეთი და მუშათა მოძრაობა» და სტატიებში: «საუბარი», ««ლუჩისა» და «პრავდის» მკითხველთა საყურადღებოდ», «არ არის კარგი!», «მუშათა მასა და მუშათა ინტელიგენცია», «ბიუროს გადაწყვეტილებათა საკითხისათვის» ლენინი ამხელს ლიკვიდატორებს, რომლებიც ცდილობენ მოსპონ არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტია, როგორც მუშათა კლასის ნამდვილ გამცემლებს. სტატია «სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გათიშვის შესახებ» წარმოადგენს ლენინის გამოსვლას საერთაშორისო სოციალისტურ პრესაში ლიკვიდატორებისა და ტროცკისტების მიერ ბოლშევიკური პარტიის მიმართ გავრცელებული ცილისწამების წინააღმდეგ. სტატიებში ««ნავთობის შიმშილის» შესახებ» და «კადეტ მაკლაკოვის სიტყვის გამო» ლენინი ააშკარავებს რუსეთის ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ როლს და ცხადყოფს, თუ როგორ აბრკოლებდა იგი მებატონე-მემამულეებთან კავშირში რუსეთის ეკონომიურ განვითარებას.

ПРОСВѢЩЕНІЕ

Ежемѣсячный журналъ.

№ 3.

Мартъ.

СПБ. 1913 годъ.

თავდურცელი 1913 წლის მარტის თვის ჟურნალის «პროსვეშჩენიესი», №-3 ნომერი, სადაც დაბეჭდილია: ვ. ი. ლენინის სტატია «მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი» და პირველი თავები ი. ბ. სტალინის ნაშრომისა «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია».

დაპატარავებულია

მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი[1]

მარქსის მოძღვრება უდიდეს მტრობასა და სიძულვილს იწვევს მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში მთელი ბურჟუაზიული (როგორც ოფიციალური, ისე ლიბერალური) მეცნიერების მხრივ, რომელსაც მარქსიზმი წარმოუდგენია რაღაც «მავნე სექტის» მსგავს რამედ. სხვაგვარ დამოკიდებულებას არც შეიძლება მოველოდეთ, რადგან კლასობრივ ბრძოლაზე აგებულ საზოგადოებაში «მიუდგომელი» სოციალური მეცნიერების არსებობა შეუძლებელია. ასეა თუ ისე, მ თ ე ლ ი ოფიციალური და ლიბერალური მეცნიერება ი ც ა ვ ს დაქირავებულ მონობას, ხოლო მარქსიზმმა ულმობელი ომი გამოუცხადა ამ მონობას. ვარაუდი მიუდგომელი მეცნიერების არსებობისა დაქირავებული მონობის საზოგადოებაში ისეთივე სულელური გულუბრყვილობაა, როგორც ვარაუდი მეფაბრიკეების მიუდგომლობისა საკითხში — ხომ არ უნდა გაუდიდდეთ მუშებს ხელფასი და შეუმცირდეს კაპიტალს მოგება.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ფილოსოფიის ისტორია და სოციალური მეცნიერების ისტორია სრული სიცხადით გვიჩვენებენ, რომ მარქსიზმში არაფერია «სექტანტობის» მსგავსი რაღაც ისეთი კარჩაკეტილი, ერთ წერტილზე გაყინული მოძღვრების აზრით, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების შარაგზის გ ა რ ე შ ე წარმოშობილიყოს. პირიქით, მარქსის მთელი გენიალობა სწორედ იმაში მდგომარეობს,

რომ მან პასუხი გასცა იმ კითხვებზე, რომლებიც უკვე დაეყენა კაცობრიობის მოწინავე აზროვნებამ. მისი მოძღვრება წარმოიშვა როგორც ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალიზმის უდიდეს წარმომადგენელთა მოძღვრების პირდაპირი და უშუალო გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა.

მარქსის მოძღვრება ყოვლადძლიერია, იმიტომ რომ იგი სწორია. იგი სრულია და მწყობრი, აძლევს რა ადამიანებს მთლიან მსოფლმხედველობას, რომელიც ვერ ურიგდება ვერავითარ ცრუმორწმუნეობას, ვერავითარ რეაქციას, ბურჟუაზიული ჩაგვრის ვერავითარ დაცვას. იგი არის კანონიერი მემკვიდრე იმისა, რაც კი რამ საუკეთესო შექმნა კაცობრიობამ XIX საუკუნეში გერმანული ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის, ფრანგული სოციალიზმის სახით.

და ჩვენც მოკლედ შევჩერდებით მარქსიზმის ამ საგნებზე.

I

მარქსიზმის ფილოსოფია არის მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი. ევროპის მთელი უახლესი ისტორიის მანძილზე, და განსაკუთრებით XVIII საუკუნის დამლევს, საფრანგეთში, სადაც გაჩაღდა გადამწყვეტი ბრძოლა ყოველგვარი შუასაუკუნებრივი დახავსებულობის წინააღმდეგ, ბატონყმობის წინააღმდეგ დაწესებულებებსა და იდეებში, მატერიალიზმი აღმოჩნდა ერთადერთი თანამიმდევარი ფილოსოფია, ერთგული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა მოძღვრებისა, ბრძოლად განწყობილი ცრუმორწმუნეობათა მიმართ, ფარისევლობის მიმართ და ა. შ.. ამიტომ დემოკრატიის მტრები მთელი ძალღონით ცდილობდნენ მატერიალიზმის «გაბათილებას», მის გაქარწყლებას, ცილის დაწამებას და იცავდნენ სხვადასხვა ფორმის ფილოსოფიურ იდეალიზმს, რომელიც მუდამ, ასე თუ ისე, რელიგიის დაცვას ან მხარის დაჭერას გამოხატავს.

მარქსი და ენგელსი თავგამოდებით იცავდნენ ფილოსოფიურ მატერიალიზმს და არა ერთხელ განუმარტავთ მათ ამ

საფუძვლიდან ყოველგვარი გადახრის ღრმა მცდარობამ. მათი შეხედულებანი ყველაზე უფრო ნათლად და დაწვრილებით გადმოცემულია ენგელსის თხზულებებში: «ლუდვიგ ფეიერბახი» და «ანტი-დიურინგი», რომლებიც — «კომუნისტური მანიფესტის» მსგავსად — ყოველი შეგნებული მუშის ნიადაგსახმარ წიგნს წარმოადგენენ.

მაგრამ მარქსი XVIII საუკუნის მატერიალიზმზე კი არ შეჩერებულა, არამედ მან წინ წასწია ფილოსოფია. მან გაამდიდრა იგი გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მონაპოვრებით, განსაკუთრებით ჰეგელის სისტემის მონაპოვრებით, რომელმაც თავის მხრივ ფეიერბახის მატერიალიზმამდე მიგვიყვანა. ამ მონაპოვართაგან მთავარია — დიალექტიკა, ე. ი. მოძღვრება განვითარებაზე მისი ყველაზე სრული, ღრმა და ცალმხრივობისაგან თავისუფალი სახით, მოძღვრება ადამიანის ცოდნის შეფარდებითობაზე, რაც მუდმივს განვითარებაში მყოფი მატერიის ანარეკლს გვაძლევს. ბუნებისმეტყველების უახლესმა აღმოჩენებმა — რადიუმმა, ელექტრონებმა, ელემენტთა გარდაქმნამ — შესანიშნავად დაადასტურეს მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმი, წინააღმდეგ იმ ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა მოძღვრებებისა, რომლებიც «კვლავ» უბრუნდებიან ძველსა და დამპალ იდეალიზმს.

მარქსმა ვააღრმავა და განავითარა ფილოსოფიური მატერიალიზმი და ბოლომდე მიიყვანა იგი, ბუნების ფილოსოფიურ-მატერიალისტური შეცნობა ადამიანთა საზოგადოების შეცნობაზე გაავრცელა. მარქსის ისტორიული მატერიალიზმი მეცნიერული აზროვნების უდიდესი მონაპოვარია. ქაოსი და თვითნებობა, რაც აქამდე გამეფებული იყო შეხედულებებში ისტორიასა და პოლიტიკაზე, შეიცვალა საოცრად მოლიანი და მყარი მეცნიერული თეორიით, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი წყობიდან, საწარმოო ძალების ზრდის გამო, მეორე, უფრო მა-

ღალი წყობა, მაგალითად, ბატონყმობიდან ვითარდება კაპიტალიზმი.

როგორც ადამიანის შემეცნება ასახავს მისგან დამოუკიდებლად არსებულ ბუნებას, ე. ი. განვითარებაში მყოფ მატერიას, სწორედ ისევე ადამიანის საზოგადოებრივი შემეცნება (ე. ი. სხვადასხვანაირი ფილოსოფიური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა შეხედულებანი და მოძღვრებანი) ასახავს საზოგადოების ეკონომიურ წყობას. პოლიტიკური დაწესებულებანი ეკონომიური საფუძვლის ზედნაშენს წარმოადგენენ. მაგალითად, ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპის თანამედროვე სახელმწიფოთა სხვადასხვა პოლიტიკური ფორმა პროლეტარიატზე ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცებას ემსახურება.

მარქსის ფილოსოფია არის დამთავრებული ფილოსოფიური მატერიალიზმი, რომელმაც კაცობრიობას, განსაკუთრებით კი მუშათა კლასს, შემეცნების დიადი იარაღი მისცა.

II

რაკი მარქსმა აღიარა, რომ ეკონომიური წყობა ის საფუძველია, რომელზედაც აღმართულია პოლიტიკური ზედნაშენი, ყველაზე მეტი ყურადღება ამ ეკონომიური წყობის შესწავლას მიაპყრო. მარქსის მთავარი ნაშრომის «კაპიტალის» საგანია თანამედროვე, ე. ი. კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური წყობის შესწავლა.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია მარქსამდე ინგლისში ჩამოყალიბდა — ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ადამ სმიტმა და დავიდ რიკარდომ, რომლებიც ეკონომიურ წყობას იკვლევდნენ, საფუძველი ჩაუყარეს ღირებულების შრომითს თეორიას. მარქსმა განაგრძო მათი საქმე. მან ზუსტად დაასაბუთა და თანამიმდევრად განავითარა ეს თეორია. მან ცხადყო, რომ ყოველი საქონლის ღირებულება განისაზღვრება იმ საზოგადოებრივ-

აუცილებელი სამუშაო დროის რაოდენობით, რაც საქონლის წარმოებას სჭირდება.

აქ, სადაც ბურჟუაზიული ეკონომისტები საგანთა ურთიერთობას (საქონლის გაცვლა საქონელზე) ხედავდნენ, იქ მარქსმა აღმოაჩინა ურთიერთობა ადამიანთა შორის. საქონლის გაცვლა-გამოცვლა გამოხატავს კავშირს ცალკეულ მწარმოებელთა შორის ბაზრის მეშვეობით. ფეტიშული იმას ნიშნავს, რომ ეს კავშირი სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდება და განუყრელად აერთიანებს ერთ მთელად ცალკეულ მწარმოებელთა მთელ სამეურნეო ცხოვრებას. კაპიტალი ნიშნავს ამ კავშირის შემდგომ განვითარებას: ადამიანის სამუშაო ძალა საქონლად იქცევა. დაქირავებული მუშა თავის სამუშაო ძალას ჰყიდის მიწის, ფაბრიკების, შრომის იარაღების პატრონზე. სამუშაო დღის ერთ ნაწილს მუშა საკუთარი თავისა და ოჯახის შესანახი ხარჯების დასაფარავად ხმარობს (ხელფასი), ხოლო დღის მეორე ნაწილის განმავლობაში მუშა მუქთად შრომობს, ქმნის ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტისათვის, კაპიტალისტთა კლასის მოგების წყაროს, სიმდიდრის წყაროს.

ზედმეტი ღირებულების მოძღვრება მარქსის ეკონომიური თეორიის ქვაკუთხედია.

მუშის შრომით შექმნილი კაპიტალი ჩაგრავს მუშას, აჩანაგებს წვრილ მეპატრონეებს და ქმნის უმუშევართა არმიას. მრეწველობაში მსხვილი წარმოების გამარჯვება ერთბაშად ჩანს, მაგრამ მიწათმოქმედებაშიც იმავე მოვლენას ვხედავთ: მატულობს მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების უპირატესობა, იზრდება მანქანების გამოყენება, გლეხური მეურნეობა ფულადი კაპიტალის მარყუჟში ებმება. ეცემა და ნადგურდება ჩამორჩენილი ტექნიკის მეთოხეებით. მიწათმოქმედებაში წვრილი წარმოების დაცემა სხვა ფორმებით ხდება, მაგრამ თვით მისი დაცემა უდავო ფაქტია.

კაპიტალი, ამარცხებს რა წვრილ წარმოებას, იწვევს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და მონოპოლიურ მდგომარეობას

ქმნის უდიდეს კაპიტალისტთა კავშირებს. თვით წარმოება სულ უფრო და უფრო საზოგადოებრივი ხდება, — ასი ათასობით და მილიონობით მუშები გეგმაზომიერ სამეურნეო ორგანიზმად კავშირდებიან, — ხოლო საერთო შრომის პროდუქტს ერთი მუჭა კაპიტალისტები ითვისებენ. იზრდება წარმოების ანარქია, კრიზისები, ბაზრის გააფთრებული ძებნა, მოსახლეობის მასის ხელმოკლეობა.

კაპიტალისტური წყობილება, კაპიტალისაგან მუშების დამოკიდებულების გაძლიერებასთან ერთად, გაერთიანებული შრომის უდიდეს ძალას ქმნის.

მარქსმა გამოიკვლია კაპიტალიზმის განვითარება, დაწყებული სასაქონლო მეურნეობის პირველი ჩანასახებით, მარტივი გაცვლა-გამოცვლით და გათავებული მისი უმაღლესი ფორმებით, მსხვილი წარმოებით.

და ყველა კაპიტალისტური ქვეყნის, როგორც ძველის, ისე ახლის, გამოცდილება წლითი-წლობით თვალსაჩინოდ ხდის მუშების სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობისთვის მარქსის ამ მოძღვრების სისწორეს.

კაპიტალიზმმა მთელს მსოფლიოში გაიმარჯვა, მაგრამ ეს გამარჯვება მხოლოდ წინამორბედია შრომის გამარჯვებისა კაპიტალზე.

III

როდესაც ბატონყმობა დაემხა და დღის სინათლეზე «თავისუფალი» კაპიტალისტური საზოგადოება გამოვიდა, — მაშინვე გამოაშკარავდა, რომ ეს თავისუფლება მშრომელთა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ახალ სისტემას ნიშნავდა. დაუყოვნებლივ იწყო წარმოშობა სხვადასხვა სოციალისტურმა მოძღვრებამ, როგორც ამ ჩაგვრის ანარეკლმა და პროტესტმა მის წინააღმდეგ. მაგრამ პირველი სოციალისტი უტოპიური სოციალიზმი იყო. იგი აკრიტიკებდა კაპიტალისტურ საზოგადოებას, ჰგმობდა, წყევლიდა მას, ოცნებობდა მის მოსპობაზე, ფანტაზიორობდა უკეთეს წყობილებაზე, არწმუნებდა მდიდრებს ექსპლოატაციის უზნეობაში.

მაგრამ უტოპიურ სოციალიზმს არ შეეძლო ნამდვილი გამოსავალი ეჩვენებინა. მას არ შეეძლო არც ის, რომ განემარტა დედაარსი დაქირავებული მონობისა კაპიტალიზმის დროს, არც მისი განვითარების კანონების აღმოჩენა, არც იმ საზოგადოებრივი ძალის გამონახვა, რომელსაც უნარი შესწევს ახალი საზოგადოების შემოქმედი გახდეს.

ამავე დროს მჭუხარე რევოლუციები, რომლებიც თან სდევდნენ ფეოდალიზმის, ბატონყმობის დამხობას ყველგან ევროპაში და განსაკუთრებით საფრანგეთში, სულ უფრო და უფრო თვალსაჩინოდ ააშკარავებდნენ კლასთა ბრძოლას, როგორც მთელი განვითარების საფუძველს და ამ განვითარების მამოძრავებელ ძალას.

პოლიტიკური თავისუფლების არც ერთი გამარჯვება მებატონეთა კლასზე არ ყოფილა მოპოვებული გააფთრებული წინააღმდეგობის დაუძლევლად. არც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა არ ჩამოყალიბებულა ცოტად თუ ბევრად თავისუფალ, დემოკრატიულ საფუძველზე ისე, რომ კაპიტალისტური საზოგადოების სხვადასხვა კლასს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა არ გაჩაღებულიყოს.

მარქსის გენიალობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ყველაზე ადრე შესძლო ექედან იმ დასკვნის გამოტანა და თანამიმდევრად გატარება, რომელსაც მსოფლიო ისტორია გვასწავლის, რომ დასკვნა არის კლასთა ბრძოლის მოძღვრება.

ადამიანები პოლიტიკაში ყოველთვის იყვნენ და იქნებიან მოტყუებისა და თვითმოტყუების უგუნური მსხვერპლნი, ვიდრე ისინი არ შეიგნებენ იმას, რომ ყოველგვარ ზნეობრივ, რელიგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ ფრაზებსა, განცხადებებსა და დაპირებებში ამა თუ იმ კლასის ინტერესები უნდა ეძიონ. ძველის დამცველები ყოველთვის გააბრიყვებენ რეფორმათა და გაუმჯობესებათა მომხრეებს, ვიდრე ისინი ვერ მიხვდებიან, რომ ყოველი ძველი დაწესებულება, რამდენ ეელური და დამპალიც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი, ამა თუ იმ გაბატონებულ კლასის ძალებს ემყარება. ამ კლასების

წინააღმდეგობის გასატეხად კი მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: თვით ჩვენს გარშემო არსებულ საზოგადოებაში გამოვნახოთ, გავანათლოთ და ბრძოლისათვის დავრაზმოთ ისეთი ძალები, რომელთაც შეუძლიათ — და თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობით მოვალენიცარიან — შეადგინონ ძალა, რომელსაც შეეძლება ძველის აღგვა და ახლის შექმნა.

მხოლოდ მარქსის ფილოსოფიურმა მატერიალიზმმა უჩვენა პროლეტარიატს გამოსავალი იმ სულიერი მონობიდან, რომელშიც დღემდე სული ეხუთებოდა ყველა დაჩაგრულ კლასს. მხოლოდ მარქსის ეკონომიურმა თეორიამ განმარტა პროლეტარიატის ნამდვილი მდგომარეობა კაპიტალიზმის საერთო წყობილებაში.

მთელ მსოფლიოში, ამერიკიდან იაპონიამდე და შვეიციიდან სამხრეთ აფრიკამდე, მრავლდებიან დამოუკიდებელი ორგანიზაციები პროლეტარიატისა. იგი განათლებას იძენს და იწვრთნება, აწარმოებს თავის კლასობრივ ბრძოლას, თავს აღწევს ბურჟუაზიული საზოგადოების ცრურწმენებს, სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ირაზმება და სწავლობს თავის წარმატებათა ოდენობის გაზომვას, აწრთობს თავის ძალებს და შეუჩერებლივ იზრდება.

«პროსვეშჩენიე» № 3,
1913 წ. მარტი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» ტექსტის მიხედვით

ჩინეთის რესპუბლიკის დიდი წარმატება

ცნობილია, რომ ჩინეთის დიდი რესპუბლიკა, რომელიც ამდენი მსხვერპლის გაღებით შექმნა აზიის ხალხთა მასების მოწინავე დემოკრატიამ, უკანასკნელ ხანებში უაღრესად მძიმე ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა. ექვსმა «დიდმა» სახელმწიფომ, რომლებიც ცივილიზებულ სახელმწიფოებად ითვლებიან, ნამდვილად კი უაღრესად რეაქციულ პოლიტიკას ატარებენ, შეადგინეს ფინანსური კონსორციუმი (ამხანაგობა), რომელმაც შეაჩერა სესხის აღება ჩინეთის მიერ!

საქმე ისაა, რომ ჩინეთის რევოლუციამ ევროპის ბურჟუაზიაში გამოიწვია არა ენთუზიაზმი თავისუფლებისა და დემოკრატიის საქმისადმი, — ასეთი გრძნობების უნარი აქვს პროლეტარიატს, მაგრამ სარფის რაინდებს ასეთი უნარი როდი შესწევთ — არამედ მისწრაფება ჩინეთის გ ა ძ ა რ ც ვ ი ს ა, ჩინეთის დანაწილებისა, ჩინეთის მიწა-წყლის ხელში ჩაგდებისა. ექვსი სახელმწიფოს (ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის, გერმანიის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების) «კონსორციუმი» ცდილობდა გაკოტრებამდე მიეყვანა ჩინეთი, რათა დაესუსტებინა რესპუბლიკა და ძირი გამოეთხარა მისთვის.

ახალგაზრდა რესპუბლიკის, რომელიც მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასების თანაგრძნობით სარგებლობს, დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ამ შავრაზმული კონსორციუმის დ ა შ ლ ა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხადა, ჩემი მთავრობა ამიერიდან აღარ დაუჭერს მხარს ამ კონსორციუმს და მთავრობა უახლოეს მომავალში ოფიცია-

ლურად ი ც ნ ო ბ ს ჩინეთის რესპუბლიკასო. ახლა ამერიკის ბანკები გ ა მ ო ვ ი დ ნ ე ნ კონსორციუმიდან. ამერიკა ახლა ჩინეთს აღმოუჩენს მისთვის ესოდენ საჭირო ფინანსურ დახმარებას, ჩინეთის ბაზარს გაუხსნის ამერიკის კაპიტალს და გააადვილებს რეფორმების საქმეს ჩინეთში.

ამერიკის გაკლენით იაპონიამაც შესცვალა თავისი პოლიტიკა ჩინეთის მიმართ. თავდაპირველად იაპონიას ისიც კი არ უნდოდა, რომ სუნ იატ-სენისთვის იაპონიაში შესვლის ნება დაერთო! ახლა ეს მგზავრობა უკვე მოხდა, იაპონიის ყველა დემოკრატი აღფრთოვანებით ეგებება რესპუბლიკურ ჩინეთთან კავშირს; რიგში დგას ჩინეთთან კ ა ვ შ ი რ ი ს დადება. იაპონიის ბურჟუაზიამ, ამერიკის ბურჟუაზიის მსგავსად, შეიგნო, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელია სამშვიდობო პოლიტიკა ჩინეთის მიმართ, და არა ჩინეთის რესპუბლიკის ძარცვისა და დანაწილების პოლიტიკა.

მძარცველი კონსორციუმის დაშლა, რასაკვირველია, იმის მომასწავებელია, რომ საგრძნობლად დამარცხდა ის რეაქციული საგარეო პოლიტიკა, რომელსაც რუსეთი აწარმოებს.

«პრავდა» № 68,
1913 წ. 22 მარტი
ხელმოწერა: W.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ძველი ამოცანები და ლიბერალიზმის გებრული უნიათობა

ერთ-ერთმა ფრიად ცნობილმა კადეტმა, დეპუტატმა შინგარევმა, ამას წინათ პეტერბურგში წაიკითხა ლექცია თემაზე: «ახალი სათათბირო და ძველი ამოცანები».

თემა თანამედროვეა, საინტერესო, ცოცხალი.

როგორც ეს მიღებულია, ჩვენი კადეტი ანადგურებდა ოქტიაბრისტებს. «ოქტიაბრისტებს — წამოიძახა მან — რცხვენიათ მემარჯვენე ფრთას მიეკედლონ და მემარცხენეების მიმხრობას კი ვერ ბედავენ» («რეჩ» [2] № 70). ჩვენი მამაცი (დემოკრატიული აუდიტორიის წინაშე მამაცი) კადეტი «მემარცხენეებს» აკუთვნებდა, ალბათ, პროგრესისტებს. იმაზე კი, რომ კადეტების ეს უახლოესი მეგობრები და პოლიტიკური თანამებრძოლები თვითონ ¾-ით ოქტიაბრისტები არიან, ამაზე ბ-ნ შინგარევს არაფერი უთქვამს.

მას სურს, რომ დემოკრატია კადეტებს «მემარცხენეებად» თვლიდეს, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ კადეტების მუდმივი და უმჭიდროესი ფაქტიური ბლოკისა პროგრესისტებთან, რომელნიც კადეტებსა და ოქტიაბრისტებს შ უ ა დგანან! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: კადეტებს სურთ დემოკრატიის მონადირება, როცა სინამდვილეში თვითონ აშკარა ა ნ ტ ი დემოკრატიული პროგრესისტების ტყვე არიან.

«მოწყენილობა — აშბობდა ბ-ნი შინგარევი IV სათათბიროს შესახებ — მოგვაგონებს მიყრუებულ სადგურზე გახირული მატარებლის მგზავრთა მდგომარეობას. გულის გადასაყოლებლად და მატარებლის დასაძრავად მგზაკრებმა თვითონ მოჰკიდეს ხელი გზის გაწმენდას. მაგრამ

მძიმე საკანონმდებლო მანქანის დასაძრავად მარტო მგზავრთა ძალები მაინც არ კმარა. ჩვენს რეფორმებს სამი კლიტე აღევს — 3 ივნისის კანონი, ზედა პალატა და აღმასრულებელი ხელისუფლების უპასუხისმგებლობა. როგორ გაიღება ეს კლიტეები, — წყნარად და მშვიდობიანად თუ სხვა გზით, ამას ისტორია დაგვანახვებს. თანამედროვენი სრულიად გულგრილნი ვერ დარჩებიან; მათ შეთანხმებულად უნდა მოუსვან ნიჩბებს» («რეჩ» № 70).

ხელსაყრელი რამაა ისტორიის დამოწმება! ბ-ნი შინგარევი და კადეტები ისტორიას ი მ გ ვ ა რ ა დ იმოწმებენ, როგორც ის ადამიანები, რომლებზედაც მარქსი ამბობდა, ისინი მათრახს იმ საფუძვლით იცავენ, რომ ეს მათრახი ისტორიულია[3].

რა თქმა უნდა, «ისტორია დაგვანახვებს, რ ო გ ო რ გაიღება კლიტეები», ეს უდავო და უნაყოფო ჭეშმარიტებაა. ეს ბებრული უნიათობის საბუთია. პოლიტიკოსს კი მოეთხოვება იცოდეს, რ ო მ ე ლ ი კლასის ხელშია კლიტეები და რ ო მ ე ლ მ ა კლასებმა რ ა საშუალებით უნდა გააღონ ისინი.

«ისტორია დაგვანახვებს» იმას, რაც მან უკვე დაგვანახვა $7^1/_2$ წლის წინათ, სახელდობრ: უნაყოფობა ლიბერალური რეფორმიზმისა, ლიბერალური ოცნებისა მშვიდობიანობაზე, იმ კლასთან, რომელსაც ხელთ უპყრია «კლიტეები».

«პრავდა» № 71, 1913 წ. 26 მარტი
ხელმოწერა: მ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

«ნავთობის შიმშილის» შესახებ[1]

«ნავთობის შიმშილის», ნავთობის უზომო გაძვირების, მომხმარებელთა გასაყვლეფად ნავთობის ბობოლა მრეწველთა დანაშაულებრივი შეთქმულების საკითხმა სრულიად კანონიერი ინტერესი და სრულიად გასაგები აღშფოთება გამოიწვია სათათბიროში და უფრო მეტად სათათბიროს გარეთ.

დუელი ვაჭრობისა და მრეწველობის ბატონ მინისტრისა, რომელიც ოდნავ დაფარულად ი ც ა ვ დ ა სინდიკატელებს — ნავთობის მეფეებს, და ბ-ნ მარკოვ მეორისა, რომელიც გაცხარებული მგზნებარებით გამოხატავდა კეთილშობილ მებატონე-მემამულეთა წყენის გრძნობას, ეს დუელი (სახელმწიფო სათათბიროს 22 მარტის სხდომაზე) მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ეს დუელი დიდ შუქს ჰფენს რუსეთის ორი «მმართველი» კლასის, ორი ეგრეთწოდებული «მაღალი» (ნამდვილად კი ძალიან დაბალი, ქვენა, მძარცველი) კლასის, მებატონე-მემამულეთა კლასისა და ბობოლა ფინანსისტთა კლასის ურთიერთობას.

ერთი შეხედვით ნავთობის სინდიკატის საკითხი კერძო საკითხსა ჰგავს. მაგრამ ეს ასე არ არის. სინამდვილეში ეს მხოლოდ ერთ-ერთი გამოხატულებაა ორი მბრძანებელი კლასის მიერ რუსეთის მართვა-გამგეობის (ანუ უფრო სწორად რუსეთის ძარცვის) საერთო და ძირითადი საკითხისა. მარკოვ მეორემ თავის სიტყვაში საუცხოო პასუხი გასცა ნავთობის «მეფეთა» დამცველს იმ ზ უ ბ რ ი ს თვალსაზრისით, რომელსაც აწყენინეს ნადავლის გაყოფის დროს. გასაკვირველი არ არის, რომ ბ-მა მარკოვ მეორემ ამასთანავე ვერ შესძლო «თავის-

თავისთვის შეეხედა», ვერ შესძლო თავისი თავი (და თავისი მეგობარი მემამულეები) სარკეში დაენახა. შევეცდები სამსახური გავუწიო ბ-ნ მარკოვ მეორეს; მე მას სარკეს დავუდგამ. თავის სურათს დავუხატავ. ცხადვყოფ, რომ მარკოვ მეორისა და ხვოსტოვის «ჩხუბი» ნავთობის მეფეებთან, ნავთის სინდიკატის ბობოლებთან, ბაქოელ მილიონერებთან — შ ი ნ ა უ რ ი ჩხუბია, ჩხუბი ხალხის საკუთრების ო რ ი დამტაცებლისა. «ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო». ერთი მხრივ, ბ-ნი მინისტრი და ბ-ნი ნობელი კომპანიითურთ, ბატონი ხვოსტოვები და მარკოვები მათი მეგობრებითურთ სენატში, სახელმწიფო საბჭოში და სხვ., ესენი «ც ო ლ-ქ მ ა რ ნ ი» არიან. მხოლოდ ეს არის, რომ ფრიად ხახამშრალი რჩებიან რუსეთის ათეული მილიონობით მუშები და გაჩანაგებული გლეხები ამ საყვარელი და შეხმატკბილებული კომპანიის წყალობით!

რა არის ნავთობის საკითხის დედააზრი?

უწინარეს ყოვლისა ნავთობის ფასის ურცხვი გადიდება ნავთობის ბატონ მრეწველთა მიერ და ამავე დროს ჭაბურღილებისა და ქარხნების ნაყოფიერების ხელოვნურად შ ე ფ ე რ ხ ე ბ ა კაპიტალისტური მოგების ამ «რაინდების» მხრივ.

ძირითადი მონაცემები, რომლებიც ამ პუნქტებს შეეხება, უკვე მოყვანილი იყო სათათბიროში, მაგრამ ეს მონაცემები მოკლედ მაინც უნდა გავიმეორო, რათა სავსებით ნათელი გახდეს ჩემი შემდგომი გადმოცემა. 1902 წელს ერთი ფუთი ნავთობი ღირდა 6 კაპიკი. 1904 წელს მისი ფასი იწევს 14 კაპიკამდე. შემდეგ ფასები კიდევ უფრო «მხიარულად» «ხტიან», ასე რომ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ 1908 — 1909 წელს ერთი ფუთის ფასი ადის 21 კაპიკამდე, ხოლო 1912 წელს — 3 8 კ ა პ ი კ ა მ დ ე.

ამრიგად, 10 წლის განმავლობაში ფასი ე ქ ვ ს ჯ ე რ და უ ფ რ ო მ ე ტ ა დ გაიზარდა! ნავთობის ამოღება კი ამ ხნის განმავლობაში შ ე მ ც ი რ დ ა 1900 — 1902 წლების 600 —

700 მილიონი ფუთიდან 500 — 585 მილიონ ფუთამდე 1908 — 1912 წლებში.

ეს ციფრები უნდა დავიხსომოთ. მათ უნდა ჩავუფიქრდეთ. მთელ მსოფლიოში წარმოების უდიდესი გადიდების ათწლეულის მანძილზე ამოღების შემცირება და ამავე დროს ფასების გადიდება ექვსჯერ და უფრო მეტად.

შეთქმულ ვაჭართა და მრეწველთა დაცვის დროს ვაჭრობისა და მრეწველობის ბ-ნი მინისტრი პირდაპირ წარმოუდგენელ უმწეო საბუთებს აყენებდა.

იზრდება მოთხოვნა სათბობისა, — ამბობდა ის, — იზრდება საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის მოთხოვნა ნავთობისა, ეს «მსოფლიო» მოვლენაა, გვანუგეშებდა ჩვენ და რუს ხალხს ბ-ნი მინისტრი.

ამერიკაში რაღა ხდება? — ვიკითხავთ ჩვენ. ასეთი კითხვა ეავისთავად იბადება, რადგან ყველას მოეხსენება, რომ ამერიკა რუსეთის ერთადერთი სერიოზული მეტოქეა ნავთობის წარმოებაში. 1900 წელს რუსეთი და ამერიკა ერთად იძლეოდნენ ნავთობის მსოფლიო ამოღების 9/10-ზე მეტს, ხოლო 1910 წელს — 8/10-ზე მეტს.

თუ, ბ-ნო მინისტრო, ლაპარაკია «მსოფლიო» მოვლენაზე, მაშასადამე, იგივე უნდა ხდებოდეს ამერიკაშიც? და აი, უგულისყურო მსმენელებზე მთაბეჭდილების მოსახდენად, ბ-მა მინისტრმა შეთქმულ მძარცველთა — ნავთობის მრეწველთა — დასაცავად მოიყვანა ციფრები ამერიკის შესახებ... **მაგრამ მხოლოდ 2 წლისა!!** უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ნავთობის ფასი ამერიკაში ერთიორად გაიზარდაო, ასევე რუმინეთშიც.

კეთილი და პატიოსანი, ბ-ნო მინისტრო! მაგრამ რატომ არ უნდა მივიყვანოთ შედარება ბოლომდე? თუ შედარებაა — შედარება იყოს. ციფრებით თამაში არ შეიძლება. ამერიკის შესახებ მონაცემები **იმავე დროისა** უნდა ავიღოთ, რა დროის მონაცემებიც იყო მოყვანილი რუსეთის შესახებაც. ნუთუ ცხადი არ არის, რომ ეს სტატისტიკის ყოველი კეთილსინდი-

სიერი გამოყენების ყველაზე ძირითადი, ყველაზე ელემენტარული, ყველაზე საანბანო პირობაა?!

რუსეთში 10 წლის განმავლობაში ფასებმა ექვსჯერ და უფრო მეტად აიწია 1902 წლის სწორედ იმ დაბალ ფასთან შედარებით, რომელიც თვით ბ-მა მინისტრმა მოიყვანა. ამერიკაში? აქ არავითარი **ასეთი** ფასების აწევა არ ყოფილა. 1900-დან 1910 წლამდე ამერიკაში ფასი დაეცა. უკანასკნელ წლებში კი ფასი ერთ დონეზე იდგა.

მაშასადამე, როგორია შედეგი? ამერიკაში გადიდდა ერთიორად და რუსეთში ექვსჯერ. ხოლო ნავთობის ამოღება ამერიკაში 1900 წელს უფრო ნაკლები იყო, ვიდრე რუსეთში, 1910 წელს კი **სამჯერ უფრო მეტი**, ვიდრე რუსეთში!!

ამის თქმა ბ-მა მინისტრმა, რომელიც მაინცადამაინც მარჯვედ ვერ იცავდა მილიონერ ნავთობის მრეწველთა შეთქმულებას, არ ინება. ეს კი ფაქტია. რა ციფრებიც უნდა აიღოთ, ეჭვს გარეშეა, რომ ამერიკაში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გაძვირება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რუსეთში, ამოღება კი გიგანტურად გაიზარდა, მაშინ როდესაც რუსეთში სამარცხვინო შეფერხებაა და უკანაც კი იდგმება ნაბიჯი.

ახლა ერთბაშად ვხედავთ, რა ცოტა სიმართლე და რა ბევრი ტყუილია ჩვენი მინისტრის დამოწმებაში — გაძვირება «მსოფლიო» მოვლენაა. დიახ, გაძვირება ყველგან ხდება. დიახ, არსებობს მისი გამომწვევი საერთო კაპიტალისტური მიზეზები.

მაგრამ რუსეთში მდგომარეობა სწორედ იმიტომაა აუტანელი, რომ ჩვენში განუზომლად უფრო ძლიერია სწორედ ნავთობის გაძვირება, ხოლო ნაყოფიერების გადიდების ნაცვლად შეფერხებაა. რუსეთში მდგომარეობა აბსოლუტურად აუტანელია სწორედ იმიტომ, რომ ნაცვლად კაპიტალიზმის ფართო, თავისუფალი, სწრაფი განვითარებისა, ჩვენ ვხედავთ შეფერხებასა და ლპობას. ამიტომ ჩვენში **ასეთივე** სიძვირე ასწილ უფრო ავთვისებიანია.

რუსეთში 170 მილიონი მოსახლეობაა, ამერიკაში კი 90 მილიონი, ე. ი. ნახევარზე ცოტა მეტი. ნავთობს კი ამერიკაში ახლა იღებენ სამჯერ უფრო მეტს, ვიდრე ჩვენში, ქვანახშირს კი თვრამეტჯერ მეტს. საარსებო დონე ამერიკაში, მუშათა ხელფასის მიხედვით თუ განვსჯით, ოთხჯერ უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთში.

განა ცხადი არ არის, რა აშკარა ტყუილს ამბობს ბ-ნი მინისტრი, ბოროტება მსოფლიო მოვლენაა? ბოროტება ოთხჯერ უფრო მძიმედ აწვება რუსეთს, თუ ათჯერ უფრო მძიმედ არა.

დაწერილია არა უადრეს
1913 წ. 26 მარტისა
(8 აპრილისა)

პირველად დაიბეჭდა
1940 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდის» № 21-ში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

კადეტების კანონპროექტი კრებების შესახებ

თავისუფლებათა შესახებ სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ კადეტების კანონპროექტებში არის კანონპროექტი კრებების შესახებაც.

კადეტებს დემოკრატიულ პარტიად მიაჩნიათ თავი. მათ არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ IV სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ კანონპროექტს კრებების შესახებ მხოლოდ და მხოლოდ საპროპაგანდო ხასიათი აქვს, ე. ი. შეტანის მიზანია — კრებების თავისუფლების პრინციპების პროპაგანდა, გავრცელება, ახსნა-განმარტება.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ კადეტების კანონპროექტი: ხელს უწყობს თუ არა იგი რუსეთის მოსახლეობისთვის კრებების თავისუფლების მნიშვნელობის, ამ თავისუფლების სიდიადისა და მისი მიღწევის პირობების ა ხ ს ნ ა-გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ს?

არა. კანონპროექტი შეადგინეს ლიბერალურმა მოხელეებმა და ა რ ა დემოკრატებმა. მასში უხვად მოიპოვება გაცვეთილი, შეუსაბამო ბიუროკრატიული წესები, ხოლო ის, რაც აუცილებელია დემოკრატიის თვალსაზრისით, მასში არ მოიპოვება.

აკრძალულია კრებები რკინიგზის ლიანდაგზე (§ 3), — კრებები ერთი ვერსის მანძილზე სახელმწიფო სათათბიროს სხდომის ადგილიდან და სხვ. (§ 4); წინასწარი განცხადება საჭიროა ქალაქებში, მაგრამ საჭირო არ არის სოფლად (§§ 6 და 7) და

ასე შემდეგ, — რა არის ეს? რა საჭიროა მთელი ეს უბადრუკი, სასაცილო, უმწეო, ბიუროკრატიული ხარახურა?

ყოველივე ეს გადმოწერილია ევროპის კ ო ნ ტ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი კანონებიდან, ყოველივე ეს მთლიანად გაჟღენთილია დემოკრატიისადმი უნდობლობისა და მისი ჩახშობის ეპოქათა სუნით, ყოველივე ეს საშინლად მოძველდა. სწორედ ქალაქებში, მაგალითად, საჯარო კრებების შესახებ აცხადებენ გაზეთებში, — მაშ რაღა საჭიროა «განცხადებათა» იდიოტური დავიდარაბა?? მხოლოდ იმისთვის, მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ დაუმტკიცონ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომ აი ჩვენ, კადეტები, «სახელმწიფო» თვალსაზრისზე ვდგავართ, «წესიერების მომხრენი» (ე. ი. დემოკრატიის მტრები) ვართო, «ჩვენც ვიცით» მოხელეთა ხრიკიანობის «დაფასებაო».

ხოლო ის, რაც თანამედროვე დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი და სერიოზულია, პროექტში არ არის. მასისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს შენობას კრებების გასამართავად. საჭიროა კ ა ნ ო ნ ი, რომ, ვთქვათ, განსაზღვრულ მცირერიცხოვან მოქალაქეთა მოთხოვნის თანახმად ყ ვ ე ლ ა საზოგადოებრივი შენობა, სკოლა და სხვ. საღამოობით და თავისუფალ საათებში უფასოდ და დაუბრკოლებლივ დ ა ე თ მ ო ხალხს კრებებისთვის. ასეა საფრანგეთში, და პურიშკევიჩების ველურობის გარდა შეუძლებელია ამ დემოკრატიულ ჩვეულებას სხვა დაბრკოლებანი გადაეღობოს.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ თავისუფლებათა შესახებ კადეტების კანონპროექტის მთელი დედაარსი, მთელი შინაარსი დემოკრატიული კ ი ა რ ა რ ი ს, არამედ ლიბერალურ-მოხელურია.

«პრავდა» № 72,
1913 წ. 27 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ბალკანეთის ომი და ბურჟუაზიული შოვინიზმი

ბალკანეთის ომი დასასრულს უახლოვდება. ადრიანოპოლის აღება ბულგართა გადამწყვეტ გამარჯვებას ნიშნავს, და საკითხის სიმძიმის ცენტრი საბოლოოდ გადატანილია საომარ მოქმედებათა სარბიელიდან ეგრეთწოდებულ დიდ სახელმწიფოთა კინკლაობისა და ინტრიგების სარბიელზე.

ბალკანეთის ომი ერთ-ერთი რგოლია იმ მსოფლიო ამბების ჯაჭვისა, რომლებიც აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში შუასაუკუნობის კრახს მოასწავებენ. გაერთიანებულ ნაციონალურ სახელმწიფოთა შექმნა ბალკანეთში, ადგილობრივი ფეოდალების უღლის დამხობა, ბალკანეთის ყოველი ეროვნების გლეხთა საბოლოოდ განთავისუფლება მემამულეთა უღლისაგან, — ასეთი იყო ბალკანეთის ხალხთა წინაშე დასახული ისტორიული ამოცანა.

ბალკანეთის ხალხები ამ ამოცანას ათჯერ უფრო ადვილად და ასჯერ უფრო ნაკლები მსხვერპლის გაღებით გადაწყვეტდნენ, ვიდრე ახლა, ბალკანეთის ფედერაციული რესპუბლიკის მოწყობით. შეუძლებელი იქნებოდა ნაციონალური ჩაგვრაც, ნაციონალური შეხლა-შემოხლაც, რელიგიურ განსხვავებათა გაღვივებაც, სრული და თანამიმდევარი დემოკრატიზმი რომ ყოფილიყო. ბალკანეთის ხალხებისთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა მართლაც სწრაფი, ფართო და თავისუფალი განვითარება.

რა არის ისტორიული მიზეზი იმისა, რომ ბალკანეთის საარსებო საკითხებს სწყვეტდა ბურჟუაზიული და დინასტიური

ინტერესებით გამოწვეული ომი? მთავარი მიზეზია — ბალკანეთის პროლეტარიატის სისუსტე და შემდეგ ევროპის ძლიერი ბურჟუაზიის რეაქციული გავლენა და ზემოქმედება. ევროპის ბურჟუაზიას ეშინია ნამდვილი თავისუფლებისა თავის ქვეყანაშიც და ბალკანეთშიც, იგი ესწრაფის მხოლოდ მოგებას სხვის ხარჯზე, იგი აღვივებს შოვინიზმს და ნაციონალურ შუღლს, რათა გაიადვილოს ძარცვა-გლეჯის პოლიტიკა, ბალკანეთის დაჩაგრულ კლასებს კი გაუძნელოს თავისუფალი განვითარება.

რუსული შოვინიზმი ბალკანეთის ამბების გამო არა ნაკლებ საზიზღარია, ვიდრე ევროპული. ხოლო კადეტების ლიბერალური ფრაზებით დაფარული, შელამაზებული, შეფერადებული შოვინიზმი კიდევ უფრო საზიზღარი და მავნებელია, ვიდრე შავრაზმული გაზეთების ტლანქი შოვინიზმი. ეს გაზეთები აშკარად ესხმიან თავს ავსტრიას. — ევროპის ამ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში ერებს უზრუნველყოფილი აქვთ (შევნიშნავთ ფრჩხილებში) შეუდარებლად უფრო მეტი თავისუფლება, ვიდრე რუსეთში. კადეტური «რეჩი» კი ადრიანოპოლის აღების გამო წერდა: «ახალი გარემოება სრულ შესაძლებლობას აძლევს რუსეთის დიპლომატიას უფრო მტკიცე იყოს»...

კარგი «დემოკრატები» კი არიან ისინი, ვინც თავს ისე აჩვენებს, თითქოს არ ესმოდეს, რომ აქ ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ შოვინისტური მიზნების მიღწევის სიმტკიცეზე! გასაკვირველი არ არის, რომ 14 მარტს როძიანკოს მიერ გამართულ სადილზე მეგობრულად შეიყარნენ მილიუკოვი და ეფრემოვი, გუჩკოვი, ბენიგსენი, კრუპენსკი და ბალაშოვი. ნაციონალისტები, ოქტიაბრისტები, კადეტები, — ეს მხოლოდ სხვადასხვა ელფერია საზიზღარი, თავისუფლებისადმი მუდამ მტრული, ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და შოვინიზმისა!

«პრავდა» № 74,
1913 წ. 29 მარტი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

(1

Разговоръ.

Первый подпольный. Я наблюдаю, какъ шоу Вильгельмовна, борьбу среди рабочихъ изъ за „шестерки и семерки". Смерзновъ идетъ за обѣими газетами. Сопоставляю, но идетъ вопросъ, отъ двухъ буржуазной и черной газеты. ... И знаете-ли, что? Мнѣ кажется, что борьба принимаетъ такую форму, что она выродится въ споръ, въ вопросъ, что результатомъ будетъ всякая буржуазная демократизація.

Второй подпольный. Ничего не понимаю. Какъ мы видимъ на самомъ борьбѣ изъ за чего-либо серьезнаго, которая бы не принимала такую форму? Кажется пора, что борьбой

პირველი ხელნაწერი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «საუბარი». — 1913 წ. მარტი — აპრილი
დაბეჭდილია

საუბარი

პ ი რ ვ ე ლ ი გ ა რ ე შ ე პ ი რ ი. რამდენადაც შემიძლია ყურადღებით ვადევნებ თვალყურს ბრძოლას მუშებს შორის «ექვსეულისა და შვიდეულის» გამო. ვცდილობ თვალყური ვადევნო ორივე გაზეთს. შეძლებისდაგვარად ერთმანეთს ვადარებ ბურჟუაზიული და შავრაზმული პრესის აზრს. ...და იცით, რა? ჩემი აზრით, ბრძოლა მძიმე ფორმებს იღებს, იგი იქცევა კინკლაობად, მითქმა-მოთქმად, შედეგი იქნება — ყოველ შემთხვევაში — უდიდესი დემორალიზაცია.

მ ე ო რ ე გ ა რ ე შ ე პ ი რ ი. ვერაფერი გამიგია. სად გაგონილა ქვეყნად ბრძოლა ყოფილიყოს რაიმე სერიოზულის გამო და მას მძიმე ფორმები ა რ მიეღოს? სწორედ იმიტომ, რომ ბრძოლა წყვეტს სერიოზულ საკითხს, აქ «უბრალო» «ჩხუბით» ვერაფერს გახდები. ისინი, ვინც მიჩვეული არიან პარტიული მშენებლობის პრინციპების უარყოფას და ახლაც უარყოფენ, უაღრესად თავგანწირული წინააღმდეგობის გაუწევლად ფარხმალს არ დაყრიან. თავგანწირული წინააღმდეგობა ყველგან და ყოველთვის წარმოშობს ხოლმე «მძიმე ფორმებს», წარმოშობს იმის ც დ ე ბ ს, რომ დავა გადატანილ იქნას პრინციპების სფეროდან კინკლაობის სფეროში. მერე რა? ამის გამო უნდა ავიღოთ ხელი პარტიული მშენებლობის ძირითადი პრინციპებისათვის ბრძოლაზე?

პ ი რ ვ ე ლ ი გ ა რ ე შ ე პ ი რ ი. თქვენ ცოტა არ იყოს გვერდს უვლით ჩემ მიერ დაყენებულ საკითხს და ძალიან ჩქარობთ «შეტევაზე გადასვლას». ორივე მხარის მუშათა ყოველი წრე იჩქარის «გამოაცხოს» რეზოლუცია, ამასთან თითქ-

მის ერთმანეთს ეჯიბრებიან იმის გამო, თუ ვინ ვის აჯობებს სალანძღავი სიტყვებით. რამდენი ლანძღვაა, რომელიც მუშათა პრესისგან ზურგს აქცევინებს სოციალისტური შუქის მძებნელ მუშა ხალხის მასებს; ესენი, ალბათ, ხელიდან აგდებენ გაზეთს გაოცებისა თუ სოციალიზმის წინაშე ერთგვარი სირცხვილის გრძნობის გამო... შესაძლოა დიდი ხნითაც უტყდებათ გული სოციალიზმზე. ლანძღვა-გინებაში შეჯიბრება ქმნის რაღაც «ა რ ა ბუნებრივი შერჩევის» ვითარებას, ხოლო ასეთი «შერჩევა» პირველ ადგილს უთმობს «კრივის სპეციალისტებს»... როგორც ერთი მხარე, ისე მეორე მხარე აქეზებენ ვაჟკაცობას მოწინააღმდეგისთვის სილის გაწვნაში. განა ა ს ე თ ი აღზრდა უნდა მისცეს პროლეტარიატს სოციალისტურმა პარტიამ? ხომ არ არის ეს მოწონება ან ყოველ შემთხვევაში თავის ნებაზე მიშვება ოპორტუნიზმისა, ვინაიდან ოპორტუნიზმი არის მუშათა მოძრაობის ძ ი რ ი თ ა დ ი ინტერესების მსხვერპლად მიტანა წარმავალი წარმატებისთვის. ორივე მხარე მუშათა მოძრაობის ძირითად ინტერესებს ანაცვალებს წარმავალ წარმატებას... ნაცვლად სოციალისტური მუშაობით გამოწვეული სიხარულისა, ამ მუშაობით გამსჭვალვისა, მისდამი სერიოზული დამოკიდებულებისა გამოდის, რომ სოციალისტები გულს უცრუებენ მასებს სოციალიზმზე. უნებურად გაგონდება მწარე სიტყვები: პროლეტარიატი სოციალიზმს მიაღწევს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ სოციალისტებისაო.

მ ე ო რ ე გ ა რ ე შ ე პ ი რ ი. ჩვენ ორივენი გარეშე პირები ვართ, ე. ი. უშუალოდ ბრძოლაში არ ვიღებთ მონაწილეობას. მაგრამ გარეშე პირებს, როცა გაერკვევიან, თუ რა ხდება მათ თვალ წინ, შეუძლიათ ორგვარი შეხედულება იქონიონ ბრძოლაზე. შეიძლება, თუ განზე დგახარ და იქიდან იყურები, დაინახო ბრძოლის მხოლოდ, ასე ვთქვათ, გარეგნული მხარე: ხატოვნად რომ ვთქვათ, შეიძლება დაინახო მხოლოდ შეკუმშული მუშტები, დამანჭული სახეები, საზიზღარი სცენები; შეიძლება დაგმო ყოველივე ეს, კვნესა-ტირილი მორთო ამის გამო.

მაგრამ ისიც შეიძლება, რომ გარედან ყურებით გაიგო მიმ-დინარე ბრძოლის ა ზ რ ი, რაც ცოტათი, უკაცრავად თუ არ ვიქნები, უფრო საინტერესოა და ისტორიულადაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბრძოლის ეგრეთწოდებული «ექსცე-სების» თუ «უკიდურესობის» წვრილმანი სცენები და სურა-თები. ბრძოლა არ არსებობს გატაცების გარეშე. გატაცება კი არ არსებობს უკიდურესობათა გარეშე; მე თუ მკითხავთ, ყველაზე უფრო მეჯავრება ის ადამიანები, რომლებიც კლას-თა, პარტიათა, ფრაქციათა ბრძოლაში უწინარეს ყოვლისა ხედავენ «უკიდურესობას». მე ყოველთვის გული მეუბნება — ბოდიში თქვენთან — შევძახო ასეთ ხალხს: «მე თუ მკითხავთ ისევ ის სჯობს, ვინც სვამს, მაგრამ ბევრს აკეთებს».

აქ კი დიდი საქმე, ისტორიულად დიდი საქმე წყდება. ყა-ლიბდება მუშათა პარტია. მუშათა დამოუკიდებლობა, მუშების გავლენა თ ა ვ ი ა ნ თ ფრაქციაზე, თვით მუშების მიერ გადაწყვეტა თავიანთი პარტიის საკითხებისა — აი დიდი ის-ტორიული აზრი იმისა, რაც ახლა ხდება, აი ჩვენს თვალწინ რა იქცევა ფაქტად კეთილი სურვილიდან. თქვენ გაშინებთ და გაღონებთ «უკიდურესობანი», მე კი აღფრთოვანებით ვადევნებ თვალყურს ბრძოლას, რომელშიც მართლაც მწიფ-დება და ვაჟკაცდება რუსეთის მუშათა კლასი, მე მაბრაზებს მხოლოდ ის, რომ გარეშე პირი ვარ, რომ არ შემიძლია გადა-ვეშვა ამ ბრძოლის შუაგულში...

პ ი რ ვ ე ლ ი გ ა რ ე შ ე პ ი რ ი. და «უკიდურესობათა» შუაგულშიც, არა? ხოლო თუ «უკიდურესობანი» იქამდე მივა, რომ დაიწყებენ რეზოლუციების ფაბრიკაციას, მაშინ თქვენც გამოაცხადებთ «სიძულვილს» იმ ადამიანებისადმი, რომელნიც ამაზე მიუთითებენ, რომელთაც ეს აღშფოთებთ, რომელნიც მოითხოვენ, რადაც უნდა დაჯდეს, ამის შეწყ-ვეტას?

მ ე ო რ ე გ ა რ ე შ ე პ ი რ ი. ნუ გვაშინებთ, გეთაყვა! ვერ შეგვაშინებთ! ღმერთმანი, თქვენ იმ ადამიანებს ემსგავ-სებით, რომელნიც მზად არიან დაგმონ საჯარო წესი ყალბი

ცნობების გამოქვეყნების გამო. მახსოვს, ერთხელ «პრავდაში»[5] გამოქვეყნდა ცნობა ერთი სოციალ-დემოკრატის პოლიტიკური უპატიოსნების შესახებ, რაც უარყოფილ იქნა დიდი ხნის შემდეგ. წარმოდგენილი მაქვს, რას განიცდიდა ეს ესდეკი გამოქვეყნების დროიდან უარყოფის დრომდე! მაგრამ საჯარო წესი ის მახვილია, რომელიც თვითონვე კურნავს მის მიერ მიყენებულ ჭრილობებს. დაიწყებენ რეზოლუციების ფაბრიკაციას? ფალსიფიკატორებს გამოამჟღავნებენ და თავიდან მოიწყვეტენ. ეს არის და ეს. საომარ ასპარეზზე სერიოზული ბრძოლები არ ხდება უიმისოდ, რომ მის ახლოს ლაზარეთები არ იყოს. მაგრამ «სალაზარეთო» სცენებით რომ შეშინდე ან განერვიულდე — სრულიად მიუტევებელი რამაა. მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია!

ხოლო რაც შეეხება ოპორტუნიზმს, ე. ი. სოციალიზმის ძირითადი მიზნების დავიწყებას, ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო. თქვენ ისე გამოგიდით, რომ ეს ძირითადი მიზნები — რაღაც «ანგელოზური იდეალია», რაც დაკავშირებული არ არის ყოველდღიური საქმისთვის, ამ წუთის ჭირვარამისთვის «ცოდვიან» ბრძოლასთან. ასეთი შეხედულება იმას ნიშნავს, რომ სოციალიზმი გადააქციო მოთაფლულ ფრაზად, მოშაქრულ ლოლიაობად. ყოველ ბრძოლაში ყოველდღიური საჭირბოროტო საქმისათვის უნდა აქსოვდე გ ა ნ უ ყ რ ე ლ კ ა ვ შ ი რ ს ძირითად მიზნებთან. ბრძოლის ისტორიული აზრის მხოლოდ ასეთი გაგება იძლევა შესაძლებლობას მისი გაღრმავებითა და გამწვავებით უკუაგდო ის ცუდი რამ, ის «ვაჟკაცობა», ის «კრივი», რომელიც გარდუვალად იჩენს თავს ყველგან, სადაც არის მასა, ხმაური, ყვირილი, ჭედვა, მაგრამ რომელიც თავისთავად აღიგვება ხოლმე.

თქვენ ლაპარაკობთ პროლეტარიატის აღმზრდელ სოციალისტურ პარტიაზე. ამ ბრძოლაში ხომ ლაპარაკია ს წ ო რ ე დ იმაზე, რომ დავიცვათ პარტიულობის ძირითადი პრინციპები. ყოველი მუშათა წრის წინაშე მწვავე, შეურიგებელი ფორმით ისმება საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივსა და

პირდაპირ პასუხს მოითხოვს, რ ა პოლიტიკა უნდა აწარმოოს **მან** სათათბიროში, როგორ უყურებს **ის** ლეგალურ პარტიას და არალეგალობას, სათათბიროს ფრაქცია მას პ ა რ ტ ი ა ზ ე მაღლა მდგომად მიაჩნია თუ პირიქით. ყოველივე ეს ხომ პარტიული ცხოვრების ანი, ბანი, განია, ეს ხომ პარტიის ყოფნა-არყოფნის საკითხია.

სოციალიზმი მზა სისტემა როდია, რომლითაც გაბედნიერდება კაცობრიობა. სოციალიზმი ეს არის კლასობრივი ბრძოლა ახლანდელი პროლეტარიატისა, რომელსაც დღეს ერთი მიზანი აქვს და ხვალ მეორე. მიზნისაკენ მიისწრაფის თავისი ძირითადი მიზნის მ ი ს ა ღ წ ე ვ ა დ, რომელსაც დღითიდღე უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ა. სოციალიზმი დღეს მიიმართება ქვეყანაში, რომელსაც რუსეთი ეწოდება, თვით შეგნებული მუშების მიერ მუშათა პარტიის მშენებლობის ეტაპის გავლით, მიუხედავად ლიბერალური ინტელიგენციის და «სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენციის» ცდებისა — ჩ ა შ ა ლ ო ნ ეს მშენებლობა.

ლიკვიდატორები ფ უ შ ა ვ ე ნ მუშების მიერ თავიანთი მუშათა პარტიის მშენებლობას — აი «ექვსეულის შვიდეულთან» ბრძოლის აზრი და მნიშვნელობა. მაგრამ ისინი ვერ ჩაშლიან ამ მშენებლობას. ბრძოლა მძიმეა, მაგრამ მუშების გამარჯვება უზრუნველყოფილია. დაე, სუსტნი ან დაშინებულნი შედრკნენ ბრძოლის «უკიდურესობათა» გამო, — ისინი ხვალვე თვითონ დაინახავენ, რომ ამ გზის გაუვლელად ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლებოდა წინ.

დაწერილია 1913 წ.
მარტ-აპრილში

პირველად დაიბეჭდა
1932 წ. 5 მაისს
გაზეთ «პრავდაში» № 123
ხელმოწერა: ბ — ვ.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

თანამედროვე რუსეთი და მუშათა მოძრაობა [6]

საგაზეთო ანგარიში

რამდენიმე დღის წინათ კრაკოვში მოხსენებით გამოვიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ყველაზე გამოჩენილი ბელადთაგანი, ამხანაგი ლენინი. მოგვყავს მოხსენების მოკლე შინაარსი, ამასთან გალიციელ მკითხველთა საყურადღებოდ აღვნიშნავთ, რომ ლენინი ბელადია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ეგრეთწოდებული «ბოლშევიკური», ე. ი. ყველაზე რადიკალური, შეურიგებელი მიმართულებისა.

მომხსენებელი ახასიათებს რუსეთის მუშათა მოძრაობას და აღნიშნავს მის დიდ მნიშვნელობას დასავლეთის ქვეყნებისთვისაც, რადგან ეჭვს გარეშეა, რომ სოციალისტური რევოლუციების პერიოდში იქაც მოხდება ისეთი მოვლენები, როგორსაც რუსეთში ჰქონდა ადგილი. მაგალითისათვის მომხსენებელი აღნიშნავს უეცარ გადასვლას შედარებითი სიწყნარიდან მასობრივ მოძრაობათა წარმოშობაზე. 1895 წელს რუსეთში გაფიცული იყო მხოლოდ 40 ათასი კაცი, ხოლო 1905 წელს მარტო იანვარში გაფიცული იყო 400 ათასი; მთელი წლის განმავლობაში კი ეს ციფრი 3 მილიონამდე გაიზარდა.

რუსეთში ახლანდელი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა რევოლუციის გამოცდილების, ამ დროის კლასობრივი ბრძოლების გამოცდილების შედეგად. ერთმა იაპონელმა რუსეთის რევოლუციას უწოდა «უნიპო მთავრობის დროს მომხდარი

უძლური რევოლუცია». მაგრამ მთავრობამ სავსებით გამოიყენა რევოლუციის გამოცდილება. საკმარისია მოვიგონოთ მთავრობის დამოკიდებულება გლეხებისადმი. თავდაპირველად, I სათათბიროს საარჩევნო კანონის შედგენის დროს, იგი იმედებს ამყარებდა გლეხებზე, როგორც წყნარ, პატრიარქალურ ელემენტზე. მაგრამ როდესაც აღმოჩნდა, რომ მიწისათვის მებრძოლი რუსი გლეხი თავისი ბუნებით, მართალია, სოციალისტი არ არის, როგორც ზოგიერთი უტოპისტი ნაროდნიკი ფიქრობდა, მაგრამ დემოკრატი მაინც არის, — მაშინ მთავრობამ გადატრიალება მოახდინა და შეცვალა საარჩევნო კანონი [7].

ახლანდელი სათათბირო სათამაშო კი არ არის, არამედ მებატონე-მემამულეებთან და ბურჟუაზიის ზედა ფენებთან გაერთიანებული რეაქციული ფენების, მეფის ბიუროკრატიის ხელისუფლების ნამდვილი ორგანოა.

როგორი იყო რუსეთის ლიბერალების როლი? I და II სათათბიროში ლიბერალები ცდილობდნენ დაემშვიდებინათ გლეხი, წარემართათ იგი რევოლუციური გზიდან ეგრეთწოდებული კონსტიტუციური გზისაკენ. მაგრამ, ცხადია, კადეტების წინადადება მემამულეთა მიწების ნაწილის გამოყიდვის შესახებ მხოლოდ ახალი ცდა იყო რუსი გლეხის გაძარცვისა, მოტყუებისა. ეს არ მოხერხდა, უმთავრესად, იმ ტაქტიკის მეოხებით, რომელსაც სოციალ-დემოკრატები აწარმოებდნენ სათათბიროში და მუდამ მარცხნივ ეწეოდნენ გლეხებს.

ოქტომბრის გაფიცვა გარდატეხის მომენტი იყო რუსეთის ლიბერალიზმისთვის. რევოლუციამდე ლიბერალები ამბობდნენ, «რევოლუცია ძალაუფლებად უნდა იქცესო» (სტრუვე); შემდეგ მათ შეიცვალეს კილო, ვითომ რევოლუციის ექსცესების შიშით, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ «ექსცესებს» ახდენს მხოლოდ მთავრობა. ოქტიაბრისტები გამოეყვნენ ლიბერალიზმს და პირდაპირ მთავრობის მხარეზე დადგნენ, მისი ლაქიური მომსახურება იკისრეს. გუჩკოვი, ოქტიაბრისტების ლიდერი, სწორედ მაშინ სწერდა თავად ტრუბეცკოის,

შემდგომი რევოლუციური აფეთქებანი თვით ბურჟუაზიის კეთილდღეობას უქმნიან საფრთხესო.

ასეთია თანამედროვე კონტრრევოლუციის კლასობრივი საფუძველი. უკანონობანი აშკარად ხდება, მთავრობის კლასობრივი სახე გამოაშკარავებულია. რევოლუციური ელემენტების მიმართ უკანონო მოქმედებისათვის მთავრობა ქების სიგელებითა და ორდენებით აჯილდოებს. ასე, მაგალითად, ამასწინათ დეპუტატ ამხ. პეტროვსკის ბინის გაჩხრეკის დროს ის უკანონოდ ჩაკეტეს ოთახში, ხოლო შემდეგ ამის გამო სათათბიროში შეტანილ შეკითხვაზე მინისტრმა განაცხადა, მადლიერი უნდა ვიყოთ პოლიციისა ასეთი გულმოდგინებისთვისაო.

სტოლიპინმა გამოიყენა რევოლუციის დროის კლასობრივი ბრძოლების გამოცდილება და შეუდგა თავისი ყბადაღებული აგრარული პოლიტიკის — გლეხების შეძლებულ წვრილ ბურჟუაზიად და ნახევრადპროლეტარულ ელემენტებად დაყოფის განხორციელებას. ეს ახალი პოლიტიკა მასხარად აგდება იყო კატკოვისა და პობედონოსცევის[8] ძველი «პატრიარქალური ლოზუნგებისა». მაგრამ მთავრობას არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო.

ამრიგად, როცა მთავრობამ ახლანდელი კონტრრევოლუციური სისტემა შემოიღო, იგი ემყარებოდა მემამულეებსა და დამფრთხალ ბურჟუაზიას. მართალია, «გაერთიანებული თავადაზნაურობა»[9] უკვე 1906 წელს ცდილობდა დაეთხოვათ სათათბირო, მაგრამ მაშინ მთავრობა არ ჩქარობდა გადატრიალება მოეხდინა, ელოდებოდა გლეხების მიმართ თავისი აგრარული პოლიტიკის შედეგებს და ცვლილებებს რევოლუციით დამფრთხალი ბურჟუაზიის ფსიქოლოგიაში.

ახლა ამ კონტრრევოლუციურმა სისტემამ ამოსწურა თ ა ვ ი ს ი თ ა ვ ი, ამოსწურა თავისი სოციალური ძალები. გარემოება ისე მოეწყო, რომ თანამედროვე რუსეთში რაიმე რეფორმა შეუძლებელია; სათათბირო წვრილმანებითაა გართული; ხოლო თუ რაიმე გადაწყვეტილება გამოიტანა, სახელ-

მწიფო საბჭო და მეფის კარი აუქმებენ მას ან ისე სცვლიან, რომ ვეღარ იცნობ. რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო-ბ ა ნ ი თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე რ უ ს ე თ შ ი ა რ ა ა რ ს ე-ბ ო ბ ს. აქედან ნათელია კადეტების ტაქტიკის დემაგოგია; მათ სათათბიროში შეაქვთ ყოველგვარ თავისუფლებათა სხვადასხვა «პრინციპული» ხასიათის პროექტები, შეაქვთ სწორედ იმიტომ, რომ იციან, სათათბირო მათ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებს. «მადლობა ღმერთს, კონსტიტუცია გვაქვსო!» — გაიძახოდა მილიუკოვი. მაგრამ რაიმე რეფორმა არსებული წყობილების დროს შეუძლებელია, თუმცა რუსეთის შინაური მდგომარეობა ისე სავალალოა, რომ ცხადად ჩანს მისი ჩამორჩენილობა აზიასთან შედარებითაც კი. ოქტიაბრისტების პრესაც კი წერს, რომ «ასე ცხოვრება აღარ შეიძლებაო».

აქედან ცხადია ამოცანები პროლეტარიატისა, რომელიც ა ხ ა ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს წ ი ნ ა შ ე დგას. სულიერი განწყობილება ძლიერდება. 1910 წელს გაფიცულთა რიცხვი ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით შეადგენდა მხოლოდ 40 ათასს, 1912 წელს კი უკვე 680 ათასს; მათგან 500 ათასი მოდის პოლიტიკურ გაფიცვებზე.

აქედან ნათელია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა. მისმა ტაქტიკამ უნდა განამტკიცოს ორგანიზაცია, პრესა და სხვ.; ეს ანაბანაა დასავლეთის სოციალისტების, უწინარეს ყოვლისა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის უკვე დიდი ხნის წინათ შემუშავებული ტაქტიკისა. მაგრამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უპირველესი ამოცანაა — აღზარდოს მასები დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი-ს ა თ ვ ი ს. ეს ამოცანა დასავლეთში უკვე აღარა დგას, იქ დღის წესრიგში სულ სხვა ამოცანა დგას, ამოცანა ფართო მასების მობილიზაციის — თავმოყრის, განათლების, ორგანიზაციისა კაპიტალისტური წყობილების მოსასპობად.

თუ ყურადღებას გავამახვილებთ რუსეთის მოახლოებული რევოლუციისა და მასში სოციალ-დემოკრატიის ამოცანების საკითხზე, მაშინ გავიგებთ, თუ რაში მდგომარეობს დედაარსი

ეგრეთწოდებულ «ლიკვიდატორებთან» დავისა რუსეთის სოციალ-დემოკრატების ბანაკში. ლიკვიდატორობა სრულიადაც არ არის რუსეთის სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილის გამოგონებული რამ: პირველი ლიკვიდატორები იყვნენ «ნაროდნიკები», რომელთაც ჯერ კიდევ 1906 წელს ჟურნალ «რუსსკოე ბოგატსტვოში»[10] წამოაყენეს ლოზუნგი: ძირს არალეგალობა, ძირს რესპუბლიკა! ლიკვიდატორების სურვილია მოსპონ არალეგალური პარტია და შექმნან ლეგალური. ეს სასაცილოა, მეტადრე, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ «პროგრესისტებმაც» კი (ოქტიაბრისტებისა და კადეტების ნარევი) ვერ გაბედეს ეთხოვათ ლეგალიზაცია. ასეთ პირობებში ლიკვიდატორული ლოზუნგები პირდაპირი გამცემლობაა! რა თქმა უნდა, არალეგალურმა პარტიამ უნდა გამოიყენოს ყველა ლეგალური შესაძლებლობა: პრესა, სათათბირო, დაზღვევის კანონიც კი[11], — მაგრამ მხოლოდ აგიტაციისა და ორგანიზაციის გასაფართოებლად; ხოლო აგიტაციის არსი რევოლუციური უნდა დარჩეს. ს ა ჭ ი რ ო ა ვ ე ბ რ ძ ო ლ ო თ ი ლ უ ზ ი ა ს, თ ი თ ქ ო ს რ უ ს ე თ შ ი ი ყ ო ს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა, დ ა რ ე ფ ო რ მ ი ს ტ უ რ ლ ო ზ უ ნ გ ე ბ ს უ ნ დ ა დ ა ვ უ პ ი რ ი ს პ ი რ ო თ რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს, რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ლ ო ზ უ ნ გ ი!

ასეთი იყო ამხ. ლენინის მოხსენების შინაარსი. ერთ-ერთი დამსწრის შეკითხვაზე, როგორ უყურებთ ნაციონალურ საკითხსაო, მომხსენებელმა უპასუხა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია სავსებით ცნობს თვითეული ერის «თვითგამორკვევის» უფლებას, თავისი ბედის გადაწყვეტის, რუსეთისაგან გამოყოფის უფლებასაც კი, ვინაიდან რუსეთის რევოლუცია, დემოკრატიის საქმე, სრულიადაც არ არის დაკავშირებული (როგორც ეს გერმანიაში იყო) გაერთიანების, ცენტრალიზაციის საქმესთან. რუსეთის დემოკრატიზაციის საკითხი დამოკიდებულია არა ნაციონალურ, არამედ აგრარულ საკითხზეო.

ამასთანავე ამხ. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა სხვადასხვა ეროვნების პროლეტარიატის რევოლუციური არმიის სრული ერთიანობა ქვეყნის სრული დემოკრატიზა-

ციისათვის ბრძოლაშიო. მხოლოდ ამ საფუძველზეა შესაძლებელი ნაციონალური საკითხის გადაჭრა, როგორც ამას ადგილი აქვს ამერიკასა, ბელგიასა და შვეიცარიაშიო. მომხსენებელი ეკამათება რენერის დებულებას ნაციონალურ საკითხში და მკაცრად ილაშქრებს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ლოზუნგის წინააღმდეგ. რუსეთში ზოგიერთები ამტკიცებენ, რუსეთის შემდგომი განვითარება წარიმართება ავსტრიული გზით, დამპალი და ნელი გზითო. მაგრამ ჩვენ უნდა მოვერიდოთ ყოველგვარ ნაციონალურ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიის შიგნით, რაც არარად გადააქცევდა რევოლუციური ბრძოლის დიად ამოცანას; ამ მხრივ ავსტრიის ნაციონალური ბრძოლა გაფრთხილება უნდა იყოს ჩვენთვის [12]. ჩვენთვის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს კავკასიის სოციალ-დემოკრატია, რომელიც პროპაგანდას ეწეოდა ერთ და იმავე დროს ქართულ, სომხურ, თათრულ და რუსულ ენებზე [13].

დაიბეჭდა 1913 წ.
22 აპრილს გაზეთ
«Naprzód»-ში № 92
რუსულ ენაზე პირველად
იბეჭდება

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის მიხედვით
თარგმანი პოლონურიდან

განათლებული დეპუტატები

2 აპრილის საღამოს სხდომაზე ოქტიაბრისტმა ლ. გ. ლიუცმა გაილაშქრა მუშათა დეპუტატების მოთხოვნის წინააღმდეგ — ლენის ამბების შესახებ შეკითხვის განხილვის წინააღმდეგ, და თქვა:

«ორი დღის შემდეგ ლენის ამბების წლისთავია. ცხადია, სოციალ-დემოკრატები ცდილობენ ა ღ ა გ ზ ნ ო ნ მუშების გრძნობები იმისათვის, რომ აამხედრონ ისინი რაიმე ექსცესების მოსახდენად...»

ფრანგული სიტყვა «**bouder**», გადმოცემული რუსულით **«будировать»**, ნიშნავს გაბრაზებას, გაბუტვას. ბ-ნი ლიუცი კი, ალბათ, ამ სიტყვას აწარმოებს სიტყვიდან **«будоражить»**, ან, შესაძლოა, **«возбудить»**. როგორ დააყარეს სიცილი ბატონმა ბურჟუაზიულმა დეპუტატებმა და ბურჟუაზიულმა პრესამ, როდესაც 1 სათათბიროში ერთმა გლეხმა სიტყვა «პრეროგატივი» იხმარა «როგატკის» (დაბრკოლების) აზრით! მაგრამ შეცდომა მით უფრო საპატიებელი იყო, რომ გაბატონებულთა სხვადასხვა «პრეროგატივები» (ე. ი. განსაკუთრებული უფლებები) რუსეთის სინამდვილეში წარმოადგენს როგატკებს, დაბრკოლებას. მაგრამ ბ-ნ ლიუცის განათლებულობას არ «აღუგზნია» მისი განათლებულ მეგობრებისა და მათი პრესის სიცილი.

«პრავდა» № 83
1913 წ. 10 აპრილი
ხელმოწერა: ბ.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

«ვისთვისაა ხელსაყრელი?»

არის ასეთი ლათინური თქმა «**cui prodest**» (კუი პროდესტ), — «ვისთვისაა ხელსაყრელი?». როდესაც ერთბაშად არა ჩანს, რომელი პოლიტიკური თუ სოციალური ჯგუფები, ძალები, ფიგურები იცავენ განსაზღვრულ წინადადებებს, ზომებს და სხვ., ყოველთვის უნდა დაისვას კითხვა: «ვისთვისაა ხელსაყრელი?».

ის კი არ არის საყურადღებო, თუ ვ ი ნ იცავს უშუალოდ განსაზღვრულ პოლიტიკას, — რადგან კაპიტალიზმის თანამედროვე კეთილშობილური სისტემის დროს ყოველგვარ შეხედულებათა დასაცავად ყოველ მდიდარს ყოველთვის შეუძლია «დაიქირაოს» ან იყიდოს, ანდა მიიმხროს, რამდენიც უნდა ადვოკატი, მწერალი, თვით დეპუტატები, პროფესორები, ხუცები და სხვა. ჩვენ ვცხოვრობთ ვაჭრულ ხანაში, როდესაც ბურჟუაზია მოურიდებლად ვაჭრობს პატიოსნებითაც და სინდისითაც. არიან ხოლმე ისეთი რეგვნებიც, რომელნიც მოუაზრებლობის ან ბრმა ჩვეულების გამო იცავენ განსაზღვრულ ბურჟუაზიულ წრეში გაბატონებულ შეხედულებებს.

არა, პოლიტიკაში დიდად საყურადღებო ის კი არ არის, თუ უშუალოდ ვ ი ნ იცავს განსაზღვრულ შეხედულებებს. საყურადღებო ის არის, ვ ი ს თ ვ ი ს ა ა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ეს შეხედულებანი, ეს წინადადებანი, ეს ზომები.

მაგალითად, «ევროპა», სახელმწიფოები, რომელთაც «ცივილიზებულად» მოაქვთ თავი, ახლა გაშმაგებულნი ეცილებიან ერთმანეთს შეიარაღების საქმეში. ათას ჰანგზე, ათასო-

ბით გაზეთში, ათასობით კათედრიდან გაჰყვირიან და ჰგოდებენ პატრიოტიზმის, კულტურის, სამშობლოს, მშვიდობის, პროგრესის შესახებ, — და ყოველივე ეს ხდება იმის გულისთვის, რომ გაამართლონ ათეული და ასეული მილიონობით მანეთის ახალი ხარჯები განადგურების ყოველგვარ იარაღებზე, ზარბაზნებზე, «დრედნოუტებზე» (უახლესი ტიპის ჯავშნოსნები) და სხვ.

ბატონო საზოგადოებავ! — გინდა თქვა «პატრეოტების» ყველა ამ ფრაზის გამო. არ დაუჯეროთ ფრაზებს, უმჯობესია ნახოთ, ვ ი ს თ ვ ი ს ა ა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი!

ამასწინათ ინგლისის განთქმულმა ფირმამ «არმსტრონგ, უიტვერს და კომპ.» გამოაქვეყნა თავისი წლიური ანგარიში. ფირმა უმთავრესად აკეთებს შეიარაღების ყოველგვარ საგნებს. ბალანსის ჯამი შეადგენს 877 ათას გირვანქა სტერლინგს, ე. ი. დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ 8 მ ი ლ ი ო ნ მ ა ნ ე თ ს, თ ვ ი თ ე უ ლ ი ს დივიდენდია 12½ პ რ ო ც ე ნ ტ ი!! დაახლოებით 900 000 მანეთი გადარიცხულია სათადარიგო კაპიტალში და სხვ. და სხვ.

აი ვის ჯიბეში მიჩხრიალებს ის მილიონები და მილიარდები, რასაც მუშებსა და გლეხებს აძრობენ შეიარაღებისათვის. 12 ½ პროცენტი დივიდენდები, — ეს ნიშნავს კაპიტალის გ ა ო რ კ ე ც ე ბ ა ს 8 წლის განმავლობაში. აქ არ შედის დირექტორებისა და სხვების ყოველგვარი ჯილდოები. არმსტრონგი ინგლისში, კრუპი გერმანიაში, კრეზო საფრანგეთში, კოკერილი ბელგიაში და ვინ დათვლის კიდევ რამდენია ყველა «ცივილიზებულ» ქვეყანაში? მერე კიდევ ეს უამრავი მიმწოდებელი?

ა ი ვ ი ს თ ვ ი ს ა ა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი შოვინიზმის გაღვივება, ლაყბობა პატრიოტიზმზე (საზარბაზნე პატრიოტიზმზე), კულტურის დაცვაზე (კულტურის გამანადგურებელი იარაღებით) და სხვ.

«პრავდა» № 84, 1913 წ. 11 აპრილი
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ინგლისში

(ოპორტუნიზმის საბალალო შედეგები)

ინგლისის მუშათა პარტია [14] — რომელიც უნდა განვასხვავოთ ინგლისის ო რ ი ვ ე სოციალისტური პარტიისაგან, ბრიტანეთის სოციალისტური პარტიისა [15] და დამოუკიდებელი მუშათა პარტიისაგან, [16] — წარმოადგენს ყველაზე ოპორტუნისტულ და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის სულით გამსჭვალულ მუშათა ორგანიზაციას.

ინგლისში სრული პოლიტიკური თავისუფლებაა, და სოციალისტური პარტიები სრულიად აშკარად არსებობენ. მაგრამ «მუშათა პარტია» ეს არის მუშათა ორგანიზაციების საპარლამენტო წარმომადგენლობა, ნაწილობრივ არაპოლიტიკური, ნაწილობრივ ლიბერალური, რაღაც ისეთი ნარევი, რაც ჩვენი არალეგალობის მაგინებელ ლიკვიდატორებს სწადიათ.

ინგლისის მუშათა პარტიის ოპორტუნიზმი აიხსნება ინგლისის XIX საუკუნის მეორე ნახევრის განსაკუთრებული ისტორიული პირობებით, როდესაც «მუშათა არისტოკრატია» რამდენადმე მონაწილეობას იღებდა ინგლისის კაპიტალის განსაკუთრებით დიდი მოგების განაწილებაში. ახლა ეს პირობები წარსულს ბარდება. თვით «დამოუკიდებელი მუშათა პარტიაც» კი — ე. ი. ინგლისის ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ი ოპორტუნისტები — ხედავს, რომ «მუშათა პარტია» ჭაობში ჩაეფლო.

«Labour Leader»-ის («მუშების ბელადი») [17], — «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» ორგანოს უკანასკნელ ნომერში

შემდეგ საგულისხმო ცნობას ვკითხულობთ. ინგლისის პარლამენტში იხილავენ საზღვაო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას. სოციალისტებს შეაქვთ წინადადება შ ე მ ც ი რ ე ბ უ ლ იქნას იგი. ბურჟუაზია, რა თქმა უნდა, ხმას ა ძ ლ ე ვ ს მთავრობას და ამ წინადადებას აფლავებს.

მერე «მუშათა პარტიის» დეპუტატები?

15 ხმას აძლევს შემცირებას, ე. ი. მთავრობის წინააღმდეგ; 21 ა რ ე ს წ რ ე ბ ა; 4 ხმას აძლევს მ თ ა ვ რ ო ბ ა ს, ე. ი. შემცირების წინააღმდეგ!!

ამ ოთხეულიდან ორი თავს იმით იმართლებს, რომ მათს საარჩევნო ოლქში მუშებს კარგი ხელფასი აქვთ სწორედ იარაღის მკეთებელ მრეწველობაშიო.

აი თვალსაჩინო მაგალითი სოციალიზმის ღ ა ლ ა ტ ი ს ა, მუშათა საქმის ღ ა ლ ა ტ ი ს ა, სადამდისაც მივყავართ ოპორტუნიზმს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ღალატის დაგმობა სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება ინგლისის სოციალისტებში. სხვების შეცდომათა მაგალითით რუსეთის მუშებმაც უნდა ისწავლონ იმის გაგება, თუ რა დამღუპველია ოპორტუნიზმი და ლიბერალური მუშათა პოლიტიკა.

«პრავდა» № 85, 1913 წ. 12 აპრილი
ხელმოწერა: W.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კულტურული ევროპელები და ველური აზიელები

ცნობილი ინგლისელი სოციალ-დემოკრატი როტშტეინი გერმანიის მუშათა პრესაში გვიამბობს ინგლისის ინდოეთში მომხდარ ერთ საგულისხმო და ტიპიურ შემთხვევას. ეს შემთხვევა ყოველგვარ მსჯელობაზე უკეთ გვიჩვენებს, თუ რატომ ასე სწრაფად იზრდება რევოლუცია ამ ქვეყანაში, სადაც 300 მილიონზე მეტი მცხოვრებია.

ინგლისელმა ჟურნალისტმა არნოლდმა, რომელიც გაზეთს სცემს რანგუნში, ინდოეთის ერთ-ერთი პროვინციის დიდ ქალაქში (200 000-ზე მეტი მცხოვრებია), გაზეთში მოათავსა სტატია სათაურით: «ბრიტანეთის სასამართლოს აბუჩად აგდება». სტატიაში მხილებული იყო ადგილობრივი ინგლისელი მსაჯული ენდრიუ (**Andrew**). ამ სტატიის გამო არნოლდს მიუსაჯეს ერთი წლის პატიმრობა, მაგრამ იგი საქმეს არ მოეშვა და, რადგან ლონდონში გავლენიანი ნაცნობები ჰყავდა, ლონდონის უმაღლეს ინსტანციამდე «მიაღწია». ინდოეთის მთავრობამ თვითონ დაასწრო სასჯელის ოთხ თვემდე «შემცირება», და არნოლდი გაათავისუფლეს.

რის გამო ატყდა ეს ალიაქოთი?

ინგლისის არმიის პოლკოვნიკს მაკ-კორმიკს ჰყავდა საყვარელი, მასთან კი შინამოსამსახურედ იყო 11 წლის ინდოელი გოგო ანა. კულტურული ერის ბრწყინვალე წარმომადგენელმა ანა შეიტყუა ოთახში, გააუპატიურა და ჩაკეტა თავის სახლში.

ამ დროს ანას მამა სიკვდილის პირას იყო და გაგზავნა კაცი ქალიშვილის მოსაყვანად. მაშინ სოფელში გაიგეს მთელი

ისტორია. მოსახლეობა მეტისმეტად აღშფოთდა. პოლიცია იძულებული გახდა გამოეტანა დადგენილება მაკ-კორმიკის დაპატიმრების შესახებ.

მაგრამ მსაჯულმა ენდრიუმ გაათავისუფლა ის საწინდრით, ხოლო შემდეგ, კანონის მთელი რიგი ფრიად უსირცხვილო აბუჩად აგდებით, გაამართლა მაკ-კორმიკი! ბრწყინვალე პოლ-კოვნიკი ამტკიცებდა, როგორც ასეთ შემთხვევაში იქცევა ყველა კეთილშობილური წარმოშობის ვაჟბატონი, ანა მეძავიაო, და ამის დასამტკიცებლად წამოაყენა ხუთი მოწმე. ხოლო მსაჯულმა ენდრიუმ არც კი მოისურვა ანას დედის მიერ დასახელებული რვა მოწმის დაკითხვა!

როდესაც ჟურნალისტ არნოლდს ასამართლებდნენ ცილისწამებისათვის, სასამართლოს თავმჯდომარემ «სერ» («მისმა მაღალკეთილშობილებამ») ფოქსმა არნოლდს ნება არ დართო შეემოწმებინა საქმე მოწმეების ჩვენებათა მიხედვით.

ყველასათვის ცხადია, რომ ამგვარი ისტორია ინდოეთში ათასობით და მილიონობით ხდება. მხოლოდ სრულიად განსაკუთრებულმა პირობებმა მისცა საშუალება «ცილისმწამებელ» არნოლდს (ლონდონელი გავლენიანი ჟურნალისტის შვილს!) თავი დაეღწია საპყრობილისთვის და სააშკარაოზე გამოეტანა ეს საქმე.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ინდოეთის მართვა-გამგეობის სათავეში ინგლისის ლიბერალები თავიანთ «საუკეთესო» ადამიანებს აყენებენ. ამ ცოტა ხნის წინათ ინდოეთში მეფის მოადგილედ, მაკ-კორმიკების, ენდრიუებისა და ფოქსების მეთაურად, იყო ჯონ მორლი (Morley), ცნობილი რადიკალი მწერალი, «ევროპის მეცნიერების ვარსკვლავი», ყოველი ევროპელი და რუსი ლიბერალის თვალში «უპატივცემულესი ადამიანი».

აზიაში უკვე გაიღვიძა «ე ვ რ ო პ უ ლ მ ა» სულმა: აზიის ხალხები დემოკრატიულად შეგნებულნი გახდნენ.

«პრავდა» № 87, 1913 წ. 14 აპრილი
ხელმოწერა: W.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ვაჭრული ანგარიშები

«მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა ყრილობების საბჭო» აერთიანებს ბობოლა-მილიონერებს, ჩვენი მსხვილი მრეწველობის ავან-ჩავანებს. ყრილობების ეს საბჭო სცემს თავის პერიოდულ ორგანოს: «პრომიშლენნოსტ ი ტორგოვლია» [18]. ამ ჟურნალის მძიმე, ღვარჭნილი ენით დაწერილ და უმეტეს ნაწილად უმეცარ სტატიებში იცავენ ჩვენებური კიტ კიტიჩების ინტერესებს.

განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან ისინი საერობო წარმომადგენლობისა და საერობო დაბეგვრის უსამართლობით. სჩაგრავს მემამულე-მებატონე საცოდავ კიტ კიტიჩს, აშკარად სჩაგრავს! აი საგულისხმო ცხრილი მაზრის საერობო კრებების ხმოსანთა შემადგენლობის შესახებ («პრომიშლენნოსტ ი ტორგოვლია», 1913 წ., № 3):

	ხმოსანთა რიცხვი	%
1-ლი საარჩევნო კრებიდან (მემამულე თავადაზნაურნი).....	5 508	53,4
მე-2 საარჩევნო კრებიდან (სავაჭრო-სამრეწველო საწარმოები და სხვ.).....	1 294	12,6
1-ლი და მე-2 საარჩევნო კრებიდან ერთობლივად.....	290	2,8
სასოფლო საზოგადოებათაგან.....	3 216	31,2
34 საერობო გუბერნიაში სულ	10 308	100,0

მართლაც, საერობო წარმომადგენლობის უსამართლობა აშკარაა. დასკვნა აქედან ნათელი და უდავოა: ერობები რუსეთში მთლიანად ხელში აქვთ ჩაგდებული მებატონე-მემამულეებს.

ყოველ გაგებულ ადამიანს ეს საინტერესო მონაცემები მიახვედრებს, თუ რა პირობები იწვევს წარმომადგენლობის ასეთს უთანაბრობას.

მაგრამ, რა თქმა უნდა, სასაცილო იქნებოდა იმის ლოდინი, რომ კიტ კიტიჩებს და მათ დაქირავებულ მჯღაბნელებს შეუძლიათ იფიქრონ საერთო პოლიტიკურ საკითხებზე და დაინტერესდნენ პოლიტიკური ცოდნით. კიტ კიტიჩს მხოლოდ ის აინტერესებს, რომ ის იხდის «ბევრს», ხოლო თავად-აზნაური — «ცოტას». კიტ კიტიჩის მიერ დაქირავებულ მწერალს მოჰყავს საერობო (გაწერილ) გამოსაღებთა ჯამი, რომლებიც შეაქვს 1-ლ საარჩევნო კრებას — 24½ მლნ. მან. 34 საერობო გუბერნიაში; — მეორე საარჩევნო კრებას — 49 მლნ. მან. და სასოფლო საზოგადოებებს — 45½ მლნ. მან.. ამ გამოსაღებთ ის ყოფს ხმოსნების რიცხვზე და ამრიგად არკვევს «ერთი ცენზის ღირებულებას»!! გამოდის, რომ აზნაურის ცენზი «ღირებულა» 4½ ათასი მან., ვაჭრისა — 38 ათასი მან. და გლეხისა — 14 ათასი მან.

აი როგორ მსჯელობენ ვაჭართა დაქირავებული დამცველები: საარჩევნო უფლებას არხეინად უყურებენ, როგორც ყიდვა-გაყიდვის საგანს. თითქოს საერობო გაწერილ გამოსაღებთა გადამხდელები ამით ყ ი დ უ ლ ო ბ ე ნ ხმოსანთა გაგზავნის უფლებას!

მართლაც, საერობო გამოსაღებთა უთანაბრობა, რა თქმა უნდა, აშკარაა. მაგრამ ამ უთანაბრობის მთელი სიმძიმე აწევთ არა მრეწველებს, არამედ გ ლ ე ხ ე ბ ს ა და მუშებს. როცა გლეხები თავიანთ ცუდ, გამოფიტულ, ათასჯერ გადახნულ მიწებზე იხდიან 45½ მლნ. მან., ხოლო მემამულეები — 24½ მლნ. მან., ეს ხომ პირდაპირ იმას ნიშნავს, რომ «გლეხობის-

გან» მიაქვთ ათეული მილიონობით ხ ა რ კ ი საერობო გამოსაღებთა სახით, ყოველივე დანარჩენის გარდა!

კიტ კიტიჩები ამას ვერ ხედავენ. მათ მხოლოდ ის უნდათ, რომ პრივილეგიები ჰქონდეთ არა მარტო აზნაურებს, არამედ — «თანაბრად» — ვაჭრებსაც.

«პრავდა» № 90, 1913 წ. 20 აპრილი
ხელმოწერა: ვ. ფ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ტექნიკის ერთ-ერთი დიდი გამარჯვება

საქვეყნოდ განთქმულმა ინგლისელმა ქიმიკოსმა ვილიამ რამსეიმ (**Ramsay**) აღმოაჩინა ქვანახშირის ფენებიდან გაზის უშუალოდ მიღების წესი. რამსეი უკვე მოლაპარაკებას აწარმოებს ქვანახშირის მაღაროების ერთ მფლობელთან ამ საქმის პრაქტიკულად დაყენების შესახებ.

ამრიგად, თანამედროვე ტექნიკის ერთ-ერთი უდიდესი ამოცანა გადაწყვეტას უახლოვდება. მისი გადაწყვეტა უდიდეს გადატრიალებას მოახდენს.

ამჟამად ქვანახშირში მოქცეული ენერგია რომ გამოიყენონ, ქვანახშირს ეზიდებიან ქვეყნის სხვადასხვა მხარეს და წვავენ უამრავ ცალკეულ საწარმოებსა და სახლებში.

რამსეის აღმოჩენა ნიშნავს გიგანტურ ტექნიკურ გადატრიალებას კაპიტალისტური ქვეყნების წარმოების ამ, თითქმის ყველაზე დიდმნიშვნელოვან, დარგში.

რამსეიმ აღმოაჩინა წესი, რომლითაც უშუალოდ, ქვანახშირის საბადოებში ხდება ამ ქვანახშირის გადაქცევა გაზად ისე, რომ მისი ამოღება მიწის ზედაპირზე არ სჭირდებათ. ასეთივე ხერხი, მხოლოდ ბევრად უფრო მარტივი, იხმარება ზოგჯერ მარილის ამოღების დროსაც: იგი დედამიწის ზედაპირზე პირდაპირ კი არ ამოაქვთ, არამედ ხსნიან წყლით და უკვე მარილწყალი ამოაქვთ მილებით.

რამსეის წესი ქვანახშირის მაღაროებს გაზის გამომმუშავებელ ერთგვარ უზარმაზარ სადესტილაციო აპარატებად აქცევს. გაზი ამოძრავებს გაზის მოტორებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან გამოვიყენოთ ქვანახშირში მოქცეული ენერ-

გიის ორჯერ მეტი წილი, ვიდრე ორთქლის მანქანების დროს იყენებდნენ. გაზის მოტორები თავის მხრივ ენერგიას გარდაქმნიან ელექტრობად, რომელსაც ტექნიკა უკვე ახლაც უდიდეს მანძილზე გადასცემს.

ასეთი ტექნიკური გადატრიალების დროს ელექტრობის დენის ღირებულება შემცირდებოდა ახლანდელი ღირებულების ერთ მეხუთედამდე, შესაძლოა ერთ მეათედამდეც კი. ადამიანთა უდიდესი შრომა, რომელიც ახლა იხარჯება ქვანახშირის ამოღებასა და ზიდვაზე, დაიზოგებოდა. შესაძლებელი გახდებოდა გამოყენება ქვანახშირის ყველაზე ძვირფასი ბუდობებისა, რომელთაც ახლა არ ამუშავებენ. მეტისმეტად შემცირდებოდა სახლების განათებისა და გათბობის ხარჯები.

ეს აღმოჩენა უდიდეს გადატრიალებას გამოიწვევს მრეწველობაში.

მაგრამ თანამედროვე კაპიტალისტურ წყობილებაში ამ გადატრიალების შედეგები მთელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის სრულიად არ იქნება ისეთი, როგორსაც ეს აღმოჩენა გამოიწვევდა სოციალიზმის დროს.

კაპიტალიზმის დროს ქვანახშირის ამოღებაზე დაბანდებულ მილიონობით სამთო მუშათა შრომის «განთავისუფლება» გარდუვალად წარმოშობს მასობრივ უმუშევრობას, სიღატაკის უდიდეს ზრდას, მუშათა მდგომარეობის გაუარესებას. ხოლო ამ დიდი გამოგონებით მიღებულ მოგებას ჩაიჯიბავენ მორგანები, როკფელერები, რიაბუშინსკები, მოროზოვები და მათი ამალა — ადვოკატები, დირექტორები, პროფესორები და კაპიტალის სხვა ლაქიები.

სოციალიზმის დროს რამსეის წესის გამოყენება «გაათავისუფლებს» მილიონობით სამთო მუშათა და სხვათა შრომას და საშუალებას მოგვცემს ერთბაშად შევამციროთ სამუშაო დღე ყველასთვის 8 საათიდან, ვთქვათ, 7 საათამდე, და შეიძლება უფრო ნაკლებამდეც. ყველა ფაბრიკისა და რკინიგზის «ელექტროფიკაცია» შრომის პირობებს უფრო ჰი-

ბიენურს გახდის, მილიონობით მუშებს ააშორებს კვამლს, მტვერსა და ჭუჭყს, დააჩქარებს ჭუჭყიანი საძაგელი სახელოსნოების გარდაქმნას სუფთა, ნათელ, ადამიანის საკადრის ლაბორატორიებად. თვითეული სახლის ელექტრობით განათება და გათბობა მილიონობით «შინაურ მხევალთ» იხსნის ცხოვრების სამი მეოთხედის მყრალ სამზარეულოში გატარების აუცილებლობისაგან.

კაპიტალიზმის ტექნიკა დღითიდღე და უფრო და უფრო **უსწრებს წინ** იმ საზოგადოებრივ პირობებს, რომლებიც მშრომელებს დაქირავებულ მონობას არგუნებენ.

«პრავდა» № 91, 1913 წ. 21 აპრილი
ხელმოწერა: ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ცოტა რამ შედეგებსა და ფაქტებზე

«პრავდის» წლისთავი უნებლიეთ მიმართავს ყოველი შეგნებული მუშის (და, — დავუმატებთ, ყოველი შეგნებული დემოკრატის) აზრს თანამიმდევარი დემოკრატებისა და მარქსისტების ამ გაზეთის მუშაობის შ ე დ ე გ ე ბ ზ ე.

შედეგების საკითხი ბუნებრივად უკავშირდება საკითხს, რუსეთის მოწინავე მუშების მასა მხარს უჭერს თუ არა «პრავდას». ვინაიდან, თუ ბურჟუაზიულ ხელისმომწერთათვის გაზეთს მნიშვნელობა აქვს გასაღების თვალსაზრისით — სულ ერთია, სად საღდება იგი, სულ ერთია, რაზმავს იგი განსაზღვრულ კლასს თუ არა და რომელ კლასს, — მარქსისტისთვის და თანამიმდევარი დემოკრატისთვის გაზეთს მნიშვნელობა აქვს როგორც ნამდვილად მოწინავე კლასთა გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ა დ ა დ ა რ ა ზ მ ვ ი ს ო რ გ ა ნ ო ს.

ჩვენთვის სულ ერთი არ არის, სად და როგორ საღდება ჩვენი გაზეთი. ჩვენთვის ყველაზე საყურადღებოა ვ ი ც ო დ ე თ, ნამდვილად ემსახურება იგი რუსეთის მოწინავე კლასის, ე. ი. მუშათა კლასის განათლებისა და დარაზმვის საქმეს თუ არა.

ეს რომ ვ ი ც ო დ ე თ, საჭიროა მოვძებნოთ ფ ა ქ ტ ე ბ ი, რომლებიც მოგვცემენ პასუხს კითხვაზე.

სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა რამეს სთვლის ფაქტებად. ბურჟუაზიული ჟურნალისტები უსირცხვილოდ სტყუიან და არ მოჰყავთ არც ერთი ზ უ ს ტ ი, ნათელი ფაქტი, რომლის შემოწმება შესაძლებელია.

ბურჟუაზიულ ჟურნალისტებს ბაძავენ ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსები, ლიკვიდატორები. ერთ-ერთი მათგანი, «ვიღაც» კი არა, არამედ თვით თ. დ.[19] წერდა «ლუჩის»[20] 57-ე (143-ე) ნომერში:

...«არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომელსაც სიამაყით ვგრძნობთ (აი რა მგრძნობიერი ადამიანები ყოფილან!) ყოველდღიურ მუშაობაში, რომ ჩვენი გაზეთი («ლუჩ») ნამდვილად არის რუსეთის მოწინავე, შეგნებული მუშების თითქმის ცხრა მეათედის ორგანო».

ეს ხლესტაკოვი თუ ნოზდრევი ღირსია დაცინვისა, და «პრავდა» ასედაც მოიქცა. მაგრამ მარტო დაცინვა არ კმარა. მუშებმა უნდა ისწავლონ თ ვ ი თ ო ნ ვ ე გაერკვნენ ფაქტებში და შეამოწმონ ისინი, რათა ნოზდრევებს არც თავი მოატყუებინონ და არც თავიანთი ნაკლები განვითარებული ამხანაგები.

მაშ, როგორ უნდა მოვნახოთ და შევამოწმოთ ფაქტები? ყველაზე უკეთესი იქნებოდა გაგვეგო, თუ როგორ ვრცელდება «პრავდა» და «ლუჩი» მ უ შ ე ბ შ ი (და არა ლიბერალურ ინტელიგენციაში, რომელიც თითქმის მთლიანად ლიკვიდატორულია). მაგრამ ასეთი ფაქტები არ მოიპოვება.

მოვნახოთ სხვა ფაქტები.

ავიღოთ მონაცემები იმ მ უ შ ა თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი ს შესახებ, რომლებიც თავიანთი ფულადი შენატანებით ნებაყოფლობით ეხმარებიან «პრავდასა» და «ლუჩს». ეს მონაცემები ორივე გაზეთში ი ბ ე ჭ დ ე ბ ა. ეს ფ ა ქ ტ ე ბ ი ა. მათი შემოწმება ყველას შეუძლია, ყველას შეუძლია შეისწავლოს ისინი და გამოააშკარავოს ნოზდრევები, რომლებიც ასე ბევრია ჟურნალისტიკაში.

«პრავდამ» ერთხელ უკვე მოგვცა (იხ. № 80, 1912 წლისა *) ეს ფაქტები ნახევარი წლისა, სახელდობრ 1912 წლის პირველი ნახევრისა, და ვერავინ შესძლო ამ ფაქტების უარყოფა. მოვიყვანოთ ახლა ეს ფაქტები მ თ ე ლ ი 1912 წლისა და 1913 წლის დამდეგისა.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 228 — 233. რ ე დ-

	გაზეთებისთვის მუშათა ჯგუფობრივი შენაგროვების რიცხვი		
წლები	«პრავდისთვის»	«ლუჩისთვის»	მოსკოვის მუშათა გაზეთისთვის[21]
1912 წლის 1-ლი მეოთხედი	108	7	—
» » მე-2 »	396	8	—
» » მე-3 »	81	9	—
» » მე-4 »	35	65	5
1913 წლის 1-ლი »	309	139	129
» » აპრილის 10 დღე	93	28	43
სულ.....	1 022	256	177

ყოველ მკითხველს შეუძლია აიღოს «პრავდა» და «ლუჩი» და შეამოწმოს ეს მონაცემები, და თუ შეცდომებს იპოვის, შეასწოროს ეს გაანგარიშება.

აი ეს მართლაც ფ ა ქ ტ ე ბ ი ა, რომლებიც ზედმეტი არ იქნება განვასხვავოთ ბატონ თ. დ.-ებისა და სხვა «ლუჩისტების» ტრაბახისა და სიცრუისაგან.

რა საუცხოოდ ადასტურებენ ეს ფაქტები «ლუჩის» ნოზდრევისებურ მითითებას 9/10-ზე, არა?

««ლუჩის» მომხრეთა ცხრა მეათედმა, რომელთა შორის უეჭველად და აშკარად ირიცხებიან ბუნდელები და ლატვიელთა «ზედა ფენები», «ლუჩის» ნ ა ხ ე ვ ა რ ზ ე მეტი წ ლ ი ს არსებობის განმავლობაში (1912 წლის მე-4 მეოთხედი და 1913 წლის 1-ლი მეოთხედი პლუს აპრილის ათი დღე) ვერ დარაზმა იმის ნ ა ხ ე ვ ა რ ი ც კ ი, რაც დარაზმა «პრავდამ» მოსკოვის მომავალ გაზეთთან ერთად. განა ეს ნოზდრევის ხერხი არ არის, რომ აშკარა უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა «ცხრა მეათედად» გადააქციოს?

მუშები ყოველი მხრივ გარშემორტყმული არიან ბურჟუაზიული გაზეთების დაუშრეტელი სიცრუით, მათ აუცილებლად უნდა იბრძოლონ სიმართლისათვის, უნდა ისწავლონ სიცრუის გამოცნობა და მისი უკუგდება. მუშათა პარტიის ლიკვიდატორების მცდარი შეხედულებანი მშვიდად უნდა გ ა ვ ა ბ ა თ ი ლ ო თ. მაგრამ ნოზდრევისებური, თავხედური სიცრუე, უტიფრად რომ რყვნის მუშებს, სამარცხვინო ბოძზე

უნდა გავაკრათ და ცრუპენტელები მუშათა წრიდან განვდევნოთ.

მუშებს სურთ მოქმედების ერთიანობა. მუშები მართალი არიან. მუშების ხსნა შეუძლებელია, თუ მოქმედების ერთიანობა არ ექნებათ.

მაგრამ აბა იფიქრეთ, როგორ შეიძლება ერთიანობა იყოს თუ უმცირესობა უმრავლესობას არ დაემორჩილა? ყველასთვის გასაგებია, რომ უამისოდ ერთიანობა შეუძლებელია.

მაშასადამე, ლიკვიდატორები კიდევაც რომ არ იყვნენ პარტიის ლიკვიდატორები, მუშებმა უსათუოდ უნდა იცოდნენ, რომელ შეხედულებებს ემხრობა უმრავლესობა. მუშებმა თუ ეს არ იციან, ისინი ვერ მიაღწევენ მოქმედების ერთიანობას (რადგან ხშირად ერთად უხდებათ მოქმედება როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მუშებს).

მუშები ვერ ააგებენ თავიანთ პარტიას, თუ დაუნდობლად არ შეებრძოლებიან ყოველგვარ სიცრუეს მის მიმართ, ხოლო სიცრუე რომ ამხილო, უნდა მონახო ზუსტი ფაქტები, შეამოწმო ისინი და აწონ-დაწონო იმის მნიშვნელობა, რაც შემოწმებულია.

შეგნებულმა მუშებმა, ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეებმა, უდავო პირველობა მოიპოვეს მუშათა პრესის შექმნაში. მათ მოიპოვეს უდავო, დიდი უმრავლესობა. ისინი აღშფოთებით და ზიზღით შეხვდებიან ყოველგვარ სიცრუეს, რომელსაც ავრცელებენ ამ სერიოზული და დიდმნიშვნელოვანი საკითხის გარშემო.

«პრავდა» № 92, 1913 წ. 23 აპრილი
ხელმოწერა: კ. ვ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

გადასახლება-დასახლების საქმის მნიშვნელობა

ცნობილია, რომ 1905 წლის შემდეგ მთავრობამ, ევროპულ რუსეთში თავის «ახალ» აგრარულ პოლიტიკასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ღონისძიებებს მიმართა ციმბირში გლეხთა გადასახლების განვითარებისათვის. მემამულეები ამ გადასახლებას თვლიდნენ, ასე ვთქვათ, სარქველის ოდნავ ახდად და რუსეთის ცენტრში აგრარულ წინააღმდეგობათა «შენელებად».

მერე რა მივიღეთ შედეგად? წინააღმდეგობათა შენელება თუ გამწვავება უფრო ფართო ასპარეზზე გადატანასთან ერთად?

უწინარეს ყოვლისა მოვიყვანოთ ზოგადი მონაცემები ციმბირში გლეხთა გადასახლების შესახებ.

1861-დან 1885 წლამდე გადასახლდა დაახლოებით 300 000, ე. ი. წლიურად 12 ათასი; 1886-დან 1905 წლამდე გადასახლდა დაახლოებით 1 520 000, ე. ი. წლიურად დაახლოებით 76 ათასი; 1906-დან 1910 წლამდე გადასახლდა დაახლოებით 2 516 075, ე. ი. წლიურად დაახლოებით 500 ათასი.

გადასახლებათა ზრდა კონტრრევოლუციურ ეპოქაში მეტად დიდია. ეჭვს გარეშეა, რუსეთის ცენტრში დ რ ო ე ბ ი თ ამას უნდა მოჰყოლოდა ატმოსფეროს «განტვირთვა».

მაგრამ რ ა დროით და რ ა ფ ა ს ა დ?

ამის პასუხს იძლევა მონაცემები გადასახლებულთა ტალღის დ ა ც ე მ ი ს ა, დაწყებული 1909 წლიდან, და უკან

დაბრუნებულ გადასახლებულთა რიცხვის საოცარი ზ რ დ ი-
ს ა. აი ეს მონაცემები:

წლები	გადასახლებულთა რიცხვი (ათას.)	% უკან დაბრუნებულ გადასახლებულთა
1905	39	10
1906	141	4
1907	427	6
1908	665	6
1909	619	13
1910	316	36
1911*	183	60

ამრიგად, გადასახლებათა ბატონმა ოფიციალურმა წამხა-
ლისებლებმა ატმოსფეროს განტვირთვა შესძლეს სულ რაღაც
ო თ ხ ი წლით (1906 — 1909). შემდეგ უკვე იწყება ა ხ ა ლ ი
კ რ ი ზ ი ს ი. ვინაიდან გადასახლებულთა რიცხვის უდიდესი
დაცემა «უკან დაბრუნებულთა» რიცხვის არაჩვეულებრივ
ზრდასთან ერთად — 36% და 60% — ნიშნავს უეჭველ კრი-
ზისს და ამასთან მეტისმეტად სერიოზულსაც, რომელიც მოი-
ცავს განუზომლად უფრო ფართო ასპარეზს.

უკან დაბრუნებულ გადასახლებულთა ოცდათექვსმეტი და
სამოცი პროცენტი, ეს არის კრიზისის გამწვავება როგორც
რუსეთში, ისე ციმბირში. რუსეთში ბრუნდებიან ღარიბნი,
ყველაზე გაუბედურებულნი, ყველაფრის დაკარგვით გაბო-
როტებულნი. ციმბირში მიწის საკითხი უკიდურესად უნდა
გამწვავებულიყო, რომ შეუძლებელი გამხდარიყო — მიუხე-
დავად მთავრობის ყოველგვარი ღონისძიებისა — ასეული
ათასობით გადასახლებულთა მოწყობა.

ამრიგად, მოყვანილი მონაცემები უდავოდ ცხადყოფენ,
რომ რუსეთში 1905 წლის აგრარულ კრიზისთან ბრძოლამ
გადასახლებათა საშუალებით გამოიწვია კრიზისის ვ ა დ ი ს
გ ა დ ა დ ე ბ ა მხოლოდ სულ მოკლე ხნით და ამასთან სად-
ღეისოდ კრიზისის ასპარეზის შეუდარებლად უფრო მეტი
გამწვავებისა და გაფართოების ფასად.

* 11 თვის მონაცემები.

მთავრობის მშრალი სტატისტიკური მონაცემებიდან ასეთი დასკვნის საინტერესო დადასტურებას წარმოადგენს წიგნი სატყეო უწყებაში 27 წელიწადს ნამსახური ყოფილი მოხელის ბატონ ა. ი. კომაროვისა, რომელიც სპეციალურად გაეცნო გადასახლების საქმეს ციმბირში. «სიმართლე გადასახლება-დასახლების საქმის შესახებ» (სპბ. 1913 წ. ფასი 60 კაპ.).

წიგნი შეიცავს უმთავრესად ფელეტონებს, რომელთაც ავტორი (ფსევდონიმით) წერდა 1908 — 1910 წლების გაზეთ «ნოვაია რუსში» და სადაც «უწყინარი ოხუნჯობის» კილოთი მოთხრობილია ამბავი «ციმბირის მიწებისა და ტყეების ისეთი სახელმწიფოებრივი დატაცებისა ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, განადგურებისა, რომელთან შედარებით ოდესღაც ბაშკირთა მიწების დატაცება არაფრად ჩანს».

ავტორი დგას კეთილგანმზრახველი მოხელის თვალსაზრისზე, რომელიც სასოწარკვეთილებამდე მიუყვანია «გადასახლების აურზაურს» (ასეთი სათაური ჰქონდა მის საგაზეთო ფელეტონებს), დატაცებას, მკვიდრთა და გადმოსახლებულთა გაჩანაგებასა და გაღატაკებას, «იმის სრულ განადგურებას, რასაც რაციონალური სატყეო მეურნეობა ეწოდება», გადმოსახლებულთა უკანვე რუსეთში გაქცევას და «ასი ათასობით» «მოხეტიალე რუსობის» არმიის შექმნას, ბოლოს, მთლად გამოყეყეჩებულობას, უსულგულობას და დაბეზღებათა სისტემას, ხაზინის ქურდობას და მთელი საქმის გაძღოლის უთავბოლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ფელეტონები დაწერილია «უწყინარი ოხუნჯობის» კილოთი, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ს წ ო რ ე დ ა მ ი ტ ო მ, ისინი საერთოდ ძველი, ბატონყმური უფერულობის რაღაც თავბრუდახვევის, გაბრუების, სულის შეხუთვის მეტისმეტად ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ. ახალი, ბურჟუაზიული, აგრარული პოლიტიკიდან, რომელსაც ასეთი საშუალებებით და ხერხებით აწარმოებენ, ასეთი სოციალური ელემენტები ხელმძღვანელობენ და რომელიც ასეთ ვითარებაში ხდება, გარდა კრახისა არაფერი გამოვა.

აი პრემიერ-მინისტრ სტოლიპინის და ბ-ნ მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის მთავარმმართველ კრივოშეინის 1910 წლის აგვისტოს ციმბირში მგზავრობის სურათი. სიტყვა, წარმოთქმული მინისტრის ვაგონის ბაქნიდან სადგურ «ტაიგაში»... «ყველაფერი ჩინებულადაა და ამიტომ ყველაფერი რიგზეა».

«ამ ბუფონადურმა მგზავრობამ, — წერს ძველი მოსამსახურე, — ამ გასეირნებამ, რაც ფრიად წააგავდა ეკატერინე დიდის მგზავრობას ნოვოროსიაში, ამასთან პოტიომკინის როლის შესრულება, პეტერბურგიდან მიღებული ბრძანებით, წილად ხვდა გადასახლება-დასახლების საქმისა და მიწათმოწყობის გამგეს ტომსკის გუბერნიაში ბ. შუმანს... უკანასკნელი ბიძგი მომცა მიმეტოვებინა სამსახური და ეს ბროშურა გამომეცა».

საბრალო კეთილგანმზრახველი მოხელე: ვეღარ აიტანა!

აი სურათი გადასახლების აურზაურისა გადასახლების ტალღის უდიდესი აღმავლობის მომენტში.

«ნაკვეთები მოუმზადებელია, მისადგომი გზები არ გაუყვანიათ, გადასახლებულთა პუნქტები ჯერ კიდევ შენდება... დაიწყო თვითნებური დასახლება გადასახლებულთა მიერ შერჩეულ ტყის ნაკვეთებზე, დატაცება საღალო ადგილებისა, სათადარიგო ნაკვეთებისა, რომელნიც ოდესღაც განკუთვნილი იყო თავადაზნაურთა მიწათმფლობელობის დასანერგად ციმბირში და სხვ., ხოლო შემდეგ, რა თქმა უნდა, დაიწყო თვითნებურად დასახლებულთა გასახლება, რასაც თან ახლდა მთელი რიგი დამაღონებელი და ხშირად უწყალო სცენები, რომელთა აწერა ზედმეტი იქნებოდა». გადასახლების საქმის მოხელენი იძულებული ხდებიან «დააქუცმაცონ თითქმის წინა დღით მოწყობილი სახაზინო სატყეო ნაკვეთები». აძლევდნენ მცირე ნაჭრებად, აძლევდნენ რაც კი პირველად მოხვდებოდათ თვალში, — ოღონდ მოეთავსებინათ, ოღონდ თავიდან მოეცილებინათ ათეულობით გატანჯული, ილაჯგაწყვეტილი ადამიანები, რომლებიც ატუზულან გადასახლებულთა პუნქტში, საათობით დგანან გადასახლების სამმართველოს დერეფანში, გუნდ-გუნდად მიძვრებიან, და არც კი იციან რად, საგუბერნიო სამმართველოში და საერთოდ არ ასვენებენ არც ერთ დაწესებულებას».

იფლანგება და ტყუილ-უბრალოდ იღუპება «მრავალი ასეული მილიონი მანეთი». «თავისთავად გებადება აზრად ერთ-ერთი დასკვნა — წერს ავტორი — სახელდობრ ის, რომ

აუცილებელია გადასახლების საქმე გადაეცეს ციმბირის მომავალ ერობას». რუსეთის გულუბრყვილო «პატიოსანი» მოხელეს წარმოუდგენია, თითქოს ერობის შემოღებით... შესაძლებელი იყოს ასეთი უიმედო საქმის გამოკეთება.

აი სურათი სატყეო მეურნეობისა: გადასახლებულებს, რომელთაც «მოულოდნელად კარს მოადგათ ბედნიერება», ტყის გაყიდვის ნება დართეს; 300 დესეტინა საუკუნოვანი საშენი ტყე გაყიდეს 17 მანეთის კვალობაზე დესეტინა. ერთი დესეტინა საუკუნოვანი საშენი ტყე, ციმბირის ფასებითაც კი, ღირს, სულ ცოტა, 200 მანეთი. კიდევ ერთი სურათი: გადასახლებულებმა მოიჯარადრე ჟოგოლევს მიჰყიდეს 25 000 განძელი 4 კაპ. ცალი. ცალის მოჭრაში ის იხდის 5 კაპ., გამოტანაში 25 კაპ., ადგილზე მიტანაში გემით 10 კაპ., ხოლო ხაზინიდან ღებულობს 80 კაპ. ერთ ცალ განძელში... აი პირველადი დაგროვების ეპოქის ოქტიაბრისტული კაპიტალიზმი, რომელიც ბეჯითად ეგუება პურიშკევიჩებსა და რუსეთის სინამდვილის პურიშკევიჩობას!

აი მიწათმოწყობის სურათების გრძელი გალერეა. მინუსინსკის მაზრა — «ციმბირის იტალიაა». მინუსინსკელმა მკვიდრმა მიიღო თვითეულმა 4 დესეტინა და «შეიცნო საკუთრების წმიდათა წმიდა უფლებანი». მას ჩამოერთვა ათი ათასობით დესეტინა საუკეთესო მიწა, რომელიც მის სარგებლობაში იყო.

«უკანასკნელ ხანებში, სახელმწიფო მეურნეობის საერთო დაყენების წყალობით, ამ იტალიის ფრიად ხშირი სტუმარი გახდა, ოფიციალურ ენაზე რომ ვთქვათ, «მოუსავლობა»»...

...«ენისეის მაზრაში არის ცნობილი ობ-ენისეის არხი, რომელმაც მთელი რიგი წლების მანძილზე არხეინად შთანთქა ხაზინის მრავალი მილიონი მანეთი, მაგრამ ამით ტვირთთა გადასაზიდად წესიერი სახე მაინც არ მიუღია, რადგან იგი სწორედ იმ ადგილას გათხარეს, სადაც არ უნდა გაეთხარათ»...

«ყურინსკის საგადასახლებო ნაკვეთი... შექმნილია ალტაის მარილსახდელი ქარხნის სხვა ტომელი მუშების მიწებიდან. და თუ მიწის ჩამორთმევის შემდეგ სხვა ტომელთა ბედი მწარე გახდა, ახალდასახლებულნი მთლად ხახამშრალნი დარჩნენ სასმელი წყალი სავსებით უვარგისი აღ-

ჩოჩნდა. ჭების ამოთხრითაც არაფერი გამოვიდა. მაშინ გადასახლების სამმართველომ დაიწყო მიწის ბურღვა, მაგრამ წყალი კიდეკ უფრო მლაშე აღმოჩნდა. ამჟამად დასახლებულთ წყალი მოაქვთ მდინარე ენისეიდან, რომელიც 7 — 8 ვერსით არის დაშორებული სოფლიდან, ასე რომ «ყველაფერი რიგზეა»»...

...მეტად ძვირფასი ფიქვნარი პირწმინდად დახრა ფიქვის აბრეშუმმქსოვმა. როდესაც დაზიანება შეამჩნიეს, სატყეოს უფროსი შეუდგა ქ ა ღ ა ლ დ ი ს წ ე რ ა ს კრედიტის ასიგნობის შესახებ. ვიდრე პიტერთან მიწერ-მოწერა და კავშირის გაბმა ხდებოდა. ტყე დაიღუპა... «მთელი ეგრეთწოდებული ტყეთამოწყობა — წერს ძველი მეტყევე — ამაო აღმოჩნდა».

მოხელეთა სფეროებში კი დაბეზღებათა საშუალებით თავიდან იშორებენ ცოტად თუ ბევრად პატიოსან ელემენტებს (გვ. 118), და «უმაღლესი ხელისუფალნი», 35 წლის ნამსახურევ მეტყევეებს, როცა ისინი სიმართლის თქმას ბედავენ, სიტყვას აწყვეტინებენ ყვირილით: «ჩუმად!» (გვ. 121). «უხამსობისა და ხეპრეობის პერიოდიაო» — აღშფოთებით ამბობს კეთილი ბ-ნი კომაროვი, რომელსაც ჰგონია ეს პერიოდი იწყება «კარგი» უფროსის ცუდი უფროსით შეცვლის გამო.

თავის მიერ დახატული სურათები ავტორმა შეაჯამა სიტყვებით:

«...თუ ყველაფერ ჩემს ნათქვამს ანეგდოტური სახე აქვს, ეს მაინც სინამდვილიდან აღებული ანეგდოტებია, რომლებსაც ჩვენ შეგვაჩვია რუსეთის, უკაცრავად პასუხია, კონსტიტუციურმა ცხოვრებამ; და განა რუსეთის მთელი დღევანდელი სინამდვილე მთლიანი და მასთან საკმაოდ საზიზღარი ანეგდოტი არ არის».

უკან დაბრუნებულ გადასახლებულთა შესახებ ბ-ნი კომაროვი დასცინის ვინმე «მამაცი» მედიკის მტკიცებას, თითქოს მათი რაოდენობა 6 პროცენტს არ აღემატებოდეს. ამ საკითხზე ჩვენ ზემოთ ზუსტი ციფრები გვაქვს მოყვანილი.

«სხვისი რა მოგახსენოთ, — წერს ბ-ნი კომაროვი, — და რუსეთის ჰემამულეებს კი ეს (უკან დაბრუნებულ გადასახლებულთა რიცხვი) ძალიან, ძალიან აინტერესებთ. და ეს გასაგებიცაა: ბრუნდება ისეთი ყაიდის ელემენტი, რომელმაც მომავალში საშინელი როლი უნდა შეასრულოს. ბრუნ-

დება არა ის, ვინც მთელ თავის სიცოცხლეში მოჯამაგირედ იყო და უკვე გადაეჩვია იმას, რაც მას, როგორც ზღაპრულ ანთეოსს, არაჩვეულებრივ, გიგანტურ ძალას აძლევდა. ბრუნდება ყოფილი მეურნე, ის, ვინც ვერასდროს ვერ წარმოიდგენდა, რომ ის და მიწა ცალ-ცალკე იარსებებდნენ. და ეს ადამიანი, სამართლიანად გამსჭვალული საშინელი შეურაცხყოფით იმის გამო, რომ ის ვერ მოაწყეს, რომ ის მხოლოდ გაიჩანაგეს და ყოფილი მეურნიდან, მხვნელ-მთესველიდან არა მარტო ის, არამედ მთელი მისი ოჯახის შემადგენლობა გადააქციეს წყალწაღებულ ადამიანებად — ეს ადამიანი ფრიად საშიშია ყოველი სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის, როგორიც უნდა იყოს იგი. და საუკეთესო, 1905 წლის შემდეგ თვალახილული, ადამიანები ამას ითვალისწინებენ».

1910 წლის გაზაფხულზე ავტორმა ევროპულ რუსეთში ინახულა თავადაზნაურობის წინამძღოლი, მეტად კონსერვატიული რწმენის ადამიანი, რომელიც ავტორის პატივისცემითა და ნდობით სარგებლობდა.

«ოჰ, ვითვალისწინებთ და მერე როგორ ვითვალისწინებთ, — მომიგო მან: სოფლებიდან ქალაქში ტყუილად კი არ გადმოვხვეწილვართ. გლეხი მხეცივით გამოიყურება. ახალგაზრდობა თითქმის მთლად ხულიგნურია, აქ კიდევ თქვენს ციმბირიდან ესენი ბრუნდებიან, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვს.

განსაკუთრებით მაშინ მივუხვდი უსაყვარლეს პეტრე თედორეს-ძეს, — განაგრძობს დიდად კეთილი ბ-ნი კომაროვი, — როდესაც ჩემთან, იმათ შორის, ვინც მოდიოდნენ ამბის საკითხავად «ციმბირის მიწის შესახებ», მოვიდა ჩემი სიყრმის უკვე დავიწყებული ერთ-ერთი მეგობარი, რომელთანაც ერთად ოდესღაც ვთამაშობდი კოჭაობას, გოჭობას, შემდეგ კი მუშტი-კრივსაც ვმართავდით. ახლა კი ჩემს წინაშე იყო არა ჩემი თანამებრძოლი მუშტ-კრივში, არამედ დარბაისელი გლეხი ნიჩაბივით გაბრტყელებული შეჭადარავებული წვერით და სანახევროდ მელოტი. გავაბით საუბარი, მოვიგონეთ წარსული, და მე ლაპარაკი ჩამოვაგდე 1905 წელზე. უნდა ითქვას, რომ ჩვენი მაზრა ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, რომელთაც ამ ეპოქაში განსაკუთრებით ანათებდა მემამულეთა კარმიდამოს წითელი დაფიონი და სადაც ყველაზე მეტად ანადგურებდნენ თავადაზნაურთა ადგილმამულებს; ამიტომ ჩემი მხრივ სავსებით ბუნებრივი იყო საყვედური ჩემი მეგობრის მიმართ, გამოთქმული, რამდენადაც მახსოვს, დაახლოებით ასეთი ფორმით:

— ეშმაკმა ნუ იცის თქვენი თავი, რა ჩაიდინეთ აქ 1905 წელს! შეუდარებლად უფრო კარგად შეიძლებოდა მოწყობილიყავით...

როცა ამას ვამბობდი, მე, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ მქონდა ეხედველობაში ბატონ ესდეკებისა და ესერების მიწის საკითხის თეორია, რომელიც ყველასთვის, ვინც ოდნავ მაინც იცნობს პოლიტიკურ ეკონომიას, სრულიად მიუღებელია, და პასუხად მივიღე:

— მართალი ხარ... სწორადა თქვი... ასე არ უნდა მოვქცეულიყავით.

— ჰო და ასეა, — დამამშვიდებლად ვუთხარი მე, გახარებულმა, რომ გავუგეთ ერთმანეთს.

— მართალია, მართალი... დიდი შეცდომა ჩავიდინეთ... არავინ არ უნდა გაგვეშვა...

— ესე იგი როგორ?

— ისე, რომ, მაშასადამე, პირწმინდად... ყველანი ერთნაირად...

და ამასთანავე ალერსიანი, მოღიმარი სახე... სიმპათიური ნაოჭები — ნათელ, კეთილ, ბავშვურად, გულუბრყვილოდ მოღიმარ თვალებთან...

მაგრამ აშკარად აღვიარებ, რომ ცივმა ურუანტელმა გამიარა ზურგზე და, ალბათ, თმები შემერხა თავზე: თუ ეს გულკეთილნი ასეთნი არიან, რას უნდა მოველოდეთ იმ დაბრუნებულთაგან, რომლებმაც თავიანთი მიწა გაყიდეს და სამუდამოდ გაუბედურდნენ?!.

ოჰ, ეს «მთელი იმედების დამყარება ძლიერებზე», რუსეთს რომ მიუძღვნეს განსვენებულმა პრემიერმა და ბატონმა ოქტიაბრისტებმა: მან დროთა განმავლობაში შეიძლება სინამდვილის ბევრი საშინელება დაგვატეხოს თავს გადასახლების უთავბოლობასთან დაკავშირებით» (გვ. 75).

ჩვენც სწორედ ალერსიან, გულკეთილ, გულუბრყვილო, დარბაისელ და მელოტ გლეხთან მშვიდობიანად განწყობილი ფრიად კეთილი ინტელიგენტის ამ საუბარზე შევჩერდებით.

«პრავდა» №№ 96 და 99;
1913 წ. 27 აპრილი და 1 მაისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ვეხელები და ნაციონალიზმი

(ბიბლიოგრაფიული შენიშვნა)

მოსაწყენი ჟურნალია «რუსსკაია მისლ» [22]. მხოლოდ ერთი რამაა საინტერესო ამ ჟურნალში. აქ წერენ ლიბერალი-«ვ ე ხ ე ლ ე ბ ი», თანამშრომლები და მომხრეები ცნობილი რენეგატული წიგნისა «ვეხი» [23], სადაც თავისუფლების გუშინდელ მომხრეები ლაფსა და ტალახს ასხამდნენ მ ა ს ე ბ ი ს ბ რ ძ ო ლ ა ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, ამასთან მუშათა და გლეხთა დემოკრატიული მასები წარმოდგენილი ჰყავდათ ჯოგად, რომელსაც წინ მიუძღვის «ინტელიგენცია», — ეს ყველა შავრაზმელის გაცვეთილი ხერხია.

რუსეთის ლიბერალური «განათლებული საზოგადოების» შებრუნება რევოლუციის წინააღმდეგ, დემოკრატიის წინააღმდეგ, შემთხვევითი კი არა, არამედ გარდუვალი მოვლენა არის 1905 წლის შემდეგ. ბურჟუაზიას შეეშინდა მუშების დამოუკიდებლობისა და გლეხების გამოღვიძებისა. ბურჟუაზიამ, მეტადრე ყველაზე მდიდარმა, ექსპლოატატორის მდგომარეობის შესანარჩუნებლად გადაწყვიტა: უმჯობესია რეაქცია, ვიდრე რევოლუციაო.

ფულის ქისის ამ ანგარებიანმა კლასობრივმა ინტერესებმა წარმოშვეს სწორედ ფართო და ღრმა კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ-

ციური მიმდინარეობა ლიბერალიზმში, დემოკრატიის საწინააღმდეგო მიმდინარეობა, ყოველგვარი იმპერიალიზმის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, და ყოველგვარი ბნელეთის მოციქულობის დასაცავად.

შეგნებულ მუშებს ვერ გააკვირვებს ლიბერალების ეს განდგომა, რენეგატობა, ვინაიდან მუშები მაინცდამაინც კარგი აზრისა ლიბერალებზე არასდროს არ ყოფილან. მაგრამ სასარგებლოა თვალყური ვადევნოთ იმას, თუ რას ქადაგებენ რენეგატი ლიბერალები, რაიდეებისამარა სურთ მათ ებრძოლონ საერთოდ დემოკრატიას, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიას.

«რუსეთის ინტელიგენტური საზოგადოება — წერს «რუსსკაია მისლში» ბ-ნი იზგოევი — დარწმუნებული იყო, ხოლო მისი მასა ახლაც დარწმუნებულია, რომ ევროპის სინამდვილის ძირითადი საკითხია პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ სოციალიზმისათვის...»

ბ-ნი იზგოევი ამ აზრს უწოდებს «წინასწარ აკვიატებულსა და უმართებულოს» და აღნიშნავს, თუ როგორ იქმნება და იზრდება გერმანიის პოლონელებში, ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის პოლონელების ბრძოლაში გერმანელებთან ახალი საშუალო წოდება, «დემოკრატიული საშუალო კლასი».

როცა იზგოევი «ინტელიგენტებზე» ლაპარაკობს, მას სინამდვილეში მხედველობაში ჰყავს სოციალისტები და დემოკრატები. ლიბერალს არ მოსწონს, რომ ძირითად საკითხად თვლიან პროლეტარიატის ბრძოლას ბურჟუაზიასთან. ლიბერალები ცდილობენ გააღვივონ და გაბერონ ნაციონალური ბრძოლა, რათა ამით ყურადღება აარიდონ დემოკრატიისა და სოციალიზმის სერიოზულ საკითხებს.

სინამდვილეში «ევროპის ცხოვრების საკითხთა» შორის სოციალიზმს პირველი ადგილი უკავია, ხოლო ნაციონალურ ბრძოლას — მე-9, ამასთან ეს ბრძოლა მით უფრო სუსტი და უწყინარია, რაც უფრო თანამიმდევრად არის გატარებული დემოკრატიზმი. სასაცილოც კია, რომ პროლეტარიატის ბრძო-

ლა სოციალიზმისათვის, მსოფლიო მოვლენა, შევადაროთ ალ-მოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი დაჩაგრული ერის ბრძოლას მისი მჩაგვრელი რეაქციული ბურჟუაზიის წინააღმდეგ (ამასთან პ ო ლ ო ნ ე თ ი ს ბურჟუაზია აქ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში სიამოვნებით უერთდება გ ე რ მ ა ნ ი ი ს ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ).

«პროსვეშჩენიე» № 4,
1913 წ. აპრილი
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

ლიბერალები და კავშირების თავისუფლება

სამთამადნო ყრილობამ მხარი დაუჭირა კავშირების თავისუფლებას. ლიბერალური ბურჟუაზიის ერთ-ერთი დიდი გაზეთი «კიევსკაია მისლ»[24] ამის გამო წერს:

«ყრილობის უდიდესი დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან აღიარა მუშების უფლება შეკავშირებისა, მხარი დაუჭირა მუშების კოალიციის თავისუფლების მოთხოვნას.

მას აქეთ, რაც 1908 — 1909 წლების შესვენების შემდეგ რუსეთში განახლდა მუშათა მოძრაობა და მას თავს დაატყდა გაძლიერებული და გახშირებული რეპრესიები, კოალიციის თავისუფლების მოთხოვნა სულ უფრო და უფრო იქცევა მუშათა კლასის მ ა ს ე ბ ი ს მოთხოვნად. მაგრამ აქამდე კოალიციის თავისუფლების მოთხოვნა მხოლოდ მუშათა წრეში იყო აღიარებული დღის ლოზუნგად. ლიბერალური საზოგადოება სრულიად გულგრილად ეკიდებოდა მას. ამჟამად ყრილობა, რომელიც ბლომად შეიცავს მრეწველებს, იძულებულია მორალურად მხარი დაუჭიროს მუშათა კლასის მოთხოვნებს».

აქ ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ლიბერალები თავიანთი ვავრცელებული, მოსაგებიანი პრესით სარგებლობენ იმისათვის, რომ შ ე კ ვ ე ც ო ნ მუშათა კლასის მოთხოვნები და ლოზუნგები. ლიბერალებმა მშვენივრად იციან, რომ მუშების «დ ღ ი ს ლ ო ზ უ ნ გ ე ბ ი» სხვაა, შეუკვეცელია. ლიბერალები თ ა ვ ს ა ხ ვ ე ვ ე ნ მუშებს თავიანთ ლიბერალურ შეზღუდულობას და მას მუშათა «მასების» აზრად ასაღებენ: ძველი, აცვეთილი ხერხია — გადააბრალონ ვითომ განუვითარებელ მასებს იმის პასუხისმგებლობა, რომ ლიბერალურ ბურჟუაზიას არ სურს ანგარიში გაუწიოს პოლიტიკური პრივილეგიე-

ბისა და პოლიტიკური უუფლებობის ძირითად სათავეებს! ეს არის იმ «ლიბერალურ» მებატონეთა ხერხი, რომელნიც ნახევარი საუკუნის წინათ ამბობდნენ, მემამულეთა პრივილეგიების ს რ უ ლ ი გაუქმება «მასების» «დღის ლოზუნგი» ა რ არისო.

დამახასიათებელია, რომ ლიბერალები თვითონვე ააშკარავებენ თავს. ყრილობის მოთხოვნა სრული არ არისო, — ამბობენ ისინი. რატომ? აი მოისმინეთ:

«როცა ყრილობა მხარს უჭერდა კოალიციის უფლებას, მას არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ამ უფლების განხორციელება აუცილებლად გულისხმობს მთელი რიგი უფლებრივი პირობების არსებობას. პროფესიულ ორგანიზაციებს თავისუფლებას ვერ მიანიჭებ იქ, სადაც არ არის კავშირებისა და საზოგადოებების საერთო თავისუფლება. მუშათა პრესის თავისუფლება მხოლოდ იქ შეიძლება არსებობდეს, სადაც თავისუფალია ლიბერალური და დემოკრატიული პრესა. კოალიციის თავისუფლებას ვერ განახორციელებ იქ, სადაც ბატონობს ადმინისტრაციული მოსაზრება და სადაც მოსახლეობის მასები ჩამოშორებული არიან საკანონმდებლო დაწესებულებათა არჩევნებში მონაწილეობას. თუ ყრილობას სურდა თანამიმდევარი დარჩენილიყო, სწორედ ამ პირობების განხორციელების საჭიროებაზე უნდა მიეთითებინა».

ამრიგად, ყრილობა არ არის თანამიმდევარი. რაში მდგომარეობს მისი არათანამიმდევრობა? იმაში, რომ მან არ ჩამოთვალა რ ა მ დ ე ნ ი მ ე რეფორმა — უპასუხებს ლიბერალი.

თქვენ, ბატონებო, თქვენ კი განა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ჩამოთვალეთ?

რა თქმა უნდა, არა! თქვენ პირისპირ მიადექით იმ «პ ი რ ო ბ ე ბ ს», რომლებიც «ნავარაუდევია» ცალკეულ თავისუფლებათა «გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს», მაგრამ ეს პირობები არ აღგინიშნავთ. თქვენ შეჩერდით მათ წინაშე. თქვენ ახლა გეშინიათ «მუშათა კლასის მასების» ლოზუნგისა: არა რ ე ფ ო რ მ ე ბ ი, არამედ «რ ე ფ ო რ მ ა». არსებითად თქვენ იცავთ სტრუვეს თვალსაზრისს. სტრუვე ამ ლოზუნგს აღებდა გაზაფხულზე 17 ოქტომბრის წ ი ნ, მაგრამ აღარ

ილებს ახლა, რადგან მთელმა ბურჟუაზიამ, ყველაზე ლიბერალურმაც კი, პირი იბრუნა მარჯვნივ.

ასეთივე მდგომარეობა იყო ბატონყმობის გადავარდნის დროს. თანამიმდევარი დემოკრატები დობროლუბოვი და ჩერნიშევსკი სამართლიანად დასცინოდნენ ლიბერალებს რ ე ფ ო რ მ ი ზ მ ი ს გამო, რომელსაც მუდამ სარჩულად ედო მისწრაფება მასების აქტიურობის შეკვეცისა და მემამულეთა პრივილეგიების ნაწილის შენარჩუნებისა, როგორც, მაგალითად, გამოყიდვა და სხვა.

ამაოდ ცდილობენ ლიბერალები თავიანთი რეფორმიზმის უბადრუკობა თავს მოახვიონ «მუშათა კლასის მასებს»!

«პრავდა» № 101,
1913 წ. 4 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

«ლუჩისა» და «პრავდის» მკითხველთა საყურადღებოდ

როგორც «ლუჩში», ისე «პრავდაში» არა ერთხელ დაბეჭდილა მუშების მიმართვა, სადაც ისინი ამ გაზეთების რედაქციებისგან მოითხოვდნენ მშვიდად და ნათლად განემარტათ უთანხმოების დედაარსი. ეს იყო კანონიერი და ბუნებრივი მოთხოვნა, და ღირს გავერკვეთ, როგორ შეასრულა ეს ორივე რედაქციამ.

სათაურით «სადავო საკითხები» * «პრავდაში» გამოქვეყნდა საჭირო განმარტებითი სტატიები. როგორია მათი შინაარსი? ეს სტატიები გადმოსცემენ და განმარტავენ პარტიის გადაწყვეტილებებს სადავო საკითხებზე. ამ სტატიების ავტორის პირით «პრავდა» აცხადებს: იმის გადასაწყვეტად, თუ ვინ არის მართალი ამ დავაში, სად არის ჭეშმარიტება — უნდა ვეძიოთ ფაქტები და დოკუმენტები პარტიის ისტორიაში, უნდა უკუვაგდოთ ყოველივე პირადი, ზედმეტი და გავიგოთ დავის საზოგადოებრივი ფესვები. საქმე, — ამბობს «პრავდა» ლიკვიდატორებთან დავის შესახებ, — «ცალკეულ პირთა ბოროტი ნება კი არ არის, არამედ მუშათა მოძრაობის ისტორიული ვითარებაა» **. ვისაც სურს სერიოზულად გაერკვეს დავაში, უნდა გაისარჯოს და გაიგოს ეს ისტორიული ვითარება.

«საჭიროა გავიგოთ, — ამბობს «პრავდა», — როგორია დაქსაქსულობისა და რღვევის კლასობრივი წარმოშობა,

* იხ. ეს ტომი, გვ. 159 — 170. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 168 — 169. რ ე დ.

არაპროლეტარული წრის რა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ინტერესები კვებავენ შფოთს პროლეტარიატის მეგობრებში» * .

ეს არის საკითხის სერიოზული დაყენება. ის პირდაპირ შეესაბამება მუშების მოთხოვნას — დაეხმარონ მათ «პრავდისა» და «ლუჩის» სერიოზული დავის გარკვევაში. ასეთ გზას თუ დაადგებიან, მუშები გაეცნობიან პარტიული ცხოვრების ფაქტებს, შეეჩვევიან გაარჩიონ ამ დავაში სწორი და პრინციპული — წვრილმანისა და შემთხვევითისაგან, მონახავენ დაქსაქსულობის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ფესვებს.

შესაძლოა, მუშა, როცა გაეცნობა ფაქტებს, გადაიკითხავს დოკუმენტებს და სხვ., ბოლოს და ბოლოს არც კი დაეთანხმოს «პრავდას» — ეს უკვე მის საკუთარ შეხედულებათა და მისი გამოცდილების საქმეა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თუ ის «პრავდის» მიერ ნაჩვენები გზით წავა, ბევრ რამეს ისწავლის და გაერკვევა მთელ ამ დავაში.

ასე უპასუხებს «პრავდა» მუშებს მოთხოვნაზე — გააცნონ მათ არსებული უთანხმოებანი. მერე როგორ იქცევა «ლუჩი»?

«პრავდაში» «სადავო საკითხებზე» სტატიების ბეჭდვის დროს «ლუჩში» იბეჭდება დიდი ფელეტონი იმავე თემაზე. მასში არც ერთი ფ ა ქ ტ ი არ არის მოყვანილი, ავტორი არც კი ფიქრობს დავის რაიმე საზოგადოებრივ შინაარსზე, მას არც ერთი დოკუმენტი არ მოჰყავს მკითხველის საყურადღებოდ.

მთელი ეს უზარმაზარი ფელეტონი, გაჭიმული ორ ნომერში, სავსეა ჭორითა და პირადი ხასიათის გადაკრული სიტყვებით. აქ მუშა-მკითხველს აცნობებენ ერთი მარქსისტის «გულფიცხობას» და «მომხიბვლელ ენამახვილობას», მეორის «ზეადამიანურ» ზნეს, მესამის «ცინიზმს». მთელი დავა ახსნილია «პირადი ანგარიშებით», «ბუზღუნით პირველობისათვის», პარტიაში «ძალაუფლებისათვის ბრძოლით». ხოლო ჩუმად ავრცელებენ ოფიციალური პრესის შესაფერის ხმებს,

რომ ყველაფერში დამნაშავენი არიან ვიღაც «რევოლუციის ოსტატები», რომელთაც ეშინიათ გავლენის დაკარგვისა, თუ საქმეში ფართო მუშათა მასები ჩაებმებიანო.

თავი გამოუტენონ მკითხველებს ჭორით, კინკლაობით, პირადი ამბებით და ამ გზით გაექცნენ საკუთარი თვალსაზრისის განმარტებას — ასეთია ავტორისა და მისი ნაწარმოების მომთავსებელი გაზეთის მიზანი. მაგრამ ეს რომ უბრალო ჭორი იყოს — დიდი უბედურება არ იქნებოდა. ეს არის გაბოროტებული რენეგატის ჭორი — აი რაშია საქმე. წაიკითხეთ, რასა წერს ის მეორე ფელეტონის დასაწყისში «პროვოცირებულ და პროვოკაციის გამომწვევ გამოსვლებზე», «პარტიაში მასებისადმი ცინიკურად განწყობილ ზეადამიანთა დიქტატურაზე», იმაზე, თუ როგორ ლანძღავს ის 1905 წლის თავდადებულ მუშაკებს, უწოდებს რა მათ «რევოლუციის ოსტატებს», რომელნიც ვითომ ისეთ რამეებს სჩადიოდნენ, რაც «შეუწყნარებელია რომელიმე ოდნავ კულტურულ წრეში». ეს ხომ «ზემშჩინიდან» [25], «ვეხიდან» არის ამოღებული!!..

და ყოველივე ეს იწერება არა «ნოვოე ვრემიაში» [26], არამედ გაზეთში, რომელსაც თავი მოაქვს მუშათა გაზეთად, ყოველივე ეს პასუხია მუშების მოთხოვნისა — სერიოზულად გაგვიმარტეთ თქვენი თვალსაზრისიო! და ყოველივე ამის შემდეგ «ლუჩი» ბედავს პროტესტი განაცხადოს პოლემიკის მკაცრი ფორმების წინააღმდეგ და «პრავდის» შესარცხვენად წესიერების ნიმუშად მოგვაჩვენოს თავი.

ჩვენ ფრიად დაჟინებით ვურჩევთ იმ მუშებს, რომელთაც ჯერ კიდევ სწამთ, რომ, «პრავდისაგან» განსხვავებით, «ლუჩი» არის გაზეთი, რომელიც იცავს გაერთიანებას და შინაური კინკლაობის შეწყვეტას, წაიკითხონ აღნიშნული ფელეტონი და შეადარონ ეგი იმას, თუ როგორაა განხილული «პრავდაში» იგივე საკითხები.

«პრავდა» № 102,
1913 წ. 5 მაისი
ხელმოწერა: «პ რ ა ვ დ ი ს ა»

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

იოსებ დიცგენის გარდაცვალების ოცდახუთი წლის თავისათვის

ოცდახუთი წლის წინათ, 1888 წელს, გარდაიცვალა მუშა-დაბალი იოსებ დიცგენი, გერმანიის ერთ-ერთი გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი მწერალი-ფილოსოფოსი.

იოსებ დიცგენს ეკუთვნის თხზულებანი (რომელთა უმეტესი ნაწილი თარგმნილია რუსულ ენაზედაც): «ადამიანის გონებრივი მუშაობის დედაარსი» (გამოქვეყნდა 1869 წელს); «სოციალისტის ექსკურსები შემეცნების თეორიის სფეროში», «ფილოსოფიის აკვიზიტი» და სხვა. დიცგენისა და მისი ადგილის ყველაზე სწორი შეფასება ფილოსოფიისა და მუშათა მოძრაობის ისტორიაში მოგვცა მარქსმა ჯერ კიდევ 1868 წლის 5 დეკემბერს კუგელმანისადმი მიწერილ წერილში:

«უკვე დიდი ხანია, — სწერდა მარქსი, — რაც დიცგენმა გამომიგზავნა ნაწყვეტი ხელნაწერისა «აზროვნების უნარის» შესახებ, რომელიც, მიუხედავად ცნებათა ზოგიერთი აღრევისა და ფრიად ხშირი განმეორებისა, მრავალ შესანიშნავ და, როგორც მუშის დამოუკიდებელი აზროვნების პროდუქტი, განსაცვიფრებელ აზრს შეიცავს» [27].

აი დიცგენის მნიშვნელობა: ის არის მუშა, რომელიც დამოუკიდებლად მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე, ე. ი. მარქსის ფილოსოფიამდე. მუშა დიცგენის დასახასიათებლად უაღრესად საგულისხმოა ის გარემოება, რომ იგი არ ფლიდა თავს სკოლის ფუძემდებლობა.

იოსებ დიცგენი მარქსზე, როგორც მიმართულების მეთაურზე, ლაპარაკობდა ჯერ კიდევ 1873 წელს, როცა ცოტა ვინმეს თუ ესმოდა მარქსი. ი. დიცგენი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მარქსსა და ენგელსს «ჰქონდათ საჭირო ფილოსოფიური სკოლა». და 1886 წელს, ენგელსის «ანტი-დიურინგის», მარქსიზმის ერთ-ერთი მთავარი ფილოსოფიური ნაწარმოების, გამოსვლის დიდი ხნის შემდეგ, დიცგენი მარქსისა და ენგელსის შესახებ წერდა, როგორც მიმართულების «აღიარებულ ფუძემდებლებზე».

ეს მხედველობაში უნდა გვქონდეს, რათა სათანადოდ შევაფასოთ ბურჟუაზიული ფილოსოფიის, ე. ი. იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის (მათ შორის «მახიზმისაც») ყოველი ჯურის თანამიმდევარნი, რომელნიც ცდილობენ ხელი ჩასჭიდონ სწორედ «ზოგიერთ აღრევას» ი. დიცგენის ნაწერებში. ი. დიცგენი თვითონ დასცინებდა და უკუაგდებდა ასეთ თაყვანისმცემლებს.

შეგნებული რომ გახდნენ, მუშები უნდა დაეწაფონ ი. დიცგენის ნაწარმოებთა კითხვას, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ, რომ ის მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას ყოველთვის სწორად როდი გადმოსცემს, რომ ფილოსოფიის შესწავლა მხოლოდ მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებებით შეიძლება.

ი. დიცგენი წერდა ისეთ ეპოქაში, როცა გამარტივებული, გაუხამსებული მატერიალიზმი ყველაზე ფართოდ იყო გავრცელებული. ამიტომ ი. დიცგენი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მატერიალიზმის ისტორიულ ცვლილებებს, მატერიალიზმის დიალექტიკურ ხასიათს, ესე იგი იმის საჭიროებას, რომ იდგე განვითარების თვალსაზრისზე, გესმოდეს ადამიანის ყოველი შემეცნების შეფარდებულობა, გესმოდეს სამყაროს ყოველგვარი მოვლენის ყოველმხრივი ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, მიიყვანო საბუნებისმეტყველო მატერიალიზმი-ისტორიაზე მატერიალისტური შეხედულების გამომუშავებამდე.

ი. დიცგენი დაჟინებით იცავს ადამიანის შემეცნების შეფარდებულობას, რის გამო ხშირად იბნევა, უმართებულოდ უთმობს იდეალიზმსა და აგნოსტიციზმს. იდეალიზმი ფილოსოფიაში ეს არის მეტ-ნაკლები ყალთაბანდური დაცვა ხუცობისა, მოძღვრებისა, რომელიც რწმენას მეცნიერებაზე მაღლა აყენებს ან მეცნიერების გვერდით აყენებს, ანდა საერთოდ ადგილს უთმობს რწმენას. აგნოსტიციზმი (ბერძნული სიტყვებიდან «ა» — ა რ ა და «გნოსის» — ც ო დ ნ ა) ეს არის მერყეობა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შუა, ე. ი. პრაქტიკულად — მერყეობა მატერიალისტურ მეცნიერებასა და ხუცობას შუა. აგნოსტიკოსებს მიეკუთვნებიან კანტის მომხრეები (კანტიანელები), ჰიუმის მომხრეები (პოზიტივისტები, რეალისტები და სხვ.) და თანამედროვე «მახისტები». ამიტომაც ცდილობდნენ ბურჟუაზიის ზოგიერთი უაღრესად რეაქციული ფილოსოფოსები, აშკარა ბნელეთის მოციქულები და ხუცობის პირდაპირი დამცველები, «გამოეყენებინათ» ი. დიცგენის შეცდომები.

მაგრამ, საერთოდ და მთლიანად, ი. დიცგენი მატერიალისტია. დიცგენი მტერია ხუცობისა და აგნოსტიციზმისა. «წინანდელ მატერიალისტებთანო — წერდა ი. დიცგენი — საერთო მხოლოდ ისა გვაქვს, რომ მატერია აღვიარეთ იდეის წანამძღვრად ანუ პირველსაფუძვლად». ეს «მხოლოდ» არის სწორედ ფილოსოფიური მატერიალიზმის ა რ ს ი.

«შემეცნების მატერიალისტური თეორია —. წერდა ი. დიცგენი — აღიარებაა იმისა, რომ ადამიანის შემეცნების ორგანო რაიმე მეტაფიზიკურ სინათლეს კი არ გამოჰყოფს, არამედ ეს არის ბუნების ნაწილი, რომელიც ასახავს ბუნების სხვა ნაწილებს». ეს არის სწორედ მარად მოძრავი და ცვალებადი მატერიის ადამიანის შემეცნებაში ა ს ა ხ ვ ი ს მატერიალისტური თეორია, — თეორია, რომელიც მთელი ოფიციალური, პროფესორული ფილოსოფიის სიძულვილსა და რწოლას, ცილისწამებასა და გაყალბებას იწვევს. და ნამდვილი რევოლუციონერის რა ღრმა გზნებით ამათრახებდა და

სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ი. დიცგენი «ხუცობის დიპლომიან ლაქიებს» — პროფესორ-იდეალისტებს, რეალისტებსა და სხვ.! «ყველა პარტიიდან» — სამართლიანად წერდა ი. დიცგენი ფილოსოფიური «პარტიების», ე. ი. მატერიალიზმისა და იდეალიზმის შესახებ — «ყველაზე უმსგავსი შუათანა პარტიაა».

ამ «უმსგავს პარტიას» მიეკუთვნება «ლუჩის» რედაქცია და ბ-ნი ს. სემკოვსკი («ლუჩ» № 92). რედაქციამ «პატარა შენიშვნა» დაურთო: «არ ვიზიარებთ ზოგადფილოსოფიურ თვალსაზრისს», მაგრამ დიცგენის განმარტება «სწორი და ნათელია».

ეს აშკარა ტყუილია. ბ-მა სემკოვსკიმ საშინლად გააყალბა და დაამახინჯა ი. დიცგენი, მისი ნაწარმოებებიდან ამოგლიჯა სწორედ «აღრევა» და არაფერი თქვა იმაზე, თუ როგორ შეაფასა მარქსმა დიცგენი. ამავე დროს პლეხანოვმაც, მარქსიზმის ფილოსოფიის ყველაზე მცოდნე სოციალისტმა, და ევროპის საუკეთესო მარქსისტებმაც სავსებით აღიარეს ეს შეფასება.

ბ-ნი სემკოვსკი აყალბებს ფილოსოფიურ მატერიალიზმსაც და დიცგენსაც, როცა სისულელეს ჩმახავს როგორც «ერთი ან ორი სამყაროს» საკითხზე (თითქოს ეს იყოს «ძირითადი საკითხი»! ცოტა ისწავლეთ, მეგობარო, წაიკითხეთ თუნდაც ენგელსის «ლუდვიგ ფეიერბახი») — ისე სამყაროსა და მოვლენების საკითხზე (დიცგენს თითქოს ნამდვილი სამყარო მხოლოდ მოვლენებამდე დაჰყავდა; ეს ხუცებისა და პროფესორების ცილისწამებაა ი. დიცგენის მიმართ).

მაგრამ ბ-ნ სემკოვსკის ყველა სიყალბეს ვინ ჩამოთვლის. მარქსიზმით დაინტერესებულმა მუშებმა უნდა იცოდნენ, რომ «ლუჩის» რედაქცია ეს არის მარქსიზმის ლიკვიდატორთა კავშირი. ერთნი ლიკვიდაციას უკეთებენ არალეგალობას, ე. ი. პროლეტარიატის პარტიას (მაევსკი, სედოვი, თ. დ. და სხვ.), მეორენი — პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას (პოტრესოვი, კოლცოვი და სხვ.), მესამენი — მარქსის

ფილოსოფიურ მატერიალიზმს (ბ-ნი სემკოვსკი და კომპანია), მეოთხენი — პროლეტარული სოციალიზმის ინტერნაციონალიზმს (ბუნდელები კოსოვსკი, მედემი და სხვანი — «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» მომხრეები), მეხუთენი — მარქსის ეკონომიურ თეორიას (ბ-ნი მასლოვი თავისი რენტის თეორიით და «ახალი» სოციოლოგიით) და სხვა და ასე შემდეგ.

მარქსიზმის აშკარა დამახინჯება ბ-ნ სემკოვსკისა და მისი მფარველი რედაქციის მხრივ მხოლოდ ერთ-ერთი უაღრესად მკაფიო ნიმუშია ამ ლიტერატორ «ლიკვიდატორთა კავშირის» «მოღვაწეობისა».

«პრავდა» № 102,
1913 წ. 5 მაისი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ბურჟუაზია და მშვიდობა

ფრანგი და გერმანელი პარლამენტარიების წინა კვირას, 11 მაისს (28 აპრილს ძვ. სტ.) ბერნში შემდგარი კონფერენცია კვლავ მოგვაგონებს ევროპის ბურჟუაზიის დამოკიდებულებას ომისა და მშვიდობისადმი.

კონფერენციის მოწვევის თაოსნობა ეკუთვნის ელზას-ლორენისა და შვეიცარიის წარმომადგენლებს. საფრანგეთისა და გერმანიის სოციალისტი დეპუტატები ერთსულოვნად გამოცხადდნენ. ბურჟუაზიულ დეპუტატთაგან გამოცხადდნენ საკმაოდ ბევრი ფრანგი რადიკალი და «რადიკალ-სოციალისტი» (წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, რომელნიც ნამდვილად სრულიად უცხონი, უმეტეს ნაწილად კი მტერნი არიან სოციალიზმისა). გერმანიიდან გამოცხადდა ბურჟუაზიული დეპუტატების უმნიშვნელო რაოდენობა. ნაციონალ-ლიბერალები (შუა ადგილი უჭირავთ კადეტებსა და ოქტიაბრისტებს შორის, რაღაც ჩვენებური «პროგრესისტების» მსგავსნი) დასჯერდნენ მისალმების გამოგზავნას. «ცენტრის» პარტიიდან (გერმანიის კათოლიკური წვრილბურჟუაზიული პარტია, რომელსაც დემოკრატიზმის თამაში უყვარს) ო რ ი დეპუტატი დაჰპირდა ჩამოვალთო,... მაგრამ... ამჯობინეს არ გამოცხადებულიყვნენ!

თვალსაჩინო სოციალისტებიდან კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვეს გრეილიხმა, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიის ვეტერანმა, და ავგუსტ ბებელმა.

ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ჰგმობს შოვინიზმს, აცხადებს, რომ ორივე ხალხის, ფრანგი და გერმანელი ხალხის დიდ უმრავლესობას სურს მშვიდობა და მოითხოვს

საერთაშორისო კონფლიქტების გადაწყვეტას სამედიატორო სასამართლოების მეშვეობით.

ეჭვს გარეშეა, რომ კონფერენცია დიდმნიშვნელოვანი დემონსტრაცია იყო მშვიდობის სასარგებლოდ. მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა დავნდობოდით გულკეთილ სიტყვებს იმ მცირეოდენი ბურჟუაზიული დეპუტატებისას, რომელნიც კონფერენციას დაესწრნენ და რეზოლუციას მისცეს ხმა. ამ ბურჟუაზიულ დეპუტატებს რომ სერიოზულად სდომოდათ მშვიდობა, პირდაპირ უნდა დ ა ე გ მ ო თ შეიარაღებათა გადიდება გერმანიაში (გერმანიის არმია დიდდება 140 000 კაცით; მთავრობის ამ ახალ წინადადებას უსათუოდ მიიღებენ გერმანიის ბურჟუაზიული პარტიები მიუხედავად სოციალისტების სასტიკი პროტესტისა), — ასევე უნდა დაეგმოთ საფრანგეთის მთავრობის წინადადებაც სამხედრო სამსახურის ვადის სამ წლამდე გახანგრძლივების შესახებ.

ბატონმა ბურჟუაზიულმა დეპუტატებმა ეს ვერ გაბედეს. მათ კიდევ უფრო ნაკლები უნარი შესწევდათ გამოსულიყვნენ და გადაჭრით მოეთხოვათ მილიციის შემოღება, ესე იგი მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით. ამ ღონისძიებას, რაც არ სცილდება ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებს, ერთადერთს შეუძლია ჯარის დემოკრატიზაცია და რამდენადმე ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ წინ წაწევა უნდ ერთი ნაბიჯით მშვიდობის საკითხისა.

არა. ევროპის ბურჟუაზია აკანკალებული ხელით ებღაუჭება სამხედრო წრეს და რეაქციას მუშათა მოძრაობის შიშის ამო. წვრილბურჟუაზიული დემოკრატების უმნიშვნელო რაოდენობას არ ძალუძს მტკიცედ სურდეს მშვიდობა და უფრო ნაკლებ შეუძლია უზრუნველყოს იგი. ძალაუფლება ბანკების, კარტელებისა და საერთოდ მსხვილი კაპიტალის ხელშია. მშვიდობის ერთადერთი თავდებია — მუშათა კლასის ორგანიზებული, შეგნებული მოძრაობა.

«პრავდა» № 103,
1913 წ. 7 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

აზიის გამოღვიძება

განა დიდი ხანია, რაც ჩინეთი ერთ წერტილზე სრულიად და საუკუნოდ გაყინულ ქვეყანათა ნიმუშად ითვლებოდა? ახლა კი ჩინეთში დუღს პოლიტიკური ცხოვრება, გაცხოველებით ჩქეფს საზოგადოებრივი მოძრაობა და დემოკრატიული აღმავლობა. რუსეთის 1905 წლის მოძრაობის შემდეგ დემოკრატიული რევოლუცია მოედო მთელ აზიას — თურქეთს, სპარსეთს, ჩინეთს. იზრდება მღელვარება ინგლისის ინდოეთში.

საინტერესო ის არის, რომ რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა მოედო ახლა ჰოლანდიის ინდოეთსაც, კუნძულ იავასაც და ჰოლანდიის სხვა კოლონიებსაც, რომელთა მოსახლეობა 40 მილიონს აღწევს.

ამ დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაბმული არიან, ჯერ-ერთი, იავის ხალხის მასები, რომლებშიც თავი იჩინა ნაციონალისტურმა მოძრაობამ ისლამის დროშით. მეორე, კაპიტალიზმმა შექმნა ადგილობრივი ინტელიგენცია აკლიმატიზებულ ევროპელთაგან, რომლებიც იცავენ ჰოლანდიის ინდოეთის დამოუკიდებლობას. მესამე, იავისა და სხვა კუნძულების საკმაოდ მნიშვნელოვანმა ჩინურმა მოსახლეობამ რევოლუციური მოძრაობა გადმოიტანა თავის სამშობლოდან.

ჰოლანდიელი მარქსისტი ვან-რავესტეინი ასწერს ჰოლანდიის ინდოეთის ამ გამოღვიძებას და აღნიშნავს, რომ ჰოლანდიის მთავრობის ძველისძველი დესპოტიზმი და თვითნებობა

ახლა გაბედულ წინააღმდეგობას და პროტესტს იწვევს მკვიდრი მოსახლეობის მასებშიო.

იწყება წინარევოლუციური პერიოდის ჩვეულებრივი მოვლენები: განსაცვიფრებელი სისწრაფით ჩნდებიან კავშირები და პარტიები. მთავრობა კრძალავს მათ, რითაც მეტ გაბოროტებას და მოძრაობის ახალ ზრდას იწვევს. ასე, მაგალითად, ამასწინათ ჰოლანდიის მთავრობამ დაშალა «ინდოეთის პარტია» იმის გამო, რომ მის წესდებასა და პროგრამაში ლაპარაკი იყო დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების შესახებ. ჰოლანდიელმა «დერჟიმორდებმა» (უნდა ითქვას, რომ მათ კვერს უკრავენ კლერიკალებიც და ლიბერალებიც: დალპა ევროპის ლიბერალიზმი!) ეს მიიჩნიეს ჰოლანდიისაგან გამოყოფის დანაშაულებრივ მისწრაფებად! დაშლილი პარტია, რა თქმა უნდა, აღსდგა სხვა სახელწოდებით.

იავაზე წარმოიშვა ადგილობრივ მკვიდრთა ნაციონალური კავშირი, რომელშიც გაერთიანებულია უკვე 80 000 წევრი და რომელიც აწყობს მასობრივ მიტინგებს. დემოკრატიული მოძრაობა შეუკავებლად იზრდება.

მსოფლიო კაპიტალიზმმა და რუსეთის 1905 წლის მოძრაობამ საბოლოოდ გამოაღვიძეს აზია. ასეული მილიონობით დაბეჩავებულმა, შუასაუკუნებრივი ჩამორჩენილობით გაველურებულმა მოსახლეობამ გამოიღვიძა ახალი ცხოვრებისათვის და ადამიანის საანბანო უფლებათათვის, დემოკრატიისათვის საბრძოლველად.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მუშები ინტერესით და აღფრთოვანებით ადევნებენ თვალყურს ყოველგვარი სახის მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ ძლიერ ზრდას ქვეყნიერების ყველა ნაწილში. მუშათა მოძრაობის ძალით შეშინებული ევროპის ბურჟუაზია რეაქციის, სამხედრო წრის, ხუცობისა და ბნელეთის მოციქულობის კალთას შეეფარა. მაგრამ ამ, ცოცხლად დამპალი, ბურჟუაზიის შემცვლელად მოდის ევროპის ქვეყნების პროლეტარიატი და

ახალგაზრდა, თავისი ძალების რწმენითა და მასებისადმი ნდობით აღსავსე აზიური ქვეყნების დემოკრატია.

აზიის გამოღვიძება და ევროპის მოწინავე პროლეტარიატის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლის დაწყება მომასწავებელია მსოფლიო ისტორიის ახალი ხანის დადგომისა XX საუკუნის დამდეგს.

•

«პრავდა» № 103,
1913 წ. 7 მაისი
ხელმოწერა: ფ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სეპარატისტები რუსეთში და სეპარატისტები ავსტრიაში

რუსეთში მარქსიზმის სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის ებრაელთა წარმომადგენლები, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მათი ნაწილი, ეგრეთწოდებული ბუნდელები, აწარმოებენ სეპარატიზმის, ესე იგი გამოყოფის თუ გამოცალკევების (მთელისაგან) პოლიტიკას. მუშათა მოძრაობის ისტორიიდან ვიცით, რომ 1903 წელს ბუნდელები გამოვიდნენ პარტიიდან, როცა მუშათა კლასის პარტიის უმრავლესობამ უარყო მათი მოთხოვნა — ეცნოთ ისინი ებრაელი პროლეტარიატის «ერთადერთ» წარმომადგენლად.

პარტიიდან ამ გამოსვლამ დიდი ზიანი მიაყენა მუშათა მოძრაობას სეპარატიზმის გამოვლინებით. სინამდვილეში ებრაელი მუშები შედიოდნენ და შედიან პარტიაში ყველგან ბუნდის დაუკითხავად. ბუნდელების ცალკეულ (გამოცალკევებულ, სეპარატიულ) ორგანიზაციებთან ერთად მუდამ არსებობდა მუშების საერთო ორგანიზაციები — ებრაელების, რუსების, პოლონელების, ლიტველების, ლატვიელებისა და სხვ.

შემდეგ, რუსეთის მარქსიზმის ისტორიიდან ვიცით, რომ, როდესაც ბუნდი 1906 წელს კვლავ დაბრუნდა პარტიაში, პარტიამ პირობად წამოაყენა სეპარატიზმის შეწყვეტა, ე. ი. ადგილებზე ყველა დაყოველგვარი ეროვნების მუშა-მარქსისტთა გაერთიანება. ეს პირობა არ შეასრულეს ბუნდელებმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირობა სპეციალუ-

რ ა დ ი ქ ნ ა დადასტურებული პარტიის საგანგებო გადაწყვეტილებით 1908 წლის დეკემბერში[29].

ასეთია რუსეთში ბუნდის სეპარატიზმის მოკლე ისტორია. სამწუხაროდ, ამ ისტორიას კარგად არ იცნობენ მუშები და ნაკლებ უფიქრდებიან მას. პრაქტიკულად ამ ისტორიას ახლოს გაეცნენ პოლონეთის, ლიტვის (განსაკუთრებით ვილნოში 1907 წ.), ლატვიის (იმავე დროს რიგაში), სამხრეთ რუსეთისა და დასავლეთ რუსეთის მარქსისტები. სხვათა შორის ცნობილია, რომ კავკასიელი მარქსისტები, და მათ შორის ყ ვ ე ლ ა კავკასიელი მენშევიკი, სულ უკანასკნელ დრომდე თავის ქვეყანაში ადგილობრივ ატარებდნენ ყველა ეროვნების მუშათა ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს და შეერთებასაც კი და გმობდნენ ბუნდელების სეპარატიზმს.

აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ გამოჩენილმა ბუნდელმა მედემმა ცნობილ წიგნში «ნაციონალური მოძრაობის ფორმები» (სპბ. 1910) აღიარა, რომ ბუნდელები არასდროს არ ახორციელებდნენ ერთიანობას ადგილებზე, ე. ი. ყოველთვის სეპარატისტები იყვნენო.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში სეპარატიზმის საკითხი განსაკუთრებით მკაფიოდ დადგა 1910 წელს კოპენჰაგენის კონგრესზე. სეპარატისტებად გამოვიდნენ ავსტრიის ჩ ე ხ ე ბ ი, რომელთაც დაარღვიეს ჩეხი და გერმანელი მუშების ერთიანობა. კოპენჰაგენის საერთაშორისო კონგრესმა ე რ თ ხ მ ა დ დაგმო სეპარატიზმი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩეხები დღემდეც სეპარატისტებად დარჩნენ.

ჩეხი სეპარატისტები განმარტოებულად გრძნობდნენ თავს პროლეტარულ ინტერნაციონალში და დიდხანს და უშედეგოდ ეძებდნენ თანამოაზრეებს. მხოლოდ ახლა იპოვეს ისინი — ბ უ ნ დ ე ლ ე ბ ი ს ა დ ა ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი ს ს ა ხ ი თ. სეპარატისტების გერმანული პატარა ჟურნალის «ჩეხოსლაველი სოციალ-დემოკრატის» მე-3 ნომერში (პრაღა, 1913 წ. 15 აპრილი) მოთავსებულია სტატია სათაურით «შემობრუნება უკეთესობისაკენ». ეს ვითომ «უკეთესობისაკენ» (ნამდ-

ვილად კი სეპარატიზმისაკენ) «შემობრუნება» ჩეხმა. სეპარატისტებმა დაინახეს... სად გგონიათ, მკითხველო?.. ლიკვიდატორთა «ნაშა ზარიაში»[29], ბუნდელ ვ. კოსოვსკის სტატიაში!

როგორც იქნა ჩეხი სეპარატისტები მარტონი აღარ არიან პროლეტარულ ინტერნაციონალში! გასაგებია, რომ ისინი სიხარულით ებღაუჭებიან ლიკვიდატორებსაც კი, ბუნდელებსაც კი. მაგრამ რუსეთის ყველა შეგნებული მუშა ყურადღებით უნდა ჩაუფიქრდეს ამ ფაქტს: ინტერნაციონალის მიერ ერთხმად დაგმობილი ჩეხი სეპარატისტები კალთაში აფრინდებიან ლიკვიდატორებსა და ბუნდელებს.

მუშათა მოძრაობის ინტერესებსა და ამოცანებს შეეფერება ყველა ეროვნების ის სრული ერთიანობა*(ადგილებზე, თავიდან ბოლომდე), რომელიც ასე დიდხანს და ასეთი წარმატებით ხორციელდებოდა კავკასიაში.

«პრავდა» № 104,
1913 წ. 8 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კიდევ გადასახლება-დასახლების საქმის შესახებ

«პრავდის» * მე-300 ნომერში მე მოვიყვანე მთავარი მონაცემები რუსეთში გადასახლება-დასახლების საქმის მიმდინარეობის შესახებ. ეს მონაცემები თავდებოდა 1911 წლით და ისიც არასრული წლით (11 თვისა). ახლა «რეჩში» ბ-ნ კაუფმანს ამას წინათ გამოქვეყნებული ოფიციალური შეჯამებიდან მოჰყავს მონაცემები მთელი 1911 და 1912 წლებისა.

თურმე, გადასახლებულთა რიცხვი გაზრდილა, მაგრამ უმნიშვნელოდ: 190 ათასიდან (1911 წ.) 196,5 ათასამდე 1912 წ.. სოფლის საზოგადოების მოსიარულე წარმომადგენელთა რიცხვი კი ძლიერ გაიზარდა: 36 ათასიდან (1911 წ.) 58 ათასამდე (1912 წ.).

ამ მოვლენის ახსნა კიდევ უფრო ღრმად ააშკარავებს ჩვენს წინაშე ახალი აგრარული პოლიტიკის კრახს. დღემდე გადასახლებულთა მთელი რიცხვის $^3/_4$-დან $^4/_5$-მდე მიდიოდა მალოროსიისა და შუა შავნიადაგიანი გუბერნიებიდან. ეს არის რუსეთის ის ცენტრი, სადაც ყველაზე ძლიერია ბატონყმობის ნაშთები, სადაც ყველაზე დაბალია ხელფასი და სადაც გლეხთა მასებს განსაკუთრებით უჭირთ ცხოვრება.

ამ ცენტრის — რუსეთის «გულის» გაჩანაგებული, გაღატაკებული, დამშეული მასები მიაწყდნენ გადასახლებას (1907 — 1909 წლები) და, ბოლოს, მოგვცეს უკან დაბრუნე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 55. რ ე დ.

ბულ გადასახლებულთა 60%, ე. ი. კიდევ უფრო მეტად გაჩანაგდნენ და გაბოროტდნენ.

ახლა გადასახლებულთა ტალღა დაიძრა სხვა რაიონიდან, სახელდობრ ვოლგისპირეთიდან, რომელიც აქამდე გადასახლებულთა სულ მცირე რაოდენობას იძლეოდა.

რაშია საქმე?

1911 წლის «მოუსავლობაში», «შიმშილობაში»!!... შიმშილობა მოედო რუსეთის ახალ რაიონს. მშიერთა ახალი ტალღის გაქცევა ციმბირში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ციმბირი რუსეთის ცენტრის გლეხების მიყოლებით კიდევ უფრო მეტად გააჩანაგებს და გააბოროტებს ვოლგისპირეთის გლეხებსაც.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ციმბირში გადასახლებამ პრაქტიკულად ცხადყო, რომ ამით ჯერ ცენტრის გლეხების, ხოლო ახლა ვოლგისპირეთის გლეხების ხსნა შეუძლებელია.

«ახალი» აგრარული პოლიტიკა აჩანაგებს რუსეთის სხვადასხვა ზოლს ერთიმეორეზე მიყოლებით, ერთი რაიონის გლეხებს მეორე რაიონის გლეხების მიყოლებით და თანდათან ყველა გლეხის წინაშე ააშკარავებს, რომ ნამდვილი ხსნა ეს როდია.

«პრავდა» № 105,
1913 წ. 9 მაისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მუშათა კლასი და ნაციონალური საკითხი

რუსეთი ეროვნულად ჭრელი ქვეყანაა. მთავრობის პოლიტიკა, პოლიტიკა მემამულეებისა, რომელთაც მხარს უჭერს ბურჟუაზია, თავიდან ბოლომდე შავრაზმული ნაციონალიზმითაა გაჟღენთილი.

ამ პოლიტიკის მახვილი მიმართულია რუსეთის იმ ხალხთა უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელნიც მისი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. ხოლო ამასთან ერთად თავს იჩენს სხვა ერთა (პოლონელი, ებრაელი, უკრაინელი, ქართველი და სხვ. ერის) ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, ცდილობს რა ნაციონალური ბრძოლით ან ნაციონალური კულტურისათვის ბრძოლით ჩამოაშოროს მუშათა კლასი მის დიდ მსოფლიო ამოცანებს.

ნაციონალური საკითხი ყველა შეგნებული მუშის მხრივ მოითხოვს ნათლად დაყენებას და გადაწყვეტას.

როდესაც ბურჟუაზია თავისუფლებისათვის იბრძოდა ხალხთან ერთად, მშრომელებთან ერთად, იგი იცავდა ერთა სრულ თავისუფლებას და სრულ თანასწორუფლებიანობას. მოწინავე ქვეყნები, შვეიცარია, ბელგია, ნორვეგია და სხვ., იძლევიან იმის მაგალითს, თუ ნამდვილი დემოკრატიული წყობილების დროს როგორ მშვიდობიანად ეთვისებიან ან მშვიდობიანად გამოეყოფიან ერთმანეთს თავისუფალი ერები.

ახლა ბურჟუაზიას ეშინია მუშებისა, ის ეძებს კავშირს პურიშკევიჩებთან, რეაქციასთან, ღალატობს დემოკრატიზმს,

«ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის» ყრილობა

«ბრიტანეთის სოციალისტური პარტია» დაარსდა მანჩესტერში 1911 წელს. მასში შევიდნენ ძველი «სოციალისტური პარტია», რომელსაც წინათ ეწოდებოდა «სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია», და რამდენიმე დაქსაქსული ჯგუფი და ცალკეული პირი, მათ შორის ვიქტორ გრეისონი, ძალიან მგზნებარე, მაგრამ არასაკმაოდ პრინციპული და ფრაზის მოყვარე სოციალისტი.

ზღვისპირის ქალაქ ბლეკპულში (Blackpool) 10 — 12 მაისს ახალი სტილით შესდგა ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის მეორე ყრილობა. სულ დაესწრო 100 დელეგატი — დელეგატთა სრული რიცხვის მესამედზე ნაკლები, და ეს გარემოება, პარტიის ძველი გამგეობის წინააღმდეგ დელეგატთა უმრავლესობის გააფთრებულ ბრძოლასთან დაკავშირებით, გარეშე მეთვალყურეებზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა. ინგლისის ბურჟუაზიული პრესა კი (ისევე როგორც რუსეთის ბურჟუაზიული პრესა) ყოველთვის ცდილობს ხელი ჩასჭიდოს, თავისებურად დახატოს და მთელ ქვეყანას მოჰფინოს ეპიზოდები პარტიის განსაკუთრებით მწვავე ბრძოლისა თავის გამგეობასთან.

ბურჟუაზიულ პრესას არ აინტერესებს სოციალიზმის შინაური ბრძოლის ი დ ე უ რ ი შინაარსი. მას მიართვით მხოლოდ სენსაცია და რაც შეიძლება უფრო პიკანტური სკანდალი.

ბსპ (ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის) შიგნით გაჩაღებული ბრძოლის შინაარსი კი ფრიად სერიოზული იყო. ძველ გამგეობას სათავეში უდგა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი ჰაინდმანი. ის უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ისე მოქმედებდა, რომ ანგარიშს არ უწევდა პარტიას და პარტიის წინააღმდეგაც კი მიდიოდა უმნიშვნელოვანეს საკითხში — შეიარაღებისა და ომის საკითხში. ჰაინდმანმა აიჩემა, ინგლისს განადგურება და დამონება ემუქრება გერმანიის მხრივ და ამიტომ სოციალისტებმა მხარი უნდა დაუჭირონ ინგლისის დასაცავად «სათანადო» (ე. ი. ძლიერი) ფლოტის შექმნის მოთხოვნასო!

სოციალისტები «ძლიერი» ფლოტის დამცველთა როლში — და ეს ხდება იმ ქვეყანაში, რომლის ფლოტი ხელს უწყობს ინდოეთის ს ა მ ა ს ი მ ი ლ ი ო ნ ი მოსახლეობის, ეგვიპტესა და სხვ. კოლონიებში ათეული მილიონობით მოსახლეობის უაღრესად უსირცხვილო, ბატონყმური წესებით დამონებასა და ძარცვას.

გასაგებია, რომ ინგლისის ბურჟუაზიას (კონსერვატორებსა და ლიბერალებს) მოსწონდა ჰაინდმანის ეს ახირება. გასაგებია ისიც, რომ ინგლისელი სოციალ-დემოკრატები — მათდა სასახელოდ უნდა ითქვას — ვერ ურიგდებოდნენ ამ შერცხვენას და საძაგლობას და თავგამოდებით ებრძოდნენ მას.

ბრძოლა ხანგრძლივი და შეუპოვარი იყო; სცადეს კომპრომისი, მაგრამ ჰაინდმანი გაჯიუტდა. და ინგლისის სოციალიზმის დიდ პლუსად უნდა ჩაითვალოს, რომ აღნიშნულ ყრილობაზე ჰაინდმანი იძულებული გახდა გამოსულიყო გამგეობიდან, და საერთოდ გამგეობის შემადგენლობაც 3/4-ით შეიცვალა (8 წევრიდან ხელახლა აირჩიეს მხოლოდ ორი: კველჩი და ერვინგი).

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ძველი გამგეობის წინააღმდეგ. ეს რეზოლუცია ამბობს:

«ყრილობა მიესალმება ფრანგ და გერმანელ ამხანაგებს მათ ქვეყანაში შეიარაღების გაძლიერების წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლისათვის

და ავალებს ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას, როგორც ინტერნაციონალური სოციალისტური პარტიის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ვალდებულია დაემორჩილოს შტუტგარტში და შემდეგ ბაზელში 1912 წელს მიღებულ რეზოლუციას ომის შესახებ, — ავალებს მას სწორედ ასეთი პოლიტიკა გაატაროს დიდბრიტანეთშიც, მთელი ძალღონით შეებრძოლოს შეიარაღების ზრდას და ეცადოს შემცირდეს შეიარაღების ახლანდელი უმსგავსოდ დიდი ხარჯები».

რეზოლუცია მძაფრია. მაგრამ უნდა შეგეძლოს სიმართლის თქმა, თუნდაც იგი მძაფრიც იყოს. ინგლისელი სოციალ-დემოკრატები დაკარგავდნენ ეგრეთწოდებული «დამოუკიდებელი (სოციალიზმისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ლიბერალებისაგან დამოკიდებული) მუშათა პარტიის» ოპორტუნისტებთან ბრძოლის უფლებას, მათ რომ მძაფრად არ გაელაშქრნათ თავიანთი გამგეობის ნაციონალისტური ცოდვების წინააღმდეგ.

დაე ღვარძლი ანთხიოს და იოინბაზოს ბურჟუაზიულმა პრესამ სოციალ-დემოკრატების შინაური ბრძოლის გამო. სოციალ-დემოკრატებს წმინდანებად არ მიაჩნიათ თავი; მათ იციან, რომ პროლეტარიატს ხშირად ედება ესა თუ ის ბინძური სენი მის გარშემო მყოფი ბურჟუაზიისგან, — ბინძურ, საძაგელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეს გარდუვალია. მაგრამ სოციალ-დემოკრატებს ეხერხებათ თავიანთი პარტიის მკურნალობა პირდაპირი და უშიშარი კრიტიკით. და ისინი უსათუოდ განკურნავენ მას ინგლისშიც.

«პრავდა» № 109,
1913 წ. 14 მაისი
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

წელში სწორდება თუ ღარიბდება გლეხობა?

ამ სათაურით ვინმე კაზიონურმა მჯღაბნელმა ბ-მა ი. პ — ვმა პატარა სტატია მოათავსა მთავრობის «ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტაში»[30] (№ 100); იგი, რა თქმა უნდა, ამტკიცებს, რომ გლეხობა წელში სწორდება და «უეჭველად... წლითიწლობით განუხრელად წინ მიდისო».

უაღრესად საგულისხმოა, რომ ავტორის მიერ მოყვანილი მონაცემები სწორედ საწინააღმდეგოს მეტყველებენ! კაზიონური მწერლებისა და მთავრობის გაზეთების უსირცხვილო სიცრუის დამახასიათებელი დადასტურებაა!

მერე როგორია ავტორის მონაცემები? უწინარეს ყოვლისა აღვნიშნოთ, რომ წყაროს ის ზუსტად არ მიგვითითებს. ამიტომ ერთი წუთითაც არ უნდა ვენდოთ იმას, რომ კაზიონურ მჯღაბნელს ციტატები უცნობი წყაროდან უშუალოდ მოჰყავს და მოჰყავს სწორად.

მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ, რომ მას ციტატი სწორად მოჰყავს.

«ზოგიერთი ერობა» — წერს ის — «მაგალითად, მოსკოვისა, იმის გასარკვევად, ღარიბდება თუ წელში სწორდება გლეხობა, მიმართავს ანკეტას (შეკითხვას). ერობის ადგილობრივი კორესპონდენტები იძლევიან ზოგად პასუხებს, რომელთაც შემდეგ აჯამებენ.

მრავალი წლის (6 წლის) ასეთი გამოკვლევების შედეგად — წერს ბ-ნი ი. პ — ვი — ცენტრალური ზოლისათვის მივიღეთ საკმაოდ საყურადღებო ციფრების ჯამი, სახელდობრ: ყოველი სახის 100 პასუხზე მოდიოდა»

იპის მაჩვენებელი პასუხი, რომ გლეხთა ეკონომიური კეთილდღეობა:

წლები:	იზრდება	მცირდება	ერთ დონეზე რჩება	სულ პასუხი
1907	15	44	41	100
1908	8	53	39	100
1909	8	64	28	100
1910	21	34	45	100
1911	32	16	52	100
1912	38	15	47	100

და აი მთავრობის გაზეთის მწერალი დაასკვნის: «უკანასკნელ სამ წელში... აღინიშნა გლეხობის ეკონომიური დონის განუხრელი აღმავლობა, პროცენტების სათანადო შემცირებით რუბრიკებში «მცირდება» და «ერთ დონეზეა»».

ყურადღებით დაუკვირდით ციფრებს. პირველი სამი წლის განმავლობაში გვაქვს აშკარად და დიდი შ ე მ ც ი რ ე ბ ა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გ ა დ ი დ ე ბ ა, თუმცა მნიშვნელოვნად უფრო ნაკლებ ძლიერი, ვიდრე შემცირება პირველი სამი წლის განმავლობაში!!

თვით ბ-ნი ი. პ — ვი აღიარებს, რომ ეს მერყეობა «ემთხვევა მოსავალთა მერყეობასაო».

რატომ სჯერდება ის ზ ო გ ა დ ი დასკვნისათვის მოსავლიან სამწლეულს და ი ვ ი წ ყ ე ბ ს მოუსავლიან სამწლეულებს? რას ვუწოდებდით ჩვენ იმ ვაჭარს, რომელიც მეურნეობის შეჯამებისას აღნიშნავდა მოსაგებს, ზ ა რ ა ლ ს კ ი დ ა მ ა ლ ა ვ დ ა? ჩვენ მას ვუწოდებდით თაღლითს, ხომ მართალია, კაზიონური გაზეთის ბ-ნო კაზიონურო მწერალო?

მოვახდინოთ ეს მარტივი, მაგრამ თაღლითთა გარდა ყველასთვის სავალდებულო შეჯამება არა მარტო მოგებისა, არამედ ზარალისაც, არა მარტო პლუსებისა, არამედ მინუსებისაც, არა მარტო მოსავალთა, არამედ «მოუსავლობისაც». ამისათვის საჭიროა შევაჯამოთ 6 წლის მონაცემები და ჯამი გავყოთ 6-ზე (საოცრად ძნელი კია, ბ-ნო კაზიონურო პუბლიცისტო, არა?). მივიღებთ ს ა შ უ ა ლ ო მონაცემებს მთელი კონტრრევოლუციური ექვსწლეულისათვის.

ეს მონაცემები ასეთია. 100 პასუხიდან იყო:

ხელსაყრელი (გლეხები «წელში სწორდებიან») — 20, არახელსაყრელი (გლეხები «ღარიბდებიან») — 38, საშუალო («ერთ დონეზეა») — 42.

ასეთია შედეგი. მერე რას ნიშნავს ეს?

იმას, რომ გ ლ ე ხ ო ბ ა ღ ა რ ი ბ დ ე ბ ა და ჩ ა ნ ა გ დ ე ბ ა. კონტრრევოლუციის 6 წლის განმავლობაში ა რ ა ხ ელსაყრელ პასუხთა რიცხვი, საშუალოდ, თ ი თ ქ მ ი ს ე რ თ ი ო რ ა დ მ ე ტ ი ა ხელსაყრელ პასუხთა რიცხვზე!!

ეს დასკვნა შეიძლება თვალსაჩინოდ გამოვხატოთ, თუ მას მივუყენებთ მთელ რუსეთს და ვივარაუდებთ 20 მილიონ გლეხურ ოჯახს, შემდეგნაირად:

ექვსი წლის განმავლობაში წელში გასწორდა 4 მილიონი გლეხური ოჯახი, გაღარიბდა 7 მილიონი 600 ათასი ოჯახი, ძველ (ე. ი. ღატაკურ) დონეზე დარჩა 8 მილიონ 400 ათასი ოჯახი!

და ეს მაღალი ფასების პერიოდში, როდესაც მემამულეები და ბურჟუაზია ნიჩბებით ხვეტენ ოქროს.

გლეხები, ალბათ, მადლობას გადაუხდიან და დალოცავენ მემამულურ სათათბიროს და მემამულურ მთავრობას.

«პრავდა» № 111,
1913 წ. 16 მაისი

ბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ხელმოწერა: ფ.

ჩამორჩენილი ევროპა და მოწინავე აზია

ამ სიტყვების დაპირისპირება პარადოქსსა ჰგავს. ვინ არ იცის, რომ ევროპა მოწინავეა, აზია კი ჩამორჩა? მაგრამ ამ სტატიის სათაურად აღებულ სიტყვებში მწარე სიმართლეა.

ცივილიზებულ და მოწინავე ევროპაში, მისი ბრწყინვალედ განვითარებული ტექნიკით, მისი მდიდარი, ყოველმხრივი კულტურითა და კონსტიტუციით, დადგა ისეთი ისტორიული მომენტი, როდესაც მბრძანებელი ბურჟუაზია მხარს უჭერს ყველაფერს ჩამორჩენილს, მომაკვდავს, შუასაუკუნებრივს, რადგან შიში აქვს პროლეტარიატისა, რომელიც იზრდება და მტკიცდება. მომაკვდავი ბურჟუაზია უერთდება ყველა დროგადასულ და მომაკვდავ ძალებს, რათა შეინარჩუნოს დაქირავებულთა შერყეული მონობა.

მოწინავე ევროპაში ბრძანებლობს ყოველივე ჩამორჩენილის მხარის დამჭერი ბურჟუაზია. ჩვენს დროში ევროპა მოწინავეა არა ბურჟუაზიის მ ე ო ხ ე ბ ი თ, არამედ მის მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ, რადგან მხოლოდ პროლეტარიატი ზრდის განუწყვეტლივ უკეთესი მომავლისათვის მებრძოლთა მილიონიან ლაშქარს, მხოლოდ მარტო ის ინარჩუნებს და ავრცელებს ულმობელ მტრობას ჩამორჩენილობისა, ველურობისა, პრივილეგიებისა, მონობისა და ადამიანის მიერ ადამიანის დამცირებისადმი.

«მოწინავე» ევროპაში მ ო წ ი ნ ა ვ ე კლასი მ ხ ო ლ ო დ პროლეტარიატია. ცოცხალი ბურჟუაზია კი დასაღუპად გან-

წირული კაპიტალისტური მონობის გადასარჩენად მზად არის ჩაიდინოს ყოველგვარი ველურობა, მხეცობა და დანაშაული.

და არა მგონია შეიძლებოდეს მ თ ე ლ ი ევროპული ბურჟუაზიის ამ ლპობის უფრო საოცარი მაგალითის მოყვანა, ვიდრე იმისა, რომ იგი აზიაში მხარს უჭერს რ ე ა ქ ც ი ა ს ფინანსური საქმოსნებისა და თაღლით-კაპიტალისტთა ანგარებიანი მიზნების გამო.

აზიაში ყველგან იზრდება, ფართოვდება და მაგრდება ძლიერი დემოკრატიული მოძრაობა. ბურჟუაზია იქ ჯ ე რ კ ი დ ე ვ ხალხთან ერთადაა რეაქციის წინააღმდეგ. ა ს ე უ ლ ი მილიონობით ხალხი იღვიძებს ცხოვრების, სინათლისა და თავისუფლებისათვის. რა აღტაცებას იწვევს ეს მსოფლიო მოძრაობა ყველა იმ შეგნებული მუშის გულში, რომელთაც იციან, რომ კოლექტივიზმის მიღწევა დემოკრატიის გზით შეიძლება! რა თანაგრძნობითაა გამსჭვალული ყველა პატიოსანი დემოკრატი ახალგაზრდა აზიის მიმართ!

«მოწინავე» ევროპა? იგი ძარცვავს ჩინეთსა და ეხმარება დემოკრატიის მტრებს, ჩინეთის თავისუფლების მტრებს!

აი უბრალო, მაგრამ საგულისხმო გაანგარიშება. ჩინეთის ახალი სესხი აღებულია ჩინეთის დემოკრატიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ: «ევროპა» მ ხ ა რ ს უ ჭ ე რ ს იუან ში-კაის, რომელიც სამხედრო დიქტატურას ამზადებს. რატომ უჭერს მხარს? ხელსაყრელი საქმის გაჩარხვისათვის. სესხი დადებულია დაახლოებით 250 მილიონისა კურსით 84 100-ში. ეს ნიშნავს: «ევროპის» ბურჟუები ჩინელებს უ ხ დ ი ა ნ 210 მლნ.; ხალხისგან კი ღებულობენ 225 მლნ. მანეთს. აი, ერთბაშად, რამდენიმე კვირაში, წმინდა მოგება — 15 მ ი ლ ი ო ნ ი მ ა ნ ე თ ი! მართლაც, რა «წ მ ი ნ დ ა» მოგებაა, არა?

მერე ჩინეთის ხალხმა რომ არ იცნოს სესხი? ჩინეთში ხომ რესპუბლიკაა, და პარლამენტში უმრავლესობა სესხის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ა?

ოჰ, მაშინ «მოწინავე» ევროპა ყვირილს ასტეხს «ცივილიზაციის», «წესრიგის», «კულტურისა» და «სამშობლოს» შე-

სახებ! მაშინ იგი დასძრავს ზ ა რ ბ ა ზ ნ ე ბ ს, კავშირს შეკრავს ავანტიურისტ, მოღალატე და რეაქციის მეგობარ იუან ში-კაისთან და გასრესს «ჩამორჩენილი» აზიის რესპუბლიკას!

მთელი მბრძანებელი ევროპა, ევროპის მთელი ბურჟუაზია კ ა ვ შ ი რ შ ი ა ჩინეთის რეაქციისა და შუასაუკუნოობის მთელ ძალებთან.

სამაგიეროდ მთელ ახალგაზრდა აზიას, ესე იგი აზიის ასეული მილიონობით მშრომელებს საიმედო მოკავშირე ჰყავთ ყველა ცივილიზებული ქვეყნის პროლეტარიატის სახით. ვერავითარი ძალა ამ ქვეყნად ვერ შეაჩერებს მის გამარჯვებას, და ეს გამარჯვება გაათავისუფლებს როგორც ევროპის, ისე აზიის ხალხებს.

«პრავდა» № 113,
1913 წ. 18 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

არ არის კარგი!

(ერთხელ კიდევ «ლუჩისა» და «პრავდის» მკითხველთა საყურადღებოდ)

«პრავდის» * 102-ე ნომერში ამხანაგ მკითხველთა ყურადღება მივაქციე «ლუჩის» 93-ე და 94-ე ნომრებში მოთავსებულ ფელეტონს.

ამ ფელეტონს მე ვადარებდი სტატიებს «სადავო საკითხები» **, რომლებიც ი მ ა ვ ე დ რ ო ს იბეჭდებოდა «პრავდაში». მე ვამბობდი: «პრავდა» ამ სტატიებში მკითხველს აწვდის ფაქტებს და დოკუმენტებს ორგანიზაციისა და ტაქტიკის სადავო საკითხების გადასაწყვეტად, «ლუჩი» კი აღნიშნულ ფელეტონში იძლევა ჭორსა და პირად უსაქციელობას, რაც მუშებს დახმარებას კი არ გაუწევს დავის გარკვევაში, არამედ ტვინს დაუნაგვიანებს მხოლოდ.

მე ვამბობდი, რომ ფელეტონი 1905 წლის მოღვაწეებზე წერს იმ ენით, როგორც მათზე წერენ შეშინებული მემამულეებისა და მუშებზე გაბოროტებული ლიბერალების ორგანოებში.

«ლუჩმა» ჩემს წინააღმდეგ გამოუშვა მუშა გერმანი. მუშა გერმანი მეტად გაბედული კაცია და სიტყვა არ შემოელევა. ამიტომ ძალიან მაგრად გამომლანძღა. ვითომ მე «მინდოდეს ამხანაგ მკითხველების შეცდომაში შეყვანა» და «აშკარა სიცრუეს» ვლაპარაკობდე, და არაფერი ის, რასაც მე ვლაპარა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 69 — 71. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 159 — 170. რ ე დ.

კობ, სინამდვილეში ვითომ არ ყოფილა. ამრიგად მუშა გერმანი მაბრალებს მთელ რიგ დანაშაულს, ჩამოთვლის «ლუჩის» მთელი რიგი სტატიების სათაურებს და ამით ამთავრებს თავის სტატიას.

კეთილი! მერე, რა ვუყოთ «ლუჩის» იმ ფელეტონს, რომელზედაც მართლა ვილაპარაკე და რომლიდანაც ციტატები მოვიყვანე? მის შესახებ მუშა გერმანმა მთელ თავის სტატიაში კ რ ი ნ ტ ი ც ა რ დ ა ძ რ ა, იქიდან მოყვანილი სიტყვების სისწორეში არც კი ცდილა შემომდავებოდა, მე რომ ეს ფელეტონი დავახასიათე როგორც მუშათა პრესაში დაუშვებელი, ამას არაფერი დაუპირისპირავს რა გამოდის? შე კაი კაცო, გამომლანძღეთ რაც კი შეგეძლოთ. ხოლო ერთი სიტყვაც კი იქიდან, რაც მე «ლუჩის» ფელეტონზე ვილაპარაკე, არათუ ვერ უარყავით, არამედ არც კი სცადეთ მისი უარყოფა.

იყო თუ არა 93-ე და 94-ე ნომრებში ფელეტონი, რომლის შესახებაც მე ვწერდი? — იყო. მაშ რა უფლება გაქვთ წეროთ, რომ «არავითარი ამის მსგავსი სინამდვილეში არ იყოო»?

სავსეა თუ არა ეს ფელეტონი ჭორითა და კინკლაობით უთანხმოების მშვიდად გარჩევის ნაცვლად? თქვენ ამის წინააღმდეგ კრინტის დაძვრაც ვერ გაბედეთ! მაშ რა უფლება გაქვთ დამწამოთ «ამხანაგების შეცდომაში შეყვანის» სურვილი?

იცოდით რასაც წერდით? იფიქრეთ თუ არა იმაზე, რომ, როცა მუშათა გაზეთის თანამშრომელს აბრალებთ «აშკარა სიცრუეს» და «მკითხველთა შეცდომაში შეყვანის» სურვილს, მზად უნდა იყოთ პასუხი აგოთ — არა ჩემს წინაშე, არამედ ყველა იმათ წინაშე, ვინც მხარში უდგას «პრავდას», ე. ი. მის მუშა მკითხველთა წინაშე.

თქვენ იკისრეთ «ლუჩის» დაცვა ჩემი ბრალდებისაგან იმაში, რომ მის 93-ე და 94-ე ნომრებში დაბეჭდილი ფელეტონი სადავო საკითხებს კი არ არკვევს, არამედ თავს უტენის მკითხველებს ჭორითა და «პიროვნებებით». და ამისათვის თქვენ

ამავე «ლუჩის» ფურცლებზე მოათავსეთ მთელი რიგი დაუსაბუთებელი ბრალდებანი და აშკარა ცილისწამებანი («მკითხველს» (ე. ი.—მე) სურს შეცდომაში შეიყვანოს ამხანაგი მკითხველებიო), ე. ი. ჩაიდინეთ სწორედ ის, რასაც მე ვაბრალებდი «ლუჩს» 94-ე ნომერში დაბეჭდილი ფელეტონის გამო. თ ქ ვ ე ნ ი ს ტ ა ტ ი ი თ თ ქ ვ ე ნ კ ი არ უარყავით, არამედ დ ა ა დ ა ს ტ უ რ ე თ ჩ ე მ ი ბ რ ა ლ დ ე ბ ა «ლ უ ჩ ი ს» მ ი მ ა რ თ.

ახლა თქვენ, შეიძლება, თქვათ: ყოველივე ეს მოხდა ჩემი გამოუცდელობითო. კეთილი! მაგრამ თქვენი სტატია ხომ რედაქციამ წაიკითხა. რატომ არ გაგაფრთხილათ? რატომ არ მიგითითათ, რომ როდესაც ბრალს მდებდით, პირველ ყოვლისა უნდა გაგებათილებინათ ჩემი სიტყვები იმ ფაქტების შესახებ, რომლებზედაც მე ვლაპარაკობდი და დუმილით კი არ უნდა აგევლოთ გვერდი ამ ფაქტებისთვის? რატომ? ცხადია, იმიტომ, რომ რედაქციამ იცოდა, რომ ყველაფერი ის, რაც მე ვთქვი 93-ე და 94-ე ნომრების ფელეტონის შესახებ, მართალია, რომ ჩემი სიტყვების უარყოფა შეუძლებელია. და ამიტომ გამოგიშვათ თქვენ მხოლოდ სალანძღავად, ე. ი. კვლავ გაიმეორა თავისი ხერხი, სწორედ რომლის გამოც ბრალს ვდებდი მას პირველ სტატიაში.

განა კარგი როლი შეასრულეთ თქვენ — ხელს რომ აწერთ «მუშაო» — «ლუჩის» რედაქციის ხელში?

«პრავდა» № 114,
1913 წ. 19 მაისი
ხელმოწერა: მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მემამულური მიწათმოწყობა

IV სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კამათში, როგორც ყოველთვის, უზომოდ ბევრი ნაგავი იყო. მარკოვ მეორის ჭაპანწყვეტა ფეხი გამოედო კოკოვცოვისთვის, — კოკოვცოვის ჭაპანწყვეტა ფრაზებით «მიეფუჩეჩებინა» «ჩვენი» პოლიტიკისა და ჩვენი ბიუჯეტის ბატონყმური ხასიათი, — კადეტების ჭაპანწყვეტა დაერწმუნებინათ გულმინდობილი საზოგადოება, თითქოს კოკოვცოვმა «საჭიროდ აღიარა ანგარიში გაუწიოს» IV სათათბიროში ს წ ო რ ე დ კ ა დ ე ტ ე ბ ს, — ყოველივე ეს მოსაწყენი, გაცვეთილი ფარისევლური ნაგავია.

მაგრამ ნაგვის გროვაში ჭეშმარიტების მარცვლები ურევია. მარკოვებმა, კოკოვცოვებმა, შინგარიოვებმა სცადეს მათი რაც შეიძლება ღრმად დამალვა. ღირს სააშკარაოზე გამოვიტანოთ ისინი.

«მე ასე დიდხანს იმიტომ შევჩერდი მიწათმოწყობის საკითხზე, — ამბობდა კოკოვცოვი 13 მაისს, — რომ ეს საქმე მართლაც შეიცავს რუსეთის მომავლის მთელ გამოცნობას»...

უნდა ვილაპარაკოთ არა «მთელ» გამოცნობაზე და არა საერთოდ «მომავალზე», არამედ «ბიუროკრატიისა» და მებატონე-მემამულეების ყოვლისშემძლებლობის სამი ივნისის სისტემის მომავალზე. სოფლის ძ ვ ე ლ ი წ ყ ო ბ ი ს დროს ჩ ვ ე ნ ვერ შევინარჩუნებთ ძალაუფლებას — ასე გადაწყვიტეს მწარე გამოცდილებით განსწავლულმა ამ მემამულეებმა. ძალაუფლება რომ შევინარჩუნოთ, საჭიროა ჩვენებურად გარდავქმნათ

ძველი სოფელი ბურჟუაზიულ სოფლად. აი «მიწათმოწყობის საკითხის» საფუძველი და დედაარსი.

...«შესძლებს თუ არა მთავრობა ამას, მოიტანს თუ არა იგი (მიწათმოწყობა) მთელ იმ სარგებლობას, რასაც გულისხმობს როგორც მთავრობა, ისე საკანონმდებლო დაწესებულებები — განაგრძობს მინისტრი — ამას მომავალი დაგვანახვებს»...

მომავალი ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს გამოააშკარავებს და ყ ვ ე ლ ა-ფ ე რ ს დაგვანახვებს, ეს უდავოა. იგი დაგვანახვებს მეგა-ტონეთა ცდებისა და დემოკრატიის სათავეში მდგომი პროლეტარიატის ცდების შ ე დ ე გ ე ბ ს. მაგრამ «სერიოზული» (კადეტური საზომით სერიოზული) ბ-ნ კოკოვცოვის ციფრები სრულიად არაფერს გვიჩვენებს. განცხადებათა რიცხვი მიწათ-მოწყობის შესახებ სწრაფად იზრდებაო — აღტაცებულია კო-კოვცოვი და აღტაცებული არიან მემარჯვენეები სათათბიროში. ასეთი განცხადებები 1907 წელს იყო 221 ათასი, 1908 წელს— 385 ათასი, 1909 წელს — 711 ათასი, 1910 წელს — 651 ათასი, 1911 წელს — 683 ათასი, 1912 წელს — 1183 ათასი, სულ — 3 834 ათასი.

«მოწყობილია» კი 1 592 000 კომლი.

ასეთია მინისტრის «დამამტკიცებელი საბუთები» და მასა-ლები მომავალზე მსჯელობისათვის.

ი მ ა ვ ე 13 მაისს კი მ თ ა ვ რ ო ბ ი ს გაზეთს «ნოვოე ვრემიას» მოჰყავს 1911 წლის საერობო საკომლო აღწერის მონაცემები სამარის მაზრისა. «განმტკიცებულთა» რიცხვი ამ მაზრაში აღწევს თითქმის 40%-ს — ესე იგი მთელი რუსეთის საშუალოზე მეტია. მაშასადამე, მაზრა ყველაზე «ხელსაყრე-ლია» მთავრობისთვის.

მერე რა აღმოჩნდა? «განმტკიცებულთა» საერთო რიცხვი-დან ნამდვილი ხუტორელი ს ა მ ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ი მ ო დ ი ს ა ს ზ ე (2,9%); ცალკე ნაკვეთებად გამოიყვნენ სულ 1/16 (6,5%), ხოლო ც ხ რ ა მ ე ა თ ე დ ზ ე მ ე ტ ნ ი (90,6%) მიწას ფლობენ დაქსაქსულად!!

«განმტკიცებულთა» ცხრა მეათედი ძველებურად ეწევა მეურნეობას დაქსაქსულად. მეურნეობის წარმართვის პირობები გაუარესდა კიდეც, იმიტომ რომ წინათ ამ დაქსაქსულობის ცოტათი მაინც «გამოსწორება» შეეძლო თემს ხშირი ხელახალი განაწილებით.

სულ ოთხი წლის განმავლობაში სხვის ხელში გადავიდა უკვე განმტკიცებული მიწის ერთი მესამედი. იზრდება გლეხთა უმიწობა, ხოლო კიდევ უფრო იზრდება გაღატაკება, იზრდება ნაჭრების არევ-დარევა. იზრდება წარმოუდგენელი გაჭირვება სოფლად. ხშირდება შიმშილობა. იზრდება უმიწო გლეხთა, წმინდა პროლეტართა რიცხვი. იზრდება რიცხვი ღატაკ «ვითომ-მეურნეთა», რომელნიც გახლართულნი არიან წინანდელ კაბალაში და მიწის ხარვეზიანობაში ყბადაღებული მემამულური მიწათმოწყობის გამო.

ცხადია, ამ კაბალას ვერ მოსპობს გლეხთა მიწების მემამულური მიწათმოწყობა. ამ კაბალის თავიდან აცილება შეეძლო მხოლოდ ფართო დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებულ მიწათმოწყობას.

«პრავდა» № 115,
1913 წ. 21 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

შეიარაღება და კაპიტალიზმი

ინგლისი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი, ყველაზე თავისუფალი და ყველაზე მოწინავე ქვეყანათაგანია. შეიარაღების ციებ-ცხელება უკვე დიდი ხანია მოედო ინგლისის «საზოგადოებას» და ინგლისის მთავრობას სწორედ ისევე, როგორც საფრანგეთისას, გერმანიისას და სხვ.

და აი ინგლისის პრესას, — განსაკუთრებით მუშათა პრესას — მოჰყავს ახლა ფრიად საინტერესო მონაცემები, რაც ცხადყოფს შეიარაღების ეშმაკურ კაპიტალისტურ «მექანიკას». ინგლისის საზღვაო შეიარაღება განსაკუთრებით დიდია. ინგლისის გემთსაშენი ქარხნები (ვიკერსი, არმსტრონგი, ბროუნი და სხვ.) განთქმულია მსოფლიოში. ინგლისი და სხვა ქვეყნები ასობით და ათასობით მილიონ მანეთს ხარჯავენ ომის მზადებაზე, — რასაკვირველია, ყოველივე ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის გულისთვის, კულტურის დაცვის გულისთვის, სამშობლოს, ცივილიზაციის გულისთვის და სხვ.

ხოლო გემთმშენებლობის, დენთის, დინამიტის, ზარბაზნისა და სხვათა საწარმოების აქციონერებად და დირექტორებად ვხედავთ ადმირალებსა და ინგლისის ფრიად გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებს ორივე პარტიიდან: კონსერვატიული და ლიბერალური პარტიიდან. ოქრო პირდაპირ ჯიბეში მისჩხრიალებს ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს, რომელნიც შეადგენენ შემჭიდროებულ საერთაშორისო ხროვას და ეს ხროვა აქეზებს ხალხებს შეიარაღებათა შეჯიბრებაში და ცხვარსავით კრეჭს ამ გულმინდობილ, სულელ, გამოყეყეჩებულ და მორჩილ ხალხებს!

შეიარაღება მიჩნეულია ეროვნულ საქმედ, პატრიოტულ საქმედ; იგულისხმება, რომ ყველა სასტიკად იცავს საიდუმლოებას. ხოლო გემთსაშენი და ზარბაზნის, დინამიტისა და თოფის ფაბრიკა-ქარხნები წარმოადგენენ საერთაშორისო საწარმოებს, სადაც სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალისტები შეთანხმებულად ატყუებენ და ას პირ ტყავს აძრობენ სხვადასხვა ქვეყნის ხალხს, გემებსა და ზარბაზნებს ერთნაირად ამზადებენ ინგლისისათვის იტალიის წინააღმდეგ და იტალიისათვის ინგლისის წინააღმდეგ.

ეშმაკური კაპიტალისტური მექანიკაა! ცივილიზაცია, წესრიგი, კულტურა, მშვიდობა — და ასეული მილიონობით ფულის ძარცვა გემთმშენებლობის, დინამიტისა და სხვა საწარმოთა კაპიტალის საქმოსანთა და აფერისტთა მიერ!

ინგლისი წევრია სამთა შეთანხმებისა, რომელიც მტერია სამთა კავშირისა. იტალია სამთა კავშირის წევრია. განთქმულ ფირმას — ვიკერსს (ინგლისი) განყოფილებები აქვს იტალიაში. ამ ფირმის აქციონერები და დირექტორები (მოსყიდული გაზეთებისა და პარლამენტის მოსყიდული «მოღვაწეების» საშუალებით, სულ ერთია, კონსერვატორები იქნებიან თუ ლიბერალები) ინგლისს უსისიანებენ იტალიას და პირიქით. მოგებას კი ინგლისის მუშებისგანაც ღებულობენ და იტალიის მუშებისგანაც, აქაც ფცქვნიან ხალხს და იქაც.

კონსერვატორი და ლიბერალი მინისტრები და პალატის წევრები — თითქმის ყველანი ამ ფირმების მონაწილენი არიან. ხელი ხელსა ბანსო. «დიდი» ლიბერალი მინისტრის გლადსტონის შვილი—არმსტრონგის ფირმის დირექტორია. კონტრადმირალი ბეიკონი, ინგლისის გამოჩენილი საზღვაო სპეციალისტი და «უწყების» მაღალი თანამდებობის პირი, კოვენტრის საარტილერიო ქვემეხების ფაბრიკის სამსახურში გადადის 7 000 გირვანქა სტერლინგის (60 000 მანეთზე მეტ) ჯამაგირზე, ინგლისის პირველი მინისტრი კი იღებს 5 000 გირვანქას (დაახლოებით 45 000 მანეთს).

რასაკვირველია, იგივე ხდება ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. მთავრობები — კაპიტალისტთა კლასის ნოქრები არიან. ნოქრებს კარგად უხდიან. ნოქრები თვითონ მეპაიები არიან. ცხვრებს კი ერთად კრეჭენ «პატრიოტიზმზე» წარმოთქმული სიტყვების ხმაურში...

«პრავდა» № 115,
1913 წ. 21 მაისი
ხელმოწერა: ფ რ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

უმწეობისა და დაბნეულობის შესახებ

(შენიშვნა)

თანამედროვე სოციალ-დემოკრატებსა და «თითქმის სოციალ-დემოკრატებში» რღვევისა და დაშლის მიზეზები არა მარტო გარეგანი (დევნა და სხვ.), არამედ შ ი ნ ა გ ა ნ ი ხასიათისაცაა. ძველ «გამოჩენილ მუშაკთა» დიდი რაოდენობა სავსებით დაიბნა, სრულიად ვერაფერი გაიგო ახალი ვითარებისა (სამი ივნისის სისტემის კონტრრევოლუცია); ისინი უმწეოდ «იხრებიან» დღეს მარცხნივ, ხვალ მარჯვნივ და ყველაფერში, რასაც კი ხელს ჰკიდებენ, უიმედო არევ-დარევა შეაქვთ.

ამ დაბნეულობის, უმწეობისა და აღრევის ნიმუშია ა. ვლასოვის სტატია «ლუჩის» 109-ე (195-ე) ნომერში.

ა. ვლასოვის სტატიაში არ არის არავითარი აზრი, არც ერთი ცოცხალი სიტყვა. მთლად დომხალი, უმწეო ჩანჩალი ლიკვიდატორების კუდში და მათგან გამიჯვნის უილაჯო ჭაპანწყვეტა. არ არის სწორი, თითქოს ჩვენში ზოგჯერ პარტია იქმნებოდა «უფრო ადრე», «უმუშებოდ», ანდა თითქოს «არალეგალური მუშაობა უმთავრესად (!!?) წარმოადგენდა სოციალიზმის იდეის განყენებულ (!?) პროპაგანდას». ისტორია ძველი «ისკრისა» (1900 — 1903), რომელმაც შექმნა პარტიის პროგრამა და ტაქტიკის საფუძვლები, სავსებით აბათილებს ამას. არ არის სწორი, თითქოს ახლა პარტიის ამოცანა იყოს «აშკარა მ უ შ ა ო ბ ა (!!?), მაგრამ ამ მუშაობის ფარულად ბოწყობა». აბსოლუტურად ვერ გაუგია ა. ვლასოვს, რა ლიკვი-

დატორული შინაარსი აქვს ლოზუნგს «ბრძოლა აშკარა პარტიისათვის», — თუმცა ეს «პრავდის» 108-ე (312-ე) ნომერში მეათედ არის განმარტებული ფრიად პოპულარულად.

არ არის სწორი, თითქოს «პრავდა» გვირჩევდეს «ნიმუშად ავიღოთ ძველი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა». «საჭიროა მოვხაზოთ, თუნდაც მოკლედ, ამ (ახალი) არალეგალური მუშაობის ხასიათი, ე. ი. ტაქტიკა» — სასაცილო მედიდურობით («ჩვენ, პრაქტიკოსები»!) ამბობს ა. ვლასოვი. პარტიამ უ კ ვ ე 1908 წლის დეკემბერში[31] «მოხაზა» თ ა ვ ი ს ი ტაქტიკა (ხოლო 1912[32] და 1913[33] წლებში დაადასტურა და განმარტა) და თავისი ორგანიზაცია, ნათლად აღნიშნა რა ძველი ამოცანებისა და მზადების ა ხ ა ლ ი ფორმების «ნ ი მ უ შ ი». ხოლო თუ ა. ვლასოვმა აქამდე ვერ გაიგო ეს, თავის თავს დააბრალოს: მისი ხვედრია — ლიკვიდატორობის ნაგლეჯების განმეორება, ლიკვიდატორობისა, რომელთანაც დავა წარმოებს, სხვათა შორის, სრულიადაც არა «ორგანიზაციულ საკითხზე».

«პრავდა» № 115,
1913 წ. 21 მაისი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

პლატფორმის პროექტი ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობისათვის[34]

მუშათა მოძრაობის რევოლუციური აღმავლობა რუსეთში, პოლიტიკური კრიზისის გამწვავება ჩვენს ქვეყანაში, ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში მოსალოდნელი ეკონომიური კრიზისი, მერყეობა და დაქსაქსულობა ბევრ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფსა და წრეში, — ყოველივე ეს ლატვიელ შეგნებულ მუშებს აიძულებს მიმართონ თავიანთ ამხანაგებს მოწოდებით—გაძლიერებით ემზადონ ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის მოსაწვევი IV ყრილობისათვის და გულდასმით განიხილონ ის ამოცანები, რომლებიც ახლა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წინაშეა დასახული.

ლატვიის სოციალ-დემოკრატიის სხვადასხვა ორგანიზაციის წევრთა ჯგუფი ყველა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას განსახილველ მასალად უდგენს შემდეგს პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა ს შეხედულებებისას ყველაზე დიდმნიშვნელოვან პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ეხებიან ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თვით არსებობასა და მისი მუშაობის მთელ მიმართულებას, და განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, რომლებსაც დაჟინებით უგულებელყოფს ან, ჩვენი რწმენით, უმართებულოდ წყვეტს ლატვიის სოციალ-დემოკრატიის ახლანდელი ცენტრალური კომიტეტი.

პოლიტიკური მდგომარეობისა და სოციალ-დემოკრატიის ზოგადი ტაქტიკური ამოცანების შეფასება

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ კონტრ-რევოლუციის ბატონობამ გამოიწვია სოციალ-დემოკრატიაში დიდი იდეური რღვევა და აზრის მერყეობა. ყველგან ვხვდებით სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც, ამხ. ანის[35] სწორი თქმით («ლუჩ» № 95), «ზოგი ალთას მიდის, ზოგი ბალთას». პრესაში სოციალ-დემოკრატები გამოთქვამენ შეხედულებებს, რომ მუშები არ უნდა ემზადონ რევოლუციისათვის და ისინი არც უნდა იყვნენ რევოლუციის მოლოდინში, რომ დემოკრატიული რევოლუცია დამთავრებულიაო და სხვა. ასეთ შეხედულებებზე, თუმცა ისინი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არც ერთ პასუხისმგებელ ჯგუფს ან ორგანიზაციას რამდენადმე გარკვეულად, ზუსტად და ფორმალურად არ გადმოუცია, მუდამ ამყარებენ მთელ თავიანთ ტაქტიკურ მსჯელობას ეგრეთწოდებული ლიკვიდატორები («ნაშა ზარია» და «ლუჩ»), რომლებსაც მხარს უჭერს ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ახლანდელი ცენტრალური კომიტეტი.

ამ მიმართულების პრესაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით ხან მითითებას რუსეთის ახლანდელ და ოქტომბრის წინა სახელმწიფო წყობილების პრინციპულ განსხვავებაზე (თითქოს ჩვენ უკვე არ გვესაჭიროებოდა რევოლუცია პოლიტიკური თავისუფლების საფუძვლების მოსაპოვებლად), — ხან რუსეთის სოციალ-დემოკრატების ახლანდელი ტაქტიკის შედარებას ევროპის სოციალ-დემოკრატების ტაქტიკასთან კონსტიტუციის დროს, მაგალითად, ავსტრიელებისა და გერმანელების ტაქტიკასთან XIX საუკუნის 70-იან წლებში (თითქოს რუსეთში უკვე არსებობდეს კონსტიტუცია, მილიუკოვის აზრის თანახმად), — ხან აშკარა მუშათა პარტიისა და კოალიციის თავისუფლების ლოზუნგის წამოყენებას (ლოზუნგისა, რომელიც გასაგები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური თავისუფლებისა და ბურჟუაზიული კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლები) და სხვა და ასე შემდეგ.

ასეთ პირობებში სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკური ამოცანების ზუსტად განსაზღვრასა და პოლიტიკური მდგომარეობის შეფასებაზე ხელის აღება ან ასეთი განსაზღვრისა და ასეთი შეფასების გადადება — ეს იქნებოდა არათუ ხელის აღება ბრძოლაზე უიდეობასთან, რღვევასთან, სასოწარკვეთილებასთან. მცირედმორწმუნეობასთან, არამედ პირდაპირ ხელისშეწყობა რღვევისა, არაპირდაპირი მონაწილეობის მიღება იმ შეხედულებათა მხარის დაჭერაში, რომელნიც მოითხოვენ სოციალ-დემოკრატიის ძველი, პარტიული, რევოლუციური გადაწყვეტილებების ლიკვიდაციას.

ამავე დროს რსდმ პარტიას მოეპოვება ზუსტი პარტიული პასუხი ამ საარსებო და ძირითად საკითხებზე. ეს პასუხი მოცემულია 1908 წლის დეკემბრის რეზოლუციით, რომელიც წარმოადგენს პარტიულ სავალდებულო რეზოლუციას და არავის არ გაუუქმებია.

ამ რეზოლუციის მიღების დროიდან განვლილმა წლებმა სავსებით დაადასტურა მისი სისწორე — მისი მითითებანი თვითმპყრობელობის ბუნების შეცვლაზე, ლიბერალიზმის კონტრრევოლუციურობაზე და სხვ., და მისი დასკვნა, რომ თვითმპყრობელობა, თუმცა შეახლებული, მაინც არსებობს, რომ 1905 წლის რევოლუციის გამომწვევი პირობები კვლავ მოქმედებენ, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინაშე დგას ძ ვ ე ლ ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი, რომლებიც მოითხოვენ რევოლუციურ გადაჭრას და რევოლუციურ ტაქტიკას. სათათბიროს ტრიბუნისა და ყ ვ ე ლ ა ლეგალური შესაძლებლობის გამოყენება, რასაც უეჭველად მოითხოვს რსდმ პარტიის იმავე (1908 წ. დეკემბრის) კონფერენციის გადაწყვეტილებები, უნდა ხდებოდეს ს ა ვ ს ე ბ ი თ ამ რევოლუციური ტაქტიკის შესაბამისად და რსდმ პარტიის ძველი რევოლუციური ამოცანების გ უ ლ ი ს თ ვ ი ს.

ამიტომ წინადადებას ვაძლევთ ყველა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ერთხელ კიდევ გულდასმით განიხილონ ეს რეზოლუცია, დადასტურებული, სხვათა შორის, რსდმ პარტიის 1912 წლის იანვრის კონფერენციის მიერ, და წინადადება მისცენ ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ყრილობას **გარკვეულად დაადასტუროს ეს რეზოლუცია.**

ყველა ამხანაგის სერიოზულ ყურადღებას მივაქცევთ «სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების» 1912 წლის აგვისტოს (ლიკვიდატორული) კონფერენციის არაპარტიულ საქციელს, დღის წესრიგიდან რომ მოხსნა მომენტის შეფასებისა და ზოგადი ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრის საკითხი, რითაც ფართოდ გაუღო კარი რევოლუციურ ამოცანებზე ყოველგვარ ხელისაღებას (იმ საბაბით რომ დამტკიცებული არ არის «პროგნოზი» რევოლუციის შესახებო და სხვ.).

ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ განსაკუთრებით ბუნდის წინააღმდეგ, რომელიც ასე დიდ როლს ასრულებდა აგვისტოს კონფერენციაზე და რომელიც თავის IX კონფერენციაზე რევოლუციური ამოცანების ამ უარყოფაში იქამდე მივიდა, რომ მოხსნა დემოკრატიული რესპუბლიკისა და მემამულეთა მიწების კონფისკაციის ლოზუნგი!

რსდმ პარტიის ერთიანობის საკითხი

რაც უფრო ფართოვდება მუშების ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა, მით უფრო მწვავედ გრძნობენ ისინი ერთიანობის საჭიროებას. მუშათა კლასის ერთიანობის გარეშე შეუძლებელია მისი ბრძოლის წარმატება.

რა არის ერთიანობა? ცხადია, ეს არის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთიანობა. ლატვიის ყველა სოციალ-დემოკრატი მუშები შედიან სოციალ-

დემოკრატიულ პარტიაში და მათ მშვენივრად იციან, რომ ეს პარტია არალეგალურია, იატაკქვეშ მუშაობს, რომ სხვა პარტია არ არის და არც შეიძლება იყოს.

ამიტომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ერთიანობის სხვანაირი განხორციელება სინამდვილეში (და არა სიტყვიერად), გარდა მისი განხორციელებისა ქვემოდან, თვით მუშების მიერ, მათს არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციებში.

ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ყრილობამ პირდაპირ უნდა აღიაროს სწორედ ერთიანობის ასეთი მოთხოვნა, რომელიც, სხვათა შორის, წამოაყენა რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან 1913 წლის თებერვალში გამართულმა თათბირმა.

თუ «ლუჩი» ერთიანობისადმი ასეთ მოწოდებას შეხვდა «ლენინის პარტიის» დაცინვით, თუ ბუნდმა («მუშათა მოძრაობის ებრაელ მოღვაწეთა» სახით) უარყო ეს მოწოდება, ამით «ლუჩელებმაც» და ბუნდელებმაც **დაამტკიცეს** ის, რომ ლიკვიდატორებს ეკუთვნიან.

ლატვიის სოციალ-დემოკრატი მუშები, რომლებიც საქმით და არა სიტყვით აღიარებენ არალეგალურ პარტიას, თავს არ მოიტყუებენ ლეგალური დეკლამაციებით ერთიანობის სასარგებლოდ. ვისაც ერთიანობა გინდა, მიაშურე არალეგალურ პარტიას!

დამოკიდებულება ლიკვიდატორობისადმი

ლიკვიდატორობის საკითხი, რომელიც თავდაპირველად დააყენეს პარტიის გადაწყვეტილებებმა და პრესამ საზღვარგარეთ, ახლა გამოტანილია რუსეთის ყველა შეგნებული მუშის სამსჯავროზე. ლატვიის სოციალ-დემოკრატმა მუშებმაც უნდა მიაღწიონ იმას, რომ არ იყოს თავის დაძვრენა და მომიზეზება ამ საკითხში, რომ ის ნათლად იქნას დაყენებული, ყოველმხრივ განხილული და გარკვევით გადაჭრილი.

კმარა ზღაპრები იმის შესახებ, თითქოს ლიკვიდატორები აშკარა მოძრაობის მოღვაწენი იყვნენ. ამ ზღაპრებს უარყოფენ იმის დამამტკიცებელი ფ ა ქ ტ ე ბ ი, რომ პარტიელები, ანტილიკვიდატორები, უეჭველი მომხრეები არალეგალობისა, ლიკვიდატორებზე შ ე უ დ ა რ ე ბ ლ ა დ უ ფ რ ო ძ ლ ი ე რ ი არიან აშკარა მოძრაობის ყ ვ ე ლ ა სფეროში.

ლიკვიდატორობა არის არალეგალობის, ე. ი. არალეგალური (ერთადერთი არსებული) პარტიის უარყოფა ან დაკნინება. მხოლოდ არალეგალური მუშაობა სჭედს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ტაქტიკას და შეაქვს იგი მასებში როგორც არალეგალური, ი ს ე ლ ე გ ა ლ უ რ ი პრესის ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ.

რსდმ პარტიის 1908 წლის დეკემბრისა და 1910 წლის იანვრის გადაწყვეტილებები, რომლებიც არავის გაუუქმებია და სავალდებულოა პარტიის ყოველი წევრისთვის, სავსებით ნათლად და ზუსტად აღიარებენ ლიკვიდატორობის სწორედ ასეთ შინაარსს და უეჭველად გმობენ მას.

მიუხედავად ამისა «ნაშა ზარია» და «ლუჩი» განაგრძობენ ლიკვიდატორულ ქადაგებას. «ლუჩის» მე-15 (101) ნომერში მათ ს ა მ წ უ ხ ა რ ო მოვლენად აღიარეს მუშების სიმპათიის ზრდა არალეგალობისადმი. «ნაშა ზარიას» მე-3 ნომერში (1913 წ., მარტი) ამ სტატიის ავტორმა (ლ. სედოვმა) კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ხაზგასმით აღნიშნა თავისი ლიკვიდატორობა. ეს თ ვ ი თ ა ნ მ ა ც კ ი აღიარა «ლუჩში» (№ 95)!! «ლუჩის» რედაქცია კი ანის პასუხად **ლიკვიდატორ სედოვს იცავს.**

ლატვიის სოციალ-დემოკრატმა მუშებმა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა მიაღწიონ იმას, რომ ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ყრილობამ გ ა დ ა ჭ რ ი თ დ ა გ მ ო ს «ნ ა შ ა ზ ა რ ი ა ს» და «ლ უ ჩ ი ს» ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ო ბ ა. ამ ორგანოების საქციელმა სავსებით დაადასტურა და ყოველდღე ადასტურებს რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან 1913 წლის თებერვალში გამართული თათბირის რეზოლუციას ლიკვიდატორობის შესახებ.

ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ლიკვიდატორული კონფერენციისა და ლიკვიდატორული საორგანიზაციო კომიტეტის მხარის დაჭერის საკითხი

ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ახლანდელი ცენტრალური კომიტეტი ამტკიცებს, რომ იგი მხარს უჭერს აგვისტოს კონფერენციას და საორგანიზაციო კომიტეტს არა როგორც ლიკვიდატორულ დაწესებულებებს, არამედ რსდმ პარტიის ერთიანობის გულისთვის.

მაგრამ ასეთი პასუხი ბავშვებს თუ დააკმაყოფილებს, ხოლო ლატვიელი სოციალ-დემოკრატი მუშები ბავშვები როდი არიან.

აგვისტოს კონფერენციის მომწყობნი თვითონ ეპატიჟებოდნენ პლეხანოვსა და «ვპერიოდის»[36] ჯგუფს დასწრებოდნენ მას. იანვრის კონფერენციაში არც ერთს მიუღია მონაწილეობა და არც მეორეს, ესე იგი მათ საქმით დაამტკიცეს და არა სიტყვით თავიანთი ნეიტრალობა მიმდინარეობათა ბრძოლაში.

მერე რა თქვეს ამ ნეიტრალურმა სოციალ-დემოკრატებმა? პლეხანოვმა და ალექსინსკიმ გადაჭრით აღიარეს — აგვისტოს კონფერენცია ლიკვიდატორულიაო. ამ კონფერენციის რეზოლუცია სავსებით ამტკიცებს მის ლიკვიდატორულ ხასიათს. «ლუჩმა» განაცხადა, აგვისტოს კონფერენციის გადაწყვეტილებებს ვემხრობიო, და ლიკვიდატორულ ქადაგებას ეწევა.

ვის უჭერენ მხარს რუსეთის სოციალ-დემოკრატი მუშები?

ეს დაამტკიცა სათათბიროს არჩევნებმა მუშათა კურიაში და მონაცემებმა მუშათა პრესის შესახებ.

II სათათბიროში ბოლშევიკებს მხარს უჭერდა მუშათა კურიის 47% (11 დეპუტატი 23-დან), III სათათბიროში — 50% (ოთხი 8-დან) ხოლო IV სათათბიროში — 67% (ექვსი 9-დან). ანტილიკვიდატორების მუშათა პრესას («პრავდა» და

მოსკოვის გაზეთი) მხარი დაუჭირა მუშათა 1 199 ჯგუფმა მუშათა 256 ჯგუფის წინააღმდეგ, რომელთაც «ლუჩს» დაუჭირეს მხარი.

ამრიგად, ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ახლანდელი ცენტრალური კომიტეტი — ლატვიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატი მუშების სახელით — მხარს უჭერს ლიკვიდატორებს რუსეთის სოციალ-დემოკრატი მუშების აშკარა უმრავლესობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ!

ამას საჭიროა ბოლო მოეღოს. ჩვენ ყველანი აღვიარებთ არალეგალობას და რევოლუციურ ტაქტიკას. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ამ ტაქტიკის გამტარებელ რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც მხარს უჭერს რუსეთის სოციალ-დემოკრატი მუშების დიდი უმრავლესობა რ ო გ ო რ ც არალეგალურ მუშაობაში, ი ს ე აშკარა მოძრაობაში.

ნაციონალური საკითხი

ეს საკითხი ზოგადპრინციპული დაყენებითაც სოციალიზმის თვალსაზრისით, პრაქტიკულ-ორგანიზაციულადაც (ჩვენი საკუთარი პარტიის მშენებლობა) აუცილებლად საჭიროა განიხილოს და გადაწყვიტოს ყველა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ.

ლიკვიდატორთა 1912 წლის აგვისტოს კონფერენციამ — თვით ნეიტრალური მენშევიკის პლეხანოვის აღიარებითაც კი — დ ა ა რ ღ ვ ი ა რსდმ პარტიის პროგრამა «ნაციონალიზმთან სოციალიზმის შეგუების» მიმართულებით.

მართლაც, ამ კონფერენციამ, ბუნდელების წინადადებით, შესაწყნარებლად აღიარა «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ლოზუნგი, მიუხედავად პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებისა.

ეს ლოზუნგი (რომელსაც რუსეთში ებრაული ნაციონალიზმის **ყველა ბურჟუაზიული** პარტია იცავს) ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატიის ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ს. როგორც დემოკრატები, ჩვენ უეჭველად ვებრძვით რომე-

ლიმე ეროვნების ყოველგვარ, თუნდაც სულ მცირეოდენ, ჩაგვრას, ამა თუ იმ ეროვნების ყოველგვარ პრივილეგიას. ჩვენ, როგორც დემოკრატები, მოვითხოვთ ერთა თვითგამორკვევის თავისუფლებას ამ სიტყვის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ (იხ. რსდმ პარტიის პროგრამა), ე. ი. გამოყოფის თავისუფლებას. ჩვენ მოვითხოვთ სახელმწიფოს ყველა ერის უცილობელ თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ა ს და ყოველი ეროვნული უმცირესობის უფლებათა უცილობელ დაცვას. ჩვენ მოვითხოვთ იმ ოლქების ფართო თვითმმართველობასა და ავტონომიას, რომლებიც გამიჯნულ უნდა იქნან, სხვათა შორის, ნაციონალური ნიშნის მიხედვითაც.

ყველა ეს მოთხოვნა სავალდებულოა ყოველი თანამიმდევარი დემოკრატისთვის, და მით უმეტეს სოციალისტისთვის.

მაგრამ სოციალისტები ზოგადდემოკრატიულ მოთხოვნებს როდი სჯერდებიან. სოციალისტები ე ბ რ ძ ვ ი ა ნ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი ს ყველა და ყოველგვარ, უხეშ და ოსტატურ, გამოვლინებას. სწორედ ასეთ გამოვლინებას წარმოადგენს «ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის» ლოზუნგიც, რომელიც **ერთი** ერის პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას **აერთებს**, **სხვადასხვა** ერის პროლეტარიატს **აცალკევებს**.

სოციალ-დემოკრატები ყოველთვის იდგნენ და დგანან ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი ს თვალსაზრისზე. ჩვენ მებატონეებისაგან და პოლიციური სახელმწიფოსაგან ვიცავთ ყველა ეროვნების თანასწორუფლებიანობას, ჩვენ ვიცავთ არა «ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ კ უ ლ ტ უ რ ა ს», არამედ **ინტერნაციონალურ** კულტურას, რომელშიც თვითეული ნაციონალური კულტურიდან შედის მხოლოდ ნაწილი, სახელდობრ: თვითეული ნაციონალური კულტურის მხოლოდ თანამიმდევარი დემოკრატიული და სოციალისტური შინაარსი.

«ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის» ლოზუნგი ატყუებს მუშებს ერთა კულტურული ერთიანობის აჩრდილით, მაშინ როდესაც ნამდვილად თვითეულ ერში ამჟამად სჯარ-

ბობს მემამულური, ბურჟუაზიული ან წვრილბურჟუაზიული «კულტურა».

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ნაციონალური კულტურისა — როგორც ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ერთ-ერთი ლოზუნგისა. ჩვენ მხარს ვუჭერთ ბოლომდე დემოკრატიული და სოციალისტური პროლეტარიატის ინტერნაციონალურ კულტურას.

ყველა ეროვნების მუშათა ერთიანობა და ამავე დროს ეროვნებათა უაღრესად სრული თანასწორუფლებიანობა და სახელმწიფოს უაღრესად თანამიმდევარი დემოკრატიზმი — აი ჩვენი ლოზუნგი, ისევე როგორც მთელი საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგიც. ეს ნამდვილად პროლეტარული ლოზუნგი არ ქმნის პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის «ნაციონალური» ერთიანობის ყალბ მოჩვენებას და ილუზიებს, მაშინ როდესაც «ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის» ლოზუნგი უეჭველად ქმნის ასეთ მოჩვენებას და მშრომელებში თესავს ასეთ ილუზიას.

ჩვენთვის, ლატვიელი სოციალ-დემოკრატებისთვის, რომელნიც ვცხოვრობთ ისეთ მხარეში, რომლის მოსახლეობა განსაკუთრებით აჭრელებულია ნაციონალურად, ჩვენთვის, რომელთაც გარს გვახვევია ლატვიელთა, რუსთა, ესტონელთა, გერმანელთა და სხვათა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წარმომადგენლები, — ჩვენთვის განსაკუთრებით ცხადია «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ლოზუნგის ბურჟუაზიული სიყალბე. ჩვენთვის განსაკუთრებით სანუკვარია ყველა ეროვნების მუშათა ყველა და ყოველგვარი ორგანიზაციის ერთიანობის ლოზუნგი, ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში პრაქტიკულად უკვე ნაცადი ლოზუნგი.

ხშირად «ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის» ლოზუნგს ამართლებენ ავსტრიის დამოწმებით. ამ დამოწმების გამო მხედველობაში უნდა მივიღოთ, ჯერ-ერთი, ის, რომ ნაციონალური საკითხის მთავარი ავსტრიელი თეორეტიკოსის ოტო ბაუერის თვალსაზრისი (მის წიგნში: «ნაციონალური სა-

კითხი და სოციალ-დემოკრატია») ისეთმა ფრთხილმა მწერალმაც კი, როგორიცაა კ. კაუცკი, აღიარა ნაციონალური მომენტის გ ა ზ ვ ი ა დ ე ბ ა დ და ინტერნაციონალური მომენტის ს ა შ ი ნ ე ლ შ ე უ ფ ა ს ე ბ ლ ო ბ ა დ (იხ. **K. Kautsky: «Nationalität u. Internationalität »** *. არის რუსული თარგმანი); — მეორეც, ის, რომ ჩვენში აქამდე «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას» იცავდნენ მ ხ ო ლ ო დ ბუნდელები ყველა ბურჟუაზიულ ებრაულ პარტიასთან ერთად, მაშინ როდესაც ბ ა უ ე რ ი ც და კ ა უ ც კ ი ც **არ სცნობენ** ნაციონალურ ავტონომიას ებრაელებისთვის, ხოლო კაუცკი (იქვე) პირდაპირ აცხადებს, აღმოსავლეთ ევროპის (გალიცია და რუსეთი) ებრაელები ერი კი არა, კ ა ს ტ ა არისო; — მესამე, ის, რომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ბრიუნის (1899 წ.) ნაციონალური პროგრამაც[37] მთლიანად ა რ ა სცნობს ექსტერიტორიულ (პერსონალურ) ნაციონალურ ავტონომიას, იგი მოითხოვს მხოლოდ მთელ სახელმწიფოში ერთი ეროვნების ყველა ნაციონალური ოლქის კავშირს (ბრიუნის პროგრამის § 3); მეოთხე, ის, რომ ამ აშკარად კომპრომისულმა (და ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით არადამაკმაყოფილებელმა) პროგრამამ ს რ უ ლ ი მ ა რ ცხ ი განიცადა თვით ავსტრიაში, რადგან კომპრომისმა მშვიდობა კი არ მოიტანა, არამედ ჩეხი სეპარატისტების გამოყოფა გამოიწვია; — მეხუთე, ის, რომ ეს ჩეხი სეპარატისტები, რომლებიც კოპენჰაგენის ყრილობაზე მთელმა ინტერნაციონალმა ერთხმად დაგმო, აცხადებენ, ჩვენთვის მახლობელია ბუნდის სეპარატიზმიო (იხ. **«Der čechoslavische Sozialdemokrat»** * **№ 3**, სეპარატისტების ორგანო, რომელიც უფასოდ შეიძლება მიიღოთ პ რ ა ღ ი დ ა ნ, **P r a g, Hybernska** 7); — მეექვსე, ის, რომ თვითონ ბაუერი მოითხოვს სხვადასხვა ეროვნების პოლიტიკური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთიანობას ა დ გ ი ლ ე ბ ზ ე. თვითონ ბაუერი წინააღმდეგურობით აღსავსე და არა-

* — კ. კაუცკი: «ნაციონალობა და ინტერნაციონალობა». რ ე დ.
** — «ჩეხოსლაველი სოციალ-დემოკრატი». რ ე დ.

მტკიცედ თვლის ავსტრიის პარტიის იმ «ნაციონალურ წყობას», რომელმაც ახლა მისი ს რ უ ლ ი გათიშვა გამოიწვია.

ერთი სიტყვით, ავსტრიის დამოწმება ბუნდელების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მეტყველებს და არა მათ ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ.

ყველა მუშათა ორგანიზაციაში ყველა ეროვნების მუშა სოციალ-დემოკრატების ერთიანობა ქვემოდან, სრული ერთიანობა და შეერთება ადგილებზე — აი ჩვენი ლოზუნგი. ძირს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ბურჟუაზიულ-მაცთური და კომპრომისული ლოზუნგი!

ჩვენი პარტიის წყობაშიც ჩვენ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ვართ ფედერაციისა, ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა ერის სოციალ-დემოკრატიის ადგილობრივი (და არა მარტო ცენტრალური) ორგანიზაციების ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს.

პარტიის მშენებლობაში ყრილობამ უნდა უარყოს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ლოზუნგიც და ფედერაციის პრინციპიც. ლატვიელი სოციალ-დემოკრატები, მსგავსად პოლონელი სოციალ-დემოკრატებისა, მსგავსად კავკასიელი სოციალ-დემოკრატებისა 1898 — 1912 წლების მთელ პერიოდში (პარტიის ისტორიის მთელი 14 წლის განმავლობაში) ერთგულნი უნდა დარჩნენ სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალიზმისა.

დაწერილია 1913 წ. მაისში

პირველად დაიბეჭდა ლატვიურ ენაზე **«Biletens Latwijas Sozjaldemokratijas Ahrsemju Grupu Biroja isdewums»** № 8-ის ცალკეული ანაბეჭდის სახით.

ბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა 2 — 3 გამოცემაში, ტომი XVII

კლასობრივი ბრძოლის ლიბერალური და მარქსისტული გაგების შესახებ

შენიშვნა

ლიკვიდატორმა ა. ერმანსკიმ «ნაშა ზარიაში» მეტისმეტად გულუხვად წამოანთხია ბრაზიანი სიტყვები ჩემს კრიტიკაზე, რომელიც მიმართული იყო მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის პოლიტიკური როლის საკითხში მისი (და გუშკას) თვალსაზრისის წინააღმდეგ («პროსვეშჩენიე» № 5 — 7) *.

ბ-ნი ერმანსკი ლანძღვა-გინებით და წინათ მიყენებულ «შეურაცხყოფათა» მოგონებით (მათ შორის იმ «შეურაცხყოფისა», რომელიც მიაყენეს ბ-ნ დანსა და კომპანიას, როცა ისინი ამაოდ ცდილობდნენ გაეთიშათ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ს.-პეტერბურგში 1907 წელს) ცდილობს მ ი ჩ ქ მ ა ლ ო ს საკითხის ნამდვილი დედაარსი.

მაგრამ ბ-ნ ერმანსკის მაინც ვერ მივცემთ იმის ნებას, რომ ლიკვიდატორების დაუმსახურებელ შეურაცხყოფათა და დამარცხებათა მოგონებებით მიჩქმალოს ახლანდელი დავის დედაარსი, რადგან ახლანდელი დავა ეხება მეტად დიდმნიშვნელოვან პრინციპულ საკითხს, - რომელიც მუდამ კვლავ და კვლავ დგება ათასი სხვადასხვა საბაბის გამო.

ეს არის სახელდობრ მარქსიზმის ლიბერალური გაყალბების, კლასობრივ ბრძოლაზე მარქსისტული, რევოლუციური შეხედულების ლიბერალური შეხედულებით შეცვლის საკითხი.

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 18, გვ. 50 — 71. რ ე დ.

ჩვენ მუდამ მზად ვართ განვმარტოთ ეს იდეური საფუძველი მარქსისტების მთელი დავისა ლიკვიდატორებთან.

ბ-ნი ა. ერმანსკი წერს:

««მარქსისტი» ილინი არავითარ შემთხვევაში არ გვეთანხმება საერეწველო ორგანიზაციების მოქმედებაში დაინახოს კლასობრივი ბრძოლა «საერთო-ნაციონალური მასშტაბით (ნაწილობრივ კი ინტერნაციონალური მასშტაბითაც კი)», როგორც მე (ერმანსკომ) ის დავახასიათე ჩემს სტატიაში. რატომ? იმიტომ, რომ აქ «არ არის ს ა ე რ თ ო-ნაციონალურისა და ს ა ე რ თ ო-სახელმწიფოებრივის ძირითადი ნიშანი: სახელმწიფო ხელისუფლების წყობა»»... («ნაშა ზარია», გვ. 55.)

აი საკითხის დ ე დ ა ა რ ს ი ს გადმოცემა, მოცემული სწორედ იმ ა. ერმანსკის მიერ, რომელიც არაფერს ზოგავს ამ დედაარსის გვერდის ასავლელად! თუმცა ძალიან ცდილობს დამაბრალოს მის შეხედულებათა დამახინჯება და ყოველგვარი მომაკვდინებელი ცოდვა, ძალიან წრიალებს და 1907 წლის გათიშვის მოგონებებსაც კი «ეფარება» თავის გადასარჩენად, მაგრამ სიმართლეს მაინც თავისი გააქვს.

ამრიგად, ჩემი თეზისი ცხადია: საერთო-ნაციონალურის ძირითადი ნიშანია სახელმწიფო ხელისუფლების წყობა.

თქვენ არ იზიარებთ ამ შეხედულებას, ჩემო ბრაზიანო მოწინააღმდეგევ? თქვენ არ ფიქრობთ, რომ ეს ერთადერთი მარქსისტული შეხედულებაა?

მაშინ რატომ არ ამბობთ ამას პირდაპირ? არასწორ შეხედულებას რატომ არ უპირისპირებთ სწორს? თუ, თქვენი აზრით, მხოლოდ ბრჭალებში ჩასმულ მარქსიზმს წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ საერთო-ნაციონალურის ძირითადი ნიშანი სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობაა, რატომ არ უარყოფთ ჩემს შეცდომას და ნათლად, მკაფიოდ, უფანდებოდ არ განმარტავთ მარქსიზმის თ ქ ვ ე ნ ს გაგებას?

ამ კითხვების პასუხი ცხადი გახდება, თუ მკითხველს გავაცნობთ ბ-ნ ა. ერმანსკის ზემოთ მოყვანილი მსჯელობის უშუალოდ მომდევნო ციტატს:

«ილინს უნდა, რომ რუსეთის მსხვილი ბურჟუაზია სხვანაირად აწარმოებდეს თავის კლასობრივ ბრძოლას, რომ იგი ცდილობდეს უსათუოდ

შესცვალოს მთელი სახელმწიფო წყობილება. ილინს უნდა, მაგრამ ბურჟუაზიას არ უნდა, — და, რა თქმა უნდა, ამაში დამნაშავეა «ლიკვიდატორი» ერმანსკი, რომელიც «კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ გაგებას სცვლის კლასობრივი ბრძოლის ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი გ ა გ ე ბ ი თ»».

აი ბ-ნ ერმანსკის მთელი ტირადა, რომელიც საშუალებას იძლევა თავის დამძვრენი ლიკვიდატორი დავინახოთ დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ს ა დ გ ი ლ ზ ე.

თავის დაძვრენა აშკარაა.

სწორად აღვნიშნე მე საერთო-ნაციონალურის «ძირითადი ნიშანი» თუ არა?

თვითონ ბ-ნი ა. ერმანსკი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მე სწორედ საქმის ეს დედაარსი აღვნიშნე.

და ბ-ნი ერმანსკი გაურბის პასუხს, რადგან გრძნობს, რომ გაიხლართა!

«გახლართული» ბ-ნი ერმანსკი გვერდს უვლის ჩემს მიერ აღნიშნული ძირითადი ნიშნის სისწორის თუ არასისწორის საკითხს და ამ საკითხიდან გადახტის იმ საკითხზე, თუ რა «უნდა» ილინს და ბურჟუაზიას. თუმცა ბ-ნ ერმანსკის ნახტომები ძალიან გაბედული და ძალიან თავგანწირულია, მაგრამ ამით ის მაინც ვერ დაფარავს იმას, რომ გაიხლართა.

რა შუაშია აქ «მონდომება», ჩემო მეგობარო ოპონენტო, თუ დავა ეხება კლასობრივი ბრძოლის გ ა გ ე ბ ა ს?! თქვენ თვითონ უნდა გეღიარებინათ, რომ ბრალად გდებთ მარქსისტული გ ა გ ე ბ ი ს ლიბერალური გაგებით შეცვლას და რომ მე აღვნიშნე «ძირითადი ნიშანი» მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი გაგებისა, რომელსაც საერთო-ნაციონალურ კლასობრივ ბრძოლაში შეაქვს სახელმწიფო ხელისუფლების წყობა.

ბ-ნი ა. ერმანსკი იმდენად მოუხერხებელი, თუმცა ბრაზიანი, პოლემისტია, რომ თ ა ვ ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი მ ა გ ა ლ ი თ ი თ თვალსაჩინოდ განმარტა, თუ რა კავშირი არსებობს საერთოდ ლიკვიდატორობას და კერძოდ მის, ერმანსკის, შეცდომებსა და კლასობრივი ბრძოლის ლიბერალურ გაგებას შორის!

კლასობრივი ბრძოლის საკითხი მარქსიზმის ერთ-ერთი უაღრესად ძირითადი საკითხია. ამიტომ სწორედ კლასობრივი ბრძოლის გაგებაზე ღირს უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

„ყოველგვარი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა[38], ცნობილია, რომ მარქსის ეს ღრმააზროვანი სიტყვები ლიბერალიზმის იდეებით დამონებულ ოპორტუნისტებს უკუღმართად ესმოდათ და ცდილობდნენ დამახინჯებულად განემარტათ. ოპორტუნისტების რიცხვს ეკუთვნოდნენ, მაგალითად, «ეკონომისტები», ლიკვიდატორთა უფროსი ძმები. «ეკონომისტები» ფიქრობდნენ, რომ კლასთა ყოველი შეტაკება უკვე პოლიტიკური ბრძოლაა. ამიტომ «ეკონომისტები» «კლასობრივ ბრძოლად» აღიარებდნენ წვრილმანისათვის ბრძოლას, მათ არ სურდათ დაენახათ უფრო მაღალი, განვითარებული, საერთო-ნაციონალური კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკისათვის. ამრიგად, «ეკონომისტები» აღიარებდნენ ჩანასახოვან კლასობრივ ბრძოლას და არ აღიარებდნენ მის განვითარებულ სახეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, «ეკონომისტები» კლასობრივ ბრძოლაში აღიარებდნენ მხოლოდ იმას, რაც ყველაზე უფრო შესაწყნარებელია ლიბერალური ბურჟუაზიის თვალსაზრისით და უარს ამბობდნენ გასცილებოდნენ ლიბერალებს, უარს ამბობდნენ ეღიარებინათ უფრო მაღალი, ლიბერალებისთვის მიუღებელი, კლასობრივი ბრძოლა. ამით «ეკონომისტები» ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსები ხდებოდნენ. ამით «ეკონომისტები» უარს ამბობდნენ კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ, რევოლუციურ გაგებაზე.

„შემდეგ. გარდა იმისა, რომ კლასობრივი ბრძოლა მხოლოდ მაშინ ხდება ნამდვილი, თანამიმდევარი, განვითარებული, როცა იგი პოლიტიკის სფეროს მოიცავს, პოლიტიკაშიც შეიძლება დავჯერდეთ წვრილმანებს, შეიძლება უფრო ღრმადაც წავიდეთ, თვით ძირითადამდე. მარქსიზმი კლასობრივ ბრძოლას მხოლოდ მაშინ აღიარებს სავსებით' განვითარებულად, «საერთო-ნაციონალურად», როდესაც იგი არათუ მოიცავს

პოლიტიკას, არამედ პოლიტიკაშიც ირჩევს ყველაზე არსებითს: სახელმწიფო ხელისუფლების წყობას.

პირიქით, ლიბერალიზმი, როდესაც მუშათა მოძრაობა რამდენადმე გამაგრდა, ვეღარ ბედავს უარყოს კლასობრივი ბრძოლა, მაგრამ ცდილობს შეზღუდოს, შეკვეცოს, გამოფიტოს კლასობრივი ბრძოლის გაგება. ლიბერალიზმი მზადაა აღიაროს კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკის სფეროშიც, მაგრამ ერთი პირობით, რომ მის სფეროში ა რ შედიოდეს სახელმწიფო ხელისუფლების წყობა. ძნელი არ არის იმის გაგება, თუ ბურჟუაზიის რა კლასობრივი ინტერესები იწვევენ კლასობრივი ბრძოლის გაგების ამ ლიბერალურ დამახინჯებას.

და აი, როდესაც ბ-ნი ერმანსკი მოგვითხრობდა ზომიერი და პედანტი მოხელის გუშკას ნაშრომს, ეთანხმებოდა მას და ვ ე რ შ ე ა მ ჩ ნ ი ა (ან არ სურდა დაენახა) კლასობრივი ბრძოლის გაგების ლიბერალური გამოფიტვა, მე მივუთითე ბ-ნ ერმანსკის მის ამ ძირითად თეორიულ და ზოგად-პრინციპულ შეცდომაზე. ბ-ნი ა. ერმანსკი გაჯავრდა და დაიწყო ლანძღვა-გინება, კუდის ქნევა და წრიალი, რადგან ვერ შესძლო ჩემი მითითების უარყოფა.

ამასთან ბ-ნი ა. ერმანსკი იმდენად მოუხეშავი პოლემისტი აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ამხილა თავისი თავი! «ილინს უნდა, მაგრამ ბურჟუაზიას არ უნდა», წერს ის. ახლა ჩვენ ვიცით, პროლეტარული (მარქსიზმის) და ბურჟუაზიული (ლიბერალიზმის) თვალსაზრისის რა თავისებურობა იწვევს «მონდომების» ამ სხვაობას.

ბურჟუაზიას «უნდა» შეკვეცოს კლასობრივი ბრძოლა, დაამახინჯოს და შეზღუდოს მისი გაგება, დ ა ა ჩ ლ უ ნ გ ო ს მისი სიბასრე. პროლეტარიატს «უნდა», რომ ეს თვალთმაქცობა მხილებულ იქნას. მარქსისტს უნდა, რომ მან ვინც კისრულობს მარქსიზმის სახელით ლაპარაკს ბურჟუაზიის კლასობრივ ბრძოლაზე, ა მ ხ ი ლ ო ს კლასობრივი ბრძოლის ბურჟუაზიული გ ა გ ე ბ ი ს შეზღუდულობა, და მასთან ა ნ გ ა რ ე ბ ი ა ნ ი შეზღუდულობა, და მარტო ციფრების მოყვანას არ სჯერდებოდეს, მარტო «დიდი» ციფრებით არ მო-

დიოდეს აღტაცებაში. ლიბერალს «უნდა» ისე შეაფასოს ბურ-ჟუაზია და მისი კლასობრივი ბრძოლა, რომ მ ი ჩ ქ მ ა ლ ო ს მისი შეზღუდულობა, მ ი ჩ ქ მ ა ლ ო ს ამ ბრძოლაში «ძირი-თადისა» და ყველაზე არსებითის არ-შეტანა.

ბ-ნმა ა. ერმანსკიმ ფეხი წაიტეხა იმაზე, რომ ლ ი ბ ე რ ა-ლ უ რ ა დ მსჯელობდა საინტერესო, მაგრამ ბ-ნ გუშკას მიერ უიდეოდ და მონურად შეჯამებულ ციფრებზე. ცხადია, როცა ეს გამომჟღავნებულ იქნა, ბ-ნ ა. ერმანსკის მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ ლანძღვა-გინება და წრიალი დაეწყო.

განვაგრძოთ კიდევ ციტირება ბ-ნ ა. ერმანსკის სტატიიდან იქ, სადაც ჩვენ ის შევწყვიტეთ:

«ცხადია, რომ სინამდვილეში აქ მხოლოდ მარტო ილინი ცვლის საქ-მის ნამდვილი ვითარების შესწავლას თავისი კვალიფიკაციებით და თანაც (!!) შაბლონური საზომით საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტო-რიიდან აღებული მოწაფური ნიმუშების მიხედვით».

ბ-ნ ა. ერმანსკის ისე აებნა თავგზა, რომ სულ უფრო და უფრო დაუნდობლად «იღუპავს» თავს! ის ვერ ამჩნევს, რამ-დენად გამომჟღავნებული და გამოაშკარავებულია მისი ლი-ბერალიზმი ამ გაანჩხლებული ლაშქრობით საფრანგეთის დი-დი რევოლუციის «შაბლონების» წინააღმდეგ!

ძვირფასო ბ-ნო ერმანსკი, გაიგეთ (თუმცა ამის გაგება ძალიან ძნელია ლიკვიდატორისთვის), რომ «საქმის ნამდვილ ვითარებას» ვერ «შეისწავლი», თუ ა რ გ ა უ კ ე თ ე ბ კ ვ ა-ლ ი ფ ი კ ა ც ი ა ს, არ შეაფასებ მას მარქსისტულად, ან ლიბერალურად, ან რეაქციულად და სხვ.!

კეთილი მოხელის გუშკას «შესწავლას» თქვენ, ბ-ნო ერ-მანსკი, კვალიფიკაციას უკეთებდით და კვალიფიკაციას უკე-თებთ ლიბერალურად, მე კი მარქსისტულად. ესაა მთელი დე-დაარსი. როცა თქვენ კრიტიკული ანალიზი შეაჩერეთ სახელ-მწიფო ხელისუფლების წ ყ ო ბ ი ს საკითხის ზ ღ უ რ ბ ლ ზ ე, ამით თქვენ დ ა ა მ ტ კ ი ც ე თ კლასობრივი ბრძოლის თ ქ ვ ე ნ ი გაგების ლიბერალური შეზღუდულობა.

დასამტკიცებელიც სწორედ ეს იყო.

თქვენი გალაშქრება საფრანგეთის დიდი რევოლუციის «შაბლონის» წინააღმდეგ თავით ფეხამდე გამჟღავნებთ, რადგან ყველა მიხვდება, რომ აქ შაბლონი და საფრანგეთის ნიმუში არაფერ შუაშია, — გაფიცვები, მაგალითად, ფართო მასშტაბით მ ა შ ი ნ, «შაბლონისა და ნიმუშის» პირობებში, არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, განსაკუთრებით პოლიტიკური.

საქმე ისაა, რომ, რაკი ლიკვიდატორი გახდით, თქვენ გადაეჩვიეთ რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ ი თვალსაზრისის გამოყენებას საზოგადოებრივ მოვლენათა შეფასებაში. აი სად მარხია ძაღლის თავი! მარქსი სრულიადაც არ იზღუდავდა აზრს XVIII საუკუნის დამლევის «შაბლონებით და ნიმუშებით», მაგრამ თვალსაზრისს ყოველთვის რევოლუციურს იყენებდა, კლასობრივ ბრძოლას ყოველთვის ა ფ ა ს ე ბ დ ა («კვალიფიკაციას» უკეთებდა, თუ თქვენ მოგწონთ უფრო «მეცნიერული» სიტყვა კეთილო ბ-ნო ერმანსკი!) უაღრესად ღ რ მ ა დ, ყოველთვის არკვევდა, ეხებოდა თუ არა იგი «ძირითადს», ყოველთვის ულმობელად ამათრახებდა აზრის ყოველგვარ სიმხდალეს, განუვითარებელი, გამოფიტული, ანგარებით დამახინჯებული კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარ დაფარვას.

XVIII საუკუნის დამლევს კლასობრივმა ბრძოლამ დაგვანახვა, თუ როგორ ხდება იგი პოლიტიკურ ბრძოლად, როგორ იღებს იგი ნამდვილად «საერთო-ნაციონალურ» ფორმებს. მას შემდეგ გიგანტურად შეიცვალა როგორც კაპიტალიზმის, ისე პროლეტარიატის განვითარების დონე. ძველის «შაბლონები» ვერავის შეაჩერებს შეისწავლოს, მაგალითად, ბრძოლის ახალი ფ ო რ მ ე ბ ი, რაც ნაწილობრივ უკვე აღვნიშნე ზემოთ.

მაგრამ მარქსისტის თვალსაზრისი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს მოითხოვს ღრმა და არა ზერელე შეფასებას, ყოველთვის გამოამჟღავნებს ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ დამახინჯებათა, გაურკვევლობათა, ლაჩრულ დაფარვათა უბადრუკობას.

მივესალმებით ბ-ნ ა. ერმანსკის იმის თავდადებულად და საუცხოოდ გარკვევის გამო, თუ როგორ ცვლიან ლიკვიდატორები კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ გაგებას ლიბერალური გაგებით და როგორ ივიწყებენ იმას, რომ საზოგადოებრივ მოვლენებს შეხედონ რევოლუციური თვალსაზრისით.

«პროსვეშჩენიე» № 5,
1913 წ. მაისი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» ტექსტის მიხედვით

მეფაბრიკეები მუშათა გაფიცვების შესახებ

I

პ. პ. რიაბუშინსკის მოსკოვის სტამბაში გამოვიდა საინტერესო წიგნი სათაურით «მოსკოვის სამრეწველო რაიონის მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზოგადოება 1912 წელს» (მოსკოვი, 1913 წ.). ფასი არ აწერია. ბატონ მეფაბრიკეებს არა სურთ თავიანთი გამოცემები გასაყიდად გამოუშვან.

საზოგადოების თავმჯდომარე, იული პეტრეს-ძე გუჟონი, მიმდინარე წლის 30 მარტს საზოგადოების წლიური კრების გახსნისას მიესალმა მრეწველებს მათი ორგანიზაციის «მეშვიდე ოპერაციული წლის დაწყების გამო» და თქვა, რომ ბატონმა მრეწველებმა «თავიანთი ერთიანობით დაიმსახურეს მრეწველთა კორპორაციის ძლიერების სახელი და ამ კორპორაციას შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს». «ამჟამად საზოგადოების ახალ წევრთა მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს ამ ძლიერების პრესტიჟის განმტკიცებაო», თქვა ბ-მა გუჟონმა.

როგორც ხედავთ, სიტყვა არცთუ ძალიან ჭკვიანურია, უფრო რომელიმე სამხედრო საქმისმწარმოებლის სიტყვასა ჰგავს, მაგრამ სამაგიეროდ სავსეა ამბიციით.

ვნახოთ წიგნის ფაქტიური განყოფილებები. მის მესამედ ნაწილზე მეტს (გვ. 19 — 69) შეადგენს განყოფილება, რომელიც მიეძღვნება გ ა ფ ი ც ვ ე ბ ს. 1912 წელს გაფიცულ მუშათა საერთო რიცხვს ბატონი მრეწველები ასე განსაზღვრავენ:

	გაფიცული მუშების რიცხვი	
გაფიცვათა კატეგორიები	1912 წ.	1911 წ.
ეკონომიური	**207 720**	**96 730**
მათ შორის:		
ლითონ. მრეწველობისა	64 200	17 920
საფეიქრო »	90 930	51 670
სხვა დარგთა »	52 590	27 140
პოლიტიკური	**855 000**	**8 380**
მათ შორის:		
ლენის ამბების გამო	215 000	
1 მაისის დღესასწაულის გამო	300 000	
შემოდგომის პოლიტიკური გაფიცვები	340 000	
სულ	**1 062 720**	**105 110**

ადვილი დასანახია, რომ ბატონ მრეწველთა მონაცემები შემცირებულია. მაგრამ ჯერჯერობით ამაზე არ შევჩერდებით (გამოტოვებულია ლენის ექვსი ათასი მუშის გაფიცვა, რადგან ლენის სამადნეები საფაბრიკო ინსპექციის მეთვალყურეობას არ ექვემდებარებიან), და დავუკვირდეთ მეფაბრიკეთა სტატისტიკას.

1912 წლის განმავლობაში გაფიცული მუშების რიცხვი შეადგენს რუსეთის მუშების მთელი რაოდენობის ნახევარზე მეტს, სახელდობრ 51,7%-ს. მათ შორის ეკონომიურ გაფიცვებზე მოდის მუშების მეათედი (10,1%). ხოლო პოლიტიკურზე — ოთხი მეათედი (41, 6%).

«გასული წლისთვის დამახასიათებელი იყო — წერენ ბატონი მეფაბრიკეები — პოლიტიკურ გაფიცვათა რიცხვის არაჩვეულებრივი ზრდა, რაც წამდაუწუმ აფერხებდა მუშაობის ნორმალურ მსვლელობას და მთელ მრეწველობას დაძაბულ მდგომარეობას უქმნიდა». ჩამოთვლილია უმნიშვნელოვანესი გაფიცვები წლის მეორე ნახევრისა: აგვისტო — რიგის გაფიცვა — მუშებისთვის საარჩევნო უფლებათა წართმევის წინააღმდეგ; სექტემბერი—ვარშავისა—კუტომარის კატორღაში მომხდარი ამბების გამო; ოქტომბერი — პეტერბურგისა—რწმუნებულთა არჩევნების კასაციის გამო, რეველისა — 1905 წლის

ამბების აღსანიშნავად, პეტერბურგისა სამხედრო ფლოტის მატროსების საქმეზე ცნობილი განაჩენის გამო; ნოემბერი — პეტერბურგისა — სევასტოპოლის განაჩენის გამო და სათათბიროს გახსნის დღეს, შემდეგ ერთი გაფიცვა ლ. ტოლსტოის გარდაცვალების ორი წლისთავის გამო; დეკემბერი — პეტერბურგისა — დამზღვევ დაწესებულებებში მუშების დანიშვნის გამო. აქედან ბატონ მეფაბრიკეებს გამოაქვთ დასკვნა:

«ერთიმეორის მიყოლებით დემონსტრაციულ გაფიცვათა სიხშირე, არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება და სხვადასხვა ხვედრითი წონა იმ მოტივებისა, რომელთა გამო მუშები საჭიროდ თვლიდნენ შეეწყვიტათ მუშაობა, მოწმობს არა მარტო იმას, რომ ძლიერ დაიძაბა პოლიტიკური ატმოსფერო, არამედ იმასაც, რომ დისციპლინა დაეცა ფაბრიკა-ქარხნებში». ამას მოსდევს ჩვეულებრივი მუქარა «მკაცრი ზომების» მიღებით: ჯარიმები, ჯილდოების გაუქმება, ლოკაუტები. «მშობლიური წარმოების ინტერესები — აცხადებენ მეფაბრიკეები — დაჟინებით მოითხოვს საქარხნო დისციპლინის იმ დონეზე აყვანას, როგორც ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიაო».

ბატონ მეფაბრიკეებს სურთ «დისციპლინა» ასწიონ «დასავლეთის» დონემდე, მაგრამ «პოლიტიკური ატმოსფეროს» ასეთივე აწევაზე ფიქრი არა სურთ...

შემდგომ სტატიებამდე გადავდოთ მონაცემები გაფიცულთა განაწილებისა რაიონების მიხედვით, მრეწველობის დარგებისა და გაფიცვათა შედეგების წარმატებათა მიხედვით.

II

მეფაბრიკეთა მოსკოვის საზოგადოების მონაცემები 1912 წელს გაფიცული მუშების რაიონებისა და წარმოების დარგთა მიხედვით განაწილების შესახებ ძალიან ცუდადაა დამუშავებული. საერთოდ კარგი იქნებოდა ჩვენს მილიონერებს წიგნის შედგენისა და ცხრილების შემოწმებისას თანაშემწედ რომელიმე გიმნაზიელი მაინც დაექირავებინათ. შეჯამების შეცდომები და სისულელეები მაშინვე მოგხვდება თვალში მონაცემების შედარებისას, მაგალითად, 23-ე, 26-ე და 48-ე გვერდზე. კულტურისა და ვაჭართა «ძლიერების პრესტიჟის»

შესახებ ლაპარაკი გვიყვარს, ხოლო სულ უბრალო სამუშაოს გვარიანად გაკეთება არ ვიცით.

მოგვყავს გაფიცვების — მ ხ ო ლ ო დ ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი გაფიცვების — მეფაბრიკეთა სტატისტიკა 1912 წლისა მთლიანად, ამ წლის უკანასკნელი 7 თვისა — რაიონების მიხედვით:

რაიონები	მთელი 1912 წლისა		1912 წლის უკანასკნელი 7 თვისა	
	გაფიც. მუშათა რიცხვი	გაცდ. დღეების რიცხვი (ათასებად)	გაფიც. მუშათა რიცხვი	გაცდ. დღეების რიცხვი (ათასებად)
მოსკოვის.....	60 070	799,2	48 140	730,6
ს.-პეტერბურგის.....	56 890	704,8	35 390	545.7
ბალტიისპირეთის.....	18 950	193,5	13 210	153,6
სამხრეთი.....	23 350	430,3	22 195	427,6
პოლონეთის სამეფო.....	21 120	295,7	12 690	249,9
ს უ ლ	180 380	2 423,5	131 625	2 107,4

საკმარისია თვალი გადავავლოთ ციფრებს სამხრეთის შესახებ და მაშინვე დავინახავთ მეფაბრიკეთა სტატისტიკის უვარგისობას, ე. ი. მის უკიდურეს ნაკლებობას. როგორც ჩანს, უფრო საიმედოა 1912 წლის უკანასკნელი 7 თვის ციფრები, რადგან აქ (და მხოლოდ აქ) მოყვანილია გაფიცულთა დაწვრილებითი განაწილება როგორც რაიონების მიხედვით, ისე მრეწველობის მთავარი დარგებისა და გაფიცვათა შედეგების მიხედვით.

რაიონული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ პეტერბურგის მუშები ეკონომიურ ბრძოლაშიც (პოლიტიკურ ბრძოლაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) რუსეთის ყველა მუშებზე წინ მიდიან. ს.-პეტერბურგის რაიონის გაფიცულთა რიცხვი (35 ათასი 1912 წლის უკანასკნელ 7 თვეში) შეადგენს მოსკოვის რაიონის გაფიცულთა (48 ათასი) დაახლოებით $^{3}/_{4}$-ს, ხოლო ამ რაიონში საფაბრიკო-საქარხნო მუშათა რიცხვი თ ი თ ქ მ ი ს ო თ ხ ჯ ე რ მეტია, ვიდრე პეტერბურგის რაიონში. პოლონეთის სამეფოში მუშები ცოტათი მეტი არიან, ვიდრე

ს.-პეტერბურგის რაიონში, გაფიცულნი კი თითქმის სამჯერ ნაკლები.

მოსკოვის მიმართ, რასაკვირველია, მხედველობაში უნდა მივიღოთ საფეიქრო მრეწველობის უფრო ცუდი კონიუნქტურა (ე. ი. ბაზრის პირობები), მაგრამ პოლონეთში ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა ²/₃ მოდის ფეიქრებზე, და ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ფეიქრების ამ გაფიცვებს პოლონეთში განსაკუთრებით დიდი წარმატება ჰქონდათ.

ამრიგად, 1912 წელს პეტერბურგის მუშები ერთგვარად აბამდნენ ეკონომიურ მოძრაობაში დანარჩენი რუსეთის მუშებს.

მეორე მხრივ, გაფიცვების შ ე უ პ ო ვ რ ო ბ ი თ პირველი ადგილი უჭირავთ სამხრეთსა და პოლონეთს: აქ ერთ გაფიცულზე მოდის 19 გაცდენილი დღე, პეტერბურგსა და მოსკოვში კი — 15 (ბალტიისპირეთის რაიონში — 12). საშუალოდ მთელ რუსეთში 1 გაფიცულზე მოდის 16 საგაფიცვო დღე. მეფაბრიკეთა სტატისტიკის ბატონი შემდგენელნი მთელი 1912 წლისთვის იძლევიან 13,4 დღეს. მაშასადამე, წლის მეორე ნახევარში მუშების სიმტკიცე და მათი ბრძოლის შეუპოვრობა კიდევ უფრო გაიზარდა.

შემდეგ სტატისტიკა აღნიშნავს მუშების ს ი მ ტ კ ი ც ი ს ზ რ დ ა ს საგაფიცვო ბრძოლაში. 1895 — 1904 წლებში გაფიცვების საშუალო ხანგრძლივობა 1 მუშაზე უდრის 4,8 დღეს, 1909 წელს — 6,5 დღეს, 1911 წელს — 7,5 დღეს (8. 2 დღეს პოლიტიკური გაფიცვების გამოკლებით), ხოლო 1912 წელს — 13,4 დღეს.

ამრიგად, 1912 წელი გვიჩვენებს, რომ მუშების ს ი მ ტ კ ი ც ე ეკონომიურ ბრძოლაში ი ზ რ დ ე ბ ა და გაფიცულთა რიცხვის მხრივ — მუშების რიცხვთან შედარებით — პირველი ადგილი პიტერს უკავია.

შემდგომ სტატიაში განვიხილოთ მონაცემები გაფიცვათა წარმატების შესახებ.

III

მეფაბრიკეთა სტატისტიკა იძლევა 1912 წელს გაფიცული მუშების (ეკონომიური გაფიცვები) შემდეგ განაწილებას წარმოების დარგთა მიხედვით:

წარმოების დარგები	მთელი 1912 წლისა		1912 წლის უკანასკნელ 7 თვეში	
	გაფიც. მუშების რიცხვი	გაცდენ. დღეების რიცხვი (ათასებ.)	გაფიც. მუშების რიცხვი	გაცდენ. დღეების რიცხვი (ათასებ.)
მელითონენი	57 000	807,2	40 475	763,3
ფეიქრები	85 550	1 025,8	66 590	930,6
სხვები	37 830	590,5	24 560	413,5
სულ	180 380	2 423,5	131 625	2 107,4

აქ უფრო მეტად გვხვდება თვალში მეფაბრიკეთა სტატისტიკის უკიდურესი ნაკლებობა და მისი მეტისმეტად დაუდევრად დამუშავება: გაფიცულთა ჯამი პირველ ხუთ თვეში (79 970) და უკანასკნელ შვიდ თვეში შეადგენს 211 595 და არა 180 და არა 207 ათასს!

ბატონმა მეფაბრიკეებმა თვითონვე დაამტკიცეს, რომ ისინი ამცირებენ გაფიცულთა რიცხვს.

მელითონეებს პირველი ადგილი უკავიათ მუშების საერთო რიცხვის მიმართ გაფიცულთა მხრივაც და გაფიცვათა ხანგრძლივობის მხრივაც: ერთ გაფიცულ მელითონეზე მოდის 18 საგაფიცვო დღე, ერთ ფეიქარზე — 14, ხოლო სხვა დარგებზე — 16 დღე. როგორც ვხედავთ, მეტალურგიული მრეწველობის ბაზრის უკეთესი პირობები მუშებს სრულიადაც არ აცილებენ თავიდან ბრძოლას ხელფასის მცირეოდენი მომატებისათვის!

რაც შეეხება გაფიცვების შედეგებს, მეფაბრიკეთა სტატისტიკა 1912 წელს მუშებისთვის უფრო ნაკლებ ხელსაყრელ წლად აცხადებს, ვიდრე 1911 წელს. 1911 წელს გაფიცული მუშების 49% დამარცხდა, ხოლო 1912 წელს —

52%-ო. მაგრამ ეს მონაცემები ვერ არის დამაჯერებელი, რადგან შედარებულია: მთელი 1911 წელი და 1912 წლის 7 თვე.

1912 წლის გაფიცვებს შეტევითი ხასიათი აქვთ და არა თავდაცვითი. მუშები იბრძვიან შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის და არა გაუარესების წინააღმდეგ. მაშასადამე, გაფიცულთა 52%-მა ვერ მოიპოვა გაუმჯობესება, 36%-მა სრულ ან ნაწილობრივ წარმატებას მიაღწია, გაუმჯობესება მოიპოვა, ხოლო 12%-სთვის შედეგები გაურკვეველია. უფრო საფიქრებელია, რომ მეფაბრიკეები მალავენ თავიანთ დამარცხებას ამ 12% შემთხვევაში, ვინაიდან შრომის მიმართ კაპიტალის ყოველი წარმატება მათს განსაკუთრებულ ყურადღებას და ზეიმს იწვევს.

1912 წლის უკანასკნელი 7 თვის გაფიცვათა წარმატების შედარება რაიონებისა და მრეწველობის დარგების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა.

ყველაზე ნაკლები წარმატება ჰქონდა გაფიცვებს მოსკოვის რაიონში: გაფიცულთა 75% დამარცხდა (ე. ი. ვერ მოიპოვა გაუმჯობესება); შემდეგ მიდის დამარცხებულთა 63% პეტერბურგის რაიონში, 33% სამხრეთში, 20% ბალტიისპირეთში და 11% პოლონეთში. მაშასადამე, უკანასკნელ სამ რაიონში მუშებმა უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს. ამ სამი რაიონის 48 ათასი გაფიცულიდან 27 ათასმა გაუმჯობესება მოიპოვა, გაიმარჯვა; 11 ათასი დამარცხდა; 10 ათასისთვის შედეგები გაურკვეველია.

პირიქით, პირველ ორ რაიონში (მოსკოვი და პეტერბურგი) 83 ათასი გაფიცულიდან გაიმარჯვა მხოლოდ 20 ათასმა; დამარცხდა (გაუმჯობესება ვერ მოიპოვა) 59 ათასი და შედეგები გაურკვეველია 4 ათასისათვის.

მრეწველობის დარგთა მიხედვით დამარცხებულ გაფიცულთა პროცენტი შეადგენს ფეიქრებში 66%-ს, მელითონეებში — 47%-ს და სხვებში — 30%-ს.

ბაზრის პირობები ყველაზე უარესია ფეიქრებისათვის. მოსკოვის რაიონში 38 ათასი გაფიცული ფეიქრიდან მხოლოდ 6 ათასმა გაიმარჯვა, 32 ათასი დამარცხდა; პეტერბურგში გაიმარჯვა 4 ათასმა, დამარცხდა 9 ათასი. სამაგიეროდ პოლონეთში 400 დამარცხდა და 8 ათასმა გაიმარჯვა.

გაფიცვების (ეკონომიურის) ფინანსურ შედეგებს ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მეფაბრიკეთა სტატისტიკა ასე განსაზღვრავს:

	მრეწველთა პირდაპირი ზარალი	დანაკარგი ხელფასზე	ქვეყნის დანაკარგი წარმოებაში
	(ათასობით მან.)		
მეტალურგიული მრეწველობა	558	1 145	4 959
საფეიქრო მრეწველობა	479	807	6 010
სხვა დარგები	328	529	3 818
სულ 1912 წელს	1 365	2 481	14 787
» 1911 »	402	716	4 563

სულ ორი წლის განმავლობაში მეფაბრიკეებმა იზარალეს 1,8 მილიონი მანეთი; მუშებმა დაკარგეს 3 მილიონი მანეთი; დანაკარგი წარმოებაში — 19 მილიონი მანეთი.

ბბ. მეფაბრიკეები აქ სვამენ წერტილს. ჰოი, ბრძენნო! მუშების მოგება რაღა იქნა?

ორი წლის განმავლობაში გაიმარჯვა 125 ათასმა მუშამ. მათი ერთი წლის ხელფასია — 30 მილიონი მანეთი. ისინი მოითხოვდნენ მომატებას 10%-დან 25%-მდე, ზოგჯერ კი 40%-მდეც, როგორც თვითონ მეფაბრიკეები აღიარებენ. 30 მილიონი მანეთის 10% იქნება 3 მილიონი მანეთი. მერე კიდევ სამუშაო დღის შემცირება?

რა იქნა ისეთი «ახალი» (მეფაბრიკეთა გამოთქმაა) მოთხოვნები, როგორიცაა მოთხოვნა «არ დაითხოვონ მუშები ამხანაგების დაუთანხმებლად»?

არა, ბატონო მეფაბრიკეებო! ეკონომიურადაც კი (პოლიტიკურ გაფიცვებზე რომ არაფერი ვთქვათ) მუშების მონაპოვარნი შ ი შ ი ს მ ო მ გ ვ რ ე ლ ი ა. ბურჟუაზიას არ ესმის არც მუშათა სოლიდარობა, არც პროლეტარული ბრძოლის პ ი რ ო ბ ე ბ ი.

ორი წლის განმავლობაში დაახლოებით 300 000 მუშამ ეკონომიურ ბრძოლას 3 მილიონი მანეთი შესწირა. პირდაპირი მოგება ე რ თ ბ ა შ ა დ ხვდა 125 ათას მუშას. მთელმა მუშათა კლასმა კი ნაბიჯი გადადგა წინ.

«პრავდა» №№ 123, 126, 127 და 131; 1913 წ. 30 მაისი, 2. 5 და 9 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კადეტ მაკლაკოვის სიტყვის გამო [39]

... * ლიბერალების პროგრამებსა და რეზოლუციებს.

«ლუჩის» (№ 122) მოწინავე სტატიაში ჩვენ ვხვდებით ამ საყურადღებო სიტყვის დიდად უმართებულო შეფასებას. «კადეტური დოქტრინიორობა» — აი რა დაინახა **მასში** «ლუჩ-მა». დეპუტატი მაკლაკოვი ემსგავსება ცხოველს, რომელიც საკუთარი კუდით ფარავს თავის კვალს. «თავისი სიტყვის მთელი რიგი ჩანართებით მან სავსებით მოსპო მისი ოპოზიციური შინაარსი» — და «ლუჩს» **მოჰყავს** ბ-ნ ვ. მაკლაკოვის სიტყვები, რომ «რეაქცია ისტორიული კანონია», რომ უნდა იცოდე (ბისმარკის დარიგების თანახმად) მომენტების გარჩევა, როდის უნდა მართო ლიბერალურად და როდის დესპოტურად.

«ასეთი სიტყვების წარმოთქმა შეუძლია პროფესორს», დაასკვნის «ლუჩი», «და არა პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც იცავს დემოკრატიის თვითგამორკვევის (?) უფლებას».

არა, ბ-ნი ვ. მაკლაკოვი სრულიადაც არ არის დოქტრინიორი და მისი სიტყვაც სრულიადაც არ არის პროფესორული. ხოლო იმის მოლოდინი, რომ ვ. მაკლაკოვი დემოკრატიის

---

* ხელნაწერის პირველი გვერდი ნაპოვნი არ არის. რ ე დ.

უფლებებს დაიცავს — პირდაპირ სასაცილოა. ეს არის ლიბერალურ-ბურჟუაზიული საქმოსანი, რომელიც უშიშრად ააშკარავებდა თავისი კლასის პოლიტიკის მთელ «რაობას». ბ-ნი ვ. მაკლაკოვი მთავრობას ბრალს სდებდა იმაში, რომ მას «შეეძლო გაეგო (როდესაც რევოლუცია მიწყნარდა), რით შეიძლებოდა რევოლუციის საბოლოოდ ჩაკვლა», მაგრამ ვერ გაიგოო.

«როდესაც მთავრობა იბრძვის რევოლუციის წინააღმდეგ, იგი მართალია, ეს მისი მოვალეობაა», — ამბობდა ბ-ნი ვ. მაკლაკოვი და თან დასძენდა: «ასევე მოიქცევა რევოლუციაც, როდესაც იგი გაიმარჯვებს, იგი იბრძოლებს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ» (აქ «გამოცდილ» ორატორს სასაცილოდ წამოსცდა, როცა რატომღაც მხოლოდ და მხოლოდ მომავალი დრო იხმარა). ბ-მა ვ. მაკლაკოვმა რამდენჯერმე გაიმეორა, «თავრობას ბრალს ვდებ «არა იმაში, რომ ის ებრძვის არეულობას, რევოლუციას, არამედ იმაში, რომ ებრძვის თვით წესრიგს».

ბ-ნი ვ. მაკლაკოვი სტოლიპინს ადარებდა იმ მეხანძრეს, რომელიც ცეცხლმოდებულ სახლში მინებს ამტვრევს.

აქედან ცხადად ჩანს, რომ ამ საგულისხმო სიტყვის ძირითადი კილო და მთავარი შინაარსია სრულიადაც არა პროფესორობა და დოქტრინიორობა, არამედ მხურვალე, ჯიუტი კონტრრევოლუციურობა. ამაზე მით უფრო საჭიროა შევჩერდეთ, რაც უფრო გულმოდგინედ ფარავს «კონფლიქტის» წვრილმანებზე ატეხილი საგაზეთო აურზაური საქმის დედაარსს. ლიბერალიზმის პოლიტიკას და მის კლასობრივ ფესვებს ვერ გაიგებ, თუ მისი ეს ძირითადი დამახასიათებელი თვისება ვერ შეისწავლე.

საქმის საოცარ და სასაცილო გაუგებლობას იჩენს «ლუჩი», როდესაც იგი ამბობს: «განა დოქტრინიორობის უცუდესი სახე არ არის ქედის მოხრა ბისმარკის სახელმწიფოებრივი სიბრძნის წინაშე, ბისმარკისა, რომელიც, რაც უნდა თქვან, მუდამ რკინისა და სისხლის ადამიანი იყო?»

რა შუაშია აქ დოქტრინიორობა, ბატონებო! ეს სრულიად უადგილოა. ვ. მაკლაკოვი ცხადზე უცხადესად ამბობს, რომ იწონებს «ბრძოლას არეულობასთან და რევოლუციასთან», იწონებს «მეხანძრის» მოქმედებას, და, რასაკვირველია, ვ. მაკლაკოვს მშვენივრად ესმის, რომ სწორედ ეს ნიშნავს: რკინას და სისხლს. ვ. მაკლაკოვი ცხადზე უცხადესად ამბობს, რომ ის სწორედ ასეთ პოლიტიკას უჭერს მხარს იმ პირობით, რომ მას წარმატება ექნება! მინების ჩამტვრევა საჭიროა — გვასწავლის ის — ნუ გეშინიათ მინების ჩამტვრევისა, ჩვენ არა ვართ სენტიმენტალური ხალხი, არა ვართ პროფესორები, არც დოქტრინიორები, მაგრამ ისე უნდა ჩავამტვრიოთ, როგორც ბისმარკი შვრებოდა, ე. ი. წარმატებით, უნდა განვამტკიცოთ ბურჟუაზიის კავშირი მემამულეებთან.

თქვენ კი, — მიმართავს ვ. მაკლაკოვი მთავრობას, — მინებს უმიზნოდ ამტვრევთ, როგორც ხულიგანი და არა როგორც მეხანძრე.

ბისმარკი გერმანიის კონტრრევოლუციური მემამულეების წარმომადგენელი იყო. მან შეიგნო, რომ მემამულეების ხსნა (რამდენიმე ათწლეულით) შეიძლებოდა მხოლოდ კონტრრევოლუციურ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან მტკიცე კავშირით. მან შესძლო ამ კავშირის შეკვრა, რადგან პროლეტარიატის წინააღმდეგობა სუსტი აღმოჩნდა, ხოლო იღბლიანმა ომებმა ხელი შეუწყეს მორიგი ამოცანის გადაწყვეტას: გერმანიის ნაციონალურ გაერთიანებას.

ჩვენ გვყავს კონტრრევოლუციური მემამულეები. გვყავს კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუები. ვ. მაკლაკოვი მათ შორის პირველია. თავისი სიტყვით მან დაამტკიცა, რომ მზად არის უსაზღვრო მონობა და უხამსობა გამოიჩინოს პურიშკევიჩებისა და კომპანიის წინაშე. მაგრამ «საქორწინო კავშირის» წარმატებისათვის ეს არა კმარა. უნდა გადავწყვიტოთ მორიგი ისტორიული ამოცანა, რომელიც ჩვენში ნიშნავს

არა ნაციონალურ გაერთიანებას (ეს ჩვენში **თავზე** საყრელადაა...), არამედ ა გ რ ა რ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა დ ა ჭ რ ა ს,... პროლეტარიატის უფრო ძლიერი წინააღმდეგობის პირობებში.

უბადრუკმა ლიბერალმა ვ. მაკლაკოვმა, რომელიც ოცნებობს რუსეთის ბისმარკზე, ამაზე ერთი ნათელი სიტყვის თქმაც ვერ შესძლო.

დაწერილია 1913 წ. ივნისის დამდეგს.

პირველად დაიბეჭდა 1937 წ.
ლენინის კრებულში XXX
ხელმოწერა: W.

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ლიბერალის გულახდილი სიტყვები

ამას წინათ გარდაიცვალა «რუსსკიე ვედომოსტის» [40] რედაქტორი ვ. მ. სობოლევსკი. ლიბერალები მას პატივს სცემდნენ როგორც «მტკიცე პროგრესულ მოღვაწეს». ლაპარაკობდნენ და წერდნენ მის პირად ღირსებებზე. გვერდს უვლიდნენ «რუსსკიე ვედომოსტის» პოლიტიკური მიმართულების საკითხს.

ჩვენი ლიბერალებისთვის იმაზე უფრო ხელსაყრელი არაფერია, როგორც ეს ძველი, უფერული, ზოგადი ნისლოვანი სიბურველი: «ოპოზიციურობა», «პროგრესიზმი». ხოლო რა იმალება ამ სიტყვებში, რ ა ოპოზიციურობა ახასიათებდა ამათუ იმ მოღვაწეს, რ ო მ ე ლ კლასს ემსახურებოდა ის, ამის გარჩევა არ უყვართ. ლიბერალებისთვის ეს არ არის სასიამოვნო.

მაგრამ დემოკრატია უნდა ცდილობდეს სიმართლის გაგებას. პატივი ეცით ვ. მ. სობოლევსკის სახით პროგრესისტს, ეს თქვენი უფლებაა. მაგრამ თუ გინდათ სერიოზულად ასწავლოთ ხალხს პოლიტიკა, ნუ დაივიწყებთ «რუსსკიე ვედომოსტის» მ ი მ ა რ თ უ ლ ებ ა ს, თავისებურად რომ აერთებდა მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე კადეტიზმსა და ნაროდნიკულ იერს.

ბ-ნი ლ. პანტელეევი «რეჩში» სტატიას უძღვნის ვ. მ. სობოლევსკის ხსოვნას და წერს, რომ ის იყო «დიდი სკეპტი-

კოსი იმ ძალების რაოდენობის შესახებ, რაც ჩვენს პროგრესულ საზოგადოებას მოეპოვება».

აქ ყველაფერი ბუნდოვანია. რა სახისა იყო ეს სკეპტიციზმი? რომელ საზოგადოებაზეა ლაპარაკი? ამას ფარდას ხდის ბ-ნ პანტელეევის მიერ მოყვანილი ვ. მ. სობოლევსკის სიტყვები: «რა უნდა მოგვცეს იმ საზოგადოებამ, რომლის მთავარი მასა ჯერ კიდევ სულით ხორცამდე გამსჭვალულია ბატონყმობის ტრადიციებითა და ჩვევებით? ახალი წყობილების რა მხარის დაჭერას უნდა მოველოდეთ მილიონობით ღატაკ, მშიერ, ლოთ, უმეცარ ნახევარმონებისაგან?»

ბ-მა პანტელეევმა დროულად მიიჩნია გამოექვეყნებინა ეს გულახდილი სიტყვები და ის კი ვერ შეამჩნია, რა შუქს ჰფენს ეს რუსეთის ლიბერალების დამოკიდებულებას დემოკრატიისადმი.

1905 წლის ზაფხულში «რუსსკიე ვედომოსტიმ» დაბეჭდა ბ-ნ ვინოგრადოვის, ლიბერალური მეცნიერების ამომავალი ვარსკვლავის, სტატია, სადაც ის ამტკიცებდა, ამ ნახევარმონებმა შორს არ უნდა შესტოპონ, უფრო თავმდაბალი და წყნარი უნდა იყვნენო. «რუსსკიე ვედომოსტიმ» თითქმის დანარჩენ ლიბერალურ გაზეთებზე უფრო ადრე გამოამჟღავნა თავისი სავსებით გარკვეული კონტრრევოლუციური დამოკიდებულება მოვლენებისადმი.

სკეპტიციზმიც არის და სკეპტიციზმიც. საზოგადო მოღვაწის მიმართ უნდა იკითხოთ: რ ო მ ე ლ ი კლასის მიმართ იყო ის სკეპტიკოსი? სობოლევსკი (ისე როგორც მისი «რუსსკიე ვედომოსტიც») სკეპტიკოსი და პესიმისტიც კი იყო გლეხობის მიმართ. ის ოპტიმისტი იყო მემამულეთა მიმართ: ის მათ სახავდა «რეფორმების» გამტარებლებად, «ახალი წყობილების გულწრფელ თანამგრძნობებად», «კულტურულ ადამიანებად» და სხვ.. ამ მემამულური ლიბერალიზმისა (არა ნახევრად მონურის, არამედ სავსებით მონურის) და ნაროდნიკობის ნარევი ნიშანი იყო იმ «განათლებული», შეძლებული, მაძღარი ლიბერალური საზოგადოების სიდამპლისა, რომელიც გამოლვიძე-

ბულ «მილიონობით ნახევარმონებს» ა ს წ ა ვ ლ ი დ ა მონურ მორალს და მონურ პოლიტიკას. იგი, ეს ლიბერალური საზოგადოება, «სულით ხორცამდე» მონურად მლიქვნელი იყო მემამულეების მიმართ, და «რუსსკიე ვედომოსტის» ნაროდნიკობა ყველაზე უფრო ასახავს მორჩილი გლეხისა და მოლიბერალო ბატონის პატრიარქალურ რუსეთს.

«პრავდა» № 125,
1913 წ. 1 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის [1]

(დამატებანი სახალხო განათლების საკითხისათვის)

ჩვენი სახალხო, უკაცრაული პასუხია, «განათლების» სამინისტრო მეტისმეტად იკვეხნის იმას, რომ მისი ხარჯები განსაკუთრებით სწრაფად იზრდება. პრემიერისა და ფინანსთა მინისტრის განმარტებითს ბარათში 1913 წლის ხარჯთაღრიცხვის გამო ვპოულობთ რევოლუციის შემდგომი წლების მონაცემთა შეჯამებას ვითომდა სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის შესახებ. ეს ხარჯთაღრიცხვა 1907 წლის 46 მილიონი მანეთიდან 1913 წელს 137 მილიონამდე გადიდდა. გადიდება უზარმაზარია: თითქმის ერთისამად ექვსიოდე წლის განმავლობაში!

მხოლოდ ტყუილად ივიწყებენ რუსეთის პოლიციური «წესების» თუ უწ ე ს ო ე ბ ა თ ა ჩვენი ოფიციალური მაქებარნი, რომ სასაცილოდ მცირე ციფრები მათი ზრდის პროცენტული გაანგარიშებისას ყოველთვის «უ დ ი დ ე ს ი» სისწრაფით იზრდება. თუ მათხოვარს, რომელსაც სამი კაპიკი აქვს, შაურს მისცემთ, მისი «ქონება» უცებ «უდიდესად» გაიზრდება, მთელი 167%-ით!

სამინისტრო რომ მიზნად არ ისახავდეს ხალხის გონების დ ა ბ ნ ე ლ ე ბ ა ს და რუსეთში სახალხო განათლების უბადრუკი მდგომარეობის დ ა ფ ა რ ვ ა ს, განა მას ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი ო ნ ა ც ე მ ე ბ ი არ უნდა მოეყვანა? სახელდობრ, განა ისეთი

მონაცემები არ უნდა მოეყვანა, რომლებიც ჩვენს დღევანდელ შაურს კი არ შეადარებდა გუშინდელ ჩვენს სამ კაპიკს, არამედ იმას, რაც ჩვენა გვაქვს, შეადარებდა იმას, რაც ცივილიზებულ სახელმწიფოს **ესაჭიროება?** ყველამ, ვისაც არა სურს თავი მოიტყუოს და ხალხიც მოატყუოს, უნდა აღიაროს, რომ სამინისტრო ვალდებული იყო ასეთი მონაცემები მოეყვანა, — და რადგან ასეთი მონაცემები არ მოიყვანა, სამინისტრომ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა. იმის მაგივრად, რომ ხალხისა და ხალხის წარმომადგენლებისთვის განემარტა ჩვენი სახელმწიფოებრივი საჭიროებანი, სამინისტრო აბუნდოვანებს ამ საჭიროებებს, თავს ირთობს ციფრების სულელური უგულო თამაშით, ძველი არაფრისმთქმელი ციფრების უგულოდ გადაღეჭვით.

რა თქმა უნდა, ჩემს განკარგულებაში მეასედი ნაწილიც არ არის სახალხო განათლების საქმის გაცნობის იმ საშუალებებისა და წყაროებისა, რაც სამინისტროს მოეპოვება. მაგრამ მე მაინც შევეცადე ზოგიერთი წყარო მაინც მეშოვნა. და თამამად ვამტკიცებ, რომ შემიძლია მოგიყვანოთ უდავო, ოფიციალური მონაცემები, რომლებიც ნამდვილად არკვევენ ჩვენი კაზიონური სახალხო «დაბნელების» მდგომარეობას.

ხელთა მაქვს მთავრობის ოფიციალური «ეექეგოდნიკ როსსიი» 1910 წლისა, — შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოცემა (ს.-პეტერბურგი. 1911).

მის 211-ე გვერდზე ვკითხულობ, რომ რუსეთის იმპერიის მოსწავლეთა მთელი რიცხვი, თუ შევაერთებთ ყველა სახის დაბალ, საშუალო და უმაღლეს სკოლებსა და სასწავლებლებს, 1904 წელს შეადგენდა 6 200 172 კაცს, ხოლო 1908 წელს — 7 095 351 კაცს. ზრდა აშკარაა. 1905 წელმა, რუსეთის ხალხთა მასების დიდი გამოღვიძების წელმა, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით თავისუფლებისათვის დიდი სახალხო ბრძოლის წელმა, ამ წელმა ჩვენი სახაზინო უწყებაც კი აიძულა მკვდარი წერტილიდან დაძრულიყო.

მაგრამ ნახეთ, რა უბადრუკ მდგომარეობაში ვართ ჩავარდნილი ისევ კაზიონურობის ბატონობის გამო, მებატონემემამულეთა ყოვლისშემძლეობის გამო, «საუწყებო» პროგრესის უდიდესი სისწრაფის პირობებშიც კი.

იგივე «ეჟეგოდნიკ როსსიი» იქვე ანგარიშობს, რომ რუსეთში 1 000 მცხოვრებზე მოდის 46,7 მოსწავლე 1908 წელს (1904 წელს იყო 44, 3 მოსწავლე 1 000 მცხოვრებზე).

რას გვიჩვენებს ეს ციფრი, რომელიც სახალხო განათლების სამინისტრომ დაიზარა ეცნობებინა სათათბიროსთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოცემიდან? რას გვიჩვენებს ეს პროპორცია: 50-ზე ნაკლები მოსწავლე 1 000 მცხოვრებზე?

იგი გვიჩვენებს, ბატონო კაზიონური სახალხო დაბნელების დამცველნო, რუსეთის წარმოუდგენელ ჩამორჩენილობას და ველურობას ჩვენს სახელმწიფოში მებატონემემამულეთა ყოვლისშემძლეობის გამო. რუსეთში სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა რიცხვი შეადგენს 20%-ზე მეტს. ე. ი. მთელ მცხოვრებთა რიცხვის მეხუთედზე მეტს. ამ ციფრის გაგება არ გაუჭირდებოდათ თვით ბატონ კასოსა და კოკოვცოვსაც კი თავიანთ დეპარტამენტთა მოხელეების მეშვეობით.

ამრიგად, სასკოლო ასაკის ბავშვებია 22%, მოსწავლეები კი 4, 7%, ესე იგი თითქმის ხუთჯერ ნაკლები!! ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთში ბავშვთა და მოზარდთა დაახლოებით **ოთხი მეხუთედი მოკლებულია** სახალხო განათლებას!!

ასეთი ველური ქვეყანა, სადაც ხალხის მასა ამდენად **გაძარცული** იყოს განათლების, სინათლისა და ცოდნის მხრივ, — ასეთი ქვეყანა ევროპაში არც ერთი არ დარჩენილა, გარდა რუსეთისა და ხალხის მასების, განსაკუთრებით გლეხების, ეს სიველურე შემთხვევითი კი არ არის, არამედ გარდუვალია იმ მემამულეების უღლის დროს, რომლებსაც ხელში ჩაუგდიათ ათეული მილიონობით დესეტინა მიწა, ხელში

ჩაუგდიათ სახელმწიფო ძალაუფლებაც როგორც სათათბიროში, ისე სახელმწიფო საბჭოში, და არა მარტო ამ. შედარებით კიდევ დ ა ბ ა ლ, დაწესებულებებში...

ახალგაზრდა თაობის ოთხი მეხუთედის ხვედრია უცოდინარი დარჩეს რუსეთის ბატონყმური სახელმწიფო წყობილების გამო. მემამულეთა ხელისუფლების წყალობით ხალხის გონების დაჩლუნგებას შეესაბამება წერა-კითხვის უცოდინარობა რუსეთში. მთავრობის იმავე «ეჟეგოდნიკ როსსიის» ანგარიშით (88-ე გვერდზე) რუსეთში სულ წერა-კითხვის მცოდნეა მოსახლეობის 21%, ხოლო თუ (მოსახლეობას) გამოვაკლებთ ს კ ო ლ ა მ დ ე ლ ი ასაკის ბავშვებს, ე. ი. ბავშვებს 9 წლამდე, სულ 27%.

ცივილიზებულ ქვეყნებში კი წერა-კითხვის უცოდინარნი სრულიად არ არიან, როგორც, მაგალითად, შვეციასა და დანიაში, ან წერა-კითხვის უცოდინარია სულ 1 — 2%, როგორც, მაგალითად, შვეიცარიასა და გერმანიაში. თვით ჩამორჩენილმა ავსტრია-უნგრეთმაც კი თავის სლავურ მოსახლეობას გ ა ნ უ ზ ო მ ლ ა დ უფრო კულტურული ცხოვრების პირობები შეუქმნა, ვიდრე ბატონყმურმა რუსეთმა: ავსტრიაში წერა-კითხვის უცოდინარია 39%, უნგრეთში — 50%. ამ ციფრებს უნდა ჩ ა ჰ ფ ი ქ რ ე ბ ო დ ნ ე ნ ჩვენი შოვინისტები, მემარჯვენეები, ნაციონალისტები და ოქტიაბრისტები, ისინი რომ თავიანთ «სახელმწიფოებრივ» მიზნად არ ისახავდნენ — თვითონაც გადაეჩვიონ ფიქრს და ხალხიც გადააჩვიონ. მაგრამ თუ თვითონ ისინი უკვე გადაეჩვივნენ, რუსეთის ხალხი სულ უფრო მეტად ს წ ა ვ ლ ო ბ ს ფიქრს, ფიქრს იმაზედაც, თუ რომელი კლასი არგუნებს ხვედრად რუსეთის გლეხებს მატერიალურ სიღატაკეს და სულიერ სიღატაკეს სახელმწიფოში თავისი ბატონობით.

ამერიკა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის მიხედვით მოწინავე ქვეყნებს ა რ ე კუთვნის, იქ წერა-კითხვის უცოდინარია თითქმის 11%, ზანგებში კი 44%. მაგრამ ამერიკელი ზანგები მაინც ო რ ჯ ე რ უ ფ რ ო კარგ მდგომარეობაში იმყოფე-

ბიან «სახალხო განათლების» მხრივ, ვიდრე რუსეთის გლეხები. ამერიკელი ზანგები, თუმცა, ამერიკის რესპუბლიკის სამარცხვინოდ ძალიან დაბეჩავებული არიან, მაგრამ რუსეთის გლეხებზე მაინც ბედნიერი არიან, — ხოლო უფრო ბედნიერი იმიტომ არიან, რომ ამერიკელი მონათმფლობელნი ხალხმა ნახევარი საუკუნის წინათ სასტიკად დაამარცხა, გასრისა ეს საძაგლობა, პირწმინდად აღგავა მონათმფლობელობა და მონათმფლობელური სახელმწიფო წყობილება, მონათმფლობელური პოლიტიკური პრივილეგიები ამერიკაში.

ბატონი კასოები, კოკოვცოვები და მაკლაკოვები რუს ხალხსაც შეასწავლიან, რომ მან ამერიკის მაგალითს მიჰბაძოს.

ამერიკაში 1908 წელს იყო **17 მილიონი** მოსწავლე, ესე იგი 1 9 2 მ ო ს წ ა ვ ლ ე ა თ ა ს მ ც ხ ო ვ რ ე ბ ზ ე — **ოთხჯერ უფრო** მეტი, ვიდრე რუსეთში. ორმოცდა სამი წლის წინათ, 1870 წელს, როცა ამერიკა ის-ის იყო ი წ ყ ე ბ დ ა თავისუფალი ცხოვრების' შენებას, მონათმფლობელი ზუბრებისაგან ქვეყნის გ ა წ მ ე ნ დ ი ს შემდეგ, — ორმოცდა სამი წლის წინათ ამერიკაში იყო 6 871 522 მოსწავლე, ე. ი. მეტი, ვიდრე რუსეთში 1904 წელს და **თითქმის** იმდენივე, რამდენიც რუსეთში 1908 წელს. მაგრამ მაშინაც კი, 1870 წელს, ამერიკაში 1 000 მცხოვრებზე მოდიოდა 178 (ა ს ს ა მ ო ც დ ა თ ვ რ ა მ ე ტ ი) მოსწავლე, ე. ი. ცოტაღა აკლდა, რომ ოთხჯერ უფრო მეტი ყოფილიყო, ვიდრე თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე რუსეთში.

აი, ბატონებო, ახალი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ რუსეთს **ჯერ კიდევ** მართებს ხალხის შეუპოვარი, რევოლუციური ბრძოლით მოიპოვოს ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ მოიპოვეს ამერიკელებმა.

რუსეთში სახალხო დაბნელების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა 1913 წლისთვის განსაზღვრულია 136, 7 მილიონი მანეთით. ეს ერთ მცხოვრებზე (170 მილიონი იყო 1913 წ.) შეადგენს სულ 80 კაპიკს. მაშინაც კი, თუ ავიღებთ «განათ-

ლებაზე ხაზინის ხარჯების საერთო ჯამის» იმ ციფრს, რომელსაც იძლევა ბ-ნი ფინანსთა მინისტრი ხარჯთაღრიცხვის განმარტებითი ბარათის 109-ე. გვერდზე, სახელდობრ 204,9 მილიონ მანეთს, მაინც მივიღებთ ერთ მცხოვრებზე მხოლოდ 1 მან. 20 კაპიკს. ბელგიაში, ინგლისსა და გერმანიაში სახალხო განათლების ხარჯების ჯამი შეადგენს 2 — 3 მანეთს და 3 მან. 50 კაპიკსაც კი ერთ მცხოვრებზე. ამერიკაში 1910 წელს სახალხო განათლებაზე იხარჯებოდა 426 მილიონი დოლარი, ე. ი. 852 მილიონი მანეთი, ე. ი. 9 მან. 24 კაპ. ერთ მცხოვრებზე. ორმოცდა სამი წლის წინათ, 1870 წელს, ამერიკის რესპუბლიკა სახალხო განათლებაზე ხარჯავდა 126 მილიონ მანეთს წლიურად, ე. ი. **3 მან. 30 კაპ.** ერთ მცხოვრებზე.

ჩვენ გვიპასუხებენ, რა თქმა უნდა, ოფიციალური კალმოსნები და ოფიციალური მსახურნი, რუსეთი ღარიბია, მას ფული არა აქვსო. ჰო, დიახ, რუსეთი არათუ ღარიბია, იგი ღატაკია, როდესაც სახალხო განათლებაზეა ლაპარაკი. სამაგიეროდ რუსეთი მეტად «მდიდარია» თავისი ხარჯებით ბატონყმურ სახელმწიფოზე, რომელსაც მემამულეები განაგებენ, თავისი ხარჯებით პოლიციაზე, ჯარზე, იჯარებზე და ათიათასობით ჯამაგირიან მემამულეებზე, რომელთაც «მაღალ» ხარისხამდე მიუღწევიათ, თავისი ხარჯებით ავანტიურისა და ძარცვის პოლიტიკაზე გუშინ კორეაში ან მდინარე იალუზე, დღეს მონღოლეთსა და თურქეთის სომხეთში. რუსეთი მ უ დ ა მ ღარიბი და ღატაკი იქნება ხალხის განათლებაზე ხარჯების მხრივ, ვ ი დ რ ე ხალხი იმდენად არ განათლდება, რომ კისრიდან გადაიგდოს მებატონე-მემამულეთა უღელი.

რუსეთი ღარიბია, როდესაც ლაპარაკია სახალხო მასწავლებელთა ჯამაგირზე. მათ რაღაც გროშებს უხდიან. სახალხო მასწავლებლები შიმშილობენ და იყინებიან საცხოვრებლად თითქმის სრულიად უვარგის ქოხებში, რომელთაც არც კი ათბობენ. სახალხო მასწავლებლები ცხოვრობენ პირუტყვთან ერთად, რომელიც ზამთრობით გლეხს ქოხში მიჰყავს. სახალხო

მასწავლებლებს სდევნის ყოველი ურიადნიკი, სოფლის ყოველი შავრაზმელი ან მოხალისე ჯაშუში და მაძებარი, ხელისუფალთა შარის მოდებასა და დევნაზე რომ არაფერი ვთქვათ. რუსეთი ღარიბია, რომ გასამრჯელო აძლიოს სახალხო განათლების პატიოსან მუშაკებს, მაგრამ რუსეთი მეტად მდიდარია, რომ მილიონები და ათეული მილიონები ფანტოს მუქთახორა თავადაზნაურებზე, სამხედრო ავანტიურებზე, შაქრის მექარხნეებისა და ნავთობის მეფეების მოწყალებაზე და სხვ.

კიდევ ერთი, უკანასკნელი ციფრი ამერიკის ცხოვრებიდან, ბატონებო, — რათა რუსეთის მემამულეებისა და მ ა თ ი მთავრობის მიერ დაჩაგრულ ხალხს დავანახვოთ, თ უ რ ო გ ო რ ცხოვრობს ის ხალხი, რომელმაც რევოლუციური ბრძოლით მოიპოვა თავისუფლება. 1870 წელს ამერიკაში ითვლებოდა 200 515 მასწავლებელი, რომელთა ჯამაგირი შეადგენდა 37, 8 მილიონ დოლარს, ე. ი. წლიურად ერთ მასწავლებელზე საშუალოდ მოდიოდა 189 დოლარი ანუ 3 7 7 მ ა ნ ე თ ი. ეს იყო ო რ მ ო ც ი წ ლ ი ს წინათ! ახლა კი ამერიკაში 5 2 3 2 1 0 მასწავლებელია, რომელთა ჯამაგირი შეადგენს 253,9 მილიონ დოლარს, ე. ი. ერთ მასწავლებელზე წლიურად მოდის 483 დოლარი ანუ **966 მანეთი.** რუსეთშიც, მისი საწარმოო ძალების ახლანდელ დონეზედაც კი, სავსებით შესაძლებელია უკვე ამჟამადაც უზრუნველყოთ არა ნაკლებ დამაკმაყოფილებელი ჯამაგირით იმ სახალხო მასწავლებელთა არმია, რომელნიც ეხმარებიან ხალხს თავი დააღწიოს უმეცრებას, სიბნელეს და სიბეჩავეს, — რომ... რომ რუსეთის მთელი სახელმწიფო წყობილება, თავიდან ბოლომდე გადაკეთდეს ისევე დემოკრატიულად, როგორც ამერიკისა.

ან სიღატაკე და გაველურება მებატონე-მემამულეთა ყოვლისშემძლეობის დროს, სამი ივნისის წესების თუ უწესოებათა პირობებში — ან თავისუფლება და ცივილიზაცია თავისუფლების მოპოვების უ ნ ა რ ი ს ა და გ ა მ ბ ე დ ა ო ბ ი ს შემთხვევაში, აი ის თვალსაჩინო **გაკვეთილი,** რომელსაც

ასწავლის რუსეთის მოქალაქეებს სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა.

მაგრამ აქამდე მე ვეხებოდი საკითხის თითქმის მხოლოდ მატერიალურ მხარეს ან ფინანსურ მხარესაც კი. განუზომლად უფრო სავალალოა ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უფრო საზიზღარია რუსეთის მოსწავლეთა და მასწავლებელთა სულიერი სიბეჩავის, დაკნინების, დაჩაგრულობის, უუფლებობის სურათი. ამ მხრივ სახალხო განათლების სამინისტროს მთელი საქმიანობა — ერთიანად აბუჩად აგდებაა მოქალაქეთა უფლებებისა, ხალხისა. პოლიციისაგან დევნა, პოლიციის თვითნებობა, პოლიციის მხრივ დ ა ბ რ კ ო ლ ე ბ ე ბ ი ს შექმნა საერთოდ ხალხისა და განსაკუთრებით მუშების განათლების საქმეში, პოლიციის მხრივ იმის **დანგრევა**, რასაც თვითონ ხალხი აკეთებს თავისი განათლებისათვის, — აი რას წარმოადგენს იმ სამინისტროს მ თ ე ლ ი საქმიანობა, რომლის ხარჯთაღრიცხვასაც მოიწონებენ ბატონი მემამულეები, მემარჯვენეებით დაწყებული ოქტიაბრისტებით გათავებული.

და რომ დ ა გ ი მ ტ კ ი ც ო თ, ბატონო IV სათათბიროს წევრნო, ჩემი სიტყვების სისწორე, დავასახელებ მოწმეს, რომელსაც თ ქ ვ ე ნ ც კი, ბატონო მემამულეებო, ვერ მისცემთ აცილებას. ეს მოწმეა: III და IV სახ. სათათბიროს წევრი ოქტიაბრისტი ბ-ნი კ ლ ი უ ჩ ე ვ ი, სამარის მე-2 და მე-3 ქალთა გიმნაზიის მზრუნველთა საბჭოს წევრი, სამარის საქალაქო თვითმმართველობის სასკოლო კომისიის წევრი, სამარის საგუბერნიო ერობის სარევიზიო კომისიის წევრი, სახალხო სასწავლებელთა ყოფილი ინსპექტორი. მე ჩამოვთვალე (III სათათბიროს ოფიციალური ცნობარის მიხედვით) ამ ოქტიაბრისტის ხარისხები და წოდებანი, რათა დ ა გ ი მ ტ კ ი ც ო თ, რომ თ ვ ი თ ო ნ მთავრობამ, თ ვ ი თ ო ნ ჩვენი მემამულური ერობის მემამულეებმა დააყენეს ბ-ნი კლიუჩევი უაღრესად თვალსაჩინო ადგილებზე ჩვენი სახალხო გაბრიყვების სამინისტროს «მუშაობის» (სამძებრო და საჯალათო «მუშაობის») სფეროში.

თუ კი ვინმემ განვლო კანონის მორჩილი და ღვთისმოშიში მოსამსახურე-მოხელის მთელი კარიერა, ეს, რა თქმა უნდა, ბ-მა კლიუჟევმა. თუ კი ვინმემ თავისი ერთგული სამსახურით ადგილობრივ, პროვინციაში, მოიპოვა ბატონ თავადაზნაურთა და მემამულეთა ნდობა ეს, რა თქმა უნდა, ბ-მა კლიუჟევმა.

და აი მე მოგიყვანთ რამდენიმე ციტატს ამ უაღრესად კეთილსაიმედო (ბატონყმური თვალსაზრისით) მოწმის მიერ სახალხო განათლების ხარჯთაღრიცხვის გამო **მესამე** სათათბიროში წარმოთქმული სიტყვიდან.

სამარის ერობამ — ამბობდა III სათათბიროში ბ-ნი კლიუჟევი — ე რ თ ხ მ ა დ მიიღო ბ-ნ კლიუჟევის წინადადება — აღიძრას შუამდგომლობა ზოგიერთი ორკლასიანი სასოფლო სასწავლებლის ოთხკლასიან სასწავლებლად გადაკეთების შესახებ. ოლქის მზრუნველი — ამბობს კანონის მორჩილი და ღვთისმოშიში ბ-ნი კლიუჟევი — **უარზეა.** რატომ? ოფიციალური განმარტება: «ს ა ს კ ო ლ ო ა ს ა კ ი ს ბ ა ვ შ ვ თ ა მ ც ი რ ე რ ი ც ხ ვ ი ს გ ა მ ო».

და აი ბ-ნ კლიუჟევს მოჰყავს შემდეგი შედარება: ჩ ვ ე ნ შ ი (ამბობს ის მემამულეების მიერ დაბეჩავებულ რუსეთზე), ჩვენში სამარის სოფლების 6 000 მცხოვრებზე **არც ერთი** ოთხკლასიანი სასწავლებელი არ არისო. ქალაქ სერდობოლში (ფინეთი) 2 8 0 0 მცხოვრებზე ო თ ხ ი საშუალო (და საშუალოზე მაღალი) სკოლა არისო.

ასეთია შედარება, მოყვანილი ბ-ნ ოქტიაბრისტისა და დიდად დამსახურებული პერედონოვის *... უკაცრავად, წამომცდა... დიდად დამსახურებული ბ-ნ კლიუჟევის მიერ III სათათბიროში. დაუფიქრდით ამ შედარებას, ბატონო წარმომადგენელნო, თუ სახალხო არა, მემამულეთა წარმომადგენელნო მაინც! ვინ აღძრა შუამდგომლობა სასწავლებელთა გახსნის შესახებ? მემარცხენეებმა? გლეხობამ? მუშებმა?

* პერედონოვი — ჯაშუში და ყეყეჩი მასწავლებლის ტიპი სოლოგუბის რომანში «წვრილ ფეხა ჭინკა».

ღმერთმა დაგვიფაროს!! ერთსულოვანი შუამდგომლობა აღძრა სამარის ერობამ, ე. ი. სამარის **მემამულეებმა,** მათ შორის ყველაზე შავრაზმელებმაც. ხოლო მთავრობა, მზრუნველის სახით, უარს ეუბნება იმ საბაბით, რომ სასკოლო ასაკის ბავშვთა რიცხვი «მ ც ი რ ე ა ო»!! განა მთლად და ყოველმხრივ მართალი არ ვიყავი, როცა ვთქვი, რომ მთავრობა რუსეთში ხ ე ლ ს უ შ ლ ი ს სახალხო განათლებას-მეთქი? — რომ (მთავრობა რუსეთში სახალხო განათლების უდიდესი მტერია)-მეთქი?

თუ ფინეთში ჩვენ ვხედავთ კულტურას, ცივილიზაციას, თავისუფლებას, წერა-კითხვის მცოდნეობას, განათლებულ ქალებსა და სხვ., ეს მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ იმიტომ, რომ ფინეთში **არ არის** ისეთი «საზოგადოებრივი უბედურება», როგორიცაა რუსეთის მთავრობა. ახლა უნდათ ფინეთსაც მოახვიონ თავს ეს უბედურება და ფინეთი მონურ ქვეყნად გახადონ. ვერ ეღირსებით ამას, ბატონებო!! თქვენი ცდებით — ძალით შემოიღოთ ფინეთში პოლიტიკური მონობა — მხოლოდ დააჩქარებთ რუსეთის ხალხთა პოლიტიკური მონობისგან გამოღვიძებას!

მოვიყვან კიდევ ოქტიაბრისტი მოწმის ბ-ნ კლიუევის ერთ ჩვენებას. «როგორ აგროვებენ პედაგოგებს?» — იკითხა თავის სიტყვაში ბ-მა კლიუევმა და თავის კითხვას თვითონვე გასცა შემდეგი პასუხი:

«ერთმა განსვენებულმა სამარელმა მოღვაწემ, პოპოვმა, ანდერძით დასტოვა კაპიტალი ქალთა საოსტატო სემინარიის **მოსაწყობად**». და როგორ ფიქრობთ, ვინ დანიშნეს სემინარიის **უფროსად?** აი რას წერს განსვენებული პოპოვის ანდერძის აღმსრულებელი: «ხოლო უფროსის ადგილზე დანიშნეს გ ვ ა რ დ ი ი ს გ ე ნ ე რ ლ ი ს ქ ვ რ ი ვ ი, რომელმაც, როგორც თვითონ აღიარა, პირველად გაიგონა, რომ არსებობდა სასწავლებელი ქალთა საოსტატო სემინარიის სახელწოდებით»!!

არ იფიქროთ, ბატონებო, რომ ეს ფაქტი აღებული მაქვს დემიან ბედნის იგავ-არაკთა კრებულიდან, ისეთი იგავ-არაკიდან, რომლის გულისთვის «პროსვეშჩენიე» დააჯარიმეს, ხოლო რედაქტორი საპყრობილეში ჩასვეს. არა. ეს ფაქტი აღებულია

ოქტიაბრისტ კლიუჟევის სიტყვიდან, რომელსაც ასე ეშინია (როგორც ღვთისმოშიშ და პოლიციის მოშიშ ადამიანს) ჩ ა უ ფ ი ქ რ დ ე ს ამ ფაქტის მნიშვნელობას, ვინაიდან ეს ფაქტი ისევ და ისევ უდავოდ ამტკიცებს, რომ რუსეთში სახალხო განათლების ყველაზე ბოროტი, ყველაზე შეურიგებელი მტერი რუსეთის მთავრობაა. ხოლო სახალხო განათლებისთვის კაპიტალების ბატონმა შემწირველებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი ფუჭად ფანტავენ ფულს, სრულიად ფუჭად. მათ სურთ შეწირულება გაიღონ ხალხის განათლებისთვის, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ კი ფულს აძლევენ გ ვ ა რ დ ი ი ს გ ე ნ ე რ ლ ე ბ ს და მათს ქ ვ რ ი ვ ე ბ ს. ასეთმა შემწირველებმა, თუ არ უნდათ გაანიავონ ფული, უნდა გაიგონ, რომ ფული უნდა შესწირონ სოციალ-დემოკრატებს, რადგან მ ხ ო ლ ო დ ისინი შესძლებენ ამ ფულით ხალხს შესძინონ ნ ა მ დ ვ ი ლ ი განათლება, რომელიც მართლაც არ იქნება დამოკიდებული «გვარდიის გენერლებზე»... და მშიშარა და კანონისმორჩილ ბატონ კლიუჟევებზე.

კიდევ ერთი ციტატი იმავე ბ-ნ კლიუჟევის სიტყვიდან:

«ფუჭი იყო ჩვენი სახ. სათათბიროს (მესამე სათათბიროს) სურვილი — სემინარიელების უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ. სამინისტრომ შესაძლებლად არა სცნო გამოხმაურებოდა ჩვენს სურვილს». «ესეც კია, მთავრობა უმაღლესი განათლების გზას უღობავს არა მარტო სემინარიელებს, არამედ საერთოდ გლეხთა და მდაბიო მოქალაქეთა წოდების შვილებს. ეს ლამაზი ფრაზა კი არ არის — ამბობდა სახალხო განათლების სამინისტროს ოქტიაბრისტი მოხელე — არამედ სიმართლეაო. გიმნაზიებში მოსწავლე 119 000 მოწაფიდან გლეხია მხოლოდ 18 000. ხოლო სახალხო განათლების სამინისტროს ყველა სასწავლებელში გლეხები მხოლოდ 15 პროცენტია. სასულიერო სემინარიებში 20 500 მოწაფიდან გლეხი სულ 1 300 კაცია. კადეტთა კორპუსებსა და მათ მსგავს სასწავლებლებში გლეხებს სულაც არ ღებულობენ» (ეს ციტატები კლიუჟევის სიტყვიდან, სხვათა შორის, მოყვანილია კ. დობროსერდოვის სტატიაში, 1912 წლის «ნევსკაია ზვეზდა», № 6, 1912 წლის 22 მაისი).

ასე ლაპარაკობდა III სათათბიროში ბ-ნი კლიუჟევი. ამ მოწმის ჩვენებას ვერ უარყოფენ IV სათათბიროს ბატონი მეუფენიც. მოწმე კი, თავისი ნების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და თა-

ვისი სურვილის მიუხედავად, მთლიანად ადასტურებს საერთოდ რუსეთისა და განსაკუთრებით სახალხო განათლების თანამედროვე მდგომარეობის **რევოლუციურ** შეფასებას, ვინაიდან, მართლაც, რისი ღირსია ის მთავრობა, რომელიც, მთავრობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოხელისა და ოქტიაბრისტების მმართველი პარტიის მოღვაწის თქმით, განათლების **გზას უღობავს** მდაბიო მოქალაქეებსა და გლეხებს?

აბა მოისაზრეთ, ბატონებო, რისი ღირსია ასეთი მთავრობა ამ მდაბიო მოქალაქეთა და გლეხთა თვალსაზრისით!

ნუ დაივიწყებთ, რომ მდაბიო მოქალაქენი და გლეხები რუსეთის მოსახლეობის 88 პროცენტს, ე. ი. ხალხის ცხრა მეათედზე ცოტა ნაკლებს შეადგენენ. თავადაზნაურები კი სულ **ერთნახევარი პროცენტია.** და აი, მთავრობა ართმევს ფულს ხალხის ცხრა მეათედს ყველა სახის სკოლებისა და სასწავლებლებისათვის და ამ ფულით ასწავლის თავადაზნაურთ, ხოლო მდაბიო მოქალაქეებსა და გლეხებს **გზას უღობავს!!** ნუთუ ცხადი არ არის, რისი ღირსია ეს თავადაზნაურთა მთავრობა? — ეს მთავრობა, რომელიც ჩაგრავს მოსახლეობის ცხრა მეათედს მოსახლეობის ერთი მეასედის პრივილეგიების დაცვის გულისთვის??

ბოლოს, აი უკანასკნელი ციტატი ჩემი მოწმის, სახალხო განათლების სამინისტროს ბ-ნი ოქტიაბრისტი მოხელის, III (და IV) სათათბიროს წევრის კლიუჟევის სიტყვიდან:

«1906 — 1910 წლების ხუთწლეულის განმავლობაში — ამბობს ბ-ნი კლიუჟევი — ყაზანის ოლქში სამსახურიდან დათხოვნილია საშუალო სასწავლებლებისა და სახალხო სკოლების 21 დირექტორი, სახალხო სასწავლებლების 32 ინსპექტორი, საქალაქო სასწავლებლების **1 054** მასწავლებელი, ხოლო ერთნიც და მეორენიც გადაყვანილ-გადმოყვანილია **870** კაცი. აბა იფიქრეთ, — ამბობდა ბ-ნი კლიუჟევი — როგორ შეუძლია ჩვენს მასწავლებელს მშვიდად იძინოს? ასტრახანში დაძინებული, ის დარწმუნებული არ არის, რომ ხვალ ვიატკაში არ ამოყოფს თავს. წარმოიდგინეთ კურდღელივით დაშინებული პედაგოგის ასეთი ფსიქიკური მდგომარეობა!»

ამას ამბობს არა ვინმე «მემარცხენე» მასწავლებელი, არამედ ოქტიაბრისტი. ეს მონაცემები მოჰყავს ბეჯით მოხელეს.

ეს **თქვენი** მოწმეა, ბატონო მემარჯვენეებო, ნაციონალისტებო და ოქტიაბრისტებო!! და ეს «თქვენი» მოწმე იძულებულია აღიაროს მთავრობის ფრიად აღვირახსნილი, ფრიად ურცხვი, ფრიად საძაგელი თვითნებობა მასწავლებლებთან დამოკიდებულებაში!! ეს თ ქ ვ ე ნ ი მოწმე, IV სათათბიროს და სახ. საბჭოს ბატონო მეუფენო, იძულებულია აღიაროს ის ფაქტი, რომ რუსეთში მასწავლებლები კურდღელივით **«შეშინებული»** არიან რუსეთის მთავრობის მიერ!!

და, ვეყრდნობით რა რუსეთის სინამდვილის ამ ფაქტს, მრავალი ათასი ასეთი ფაქტიდან, ვეკითხებით რუს ხალხს და რუსეთში მოსახლე ყველა ხალხს: განა მთავრობა იმისთვის გვესაჭიროება, რომ თავადაზნაურთა პრივილეგიები დაიცვას და სახალხო მასწავლებლები **«დააშინოს»**? განა ასეთი მთავრობა ღირსი არ არის იმისა, რომ იგი ხალხმა **გაადგოს?**

დიახ, რუსეთის სახალხო მასწავლებლები კურდღლებივით დაშინებული არიან! დიახ, რუსეთის მოსახლეობის ცხრა მეათედს მთავრობა განათლების გზას უღობავს. დიახ, ჩვენი სახალხო განათლების სამინისტრო არის პოლიციის დევნის, ახალგაზრდობის მასხარად აგდების, ცოდნისადმი ხალხის მისწრაფების შებილწვის სამინისტრო. მაგრამ რუსეთის გლეხები და განსაკუთრებით რუსეთის მუშები, ბატონო IV სათათბიროს წევრებო, ყველანი კ უ რ დ ღ ე ლ ს როდი ჰგვანან, სულაც არა. მუშათა კლასმა ეს დაამტკიცა 1905 წელს, და კიდევ შესძლებს დაამტკიცოს და დაამტკიცოს ბევრად უფრო დამაჯერებლად, ბევრად უფრო საფუძვლიანად, ბევრად უფრო სერიოზულად, რომ უნარი შესწევს რევოლუციური ბრძოლისა ნამდვილი თავისუფლებისათვის და ნ ა მ დ ვ ი ლ ი არა-კასოვისებური და არა-თავადაზნაურული, **სახალხო** განათლებისათვის!

დაწერილია არა უგვიანეს
1913 წ. 2 (15) ივნისისა

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
2 — 3 გამოცემებში, ტომი XVI

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სადავო საკითხები

ლია პარტია და მარქსისტები

«პრავდა» №№ 85, 95, 110, 122, 124 და 126; 1913 წ. 12, 26 აპრილი, 15, 29, 31 მაისი და 2 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება ვაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ტექსტთან კრებულის «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა», ნაწილი II, სპბ., 1914 წ.

I. 1908 წლის გადაწყვეტილება

ბევრ მუშას ის ბრძოლა, რომელიც წარმოებს «პრავდასა» და «ლუჩს» შორის, ზედმეტად და გაუგებრად მიაჩნია. ბუნებრივია, რომ გაზეთის ცალკეულ ნომრებში მოთავსებული პოლემიკური სტატიები ცალკეულ, ზოგჯერ საკმაოდ კერძო საკითხებზე სრულ წარმოდგენას არ იძლევიან ბრძოლის საგნისა და შინაარსის შესახებ. აქედან მომდინარეობს მუშების კანონიერი უკმაყოფილება.

ამავე დროს ლიკვიდატორობის საკითხი, რომლის გამოც წარმოებს ბრძოლა, ამჟამად მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და უაღრესად საარსებო საკითხია. შეგნებული მუშა ვერ იქნები, თუ საფუძვლიანად არ გაეცანი ამ საკითხს, თუ გარკვეული აზრი არა გაქვს მასზე. მუშა, რომელიც მოწადინებულია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თ ა ვ ი ს ი პარტიის ბედი, არ მოერიდება პოლემიკას, თუნდაც იგი პირველი შეხედვით არც იყოს სავსებით გასაგები, ის სერიოზულად დაიწყებს ჭეშმარიტების ძიებას და მიაგნებს კიდეც.

როგორ უნდა მიაგნო ჭეშმარიტებას? როგორ უნდა გაერკვე ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებსა და მტკიცებაში?

ყოველ გონიერ ადამიანს ესმის, რომ თუ გაცხარებული ბრძოლა წარმოებს რაიმე საგნის გამო, ჭეშმარიტების დასადგენად მოდავეთა განცხადებებს კი არ უნდა დასჯერდე, არამედ თვითონვე უნდა შეამოწმო ფ ა ქ ტ ე ბ ი და დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი, თვითონვე უნდა გაარჩიო, არსებობს თუ არა მ ო წ მ ე თ ა ჩვენება და უტყუარია თუ არა ეს ჩვენება.

უდავოა, რომ ამას ადვილად ყოველთვის ვერ იზამ. ბევრად უფრო «ადვილია» დაიჯერო ის, რასაც ყურს მოჰკრავ, რასაც გ ა ი გ ო ნ ე ბ, რაზედაც უფრო «აშკარად» გაჰყვირიან, და სხვა. ოღონდ ესაა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც ამას სჯერდებიან, «მჩატე», მსუბუქ ადამიანებს უწოდებენ, და მათ სერიოზულად არავინ უწევს ანგარიშს. განსაზღვრული დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი შრომის გაუწევლად ვერც ერთ სერიოზულ საკითხში ჭეშმარიტებას ვერ მიაგნებ, და ვინც შრომას გაურბის, ის თვითონ ისპობს ჭეშმარიტების მიგნების შესაძლებლობას.

ამიტომ ჩვენ მივმართავთ მხოლოდ იმ მუშებს, რომლებიც ამ შრომას არ გაურბიან, რომელთაც გადაუწყვეტიათ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ გაერკვნენ და შეეცადონ ი პ ო ვ ო ნ ფ ა ქ ტ ე ბ ი, დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი. მ ო წ მ ი ს ჩ ვ ე ნ ე ბ ა ნ ი.

უწინარეს ყოვლისა იბადება კითხვა, რა არის ლიკვიდატორობა? საიდან გაჩნდა ეს სიტყვა, რას ნიშნავს იგი?

«ლუჩი» ამბობს, პარტიის ლიკვიდატორობა, ესე იგი პარტიის დაშლა, დანგრევა, პარტიის უარყოფა, პირდაპირ ბოროტი ჭორიაო. ეს «ფრაქციონერმა» ბოლშევიკებმა გამოიგონეს მენშევიკების წინააღმდეგაო!

«პრავდა» ამბობს, მთელი პარტია ოთხ წელზე მეტია ლიკვიდატორობას გმობს და მას ებრძვისო.

ვინ არის მართალი? როგორ მივაგნოთ ჭეშმარიტებას?

ცხადია, ერთადერთი საშუალებაა: ვეძიოთ ფაქტები და დოკუმენტები პარტიის უკანასკნელი ოთხი წლის ი ს ტ ო რ ი ა შ ი, 1908 წლიდან 1912 წლამდე, როდესაც ლიკვიდატორები ს ა ბ ო ლ ო ო დ გ ა მ ო ე თ ი შ ნ ე ნ პარტიას.

სწორედ ეს ოთხი წელი, როდესაც ახლანდელი ლიკვიდატორები ჯ ე რ კ ი დ ე ვ პარტიაში იყვნენ, — უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდია იმის შ ე ს ა მ ო წ მ ე ბ ლ ა დ, თუ საიდან და როგორ გაჩნდა ლიკვიდატორობის ცნება.

აქედან პირველი და ძირითადი დასკვნა: ვინც ლიკვიდატორობაზე ლაპარაკობს და გვერდს უვლის პარტიის 1908 — 1911 წლების ფაქტებსა და დოკუმენტებს, ის ჭეშმარიტებას უმალავს მუშებს.

მერე როგორია პარტიის ეს ფაქტები და დოკუმენტები?

უწინარეს ყოვლისა — პარტიის გადაწყვეტილება, რომელიც მოხდა 1908 წლის დეკემბერში. მუშები, თუ არ უნდათ, რომ ისე ეპყრობოდნენ მათ, როგორც ბავშვებს, რომელთაც თავს უტენენ ზღაპრებითა და ტყუილებით, უნდა შეეკითხონ თავიანთ მრჩევლებს, ხელმძღვანელებს ან წარმომადგენლებს, იყო თუ არა 1908 წლის დეკემბერში პარტიის გადაწყვეტილება ლიკვიდატორობის საკითხზე და რაში მდგომარეობს იგი?

ეს გადაწყვეტილება გმობს ლიკვიდატორობას და განმარტავს, რაში მდგომარეობს იგი.

ლიკვიდატორობა არის «პარტიული ინტელიგენციის ერთი ნაწილის ცდები — ლიკვიდაცია უყოს» (ე. ი. დაშალოს, დაანგრიოს, გააუქმოს, შეწყვიტოს) «პარტიის არსებულ ორგანიზაციას და შესცვალოს იგი უსახო გაერთიანებით ლეგალობის» (ე. ი. კანონიერების, «აშკარად» არსებობის) «ფარგლებში რადაც უნდა დაჯდეს. თუნდაც ამან მოითხოვოს აშკარად უარყოფა პარტიის პროგრამისა, ტაქტიკისა და ტრადიციებისა» (ე.ი. წინანდელი გამოცდილებისა).

აი როგორი იყო ოთხ წელზე მეტი ხნის წინათ პარტიის გადაწყვეტილება ლიკვიდატორობის შესახებ.

ამ გადაწყვეტილებით ნათლად ჩანს, რა არის ლიკვიდატორობის დედაარსი, რატომ გმობენ მას. მისი დედაარსია «არალეგალობის» უარყოფა, მისი ლიკვიდაცია, მისი შეცვლა უსახო გაერთიანებით კანონიერების ფარგლებში რადაც უნდა დაჯდეს. მაშასადამე, პარტია გმობს არა ლეგალურ (კანონიერ) მუშაობას, არა მისი საჭიროების წამოყენებას, სრულიადაც არა. პარტია გმობს — და გმობს აუცილებ-

ლად — ძველი პარტიის შ ე ც ვ ლ ა ს რაღაც უსახო, «აშკარა» რამით, რასაც შეუძლებელია პარტია უწოდო.

პარტია ვერ იარსებებს, თუ არ დაიცვა თავისი არსებობა, თუ უსათუოდ არ ებრძოლა იმას, ვინც მის ლიკვიდაციას ახდენს, სპობს, არ სცნობს, უარყოფს მას. ეს თავისთავად ცხადია.

ვინც არსებულ პარტიას უარყოფს რაღაც ახალის გულისთვის, მას უნდა ვუთხრათ: სცადეთ, ააშენეთ ახალი პარტია, მაგრამ ძველი, ახლანდელი, არსებული პარტიის წევრი თქვენ ვერ იქნებით. ასეთია პარტიის 1908 წლის დეკემბრის გადაწყვეტილების აზრი და, ცხადია, სხვანაირი გადაწყვეტილება პარტიის არსებობის საკითხზე შეუძლებელი იქნებოდა.

ლიკვიდატორობა, რა თქმა უნდა, იდეური კავშირით არის დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი რ ე ნ ე გ ა ტ ო ბ ა ს თ ა ნ, პ რ ო გ რ ა მ ი ს ა და ტ ა ქ ტ ი კ ი ს უ ა რ ყ ო ფ ა ს თ ა ნ, ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ თ ა ნ. სწორედ ამაზე მიუთითებს ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილების ბოლო ნაწილი. მაგრამ ლიკვიდატორობა მ ხ ო ლ ო დ ოპორტუნიზმი როდია. ოპორტუნისტები პარტიას აყენებენ არასწორ, ბურჟუაზიულ გზაზე, ლიბერალური მუშათა პოლიტიკის გზაზე, მაგრამ ისინი თვით პარტიას რ ო დ ი უ ა რ ყ ო ფ ე ნ, როდი სპობენ მას. ლიკვიდატორობა ი ს ე თ ი ოპორტუნიზმია, რომელიც პარტიის უ ა რ ყ ო ფ ა მ დ ე მიდის. თავისთავად ცხადია, პარტია ვერ იარსებებს, თუ მის რიგებში ა რ ი ა ნ ისინი, ვინც მის არსებობას არა სცნობენ. არა ნაკლებ გასაგებია ისიც, რომ არსებულ პირობებში არალეგალობის უარყოფა ეს არის ძველი პარტიის უარყოფა.

იბადება კითხვა, როგორ უყურებენ ლიკვიდატორები პარტიის 1908 წლის ამ გადაწყვეტილებას?

აქ არის საკითხის დედააზრი, აქ არის ლიკვიდატორების გულწრფელობისა და პოლიტიკური პატიოსნების შემოწმება.

არც ერთი მათგანი, თუ ჭკუაზე არ შეიშალა, არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ პარტიის ასეთი გადაწყვეტილება იყო და ის არ გაუუქმებიათ.

და აი ლიკვიდატორები თავს იძვრენენ ან იმით, რომ გვერდს უვლიან საკითხს და კრინტსაც არ ძრავენ მუშების წინაშე პარტიის 1908 წლის გადაწყვეტილების შესახებ, ანდა ამბობენ (ხშირად ლანძღვის თანდართვით), ეს გადაწყვეტილება ბოლშევიკებმა გაატარესო.

მაგრამ ლანძღვა ლიკვიდატორების სისუსტეს ამჟღავნებს მხოლოდ. არსებობს პარტიის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მენშევიკებმა გაატარეს, — მაგალითად, გადაწყვეტილება მუნიციპალიზაციის შესახებ, მიღებული სტოკჰოლმში 1906 წელს[42]. ეს საყოველთაოდ ცნობილია. მრავალი ბოლშევიკი ამ გადაწყვეტილებას არ იზიარებს. მაგრამ არც ერთი მათგანი არ უარყოფს, რომ ეს პარტიის გადაწყვეტილებაა. სწორედ ასევე პარტიის გადაწყვეტილებას წარმოადგენს 1908 წლის გადაწყვეტილებაც ლიკვიდატორობის შესახებ. ყოველგვარი ფანდები ამ საკითხის გარშემო მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სურთ შეცდომაში შეიყვანონ მუშები.

ვისაც სურს პარტია სცნოს არა მარტო სიტყვიერად, ის აქ არ დაუშვებს არავითარ ფანდებს და აღადგენს ჭეშმარიტებას პარტიის გადაწყვეტილების შესახებ ლიკვიდატორობის საკითხზე. 1909 წლიდან ამ გადაწყვეტილებას მიემხრო ყველა პარტიელი მენშევიკი, პლეხანოვის მეთაურობით, რომელსაც თავის «დნევნიკშიც» და მთელ რიგ სხვა მარქსისტულ გამოცემებშიც მრავალჯერ და სავსებით გარკვეულად განუმარტავს, რომ შეუძლებელია პარტიაში დარჩეს ის, ვინც მის ლიკვიდაციას ახდენსო.

პლეხანოვი მენშევიკი იყო და მენშევიკი დარჩება. მაშასადამე, ლიკვიდატორების ჩვეულებრივი დამოწმება იმისა, რომ პარტიის 1908 წლის გადაწყვეტილებას «ბოლშევიკური» ხასიათი ჰქონდაო, ორმაგად არ არის სწორი.

რაც უფრო მეტად ლანძღავენ პლეხანოვს ლიკვიდატორები «ლუჩსა» და «ნაშა ზარიაში», მით უფრო ცხადად ამტკიცებს ეს, რომ ლიკვიდატორები მართალი არ არიან, რომ ისინი ცდილობენ ხმაურით, ყვირილითა და სკანდალით მიჩქმალონ ჭეშმარიტება. ზოგჯერ ასეთი ფანდებით ერთბაშად ხერხდება გამოუცდელი ადამიანის გაყრუება, მაგრამ მუშები მაინც გაერკვევიან თვითონ საქმის ვითარებაში და მალე შეაქცევენ ზურგს ლანძღვა-გინებას.

საჭიროა თუ არა მუშების ერთიანობა? საჭიროა.

შესაძლებელია თუ არა მუშების ერთიანობა მუშათა ორგანიზაციის ერთიანობის გარეშე? ცხადია, შეუძლებელია.

რა უშლის ხელს მუშათა პარტიის ერთიანობას? დავა ლიკვიდატორობის გამო.

მაშასადამე, მუშები უნდა გაერკვნენ ამ დავაში, რათა თ ვ ი თ ო ნ გადაწყვიტონ თავიანთი პარტიის ბედი და დ ა ი ც ვ ა ნ ი გ ი.

პირველი ნაბიჯია აქეთკენ — გაცნობა პ ა რ ტ ი ი ს პ ი რ ვ ე ლ ი გადაწყვეტილებისა ლიკვიდატორობის შესახებ. ეს გადაწყვეტილება მუშებმა მტკიცედ უნდა იცოდნენ და გულდასმით მოისაზრონ, უნდა უკუაგდონ საკითხისაგან თავის დაძვრენის ან გვერდის ავლის ყოველგვარი ცდა. ყოველი მუშა, როცა ჩაუფიქრდება ამ გადაწყვეტილებას, მიხვდება, რა არის ლიკვიდატორობის საკითხის დედაარსი, რატომ არის ეს საკითხი ასეთი მნიშვნელოვანი და ასეთი «საჭირბოროტო», რატომ დგას ეს საკითხი პარტიის წინაშე რეაქციის ეპოქის ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

შემდგომ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ პარტიის მეორე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ლიკვიდატორობის შესახებ, რომელიც მიღებული იყო დაახლოებით სამ-ნახევარი წლის წინათ, შემდეგ კი გადავალთ ფაქტებსა და დოკუმენტებზე, რომლებიც არკვევენ საკითხის ახლანდელ მდგომარეობას.

II. 1910 წლის გადაწყვეტილება

პირველ სტატიაში («პრავდა» № 289) ჩვენ მოვიყვანეთ პირველი და ძირითადი დოკუმენტი, რომელსაც საჭიროა გაეცნონ ის მუშები, რომელთაც სურთ მიაგნონ სიმართლეს ახლანდელ დავაში, სახელდობრ: პარტიის 1908 წლის დეკემბრის გადაწყვეტილება ლიკვიდატორობის საკითხზე.

ახლა ჩვენ მოვიყვანთ და განვიხილავთ პარტიის მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვან, გადაწყვეტილებას იმავე საკითხზე, მიღებულს სამ-ნახევარი წლის წინათ, 1910 წლის იანვარში. ამ გადაწყვეტილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ იგი მიღებული იყო ერთხმად: ეს გადაწყვეტილება მიიღო ყველა ბოლშევიკმა გამოუკლებლივ, შემდეგ ყველა ეგრეთწოდებულმა ვპერიოდელმა და, ბოლოს (ეს ყველაზე საყურადღებოა), გამოუკლებლივ ყველა მენშევიკმა და ახლანდელმა ლიკვიდატორებმა, აგრეთვე ყველა «ნაციონალურმა» (ე. ი. ებრაელმა, პოლონელმა და ლატვიელმა) მარქსისტმა.

მოგვყავს სრულად ამ გადაწყვეტილების ყველაზე საყურადღებო ადგილი:

«სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიული ვითარება ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ეპოქაში გარდუვალად წარმოშობს, როგორც პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოხატულებას, ერთი მხრივ, არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის უარყოფას, მისი როლისა და მნიშვნელობის დამცირებას, თანამიმდევარი სოციალ-დემოკრატიის პროგრამული და ტაქტიკური ამოცანებისა და ლოზუნგების შეკვეცის ცდებს და სხვა; მეორე მხრივ, სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის მუშაობის და ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენების უარყოფას, როგორც ერთის, ისე მეორის მნიშვნელობის გაუგებლობას. თანამედროვე მომენტის თავისებური ისტორიული პირობებისადმი თანამიმდევარი სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის შეგუების უცოდინარობას და სხვ.

ამ პირობებში სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის განუყრელ ელემენტს წარმოადგენს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველა სფეროში სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავებას გზით ორივე გადახრის გადალახვა და ამ გადახრათა საშიშროების განმარტება» [43].

ამ გადაწყვეტილებიდან ნათლად ჩანს, რომ სამ-ნახევარი წლის წინათ ყველა მარქსისტს, გამოუკლებლივ ყველა მიმდინარეობის სახით, ე რ თ ხ მ ა დ უნდა ეღიარებინა ორი გ ა დ ა ხ რ ა მარქსისტული ტაქტიკიდან. ორივე გადახრა ს ა შ ი შ ა დ იქნა აღიარებული. ორივე გადახრა ახსნილია არა შემთხვევითობით და არა ცალკეულ პირთა ბოროტი ნებით, არამედ თანამედროვე ეპოქის მუშათა მოძრაობის «ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ი თ».

ეგ კიდევ არაფერი. პარტიის ერთხმივ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია ამ გადახრათა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი წარმოშობა და მნიშვნელობა. ვინაიდან მარქსისტები რღვევისა და დაშლის ცარიელ და უშინაარსო აღნიშვნას როდი სჯერდებიან. ყველა ხედავს, რომ დემოკრატიისა და სოციალიზმის მრავალ მომხრეთა შორის გამეფებულია რღვევა, რწმენის უქონლობა, სასოწარკვეთილება. ყველანი საგონებელში ჩავარდნილან. ამის აღიარება არ კმარა. საჭიროა გავიგოთ, როგორი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი წარმოშობისაა დაქსაქსულობა და რღვევა, არაპროლეტარული წრის რა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ინტერესები ასაზრდოებენ «არეულობას» პროლეტარიატის მეგობრებში.

და პარტიის გადაწყვეტილებამ სამ-ნახევარი წლის წინათ პასუხი გასცა ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე: მარქსიზმიდან გ ა დ ა ხ რ ე ბ ს წარმოშობს «ბურჟუაზიული კონტრრევოლუცია», წარმოშობს «ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ა ვ ლ ე ნ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ზ ე».

მერე რანაირია ეს გადახრები, რომლებიც პროლეტარიატს უქმნიან ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ მოქცევის საფრთხეს? ერთ-ერთი ეს გადახრა, რომელიც დაკავშირებულია «ვპერიოდელობასთან» და უარყოფს სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის მუშაობას და ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებას, თ ი თ ქ მ ი ს რ უ ლ ი ა დ გ ა ქ რ ა. რუსეთში არც ერთი სოციალ-დემოკრატი აღარ ქადაგებს უკვე ამ შემცდარ, არამარქსისტულ შეხედულებებს. «ვპერიოდელები» (მათ

შორის ალექსინსკი და სხვ.) უკვე მუშაობენ «პრავდაში» პარტიელ მენშევიკებთან ერთად.

პარტიის გადაწყვეტილებაში აღნიშნული მეორე გადახრაკი ეს არის სწორედ ლიკვიდატორობა. ამას ცხადყოფს არალეგალობის «უარყოფა» და მისი როლისა და მნიშვნელობის «დამცირება». ბოლოს, ხელთა გვაქვს უაღრესად ზუსტი დოკუმენტი, სამი წლის წინათ გამოქვეყნებული, რომელიც არავის უარუყვია, დოკუმენტი, რომელიც მომდინარეობს ყველა «ნაციონალური» მარქსისტისა და ტროცკისაგან (მოწმეებისაგან, რომელთა უკეთესს ლიკვიდატორები ვერც კი წარმოიდგენენ); ეს დოკუმენტი პირდაპირ აცხადებს, რომ «არსებითად სასურველი იქნებოდა რეზოლუციაში აღნიშნული მიმდინარეობისათვის გვეწოდებინა ლიკვიდატორობა, რომელსაც საჭიროა ვებრძოლოთ»...

ამრიგად, აი ძირითადი და უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც უნდა იცნობდეს ყველა, ვისაც სურს გაერკვეს თანამედროვე დავაში: სამ-ნახევარი წლის წინათ პარტიამ ერთხმად აღიარა ლიკვიდატორობა «საშიშ» გადახრად მარქსიზმიდან, გადახრად, რომელსაც საჭიროა ვებრძოლოთ, რომელიც გამოხატავს «ბურჟუაზიულ გავლენას პროლეტარიატზე».

დემოკრატიის წინააღმდეგ განწყობილი, საერთოდ კონტრრევოლუციურად განწყობილი ბურჟუაზიის ინტერესები მოითხოვს პროლეტარიატის ძველი პარტიის ლიკვიდაციას, დაშლას. ბურჟუაზია ყოველნაირად ავრცელებს და მხარს უჭერს მუშათა კლასის პარტიის ლიკვიდატორობისაკენ მიმართულ ყველა იდეას. ბურჟუაზია მიისწრაფის იმისაკენ, რომ გაავრცელოს ძველი ამოცანების უარყოფა, «შეამოკლოს», შეკვეცოს, გამოფიტოს, შინაარსი გამოაცალოს მათ, რომ პურიშკევიჩებთან და კომპანიასთან შერიგება ან შეთანხმება დააყენოს მათი ძალაუფლების საფუძვლების გაბედულად თავიდან მოცილების ადგილას.

ლიკვიდატორობა ეს არის სწორედ განდგომისა და რენეგატობის ამ ბურჟუაზიული იდეების გავრცელება პროლეტარიატში.

აი როგორია ლიკვიდატორობის კლასობრივი მნიშვნელობა, აღნიშნული პარტიის ერთხმივი გადაწყვეტილებით სამ-ნახევარი წლის წინათ. აი რაში ხედავს მთელი პარტია ლიკვიდატორობის უდიდეს მავნებლობასა და საშიშროებას, მის დამღუპველ მოქმედებას მუშათა მოძრაობაზე, მუშათა კლასის დამოუკიდებელი (საქმით და არა სიტყვიერად) პარტიის დარაზმვაზე.

ლიკვიდატორობა ეს არის მუშათა კლასის ძველი პარტიის არა მარტო ლიკვიდაცია (ე. ი. დაშლა, დანგრევა), ეს არის აგრეთვე პროლეტარიატის კლასობრივი დამოუკიდებლობის დანგრევა, ბურჟუაზიული იდეებით მისი შეგნების გარყვნა.

ლიკვიდატორობის ამ შეფასებას ჩვენ თვალსაჩინოდ განვმარტავთ შემდგომ სტატიაში, სადაც მთლიანად მოყვანილი იქნება ლიკვიდატორული «ლუჩის» უმნიშვნელოვანესი მსჯელობანი. ახლა კი შევაჯამოთ მოკლედ ზემონათქვამი. საერთოდ «ლუჩელების», განსაკუთრებით კი ბატონთ დანისა და პოტრესოვის ცდები — საქმე ისე მოგვაჩვენონ, თითქოს მთელი ლიკვიდატორობა გამონაგონი იყოს, წარმოადგენს თავისი სიყალბით გასაოცარ თავდაძვრენას, რაც ნავარაუდევია «ლუჩის» მკითხველთა მხრივ საქმის ვითარების სრულ უცოდინარობაზე. სინამდვილეში კი, გარდა პარტიის 1908 წლის გადაწყვეტილებისა, არსებობს აგრეთვე პარტიის 1910 წლის ერთხმივი გადაწყვეტილება, რომელშიც ლიკვიდატორობა სრულად არის შეფასებული, როგორც პროლეტარული გზიდან მუშათა კლასისათვის საშიში და დამღუპველი ბურჟუაზიული გადახრა. ამ პარტიული შეფასების დამალვა ან გვერდის ავლა მხოლოდ მუშათა კლასის მტრებს შეუძლიათ.

III. ლიკვიდატორების დამოკიდებულება 1908 და 1910 წლების გადაწყვეტილებებისადმი

წინა სტატიაში («პრავდა» № 95 (299)) ჩვენ მოვიყვანეთ ერთხმივი პარტიული გადაწყვეტილების ზუსტი სიტყვები ლიკვიდატორობის შესახებ, როგორც პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოხატულების შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1910 წლის იანვარში. ვნახოთ ახლა როგორ იქცევიან ის ლიკვიდატორები, რომელთაც გამბედაობა შესწევთ გვიმტკიცონ ახლა, თითქოს არავითარი ლიკვიდატორობა არ იყო და არც არის.

1910 წლის თებერვალში, მაშინ ის-იყო ახლად გამოსულ ჟურნალ «ნაშა ზარიას» მე-2 ნომერში ბ-ნი პოტრესოვი პირდაპირ წერდა, რომ «პარტია, როგორც მთლიანი და ორგანიზებული იერარქია» (ე. ი. კიბე ანუ «დაწესებულებათა» სისტემა), «არ არსებობს», და რომ არ შეიძლება იმის ლიკვიდირება, «რაც სინამდვილეში უკვე არ არსებობს, როგორც ორგანიზებული მთელიო» (იხ. 1910 წლის «ნაშა ზარიას» მე-2 ნომრის 61 გვ.).

ეს ითქვა პარტიის ერთხმივი გადაწყვეტილების ერთი თვის თუ უფრო ნაკლების შემდეგ!!

1910 წლის მარტში კი ლიკვიდატორების მეორე ჟურნალი, იმავე თანამშრომლებითურთ: პოტრესოვი, დანი, მარტინოვი, ეჟოვი, მარტოვი, ლევიცკი და კომპანია, სახელდობრ ჟურნალი «ვოზროჟდენიე»[44], ხაზგასმით აღნიშნავდა და პოპულარულად განმარტავდა ბ-ნ პოტრესოვის სიტყვებს:

«სალიკვიდაციო არაფერია, და — დავუმატებთ ჩვენდათავად (ე. ი. «ვოზროჟდენიეს» რედაქცია) — ოცნება ამ იერარქიის აღდგენისა მისი ძველი, არალეგალური სახით პირდაპირ მავნე, რეაქციული უტოპიაა, რაც მომასწავებელია იმისა, რომ ოდესღაც ყველაზე რეალისტური პარტიის წარმომადგენლებს პოლიტიკური ალღო დაუკარგავთ» («ვოზროჟდენიე», 1910 წ., № 5, გვ. 51).

პარტია არ არსებობს, და მისი აღდგენა — მავნე უტოპიაა, — აი ნათელი, გარკვეული სიტყვები. აი ცხადი და პირ-

დაპირი განდგომა პარტიისაგან. პარტია უარყვეს (და მოუწოდებდნენ მუშებს უარეყოთ) ისეთმა ადამიანებმა, რომელთაც თავი დაანებეს არალეგალურ მუშაობას და «ოცნებობდნენ» აშკარა პარტიაზე.

შემდეგ არალეგალური მუშაობის ამ თავის დანებებას სრულიად გარკვევით და აშკარად უჭერდა მხარს პ. ბ. აქსელროდი 1912 წელს «ნევსკი გოლოსშიც»[45] (1912 წ., № 6) და «ნაშა ზარიაშიც» (№ 6, 1912 წ.).

«საქმის ასეთი ვითარების დროს არაფრაქციულობაზე ლაპარაკი» — წერდა პ. ბ. აქსელროდი — «ნიშნავს დაემსგავსო სირაქლემას, ნიშნავს თავიც მოიტყუო და სხვებიც მოატყუო». «ფრაქციული გაფორმება და დარაზმვა პირდაპირი ვალდებულება და გადაუდებელი მოვალეობაა პარტიული რეფორმისა ანუ, უფრო სწორად, რევოლუციის მომხრეებისა».

ამრიგად, პ. ბ. აქსელროდი აშკარა მომხრეა პ ა რ ტ ი უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა, ესე იგი ძველი პარტიის მოსპობისა და ახალი პარტიის დაარსებისა.

1913 წელს «ლუჩის» 101-ლი ნომრის ხელმოუწერელ სარედაქციო მოწინავე სტატიაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ «აქა-იქ მუშებში ცოცხლდება და მტკიცდება სიმპათია არალეგალობისადმი» და რომ ეს «ფ ა ქ ტ ი ს ა მ წ უ ხ ა რ ო ა». ამ სტატიის ავტორმა ლ. სედოვმა თვითონვე აღიარა, რომ ამ სტატიამ «უკმაყოფილება გამოიწვია» თვით «ლუჩის» ტაქტიკის მომხრეებშიო («ნაშა ზარია», 1913 წ., № 3, გვ. 49). ამასთან, თვით ლ. სედოვის განმარტება ისეთი იყო, რომ ახალი უკმაყოფილება გამოიწვია ისევ «ლუჩის» მომხრესი, სახელდობრ ანისა, რომელიც «ლუჩის» 181-ლ ნომერში წერს სედოვის წინააღმდეგ. ანი პროტესტს აცხადებს სედოვის ვარაუდის წინააღმდეგ, თითქოს «არალეგალობა ხელს უშლის ჩვენი მოძრაობის პოლიტიკურ გაფორმებას, მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის აშენებას». ანი სასაცილოდ იგდებს ლ. სედოვს, რომელსაც «ვერ გაურკვევია», სასურველია თუ არა არალეგალობა.

«ლუჩის» რედაქციამ ანის სტატიას დაურთო ვრცელი ბოლოსიტყვაობა, სადაც ის სედოვს უჭერს მხარს და ანს «ამტყუნებს ლ. სედოვის კრიტიკაში».

თავის ადგილას ჩვენ გავარჩევთ «ლუჩის» რედაქციის მსჯელობასაც და თვით ანის ლიკვიდატორულ შეცდომებსაც. ახლა ამაზე არ არის ლაპარაკი. ახლა გულდასმით უნდა შევაფასოთ ძირითადი და მთავარი დასკვნა ჩვენს მიერ მოყვანილი დოკუმენტებიდან *.

მთელი პარტია როგორც 1908, ისე 1910 წელშიც გმობს და უარყოფს ლიკვიდატორობას, დაწვრილებით და მკაფიოდ განმარტავს, რაში მდგომარეობს ამ მიმდინარეობის კლასობრივი წყარო და მისი საშიშროება. ყველა ლიკვიდატორული გაზეთი და ჟურნალი: «ვოზროჟდენიეც» (1909 — 1910), «ნაშა ზარიაც» (1910 — 1913), «ნევსკი გოლოსიც» (1912), «ლუჩიც» (1912 — 1913) **, ყველანი იმეორებენ,

---

* კრებულში «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა» ლენინმა ეს აბზაცი, სიტყვამდე «ძირითადი», შემდგომი ტექსტით შეცვალა (იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით):

««ჟივაია ჟიზნის» მე-8 ნომერში (1913 წ. 19 ივლისს) ვ. ზასულიჩი იმეორებდა მრავალ ლიკვიდატორულ მსჯელობას და წერდა: «ძნელია თქმა, ხელს უწყობდა თუ ხელს უშლიდა ახალი ორგანიზაცია (სოციალ-დემოკრატიული პარტია)... მუშაობას». ცხადია, ეს სიტყვები უდრის პარტიის უარყოფას. ვ. ზასულიჩი ამართლებს პარტიიდან გაქცევას, როცა ამბობს: ორგანიზაციები ცარიელდებოდნენ «იმიტომ, რომ იმ მომენტში იქ გასაკეთებელი არაფერი იყო». ვ. ზ. პარტიის ნაცვლად ქმნის «ფართო ფენის» წმინდა ანარქისტულ თეორიას. ამ თეორიის დაწვრილებით გარჩევა იხილე 1913 წლის «პროსვეშჩენიეს» მე-9 ნომერში (იხ. ეს ტომი, გვ. 465 — 492. რ ე დ.).

მაშ რაში მდგომარეობს...» რ ე დ.

** კრებულში «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა» დამატებულია: ««ნოვაია რაბოჩაია გაზეტაც» (1913 — 1914)» შემდეგი შენიშვნით სქოლიოში:

«იხ., მაგალითად, 1914 წლის «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» № 1, საახალწლო მოწინავე სტატია: «გზა ამკარა პოლიტიკური მოქმედების პარტიისაკენ ამავე დროს არის გზა პარტიული ერთიანობისაკენ» (ღია პარტიის მშენებელთა ერთიანობისაკენ?). ან 1914 წლის № 5: «დაძლევა

პარტიის ფრიად გარკვეულ და ერთხმივ გადაწყვეტილებათა შ ე მ დ ე გ, ისეთ აზრებს და მსჯელობას, რომლებიც ა შ კ ა რ ა დ ლიკვიდატორულია.

თ ვ ი თ «ლ უ ჩ ი ს» მ ო მ ხ რ ე ე ბ ი ც კ ი ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა რ ი ა ნ განაცხადონ, რომ არ ეთანხმებიან ამ მსჯელობას, ამ ქადაგებას. ეს ფაქტია. მაშასადამე, ყვირილი ლიკვიდატორების «დევნაზე», როგორც ამას სჩადის ტროცკი, სემკოვსკი და ლიკვიდატორობის სხვა მრავალი მფარველი, პირდაპირ არაკეთილსინდისიერებაა, რადგან ეს ჭეშმარიტების აშკარა დამახინჯებაა.

ჭეშმარიტება, დამტკიცებული ჩემს მიერ მოყვანილი დოკუმენტებით, რომლებიც ხ უ თ წ ე ლ ზ ე მეტხანს ეხება (1908 — 1913), იმაში მდგომარეობს, რომ ლიკვიდატორები, პარტიის ყველა გადაწყვეტილების დასაცინად, განაგრძობენ პარტიის, ე. ი. «არალეგალობის» ლანძღვა-გინებას და დევნას.

ეს ჭეშმარიტება ყოველმა მუშამ, რომელსაც სურს თ ვ ი თ ო ნ გაერკვეს მთელი სერიოზულობით პარტიის სადავო და საჭირბოროტო საკითხებში, თ ვ ი თ ო ნ გადაწყვიტოს ეს საკითხები, — ეს ჭეშმარიტება ყოველმა მუშამ უნდა შეიგნოს და ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, დამოუკიდებლად უნდა მიიღოს ზომები პარტიის ზემომოყვანილ გადაწყვეტილებათა და ლიკვიდატორების მსჯელობათა შესასწავლად და შესამოწმებლად. მხოლოდ ის არის ღირსი პარტიის წევრისა და მუშათა პარტიის შემოქმედის სახელწოდებისა, ვინც გულდასმით სწავლობს, უფიქრდება და დამოუკიდებლად სწყვეტს თავისი პარტიის საკითხებსა და ბ ე დ ს. არ შეიძლება გულგრილად მოეკიდო საკითხს — პარტიას მიუძღვის «ბრალი» ლიკვიდატორების «დევნაში» (ე. ი. მეტად მკაცრ და უმართე-

---

(ყველა იმ დაბრკოლებისა, რასაც უქმნიან მუშათა ყრილობების მოწყობას) სხვა არა არის რა, თუ არა ნამდვილი ბრძოლა კოალიციის თავისუფლებისათვის, ე. ი. მუშათა მოძრაობის ლეგალობისათვის, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აშკარა არსებობისათვის ბრძოლასთან». რ ე დ.

ბულო თავდასხმაში), თუ ლიკვიდატორებს მიუძღვით ბრალი პარტიის დადგენილებათა პირდაპირ დარღვევაში, პარტიის ლიკვიდაციის, ე. ი. დანგრევის დაჟინებით ქადაგებაში.

ცხადია, პარტია ვერ იარსებებს, თუ მთელი ძალღონით არ იბრძოლა პარტიის დამანგრეველთა წინააღმდეგ.

მოვიყვანეთ რა დოკუმენტები ამ ძირითად საკითხზე, შემდგომ სტატიაში გადავალთ «ღია პარტიის» ქადაგების იდეური შინაარსის შეფასებაზე.

IV. ლიკვიდატორობის კლასობრივი მნიშვნელობა

წინა სტატიებში («პრავდა» №№ 289, 299 და 314) ცხადვყავით, რომ ყველა მარქსისტმა როგორც 1908, ისე 1910 წელს მტკიცედ დაგმო ლიკვიდატორობა, როგორც წარსულის უარყოფა. მარქსისტებმა მუშათა კლასს განუმარტეს, რომ ლიკვიდატორობა არის პროლეტარიატში ბურჟუაზიული გავლენის გატარება. ხოლო ყველა ლიკვიდატორული გამოცემა, 1909-დან დაწყებული 1913 წლამდე, აშკარად არღვევდა და არღვევს მარქსისტთა გადაწყვეტილებებს.

ვნახოთ ლოზუნგი: «ღია მუშათა პარტია» ანუ «ბრძოლა ღია პარტიისათვის», რომელსაც დღემდე იცავენ ლიკვიდატორები «ლუჩსა» და «ნაშა ზარიაში».

ეს ლოზუნგი მარქსისტული, პროლეტარულია, თუ ლიბერალური, ბურჟუაზიული?

ამ კითხვის პასუხი უნდა ვეძიოთ არა ლიკვიდატორთა ან სხვა ჯგუფთა განწყობილებებსა და გეგმებში, — არამედ მიმდინარე ეპოქის რუსეთის საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობის ანალიზში. ლოზუნგების მნიშვნელობას განსაზღვრავს არა მათი ავტორების განზრახვები, არამედ სწორედ ქვეყნის ყველა კლასის ძალთა თანაფარდობა.

მენატონე-მემამულეები და მათი «ბიუროკრატია» მტრულად ეკიდებიან ყოველგვარ ცვლილებას პოლიტიკური თავისუფლების მხრივ. ეს გასაგებიცაა. ჩამორჩენილ და ნახევ-

რადბატონყმურ ქვეყანაში ბურჟუაზიას თავისი ეკონომიური მდგომარეობით არ შეუძლია არ ესწრაფოდეს თავისუფლებას. მაგრამ ბურჟუაზიას ხალხის აქტიურობისა უ ფ რ ო მ ე ტ ა დ ეშინია, ვიდრე რეაქციისა. ეს ჰეშმარიტება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დაამტკიცა 1905 წელმა; ეს მშვენივრად გაიგო მუშათა კლასმა; ეს ვერ გაიგეს მხოლოდ ოპორტუნისტულმა და ნახევრადლიბერალურმა ინტელიგენტებმა.

ბურჟუაზია — ლიბერალური და კონტრრევოლუციურია. აქედან გამომდინარეობს მისი სასაცილოდ უძლური და უბადრუკი რ ე ფ ო რ მ ი ზ მ ი. რეფორმებზე ოცნება და შიში სერიოზული ანგარიშის გასწორებისა მებატონეებთან, რომელნიც არათუ არ იძლევიან რეფორმებს, არამედ უკვე მოცემულთაც გვართმევენ. რეფორმების ქადაგება და შიში სახალხო მოძრაობისა. მისწრაფება მებატონეთა გაძევებისა — და შიში მ ა თ ი დახმარების დაკარგვისა, შიში ს ა კ უ თ ა რ ი პრივილეგიების დაკარგვისა. კლასთა ამ თანაფარდობაზეა აგებული 3 ივნისის სისტემა, რომელიც ანიჭებს ყოვლისშემძლეობას მებატონეებს და პრივილეგიებს — ბურჟუაზიას.

პროლეტარიატის კლასობრივი მდგომარეობა სრულიად გამორიცხავს მისთვის პრივილეგიების «გაზიარების» შესაძლებლობას ან იმის შ ი შ ს, რომ ვინმე ამ პრივილეგიებს დაკარგავს. ამიტომ ვიწრო-ანგარებიანი, უბადრუკი და გონებაჩლუნგი რეფორმიზმი სრულიად უცხოა პროლეტარიატისთვის. ხოლო გლეხთა მასა, — რომელიც, ერთი მხრივ, უსაზღვროდ დაჩაგრულია და პრივილეგიების ნაცვლად შიმშილობას ხედავს, ხოლო მეორე მხრივ, უეჭველად წვრილბურჟუაზიულია, — გარდუვალად მერყეობს ლიბერალებსა და მუშებს შორის.

ასეთია ობიექტური მდგომარეობა.

ამ მდგომარეობიდან ცხადად გამომდინარეობს, რომ ღია მუშათა პარტიის ლოზუნგი, თავისი კლასობრივი წარმოშობით, კონტრრევოლუციური ლიბერალების ლოზუნგია. მასში

რეფორმიზმს გარდა არაფერია; — ნიშან-წყალიც არ არის იმისა, რომ პროლეტარიატს, ერთადერთსა და სავსებით დემოკრატიულ კლასს, შეგნებული აქვს თავისი ამოცანა — იბრძოლოს ლიბერალების წინააღმდეგ მთელ დემოკრატიაზე გავლენისათვის; — მასში აზრიც კი არ არის გავლებული მებატონეების, «ბიუროკრატიისა» და სხვათა რაიმე პრივილეგიების თვით საფუძვლების მოსპობაზე; — აზრიც კი არ არის გავლებული პოლიტიკური თავისუფლებისა და დემოკრატიული კონსტიტუციის საერთო საფუძვლების შესახებ; — სამაგიეროდ ამ ლოზუნგში არის უსიტყვო უარყოფა ძველისა და, მაშასადამე, არის რენეგატობა და მუშათა პარტიის დაშლა (ლიკვიდაცია).

მოკლედ: ეს ლოზუნგი კონტრრევოლუციის ეპოქაში მუშებს უ ქ ა დ ა გ ე ბ ს ს წ ო რ ე დ ი მ ა ს, რასაც ლიბერალური ბურჟუაზია ა კ ე თ ე ბ ს თავის წრეში. ამიტომ, ლიკვიდატორები რომ არ ყოფილიყვნენ, ჭკვიანი ბურჟუა-პროგრესისტები ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი იქნებოდნენ მოენახათ ან დაექირავებინათ ინტელიგენტები მუშათა კლასში ასეთი ქადაგების შესატანად!

მხოლოდ სულელებს შეუძლიათ ლიკვიდატორების ს ი ტ ყ ვ ე ბ ი შეადარონ ლიკვიდატორების მ ო ტ ი ვ ე ბ ს. მათი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი უნდა შევადაროთ ლიბერალური ბურჟუაზიის ს ა ქ მ ე ე ბ ს და მის ობიექტურ მდგომარეობას.

შეხედეთ ამ ს ა ქ მ ე ე ბ ს. 1902 წელს ბურჟუაზია მ ო მ ხ რ ე ა არალეგალობისა. მან სტრუვე გაგზავნა არალეგალური «ოსვობოჟდენიეს» გამოსაცემად. როდესაც მუშათა მოძრაობა იწვევს 17 ოქტომბერს, ლიბერალები და კადეტები თავს ანებებენ არალეგალობას, ხოლო შემდეგ უარყოფენ მას, აცხადებენ ზედმეტად, სიგიჟედ, ცოდვად და უღმერთობად («ვეხი») *. არალეგალობის ნ ა ც ვ ლ ა დ ლიბერალური ბურჟუა-

* კრებულში «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა» სიტყვა «ვეხი» გამოტოვებულია და ჩამატებულია შემდეგი შენიშვნა სქოლიოში:

«არსებობს შესანიშნავი წიგნი «ვეხი», რომელიც მრავალჯერ გამოიცა და მშვენივრად აჯამებს კონტრრევოლუციური ლიბერალიზმის ამ იდეებს». რ ე დ.

ზია ეწევა ბ რ ძ ო ლ ა ს ღ ი ა პ ა რ ტ ი ი ს ა თ ვ ი ს. ეს ისტორიული ფაქტია, დადასტურებული კადეტებისა (1905—1907) და პროგრესისტების (1913) ლეგალიზაციის დაუღალავი ცდებით.

ჩვენ ვხედავთ, რომ კადეტები «აშკარად მუშაობენ და ამ მუშაობას ფარულად აწყობენ»; გულკეთილმა, ე. ი. შეუგნებელმა, ლიკვიდატორმა ა. ვლასოვმა მხოლოდ «თავისი სიტყვებით» გვიამბო კადეტური საქმიანობა.

მაშ რატომ უარყვეს ლიბერალებმა არალეგალობა და მიიღეს «ღია პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგი? იმიტომ ხომ არა, რომ სტრუვე მოღალატეა? არა. სწორედ პირიქით. სტრუვემ სახე იცვალა, იმიტომ რომ პირი იბრუნა მთელმა ბურჟუაზიამ. ბურჟუაზიამ კი პირი იბრუნა, 1) რადგან პრივილეგიები მიიღო 1905 წ. 11დეკემბერს [46] და 1907 წ. 3 ივნისსაც კი მიიღო მ ო ს ა თ მ ე ნ ი ოპოზიციის მდგომარეობა; 2) რადგან თვითონ ბურჟუაზიას საშინლად შეეშინდა სახალხო მოძრაობისა. ლოზუნგი «ბრძოლა ღია პარტიისათვის» «მაღალი პოლიტიკიდან» უბრალო და თვალსაჩინო ენაზე გადატანით აი რას ნიშნავს:

— ბატონო მემამულენო! არ იფიქროთ, თითქოს დედამიწის პირისაგან თქვენი აღგვა გვინდოდეს. არა. ოდნავ მიიწიეთ, რომ ჩვენც, ბურჟუებსაც, გვეჯდომებოდეს (ღია პარტია), — მაშინ ჩვენ ხუთჯერ «უფრო ჭკვიანურად», მარჯვედ, «მეცნიერულად» დაგიცავთ, ვიდრე ტიმოშკინები და საბლერის მღვდლები [47].

კადეტების მიბაძვით «ღია პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგი მიიღეს წვრილმა ბურჟუებმა, ნაროდნიკებმა. 1906 წლის აგვისტოში ბ-ნი პეშეხონოვი და «რუსსკოე ბოგატსტვოს» კომპანია უარყოფენ არალეგალობას, აცხადებენ «ბრძოლას ღია პარტიისათვის», თავიანთი პროგრამიდან ჰკვეთენ თანამიმდევარ-დემოკრატიულ, «არალეგალურ», ლოზუნგებს.

«ფართო და ღია პარტიაზე» ამ მეშჩანების რეფორმისტული ლაყბობის შედეგად ისინი, ყველასათვის ცხადად ს რ უ ლ ი ა დ

უპარტიოდ, მასებთან სრულიად დაუკავშირებლად დარჩნენ, ხოლო კადეტებმა ასეთ კავშირზე ოცნებასაც კი თავი დაანებეს.

ასე და მხოლოდ ასე, კლასთა მდგომარეობის ანალიზის, კონტრრევოლუციის საერთო ისტორიის მეშვეობით, შეიძლება მივიდეთ ლიკვიდატორობის გაგებამდე. ლიკვიდატორები არიან წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტები, რომელთაც ბურჟუაზია გზავნის მუშებში ლიბერალური გარყვნილების შესატანად. ლიკვიდატორები — მარქსიზმის მოღალატენი და დემოკრატიის მოღალატენი არიან. «ღია პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგი მათთვის (ისე როგორც ლიბერალებისთვის, როგორც ნაროდნიკებისთვის) ეს არის საფარი წარსულის უარყოფისა, მუშათა კლასთან კავშირის გაწყვეტისა. ეს ფაქტია, -რაც დაამტკიცა IV სათათბიროს არჩევნებმაც მუშათა კურიაში და მუშათა გაზეთის «პრავდის» წარმოშობის ისტორიამაც. მასებთან კავშირი, ყველასათვის ცხადად, აღმოაჩნდათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც წარსული არ უარუყვიათ და რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ წარსულის სულისკვეთების მიხედვით, მის გასაძლიერებლად, განსამტკიცებლად და გასავითარებლად იყენებდნენ «აშკარა მუშაობას» და ყოველგვარ «შესაძლებლობას».

სამი ივნისის სისტემის ეპოქაში ეს სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ლიკვიდატორების (ე. ი. ლიბერალების) მიერ პროგრამისა და ტაქტიკის «შეკვეცის» შესახებ ჩვენ ვილაპარაკებთ შემდგომ სტატიაში.

V. «ღია პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგი

წინა სტატიაში («პრავდა» № 122) ჩვენ განვიხილეთ «ღია პარტიის» ანუ «ღია პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგის ობიექტური, ე. ი. კლასთა თანაფარდობით განსაზღვრული მნიშვნელობა. ეს ლოზუნგი არის ბურჟუაზიის ტაქტიკის ბრმად

განმეორება; ეს ლოზუნგი სწორად გამოხატავს ბურჟუაზიის მიერ რევოლუციის უარყოფას და მის კონტრრევოლუციურობას.

განვიხილოთ ზოგიერთი, ლიკვიდატორებისთვის განსაკუთრებით ჩვეული ცდა «ღია პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგის დაცვისა. მაევსკიც, სედოვიც, დანიც და ყველა «ლუჩელი» ცდილობს ერთმანეთში აურიოს ღია პ ა რ ტ ი ა და აშკარა მუშაობა თუ მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა. ასეთი არევა პირდაპირ სოფისტიკაა, თამაშია, მკითხველის მოტყუებაა.

ჯერ-ერთი, სოციალ-დემოკრატების აშკარა მოღვაწეობა ფ ა ქ ტ ი ა 1904 — 1913 წლების პერიოდისთვის. აშკარა პარტია ეს არის ინტელიგენტთა ფ რ ა ზ ა, რომელიც ფარავს პარტიის უარყოფას. მეორე, პარტიას არა ერთხელ დაუგმია ლიკვიდატორობა, ე. ი. ღია პარტიის ლოზუნგი. მაგრამ პარტიას არათუ არ დაუგმია აშკარა მოღვაწეობა, არამედ, პირიქით — ეგმობდა იმათ, ვინც სტოვებს ან უარყოფს მას. მესამე, 1904 — 1907 წლებში ყველა სოციალ-დემოკრატის აშკარა მოღვაწეობა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ განვითარებული იყო. მაგრამ მაშინ სოციალ-დემოკრატიის ა რ ც ე რ თ მიმდინარეობას, ა რ ც ე რ თ ფრაქციას არ წამოუყენებია «ღია პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგი!

ეს ისტორიული ფაქტია. მას უნდა ჩაუფიქრდნენ ისინი, ვისაც სურს გ ა ი გ ო ს ლიკვიდატორობა.

ხელს უშლიდა თუ არა აშკარა მოღვაწეობას 1904 — 1907 წლებში «ღია პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგის უქონლობა? სრულიადაც არა.

რატომ არ წამოიჭრა მაშინ სოციალ-დემოკრატებში ასეთი ლოზუნგი? სწორედ იმიტომ, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ თარეშობდა კონტრრევოლუცია, რომელმაც სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი უკიდურეს ოპორტუნიზმში გადააგდო. მაშინ ს ა ვ ს ე ბ ი თ ც ხ ა დ ი იყო, რომ «ღია პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგი ოპორტუნისტული ფრაზა არის, «არალეგალობის» უარყოფა.

ჩაუკვირდით, ბატონებო, ამ ისტორიული შებრუნების აზრს: 1905 წლის ეპოქაში, როცა აშკარა მოღვაწეობა ბრწყინვალედ ვითარდება, «ღია პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგი ა რ ა რ ი ს; კონტრრევოლუციის ეპოქაში, როცა აშკარა მოღვაწეობა უფრო სუსტია, სოციალ-დემოკრატების ერთ ნაწილში (ბურჟუაზიის კვალდაკვალ) ჩნდება «არალეგალობის» უარყოფისა და «აშკარა პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგი.

ნუთუ შესაძლებელია ჯერ კიდევ ცხადი არ იყოს ასეთი შებრუნების აზრი და კლასობრივი მნიშვნელობა?

ბოლოს, მეოთხე და უმთავრესი გარემოება. აშკარა მოღვაწეობა შეიძლება იყოს (და კიდევაც არის) ო რ გ ვ ა რ ი, ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო მიმართულებისა: ისეთი, რომელსაც ეწევიან ძველის დასაცავად და სავსებით მის ყ ა ი დ ა ზ ე, მისი ლოზუნგებისა და ტაქტიკის გ უ ლ ი ს-თ ვ ი ს, და ისეთი, რომელსაც ეწევიან ძველის წინააღმდეგ, მისი უარყოფის, მისი როლის, მისი ლოზუნგების დამცირების გულისთვის და სხვ.

აშკარა მოღვაწეობის ამ ორი პრინციპულად მტრული და შეურიგებელი სახის არსებობა სავსებით უდავო ისტორიული ფაქტია 1906-დან (კადეტები და ბ-ნი პეშეხონოვი კომპანიითურთ) 1913 წლამდე განვლილი ეპოქისთვის («ლუჩ», «ნაშა ზარია»). ამიტომ შეიძლება განა გაუღიმებლად მოუსმინო რეგვენს (ან ისეთ ადამიანს, რომელიც განგებ მოირეგვენებს თავს), როდესაც ამბობს: რა არის აქ სადავო, თუ ერთნიც და მეორენიც აშკარა მოღვაწეობას ეწევიანო? სწორედ ის არის აქ სადავო, ჩვენო ძვირფასო, «არალეგალობის» დასაცავად და მისი სულისკვეთებით უნდა ვეწეოდეთ ამ მოღვაწეობას თუ მის დასამცირებლად, მის წინააღმდეგ, არა მისი სულისკვეთებით! დავა მარტო — მხოლოდ «მ ა რ ტ ო»! — იმაზეა, ლიბერალური თუ თანამიმდევარ-დემოკრატიული სულისკვეთებით ეწევიან ამ აშკარა მუშაობას. დავა «მარტო» იმაზეა, შეიძლება თუ არა დ ა ვ ჯ ე რ დ ე თ აშკარა მუშაობას: მოი-

გონეთ ბატონი ლიბერალი სტრუვე, რომელიც არ დასჯერდა ამას 1902 წელს და სავსებით «დასჯერდა» 1906 — 1913 წლებში!

ჩვენს «ლუჩელ» ლიკვიდატორებს ვერასგზით ვერ გაუგიათ, რომ «ღია პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგი ეს არის მუშებში «ვითომ-მარქსისტული» სიტყვების ძონძებით მორთულ-მოკაზმული ლიბერალური (სტრუვესეული) იდეების გატარება.

ანდა აი აიღეთ თვით «ლუჩის» რედაქციის მსჯელობა, როცა ის ანს უპასუხებს (№ 181):.

...«სოციალ-დემოკრატიული პარტია არ ამოიწურება იმ მცირერიცხოვანი ამხანაგებით, რომელთაც სინამდვილე აიძულებს არალეგალურად იმუშაონ. პ ა რ ტ ი ა რომ არალეგალობით ამოიწურებოდეს, რამდენი წევრი ეყოლებოდა მას? 2 — 3 ასეული? მერე სად წავიდოდნენ ის ათასობით და ათი ათასობით მუშები, რომლებსაც ფაქტიურად აწევთ მხრებზე მთელი სოციალ-დემოკრატიული მუშაობა?»

ფიქრის უნარის მქონე ადამიანისთვის მარტო ეს მსჯელობა კმარა იმისათვის, რომ მისი ავტორები ლიბერალებად აღიაროს. ჯერ-ერთი, ისინი აშკარად ტყუიან «არალეგალობის» შესახებ: იქ სრულებითაც მარტო «ასეულობით» არ არიან. მეორეც, ყველგან ქვეყნად პარტიის წევრთა რიცხვი «ვ ი წ რ ო ა» იმ მუშების რიცხვთან შედარებით, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას ეწევიან. მაგალითად, გერმანიაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ითვლება მხოლოდ 1 მილიონი წევრი, ხოლო სოციალ-დემოკრატებს ხმას აძლევს დაახლოებით 5 მილიონი, პროლეტარები კი იქ 15 მილიონამდეა. სხვადასხვა ქვეყანაში პარტიის წევრთა რიცხვის პროპორციას სოციალ-დემოკრატთა რიცხვის მიმართ განსაზღვრავს ისტორიული პირობების განსხვავება. მესამე, «არალეგალობის» შემცვლელი ჩვენ სხვა ა რ ა ფ ე რ ი მ ო გ ვ ე პ ო ვ ე ბ ა. მაშასადამე «ლუჩი» პარტიის ს ა წ ი ნ ა ღ მ დ ე გ ო დ იმოწმებს უ პ ა რ ტ ი ო ანუ პ ა რ ტ ი ი ს გ ა რ ე შ ე მ დ გ ო მ მუშებს. ეს არის სწორედ ჩვეულებრივი ხერხი ლიბერალისა, რომელიც ცდილობს მასა ჩამოაშოროს მის შ ე გ ნ ე ბ უ ლ

მოწინავე რაზმს. «ლუჩს» არ ესმის პარტიის დამოკიდებულება კლასისადმი, როგორც არ ესმოდათ ეს 1895—1901 წლების «ეკონომისტებს». მეოთხე, ჩვენში «სოციალ-დემოკრატიული მუშაობა» ჯერჯერობით მხოლოდ მაშინ არის ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული მუშაობა, როდესაც მას ეწევიან ძველის სულისკვეთებით, მისი ლოზუნგების გულისთვის.

«ლუჩის» მსჯელობა ეს არის მსჯელობა ლიბერალი ინტელიგენტებისა, რომელთაც არ სურთ შევიდნენ ნამდვილად არსებულ პარტიულ ორგანიზაციაში და ცდილობენ დაანგრიონ ეს ორგანიზაცია, რისთვისაც უსისიანებენ მას უპარტიო, დაქსაქსულ, შეუგნებელ მასას. ასე იქცევიან გერმანელი ლიბერალებიც, რომლებიც ამბობენ, რომ სოციალ-დემოკრატები არ არიან პროლეტარიატის წარმომადგენლები, რადგან მათ «მხოლოდ» მეთხუთმეტედი ნაწილი ჰყავთ «პარტიაშიო»!

აიღეთ «ლუჩის» კიდევ უფრო ჩვეულებრივი მსჯელობა: «ჩვენ» მომხრე ვართ ღია პარტიისა, «როგორც ეს ევროპაშიაო». ლიბერალებსა და ლიკვიდატორებს უნდათ კონსტიტუცია და ღია პარტია, «როგორც ეს ევროპაშია» დღეს; მაგრამ მათ არ უნდათ ის გზა, რომლითაც ევროპა მივიდა ამ დღემდე.

ლიკვიდატორი და ბუნდელი კოსოვსკი «ლუჩში» გვასწავლის ავსტრიელთა მაგალითს. მაგრამ ავიწყდება, რომ ავსტრიელებს კონსტიტუცია აქვთ 1867 წლიდან, და იგი ვერ ექნებოდათ: 1) 1848 წლის მოძრაობა რომ არ ყოფილიყო, 2) 1859—1866 წლების დიდი სახელმწიფო კრიზისი რომ არ ყოფილიყო, როცა მუშათა კლასის სისუსტემ საშუალება მისცა ბისმარკსა და კომპანიას თავი დაეღწიათ ცნობილი «რევოლუციით ზემოდან». მერე რა გამოდის კოსოვსკის, დანის, ლარინისა და ყველა «ლუჩელის» ჭკუის სწავლებიდან?

მხოლოდ ის, რომ ისინი ჩვენი კრიზისის დამთავრებას ხელს უწყობენ უეჭველად «ზემოდან რევოლუციის»

მოხდენის მიმართულებით! მაგრამ მათი ასეთი მუშაობა ა რ ი ს სწორედ «მუშაობა» სტოლიპინური მუშათა პარტიისა.

საითაც უნდა გაიხედო, ყველგან ვხედავთ, რომ ლიკვიდატორები უარყოფენ მარქსიზმსაც და დემოკრატიასაც.

შემდგომ სტატიაში დაწვრილებით განვიხილავთ მათს მსჯელობას ჩვენი, სოციალ-დემოკრატიული, ლოზუნგების შეკვეცის საჭიროების შესახებ.

VI

ჩვენ უნდა შეკუდგეთ იმის განხილვას, თუ როგორ ჰკვეცენ ლიკვიდატორები მარქსისტულ ლოზუნგებს. ამისათვის ყველაზე უმჯობესი იქნებოდა აგვეღო მათი აგვისტოს კონფერენციის გადაწყვეტილებანი, მაგრამ გასაგები მიზეზებით ამ გადაწყვეტილებათა განხილვა შესაძლებელია მხოლოდ საზღვარგარეთის პრესაში. აქ კი გვიხდება ავიღოთ «ლუჩი», რომელიც ლ. ს.-ს [48] სტატიაში (№ 108 (194)) შესანიშნავი სიზუსტით გადმოგვცემს ლიკვიდატორობის მთელ არსს, მთელ სულისკვეთებას.

ბ-ნი ლ. ს. წერს:

...«დეპუტატი მურანოვი ჯერჯერობით სცნობს მხოლოდ სამ ნაწილობრივ მოთხოვნას, იმ სამ ვეშაპს, რომელთაც, როგორც ვიცით, ეყრდნობოდა ლენინელების საარჩევნო პლატფორმა: სახელმწიფო წყობილების სრული დემოკრატიზაცია, რვა საათის სამუშაო დღე და მიწის გადაცემა გლეხებისათვის. კვლავ ამ თვალსაზრისზე დგას «პრავდაც». ამავე დროს ჩვენ, ისე როგორც მთელი ევროპის სოციალ-დემოკრატიასაც» (იგულისხმე: «ჩვენ, ისე როგორც მილიუკოვსაც, რომელიც ირწმუნება, ჩვენ, მადლობა ღმერთს, კონსტიტუცია გვაქვსო») «ნაწილობრივი მოთხოვნების წამოყენება მიგვაჩნია სააგიტაციო საშუალებად, რომელსაც მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმატება ჰქონდეს, როდესაც იგი ანგარიშს უწევს მუშათა მასების ყოველდღიურ ბრძოლას. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია წამოვაყენოთ მხოლოდ ისეთი მოთხოვნა, რასაც ერთი მხრივ, პრინციპული მნიშვნელობა აქვს მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, რაც შესაძლებელია საჭირბოროტო მოთხოვნად გახდეს მასისთვის, — როგორც სწორედ ისეთი ნაწილობრივი მოთხოვნა, რომელმაც ამ მომენტში უნდა მიიპყროს სოციალ-დემოკრატიის ყურადღება. «პრავდის» მიერ

წამოყენებული სამი მოთხოვნიდან მხოლოდ ერთს — რვა საათის სამუშაო დღეს — აქვს და შეუძლია ჰქონდეს მნიშვნელობა მუშების ყოველდღიურ ბრძოლაში. დანარჩენი ორი მოთხოვნა ამჟამად შეიძლება იყოს პროპაგანდისა, მაგრამ არა აგიტაციის საგანი. თუ რა განსხვავებაა პროპაგანდასა და აგიტაციას შორის, ამის შესახებ იხილე ბრწყინვალე ფურცლები გ. ვ. პლეხანოვის ბროშურაში «ბრძოლა შიმშილობის წინააღმდეგ»» (ლ. ს. მიზანს აცდა: მას «გულს უკლავს» მოგონება პლეხანოვის პოლემიკისა 1899 — 1902 წლებში «ეკონომისტებთან», რომლებსაც ლ. ს. იმეორებს!).

«გარდა რვა საათის სამუშაო დღისა ასეთ ნაწილობრივ მოთხოვნას, რაც წამოაყენა როგორც მუშათა მოძრაობის საჭიროებამ, ისე რუსეთის ცხოვრების მთელმა მსვლელობამ, წარმოადგენს მოთხოვნა კოალიციის თავისუფლებისა, ყოველგვარი ორგანიზაციის თავისუფლებისა, რაშიც შედის კრებებისა და როგორც ზეპირი, ისე ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება».

აი ლიკვიდატორების ტაქტიკა. თურმე ნუ იტყვით, «მასისთვის საჭირბოროტო» არ ყოფილა, «მუშათა მოძრაობის მოთხოვნილებით» და «რუსეთის ცხოვრების მთელი მსვლელობით» არ ყ ო ფ ი ლ ა წამოყენებული — არც ის, რასაც ლ. ს. აგვიწერს სიტყვებით «სრული დემოკრატიზაცია და სხვ.», არც ის, რასაც ის უწოდებს «მიწის გადაცემას გლეხებისთვის»!! როგორ მოძველდა ასეთი მსჯელობა და როგორ ნაცნობია ეს იმათთვის, ვისაც ახსოვს რუსეთის მარქსისტული პრაქტიკის ი ს ტ ო რ ი ა, მისი ხანგრძლივი ბრძოლა «ეკონომისტებთან», რომელნიც უარყოფდნენ დემოკრატიის ამოცანებს! როგორ ნიჭიერად იმეორებს «ლუჩი» პროკოპოვიჩისა და კუსკოვას შეხედულებებს, რომლებიც ასე ცდილობდნენ მ ა შ ი ნ გადაეყვანათ მუშები ლიბერალურ გზაზე!

მაგრამ უფრო ყურადღებით განვიხილოთ «ლუჩის» მსჯელობა. საღი აზრის თვალსაზრისით, ასეთი მსჯელობა პირდაპირ რაღაც გიჟურია. ნუთუ, მართლაც, შეიძლება, თუ ჭკუაზე შეშლილი არა ხარ, ამტკიცო, რომ «გლეხთა» (ე. ი. გლეხთა სასარგებლოდ მიმართული) აღნიშნული მოთხოვნა ა რ ა რ ი ს «საჭირბოროტო მასისთვის»? ა რ ა რ ი ს «წამოყენებული მუშათა მოძრაობისა და რუსეთის ცხოვრების მთელი მსვლე-

ლობის საჭიროებით»? ეს არათუ სიცრუეა, ეს აშკარა სისულელეა. რუსეთის XIX საუკუნის მთელმა ისტორიამ, მთელმა «რუსეთის ცხოვრების მსვლელობამ» წ ა მ ო ა ყ ე ნ ა ეს საკითხი, გ ა ხ ა დ ა იგი საჭირბოროტოდ და ყველაზე საჭირბოროტოდაც, ამან გავლენა მოახდინა რუსეთის მ თ ე ლ კანონმდებლობაზედაც. როგორ შეეძლო «ლუჩს» ასეთი საშინელი სიცრუე ეთქვა?

მას უნდა ეთქვა ეს სიცრუე, რადგან «ლუჩი» ემონება ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ პოლიტიკას, ხოლო ლიბერალები თავის თავს არ ღალატობენ, როდესაც უარყოფენ (ან უკან სწევენ — «ლუჩის» მსგავსად) გლეხთა მოთხოვნას. ლიბერალური ბურჟუაზია ამას სჩადის, რადგან მისი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი მდგომარეობა აიძულებს მას შეეგუოს მემამულეებს და სახალხო მოძრაობის წინააღმდეგი იყოს.

«ლუჩს» მუშებში შეაქვს ლიბერალური მემამულეების იდეები და ღალატობს დემოკრატიულ გლეხობას.

შემდეგ. ნუთუ მხოლოდ კავშირთა თავისუფლებაა «საჭირბოროტო»? პიროვნების ხელუხლებლობა? ხელისუფალთა მიხედულებისა და თვითნებობის გაუქმება? საყოველთაო და სხვა საარჩევნო უფლება? ერთიანი პალატა? და ა. შ.? ყველა შეგნებულმა მუშამ, ყველამ, ვისაც ახსოვს ახლო წარსული, მშვენივრად იცის, რომ ყოველივე ეს საჭირბოროტოა. მრავალ სტატიასა და სიტყვაში ყველა ლიბერალი აღიარებს, რომ ყოველივე ეს საჭირბოროტოა. მაშ «ლუჩმა» რატომ გამოაცხადა საჭირბოროტოდ ერთ-ერთი, თუმცა უმნიშვნელოვანესი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა გ ა ნ ი, ხოლო პოლიტიკური თავისუფლების, დემოკრატიისა და კონსტიტუციური წყობილების ძირითადი პირობები ამოშალა, უკან მისწია, «პროპაგანდის» არქივს ჩააბარა, აგიტაციიდან ამოაგდო?

იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ «ლუჩს» მიუღებლად მიაჩნია ის, რაც ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს მ ი უ ღ ე ბ ე ლ ი ა.

მასებისთვის მუშათა მოძრაობის მოთხოვნილებათა და რუსეთის ცხოვრების მსვლელობის საჭირბოროტო ხასიათის თვალსაზრისით განსხვავება ა რ ა რ ი ს მურანოვისა და «პრავდის» სამ მოთხოვნას (მოკლედ რომ ვთქვათ თანამიმდევარ მარქსისტთა მოთხოვნას) შორის. როგორც მუშათა და გლეხთა, ისე საერთოპოლიტიკური მოთხოვნები ე რ თ ნ ა ი რ ა დ საჭირბოროტოა მასებისათვის, ე რ თ ნ ა ი რ ა დ არის წამოყენებული მუშათა მოძრაობის მოთხოვნილებითაც და «რუსეთის ცხოვრების მთელი მსვლელობითაც». «ნაწილობრიობის» თვალსაზრისით, რაც სანუკვარია ზომიერებისა და წესიერების ჩვენი თაყვანისმცემლისთვის, ყველა სამი მოთხოვნა აგრეთვე ერთნაირია: ისინი «ნაწილობრივი» არიან საბოლოო მოთხოვნების მიმართ, მაგრამ ძალიან დიდი არიან, მაგალითად, საერთოდ «ევროპის» მიმართ.

მაშ რატომ ეთანხმება «ლუჩი» 8 საათის საშუშაო დღეს და უარყოფს დანარჩენს? რატომ გადაწყვიტა მან მუშების მ ა გ ი ვ რ ა დ, რომ 8 საათის სამუშაო დღეს «მნიშვნელობა აქვს» მათს ყოველდღიურ ბრძოლაში, ხოლო საერთოპოლიტიკურ და გლეხთა მოთხოვნებს ასეთი მნიშვნელობა ა რ ა აქვთ? ფაქტები ცხადყოფენ, ერთი მხრივ, იმას, რომ მუშები ყოველდღიურ ბრძოლაში იცავენ როგორც საერთოპოლიტიკურ, ისე გლეხურ მოთხოვნებს, — ხოლო მეორე მხრივ, იმას, რომ ხშირად ისინი სამუშაო დღის უფრო ზომიერად შემცირებისთვის ი ბ რ ძ ვ ი ა ნ.

მაშ რაშია საქმე?

საქმე ისაა, რომ «ლუჩი» რეფორმიზმის გზას ადგია, და ამ თავის ლიბერალურ შეზღუდულობას, ჩვეულებისამებრ, ა ბ რ ა ლ ე ბ ს «მასებს», «ისტორიის მსვლელობას» და სხვ.

რეფორმიზმი საერთოდ იმაში მდგომარეობს, რომ სჯერდებიან აგიტაციას ისეთი ცვლილებებისათვის, რაც არ მოითხოვს ძველი, გაბატონებული კლასის მთავარი საფუძვლების მოსპობას, — ისეთი ცვლილებებისათვის, რაც ე თ ა ვ ს ე ბ ა ამ საფუძვლების შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ა ს. რვა საათის სამუშაო დღე ეთავსება კაპიტალის ძალაუფლების შენარჩუნებას. რუსი ლი-

ბერალები, მუშების გული რომ მოინადირონ, მზად არიან ხელი მოაწერონ («შეძლებისამებრ») ამ მოთხოვნას. ის მოთხოვნები კი, რომლებისთვისაც «ლუჩს» არა სურს «აგიტაცია გასწიოს», შ ე უ თ ა ვ ს ე ბ ე ლ ი ა წინაკაპიტალისტური, ბატონყმობის დროის საფუძვლების შენარჩუნებასთან.

«ლუჩი» აგიტაციიდან აძევებს სწორედ იმას, რაც მიუღებელია ლიბერალებისთვის, რომელთაც არა სურთ მემამულეთა ძალაუფლების მოსპობა, მაგრამ სურთ მხოლოდ ძალაუფლებისა და პრივილეგიების გაზიარება. «ლუჩი» აძევებს სწორედ იმას, რაც შეუთავსებელია რეფორმიზმის თვალსაზრისით.

აი სად მარხია ძაღლის თავი.

არც მურანოვი, არც «პრავდა» და არც ერთი მარქსისტი არ უარყოფს ნაწილობრივ მოთხოვნებს. ეს ჩმახვაა. ამის მაგალითია დაზღვევა. ჩვენ უარვყოფთ ხალხის მ ო ტ ყ უ ე ბ ა ს ნაწილობრივ მოთხოვნებზე ლაყბობით, რ ე ფ ო რ მ ი ზ მ ი თ. თანამედროვე რუსეთში ჩვენ უარვყოფთ ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ რ ე ფ ო რ მ ი ზ მ ს, როგორც უტოპიურს, ანგარებიანსა და ცრუს, კონსტიტუციურ ილუზიებზე აგებულს, აღსავსეს მემამულეების წინაშე მონური მორჩილების სულით. აი მთელი აზრი, რასაც «ლუჩი» აბუნდოვანებს და მალავს ფრაზებით საერთოდ «ნაწილობრივი მოთხოვნების» შესახებ, თუმცა თვითონვე აღიარებს, რომ მურანოვიც და «პრავდაც» არ უარყოფენ განსაზღვრულ «ნაწილობრივ მოთხოვნებს».

«ლუჩი» კვეცავს მარქსისტულ ლოზუნგებს, უფარდებს მათ ვიწრო, რეფორმისტულ, ლიბერალურ საზომს და ამრიგად ბურჟუაზიულ იდეებს ატარებს მუშების წრეში.

მარქსისტების ბრძოლა ლიკვიდატორებთან ეს არის მხოლოდ გამოხატულება ლიბერალურ ბურჟუებთან მოწინავე მუშების ბრძოლისა ხალხის მასებზე გავლენისათვის, მათი პოლიტიკური განათლებისა და აღზრდისათვის.

წერილი მ. ს. ოლმინსკის (ვიტიმსკის)

ძვირფასო კოლეგა! ჯერ-ერთი, უნდა მოგილოცოთ იმის გამო, რომ, ჩემი აზრით, განსაკუთრებით მარჯვედ არის დაწერილი თქვენი ორი სტატია — ლიბერალების შესახებ და ლიბერალურ რედაქტორებთან «პრავდისა» და «ლუჩის» თათბირის შესახებ, და 123-ე ნომერში სტატია «პრავდის» შესახებ [49].

ანისა და ვლასოვის შესახებ თქვენს მიერ აღძრული საკითხის გამო ვერ დაგეთანხმებით. ჩემი აზრით, თქვენ ხელი ჩასჭიდეთ ზერელეს, ზევით მდებარეს, ერთბაშად დასანახს და მზადა ხართ დაივიწყოთ უფრო მნიშვნელოვანი, ძირითადი. ეს არქისაშიშია.

ანი და ვლასოვი «ამათრახებენ «ლუჩის» რედაქციასო», წერთ თქვენ, და ფიქრობთ, რომ «ეს გამოყენებული არ არის».

თქვენ არა ხართ მართალი. ანი და ვლასოვი **ეთანხმებიან** «ლუჩს» **ძირითადში,** სახელდობრ იზიარებენ «ღია პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგს ანდა ლიკვიდატორებთან ზავის (ანუ ერთიანობის) ლოზუნგს. ეს არის ძირითადი. «ლუჩსაც» სწორედ ეს უნდა. «ლუჩს» სწორედ ის უნდა, რომ თავი მოგვაჩვენოს არა ლიკვიდატორების, არამედ როგორც ლიკვიდატორების, ისე პარტიელების ორგანოდ. ეს ტყუილი არ უნდა გაუვიდეთ. ეს ტყუილი ყველაზე საშიშია. ამ ტყუილზეა აგებული ტროცკისა და სემკოვსკის მთელი ავანტიურა.

შემდეგ, არ არის მთლად სწორი, თითქოს «ეს არ იყოს გამოყენებული». როგორ უნდა გამოვიყენოთ? ისე ხომ

არა, თითქოს ანი და ვლასოვი «ამათრახებენ «ლუჩის» რედაქციას და ამართლებენ «პრავდის» ხაზს»?? ეს არ იქნება სწორი. ანი და ვლასოვი «პრავდის» პოზიციაში სწორედ ძირითადს კი არ ამართლებენ, არამედ ან უარყოფენ (ანი), ანდა არ ესმით (ვლასოვი).

თუ ისე გამოვიყენოთ, რომ სედოვის ლიკვიდატორობის **ფაქტი** აღიარეს არა მარტო მტრებმა, არამედ «ლუჩის» მომხრეებმაცო? ეს სწორი იქნება. მაგრამ ეს, სხვათა შორის, ნათქვამია ჩემს სტატიაშიც («სადავო საკითხები», № 3 «პრავდის» 110-ე ნომერში) *.

«მოწინააღმდეგენი უნდა გათიშო და არა გააერთიანოო» — საყვედურით სწერთ თქვენ უტაქტო ვ. ი.-ს, რომელიც ვითომ «აერთიანებს» მათ.

ნება მომეცით რამდენიმე სიტყვა ვთქვა თავის დასაცავად.

მოწინააღმდეგენი უნდა გათიშო და არა გააერთიანო; ეს უდავოა. მაგრამ თუ მოწინააღმდეგეებისთვის **ხელსაყრელია** თავი მოგვაჩვენონ «გათიშულად», რომ მათ რიგებში არიან არა მარტო ლიკვიდატორები, არამედ ლატვიელებიც, ტროცკიც, ბუნდიც, ანიც?? ლიკვიდატორების ტაქტიკაში თქვენ აი სწორედ ეს **არსი** გამოგეპარათ — შესაძლოა იმიტომ, რომ აგვისტოს კონფერენციის შესახებ ყველაფერი არ წაგიკითხავთ და არ გაგიგონიათ. აი ამაშია ლიკვიდატორთა «ხსნის» მთელი ტაქტიკის აზრი და არსი, ე. ი. ლიკვიდატორთა სიცრუის თავისუფლებისა და ლიბერალიზმის თავისუფლების ხსნისა პარტიის შიგნიდან გავლენის მოსახდენად.

მხოლოდ ასე შეიძლება კიდევ ცდა ლიკვიდატორების ხსნისა. და გაქნილი დიპლომატი ანი (რომელსაც ასდევნებია ერთი წლის ბალღი ვლასოვი) ძალიან ოსტატურ თამაშს ეწევა. თქვენ არ იცნობთ ანს! მე კი მისი დიპლომატია წლობითა მაქვს შესწავლილი და ვიცი, თუ როგორ ატყუებს მ დიპლომატიით **მთელ კავკასიას!!** ანი მართლაც ნიჭიერი დიპ-

ლომატია (მას 1903 წლიდან ვიცნობ) — ოღონდ, სამწუხაროდ, მისი ნიჭი ცუდადაა მიმართული. ანს სურს მოგვაჩვენოს თავი, რომ იგი «ლუჩის» წინააღმდეგია, **და ამით იხსნას** «ლუჩი»!! ეს ნათელია იმათთვის, ვინც კარგად იცნობს პარტიის ისტორიას, განსაკუთრებით 1910 წლის **იანვრისა** და 1912 წლის **აგვისტოს** განმავლობაში!! ანმა დატუქსა დანი წვრილმანებისათვის და მთავარი კი დაუთმო დანს (ღია პარტიისათვის ბრძოლის ლოზუნგი); ამით მას სურდა დაენახვებინა «თავისიანებისათვის», შეხედეთ — ჩვენც ლიკვიდატორების წინააღმდეგი ვართო. იმაზე უფრო დამღუპველი შეცდომა არაარისრა, რომ ანს ამ ანკეტს წამოეგო. თქვენ არ იცით (და ეს გასაგებიცაა) «ლუჩთან» (ტროცკის, ანის, ბუნდის, ბრაუნისა და სხვათა დამოკიდებულების სარჩული, — მე კი ვიცი. ისე ვერაფრით **დაეხმარები** ლიკვიდატორებს, როგორც იმით, რომ ანი ანტილიკვიდატორად აღიარო. ეს ფაქტია. ხოლო ანი — მათი ერთადერთი «სერიოზული» **დასაყრდენია**. ესეც ფაქტია. მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას. მოიწერეთ — მუდამ მოხარული ვარ ბაასისა.

თქვენი ვ. ი.

P. S. * ამბობენ, პიტერში დაჟინებით დადის ხმა, თუ ანი (ჩხეიძესთან ერთად) როგორ «ართმევდა» დანს «ლუჩს»... და არ წაურთმევია. მე ვფიქრობ: ართმევდა მოსაჩვენებლად და ვითომც კომპრომისით დაამთავრა, ნამდვილად კი დანს დაჰნებდა!! დანი — ეს არის მოწინააღმდეგის ცუდად შენიღბული ბატარეა. ანიც იმავე მოწინააღმდეგის იგივე ბატარეაა, მაგრამ ოსტატურად შენიღბული. გარწმუნებთ, ეს მე ვიცი საქმის გამოცდილებით.

დაწერილია 1913 წ. 3 (16) ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
2 — 3 გამოცემაში, ტომი XVI

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

ბ-ნ ბოგდანოვისა და «ვპერიოდის»[50] ჯგუფის საკითხისათვის

(«პრავდის» სარედაქციო კოლეგიისათვის)

რედაქციის საქციელი ბ-ნ ბოგდანოვის მიერ პარტიის ისტორიის დამახინჯების საქმეში იმდენად აღმაშფოთებელია, რომ აღარ ვიცი, შეიძლება თუ არა ამის შემდეგ თანამშრომლად დავრჩე.

როგორ იყო საქმე?

ჩემს სტატიაში კრინტიც არ იყო დაძრული ბ-ნ ბოგდანოვის (რომელიც არ არის წევრი «ვპერიოდის» ჯგუფისა) წინააღმდეგ; საერთოდ კრინტიც არ იყო დაძრული დაგმობაზე.

დიდი სიფრთხილით აღვნიშნე ფაქტი: რომ მიმართულება, რომელიც ერთხმად დაგმო მთელმა პარტიამ, **«დაკავშირებულია ვპერიოდელობასთან»** *.

ამის მეტი არც ერთი სიტყვა არ თქმულა. თვით ბ-ნ ბოგდანოვსაც არ შეეძლო სხვა რამის ციტირება!

იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა ამ ფაქტის გვერდის ავლა? არ შეიძლება, ვინაიდან პარტიამ ერთბაშად დაგმო ლიკვიდატორობაც და ოტზოვიზმიც. ვინც ლიკვიდატორობის მიმართ პარტიის ისტორიაზე ლაპარაკის დროს ამ ფაქტის გვერდის ავლას მოისურვებდა, ის თაღლითი იქნებოდა. ვბედავ ვიფიქრო, რომ რედაქცია არ მოითხოვდა ჩემგან თაღ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 168. რედ.

ლითობას. მით უფრო ვალდებული ვარ ასე ვიფიქრო, რომ რედაქცია აცხადებს — ვეთანხმები № 95-სო!

მერე სწორია ფაქტი? რედაქცია თანახმაა, რომ სწორია. ძნელიცაა თანახმა არ იყოს, რაკი თვითონ ვპერიოდელები აცხადებდნენ ოტზოვიზმს «კანონიერ ელფერად»!!

მაგრამ, თუ ფაქტი სწორია, როგორ უნდა მისცე («მიუდგომლობისათვის») საშუალება ბ-ნ ბოგდანოვს იცრუოს ამის შესახებ?? სხვანაირი ახსნა ვერ მიპოვნია, გარდა იმისა, რომ რედაქცია ალბათ არ იცნობს «ვპერიოდის» ჯგუფის ისტორიას (თუ ვინმე სავსებით დაბრმავებული არ არის იმ რეაქციული უხამსობისადმი მიკერძებით, რომელსაც ასწავლის მუშებს ფილოსოფოსი ბოგდანოვი).

რედაქციამ, ალბათ, არ იცის, რომ «ვპერიოდის» ჯგუფი სრულ რღვევას განიცდის. ბ-ნი ბოგდანოვი დიდი ხანია გამოვიდა — მისი «ფილოსოფია» დაგმო პრესაში ვპერიოდელმა ალექსინსკიმ. იმავე ალექსინსკიმ პრესაში დაგმო «პროლეტარული კულტურა» (ვპერიოდელების პლატფორმიდან). განა რედაქციამ ეს არ იცის?

«ვპერიოდის» ჯგუფიდან ახლა გამოვიდნენ ბოგდანოვიც, დომოვიც[51], ლიადოვიც, ვოლსკიც[52], სტეპინსკიც[53] (ლუნაჩარსკიც საცაა უნდა გამოვიდეს — იხ. ახალი ფურცლები პარიზში). განა რედაქციამ ეს არ იცოდა?

რედაქცია მხარს უჭერს «ვპერიოდელ» ბურჟუაზიულ მატყუარათა უცუდეს (უიმედო) ელემენტებს უკეთესთა წინააღმდეგ, რომელთაც (ალექსინსკის მსგავსად) **კავშირი გაწყვიტეს** ბ-ნ ბოგდანოვთან!!

აქ ეშმაკიც კი ვერაფერს გაიგებს! ეს რაღაც მასხარად აგდებაა ჭეშმარიტებისა, პარტიისა.

დაჟინებით მოვითხოვ, რომ ეს ჩემი თანდართული შენიშვნა მთლიანად დაიბეჭდოს. მე ყოველთვის ვაძლევდი უფლებას რედაქციას ამხანაგური ცვლილებანი შეეტანა, მაგრამ ამ სტატიაში, ბ-ნ ბოგდანოვის წერილის შემდეგ, ცვლილე-

ბებისა და სხვ. უფლებას ა რ ვ ი ძ ლ ე ვ ი. თუ არ მოათავ-სებთ, გადაეცით «პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე ს», მე კი ვინარჩუ-ნებ ომის ს რ უ ლ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს პარტიის ისტორიის დამახინჯების გამო. ვებრძვით ლიკვიდატორობას და ვ ფ ა-რ ა ვ თ ოტზოვიზმს — ეს ისეთი განუზომელი სისაძაგლის პოზიციაა, რომ, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ **საქმის ვითარების არცოდნით** აიხსნება ასეთი შეცდომა.

რედაქციამ უნდა განაცხადოს: დავრწმუნდით, რომ ბ-მა ბოგდანოვმა ა რ ა ს წ ო რ ა დ განმარტა «ვპერიოდის» პლატ-ფორმა და ფ ა ქ ტ ე ბ ი ც არასწორად გადმოსცა.

დაჟინებით მოვითხოვ დაუყოვნებლივ მიპასუხოთ. არ შემიძლია მორიგი სტატიები ვწერო, როცა ბ-ნ ბოგდანოვის ასეთ საზიზღარ სიცრუეს ვკითხულობ.

მზად ვარ სამსახურისათვის ვ. ი ლ ი ნ ი

დაწერილია 1913 წ. 3 (16) ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
2 — 3 გამოცემაში, ტომი XVI

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

დაამტკიცა თუ არა «პრავდამ» ბუნდელების სეპარატიზმი?

«პრავდის» 104-ე (308-ე) ნომერში მოთავსებული იყო სტატია: «სეპარატისტები რუსეთში და სეპარატისტები ავსტრიაში» *. ახლა ბ-ნი ვლ. კოსოვსკი «ლუჩის» 119-ე (205-ე) ნომერში უარყოფს ამას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, აგინებს «პრავდას» ამ სტატიის გამო. იმ მუშებს, რომელთაც აინტერესებთ თ ა ვ ი ა ნ თ ი ორგანიზაციის ბედი, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივუთითოთ, თუ როგორ ილანძღებიან ბ-ტონი ლუჩელები, რომლებიც გ ვ ე რ დ ს უ ვ ლ ი ა ნ სადავო საკითხებს.

რით ამტკიცებდა «პრავდა» ბუნდელების სეპარატიზმს?

1) იმით, რომ ისინი პ ა რ ტ ი ი დ ა ნ გ ა მ ო ვ ი დ ნ ე ნ 1903 წელს. ბ-ნ კოსოვსკის ლანძღვა-გინებამ ოდნავადაც ვერ უარყო ეს ფაქტი. ბატონი კოსოვსკები სწორედ იმიტომ ილანძღებიან, რომ ა რ ძ ა ლ უ ძ თ უარყონ ფაქტები.

2) იმით, რომ ებრაელი მუშები ყ ვ ე ლ გ ა ნ შედიოდნენ და შედიან პარტიაში ბ უ ნ დ ი ს დ ა უ კ ი თ ხ ა ვ ა დ.

და ამის წინააღმდეგაც კრინტის დაძვრა არ შეუძლია ბუნდის უხეირო დამცველს!

3) იმით, რომ პარტიის გადაწყვეტილება ადგილებზე ყ ვ ე ლ ა ე რ ო ვ ნ ე ბ ი ს მუშების ერთიანობის შესახებ, გადაწყვეტილება, მიღებული 1906 წელს და სპეციალურად

* იხ. ეს ტომი, გვ. 82 — 84. რ ე დ.

დადასტურებული 1908 წელს, ბუნდმა აშკარად დ ა ა რ-ღ ვ ი ა.

ბ-ნ კოსოვსკის ენის დაძვრაც ა რ შ ე ე ძ ლ ო ამის წინააღ-მდეგ!

4) ბუნდელ მედემის აღიარებით, ბუნდელებს არასდროს არ განუხორციელებიათ ერთიანობა ადგილებზეო, ე. ი. მუ-დამ სეპარატისტები იყვნენო.

არც ერთი საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამს ბ-ნ კოსოვსკის!

აბა იფიქრეთ, მკითხველო, როგორ არ უნდა ილანძღებო-დეს და ბრაზობდეს ბატონი, რომელსაც «პრავდის» ო თ ხ ი მთავარი დებულების წინააღმდეგ ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა ფ-რ ი ს თქმა ა რ შ ე უ ძ ლ ი ა?

შემდეგ «პრავდამ» მოიყვანა ზუსტი ციტატი ავსტრიის იმ ჩეხელი სეპარატისტების ორგანოდან, რომელნიც სეპარატიზ-მის გამო ერთხმად გაკიცხა მ თ ე ლ მ ა ინტერნაციონალმა. ამ ორგანოში ა ქ ე ბ ე ნ ბ-ნ კოსოვსკის (მის სტატიას ლიკვი-დატორულ «ნაშა ზარიაში») სეპარატისტების შესახებ «უკე-თესობისაკენ შებრუნების» გამო.

რას იტყვით, ბ-ნო კოსოვსკი? სწორი არ არის ჩვენი ci-ტატი? ბ-მა კოსოვსკიმ იცის, რომ სწორია, და უძლურად ბრაზობს: «რაღაც შეფასება რომელიღაც ჩეხურ ფურ-ცელშიო».

ნუ სტყუით, ბატონო სეპარატისტო და ებრაელო ლიბერა-ლო! ტყუილი ვერაფერს გიშველით, ვინაიდან მხილებული იქნებით.

არა «რაღაც შეფასება» და არა «რომელიღაც ჩეხურ ფურცელში», არამედ ეს არის ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი სტატია ჩეხი სეპარატისტების გერმანულ ო რ გ ა ნ ო შ ი[54]. ეს ფაქ-ტია, და თქვენ ეს ვერ გააბათილეთ.

მე სეპარატისტებს როდი ვიცავო — თავს იმართლებს ბ-ნი კოსოვსკი «ნაშა ზარიას» ფურცლებზე მოთავსებულ სტატიაში.

აი თურმე რა ყოფილა? მაშასადამე, ჩ ე ხ მ ა ს ე პ ა რ ა-ტ ი ს ტ ე ბ მ ა ს წ ო რ ა დ ვ ე რ გ ა გ ი გ ე ს?? ბუნდის საბრალო ლიბერალური ბელადები! არათუ მოწინააღმდეგეებმა, არამედ მ ე გ ო ბ რ ე ბ მ ა ც «ვ ე რ გ ა უ გ ე ს» მათ!

მაგრამ ყოველი მუშა მშვენივრად გაიგებს, რომ მამხილებელი საბუთით დაჭერილი წვრილფეხა მატყუარა ხსნას ეძებს ფანდებსა და ლანძღვა-გინებაში. ამით მუშებს ვერ დააშინებთ, ბატონებო.

«პრავდამ» დაამტკიცა, რომ ბუნდელები — სეპარატისტები არიან. ბ-მა ვლ. კოსოვსკიმ ამის უარყოფა ვერ შესძლო.

ბატონი ვლ. კოსოვსკი, მედემი და კომპანია — იმ ლიბერალი ინტელიგენტების ჯგუფია, რომლებიც ბურჟუაზიული ნაციონალიზმითა და სეპარატიზმით რყვნიან ებრაელ მუშებს. ამის გამო იბრძოდა და იბრძოლებს «პრავდა» ბუნდელების წინააღმდეგ.

ებრაელი სოციალ-დემოკრატი მუშები მუშათა პარტიაში შედიან ბუნდის დაუკითხავად და ბუნდის ნების წინააღმდეგ.

«პრავდა» № 127, 1913 წ. 5 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ
«პრავდის» ტექსტის მიხედვით

ლიბერალები IV სათათბიროს დამცველთა როლში

III სათათბიროს არსებობის დასაწყისშივე მარქსისტებმა აღნიშნეს, — და არა ცალკეულ სტატიებში, არამედ ფორმალური გადაწყვეტილებით, — რომ სამი ივნისის სისტემამ შეგნებულად შექმნა სათათბიროს ორი უმრავლესობა: მემარჯვენე-ოქტიაბრისტული და ოქტიაბრისტულ-კადეტური *. ორივე რეაქციულ ნიადაგზე დგას, ორივე ესაჭიროება მთავრობას, ისე როგორც მემამულეს ესაჭიროება ბურჟუაზიის მხარის დაჭერა.

და აი ახლა იმას მოვესწარით, რომ ლიბერალები სისტემატურად იცავენ IV სათათბიროს და მოითხოვენ მისთვის «საახალხო და საზოგადოებრივ მხარის დაჭერას».

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია. ეს სიტყვები მოყვანილია «რეჩის» 139-ე ნომრის მოწინავე სტატიაში. ეს მოწინავე სტატია ბევრად უფრო ღირსია «ისტორიულის» სახელწოდებისა, ვიდრე IV სათათბიროს კენჭისყრა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის საკითხზე. ჭეშმარიტად, ეს მოწინავე სტატია პროგრამულია. საკითხი სათათბიროს დამოკიდებულებისა ქვეყნისადმი და ქვეყნისა სათათბიროსადმი ფართოდ არის დაყენებული და ჩინებულად განმარტებული დემოკრატიის ჭკუისსასწავლებლად.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 13, გვ. 171. ლენინ.

«სოციალ-დემოკრატებმა რამდენიც უნდათ იმდენი იმეორონ, — **წერს** ლიბერალების მთავარი ორგანო, — რომ სათათბირო მხოლოდ დეკორაციაა, რომ სათათბიროს მოღვაწეობა მოტყუება და თვალთმაქცობაა, ხოლო სათათბიროს იდეოლოგები მხოლოდ ატყუებენ ხალხს და მას კონსტიტუციური ილუზიებით კვებავენო».

მივულოცავთ სათათბიროს, მ ე ო თ ხ ე სათათბიროს ახალ ი დ ე ო ლ ო გ ე ბ ს! სამწუხაროა მხოლოდ, რომ ისინი ასეთი უმეცარნი არიან. სოციალ-დემოკრატების პარტიას არასდროს არ განუცხადებია, რომ III და IV სათათბირო მხოლოდ დეკორაცია არისო, ასე ფიქრობდნენ და ლაპარაკობდნენ მემარცხენე ნაროდნიკები, რომელთა ამ შეცდომას მუდამ განმარტავდა სოციალ-დემოკრატების პარტია, იგი მუდამ იმას ამტკიცებდა, რომ III და IV სათათბირო ეს არის კონტრრევოლუციური ძალების სერიოზული და საქმიანი კავშირის დაწესებულება.

«საზოგადოებრივ ძალთა მოლოდინში (?), — წერს «რეჩი» — რომელნიც ჯერჯერობით მხოლოდ იმით არიან შესამჩნევნი, რომ საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზზე არა ჩანან, სათათბირო საზოგადოებრივ ძალას წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს».

უდავოა, ბატონო ლიბერალებო, რომ სათათბირო ძალას წარმოადგენს. მხოლოდ როგორ ძალას? მემამულურ და ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციურ ძალას. ხოლო თუ კადეტები მხოლოდ იმას «ამჩნევენ», რომ ასპარეზზე «არა ჩანან» დემოკრატიული ძალები, დაგვრჩენია მოგაგონოთ ბრძნული თქმა: ყოველგვარ ბრმაზე უარესია ის, ვისაც ა რ ა ს უ რ ს დაინახოს.

მოვიყვანთ პატარა ისტორიულ პარალელს: თვრამეტი წლის წინათ, 1895 — 1896 წლებში ათეული ათასობით მუშების მოძრაობა შეამჩნია და ძ ა ლ ი ა ნ ა ც შეამჩნია ლიბერალურმა საზოგადოებამ. ამჟამად კი ეს «საზოგადოება» მხოლოდ იმას ამჩნევს, რომ ერთიათად უფრო მეტი სიდიდე «არა ჩანს». ყოველგვარ ბრმაზე უარესია ის, ვისაც ა რ ა ს უ რ ს დაინახოს.

ხოლო დანახვის სურვილის ეს უქონლობა აიხსნება კლასობრივი ინტერესებით კადეტური და ოქტიაბრისტული ბურჟუაზიისა, რომელმაც ზურგი შეაქცია დემოკრატიას.

«მოვუწოდებთ საზოგადოებრივ აზრს — წერს «რეჩი» — სათათბიროს სახით ხედავდეს თავის ძალას... საზოგადოებრივი ნების უშუალო გამოხატულებას — აღძრას საზოგადოებაში ინტერესი სათათბიროსადმი» და სხვ. და სხვ.

რა სამარცხვინოდ უნდა დაცემულიყვნენ, რა სიფლიდესა და ლაფში უნდა ჩაფლულიყვნენ ლიბერალები და კადეტები, რომ ასეთი ქება-დიდება შეესხათ ოქტიაბრისტებისა და ოქტიაბრისტული სათათბიროსთვის! აი მეასე და მეათასე დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ კადეტები იგივე ოქტიაბრისტები არიან, რეგვენთა მოსატყუებლად ვარდისფრად შეფერადებულნი.

დავამთავროთ კიდევ ერთი ისტორიული პარალელით. ნახევარი საუკუნის წინათ პრუსიელი ოქტიაბრისტები და კადეტები[55] «ებრძოდნენ» ბისმარკს არა მარტო რეფორმების მოთხოვნათა ფორმულებით, არამედ კრედიტებზე უარისთქმითაც. და მერე რა გამოვიდა? დღემდე პრუსიაში გამეფებულია «მესამე სათათბიროს» საარჩევნო კანონი. დღემდე პრუსია ისეთი ქვეყნების ნიმუშად ითვლება, სადაც ბურჟუაზიის საოცარი ეკონომიური ძლიერება უერთდება მის საოცარ მონურ ქედის მოხრას მემამულეთა წინაშე.

არა კადეტურ-ოქტიაბრისტული ბლოკის მხარის დაჭერა სათათბიროში, არამედ ამ ბლოკის შინაგანი სიდამპლისა და დემოკრატიის დამოუკიდებელი ამოცანების ახსნა-განმარტება — აი რას მოითხოვს მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიის ინტერესები.

«პრავდა» № 128,
1913 წ. 6 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

თანამედროვე მთავრობის აგრარული პოლიტიკის (ზოგადის) საკითხისათვის [56]

მთავრობის საადგილმამულო პოლიტიკამ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა წინანდელი ხასიათი. წინათ თვითმპყრობელობა ატარებდა კატკოვისა და პობედონოსცევის ხაზს, ცდილობდა რა ხალხის მასების თვალში გამოჩენილიყო «კლასებზე მაღლა» მდგომად, გლეხთა ფართო მასის ინტერესების მფარველად, მათ დამცველად გაბოგანოებისა და გაჩანაგებისაგან. რასაკვირველია, ეს თვალთმაქცური «ზრუნვა» გლეხზე სინამდვილეში ფარავდა წმინდა ბატონყმურ პოლიტიკას, რომელსაც ძველი, რევოლუციამდელი რუსეთის დასახელებული «მოღვაწეები» ბრიყვული პირდაპირობით ატარებდნენ საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში. მაშინ მთავრობა სავსებით ეყრდნობოდა გლეხთა მასის სრულ ჩამორჩენილობას, უმეცრებასა და შეუგნებლობას. თვითმპყრობელობას რევოლუციამდელ ეპოქაში თავი მოჰქონდა ნადელების «განუსხვისებლობის» დამცველად, «თემის» მომხრედ; იგი ცდილობდა დაყრდნობოდა რუსეთის ეკონომიურ უძრაობას, გლეხური მოსახლეობის მასების ღრმა პოლიტიკურ ძილს. მაშინ მთელი საადგილმამულო პოლიტიკა ერთიანად ბატონყმურ-თავადაზნაურული იყო.

ახლა 1905 წლის რევოლუციამ თვითმპყრობელობის მთელი საადგილმამულო პოლიტიკის გარდატეხა გამოიწვია. სტოლიპინმა, ზუსტად ასრულებდა რა გაერთიანებული თა-

ვადაზნაურობის საბჭოს ბრძანებებს, გადაწყვიტა, მისივე საკუთარი თქმით, «გეზი აეღო ძლიერებზე». ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მთავრობას პროლეტარიატისა და დემოკრატიული გლეხობის ფართო ფენების იმ ძლიერი გამოღვიძების შემდეგ, რაც რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ გამოიწვია, უკვე აღარ შეეძლო სუსტთა ქომაგად მოეჩვენებინა თავი. ხალხმა, რომელმაც შესძლო პირველი (თუმცა ჯერ კიდევ არასაკმაო) ხვრელის შენგრევა რუსეთის ძველ, ბატონყმურ, სახელმწიფო წყობილებაში, ამით დაამტკიცა, რომ მან უკვე იმდენად დააღწია თავი პოლიტიკურ ძილს, რომ ზღაპარმა იმის შესახებ, თითქოს მთავრობა იცავს «თემს», «ნადელების განუსხვისებლობას», თითქოს ზეკლასობრივი მთავრობა იცავს სუსტებს, ამ ზღაპარმა საბოლოოდ დაკარგა ყოველგვარი ნდობა გლეხობაში.

1905 წლამდე მთავრობას შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ მისი დასაყრდენი იქნებოდა დაბეჩავებულობა და უძრაობა გლეხთა მთელი მასისა, რომელსაც არ შეეძლო თავი დაეღწია მონობის, მოთმინების, მორჩილების საუკუნეობით დამკვიდრებული პოლიტიკური ცრურწმენისაგან. სანამ გლეხები მორჩილი და დაბეჩავებული იყვნენ, მთავრობას შეეძლო ისე მოეჩვენებინა თავი, თითქოს «გეზი აღებული ჰქონდა სუსტებზე», ე. ი. ზრუნავდა სუსტებზე, თუმცა ნამდვილად იგი ზრუნავდა მხოლოდ და მხოლოდ მებატონე-მემამულეებზე და თავისი აბსოლუტიზმის შენარჩუნებაზე.

1905 წლის შემდეგ ძველი პოლიტიკური ცრურწმენა იმდენად ღრმად და ფართოდ დამსხვრეული აღმოჩნდა, რომ მთავრობამ და მისმა ხელმძღვანელმა გაერთიანებულ მებატონე-თავადაზნაურთა საბჭომ დაინახა, რომ შეუძლებელი იყო წინანდებურად სპეკულაციის გაწევა გლეხის უმეცრებასა და ცხვრისებურ მორჩილებაზე. მთავრობამ დაინახა, რომ მისთვის შეუძლებელი იყო მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება მის მიერ გაჩანაგებულ და სრულ გაღატაკებამდე, გაპარტახებამდე და შიმშილობამდე მიყვა-

1

К вопросу объ аграрной политикѣ (общей) современнаго правительства.

Земельная политика правительства за 1 революціонный годъ рѣзко измѣнила свой прежній характеръ. Ранѣе самодержавіе вмѣстѣ съ Катковыми и Побѣдоносцевыми, держа себя представителемъ интересовъ народныхъ массъ „надъ классами", охраняющимъ ихъ интересы широкой мелкой крѣпостной, обороняющимъ ихъ отъ обезземеленія и разоренія. Разумѣется, эта самодержавная „забота" о мужикѣ на дѣлѣ приводила къ крѣпостническому помѣщику, которого называлось „дѣла"

Первоელი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «თანამედროვე მთავრობის აგრარული პოლიტიკის (ზოგადის) საკითხისათვის». — 1913 წ.

დაპატარავებულია

ნილ გლეხური მოსახლეობის მასასთან. გლეხობასთან «მშვიდობიანი» ურთიერთობის დამყარების შეუძლებლობის სწორედ ამ შეგნებამ გამოიწვია «გაერთიანებულ მებატონეთა საბჭოს» პოლიტიკის შეცვლა. საბჭომ გადაწყვიტა რადაც უნდა დასჯდომოდა გაეთიშა გლეხობა და შეექმნა მისგან «ახალ მემამულეთა», შეძლებულ მესაკუთრე გლეხთა ფენა, რომელნიც «სინდისისა და არა.შიშის გამო» დაიცავდნენ მასებისგან სიმშვიდესა და ხელუხლებლობას მემამულეთა უზარმაზარი მამულებისას, რომლებიც 1905 წელს ცოტათი მაინც დაზარალდნენ რევოლუციური მასების შემოტევით.

მაშასადამე, რევოლუციის შემდეგ მთავრობის მთელი საადგილმამულო პოლიტიკის გარდატეხა სრულიადაც არ არის შემთხვევითი. პირიქით, ეს გარდატეხა მთავრობისა და «გაერთიანებულ მებატონეთა საბჭოსთვის» კლასობრივ აუცილებლობა იყო. მთავრობას სხვა გასაქანი არ ჰქონდა. მთავრობამ დაინახა, რომ «მშვიდობას» გლეხობის მასასთან ის ვერ დაამყარებდა, რომ გლეხობამ თავი დააღწია ბატონყმურ საუკუნოვან ძილს. მთავრობას მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ ეცადა დაძაბული ძალ-ღონით, სოფლის ყოველგვარი გაჩანაგებით, გაეთიშა გლეხობა, სოფელი «წასალეკად და გასაძარცვავად» მიეცა კულაკებისა და შეძლებული გლეხებისთვის, რათა დაყრდნობოდა მებატონეთავადაზნაურთა კავშირს «ახალ მემამულეებთან», ე. ი. მდიდრებთან — მესაკუთრე გლეხებთან, გლეხურ ბურჟუაზიასთან.

სტოლიპინი, რომელიც ალალმართლად ემსახურებოდა «გაერთიანებულ მებატონეთა საბჭოს» და მის პოლიტიკას ატარებდა, თვითონვე ამბობდა: «მომეცით 20 წლის სიმშვიდე, და მთელ რუსეთს გარდავქმნიო». «სიმშვიდე» მას ესმოდა როგორც სასაფლაოს სიმშვიდე, სიმშვიდე სოფლის მიერ იმ გაუგონარი გაჩანაგებისა და გაღატაკების მდუმარედ, მოთმინებით ატანისა, რაც მას თავს დაატყდა. «სიმ-

შვიდე» მას ესმოდა როგორც სიმშვიდე მ ე მ ა მ უ ლ ე ე-ბ ი ს ა, რომელთა სურვილია დაინახონ გლეხობის სრული უძრაობა, დაბეჩავებულობა, მორჩილება, მზადყოფნა მშვიდობიანად და თავაზიანად მოკვდეს შიმშილით, დასთმოს თავისი მიწა, წავიდეს სოფლიდან, გაჩანაგდეს, ოღონდ კარგად იყვნენ და სიამოვნებას გრძნობდნენ ბატონი მემამულეები. რუსეთის რეფორმირება სტოლიპინს ესმოდა როგორც ისეთი ცვლილება, როდესაც სოფლად დარჩებოდნენ მხოლოდ კმაყოფილი მემამულეები, კმაყოფილი კულაკები, წურბელები და დაქსაქსული, დაბეჩავებული, უმწეო და უძლური მოჯამაგირეები.

სტოლიპინს რომ მთელი სულითა და გულით სურდა რუსეთისთვის 20 წლის ასეთი სამარისებური სიმშვიდე, ეს სავსებით ბუნებრივი და გასაგებია მემამულის მხრივ. მაგრამ ახლა ჩვენ ვიცით, ახლა ყველანი ვხედავთ და ვგრძნობთ, რომ ვერც «რეფორმირება» მივიღეთ და ვერც «სიმშვიდე», მივიღეთ მხოლოდ 30 მილიონი გლეხის შიმშილობა, სიღატაკისა და გაჩანაგების გაუგონარი (თვით მრავალტანჯულ რუსეთშიც კი გაუგონარი) გამწვავება და გლეხობის უაღრესად ძლიერი გაბოროტება და დრტვინვა.

გასაგები რომ გახდეს მთავრობის ეგრეთწოდებული «სტოლიპინური» აგრარული პოლიტიკის ამ კ რ ა ხ ი ს მიზეზები, პოლიტიკისა, რომლის მოწონებას კვლავ ურჩევენ სახ. სათათბიროს ბიუჯეტის დამტკიცებით (და რომელსაც, რა თქმა უნდა, მოიწონებენ სათათბიროს მემამულური პარტიები), ცოტათი უფრო ვრცლად შევჩერდები ჩვენი «ახალი» საადგილმამულო პოლიტიკის ო რ მთავარ, ასე ვთქვათ, **ხერხზე:**

ჯერ-ერთი, გადასახლება-დასახლების საქმეზე

და, მეორეც, ყბადაღებულ ხ უ ტ ო რ ე ბ ზ ე.

რაც შეეხება გადასახლება-დასახლების საქმეს, 1905 წლის რევოლუციამ, რომელმაც მემამულეებს დაანახვა გლეხობის პოლიტიკური გამოღვიძება, აიძულა ისინი ცოტათი «აეხადათ» სარქველი და, ნაცვლად გადასახლებათა წინან-

დელი ხელისშეშლისა, ცდილიყვნენ «განეტვირთათ» ატმოსფერო რუსეთში, ცდილიყვნენ რაც შეიძლება მეტი მოუსვენარი გლეხები გაესტუმრებინათ ციმბირში.

მიაღწია თუ არა წარმატებას მთავრობამ? მიაღწია თუ არა მან გლეხობის რაიმე დამშვიდებას და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას რუსეთსა და ციმბირში? სწორედ პირიქით. მთავრობამ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ კიდევ უფრო გამწვავდა და გაუარესდა გლეხთა მდგომარეობა **როგორც** რუსეთში, **ისე** ციმბირში.

ამას ახლავე დაგიმტკიცებთ.

1913 წლის სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის პროექტის ფინანსთა მინისტრის განმარტებითს ბარათში ჩვენ ვხედავთ ჩვეულებრივ გაცვეთილ ოპტიმიზმსა და მთავრობის პოლიტიკის «წარმატებათა» ქებათა ქებას.

გადასახლებულნიო, გვეუბნებიან, უკაცრიელ რაიონებს «კულტურულ ადგილებად» აქცევენ, მდიდრდებიან, აუმჯობესებენ თავიანთ მეურნეობას და სხვა და ასე შემდეგ. ჩვეულებრივი გაცვეთილი ქებათა ქებაა! ძველი და ძველისძველი სიტყვებია: «ყველაფერი რიგზეა», «შიპკაზე სრული სიწყნარეა».

სამწუხაროა მხოლოდ, რომ განმარტებითს ბარათში სრულიად გვერდს უვლიან დუმილით მონაცემებს უკანვე დაბრუნებულ გადასახლებულთა შესახებ!! უცნაური და საგულისხმო დუმილია!

დიახ, ბატონებო, 1905 წლის შემდეგ გადასახლებულთა რიცხვი საშუალოდ წლიურად ნახევარ მილიონამდე ავიდა. დიახ, 1908 წელს გადასახლებულთა ტალღამ უმაღლეს წერტილს მიაღწია: 665 ათასი გადასახლებული ერთი წლის განმავლობაში. მაგრამ შემდეგ ტალღა სწრაფად ეცემა და 1911 წელს 189 ათასამდე ჩამოდის. განა ცხადი არ არის, რომ მთავრობის მიერ გადასახლებულთა ქებული «მოწყობა» შეთხზული აღმოჩნდა? განა ცხადი არ არის, რომ რევოლუციის დროიდან სულ რაღაც ექვსიოდე წლის

შემდეგ მთავრობა კვლავ უბრუნდება თავის დ ა მ ს ხ ვ-
რ ე ულ ი მ ე დ ს?

ხოლო მონაცემები უკან დაბრუნებულ გადასახლებულთა რიცხვის შესახებ, — მონაცემები, რომელთაც ასე წინდახედულად უვლის გვერდს ბ-ნი ფინანსთა მინისტრი თავის «განმარტებითს» (უფრო სწორი იქნება ვთქვათ — გამაბუნდოვანებელ) ბარათში, — ეს მონაცემები გვიჩვენებენ უკან-დაბრუნებულთა რიცხვის **საშინელ** ზრდას, 30 და 40 პ რ ო ც ე ნ ტ ა მ დ ე 1910 წ ე ლ ს და 60 პ რ ო ც ე ნ-ტ ა მ დ ე 1911 წ ე ლ ს. უკან დაბრუნებულ გადასახლებულთა ეს გიგანტური ტალღა მომასწავებელია გლეხთა საშინელი გაჭირვების, გაჩანაგებისა და სიღატაკისა; მათ მთელი სახლკარი გაყიდეს ციმბირში წასასვლელად, ახლა კი იძულებული არიან უკან გამობრუნდნენ ციმბირიდან საბოლოოდ გაჩანაგებულნი და გაღატაკებულნი.

საბოლოოდ გაჩანაგებულ უკან დაბრუნებულ გადასახლებულთა ეს უდიდესი ნაკადი უცილობელი სიცხადით მეტყველებს, რომ **სრული კრახი** განიცადა მთავრობის პოლიტიკამ გადასახლება-დასახლების საქმეში. ცხრილები რომ მოიყვანო იმ გადასახლებულთა მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ, რომელნიც დიდი ხნით რჩებიან ციმბირში (როგორც ეს ჩაიდინეს გადასახლება-დასახლების სამმართველოს ხარჯთაღრიცხვის განმარტებითს ბარათში) და **მიაფუჩეჩო** ა თ ი-ა თ ა ს ო ბ ი თ უკან დაბრუნებულ გადასახლებულთა სრული და საბოლოო გაჩანაგება, ეს იმას ნიშნავს, რომ მონაცემები აშკარად დაამახინჯო! ეს იმას ნიშნავს, რომ სათათბიროს დეპუტატებს გაუმასპინძლდე ხუხულებით და ბავშვური ზღაპრებით საერთო კეთილდღეობის შესახებ, მაშინ როდესაც ნამდვილად ჩვენ ვხედავთ გაჩანაგებასა და გაღატაკებას.

ფინანსთა მინისტრის განმარტებითს ბარათში მონაცემების დ ა მ ა ლ ვ ა უკან დაბრუნებულ გადასახლებულთა რიცხვის შესახებ, მათი საშინელი, ღატაკური მდგომარეობის, მათი სრული გაჩანაგების შესახებ — ეს, ბატონებო, იმას

ნიშნავს, რომ მთავრობა თავგამოდებით ცდილობს დამალოს სიმართლე. ამაო ცდებია! სიმართლეს ვერ დამალავ! სიმართლე გაიძულებს აღიარო იგი. უკანვე რუსეთში დაბრუნებულ გაჩანაგებულ გლეხთა სიღატაკე, ციმბირელ გაჩანაგებულ მკვიდრთა სიღატაკე აგალაპარაკებს მასზე.

თვალსაჩინოდ რომ განვმარტოთ ეს ჩემი დასკვნა გადასახლება-დასახლების მთავრობის პოლიტიკის კრახის შესახებ, მოვიყვან კიდევ აზრს ერთი მოხელისას, რომელმაც 27 წელი, — ოცდაშვიდი წელი, ბატონებო! — იმსახურა ციმბირში, სატყეო უწყებაში, მოხელისას, რომელიც გაეცნო გადასახლების საქმის ყველა პირობას, მოხელისას, რომელმაც ვერ აიტანა მთელი ის სისაძაგლე, რაც ჩვენში ხდება გადასახლება-დასახლების უწყებაში.

ეს მოხელეა სამოქალაქო მრჩეველი ბ-ნი ა. ი. კომაროვი, რომელსაც, 27 წლის ნამსახურევს, არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ 1910 წელს სტოლიპინისა და კრივოშეინის, პრემიერ-მინისტრისა და მიწათმოქმედების და მიწათმოწყობის მთავარმმართველის ყბადაღებული მგზავრობა ციმბირში «**ბუფონადური მგზავრობა**» იყო — ეს საკუთარი გამოთქმაა 27 წლის ნამსახურევი სამოქალაქო მრჩევლისა!! — ამ მოხელემ მიატოვა სამსახური, რადგან ვერ მოითმინა მთელი რუსეთის ის მოტყუება, რასაც სჩადიან ასეთი «ბუფონადური მგზავრობებით», და გამოსცა ბროშურა, სადაც მართლად არის გადმოცემული გადასახლების პოლიტიკის მთელი მტაცებლობა, ხაზინის მთელი ქურდობა, მთელი უაზრობა, ველურობა და გამჩანაგებლობა.

ამ ბროშურის სათაურია «სიმართლე გადასახლება-დასახლების საქმის შესახებ», იგი გამოვიდა ს.-პეტერბურგში მიმდინარე 1913 წელს. ფასი 60 კაპ., — ძვირი არ არის უხვი მამხილებელი მასალისათვის. როგორც ეს ჩვენში მიღებულია, მთავრობა გადასახლების საქმეშიც, ისე როგორც ყველა დანარჩენ «საქმეში» და «მართვა-გამგეობის» დარგში, მთელი ძალ-

ლონით მალავს სიმართლეს და ეშინია სისაძაგლეთა გამომ-ზეურებისა. მოხელე კომაროვი, სანამ სამსახურში იყო, იძულებული იყო მ ა ლ უ ლ ა დ, ფ ს ე ვ დ ო ნ ი მ ი თ ეწერა თავისი მამხილებელი წერილები გაზეთებში, ხოლო უფროსები ცდილობდნენ «დ ა ე ჭ ი რ ა თ» კორესპონდენტი. ყველა მოხელეს როდი აქვს შესაძლებლობა მიატოვოს სამსახური და გამოსცეს სიმართლისმთქმელი მამხილებელი ბროშურები! მაგრამ ერთი ასეთი ბროშურის მიხედვითაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა სიდამპლე და სისაძაგლე გავერანებისა გამეფებულა საერთოდ ამ «ბნელეთის სამყაროში».

მოხელე ა. ი. კომაროვი სრულიადაც არ არის ვინმე რევოლუციონერი. სრულებითაც არა! ის თვითონ ლაპარაკობს თავის კეთილგანზრახულ მტრულ დამოკიდებულებაზე სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების თეორიებისადმი. არა, ეს არის ჩვეულებრივი ფრიად კეთილგამზრახველი რუსი მოხელე, რომელიც დასჯერდებოდა სრულიად ელემენტარულ, უბრალო პატიოსნებასა და რიგიანობას. ეს არის ადამიანი, რომელიც მტრულად არის განწყობილი 1905 წლის რევოლუციისადმი და მზად არის ემსახუროს კონტრ-რევოლუციურ მთავრობას.

მით უფრო საგულისხმოა, რომ ასეთი ადამიანიც წავიდა, მიატოვა სამსახური, განიყარა მტვერი ფერხთაგან თვისთა. მან ვერ აიტანა ის გარემოება, რომ გადასახლების ჩვენი პოლიტიკა ნიშნავს «იმის ს რ უ ლ გ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ა ს, რასაც რ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ს ა ტ ყ ე ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ე წ ო დ ე ბ ა» (გვ. 138). მან ვერ აიტანა «მ კ ვ ი დ რ მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა გ ა მ ო ს ა დ ე გ ი მ ი წ ე ბ ი ს ე ქ ს პ რ ო პ რ ი ა ც ი ა (ე. ი. წართმევა), რაც იწვევს «მ კ ვ ი დ რ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს თ ა ნ დ ა თ ა ნ გ ა ღ ა ტ ა კ ე ბ ა ს» (გვ. 137 და 138). მან ვერ აიტანა «ციმბირის მიწებისა და ტყეების ი ს ე თ ი სახელმწიფო **დ ა ტ ა ც ე ბ ა** ანუ, უფრო სწორად, **გ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ა**, რომლის წინაშე ოდესღაც ბ ა შ კ ი რ თ ა მ ი წ ე ბ ი ს დ ა ტ ა ც ე ბ ა ს უ ლ უ ბ რ ა ლ ო რ ა მ ა ა» (გვ. 3).

აი ამ მოხელის დასკვნები:

«გადასახლება-დასახლების სამმართველოს სრული მოუმზადებლობა ფართო მასშტაბის სამუშაოთა დასაყენებლად», — «მუშაობაში გეგმაზომიერების სრული უქონლობა და სამუშაოთა ცუდად შესრულება», «სოფლის მეურნეობისათვის უვარგისი ნიადაგის ნაკვეთების გამოყოფა, სადაც წყალიც კი არ არის, და თუ არის, სასმელად უვარგისია» (გვ. 137).

როდესაც გადასახლებათა ტალღა აგორდა, მოხელეებისთვის ეს მოულოდნელი იყო. ისინი «აქუცმაცებდნენ თითქმის წინადღით მოწყობილ სახაზინო სატყეო ნაკვეთებს», — «იღებდნენ იმას, რაც კი პირველად მოხვდებოდა თვალში, ოღონდ მოეთავსებინათ, ოღონდ თავიდან მოეცილებინათ გატანჯული, ილაჯგაწყვეტილი, ათეულობით ადამიანები, რომლებიც ატუზულან გადასახლებადასახლების პუნქტში, მთელი საათობით დგანან გადასახლებადასახლების სამმართველოს დერეფანში (გვ. 11).

აი ორიოდე მაგალითი. გადმოსახლებულებს მიუჩინეს კურინსკის დასასახლებელი ნაკვეთი. ის შექმნილია ალტაის მარილსახდელი ქარხნის არარუსი მუშებისთვის წართმეული მიწებისგან. არარუსნი გაძარცვეს. ახალდასახლებულთ კი ხვდათ მლაშე, სასმელად უვარგისი წყალი! ხაზინა უაზროდ აბნევს ფულს ჭების ამოთხრაზე. უშედეგოდ. ახალდასახლებულნი წყალს ეზიდებიან 7 — 8 ვერსის (შვიდი და რვა!) სიშორიდან!! (გვ. 101).

ნაკვეთი «ვიეზდნოი» მდინარე მანის სათავეებში. დაასახლეს 30 ოჯახი. შვიდი მძიმე წლის შემდეგ ახალდასახლებულნი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მიწათმოქმედება შეუძლებელი იყო. თითქმის ყველანი გამოიქცნენ. რამდენიმე დარჩენილი ოჯახი ნადირობასა და თევზაობას ეწეოა (გვ. 27).

ჩუნო-ანგარის მხარის ნაკვეთები: დამიჯნულია **ასობით** თარგები, 900, 460 თარგი და სხვ. გადმოსახლებულნი არ არიან. ცხოვრება შეუძლებელია. ქედები, ჭაობები, უვარგისი წყალი.

და აი, მოხელე ა. ი. კომაროვი იმ უკანდაბრუნებულ გადასახლებულებზე, რომელთა შესახებ სდუმს ბ-ნი ფინანსთა მინისტრი, ლაპარაკობს მთავრობისთვის ა რ ა ს ა ს ი ა-მ ო ვ ნ ო ს ი მ ა რ თ ლ ე ს.

«არა ერთი და ორი ა ს ი ა თ ა ს ი ს უ ლ ი ა ო» — ამბობს ის უკანდაბრუნებულ გაჩანაგებულ და გაღატაკებულ გადასახლებულებზე. — «ბრუნდება ისეთნაირი ელემენტი, — წერს მოხელე კომაროვი, — რომელმაც მომავალ რევოლუციაში, თუ ის მოხდება, საშინელი როლი უნდა შეასრულოს... ბრუნდება არა ის, ვინც მთელ თავის სიცოცხლეში მოჯამაგირედ იყო... ბრუნდება ყოფილი მეურნე, ის, ვინც ვერასდროს ვერ წარმოიდგენდა, რომ ის და მიწა ცალ-ცალკე იარსებებდნენ, და ეს ადამიანი, სამართლიანად გამსჭვალული საშინელი შეურაცხყოფით იმის გამო, რომ ის ვერ მოაწყეს, რომ ის მხოლოდ გააჩანაგეს, — ეს ადამიანი ფრიად საშიშია ყოველი სახელმწიფო წყობილებისათვის» (გვ. 74).

ასე წერს ბ-ნი მოხელე კომაროვი, რომელიც შეძრწუნებულია რევოლუციის შიშით. ტყუილად ფიქრობს ბ-ნი კომაროვი, რომ შესაძლებელია მხოლოდ მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი «სახელმწიფო წყობილება». საუკეთესო და ფრიად კულტურულ სახელმწიფოებში მემამულეებს ადვილად **ელევიან.** რუსეთიც შეელეოდა მემამულეებს და ეს ხალხისთვის ხელსაყრელი იქნებოდა.

კომაროვი ააშკარავებს მკვიდრ მცხოვრებთა გ ა ჩ ა ნ ა-გ ე ბ ა ს. «მოუსავლობა» — ხოლო სიმართლე რომ ვთქვათ: შ ი მ შ ი ლ ო ბ ა მკვიდრ მცხოვრებთა ასეთი ძარცვის გამო ხშირი სტუმარი გახდა თვით «ციმბირის იტალიისაც», ე. ი. მინუსინსკის მაზრისაც. ბ-ნი კომაროვი ფარდას ხდის აგრეთვე ხაზინის ძარცვას მოიჯარადრეების მიერ, მოხელეების მიერ შედგენილი ანგარიშებისა და გეგმების სრულ ფიქციურობას, ე. ი. შეთხზულობას, მათ სამუშაოთა უვარგისობას, მაგალითად, ობ-ენისეის არხისას, რომელმაც მილიონები შთანთქა, — ა ს ე უ ლ ი მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ ფ უ ლ ი ს ტყუილ-უბრალოდ გადაყრას.

მთელი ჩვენი გადასახლება-დასახლების საქმე — ამბობს ღვთის მოშიში და თავმდაბალი მოხელე — «ე რ თ ი

დაუსრულებელი და საძაგელი ანეგდოტია» (გვ. 134).

აი როგორია ის სიმართლე უკანდაბრუნებულ გადასახლებულთა შესახებ, რომელიც მიაფუჩეჩაბ-მა ფინანსთა მინისტრმა! აი სინამდვილეში როგორი სრული კრახი განიცადა გადასახლება-დასახლების ჩვენმა პოლიტიკამ! გაჩანაგება და გაღატაკება როგორც რუსეთში, ისე ციმბირში. მიწების დატაცება, ტყეთამოწყობის განადგურება — ცრუ ანგარიშები და კაზიონური სიყალბე და თვალთმაქცობა.

გადავალ ხუტორების საკითხზე.

ამ საკითხზედაც ბ-ნ ფინანსთა მინისტრის განმარტებითი ბარათი ისეთსავე ზოგად, არაფრისმთქმელ, კაზიონურ-თვალთმაქცურ მონაცემებს (უფრო სწორად რომ ვთქვათ, ვითომ-მონაცემებს) გვაძლევს, როგორც გადასახლება-დასახლების საქმის საკითხზეც.

გვატყობინებენ, რომ 1912 წლისთვის უკვე 1½ (ერთნახევარ) მილიონზე მეტი კომლი საბოლოოდ გამოვიდა თემიდანო, — რომ ერთ მილიონზე მეტი კომლი გამოიყო ხუტორებადო.

იმის შესახებ კი, თუ როგორია ხუტორელთა ნამდვილი მეურნეობა, არსად არაფერია ნათქვამი, არც ერთი მართალი სიტყვა არ არის მთავრობის ანგარიშებში!!

ამავე დროს ახლა ჩვენ უკვე ვიცით — ახალი მიწათმოწყობის პატიოსან მეთვალყურეთა (განსვენებული ივანე ანდრიას-ძე კონოვალოვის მსგავსთა) აღწერით, აგრეთვე ვიცით სოფლისა და გლეხთა ცხოვრების საკუთარი დაკვირვებებითაც, რომ არსებობენ ორი, სრულიად განსხვავებული თანრიგის **ხუტორელები**. მთავრობა, ერთმანეთში ურევს რა ამ თანრიგებს და ხელაღებით მოჰყავს რა მონაცემები, მხოლოდ ატყუებს ხალხს.

ხუტორელთა ერთი თანრიგი, უმნიშვნელო უმცირესობა, ეს არის შეძლებული გლეხები, კულაკები, რომლებიც ახალ მიწათმოწყობამდეც ჩინებულად ცხოვრობდნენ. ასეთი გლე-

ხები, როცა ეყოფიან თემს და ყიდულობენ ღარიბთა ნადელებს, უსათუოდ მდიდრდებიან სხვის ხარჯზე, კიდევ უფრო აჩანაგებენ და იმონებენ მოსახლეობის მასას. მაგრამ ასეთი ხუტორელები, ვიმეორებ, ს უ ლ ც ო ტ ა ნ ი ა რ ი ა ნ.

სჭარბობენ, და დიდადაც სჭარბობენ, მეორე თანრიგის ხუტორელები — ღატაკი, გაჩანაგებული გლეხები, რომლებიც გაჭირვების გამო გავიდნენ ხუტორებში, რადგან სხვა გზა არ ჰქონდათ. «სხვა საშველი არა მაქვს, ხუტორში მაინც ვიქნებიო» — აი რას ამბობენ ეს გლეხები. ისინი შიმშილობდნენ და წვალობდნენ თავიანთ ღატაკურ მეურნეობაში და ახლა უკანასკნელ ხავსს ჩაეჭიდნენ, რადგან დახმარებას აძლევენ გადასასახლებლად, სესხს აძლევენ მოსაწყობად. ისინი ხუტორებში წელებზე ფეხს იდგამენ; მთელ თავიანთ ხორბალს ჰყიდიან იმისთვის, რომ ბანკში შესატანი ფული შეაგროვონ; მუდამ ვალში არიან; საშინლად უჭირთ; მათხოვრებივით ცხოვრობენ; მათ ე რ ე კ ე ბ ი ა ნ ხუტორებიდან გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ი ს შ ე უ ტ ა ნ ლ ო ბ ი ს გამო, და ისინიც საბოლოოდ უსახლკარო მაწანწალები ხდებიან.

მოჭორილი კეთილდღეობის უფერული სურათებით გამასპინძლების ნაცვლად რომ ეს კაზიონური სტატისტიკა მართალ ცნობებს იძლეოდეს ამ ღ ა ტ ა კ ხ უ ტ ო რ ე ლ თ ა რიცხვის შესახებ, რომლებიც მიწურებში ცხოვრობენ და პირუტყვსაც იქვე ინახავენ, სადაც ადამიანები ჯახირობენ, ნახევრად მშიერნი არიან და ძონძებში გახვეული, ავადმყოფი ბავშვები ჰყავთ, — აი მაშინ დავინახავდით «ს ი მ ა რ თ ლ ე ს ხ უ ტ ო რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ».

მაგრამ საქმეც ისაა, რომ მთავრობა გულმოდგინედ მალავს ამ სიმართლეს ხუტორების შესახებ. გლეხთა ცხოვრების დამოუკიდებელ მეთვალყურეებს სდევნიან და სოფლიდან ასახლებენ. გაზეთების თანამშრომელი გლეხები პოლიციისა და ხელისუფალთა მხრივ რუსეთშიც კი გაუგონარ თვითნებობას, შევიწროებასა და დევნას განიცდიან.

ერთ მუჭა მდიდარ ხუტორელებს ასაღებენ გამდიდრების გზაზე დამდგარ გლეხთა მასად! ოფიციალურ სიცრუეს კულა-

კების შესახებ ასაღებენ სიმართლედ სოფლის შესახებ! მაგრამ მთავრობა ვერ შესძლებს სიმართლის დამალვას. მთავრობის ცდები — დამალოს სიმართლე გაჩანაგებული და დამშეული სოფლის შესახებ იწვევს მხოლოდ გლეხობის კანონიერ გ ა ბ ო რ ო ტ ე ბ ა ს და ა ღ შ ფ ო თ ე ბ ა ს. როდესაც ათეული მილიონობით გლეხები შიმშილობენ, როგორც ეს შარშან და შარშანწინ იყო, ეს ფაქტი გრძელ-გრძელ მსჯელობაზე უკეთესად ააშკარავებს ხუტორების კეთილნაყოფიერი გავლენის შესახებ ზღაპრების სიყალბესა და თვალთმაქცობას. ეს ფაქტი ცხადზე უცხადესად გვიჩვენებს, რომ რუსული სოფელი მთავრობის საადგილმამულო პოლიტიკის შეცვლის შ ე მ დ ე გ ა ც, სტოლიპინის ყბადაღებული რეფორმების შ ე მ დ ე გ ა ც ისევე დაბეჩავებულია ჩაგვრით, ექსპლოატაციით, სიღატაკით, უუფლებობით, როგორც ბატონყმობის დროს. გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს «ა ხ ა ლ მ ა» საადგილმამულო პოლიტიკამ ხელუხლებლად დასტოვა ძ ვ ე ლ ი მებატონეები და მათი ათასობით და ათიათასობით დესეტინიანი უზარმაზარი მამულების უღელი. «ახალმა» საადგილმამულო პოლიტიკამ გაამდიდრა ძ ვ ე ლ ი მემამულეები და ერთი მუჭა გლეხური ბურჟუაზია და კიდევ უფრო გააჩანაგა აუარებელი გლეხი.

«ჩვენ გეზს ვიღებთ ძლიერებზე — ამბობდა განსვენებული სტოლიპინი თავისი საადგილმამულო პოლიტიკის განსამარტებლად და გასამართლებლად. ეს სიტყვები ღირს აღვნიშნოთ და დავიხსომოთ, როგორც მინისტრის იშვიათად მართალი სიტყვები, მართალი სიტყვები, რომლებიც გამონაკლისს შეადგენენ. გლეხებმა კარგად გაიგეს და საკუთარი გამოცდილებით შეითვისეს ეს მართალი სიტყვები, რაც იმას ნიშნავს, რომ ა ხ ა ლ ი კანონებიც და ა ხ ა ლ ი საადგილმამულო პოლიტიკაც დაწერილია მ დ ი დ რ ე ბ ი ს თ ვ ი ს და მ დ ი დ ა რ თ ა მიერ, — ეს არის პოლიტიკა მ დ ი დ რ ე ბ ი ს თ ვ ი ს და მას მ დ ი დ რ ე ბ ი ატარებენ. გლეხებმა გაიგეს ის «მ ა რ ტ ი ვ ი» მექანიკა, რომ ბატონების სათათბირო იძლევა ბატონებისავე კანონს, — რომ მთავრობა არის მებატონე-მემა-

მულეთა ნების გამომხატველი ორგანო და რუსეთზე ბატონობის ორგანო.

თუ სტოლიპინს ეს უნდოდა ესწავლებინა გლეხებისთვის თავისი «განთქმული» (სამარცხვინოდ განთქმული) სიტყვებით: «ჩვენ გეზს ვიღებთ ძლიერებზეო», დარწმუნებული ვართ, რომ სტოლიპინმა კარგი მოწაფეები იპოვა და იპოვის გაჩანაგებულთა და გაბოროტებულთა მასაში, რომელნიც, როცა შეიგნებენ, თუ ვისზე იღებს გეზს მთავრობა, მით უკეთ მიხვდებიან, ვისზე უნდა აიღონ **მათ** გეზი: მუშათა კლასზე და მის ბრძოლაზე თავისუფლებისათვის.

ჩემი ნათქვამი რომ ლიტონ სიტყვებად არ ჩამომართვან, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, რომელიც ცოცხალი ცხოვრებიდან აიღო ისეთმა მცოდნემ და თავისი საქმის უსაზღვროდ ერთგულმა მეთვალყურემ, როგორიცაა ივანე ანდრიას-ძე კონოვალოვი (ივან კონოვალოვი: «თანამედროვე სოფლის ნარკვევები», სპბ. 1913. ფასი 1 მან. 50 კაპ. ციტატებში აღნიშნულია გვერდები).

ორიოლის გუბერნიის ლივენის მაზრაში ხუტორებად დაყოფილია ოთხი მამული: დიდი მთავრის ანდრია ვლადიმერის-ძისა — 5 000 დესეტინა, პოლიაკოვისა — 900 დესეტინა, ნაბოკოვისა — 400 დესეტინა, კორფისა — 600 დესეტინა. სულ დაახლოებით 7 000 დესეტინა. თვითეული ხუტორის ოდენობა განსაზღვრულია 9 დესეტინით და მხოლოდ გამონაკლისის სახით 12 დესეტინამდე, ასე რომ სულ ექვსასზე მეტი ხუტორია.

ამ ციფრების უფრო თვალსაჩინოდ განსამარტებლად მოვიყვან მონაცემებს 1905 წლის ოფიციალური სტატისტიკიდან ორიოლის გუბერნიის შესახებ. ამ გუბერნიის ხუთი თავადაზნაური ფლობდა 143 446 დესეტინა მიწას, ესე იგი თვითეული საშუალოდ 28 ათას დესეტინას. ცხადია, ასეთ უზარმაზარ მამულებს მთლიანად თვითონ მფლობელნი ვერ დაამუშავებენ და ისინი მხოლოდ გლეხების ჩაგვრისა და დამონების საგანია. ორიოლის გუბერნიაში 1905 წელს მემამულეთა ყოფილი გლეხი კომლზე 5 დესეტინა

ნადელით იყო 44 ½ ათასი კომლი და მათ ჰქონდათ 173 ათასი დესეტინა მიწა. მემამულეს აქვს 28 ათასი დესეტინა, ხოლო «მემამულის» ღარიბ გლეხს — 4 დესეტინა.

ორიოლის გუბერნიაში თავადაზნაურნი, რომლებსაც 500 დესეტინა და მეტი მიწა ჰქონდა თვითეულს, 1905 წელს იყო 378 კაცი და მათ სულ ჰქონდათ 592 ათასი დესეტინა მიწა, ე. ი. თვითეულზე საშუალოდ მოდიოდა ათას ხუთას დესეტინაზე მეტი. ხოლო «უოფილი მემამულეთა» გლეხი კომლზე 7 დესეტინამდე ნადელით ორიოლის გუბერნიაში იყო 124 ათასი კომლი და მათ ჰქონდათ 647 ათასი დესეტინა, ე. ი. 5 დესეტინა კომლზე.

ამის მიხედვით შეიძლება განვსაჯოთ, რამდენად შევიწროებული არიან ორიოლელი გლეხები მებატონეთა მამულებით და რა წვეთია გაჭირვებისა და სიღატაკის ზღვაში ლივენის მაზრის ის ოთხი მამული, რომლებიც ხუტორებად დაჰყვეს. მაგრამ როგორ ცხოვრობენ ფერმერები თავიანთ 9-დესეტინიან ნაკვეთებზე?

მიწა შეფასებულია 220 მანეთად დესეტინა. წლიურად უნდა იხადოს 118 მანეთი და 80 კაპიკი (ე. ი. დაახლოებით 20 მანეთი ერთი დესეტინა ნათესისთვის). ღარიბ გლეხს არ ძალუძს ასეთი გადასახდელის შეტანა. მიწის ნაწილს ის იჯარით აძლევს სხვას იაფად, ოღონდ ცოტა ფული იშოვოს. მთელ ხორბალს ჰყიდის, რომ ბანკს ვალი გადაუხადოს. მას არც სათესლედ რჩება რამე და არც საჭმელად. სესხულობს. კვლავ კაბალაში ვარდება. ერთი ცხენიღა ჰყავს, ძროხა გაყიდა. მიწის. დასამუშავებელი იარაღები მოძველებულია. მეურნეობის გაუმჯობესებაზე ფიქრიც ზედმეტია. «ბავშვებს დაავიწყდათ კიდეც, რა ფერისაა რძე, არათუ როგორ იჭმევა იგი» (გვ. 198). ვადაზე გადაუხდელობის გამო ასეთ მეურნეს ერეკებიან ნაკვეთიდან და ის სრულიად გაჩანაგებული რჩება.

ბ-ნი ფინანსთა მინისტრი თავის განმარტებითს ბარათში შეეცადა გულკეთილად მიეჩქმალა გლეხთა ეს გაჩანაგება

ახალი მიწათმოწყობით ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მიწათმოშლით.

განმარტებითი ბარათის მეორე ნაწილის 57-ე გვერდზე ბ-ნ მინისტრს მოჰყავს ოფიციალური მონაცემები იმ გლეხთა რიცხვის შესახებ, რომელთაც მიწა გაყიდეს, 1911 წლის დამლევამდე. ეს რიცხვია 3 8 5 4 0 7 ოჯახი.

და ბ-ნი მინისტრი «გ ვ ა ნ უ გ ე შ ე ბ ს»: მყიდველთა რიცხვი (362 840) «ფ რ ი ა დ უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ა გ ა მ ყ ი დ ვ ე ლ თ ა რ ი ც ხ ვ ს ო» (385 407). ერთ გამყიდველზე მოდის 3,9 დესეტინა, ხოლო ერთ მყიდველზე — 4,2 დესეტინაო (განმარტ. ბარათის 58-ე გვ.).

რა არის აქ სანუგეშო? ჯერ-ერთი, ეს ოფიციალური მონაცემებიც კი ცხადყოფენ, რომ მყიდველთა რიცხვი გამყიდველთა რიცხვზე **ნაკლებია.** მაშასადამე, იზრდება სოფლის გაჩანაგება და გაღატაკება. მეორეც, ვინ არ იცის, რომ ნადელების მყიდველნი გვერდს უვლიან კანონს, რომელიც კრძალავს შეყიდვას მცირე რაოდენობის ზევით და ყიდულობენ ცოლის, ნათესავების, ყალბ პირთა სახელზე?? ვინ არ იცის, რომ გლეხებში აუცილებლობის გამო მეტისმეტად გავრცელებულია მიწის გაყიდვის სისტემა ყოველგვარ სხვა გარიგებათა სახით, მაგალითად, იჯარა და სხვ.? გაეცანით თუნდაც ნახევრად კადეტის ნახევრად ოქტიაბრისტის თავად ობოლენსკის ნაწარმოებებს «რუსსკაია მისლში» — და თქვენ დაინახავთ, რომ ეს მემამულეც კი, გამსჭვალული მემამულური შეხედულებებით, აღიარებს მდიდრების მიერ მ რ ა ვ ა ლ ი ნადელის შეყიდვის ფაქტს და ამ შეყიდვის დ ა ფ ა რ ვ ა ს კანონის ათასნაირი გვერდის ავლით!!

არა, ბატონებო! მთავრობისა და თავადაზნაურთა «ახალი» საადგილმამულო პოლიტიკა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ა, რაც კი შეეძლოთ გაეკეთებინათ ბატონ თავადაზნაურთ თავიანთი საკუთრებისა და თავიანთი შემოსავლის ხელუხლებლად დასატოვებლად (ხშირად კი თავიანთი შემოსავლის გ ა ს ა დ ი დ ე ბ ლ ა დ ა ც მიწის გასაყიდი ფასის გ ა ბ ე რ ვ ი თ და «საგლეხო ბანკის» ათასნაირი შელავათით თავადაზნაურთათვის).

და თავადაზნაურთა ეს «ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი» ა რ ა რ ა აღ-
მოჩნდა. სოფელი კიდევ უფრო მეტად გაჩანაგებულია, კიდევ
უფრო მეტად გ ა ბ ო რ ო ტ ე ბ უ ლ ი ა. სოფლად საშინელი
გაბოროტებაა. ის, რასაც ხულიგნობას უწოდებენ, უმთავრე-
სად შედეგია გლეხთა უზომო გაბოროტებისა და მ ა თ ი
პ რ ო ტ ე ს ტ ი ს **თავდაპირველი** ფორმებისა. ვერავითა-
რი დევნა, სასჯელთა ვერავითარი გაძლიერება ვერ მოს-
პობს ამ გაბოროტებას და ამ პროტესტს მილიონობით დამშე-
ული გლეხებისას, რომლებსაც ახლა გაუგონარი სისწრაფით,
უხეშობითა და სისასტიკით არბევენ «მიწათმომწყობნი».

არა, თავადაზნაურთა ანუ სტოლიპინის საადგილმამულო
პოლიტიკა გამოსავალი კი არ არის, არამედ მხოლოდ ყველაზე
უფრო გამწვავებული ხ ე რ ხ ი ა რუსეთში მიწის საკითხის ახა-
ლი გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ს ა. როგორი უნდა იყოს ეს გადაწყვეტა,
ამას არაპირდაპირ ცხადყოფს თვით ირლანდიის ბედიც კი,
სადაც მიწათმფლობელთა მხრივ ათასნაირად გაჭიანურების,
ხრიკისა და დაბრკოლების შემდეგ მიწა მაინც ფერმერების
ხელში გადავიდა.

თუ რა არის რუსეთში მიწის საკითხის დედაარსი, ამას
ყველაზე თვალსაჩინოდ ცხადყოფენ მონაცემები მსხვილი
მემამულური მიწათმფლობელობის შესახებ. ეს მონაცემები
მოიპოვება მთავრობის 1905 წლის ოფიციალურ სტატისტიკა-
ში, და მათზე აუცილებლად ყურადღებით უნდა შეჩერდეს ის,
ვინც სერიოზულად ზრუნავს რუსეთის გლეხობის ბედზე და
ჩვენი ქვეყნის მთელი პოლიტიკის საქმის ვითარებაზე.

განვიხილოთ ევროპული რუსეთის მსხვილი მემამულური
მიწათმფლობელობა. 500-ზე მეტი დესეტინა აქვს 27 833
მემამულეს და მათ ხელშია 62 მ ი ლ ი ო ნ ი დ ე ს ე ტ ი ნ ა
მ ი წ ა!! თუ ამას მივუმატებთ საუფლისწულო მიწებს და
ურალის მექარხნეთა უდიდეს მამულებს, გამოდის, რომ 70
მ ი ლ ი ო ნ დ ე ს ე ტ ი ნ ა ს ფლობს 30 000-ზე ნაკლები
მემამულე. საშუალოდ ეს იძლევა **2000** დესეტინას ერთ
უდიდეს მემამულეზე. თუ რა ოდენობას აღწევენ ლატიფუნ-

დიები, ესე იგი უდიდესი მამულები რუსეთში, ეს იქიდან ჩანს. რომ 699 მემამულეს აქვს 10 ათასზე მეტი დესეტინა თვითეულს, ყველას კი — 20 798 504 დესეტინა. ერთ-ერთ ამ მაგნატზე ანუ დიდკაცზე მოდის თითქმის 30 ათასი დესეტინა (29 754)!!

ძნელია ევროპაში ან მთელ მსოფლიოში იპოვოს კაცმა ისეთი ქვეყანა, სადაც მსხვილი ბატონყმური მიწათმფლობელობა ასეთი საზღაპრო ოდენობით იყოს შენარჩუნებული.

და ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ მიწებზე კაპიტალისტურ მეურნეობას, ე. ი. მიწის დამუშავებას დაქირავებული მუშებითა და მფლობელის ინვენტარით მხოლოდ ნაწილობრივ ეწევიან. უმეტეს ნაწილად კი ბატონყმურ მეურნეობას ეწევიან, ესე იგი მემამულეები უღელს ადგამენ გლეხებს, როგორც ეს იყო ასი, სამასი, ხუთასი წლის წინათ, და აიძულებენ მათ გლეხის ცხენით, გლეხის იარაღებით დაამუშაონ მემამულის მიწა.

ეს არ არის კაპიტალიზმი. ეს არ არის მეურნეობის წარმართვის ევროპული წესი, ბატონო მემარჯვენეებო და ოქტიაბრისტებო, მიიღეთ ეს მხედველობაში, თქვენ, ვინც იკვეხნით — სურვილი გვაქვს «გავაევროპულოთ» (ე. ი. ევროპულად გარდავქმნათ) მიწათმოქმედება რუსეთშიო! არა, ეს სრულიადაც არ არის ევროპული წესი. ეს არის ძველი ჩინური წესი. ეს არის თურქული წესი. ეს არის ბატონყმური წესი.

ეს არის არა გაუმჯობესებული მეურნეობა, არამედ მიწის მევახშეობა. ეს არის ძველისძველი კაბალა. ღატაკი გლეხი, რომელიც ღატაკადვე და მშიერ-მწყურვალი რჩება საუკეთესო წელსაც კი, და რომელსაც სუსტი, მშიერი ცხენი ჰყავს, ძველი, უბადრუკი, ღატაკური იარაღები აქვს, მემამულის, «ბატონის» უღელს იდგამს იმიტომ, რომ გლეხკაცს სხვა გზა არა აქვს.

«ბატონი» გლეხს არ მისცემს არც მიწას იჯარით, არც გასაკლელ გზას, არც წყალსალევს, არც მდელოს, არც ხე-ტყეს უიმისოდ, თუ გლეხი არ დაემონა. წაასწრებენ გლეხს ხის

«უკანონოდ» მოჭრაზე და მერე? მას მიბეგვავენ ტყისმცველები, ჩერქეზები და სხვ., ხოლო შემდეგ «ბ ა ტ ო ნ ი», რომელიც სათათბიროში მგზნებარე სიტყვებს წარმოთქვამს ჩვენი მიწათმოქმედების პროგრესსა და ევროპის მიბაძვაზე, ეს ბატონი წინადადებას აძლევს ნაცემ-ნაგვემ გლეხს აირჩიოს: ან საპყრობილეში წადი ან დაამუშავე, დახანი, დათესე და ზომკე ორი თუ სამი დესეტინაო! ასევეა წანახედის გამო. ასევეა ზამთარში ხორბლის სესხების გამო. ასევეა მდელოსი თუ საძოვრის გამო და ასე დაუსრულებლივ.

ეს არ არის მემამულეთა მსხვილი მეურნეობა. ეს არის გლეხის კ ა ბ ა ლ ა. ეს არის მილიონობით გაღატაკებული გლეხობის ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ ი ექსპლოატაცია ათას დესეტინიანი მამულების, იმ მემამულეთა მამულების მეოხებით, რომლებმაც ყოველმხრივ შეავიწროეს და მოახრჩეს გლეხი!!

ხუტორები ხსნაა ერთი მუჭა მდიდრებისთვის. მასა კი წინანდებურად შიმშილობს. რატომ არის, რომ ევროპაში, ბატონო მემამულეებო, უკვე დიდი ხანია აღარ არის შიმშილობა? რატომ იყო იქ მხოლოდ ბატონყმობის დროს ისეთი საშინელი შიმშილობანი, როგორიც ჩვენში 1910 — 1911 წელს იყო?

იმიტომ, რომ ევროპაში არ არის ბატონყმური კაბალა. ევროპაში არიან მდიდარი და საშუალო გლეხები, არიან მოჯამაგირეები, მაგრამ არ არის მილიონობით ძირბუდიანად განადგურებული, გაღატაკებული და მუდმივი წვალებით და კატორღული შრომით გაოგნებული, უუფლებო, დაბეჩავებული, «ბატონზე» დამოკიდებული გლეხობა!

მაშ რა ვქნათ? სად არის გამოსავალი?

გამოსავალი ერთია: სოფლის განთავისუფლება ამ ბატონყმური ლატიფუნდიების უღლისაგან, ამ ს ა მ ო ც დ ა ა თ ი მ ი ლ ი ო ნ ი დესეტინა მიწის გადასვლა მემამულეების ხელიდან გლეხების ხელში და მასთან უსასყიდლოდ გადასვლა.

მხოლოდ ასეთი გამოსავალი ნამდვილად დაამგვანებდა რუსეთს ევროპულ ქვეყანას. მხოლოდ ასეთი გამოსავალი მოათქმევინებდა სულს და წელში გამართავდა რუსეთის

მილიონობით გლეხობას. მხოლოდ ასეთი გამოსავალი მოგვცემდა საშუალებას რუსეთი ღატაკი, მემამულეთა კაბალით დაბეჩავებული და მუდამ მშიერი გლეხების ქვეყნის ნაცვლად გადაგვექცია «ევროპული პროგრესის» ქვეყნად, — უწიგნური ქვეყნის ნაცვლად წიგნიერ ქვეყნად, — ჩამორჩენილობისა და უიმედო უძრაობის ქვეყნის ნაცვლად ისეთ ქვეყნად, რომელიც შესძლებს განვითარებას და წინსვლას, — უუფლებო და მონური ქვეყნის ნაცვლად თავისუფალ ქვეყნად.

და მუშათა კლასის პარტია, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ თავისუფალი, დემოკრატიული დაწესებულებების გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა გზა სოციალიზმისაკენ, აღნიშნავს, რომ იმ ჩიხიდან, რომელშიც რუსეთი კვლავ მოამწყვდია მთავრობამ თავისი საადგილმამულო პოლიტიკით, გამოსავალია მემამულეთა მთელი მიწის უსასყიდლოდ გადასვლა გლეხების ხელში, სრული პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება ახალი რევოლუციით.

დაწერილია არა უგვიანეს
1913 წ. 7 (20) ივნისისა.

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-2 — 3 გამოცემაში, ტომი XVI

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

კაპიტალიზმი და გადასახადები

ჟურნალ «ნოვი ეკონომისტში» (1913, № 21), რომლის გამომცემელია ბ-ნი ბ. მიგულინი გაერთიანებული ოქტიაბრისტებისა და კადეტების მონაწილეობით, მოთავსებულია საინტერესო შენიშვნა საშემოსავლო გადასახადის შესახებ შეერთებულ შტატებში.

პროექტის მიხედვით ამ გადასახადისაგან თავისუფალია ყოველგვარი შემოსავალი, რომელიც არ აღემატება 4 000 დოლარს (8 000 მანეთს). 4 000 დოლარზე მეტი შემოსავლის ჯამი იბეგრება 1% გადასახადით, 20 000-ზე მეტი — 2%-ით და ასე შემდეგ, პროცენტის მცირე გადიდებით შემოსავლის გადიდების კვალობაზე. მაშასადამე, დაპროექტებულია პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადი, მაგრამ მეტისმეტად ნელი პროგრესიით, ასე რომ, მაგალითად, მილიონი შემოსავლის პატრონი საერთოდ იხდის 3%-ზე ნაკლებს.

პროექტით ნავარაუდევია, რომ ეს გადასახადი იმ 425 000 მფლობელისგან, რომელთა შემოსავალი 4 000 დოლარს აღემატება, — შემოიტანს 70 მილიონ დოლარს (დაახლოებით 140 მლნ. მანეთს); ამის გამო «ნოვი ეკონომისტის» ოქტიაბრისტულ-კადეტური რედაქცია შენიშნავს:

«საბაჟო შემოსავლის 700 მილიონ მანეთთან და სააქციზო გამოსაღებთა 500 მილიონ მანეთთან შედარებით საშემოსავლო გადასახადის მოსალოდნელი შემოსავალი 140 მლნ. მან. უმნიშვნელოა და ვერ შეარყევს არაპირდაპირი დაბეგვრის მნიშვნელობას».

სამწუხაროა, რომ ჩვენმა ლიბერალურ-ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა, რომელნიც სიტყვიერად მზად არიან აღიარონ

და პროგრამაშიც კი შეიტანონ საშემოსავლო-პროგრესიული გადასახადი, არ მოისურვეს გარკვევით და ზუსტად განეცხადებინათ, რ ა ზომის საშემოსავლო გადასახადს თვლიან ი ს ი ნ ი სავალდებულოდ?

ისეთს, რომ არაპირდაპირი დაბეგვრის მნიშვნელობა მხოლოდ შერყეულ იქნას და სახელდობრ რამდენად იქნას შერყეული, თუ ისეთს, რომ არაპირდაპირი დაბეგვრა სრულიად გაუქმდეს?

ამერიკის სტატისტიკა, რომელსაც «ნოვი ეკონომისტი» შეეხო, ამ საკითხის საგულისხმო ილუსტრაციას იძლევა.

პროექტის მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ 425 000 კაპიტალისტის შემოსავლის ჯამი (70 მლნ. დოლარის გადასახადით) განსაზღვრულია 5 413 მლნ. დოლარის რაოდენობით. შემცირება აქ აშკარაა: ერთ მილიონზე მეტი შემოსავლის პატრონად აქ ნაჩვენებია 1 0 0 პ ი რ ი, ხოლო მათი შემოსავალი ნავარაუდევია 150 მლნ. დოლარი. ცნობილია, რომ ა თ ე უ ლ ი ამერიკელი მილიარდერი ბევრად მეტ შემოსავალს იღებს. ამერიკის ფინანსთა მინისტრს სურს «თავაზიანი» იყოს მილიარდერებთან...

მაგრამ კაპიტალისტების მიმართ ეს მეტისმეტად «თავაზიანი» მონაცემებიც შესანიშნავ სურათს გვიხატავს. სტატისტიკის მიხედვით ამერიკაში სულ არის 16 მილიონი ოჯახი. მათგან, მაშასადამე, ნ ა ხ ე ვ ა რ მ ი ლ ი ო ნ ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ი კაპიტალისტთა ოჯახია. დანარჩენი მასა დაქირავებული მონები ანდა კაპიტალის მიერ დაბეჩავებული წვრილი მიწათმოქმედნი არიან და სხვ.

ამერიკაში სტატისტიკა საკმაო სიზუსტით არკვევს მშრომელი მასების შემოსავლის ოდენობას მთელ რიგ პირთა-თვის. მაგალითად, 6 615 046 სამრეწველო მუშა (1910 წ.) იღებდა 3 427 მლნ. დოლარს, ე. ი. 518 დოლარს (1 035 მან.) თვითეული მუშა. შემდეგ, 1 699 420 რკინიგზელი მუშა იღებდა 1 144 მლნ. დოლარს (673 დოლარს თვითეული). შემდეგ, 523 210 სახალხო მასწავლებელი იღებდა 254 მლნ. დოლარს (483 დოლარს თვითეული).

თუ მშრომელთა ამ მასას შევაერთებთ და ციფრებს დავამრგვალებთ, მივიღებთ: 8 800 000 მუშა, 4 800 მლნ. დოლარი შემოსავალი, 550 დოლარი თვითეულს; 500 000 კაპიტალისტი, 5 500 მლნ. დოლარი შემოსავალი, 11 000 დოლარი თვითეულს.

კაპიტალისტთა ნახევარი მილიონი ოჯახი უ ფ რ ო მ ე ტ შემოსავალს იღებს, ვიდრე მუშების თითქმის 9 მილიონი ოჯახი. იბადება კითხვა, რა როლი აქვს მიკუთვნებული არაპირდაპირ დაბეგვრას და დაპროექტებულ საშემოსავლო გადასახადს?

არაპირდაპირი დაბეგვრა იძლევა 1 200 მლნ. მანეთს, ე. ი. 600 მლნ. დოლარს. ამერიკაში ერთ ოჯახზე მოდის არაპირდაპირი გადასახადი 75 მან. (37½ დოლარი).

შევადაროთ ეს დაბეგვრა კაპიტალისტებისა და მუშების შემოსავალს.

	მილიონი ოჯახი	სულ შემოსავალი	სულ არაპირდაპირი გადასახადი	გადასახადის % შემოსავლის მიმართ
		(მილიონი დოლარი)		
მუშები	8,8	4 800	330	7
კაპიტალისტები	0,5	5 500	19	0,36

ჩვენ ვხედავთ, რომ არაპირდაპირ გადასახადს მუშები იხდიან 7 კაპიკს მანეთზე, ხოლო კაპიტალისტები ე რ თ მ ე ს ა მ ე დ კაპიკს მანეთზე. პროპორციულად მუშები იხდიან 2 0-ჯ ე რ მ ე ტ ს, ვიდრე კაპიტალისტები. არაპირდაპირ გადასახადთა სისტემა გარდუვალად ქმნის ასეთ «წესს» (ფრიად უწესო წესს) ყ ვ ე ლ ა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

კაპიტალისტები რომ მუშების თანაბრად იხდიდნენ შემოსავლის პროცენტს, მაშინ კაპიტალისტებს უნდა გადაეხადათ არა 19, არამედ 3 8 5 მ ი ლ ი ო ნ ი დ ო ლ ა რ ი.

ბევრად ცვლის თუ არა საქმის ვითარებას ი ს ე თ ი პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადი, რომლის შემოღებაც

განუზრახავთ ამერიკაში? ძალიან მცირედ. კაპიტალისტებისგან მაშინ მიიღებდნენ 19 მლნ. დოლარ არაპირდაპირ გადასახადს + 70 მლნ. დოლარი საშემოსავლო გადასახადი, ე. ი. სულ 89 მლნ. დოლარს ანუ სულ შემოსავლის ერთნახევარ პროცენტს!!

დავყოთ კაპიტალისტები საშუალოებად (შემოსავალი 4 — 10 ათასი დოლარი, ე. ი. 8 — 20 ათასი მან.) და მდიდრებად (შემოსავალი 20 ათას მანეთზე მეტი). მივიღებთ: საშუალო კაპიტალისტები — 304 000 ოჯახი, შემოსავალი — 1 813 მლნ. დოლარი, მდიდარი კაპიტალისტები — 121 000 ოჯახი, შემოსავალი — 3 600 მლნ. დოლარი.

საშუალო კაპიტალისტები რომ იმდენს იხდიდნენ, რამდენსაც ახლა მუშები იხდიან, ე. ი. 7%-ს შემოსავლიდან, ეს მოგვცემდა დაახლოებით 130 მლნ. დოლარს. ხოლო მდიდარი კაპიტალისტების შემოსავლის 15% მოგვცემდა 540 მლნ. დოლარს. საერთო ჯამი გადაჭარბებით დაფარავდა ყოველგვარ არაპირდაპირ გადასახადს. ამასთან თვითეულ კაპიტალისტს, საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით, ექნებოდა საშუალოს 11 ათასი მანეთი შემოსავალი, ხოლო მდიდარს — 50 ათასი მან. შემოსავალი.

ჩვენ ვხედავთ, რომ სოციალ-დემოკრატების მოთხოვნა — ყოველგვარი არაპირდაპირი გადასახადის სრულიად გაუქმება და მათი შეცვლა ნამდვილი, და არა სათამაშო, პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადით — საგსებით განსახორციელებელია. ასეთი ღონისძიება კაპიტალიზმის საფუძვლების შეურყევლად დიდად შეუმსუბუქებდა მდგომარეობას მოსახლეობის ცხრა მეათედს; ხოლო, მეორე მხრივ, უდიდეს ბიძგს მისცემდა საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას შინაური ბაზრის ზრდისა და იმის გამო, რომ სახელმწიფოს გაათავისუფლებდა ეკონომიური ცხოვრების შეუსაბამო შევიწროებათაგან, რასაც იწვევს არაპირდაპირ გადასახადთა აკრეფა.

კაპიტალისტთა დამცველები ჩვეულებრივ აღნიშნავენ დიდ შემოსავალთა აღრიცხვის სიძნელეს. ნამდვილად კი, ბანკების, შემნახველი სალაროებისა და სხვ. თანამედროვე განვითარების პირობებში, ეს სიძნელეები სრულიად მოჩმახულია. ერთადერთი სიძნელეა კაპიტალისტთა კლასობრივი ანგარება და ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ წყობილებაში არადემოკრატიული დაწესებულებების არსებობა.

«პრავდა» № 129, 1913 წ. 7 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ეკონომიური გაფიცვები 1912 და 1905 წლებში

ეკონომიური გაფიცვების სტატისტიკა, შედგენილი მოსკოვის რაიონის მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზოგადოების მიერ, საშუალებას გვაძლევს ერთგვარი პარალელი გავავლოთ 1912 წელსა და 1905 წელს შორის. ამასთან უნდა დავჯერდეთ წარმოებათა სამ ჯგუფს: მელითონეები, ფეიქრები და «სხვები». რადგან მეფაბრიკეთა საზოგადოების სტატისტიკა უფრო დაწვრილებითს ქვედანაყოფს არ იძლევა.

აი ეს პარალელური მონაცემები:

	გაფიცულ მუშათა რიცხვი (ეკონომიური გაფიცვები):		
	1905 წ.	1911 წ.	1912 წ.
მელითონეები	230 216	17 920	78 195
ფეიქრები	559 699	59 950	89 540
სხვები	230 527	18 880	43 860
სულ	1 020 442	96 750	211 595

1905 წლის მონაცემები მხოლოდ წმინდა ეკონომიურ გაფიცვებს ეხება; გამოტოვებულია შერეული, პოლიტიკური და ეკონომიური, გაფიცვები. როგორც ჩანს, 1911 და 1912 წლების მონაცემები სრული არ არის.

ამ მონაცემების შედარება გვიჩვენებს, რომ 1911 წელს ფეიქართა საგაფიცვო ენერგია უფრო დიდი იყო, ვიდრე მელითონეთა და «სხვათა», — თუ გამოსავალ წერტილად ავიღებთ 1905 წლის მოძრაობას. 1911 წელს ფეიქრებმა

მოგვცეს გაფიცულთა საერთო რიცხვის ნახევარზე ბევრად უფრო მეტი და მელითონეებზე სამჯერ უფრო მეტი. 1905 წელს გაფიცულ ფეიქართა რიცხვი მხოლოდ 2½-ჯერ აღემატებოდა გაფიცულ მელითონეთა რიცხვს.

რაც შეეხება «სხვებს», მათი და მელითონეების გაფიცულთა რიცხვი ნაჩვენებია დაახლოებით ერთნაირად, როგორც 1905, ისე 1911 წელს.

პირიქით, 1912 წელს მელითონეები გასაოცრად სწრაფად მიდიან წინ, დიდად უსწრებენ წინ «სხვებს» და თითქმის ეწევიან ფეიქრებს.

1912 წელს გაფიცულ მელითონეთა რიცხვი ოთხჯერ და უფრო მეტად აჭარბებს 1911 წლის სათანადო რიცხვს. იმავე ხნის განმავლობაში გაფიცულ ფეიქართა რიცხვი გადიდდა სულ ერთნახევარჯერ (60 ათასიდან 89 ათასამდე), ხოლო სხვათა — 2½-ჯერ.

მაშასადამე, მელითონეებმა მშვენივრად გამოიყენეს მათთვის ხელსაყრელი ბაზრის პირობები 1912 წელს. ისინი, 1911 წლის გამარჯვებებით წახალისებულნი, კიდევ უფრო ფართო და გაბედულ შეტევაზე გადავიდნენ.

მრეწველობის «სხვა» დარგთა მუშებსაც ხელსაყრელი მდგომარეობა ჰქონდათ 1912 წელს. მათ ეკონომიურ ბრძოლას უფრო მეტი წარმატება ხვდა, ვიდრე მელითონეებისას. მაგრამ თავიანთი ხელსაყრელი მდგომარეობა მათ უფრო ცუდად გამოიყენეს, ვიდრე მელითონეებმა.

1912 წელს ფეიქართა მდგომარეობა ყველაზე უარესი იყო წარმოების ყველა დარგს შორის; მათ ეკონომიურ ბრძოლას ყველაზე ნაკლები წარმატება ჰქონდა. ამის შესაბამისად მათში გაფიცულთა რიცხვი ყველაზე ნელა იზრდებოდა.

მოსკოვის რაიონის მეფაბრიკეებს იმედი აქვთ, რომ 1913 წელს საგაფიცვო ტალღა უფრო სუსტი იქნება. მათს 1912 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: «საფეიქრო მრეწველობაში მდგომარეობა უკვე საკმაოდ გამოირკვა; ვიდრე გამოირკვეოდეს, თუ რა პირი უჩანს ახალ მოსავალს, ფაბრიკების მუშაო-

ბა ნელი ტემპით იწარმოებს, და ასეთ პირობებში მუშათა გაფიცვები სრული უგუნურება იქნებოდა».

ვნახოთ, რამდენად გამართლდება ეს ვარაუდი. ყოველ შემთხვევაში 1912 წელმაც და 1913 წლის დამდეგმაც ცხადყვეს, რომ ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი გაფიცვები მ თ ე ლ ი «საგაფიცვო ტალღის» მხოლოდ მცირე წილს შეადგენს.

«პრავდა» № 130,
1913 წ. 8 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კაპიტალისტური სიმდიდრის ზრდა

კაპიტალისტებს არ უყვართ გულახდილად ლაპარაკი თავიანთ შემოსავალზე. «კომერციულ საიდუმლოს» სასტიკად ინახავენ და გარეშეთათვის ძალიან ძნელია იმ «საიდუმლოს», გამოცნობა, თუ როგორ იქმნება სიმდიდრე. კერძო საკუთრება წმიდათა წმიდაა. მესაკუთრის საქმეებში ვერავინ ჩაერევა. ასეთია კაპიტალიზმის პრინციპი.

მაგრამ კაპიტალმა უკვე დიდი ხანია გადალახა კერძო საკუთრების ფარგლები და გამოიწვია სააქციო საწარმოთა შექმნა. ასობით და ათასობით ერთმანეთის უცნობი აქციონერები შეადგენენ ერთიან საწარმოს; და ბატონ კერძო მესაკუთრეებს არა ერთხელ დაუწვავთ ხელი, როცა «კომერციულ საიდუმლოს» ეფარებოდნენ გაქნილი საქმოსნები და ჯიბეებს უცარიელებდნენ თავისივე წამოწყების ამხანაგებს.

წმიდათა წმიდა კერძო საკუთრება იძულებული გახდა დაეთმო თავისი სიწმიდის პატარა ნაწილი: სააქციო საწარმოები კანონით დაავალდებულეს აწარმოონ სწორი ანგარიში და გამოაქვეყნონ თავიანთი ანგარიშის მთავარი შედეგები. რა თქმა უნდა, ამით საზოგადოების მოტყუება კი არ შეწყვეტილა, არამედ მხოლოდ სხვა ფორმები მიიღო, უფრო ხერხიანი გახდა. მსხვილი კაპიტალი, ქვეყნიერების ყველა კუთხეში გაფანტულ აქციონერთა მცირე კაპიტალების წვრილწვრილად შემოერთებით, კიდევ უფრო მეტად ძლიერი გახდა. სააქციო საზოგადოებათა მეშვეობით მილიონერი ახლა ატრიალებს არა მარტო თავის მილიონს, არამედ დამატებითს

კაპიტალსაც, 800 ათას მანეთს, რომელიც, შესაძლოა, 8 000 წვრილ მეპატრონისგან იყოს შეგროვილი.

სამაგიეროდ კაპიტალიზმის შეუსაბამობაც სულ უფრო ცხადი და თვალსაჩინო ხდება მოსახლეობის მასისთვის.

აი, მაგალითად, რუსეთის სადაზღვევო საზოგადოებათა მიერ გამოქვეყნებული 10 წლის, 1902-დან 1911 წლამდე, ანგარიშების შენაჯამი.

სააქციო კაპიტალი 1902 წელს შეადგენდა 31⅓ მილიონ მანეთს (21 სააქციო საწარმოში), ხოლო 1911 წელს (ასევე 21 საწარმოში) — 34, 8 მილიონ მანეთს. ჩვეულებრივ ისე ხდება, რომ კაპიტალის მეტი ნაწილი ერთ მუჭა მილიონერებს ეკუთვნის. შესაძლოა, 10 თუ 20 ბობოლას ჰქონდეს 18 მილიონი მანეთის აქციები და, რადგან უმრავლესობა მათია, უკონტროლოდ განაგებენ «წვრილ» აქციონერთა დანარჩენ 13 თუ 16 მილიონს.

კაპიტალიზმის დამცველი პროფესორები, როცა ხედავენ წვრილ აქციონერთა რიცხვის ზრდას, ყბედობენ, მესაკუთრეთა რიცხვი იზრდებაო. ნამდვილად კი იზრდება ბობოლა-მილიონერების ძალაუფლება (და შემოსავალი) «წვრილფეხათა» კაპიტალის მ ი მ ა რ თ.

აბა შეხედეთ, როგორ გაშალეს ფრთები ათი წლის განმავლობაში ჩვენმა სადაზღვევო მეფეებმა. სააქციო კაპიტალის დივიდენდი 10 წლის განმავლობაში ს ა შ უ ა ლ ო დ შეადგენდა 10 პროცენტზე მ ე ტ ს!! გვარიანი მოგებაა, არა? ათწლეულის უცუდეს წელში «ერგოთ» 6 კაპიკი მანეთზე, უკეთეს წლებში კი 12 კაპიკი მანეთზე!

სათადარიგო კაპიტალი გაორკეცდა: 1902 წელს შეადგენდა 152 მილიონ მანეთს, ხოლო 1911 წელს — 327 მილიონს. ქონება თითქმის გაორკეცდა: 1902 წელს იყო 44 მილიონისა, 1911 წელს — 76 მილიონისა.

სულ 32 მილიონი მანეთის ა ხ ა ლ ი ქონება ათი წლის განმავლობაში ოცდაერთ საწარმოში!

ვინ «იშოვა» ეს ქონება?

იმან, ვინც არ მუშაობდა, ესე იგი აქციონერებმა, პირველ რიგში ბობოლა-მილიონერებმა, რომელთა ხელშიცაა აქციების უმეტესობა.

მუშაობდნენ ასობით მოსამსახურენი, მიმოდიოდნენ, რაზმავდნენ დასაზღვევთ, ამოწმებდნენ მათ ქონებას, შრომობდნენ გაანგარიშებაზე. ეს მოსამსახურენი მოსამსახურეებადვე დარჩნენ. ხელფასს გარდა (რაც უმრავლესობას, როგორც ვიცით, ოჯახის რიგიანად შესანახადაც კი არ ჰყოფნის) ისინი არაფერს ღებულობენ. მათ არავითარი ქონების დაგროვება არ შეუძლიათ.

თუ რომელიმე ბობოლამ მონაწილეობა მიიღო «მუშაობაში» — დ ი რ ე ქ ტ ო რ უ ლ მუშაობაში, ამისთვის მას ს ა გ ა ნ გ ე ბ ო დ აჯილდოებენ მინისტრის ჯამაგირითაც და პრემიებითაც.

ბატონი აქციონერები კი ი მ ი ს გ ა მ ო გამდიდრდნენ, რომ ა რ მუშაობდნენ. საშუალოდ ათი წლის განმავლობაში ისინი ღებულობდნენ სამ მილიონ მანეთს წმინდა მოგებას წლიურად, «შრომობდნენ» კუპონების მოჭრაზე, და კიდევ 32 მილიონი მანეთი დამატებითი კაპიტალი დააგროვეს.

«პრავდა» № 131, 1913 წ.
9 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

გლეხობა და მუშათა კლასი

ნაროდნიკულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ვხვდებით იმის მტკიცებას, რომ მუშები და «მშრომელი» გლეხობა ერთ კლასს შეადგენენო.

ეს შეხედულება რომ სრულიად არ არის სწორი, ცხადია ყველასთვის, ვისაც ესმის, რომ ყოველ თანამედროვე სახელმწიფოში გაბატონებულია მეტნაკლებად განვითარებული კაპიტალისტური წარმოება, ე. ი. ბაზარზე კაპიტალის პარპაში და მის მიერ მშრომელთა მასის დაქირავებულ მუშებად გადაქცევა. ეგრეთწოდებული «მშრომელი» გლეხი ნამდვილად წ ვ რ ი ლ ი მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ან წვრილი ბურჟუაა, რომელიც თითქმის მუდამ — ან თვითონ ქირავდება სხვისთვის სამუშაოდ, ანდა თვითონ ქირაობს მუშებს. «მშრომელი» გლეხი, როგორც წვრილი მეპატრონე, პოლიტიკაშიც ქანაობს მეპატრონეებსა და მუშებს შორის, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის.

«მშრომელი» გლეხის ამ მეპატრონული, ანუ ბურჟუაზიული, ბუნების ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს მონაცემები სოფლის მეურნეობაში დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ი ს შესახებ. ბურჟუაზიული ეკონომისტები (მათ შორის ნაროდნიკებიც) ჩვეულებრივ ქებას ასხამენ მიწათმოქმედებაში წვრილი წარმოების «ცხოველმყოფელობას», წვრილი წარმოება კი ესმით როგორც ისეთი მეურნეობა, რომელიც არ მიმართავს დაქირავებულ

შრომას. მაგრამ ზუსტი მონაცემები გლეხების მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ მათ ეჯავრებათ!

ახლა ვნახოთ ის მონაცემები, რომლებიც შეგროვილია აშ საკითხზე უახლესი სასოფლო-სამეურნეო აღწერებით: ავსტრიის 1902 წლისა და გერმანიის 1907 წლისა.

რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო ძლიერია დაქირავებული შრომა მიწათმოქმედებაში. გერმანიაში საერთოდ 15 მილიონი მუშიდან სოფლის მეურნეობაში ითვლება $4^1/_2$ მილიონი დაქირავებული მუშა, ე. ი. 30%; ავსტრიაში 9 მილიონიდან — $1^1/_4$, ე. ი. დაახლოებით 14%. მაგრამ ავსტრიაშიც, თუ ავიღებთ იმ მეურნეობებს, რომლებსაც ჩვეულებრივ გლეხთა (ანუ «შრომითს») მეურნეობებს მიაკუთვნებენ ხოლმე, სახელდობრ იმ მეურნეობებს, რომელთაც 2-დან 20 ჰექტარამდე (ჰექტარი — $^9/_{10}$ დესეტინა) მიწა აქვთ, დავინახავთ დაქირავებული შრომის მნიშვნელოვან განვითარებას. 5 — 10 ჰექტარიანი მეურნეობა 383 ათასია; მათგან 126 ათასს დაქირავებული მუშები ჰყავს. 10 — 20 ჰექტარიანი მეურნეობა 242 ათასია, მათგან 142 ათასს (ე. ი. დაახლოებით $^3/_5$-ს) დაქირავებული მუშები ჰყავს.

ამრიგად, წვრილი გლეხური («შრომითი») მიწათმოქმედება ექსპლოატაციას უწევს ასი ათასობით დაქირავებულ მუშას. რაც უფრო მსხვილია გლეხური მეურნეობა, მით უფრო მეტია დაქირავებული მუშების რიცხვი ოჯახის მუშახელის უფრო მნიშვნელოვან შემადგენლობასთან ერთად. მაგალითად, გერმანიაში 10 გლეხურ მეურნეობაზე მუშები მოდის:

	მეურნეობანი:	ოჯახის მუშა	დაქირავებული	სულ
2— 5	ჰექტარიანი	25	4	29
5—10	»	31	7	38
10—20	»	34	17	51

უფრო შეძლებული გლეხები, რომელთაც მეტი მიწა აქვთ და ოჯახში «საკუთარი» მუშაკებიც მეტი ჰყავთ, გარდა ამისა მეტ მუშებსაც ქირაობენ.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც მთლიანად ბაზარზეა დამოკიდებული, მასობრივი წვრილი (გლეხური) წარმოება მიწათმოქმედებაში შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა დაქირავებული შრომის მასობრივად გამოყენების გარეშე. მოთაფლული სიტყვა: «მშრომელი» გლეხი მხოლოდ ატყუებს მუშას, ჰ ფ ა რ ა ვ ს რა დაქირავებული შრომის ამ ექსპლოატაციას.

ავსტრიაში დაახლოებით 1½ მილიონი გლეხური მეურნეობა (2-დან 20 ჰექტარამდე) ქირაობს ნ ა ხ ე ვ ა რ მ ი ლ ი ო ნ მუშას. გერმანიაში 2 მილიონი გლეხური მეურნეობა ქირაობს 1½ მ ი ლ ი ო ნ ზ ე მ ე ტ მუშას.

უფრო წვრილი მეურნენი? ისინი თვითონ ქირავდებიან! ისინი არიან დაქირავებული მუშები მიწის მცირე ნაკვეთით. მაგალითად, გერმანიაში ისეთი მეურნეობანი, რომელთაც 2 ჰექტარზე ნაკლები აქვთ, ითვლება დაახლოებით 3⅓ მილიონი (3 378 509). მათგან დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი მიწათმოქმედნი არიან ნ ა ხ ე ვ ა რ მ ი ლ ი ო ნ ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ი (74 915). ხოლო დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ე ბ ი — 2 მ ი ლ ი ო ნ ზ ე ცოტა ნაკლები (1 822 792)!!

ამრიგად, თანამედროვე საზოგადოებაში წვრილ მიწათმოქმედთ მათივე მდგომარეობა გარდუვალად აქცევს წვრილ ბურჟუებად. ისინი მუდამ ქანაობენ დაქირავებულ მუშებსა და კაპიტალისტებს შორის. გლეხების უმრავლესობა გაჭირვებულია და ჩანაგდება, პროლეტარებად იქცევა, ხოლო უმცირესობა კაპიტალისტებს მისჩანჩალებს კუდში და ხელს უწყობს იმას, რომ სოფლის მოსახლეობის მასა მათზე იყოს დამოკიდებული. ამიტომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში გლეხობა მასობრივად დღემდე განზე უდგას მუშათა სოციალისტურ მოძრაობას და სხვადასხვა რეაქციულ და ბურჟუაზიულ პარტიას ემხრობა. მხოლოდ დაქირავებული მუშების დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც თანამიმდევარ კლასობრივ ბრძოლას აწარმოებს, შეუძლია გაათავისუფლოს გლეხობა ბურჟუაზიის გავლენისაგან და განუმარტოს მას,

რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში წვრილ მწარმოებელთა მდგომარეობა სრულიად უიმედოა.

რუსეთში გლეხების მდგომარეობა კაპიტალიზმის მიმართ სავსებით იმდაგვარია, რასაც ჩვენ ვხედავთ ავსტრიაში, გერმანიაში და სხვ.. ჩვენი «თავისებურება» ჩვენი ჩამორჩენილობაა: გლეხის წინაშე ჯერ კიდევ დგას არა კაპიტალისტური, არამედ ბატონყმური მსხვილი მიწათმფლობელი, რომელიც რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ჩამორჩენილობის მთავარი ბურჯია.

«პრავდა» № 132, 1913 წ. 11 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ბავშვის შრომა გლეხურ მეურნეობაში

იმ პირობების სწორად შესაფასებლად, რომლებშიც ჩაყენებულია წვრილი სამიწათმოქმედო წარმოება კაპიტალიზმის დროს, ყველაზე მნიშვნელოვანია საკითხი მუშაკის მდგომარეობის, მისი ხელფასის, შრომის რაოდენობის, ცხოვრების ვითარების შესახებ, — შემდეგ პირუტყვის შენახვისა და მისი მოვლის ხარისხის შესახებ, — ბოლოს, მიწის დამუშავების წესების, მისი განოყიერების, მის ძალთა განიავების შესახებ და სხვ.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ, თუ ამ საკითხებს გვერდს ავუვლით (როგორც ამას ხშირად სჩადის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია), სრულიად ყალბ წარმოდგენას მივიღებთ გლეხურ მეურნეობაზე, რადგან მისი ნ ა მ დ ვ ი ლ ი «ცხოველმყოფელობა» დამოკიდებულია სწორედ მუშაკის მდგომარეობაზე, პირუტყვის შენახვისა და მიწის მოვლის პირობებზე. უსაფუძვლოდ იმის დაშვება, რომ ამ მხრივ წვრილი და მსხვილი წარმოება ერთნაირ პირობებშია ჩაყენებული, იმას ნიშნავს, რომ დამტკიცებულად მიიჩნიო სწორედ ის, რის დამტკიცებაც საჭიროა, — იმას ნიშნავს, რომ ერთბაშად ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დადგე.

ბურჟუაზიას სურს დაამტკიცოს, რომ გლეხი ნამდვილი და ცხოველუნარიანი «მეურნეა» და არა კაპიტალის მონა, ისევე დაჩაგრულია, როგორც დაქირავებული მუშა, ოღონდ უფრო შებოჭილია, მისი მდგომარეობა უფრო აწეწილია, ვიდრე დაქირავებული მუშისა. თუ სერიოზულად და კეთილსინდი-

სიერად მოვძებნით მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ს სადავო საკითხის გადასაჭრელად, უნდა გავარკვიოთ როგორია ც ხ ო ვ რ ე ბ ი-ს ა დ ა შ რ ო მ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი ს სისტემატური და ობიექტური მაჩვენებლები წვრილსა და მსხვილ წარმოებაში.

ასეთ — ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვან — მაჩვენებელთა რიცხვს ეკუთვნის ბ ა ვ შ ვ ი ს შრომის გამოყენების დონე. რაც უფრო ძლიერია ბავშვის შრომის ექსპლოატაცია, მით უფრო, უეჭველად, უარესია მუშაკის მდგომარეობა, მით უფრო მძიმეა მისი ცხოვრება.

ავსტრიისა და გერმანიის სასოფლო-სამეურნეო აღწერანი ცნობებს იძლევიან ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის შესახებ სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ პირთა საერთო რიცხვთან ერთად. ამასთან ავსტრიაში ცალკე არის გამოთვლილი ორივე სქესის ყველა მუშაკი 16 წლისაზე ნ ა კ ლ ე ბ ი ასაკისა. ასეთები აღმოჩნდა 1,2 მილიონი 9 მილიონიდან, ე. ი. 13%. გერმანიაში კი გამოცალკევებული არიან მცირეწლოვანნი მხოლოდ 1 4 წ ლ ა მ დ ე, და ასეთები აღმოჩნდა ექვსასი ათასი (601 637) თხუთმეტი მილიონიდან (15 169 549). ე. ი. 3,9%.

ცხადია, ავსტრიისა და გერმანიის მონაცემები შეუსადარია. მაგრამ საკმაოდ შესადარია ამასთანავე გამოაშკარავებული დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა პროლეტარულ, გლეხურ და კაპიტალისტურ მეურნეობებს შორის.

პროლეტარულ მეურნეობებს ჩვენ ვაკუთვნებთ ისეთ მეურნეობებს, რომელთაც აქვთ მიწის ერთი ბეწო ნაკვეთები (ორ ჰექტარამდე, ე. ი. თითქმის ორი დესეტინა მეურნეობაზე), — რაც დამატებითს შემოსავალს აძლევს დაქირავებულ მუშებს. გლეხურ მეურნეობებს ვაკუთვნებთ ისეთ მეურნეობებს, რომელთაც აქვთ 2-დან 20 ჰექტარამდე; აქ ოჯახური შრომა სჭარბობს დაქირავებულს. ბოლოს, კაპიტალისტური მეურნეობები, უფრო მსხვილი მეურნეობებია, სადაც დაქირავებული შრომა სჭარბობს ოჯახურს.

აი მონაცემები ამ სამი ტიპის მეურნეობებში ბავშვის შრომის შესახებ:

მეურნეობები:	მეურნეობების ჯგუფები	სოფლის მეურნეობაში ასპირზე ბავშვი მოდის: 16 წლამდე ავსტრიაში	14 წლამდე გერმანიაში
პროლეტარული	1/2 ჰექტარამდე	8,8	2,2
	1/2-დან 2 ჰექტარამდე	12,2	3,9
გლეხური	2 » 5 »	15,3	4,6
	5 » 10 »	15,6	4,8
	10 » 20 »	12,8	4,5
კაპიტალისტური.....	20 » 100 »	11,1	3,4
	100 და მეტი	4,2	3,6
	სულ.....	13,0	3,9

აქედან ვხედავთ, რომ ორივე ქვეყანაში ბავშვის შრომის ექსპლოატაცია ყველაზე ძლიერია საერთოდ სწორედ გლეხურ მეურნეობებში და კერძოდ სწორედ საშუალო გლეხურ მეურნეობებში (5 — 10 ჰექტარი, ე. ი. 4½ — 9 დესეტინა მიწა).

ამრიგად, გარდა იმისა, რომ წვრილი წარმოება მსხვილზე უფრო ცუდადაა დაყენებული, ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, რომ სპეციალურად გლეხური მეურნეობა დაყენებულია არა მარტო კაპიტალისტურ მეურნეობაზე უარესად, არამედ პროლეტარულ მეურნეობაზე უარესადაც.

რით აიხსნება ეს მოვლენა?

პროლეტარულ მეურნეობაში მიწათმოქმედება წარმოებს მიწის ისეთ უმნიშვნელო ნაჭერზე, რომ ნამდვილ «მეურნეობაზე» სერიოზული ლაპარაკი არც კი შეიძლება. მიწათმოქმედება აქ დამხმარე მოსაქმეობაა; მთავარი კი არის დაქირავებული შრომა მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში. მრეწველობის გავლენა საერთოდ ამაღლებს მუშაკის საარსებო დონეს და კერძოდ ამცირებს ბავშვის შრომის ექსპლოატაციას. მაგალითად, გერმანიის მრეწველობაში აღწერამ მოგვცა მუშაკთა მხოლოდ 0,3% 14 წლის ასაკამდე (ე. ი. მიწათმოქმედების მიმართ ერთიათად ნაკლები) და მხოლოდ 8% 16 წლის ასაკამდე.

გლეხურ მეურნეობაში კი მრეწველობის გავლენა ყველაზე სუსტია, ხოლო კონკურენცია კაპიტალისტურ მიწათმოქმედებასთან ყველაზე ძლიერია. გლეხი ვერ იარსებებს, თუ ქანცი არ გაიწყვიტა მუშაობით თვითონაც და ბავშვებიც არ აიძულა ორკეცად უფრო მძიმედ იმუშაონ. გაჭირვება გლეხს აიძულებს საკუთარი ზურგით აინაზღაუროს კაპიტალისა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა ნაკლებობა. ხოლო თუ გლეხის მეურნეობაში ყველაზე მძიმე მუშაობა უხდებათ ბავშვებს, ეს იმას ნიშნავს აგრეთვე, რომ მძიმე სამუშაოს ასრულებს და ცუდად იკვებება გლეხის პირუტყვი: მთელი ძალღონის დაძაბვა და ყველაფერზე «მომჭირნეობა» უცილობლად მოქმედებს მეურნეობის ყველა მხარეზე.

გერმანიის სტატისტიკა ცხადყოფს, რომ დაქირავებულ მუშებში ბავშვები ყველაზე მეტია (თითქმის 4% — 3, 7%) მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობებში (100 და მეტი დესეტინა). ხოლო შინაურ მუშებში ბავშვებს ყველაზე მეტად იყენებენ გლეხები, სახელდობრ: დაახლოებით 5% (4,9% — 5,2%). დროებითს დაქირავებულ მუშებში ბავშვების პროცენტი 9-მდე აღწევს მსხვილ კაპიტალისტებთან, ხოლო დროებითს შინაურ მუშებში ეს პროცენტი გლეხებთან აღწევს 16, 5% — 24,4%-ს!!

გახურებული მუშაობის დროს გლეხს არ ჰყოფნის მუშახელი; მუშების დაქირავება მას შეუძლია მხოლოდ მცირე რაოდენობით; იძულებული ხდება ყოველნაირად გამოიყენოს საკუთარი ბავშვების მუშაობა. შედეგად ვღებულობთ იმ ფაქტს, რომ გერმანიის მიწათმოქმედებაში საერთოდ ბავშვთა პროცენტი შინაურ მუშებში თითქმის ერთნახევარჯერ აღემატება ამ პროცენტს დაქირავებულ მუშებში. ბავშვები შინაურ მუშებში 4,4 პროცენტია, ხოლო დაქირავებულებში — 3,0%.

გლეხს მეტი ძალღონის დახარჯვა უხდება მუშაობაში, ვიდრე დაქირავებულ მუშას. ეს ფაქტი, ათასგვარი ცალკეული დაკვირვებით დადასტურებული, ახლა სავსებით დამ-

ტკიცებულია მთელი რიგი ქვეყნების სტატისტიკით. კაპიტალიზმი გლეხებს უმზადებს უდიდეს დაბეჩავებას და დაღუპვას. სხვა ხსნა არ არის, გარდა დაქირავებული მუშების კლასობრივ ბრძოლასთან შეერთებისა. მაგრამ ამ დასკვნის შესაგნებად გლეხმა ცრუ ბურჟუაზიულ ლოზუნგებზე გულის გატეხა უნდა განიცადოს მრავალი წლის განმავლობაში.

«პრავდა» № 133, 1913 წ. 12 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

1912 წლის გაფიცვათა წარმატება წარსულთან შედარებით

მოსკოვის რაიონის მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზოგადოებამ მოგვცა 1912 წლის უკანასკნელი 7 თვის გაფიცვათა წარმატების სტატისტიკა. ეს სტატისტიკა მოიცავს 131 625 მუშას ყველა იმ 211 595 მუშიდან, რომლებიც მთელი 1912 წლის მანძილზე ეკონომიურ გაფიცვებში მონაწილეობას იღებდნენ (საზოგადოების მონაცემების თანახმად, რომლებიც უეჭველად შემცირებულია).

წინანდელი წლების გაფიცვათა წარმატების სტატისტიკა გვაქვს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემებში, ათი წლისა რევოლუციის წინ (1895 — 1904) და სამი რევოლუციური წლისა (1905 — 1907).

სამწუხაროდ, მონაცემები ერთგვაროვანი არ არის — მეფაბრიკეთა საზოგადოების მიერ შეგროვილი მონაცემები უფრო ცუდად არის დამუშავებული. ოფიციალური სტატისტიკა, გაფიცვათა წარმატების აღსარიცხავად, გაფიცვებს ჰყოფს სამ თანრიგად: 1) მუშების სასარგებლოდ დამთავრებულნი, 2) მეპატრონეთა სასარგებლოდ დამთავრებულნი და 3) კომპრომისით დამთავრებულნი. მეფაბრიკეთა სტატისტიკა კი გაფიცვებს ჰყოფს: 1) მუშების დამარცხებით დამთავრებულნი, 2) მუშების სრული ან ნაწილობრივი დაკმაყოფილებით დამთავრებულნი და 3) გაფიცვები გამოურკვეველი შედეგებით.

ორთავე მონაცემების შედარება (თუნდაც პირობითი) შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი ხერხის გამოყენებით. იმ გა-

ფიცვათა გაფიცულების რიცხვს, რომელნიც კომპრომისით დამთავრდა ან რომელთა შედეგები გამოურკვეველია, შუაზე ჰყოფდნენ მ ო გ ე ბ უ ლ და წ ა გ ე ბ უ ლ გაფიცვებს შორის და შედეგად ღებულობდნენ მხოლოდ ამ ორ რუბრიკს (რა თქმა უნდა, დაახლოებითს). აი შედარების შედეგები:

				მათგან	მოგებულთა
			გაფიცულ-	გაფიცვა	პროცენ-
			თა რიცხვი	მოიგო	ტი
			(ათასობით)		
10 წლის მანძილზე რევოლუ-ციის წინ.....	1895—1904	წ.	424	159	37,5
რევოლუციის სამი წლის მანძილზე	1905	წ.	1 439	705	48,9
	1906	»	458	233	50,9
	1907	»	200	59	29,5
მთელ	1911	»	96	49	51,0
უკანასკნელ 7 თვეში	1912	»	132	55	41,6

მთელი ეს მონაცემები ეხება მხოლოდ ეკონომიურ გაფიცვებს, ამასთან 1911 და 1912 წლების მონაცემები სრული არ არის. მთელი 1912 წლის განმავლობაში გაფიცულთა რიცხვი (212 ათასი) ეკონომიურ გაფიცვებში ა ღ ე მ ა ტ ე ბ ო დ ა მათ რიცხვს 1907 წელს.

1911 წლის განმავლობაში ეკონომიურ გაფიცვათა წარმატება სარეკორდო ყოფილა და აღემატებოდა თვით ყველაზე წარმატებულ რევოლუციურ წელს — 1906 წელს. მაშინ მოიგო გაფიცულ მუშათა 50,9%-მა, ახლა (1911 წ.) — 51,0%-მა.

1912 წლის გაფიცვები წარმატების მხრივ 1 9 0 5 წლისაზე დაბლა დგას (1905 — გამარჯვებულთა 48,9%, 1912 — 41,6%), მაგრამ მნიშვნელოვნად აღემატება 1895 — 1904 წლების ა თ წ ლ ე უ ლ ი ს საშუალო წარმატებას (37,5%), 1907 წელზე რომ არაფერი ვთქვათ (გამარჯვებულთა 29,5%).

საინტერესოა ამ მონაცემების შედარება დასავლეთ ევროპის მონაცემებთან. გერმანიამ X X საუკუნის მთელი პირველი ათწლეულის განმავლობაში (1900 — 1909) მოგვცა 1 897 ათასი გაფიცული (იმდენივე გაფიცული, რამდენიც რუსეთში მოგვცა რევოლუციის რ ა ღ ა ც ო რ მ ა წ ე ლ მ ა მარტო ეკონომიურ ნიადაგზე). მათგან მოიგო 698 ათასმა ანუ 36,8%-მა,

ე. ი. ცოტათი ნაკლებმა, ვიდრე რუსეთში ათწლეულის განმავლობაში რევოლუციის წინ. ინგლისში 10 წლის განმავლობაში, 1900 — 1909, გაფიცულთა რიცხვი იყო 1 884 ათასი. 1 234 ათასიდან მოიგო 588 ათასმა ანუ 47,5%-მა, ე. ი. ბევრად უფრო მეტმა, ვიდრე ჩვენში ათწლეულის განმავლობაში რევოლუციის წინ, მაგრამ უფრო ნაკლებმა, ვიდრე 1905, 1906 და 1911 წლებში. (მოგებულ მუშათა რიცხვი ინგლისსა და გერმანიაში გამორკვეულია იმავე ხერხით, როგორც რუსეთში.)

რუსეთში გამარჯვებულ მუშათა რიცხვი მ ა რ ტ ო 1905 წლის განმავლობაში მ ე ტ ი ა გერმანიაში ან ინგლისში 10 წ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი გამარჯვებულთა რიცხვზე. აქედან შეიძლება განვსაჯოთ, ჯერ კიდევ რამდენი ხელუხლები ძალები იმალება თანამედროვე პროლეტარიატის წიაღში.

«ბრავდა» № 133, 1913 წ. 12 ივნისი
ხელმოწერა: ნ.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ავსტრალიაში

ავსტრალიაში ახლახან დამთავრდა პარლამენტის ახალი არჩევნები. მუშათა პარტია, რომელიც ბატონობდა ქვედა პალატაში, და 75 დეპუტატიდან 44 ჰყავდა, დამარცხდა. მას ახლა 36 დეპუტატი აღმოაჩნდა 75-დან. უმრავლესობა ლიბერალებს ერგოთ, მაგრამ ეს უმრავლესობა ვერ არის მტკიცე, რადგან ზედა პალატაში 36 დეპუტატიდან 30 მუშაა.

ეს რა ორიგინალური კაპიტალისტური ქვეყანაა, სადაც ზ ე დ ა პალატაში მუშები სჭარბობენ, ხოლო ამ ცოტა ხნის წინათ ქვედაშიც სჭარბობდნენ, ხოლო კაპიტალისტურ წყობილებას კი არავითარი საფრთხე არ განუცდია?

გერმანიის მუშათა პრესის ერთ-ერთმა ინგლისელმა კორესპონდენტმა ამას წინათ განმარტა ეს მდგომარეობა, რომელიც ძალიან ხშირად ბურჟუაზიული მწერლების მითქმა-მოთქმის საბაბი ხდება.

ავსტრალიის მუშათა პარტია სიტყვიერადაც კი არ არის სოციალისტური პარტია. სინამდვილეში ეს არის ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტია, ხოლო ავსტრალიის ეგრეთწოდებული ლიბერალები — კონსერვატორები არიან.

ასეთი უცნაური და უმართებულო სიტყვათხმარება პარტიათა აღსანიშნავად ერთეული მოვლენა როდია. აკი ამერიკაში გუშინდელ მონათმფლობელებს დემოკრატებს უწოდებენ, ანდა საფრანგეთში წვრილ ბურჟუებს, სოციალიზმის მტრებს — «რადიკალ-სოციალისტებს»! პარტიათა ნამდვილი მნიშვნელობის გასაგებად ყურადღება უნდა მივაქციოთ არა

აბრას, არამედ მათს კლასობრივ ხასიათსა და ყოველი ცალკეული ქვეყნის ისტორიულ პირობებს.

ავსტრალია — ინგლისის ახალი კოლონიაა.

ავსტრალიის კაპიტალიზმი ჯერ სულ ნორჩია. ეს ქვეყანა ეს-ეს არის ყალიბდება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მუშები უმთავრესად ინგლისიდან გადმოსახლებულნი არიან. მათ ინგლისი ისეთ ეპოქაში მიატოვეს, როცა იქ თითქმის განუყოფლად ბატონობდა ლიბერალური მუშათა პოლიტიკა, როცა ინგლისელი მუშების მასა ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი იყო. ინგლისში კვალიფიციური, დახელოვნებული საფაბრიკო-საქარხნო მუშები დღემდისაც ლიბერალები და ნახევრადლიბერალები არიან. ეს შედეგია გასული საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის განსაკუთრებით ხელსაყრელი, მონოპოლიური მდგომარეობისა. ინგლისის მუშათა მასა მხოლოდ ახლა იწყებს (მაგრამ ნელა) შემობრუნებას სოციალიზმისაკენ.

და თუ ინგლისში ეგრეთწოდებული «მუშათა პარტია» არის არასოციალისტური პროფესიული კავშირებისა და უკიდურესი ოპორტუნისტული «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» კ ა ვ შ ი რ ი, ავსტრალიაში მუშათა პარტია არის ა რ ა სოციალისტური მუშათა პროფესიული კავშირების ნ ა მ დ ვ ი ლ ი წარმომადგენლობა.

ავსტრალიის მუშათა პარტიის ბელადები — პროფესიულ კავშირთა მოხელეები არიან, რომლებიც ყველგან უაღრესად ზომიერი და «კაპიტალისმორჩილი» ელემენტია, ხოლო ავსტრალიაში სულ მთლად მშვიდობიანი, წმინდა ლიბერალური.

ავსტრალიის ცალკეული სახელმწიფოების ერთიან ავსტრალიად შეკავშირება ჯერ კიდევ ძალიან სუსტია. მუშათა პარტიას უხდებოდა ზრუნვა მის განვითარებასა და განმტკიცებაზე, ცენტრალური მთავრობის შექმნაზე.

ავსტრალიაში მუშათა პარტია აკეთებდა იმას, რასაც სხვა ქვეყნებში ლიბერალები აკეთებდნენ: მთელი სახელმწიფოსათვის საერთო საბაჟო ტარიფი, საერთო სასკოლო კანონი,

საერთო საადგილმამულო გადასახადი, საერთო საფაბრიკო კანონმდებლობა.

გასაგებია, რომ ავსტრალიის, როგორც დამოუკიდებელი კაპიტალისტური სახელმწიფოს, საბოლოოდ განვითარებასა და განმტკიცებასთან ერთად შეიცვლება მუშების მდგომარეობაც, შეიცვლება ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი «მუშათა პარტიაც» და ადგილს დაუთმობს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ მუშათა პარტიას. ავსტრალიის მაგალითი იმის ერთ-ერთი ილუსტრაციაა, თუ რა პირობებშია შესაძლებელი საერთო წესის გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ი. ეს წესია — სოციალისტური მუშათა პარტია კაპიტალისტურ ქვეყანაში. გამონაკლისია — ლიბერალური მუშათა პარტია, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ხნით ჩნდება განსაკუთრებული, საერთოდ კაპიტალიზმისათვის არანორმალური პირობების გამო.

ევროპისა და რუსეთის ის ლიბერალები, რომლებიც ავსტრალიის მაგალითით ცდილობენ «ასწავლონ» ხალხს — კლასობრივი ბრძოლა რა საჭიროაო, თავსაც ატყუებენ და სხვებსაც. სასაცილოა ფიქრი ავსტრალიის (ინგლისელი ლიბერალური მუშებით დასახლებული განუვითარებელი, ახალი კოლონიის) პირობების გადატანაზე იმ ქვეყნებში, სადაც დიდი ხანია, რაც ჩამოყალიბებულია სახელმწიფო და განვითარებულია კაპიტალიზმი.

«პრავდა» № 134, 1913 წ.
13 ივნისი
ხელმოწერა: W.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რევოლუციური პროლეტარიატის მაისობა

გავიდა ერთი წელი ლენის ამბებისა და 3 ივნისის გადატრიალების შემდეგ რევოლუციური მუშათა მოძრაობის პირველი, გადამწყვეტი აღმავლობის დროიდან. მეფის შავმა რაზმმა და მემამულეებმა, მოხელეების ხროვამ და ბურჟუაზიამ იზეიმეს რომანოვების მიერ რუსეთის ძარცვა-გლეჯის, თათრული თარეშისა და შერცხვენის 300 წლის იუბილე. შეიკრიბა და «მუშაობა» დაიწყო IV სათათბირომ, რომელსაც თვითონაც არა სწამს ეს მუშაობა და წინანდელი კონტრრევოლუციური ენერგიაც დაკარგული აქვს. დაბნეულობა და მოწყენილობა დაეუფლა ლიბერალურ საზოგადოებას, რომელიც უსიცოცხლოდ ღეჭავს მოწოდებებს რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს ა დ მ ი — და ამავე დროს შეუძლებლად სცნობს რეფორმების ნასახსაც კი.

და აი რუსეთის მუშათა კლასის მაისობამ, — მუშათა კლასისა, რომელმაც ჯერ რეპეტიცია გაიარა რიგაში, ხოლო შემდეგ, პირველ მაისს ძველი სტილით გაბედული გამოსვლა მოაწყო პეტერბურგში, — ამ მაისობამ, როგორც ელვამ მოღუშულ, ნისლოვან, გულმომწყვლელ ატმოსფეროში, ისე გაანათა ჰაერი. ასეულობით ძველ რევოლუციონერთა წინაშე, რომელნიც ჯერ კიდევ ვერ ჩაკლა და ვერ მოტეხა ჯალათთა დევნამ და მეგობართა რენეგატობამ, — დემოკრატებისა და სოციალისტების ახალი თაობის მილიონების წინაშე კვლავ მთელი სიდიადით დადგა მომავალი რევოლუციის ამოცანები და გამოისახა მისი ხელმძღვანელი მოწინავე კლასის ძალები.

უკვე რამდენიმე კვირით ადრე პირველ მაისამდე მთავრობას თითქოს თავგზა დაებნა, ხოლო ბატონი მეფაბრიკეები ისე იქცეოდნენ, როგორც მთლად გონება დაკარგულნი. დაპატიმრებებმა და ჩხრეკამ, თითქოს, თავდაყირა დააყენა დედაქალაქის ყველა მუშათა უბანი. ცენტრს არც პროვინცია ჩამორჩებოდა. მეფაბრიკეები წრიალებდნენ, თათბირებს იწვევდნენ, ერთმანეთის საწინააღმდეგო ლოზუნგები გამოჰქონდათ, ხან დასჯითა და ლოკაუტებით იმუქრებოდნენ, ხან წინდაწინვე დათმობებზე მიდიოდნენ და თანხმდებოდნენ ქარხნების დახურვაზე, — ხან მთავრობას აქეზებდნენ სიმხეცე ჩაედინა, ხან კი უსაყვედურებდნენ მთავრობას და მოუწოდებდნენ პირველი მაისი «სატაბელო» დღეებში შეეტანა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჟანდარმერია დიდ გულმოდგინებას იჩენდა, სასტიკად «წმენდდა» საფაბრიკო გარეუბნებს, განუკითხავად აპატიმრებდა თავისი უკანასკნელი «სიების» მიხედვით «საეჭვო პირთ», — ვერაფერმა უშველა. მუშები მასხარად იგდებდნენ მეფის ბრბოს და კაპიტალისტთა კლასის უილაჯო გაბოროტებას, დასცინოდნენ ქალაქის უფროსის მრისხანე და უბადრუკ «განცხადებებს», წერდნენ და ხელიდან ხელში — ან ზეპირად გადასცემდნენ ერთმანეთს — სატირულ ლექსებს და შოულობდნენ, თითქოს ქვესკნელიდან ამოაქვთო, ცუდად გამოცემული, მოკლე და უბრალო, მაგრამ ჩამაგონებელი «ფურცლების» ახალ-ახალ დასტებს, რომელნიც მოუწოდებდნენ გაფიცვისა და დემონსტრაციისაკენ, მოაგონებდნენ სოციალ-დემოკრატიის ძველ, შეუკვეცელ, რევოლუციურ ლოზუნგებს, — სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც 1905 წელს თვითმპყრობელობასა და მონარქიაზე მასების პირველ შეტევას ხელმძღვანელობდა.

პირველ მაისს გაფიცული იყო ასი ათასიო — ამბობდა მეორე დღეს მთავრობის პრესა. ას ოცდახუთი ათასიო — იტყობინებოდნენ ბურჟუაზიული გაზეთები პირველი სადეპეშო ინფორმაციის მიხედვით («კიევსკაია მისლ»). ასორმოცდაათი ათასიო — დეპეშით იტყობინებოდა პეტერბურგიდან გერმა-

ნიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანოს კორესპონდენტი. ხოლო მეორე დღეს უკვე მთელი ბურჟუაზიული პრესა იძლეოდა ციფრს 200 — 220 ათასს. ნამდვილად კი გაფიცულთა რიცხვი 250 ათასს აღწევდა!

მაგრამ, პირველ მაისს გაფიცულთა რიცხვს გარდა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი — და ბევრად უფრო საგულისხმო — იყო მუშების რევოლუციური დემონსტრაციები ქუჩებში. რევოლუციური სიმღერებით, რევოლუციისაკენ ხმამაღალი მოწოდებით დედაქალაქის ყველა გარეუბანში და ქალაქის ყველა კუთხეში, წითელი დროშებით იბრძოდნენ რამდენიმე საათის განმავლობაში მუშათა ჯგუფები მთავრობის მიერ გაათკეცებული ენერგიით მობილიზებული პოლიციისა და დამცველი რაზმების ძალების წინააღმდეგ. და მუშებმა აგრძნობინეს მეფის ყველაზე თავგამოდებულ ოპრიჩნიკებს, რომ ბრძოლა სერიოზულია, რომ პოლიციას უპირისპირდება არა ერთი მუჭა სათამაშო, სლავოფილური საქმის კაცუნები [57], რომ აღმდგარია დედაქალაქის ნამდვილი მშრომელი კლასის მასები.

პროლეტარიატის — მისი გამობრძმედილი და ახალი თაობებით გამაგრებული რევოლუციური ძალების — რევოლუციურ მისწრაფებათა, რუსეთის ხალხისა და ხალხებისადმი რევოლუციურ მოწოდებათა აშკარა დემონსტრაცია ჭეშმარიტად ბრწყინვალე გამოვიდა. თუ გასულ წელს მთავრობასა და მეფაბრიკეებს შეეძლოთ თავი ენუგეშებინათ იმით, რომ შეუძლებელი იყო გაგვეთვალისწინებინა ლენის ამბავიო, შეუძლებელი იყო ერთბაშად მოვმზადებულიყავით მის შედეგებთან საბრძოლველადო, ახლა მონარქიას ყოველივე გათვალისწინებული ჰქონდა ფრიად ზუსტად, დრო მოსამზადებლად ფრიად ხანგრძლივი ჰქონდა, მიღებული იყო ფრიად «ენერგიული» «ზომები», — ხოლო შედეგი ის იყო, რომ გამოაშკარავდა მეფის მონარქიის სრული უძლურება პროლეტარული მასების რევოლუციური გამოღვიძების წინაშე.

დიახ, ლენის ამბების შემდეგ საგაფიცვო ბრძოლის ერთმა წელმა, ამ წელმა ცხადყო — მიუხედავად ლიბერალებისა და მათი დამქაშების უბადრუკი გოდებისა «გაფიცვებით გატაცების» წინააღმდეგ, «სინდიკალისტური» გაფიცვების წინააღმდეგ, ეკონომიური და პოლიტიკური, და პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვის შეერთების წინააღმდეგ, — ამ წელმა ცხადყო, რა დიდი, უბადლო იარაღი გამოსჭედა სოციალ-დემოკრატიულმა პროლეტარიატმა რევოლუციურ ეპოქაში მასებს შორის საგიტაციოდ, მათ გამოსაღვიძებლად, მათ ჩასაბმელად ბრძოლაში. რევოლუციური მასობრივი გაფიცვა მოწინააღმდეგეს არც ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა და არც ვადას. იგი მატერიალურ ზარალსაც აყენებდა მტერს, იგი მთელი ქვეყნიერების წინაშე ლაფს ასხამდა ვითომ-«ძლიერი» მეფის მთავრობის პოლიტიკურ პრესტიჟს. იგი მუშების სულ ახალ-ახალ ფენებს საშუალებას აძლევდა დაებრუნებინათ უკან 1905 წლის მონაპოვართა მცირე ნაწილი მაინც და ბრძოლაში აბამდა მშრომელთა ახალ ფენებს, იზიდავდა ყველაზე ჩამორჩენილთ. იგი არ ხარჯავდა მუშების მთელ ძალებს, რადგან უმთავრესად ხანმოკლე, დემონსტრაციულ გამოსვლას წარმოადგენდა. — და ამავე დროს ამზადებდა მასების ახალ, კიდევ უფრო მნიშვნელოვან და უფრო რევოლუციურ აშკარა გამოსვლებს ქუჩის დემონსტრაციების სახით.

უკანასკნელი წლის განმავლობაში მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა პოლიტიკურ გაფიცულთა იმდენი რიცხვი, როგორც რუსეთში, გაფიცვების ასეთი შეუპოვრობა, ასეთი მრავალგვარობა, ასეთი ენერგია. უკვე მარტო ეს გარემოება ცხადყოფს იმ ლიბერალ და ლიკვიდატორ ბრძენთა მთელ უბადრუკობას, მთელ საზიზღარ ყეყეჩობას, რომელთაც სურდათ რუსეთის მუშების 1912 — 1913 წლების ტაქტიკა «შეესწორებინათ» «ევროპის» კონსტიტუციური პერიოდების, უმთავრესად მასების სოციალისტური განათლებისა და აღზრდის მოსამზადებელი მუშაობის პერიოდების საზომის მიხედვით.

ვინაიდან რუსეთის გაფიცვების უდიდესი სიჭარბე ევროპის ყველაზე მოწინავე ქვეყნების გაფიცვათა მიმართ სრულიადაც არ ამტკიცებს რუსეთის მუშების განსაკუთრებულ თვისებებს ან განსაკუთრებულ უნარს, — არამედ მხოლოდ თანამედროვე რუსეთის განსაკუთრებულ პირობებს რევოლუციური მდგომარეობის, უშუალოდ რევოლუციური კრიზისის ზრდის ვითარებაში. როდესაც ევროპაში მოახლოვდება რევოლუციის ზრდის ანალოგიური მომენტი (იქ ეს იქნება სოციალისტური და არა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, როგორც ჩვენში), მაშინ ყველაზე კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატი დაქირავებული მონობის დამცველთა წინააღმდეგ გაშლის რევოლუციური გაფიცვების, დემონსტრაციებისა და შეიარაღებული ბრძოლის კიდევ უფრო შეუდარებლად მეტ ენერგიას.

მიმდინარე წლის მაისის გაფიცვას, ისე როგორც რუსეთის მთელ რიგ გაფიცვებს უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში, რევოლუციური ხასიათი აქვს არა მარტო ჩვეულებრივი ეკონომიური გაფიცვებისაგან განსხვავებით, არამედ დემონსტრაციული გაფიცვებისა და იმ პოლიტიკური გაფიცვებისაგან განსხვავებითაც, რომლებიც კონსტიტუციურ რეფორმებს მოითხოვდნენ, როგორიცაა, მაგალითად, ბელგიის უკანასკნელი გაფიცვა[58]. რუსეთის გაფიცვების ეს თავისებურება, რაც სავსებით შეპირობებულია რუსეთის რევოლუციური მდგომარეობით, ვერასგზით ვერ შეუგნიათ იმ ადამიანებს, რომლებიც მოხიბლული არიან ლიბერალური მსოფლმხედველობით და გადაჩვეულან საქმის დანახვას რევოლუციური თვალსაზრისით. კონტრრევოლუციისა და რენეგატულ სულისკვეთებათა თარეშის ეპოქამ მეტად ბევრი დასტოვა ასეთი ადამიანები იმათ 'მორისაც, ვისაც სურს სოციალ-დემოკრატები უწოდონ თავიანთ თავს.

რუსეთი იმიტომ განიცდის რევოლუციურ მდგომარეობას, რომ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის, არა მარტო პროლეტარიატის, არამედ აგრეთვე წვრილ მწარმოებელთა,

განსაკუთრებით გლეხთა, ცხრა მეათედის ჩაგვრა მაქსიმალურად გამწვავდა, ამასთან ეს გამწვავებული ჩაგვრა, შიმშილობა, სიღატაკე, უუფლებობა, ხალხის აბუჩად აგდება აშკარად არ შეესაბამება არც რუსეთის საწარმოო ძალთა მდგომარეობას, არც 1905 წლის მიერ გამოღვიძებული მასების შეგნებისა და მომთხოვნელობის დონეს, არც საქმის ვითარებას ყველა მეზობელ, არა მარტო ევროპის, არამედ აზიის ქვეყნებშიც.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მარტო ჩაგვრა, რაც უნდა დიდი იყოს იგი, ყოველთვის როდი ქმნის ქვეყნის რევოლუციურ მდგომარეობას. უმეტეს ნაწილად რევოლუციისათვის არ კმარა ის, რომ ქ ვ ე დ ა ფ ე ნ ე ბ ს ა რ უ ნ დ ო დ ე თ წინანდებურად ცხოვრება. რევოლუციისათვის საჭიროა კიდევ, რომ ზ ე დ ა ფ ე ნ ე ბ ს ა რ შ ე ე ძ ლ ო თ პარპაში და მართვა-გამგეობა წინანდებურად. სწორედ ამას ვხედავთ ახლა რუსეთში. პოლიტიკური კრიზისი ყველას თვალწინ მწიფდება. ბურჟუაზიამ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი მოიმოქმედა, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, კონტრრევოლუციის მხარის დასაჭერად და ამ კონტრრევოლუციურ ნიადაგზე «მშვიდობიანი განვითარების» მოსაგვარებლად. ბურჟუაზია ფულს აძლევდა ჯალათებსა და მებატონეებს, რამდენიც მათ სურდათ, ბურჟუაზია ლანძღვა-გინებას უთვლიდა რევოლუციას და ზურგი შეაქცია მას, ბურჟუაზია ლოკავდა პურიშკევიჩის ჩექმებს და მარკოვ მე-2 მათრახს, იგი მათ ლაქიად გადაიქცა, ბურჟუაზია ქმნიდა «ევროპულად»-დასაბუთებულ თეორიებს, რომელნიც ლაფს ასხამდნენ თავზე 1905 წლის «ინტელიგენტთა» რევოლუციას, აცხადებდნენ მას ცოდვილ, მძარცველ, ანტისახელმწიფოებრივ რამედ და სხვა და სხვა.

და მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლად გაიღო თავისი ქისა, პატიოსნება და სინდისი, ბურჟუაზია თ ვ ი თ თ ო ნ აღიარებს, კადეტებით დაწყებული ოქტიაბრისტებამდე, რომ თვითმპყრობელობამ და მემამულეებმა ვ ე რ უზრუნველყვეს «მშვიდობიანი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა», ვერ უზრუნველყვეს «წესრიგისა» და «კანონიერების» ელემენტარული პირობები,

ურომლისოდაც XX საუკუნეში გერმანიისა და ახალი ჩინეთის გვერდით კაპიტალისტური ქვეყანა ვერ იარსებებს.

რუსეთში პოლიტიკური კრიზისი საერთონაციონალური მასშტაბით უკვე არსებობს და ამასთან ეს ისეთი კრიზისია, რომელიც ეხება სწორედ სახელმწიფო წყობის საფუძვლებს, და არა მის რაიმე ნაწილს, ეხება შენობის საძირკველს, და არა ამა თუ იმ მინაშენს, არა ამა თუ იმ სარდულს. და რამდენიც უნდა იყბედონ ჩვენმა ლიბერალებმა და ლიკვიდატორებმა იმ თემაზე, რომ, «მადლობა ღმერთს, კონსტიტუცია გვაქვს» და დღის წესრიგში დგას ესა თუ ის პოლიტიკური რეფორმა ეგ ი ო (პირველი დებულების მჭიდრო კავშირი მეორესთან არ ესმით მხოლოდ ფრიად ჭკუამოკლე ადამიანებს), რამდენიც უნდა ილაქლაქონ ამ რეფორმატორებმა, — საქმე მაინც იმ მდგომარეობაში რჩება, რომ ვერც ერთი ლიბერალი და ვერც ერთი ლიკვიდატორი ვერ გვიჩვენებს ვერავითარ რეფორმატორულ გამოსავალს მდგომარეობიდან.

რუსეთის მოსახლეობის მასის მდგომარეობაც, მისი მდგომარეობის გამწვავებაც ახალი აგრარული პოლიტიკით (რომელსაც, როგორც უკანასკნელ ხსნას, უნდა ჩასჭიდებოდნენ მებატონე-მემამულეები), საერთაშორისო პირობებიც, ჩვენში შექმნილი საერთოპოლიტიკური კრიზისის ხასიათიც — აი ობიექტური პირობების ის ჯამი, რაც არევოლუციურებენ რუსეთის მდგომარეობას იმის გამო, რომ ამ გზაზე და ამ საშუალებებით (მთავრობისა და ექსპლოატატორულ კლასთა ხელში არსებული საშუალებებით) ბურჟუაზიული გადატრიალების ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია.

ასეთია რუსეთში საზოგადოებრივი, ეკონომიური და პოლიტიკური ნიადაგი, ასეთია კლასთა თანაფარდობა, რამაც წარმოშვა ჩვენში თავისებური გაფიცვები, რომელნიც შეუძლებელია ახლანდელ ევროპაში, საიდანაც ყველა ჯურის რენეგატს სურს მაგალითი გადმოიღოს არა გუშინდელი ბურჟუაზიული რევოლუციებისა (ხვალინდელი პროლეტარული რე-

ვოლუციის ნიშნების ნასახით), არამედ დღევანდელი «კონსტიტუციური» მდგომარეობისა. ვერც ქვედაფენების ჩაგვრა და ვერც ზედაფენების კრიზისი ჯერ კიდევ ვერ შექმნის რევოლუციას, — ეს შექმნის მხოლოდ ქვეყნის ლპობას, — თუ ამ ქვეყანაში არ არის რევოლუციური კლასი, რომელსაც უნარი შესწევს ჩაგვრის პასიური მდგომარეობა გადააქციოს აღშფოთებისა და აჯანყების აქტიურ მდგომარეობად.

და სწორედ სამრეწველო პროლეტარიატი ასრულებს ამ ნამდვილი მოწინავე კლასის როლს, კლასისა, რომელიც მართლა ფეხზე აყენებს მასებს რევოლუციის მოსახდენად და რომელსაც უნარი შესწევს მართლა იხსნას რუსეთი ლპობისაგან. სწორედ ამ ამოცანას ახორციელებს ის თავისი რევოლუციური გაფიცვებით. ეს გაფიცვები, რომლებიც სძულთ ლიბერალებს და ვერ გაუგიათ ლიკვიდატორებს, წარმოადგენს (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თებერვლის რეზოლუციის სიტყვებით რომ ვთქვათ) «სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატისა და გლეხობის აპათიის, სასოწარკვეთილებისა და დაქსაქსვის დაძლევის რაც შეიძლება უფრო ერთსულოვან, ერთდროულ და ფართო რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ურ გ ა მ ო ს ვ ლ ე ბ შ ი მ ი ს ი ჩ ა ბ მ ი ს ერთ-ერთ ყველაზე ნამდვილ საშუალებას» *.

მუშათა კლასი რევოლუციურ გამოსვლებში აბამს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასებს, რომელნიც მოკლებულნი არიან ელემენტარულ უფლებებს და სასოწარკვეთილ მდგომარეობამდე არიან მიყვანილი. მუშათა კლასი ასწავლის მათ რევოლუციურ ბრძოლას, წვრთნის მათ რევოლუციური მოქმედებისათვის და განუმარტავს მათ სად და რაშია ხსნა და გამოსავალი. მუშათა კლასი მათ ასწავლის არა სიტყვიერად, არამედ საქმით, მაგალითით და ამასთან არა ერთეულ გმირთა ავანტიურების მაგალითით, არამედ პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნების გამაერთიანებელი მ ა ს ო ბ რ ი ვ ი რევოლუციური გამოსვლის მაგალითით.

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 18, გვ. 552. რ ე დ.

რა უბრალო, რა გასაგები, რა მახლობელია ეს აზრები ყოველი პატიოსანი მუშისათვის, რომელსაც შეუთვისებია სოციალიზმისა და დემოკრატიის მოძღვრების თუნდაც ჩანასახები! და რა უცხოა ისინი სოციალიზმისა და დემოკრატიის იმ მოღალატე ინტელიგენტებისთვის, რომელნიც ლიკვიდატორულ გაზეთებში აგინებენ ან აბუჩად იგდებენ «არალეგალობას» და თან არწმუნებენ გულუბრყვილო დოყლაპიებს — «ჩვენც სოციალ-დემოკრატები» ვართო.

პეტერბურგისა და შემდეგ მთელი რუსეთის პროლეტარიატის მაისობამ კიდევ და კიდევ თვალსაჩინოდ დაანახვა იმათ, ვისაც თვალნი აქვს ხედვად და ყურნი სმენად, თუ რა დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს რევოლუციურ არალეგალურ მუშაობას თანამედროვე რუსეთში. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთადერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ პეტერბურგში, პეტერბურგის კომიტეტმა მაისობის წინაც, ისე როგორც 9 იანვრის წინაც, რომანოვთა 300 წლისთავის წინაც, 4 აპრილის[59] წინაც ბურჟუაზიული პრესაც კი აიძულა აღენიშნა ის ფაქტი, რომ პეტერბურგის კომიტეტის ფურცლები კიდევ და კიდევ გაჩნდა ფაბრიკებსა და ქარხნებში.

უდიდეს მსხვერპლს იწირავს ეს ფურცლები. ზოგჯერ მათი გარეგნობა უფერულია. ზოგი მათგანი, მაგალითად, მოწოდება 4 აპრილის დემონსტრაციისადმი, წარმოადგენს დემონსტრაციის დროისა და ადგილის დანიშვნას ექვს სტრიქონად, რაც, როგორც ჩანს, აწყობილია მალულად და უაღრესად ნაჩქარევად სხვადასხვა სტამბაში და სხვადასხვა შრიფტით. ჩვენში მოიძებნებიან ადამიანები («ვითომ სოციალ-დემოკრატები»), რომელნიც, მხედველობაში აქვთ რა «არალეგალურად» მუშაობის პირობები, ბოროტი ხითხითით და ტუჩების მოპრუწვით შეურაცხმყოფელი კილოთი გვეკითხებიან: «პარტია რომ არალეგალობით ამოიწურებოდეს, რამდენი წევრი ეყოლებოდა მას? 2 — 3 ასეული?» (იხ. რენეგატთა ორგანოს «ლუჩის» № 95 (181)-ში **რ ე დ ა ქ ც ი ი ს** დამცველის ბ-ნ

სედოვის სტატია, სედოვისა, რომელსაც აშკარა ლიკვიდატორობის სავალალო გამბედაობა შესწევს. «ლუჩის» ეს ნომერი გამოვიდა ხუთი დღით ადრე მაისობამდე, ე. ი. ფურცლის ს წ ო რ ე დ არალეგალურად მომზადების დ რ ო ს!).

ბატონ დანებს, პოტრესოვებსა და კომპანიას, რომელნიც ასეთ სამარცხვინო რამეებს წერენ, არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ უკვე 1903 წელს პარტიაში იყვნენ ათასობით პროლეტარები. 1907 წელს — 150 ათასი, რომ ახლაც ათასობით და ათეული ათასობით მუშები გამოსცემენ და ავრცელებენ ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ფურცლებს, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი უჯრედების წევრნი. მაგრამ ბატონმა ლიკვიდატორებმა იციან, რომ მათ იცავს სტოლიპინური «ლეგალობა» საზიზღარი სიცრუისა და არალეგალობის შესახებ კიდევ უფრო საზიზღარი «მანჭვის» ლეგალურად გაბათილებისაგან.

შეხედეთ, როგორ მოსწყდნენ მასობრივ მუშათა მოძრაობას, საერთოდ რევოლუციურ მუშაობას, ეს უბადრუკი ადამიანები! აიღეთ თუნდაც მათი, ლიბერალების საამებლად შეგნებულად გაყალბებული საზომი. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ პეტერბურგის «ორმა-სამმა ასეულმა» მუშამ მიიღო მონაწილეობა ამ არალეგალური ფურცლების დამზადებასა და მოფანტვაში.

მერე რა გამოდის აქედან? «ორი-სამი» ასეული მუშა, სპბ. პროლეტარიატის მშვენება, ადამიანები, რომლებიც არა მარტო უწოდებენ თავს სოციალ-დემოკრატებს, არამედ მუშაობენ კიდეც როგორც სოციალ-დემოკრატები, ადამიანები, რომლებსაც ამისთვის პატივსა ცემს და აფასებს რუსეთის მ თ ე ლ ი მუშათა კლასი, ადამიანები, რომლებიც კი არ ლაქლაქებენ «ფართო პარტიაზე», არამედ ნამდვილად შეადგენენ რუსეთში არსებულ ერთადერთ არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, — ეს ადამიანები ამზადებენ და ავრცელებენ არალეგალურ ფურცლებს. «ლუჩელი» ლიკვიდატორები ზიზღით დასცინიან (სტოლიპინის ცენზორთა მფარვე-

ლობით) ამ «2 — 3 ასეულს», «არალეგალურ მუშაობას», მისი მნიშვნელობის «გაზვიადებას» და სხვ.

და უცბათ, ოჰ, საკვირველებავ! პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის ხ უ თ ი-შ ვ ი დ ი წევრის მიერ რედაქტირებული გადაწყვეტილებით, — «ორი-სამი ასეულის» მიერ დამზადებული და გავრცელებული ფურცლის მოწოდებით, — პეტერბურგში ფეხზე დგება, როგორც ერთი კაცი, ო რ ა ს ო რ მ ო ც დ ა ა თ ი ა თ ა ს ი კაცი.

ეს ფურცლები, მუშების მიერ მიტინგებსა და დემონსტრაციაზე წარმოთქმული სიტყვები მეტყველებენ არა «ღია მუშათა პარტიაზე», არა «კოალიციის თავისუფლებაზე» და სხვა ამგვარ რეფორმებზე, რომელთა აჩრდილით აბრიყვებენ ხალხს ლიბერალები. ისინი მეტყველებენ რევოლუციაზე, როგორც მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალზე. ისინი მეტყველებენ რესპუბლიკაზე, როგორც ერთადერთ ლოზუნგზე, რომელიც, წინააღმდეგ ლიბერალური სიცრუისა რეფორმების შესახებ, აღნიშნავს თავისუფლების უზრუნველმყოფელ ცვლილებას, აღნიშნავს იმ ძალებს, რომელთაც უნარი შესწევთ შეგნებულად დაიცვან იგი.

მთელი ორმილიონიანი პეტერბურგი ხედავს და ისმენს რევოლუციისადმი ამ მოწოდებას, რომელიც ღრმად სწვდება გულში თვითეულ მშრომელს და დაჩაგრულ ფენას. მთელი პეტერბურგი ცოცხალი და მასობრივი მაგალითით ხედავს, სად არის გამოსავალი და სად არის სიცრუე ლიბერალური ლაყბობისა რეფორმების შესახებ. მთელ რუსეთს ჰფენენ მუშათა ათასნაირი კავშირურთიერთობანი — და ასობით ბურჟუაზიული გაზეთები, რომელნიც იძულებული ხდებიან ნაწყვეტ-ნაწყვეტად მაინც ილაპარაკონ პიტერის მიტინგზე — ავრცელებენ ცნობებს დედაქალაქის პროლეტარიატის შეუპოვარი საგაფიცვო ბრძოლის შესახებ. გლეხთა მასაშიც და გლეხურ ჯარშიც აღწევს ეს ცნობა გაფიცვების შესახებ, მუშების რევოლუციური მოთხოვნების შესახებ, რესპუბლიკისათვის და გლეხების სასარგებლოდ მემამულეთა მიწის კონფისკაციი-

სათვის ბრძოლის შესახებ. რევოლუციური გაფიცვა ნელა, მაგრამ უტყუარად ამოძრავებს, აღვიძებს, ანათლებს და რაზმავს ხალხის მასებს **რევოლუციისათვის**.

«ორი-სამი ასეული» «არალეგალური მუშაკნი» გამოხატავენ **მილიონთა** და **ათეულ მილიონთა** ინტერესებსა და გასაჭირს, ეუბნებიან რა სიმართლეს მათ გამოუვალ მდგომარეობაზე, უხელენ რა თვალს რევოლუციური ბრძოლის აუცილებლობაზე, უნერგავენ რა მის რწმენას, აძლევენ რა სწორ ლოზუნგებს, ათავისუფლებენ რა ამ მასებს ბურჟუაზიის მაღალფარდოვანი და თავიდან ბოლომდე ცრუ, რეფორმისტული ლოზუნგების გავლენისაგან. ხოლო «ორი-სამი» ათეული ინტელიგენტი ლიკვიდატორები აბრიყვებენ შეუგნებელ მუშებს საზღვარგარეთ მოგროვილი და ლიბერალურ ვაჭრებში შეკრებილი ფულით და მუშებში ამ ბურჟუაზიის ლოზუნგებს ატარებენ.

მაისის გაფიცვა, ისე როგორც 1912 — 1913 წლების ყველა რევოლუციური გაფიცვა, თვალნათლივ გვიჩვენებს საპოლიტიკურ ბანაკს, რომლებზედაც იყოფა თანამედროვე რუსეთი. ბანაკი ჯალათთა და მებატონეთა, მონარქიისა და ოხრანკისა. მხეცობის მხრივ მან ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. მუშათა მასების წინააღმდეგ ის უკვე უძლურია. ბანაკი ბურჟუაზიისა, რომელიც მთლიანად, კადეტებით დაწყებული ოქტიაბრისტებამდე, გაჰკივის და კვნესის, მოუწოდებს რეფორმებისაკენ და ამავე დროს თავს აცხადებს «სულელად», რომ აზრად გაივლო რეფორმების შესაძლებლობა რუსეთში. რევოლუციის ბანაკი, რომელიც ერთადერთი გამოხატავს დაჩაგრული მასების ინტერესებს.

ამ ბანაკში მთელ იდეურ, მთელ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა მხოლოდ არალეგალური სოციალ-დემოკრატია, რომელიც ყოველ ლეგალურ შესაძლებლობას იყენებს სწორედ თავისი სულისკვეთების მიხედვით და განუყრელად დაკავშირებულია მოწინავე კლასთან, პროლეტარიატთან. არავის შეუძლია წინასწარ თქვას, შესძლებს თუ არა ეს მოწინავე

კლასი მიიყვანოს მასები ძლევამოსილ რევოლუციამდე. მაგრამ ასეთი გამოსავლისაკენ მასების გ ა ძ ღ ო ლ ი ს მოვალეობას ასრულებს ეს კლასი მიუხედავად ლიბერალებისა და «ვითომ-სოციალ-დემოკრატების» ყოველგვარი მერყეობისა და ღალატისა. ყველაფერი, რაც კი ცოცხალი და ცხოველმყოფელია რუსულ სოციალიზმში და რუსეთის დემოკრატიაში, ყოველივე ეს აღიზრდება მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის მაგალითზე და მისი ხელმძღვანელობით.

მიმდინარე წლის მაისობამ მთელ ქვეყნიერებას დაანახვა, რომ რუსეთის პროლეტარიატი მტკიცედ მიდის თავისი რევოლუციური გზით და ამ გზის გარეშე არ არის ხსნა რუსეთისათვის, რომელიც სულშეხუთულია და ცოცხლად ლპება.

«სოციალ-დემოკრატ» № 31,
1913 წ. 15 (28) ივნისი

იბეჭდება გაზეთ
«სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

პუბლიცისტის შენიშვნები

რუსების პოლიტიკური გაუნათლებლობა, სხვათა შორის, თავს იჩენს იმით, რომ არ ეხერხებათ ზუსტი დამამტკიცებელი საბუთების ძიება სადავო და მნიშვნელოვან ისტორიულ საკითხებზე, გულუბრყვილოდ ენდობიან დაინტერესებულ პირთა წამოძახილებსა და წამოყვირებას, დაპირებასა და ფიცს.

ლიკვიდატორობის საკითხი სწორედ იმიტომ არის არეული, რომ დაინტერესებულ პირთ (ე. ი. თვით ლიკვიდატორებს) არ ეზარებათ ღმერთისა და ხატის ფიცი, ხოლო «საზოგადოებას» ეზარება ეძიოს ზუსტი დამამტკიცებელი საბუთები.

რაშია საკითხის დედაარსი? რევოლუციისა და არალეგალობისადმი დამოკიდებულებაში, მასობრივი მუშათა მოძრაობისადმი მისწრაფებაში.

მერე რა, განა არ მოიპოვება ზუსტი დამამტკიცებელი საბუთები ამ საკითხების საქმის ფაქტიურ მხარეზე პასუხის გასაცემად?

რა თქმა უნდა, მოიპოვება. საჭიროა მხოლოდ გადავეჩვიოთ მყვირალებისა და ლიბერალების ლიტონი სიტყვის დაჯერებას.

არალეგალობის «საკითხი». განა არ უნდა იკითხონ იმათ, ვისაც ეს საკითხი აინტერესებს: ვ ი ნ ეწევა არალეგალურ მუშაობას? ვ ი ნ შედის არალეგალურ ორგანიზაციებში? განა ცხადი არ არის, რომ არალეგალური ორგანიზაციები, რომელნიც არაფრით იჩენენ თავს, ნული და მოტყუებაა?

პიტერში ორი გაზეთია: ერთი ანტილიკვიდატორული, მეორე — «ვითომ-სოციალ-დემოკრატიული», ლიკვიდატორული «ლუჩი». სხვა ქალაქებში ჯერჯერობით მუშათა გაზეთები არ არის.

ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ პიტერში ლიკვიდატორები უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე სხვაგან? ვინ მუშაობს პიტერში — პ ა რ ტ ი ა შ ი?

აიღეთ ბურჟუაზიული პრესის ცნობები. თქვენ ნახავთ ცნობებს, რომ პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ფ უ რ ც ლ ე ბ ი გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი ა 9 იანვრის წინაც, — რომანოვთა 300 წლისთავზედაც, — 4 აპრილის წინაც, — მაისობის წინაც.

გაქვთ თუ არა საბუთი არ ენდოთ ბურჟუაზიულ პრესას ფაქტის ასეთ საკითხში?

ვერც ერთი ჭკუათამყოფელი ადამიანი ვერ გამოთქვამს ასეთ უნდობლობას. ხოლო ვინც ცოტად თუ ბევრად ახლოსაა სოციალ-დემოკრატიასთან, მას უ ნ ა ხ ა ვ ს პეტერბურგის კომიტეტის ფურცლები.

არც ერთ გაზეთს არაფერი უთქვამს, რომ ლიკვიდატორულ «საინიციატივო ჯგუფს» ფურცლები გამოეშვას პიტერში პიტერის პროლეტარიატის მასების დიდი რევოლუციური გამოსვლების ამ დიად თარიღებთან დაკავშირებით.

და რამდენიც უნდა «იფიცონ» ლუჩელებმა, «ჩვენც სოციალ-დემოკრატები» ვართო, «ჩვენც არალეგალობის მომხრენი» ვართო, ტყუილ-უბრალოდ «გვდევნიან» «ლენინელები» და პლეხანოვი და სხვ., — ჩვენ მუდამ მივუთითებთ ფ ა ქ ტ ე ბ ზ ე, რომლებიც უარყოფენ «ლუჩის» არაკებსა და სიცრუეს.

აბა გვიჩვენეთ ბურჟუაზიის ისეთი გაზეთები, სადაც მოთავსებული იყოს ცნობები ლიკვიდატორთა ფურცლების შესახებ პიტერში 9 იანვრის წინ, 4 აპრილის წინ, 1 მაისის წინ. ასეთი გაზეთები არ არსებობს. ფ უ რ ც ლ ე ბ ი ა რ ყ ო ფ ი ლ ა. ლიკვიდატორები არ მუშაობენ არალეგალურად. ლიკვიდატორები ა რ ქმნიან პარტიის არალეგალურ ორგანი-

ზაციებს. ლიკვიდატორები არ შედიან პეტერბურგის კომიტეტში. ლიკვიდატორები პ ა რ ტ ი ი ს გ ა რ ე თ დგანან, ვინაიდან არავითარი სხვა პარტია, გარდა არალეგალურისა, ხოლო პიტერში გარდა ორგანიზაციისა, რომელსაც პეტერბურგის კომიტეტი ხელმძღვანელობს, ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს.

ჩვენ განგებ არაფერს ვამბობთ ცენტრალური კომიტეტისა და საორგანიზაციო კომიტეტის[60] ფურცლებზე, რადგან ადგილებზე მ ა თ ი გავრცელების დამტკიცება უფრო ძნელია, ხოლო საორგანიზაციო კომიტეტის მხრივ თითქმის მთელი წლის განმავლობაში ჩვენ ვნახეთ მხოლოდ ვ ე ნ ი ს ფურცელი 1 მაისისთვის, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს პიტერსა და რუსეთში მუშაობასთან.

ლიკვიდატორები სწორედ იმიტომ გაურბიან პირდაპირ პასუხს «არალეგალური ორგანიზაციის» შესახებ, რომ ი ს ი ნ ი ი ქ ა რ ა რ ი ა ნ. ღმერთისა და ხატის ფიცი, ლანძღვაგინება და ყვირილი ამ ფაქტს ვერ უარყოფენ.

ტროცკი, როგორც ლიკვიდატორთა ერთგული მოსამსახურე, არწმუნებდა თავსაც და გულუბრყვილო «ევროპელებსაც» (აზიური ჭორების მოყვარულთ), რომ ლიკვიდატორები «უფრო ძლიერნი» არიან ლეგალურ მოძრაობაშიო. ფ ა ქ ტ ე ბ ი ამ სიცრუესაც უარყოფენ.

სათათბიროს არჩევნები. II სათათბიროში ბოლშევიკების მხარეზეა მუშათა კურიის 47%. III-ში — 50%. IV-ში — 67%. ამ ფაქტებს უნდა დავუჯეროთ თუ ტროცკისა და ლიკვიდატორებს?

მუშათა პრესა. 1912 წლის განმავლობაში ანტილიკვიდატორული გაზეთი შეუდარებლად უფრო ადრე ჩნდება და მას განუზომლად უფრო მეტი მუშათა ჯგუფები ემხრობიან (ფულის შეკრების აშკარა მონაცემების მიხედვით). «პრავდას» ჰყავს 620 მუშათა ჯგუფი, «ლუჩს» — 89.

1913 წელი. პარტიელები ფულს კრეფენ უკვე ორი გაზეთისთვის, ლიკვიდატორებს კი აქვთ ე რ თ ი გაზეთი და ისიც დეფიციტს იძლევა, იგი არსებობს საზღვარგარეთისა და გაურკვეველი (ბურჟუაზიული) დახმარებით. «პრავდას»

ჰყავს 402 მუშათა ჯგუფი, იმავე მიმართულების მოსკოვის მუშათა გაზეთს — 172, «ლუჩს» — 167.

ამ ფაქტებს დავუჯეროთ თუ «ლუჩის», ტროცკის, თ. დ.-ს და კომპანიის ფიცს?

პიტერის მელითონეთა კავშირი. პირველი ღ ი ა არჩევნები. პლატფორმების მიხედვით[61]. 14-დან 10 «პრავდის» მომხრეა. როგორც წასწრებული ქურდი ჰყვირის: «დაიჭით ქურდიო», ისე ლიკვიდატორებიც ჰყვირიან: უფრთხილდით გათიშვასო!

1910 წლის მაისში ლიკვიდატორებს საჯაროდ და აშკარად უთხრეს («დისკუსიონნი ლისტოკ» № 2[62]), რომ ისინი პარტიისგან გამოთიშული დამოუკიდებელი ლეგალისტები არიან *. მას შემდეგ ს ა მ ი წ ე ლ ი გავიდა. და მხოლოდ სრულიად გაცრუპენტელებულ ან აბსოლუტურად უმეცარ ადამიანებს შეუძლიათ უარყონ ამ სიტყვების სავსებით დამადასტურებელი ფ ა ქ ტ ე ბ ი.

ლიკვიდატორები პარაზიტები არიან სოციალ-დემოკრატიის ორგანიზმზე. «ევროპის» წინაშე (საორგანიზაციო კომიტეტის გერმანული ბროშურა და ბ-ნი სემკოვსკი «**Kampf**»-ში[63]) ისინი ტრაბახობენ გაფიცვებით, ხოლო რუსეთში «ლუჩში» წერენ უმსგავს სტატიებს გაფიცვების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, «გაფიცვების აზარტზე», რევოლუციური გაფიცვების «სინდიკალიზმზე». ევროპის წინაშე ისინი არალეგალობის მ ო მ ხ რ ე ნ ი არიან (გულუბრყვილო ანის წინაშეც). ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი კი არალეგალურ ორგანიზაციებში ისინი არ არიან. მუშათა კლასში უძლურნი, ისინი ძლიერნი არიან ბურჟუაზიის მორალური (და, რა თქმა უნდა, ა რ ა მ ა რ ტ ო მორალური) მხარისდაჭერით. საჭიროა გულუბრყვილობა ანისა, რომელსაც, როგორც ბალღს, პირდაპირ მასხარად იგდებს «ლუჩის» რედაქცია (იხ. № 95), რომ არალეგალობა დაიცვა და «ღია პარტიის» ლოზუნგი აღიარო! ეს იმას ნიშნავს, რომ ლიკვიდატორებს დაუთმო' შ ი ნ ა ა რ ს ი და ებრ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 295 — 312. რ ე დ.

ძოლო მათ ფ ო რ მ ი ს გამო. დაე ჩაუფიქრდეს ანი, შემთხვევითი ამბავი ხომ არ არის, რომ ბურჟუაზია, რომელიც მტრულად უყურებს არალეგალობას, სავსებით იწყნარებს «ღია პარტიის» ლოზუნგს!

«ღია პარტიის» ლოზუნგი ეს არის «რ ე ფ ო რ მ ი ზ მ ი ს» ლოზუნგი, რაც ნიშნავს — რუსეთის კლასთა და პოლიტიკურ ძალთა ახლანდელი თანაფარდობის პირობებში — რევოლუციაზე ხ ე ლ ი ს ა ღ ე ბ ა ს. არალეგალობის ლოზუნგი რევოლუციის ლოზუნგია.

თანამედროვე რუსეთში ბურჟუაზიას არ შეუძლია პ ი რ დ ა პ ი რ ი გავლენა მოახდინოს მუშებზე. 1905 წელმა გააკეთა ის, რომ მუშები მასხარად იგდებენ ბურჟუაზიას და მის ლიბერალიზმს. სიტყვა «კადეტი» მათთვის სალანძღავი სიტყვა გახდა. და აი, ბურჟუაზიის როლს მუშებში ასრულებენ ლიკვიდატორები. მათი ობიექტური მნიშვნელობა ისაა, რომ ბურჟუაზიული გავლენის, ბურჟუაზიული რეფორმიზმის, ბურჟუაზიული ოპორტუნიზმის გამტარებელნი არიან.

თ. დ.-ის ყველა სტატია «ლუჩში», ლიკვიდატორების ყველა ტაქტიკური წანამძღვარი დამყარებულია რეფორმიზმზე, რევოლუციის უარყოფაზე. თქვენ ვერ დაამტკიცეთ რევოლუციის გარდუვალობა — ასე გვიპასუხებენ ჩვეულებრივ ლიკვიდატორები. თქვენი «პროგნოზი» რევოლუციისა ცალმხრივია, — იმეორებს ბ-ნი სემკოვსკი, ელაქუცება რა ლიკვიდატორებს.

ამის პასუხი მოკლეა. რევოლუციის მოახლოება, ბატონო ლიბერალებო, მ ხ ო ლ ო დ იმით მტკიცდება, რომ რევოლუცია ახლოვდება. ხოლო როცა ის ახლოვდება, მაშინ მშიშარა ლიბერალებსაც, სულ შემთხვევითს ადამიანებსაც კი და ავანტიურისტებსაც შეუძლიათ «რევოლუციონერები» გახდნენ. 1905 წლის ოქტომბერმა და ნოემბერმა სავსებით დაამტკიცეს ეს.

რევოლუციონერი ის კი არ არის, ვინც რევოლუციონერი ხდება რევოლუციის მოახლოების დროს, არამედ ის, ვინც რეაქციის უდიდესი თარეშის დროს, ლიბერალებისა და დე-

მოკრატების უდიდესი მერყეობის დროს იცავს რევოლუციის პრინციპებს და ლოზუნგებს. რევოლუციონერი ის არის, ვინც ასწავლის მასებს რევოლუციურად ბრძოლას, ხოლო ამ «მეცნიერების» შედეგთა წინასწარმეტყველება («პროგნოზის» მოცემა) არც ერთ ადამიანს არ ძალუძს.

რუსეთის მდგომარეობა რევოლუციურია. პროლეტარიატი, რომელთანაც შეწყობილად და შეთანხმებულად მუშაობენ მხოლოდ ანტილიკვიდატორები, წვრთნის მასებს რევოლუციისათვის, ამზადებს რევოლუციას, იყენებს მისთვის ყველა და ყოველგვარ ლეგალურ შესაძლებლობას. რევოლუციის მომზადების საქმეში ანუ, რაც იგივეა, მასების თანამიმდევარი დემოკრატიული აღზრდის საქმეში, ჩვენი სოციალისტური მოვალეობის შესრულების საქმეში (ვინაიდან უდემოკრატიოდ სოციალიზმი არ არსებობს) რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას შეაქვს პლუსი, ლიკვიდატორებს კი — მინუსი.

რუსეთში ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ რეფორმიზმის წინააღმდეგ, მხოლოდ ლიკვიდატორების წინააღმდეგ.

«სოციალ-დემოკრატ» № 31,
1913 წ. 15 (28) ივნისი

იბეჭდება გაზეთ
«სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ერთი ტყუილის შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ)

«ლუჩში» ლ. მარტოვის სტატიების გამოქვეყნებას, რომლებშიც ის გვპირდება «ახლანდელი დავის ტაქტიკური დედაარსის» საკითხის გარჩევას, ყოველი მხრივ უნდა მივსალმებოდით, პირველივე სტატია რომ არ შეიცავდეს აშკარა ტყუილს. ჩემს სიტყვებს, რომ ლიკვიდატორებთან დავა წარმოებს სრულიადაც არა საორგანიზაციო საკითხებზე-მეთქი *, ლ. მარტოვი «მოულოდნელ» რამედ აცხადებს და გაკვირვებით ამბობს — «ერიჰა!», «უცბად, ღვთის წყალობით, შემობრუნება» და სხვ.

ამავე დროს ლ. მარტოვმა მშვენივრად იცის, რომ აქ შემობრუნების ნატამალიც არ არის, სრულიად არაფერია მოულოდნელი. 1910 წლის მაისში, სამ წელზე მეტი ხნის წინათ, ერთ პარიზულ გამოცემაში, რომელსაც მშვენივრად იცნობს მარტოვი, მე ვწერდი «დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ლ ე გ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს ჯ გ უ ფ ზ ე» («ნაშა ზარიას» და «ვოზროჟდენიეს» იდეები), იმაზე, რომ ეს ჯგუფი «საბოლოოდ ჩამოყალიბდა და მან საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი პარტიასთან» -მეთქი **.

ცხადია, აქაც დავაა სრულიად არა საორგანიზაციო საკითხზე (რ ო გ ო რ ავაგოთ პარტია?), არამედ პარტიის ა რ ს ე ბ ო ბ ა ზ ე, პარტიისაგან ლიკვიდატორების გამოთიშ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 109. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 303. რ ე დ.

ვაზე, პარტიასთან მათი კავშირის საბოლოოდ გაწყვეტაზე. მარტოვს არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ ეს არ არის დავა საორგანიზაციო საკითხზე.

1911 წლის ოქტომბერს, იმ გამოცემაში, რომელსაც მარტოვი ასევე კარგად იცნობს, აგრეთვე ჩემივე ხელმოწერით, ნათქვამი იყო: «სინამდვილეში ახლა პირველ რიგში დგას სრულიადაც არა საორგანიზაციო საკითხი», არამედ პარტიის «ა რ ს ე ბ ო ბ ი ს» საკითხი *.

ძალიან ცუდად უნდა იყოს ლიკვიდატორების საქმე, თუ მარტოვი თავს არიდებს პარტიის ზუსტ გადაწყვეტილებათა გარჩევას, გვიამბობს ზღაპრებსა და ბეჭდავს აშკარა ტყუილს.

«პრავდა» № 136,
1913 წ. 15 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 306. რ ე დ.

მუშათა კლასი და ნეომალთუსიანობა

ექიმთა პიროგოვის სახელობის ყრილობაზე დიდი ინტერესი და დიდი დებატები გამოიწვია აბორტის, ე. ი. ხელოვნურად მუცლის მოშლის საკითხმა. მომხსენებელმა ლიჩკუსმა მოიყვანა მონაცემები თანამედროვე ევრეთწოდებულ კულტურულ სახელმწიფოებში ნაყოფის მოწყვეტის მეტისმეტად ძლიერ გავრცელების შესახებ.

ნიუ-იორკში ერთი წლის განმავლობაში იყო 80 000 ხელოვნურად მუცლის მოშლა, საფრანგეთში ყოველთვიურად ხდება 36 000 მუცლის მოშლა. პეტერბურგში ხელოვნურად მუცლის მოშლის პროცენტი ხუთი წლის განმავლობაში გადიდდა ერთიორად და მეტად.

ექიმთა პიროგოვის სახელობის ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დედა ხელოვნურად მუცლის მოშლისათვის სისხლის სამართლის წესით არასდროს არ უნდა იდევნებოდეს, ხოლო ექიმები ამისათვის უნდა იდევნებოდნენ მხოლოდ «ანგარების» შემთხვევაში.

კამათში უმრავლესობა, მხარს უჭერდა რა მუცლის მოშლის დაუსჯელობას, ბუნებრივად ეხებოდა ევრეთწოდებული ნეომალთუსიანობის (ჩასახვის აცილების ხელოვნური ზომების) საკითხს[64], ამასთან ეხებოდნენ საქმის სოციალურ მხარესაც. მაგალითად, ბ-მა ვიგდორჩიკმა, «რუსსკოე სლოვოს»[65] ანგარიშის მიხედვით, განაცხადა, «უნდა მივესალმოთ ჩასახვის აცილების ზომებსო», ხოლო მჭუხარე ტაშით შეეგებნენ ბ-ნ ასტრახანის სიტყვებს:

«უნდა დავარწმუნოთ დედები დაბადონ ბავშვები, რომ შემდეგ ისინი სასწავლებლებში დაამახინჯონ, კენჭისყრა მოაწყონ მათთვის, თვითმკვლელობამდე მიიყვანონ!»

თუ სწორია ცნობა, რომ ბ-ნ ასტრახანის ასეთმა დეკლამაციამ მქუხარე ტაში გამოიწვია, ეს ფაქტი მე არ მაკვირვებს. მსმენელები იყვნენ საშუალო და წვრილი ბურჟუები, მეშჩანური ფსიქოლოგიით. აბა რას უნდა მოელოდე მათგან, გარდა ფრიად უგვანო ლიბერალიზმისა?

მაგრამ მუშათა კლასის თვალსაზრისით, არა მგონია შეიძლებოდეს «სოციალური ნეომალთუსიანობის» მთელი რეაქციულობისა და მთელი უბადრუკობის უფრო თვალსაჩინოდ გამოთქმა, ვიდრე ბ-ნ ასტრახანის ზემომოყვანილი ფრაზაა.

...«დაბადონ ბავშვები, რომ ისინი დაამახინჯონ»... მხოლოდ ამისათვის? რატომ არა იმისთვის, რომ მათ ჩვენზე უკეთ, უფრო შეთანხმებულად, უფრო შეგნებულად, უფრო გაბედულად ი ბ რ ძ ო ლ ო ნ ცხოვრების თანამედროვე პირობების წინააღმდეგ, რომლებიც ამახინჯებენ და ღუპავენ ჩვენს თაობას??

აი აქ არის სწორედ ძირითადი განსხვავება გლეხის, ხელოსნის, ინტელიგენტის, საერთოდ წვრილი ბურჟუის ფსიქოლოგიისა პროლეტარის ფსიქოლოგიისაგან. წვრილი ბურჟუა ხედავს და გრძნობს, რომ ის იღუპება, ცხოვრება სულ უფრო ძნელდება, ბრძოლა არსებობისათვის სულ უფრო ულმობელი ხდება, მისი და მისი ოჯახის მდგომარეობა სულ უფრო უიმედო ხდება. ეს ფაქტი უდავოა. და წვრილი ბურჟუა პროტესტს გამოთქვამს ამის წინააღმდეგ.

მაგრამ რ ო გ ო რ გამოთქვამს პროტესტს?

ის პროტესტს გამოთქვამს, როგორც იმ კლასის წარმომადგენელი, რომელიც უიმედოდ იღუპება, გულგატეხილია თავისი მომავლის მიმართ, დაბეჩავებულია და გალაჩრებული. რას იზამ, ბავშვები მაინც იყოს რაც შეიძლება ნაკლები, რომელთაც აწამებს ჩვენი ტანჯვა და კატორღა, ჩვენი სიღატაკე და დამცირება, — აი წვრილი ბურჟუის გულის წუხილი.

შეგნებული მუშა უსაზღვროდ დაშორებულია ამ თვალსაზრისს. ის არავის დააბნელებინებს გონებას ასეთი გოდებით, რაც უნდა გულწრფელი და გრძნობიერი იყოს ეს გოდება. და ჩვენც, მუშებიც, წვრილ მეპატრონეთა მასაც, ვეწევით აუტანელი ჩაგვრითა და ტანჯვით აღსავსე ცხოვრებას. ჩვენი თაობის ცხოვრება უფრო მძიმეა, ვიდრე ჩვენი მამებისა. მაგრამ ერთი მხრივ ჩვენ ბევრად უფრო ბედნიერი ვართ ჩვენს მამებზე. ჩვენ ვისწავლეთ და სწრაფად ვსწავლობთ ბრძოლას — ბრძოლას არა განმარტოებულად, როგორც იბრძოდნენ საუკეთესო მამები, არა ბურჟუაზიულ ტკბილმოუბართა ლოზუნგების გულისთვის, რომლებიც ჩვენთვის შინაგანად უცხოა, არამედ ჩვენი საკუთარი ლოზუნგების, ჩვენი კლასის ლოზუნგების გულისთვის. ჩვენ უკეთ ვიბრძვით, ვიდრე ჩვენი მამები. ჩვენი შვილები კიდევ უკეთესად იბრძოლებენ, და გაიმარჯვებენ კიდეც.

მუშათა კლასი კი არ იღუპება, არამედ იზრდება, მაგრდება, ვაჟკაცდება, მჭიდროვდება, ცნობიერდება და კაუდება ბრძოლაში. ჩვენ პესიმისტები ვართ ბატონყმობის, კაპიტალიზმისა და წვრილი წარმოების მიმართ, მაგრამ ჩვენ მხურვალე ოპტიმისტები ვართ მუშათა მოძრაობისა და მისი მიზნების მიმართ. ჩვენ უკვე საძირკველს ვუყრით ახალ შენობას, და ჩვენი შვილები დაამთავრებენ მის აშენებას.

აი ამიტომ — და მხოლოდ ამიტომ — ჩვენ უეჭველი მტრები ვართ ნეომალთუსიანობისა, ამ მიმდინარეობისა, რომელიც სანუკვარია მეშჩანური წყვილისთვის, ჩამორჩენილი და თავმოთნე წყვილისთვის, რომელიც შეშინებული ბუზღუნებს: ღმერთმა ჰქნას, რომ როგორმე თავი გავიტანოთ, შვილები კი უმჯობესია არ ვიყოლიოთო.

რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ გვიშლის ხელს მოვითხოვოთ უეჭველად გაუქმება ყველა კანონისა, რომელიც სდევნის მუცლის მოშლას ან ჩასახვის აცილების ღონისძიებათა შესახებ სამედიცინო თხზულებათა გავრცელებას და ა. შ.. ასეთი კანონები მხოლოდ გაბატონებულ კლასთა ფარისევლობაა. ასეთი კანონები კაპიტალიზმის წყლულებს

კი არ კურნავს, არამედ განსაკუთრებით ავთვისებიანად, დაჩაგრული მასებისთვის განსაკუთრებით სამძიმოდ ხდის მათ. ერთია სამედიცინო პროპაგანდის თავისუფლება და მოქალაქე კაცისა და ქალის საანბანო დემოკრატიულ უფლებათა დაცვა. და სხვაა ნეომალთუსიანობის სოციალური მოძღვრება. შეგნებული მუშები ყოველთვის ფრიად დაუნდობლად შეებრძოლებიან იმის ცდას, რომ ეს რეაქციული და ლაჩრული მოძღვრება თავს მოახვიონ თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ყველაზე ძლიერ, დიადი გარდაქმნებისათვის ყველაზე უფრო მზადმყოფ კლასს.

«პრავდა» № 137,
1913 წ. 16 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ლიბერალების მოწოდებათა შესახებ IV სათათბიროს მხარის დასაჭერად

მთავრობისა და ქვეყნისადმი სახ. სათათბიროს დამოკიდებულების საკითხი სულ უფრო ხშირად ხდება პრესის განხილვის საგანი და დიდ ინტერესს იწვევს. სამი ივნისის საარჩევნო კანონმა შექმნა ორი უმრავლესობა: მემარჯვენე-ოქტიაბრისტული და ოქტიაბრისტულ-კადეტური. ეს უკანასკნელი, თუ გნებავთ, ლიბერალური, უმრავლესობა არა ერთხელ ჩამოყალიბებულა III სათათბიროშიც.

ახლა, IV სათათბიროში ოქტიაბრისტულ-კადეტური უმრავლესობა კიდევ უფრო ხშირია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მოხდა არა მარტო ოქტიაბრისტების «გამემარცხენებით», არამედ კადეტების გ ა მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ბ ი თ ა ც, რაც, ერთი მხრივ, იმაში გამოიხატება, რომ კადეტების ნაწილი გადავიდა პროგრესისტებისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, ოქტიაბრისტები მუდამ უთანხმდებიან კადეტებს პროგრესისტების შუამავლობით.

უეჭველია, IV სათათბიროში ოქტიაბრისტულ-კადეტური უმრავლესობის მიერ ოპოზიციურ გადაწყვეტილებათა მიღების გახშირება ამტკიცებს პოლიტიკური კრიზისის ზრდას რუსეთში, — ამტკიცებს იმას, რომ სამი ივნისის სისტემა ჩიხში მოემწყვდა, ის ვეღარ აკმაყოფილებს ბურჟუაზიასაც კი, რომელიც მზად არის ამ სისტემის კეთილდღეობას, კონტრრევოლუციის განმტკიცებას შესწიროს ფულიც, პატიოსნებაც, სინდისიც.

დამახასიათებელია, რომ ისეთი გაუსწორებელი და შეურიგებელი რეაქციონერიც კი, როგორიცაა რუსულის მცოდნე გერმანელი ისტორიკოსი შიმანი, რომელიც წერს გერმანელი პურიშკევიჩების ორგანოში, იმ დასკვნამდე მიდის, რომ რუსეთში მწიფდება კრიზისი, — ან უკვე ნამდვილი პლევეს ყაიდის სისტემის სახით (ჩვენ, მგონი, უკვე შევდგით ფეხი ამ «სისტემაში»?), ანდა, როგორც გერმანელი ისტორიკოსი უწოდებს, რყევათა სახით.

იბადება კითხვა, რა დასკვნები გამომდინარეობს პრაქტიკულ პოლიტიკაში სათათბიროს ლიბერალურ გადაწყვეტილებათა ამ გახშირებიდან?

კადეტებმა უკვე გამოიტანეს თავიანთი დასკვნა ოქტიაბრისტების მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის დაგმობის გამო. ეს დასკვნაა: მოთხოვნა — IV სათათბიროს «მხარი დაუჭიროს ხალხმა და საზოგადოებამ», მოწოდება «საზოგადოებრივი აზრისა» — «სათათბიროს სახით ხედავდნენ თავიანთ ძალას, საზოგადოებრივი ნების უშუალო გამოვლინებას» და სხვ. (იხ. «პრავდა» № 128).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ასეთი დასკვნის სრული უვარგისობა *. ჩვენი შეფასება მეტისმეტად ნათლად დაადასტურა სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის კენჭისყრამ.

სათათბირომ მიიღო სამი ფორმულა: 1) ნაციონალისტური, არქირეაქციული ფორმულა — გავიდა მემარჯვენეებისა და ოქტიაბრისტების ხმებით; 2) ოქტიაბრისტული — გავიდა კადეტების ხმებით (შეიცავს ფარისევლობის მხრივ აღმაშფოთებელ და დემოკრატებისთვის, პატიოსან ლიბერალებისთვისაც კი, აბსოლუტურად შეუწყნარებელ სურვილს, რომ სახალხო განათლების სამინისტრო «არ გაიტაცოს საქმისთვის უცხო პოლიტიკურმა მოსაზრებებმა»); ბოლოს, 3) გლეხთა ჯგუფის სურვილი, რომელიც, ალბათ, გავიდა არა მარტო კადეტების დახმარებით, არამედ დემოკრატებისაც თვით

* იხ. ეს ტომი, გვ. 198 — 200. რ ე დ.

სოციალ-დემოკრატების ჩათვლით. გლეხთა სურვილს ხმა მისცა 137 კაცმა, წინააღმდეგ — 134-მა, თავი შეიკავა — 4-მა.

არა მგონია საეჭვო იყოს, რომ სოციალ-დემოკრატების შეცდომა, თუ მათ მართლა მისცეს ხმა გლეხთა ფორმულას, იმაში მდგომარეობდა, რომ მათ არ შეუტანიათ თავიანთი განცხადება ან დეკლარაცია. ხმა უნდა მიეცათ, მაგრამ არ შეიძლებოდა არ აღენიშნათ, რომ არ ეთანხმებიან, მაგალითად, გლეხთა ფორმულის მე-5 მუხლს. ამ მუხლში ლაპარაკია დ ა წ ყ ე ბ ი თ ს სკოლებში დედაენაზე სწავლების შესახებ. დემოკრატიას არ შეუძლია დასჯერდეს დაწყებითს სკოლებს. და საერთოდაც, გლეხთა სურვილებს თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ ა რ დემოკრატიულ სურვილებად ვერ ჩავთვლით.

ხმა უნდა მიეცათ, ვინაიდან გლეხთა ფორმულაში არ არის მუხლები მთავრობის სასარგებლოდ, არ არის ფარისევლობა, მაგრამ აუცილებელი იყო შენიშვნა — არ ვეთანხმებით გლეხური დემოკრატიზმის არათანამიმდევრობას და სიმხდალესო. მაგალითად, სოციალ-დემოკრატებისთვის სრულიად შეუწყნარებელია დუმილი ეკლესიისადმი სკოლის დამოკიდებულების შესახებ, და სხვ.

მაგრამ ეს — გაკვრით.

მთავარი კი ის არის, რომ IV სათათბირომ, მას შ ე მ დ ე გ, რაც კადეტებმა მოუწოდეს მხარი დაეჭირათ მისთვის, მიიღო ნაციონალისტების ფორმულა!

მხოლოდ ბრმას შეუძლია ვერ დაინახოს, რომ IV სათათბიროსათვის მხარის დაჭერა ეს არის მ ე რ ყ ე ვ ი ო ქ ტ ი ა ბ რ ი ს ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მხარის დაჭერა.

კადეტები იკვეხნიან, ჩვენი მხარის დაჭერით ოქტიაბრისტებს ოპოზიციისაკენ ვუბიძგებთო. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ეს ასეა. მაგრამ რა ნიადაგზე დგას ეს ოქტიაბრისტული ოპოზიცია? საუკეთესო შემთხვევაში, რ ო დ ე ს ა ც იგი ოპოზიციურია, უეჭველად კონტრრევოლუციური ლიბერალიზმის თვალსაზრისზე დგას. იგი რომ მაინც მინისტრებზეა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი და მათ გ უ ლ ი ს მ ო გ ე ბ ა ს განაგრძობს, ეს დაამტკიცა თვით «პროგრესისტმა» ნ. ლვოვმა,

რომელიც, უსათუოდ, გულის მოგების პოლიტიკას აწარმოებდა, როცა შჩეპკინი ორი სხდომიდან გარიცხა ასჯერ უფრო სუსტი გამოთქმისათვის, ვიდრე მემარჯვენეთა ჩვეულებრივი გამოთქმებია!

როცა კადეტები მოუწოდებენ ხალხს მხარი დაუჭირონ შერყევ ოქტიაბრისტებს, ისინი იმის პრეტენზიას ჩემულობენ, რომ დემოკრატია უცუდესი ლიბერალების ამყოლი გახადონ.

მაგრამ დემოკრატიას ათასჯერ უნახავს უფრო სერიოზული მაგალითებით, თუ რა ფასი აქვთ ჩვენს ლიბერალებს. დემოკრატია დასუსტდებოდა და სიცოცხლეს გამოესალმებოდა, კვლავ ლიბერალებს რომ გაჰყოლოდა.

ბურჟუაზიის შეჯახება მთავრობასთან შემთხვევითი ამბავი კი არ არის, არამედ მაჩვენებელია ღრმა კრიზისისა, რომელიც ყოველი მხრივ მწიფდება. ამიტომ აუცილებელია გულდასმით ვადევნოთ თვალყური ამ შეჯახებებს. მაგრამ დემოკრატიას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია რაიმე უკეთესს მიაღწიოს რუსეთისათვის, თუ ის ერთი წუთითაც არ დაივიწყებს თავის მოვალეობას — იზრუნოს იმაზე, რომ მოსახლეობაში განავითაროს დემოკრატიის ამოცანების დამოუკიდებლობის შეგნება ლიბერალიზმისაგან განსხვავებით, მის წინააღმდეგ, მიუხედავად მისი მერყეობისა.

«პრავდა» № 139,
1913 წ. 20 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ბურჟუაზიული საქმოსანი-ფინანსისტები და პოლიტიკოსები

ინგლისის მუშათა პრესა განაგრძობს მხილებას ფინანსური «ოპერაციების» კავშირის შესახებ უმაღლეს პოლიტიკასთან. ეს მხილებანი ღირსია ყველა ქვეყნის მუშათა ყურადღებისა, ვინაიდან აქ აშკარავდება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ნამდვილი საფუძველი კაპიტალისტურ საზოგადოებაში. კ. მარქსის სიტყვები, რომ მთავრობა არის კაპიტალისტების საქმეთა მმართველების კომისიაო[66], სავსებით დასტურდება.

გაზეთ «მუშათა ბელადის» 24-ე ნომერში (12 ივნისის თარიღით ახ. სტ.) მთელი გვერდი აქვს მიძღვნილი ინგლისის იმ მინისტრთა (7 სახელი), ყოფილ მინისტრთა (3 სახელი), ეპისკოპოსთა და მთავარდიაკონთა (12 სახელი), პერთა (47 სახელი), პარლამენტის წევრთა (18 სახელი), დიდი გაზეთების მფლობელთა, ფინანსისტთა და ბანკირთა სახელების ნუსხას, რომელნიც მეპაიეები — ან დირექტორები არიან საააქციო კომპანიებისა, რომელნიც, უმთავრესად, სამხედრო საჭურვლის საგნებით ვაჭრობენ.

სტატიის ავტორმა, ვოლტონ ნიუბოლდმა, ეს ცნობები შეკრიბა ბანკების, სავაჭრო-სამრეწველო, საფინანსო და სხვ. ოფიციალური ცნობარებიდან, პატრიოტულ საზოგადოებათა ანგარიშებიდან (მსგავსად განფინების ლ ი გ ი ს ა) და სხვ.

სურათი სავსებით იმდაგვარია, რომელიც ერთხელ რუსული მონაცემების მიხედვით დაგვიხატა რუბაკინმა, რომელიც წერდა იმაზე, თუ რუსეთის რამდენი უდიდესი მემამუ-

ლეა სახ. საბჭოს წევრად, უმაღლეს მოხელედ, — ახლა შეიძ-ლება დავუმატოთ: სახ. სათათბიროს წევრად, სააქციო საზო-გადოებათა მეპაიედ და დირექტორად და სხვა. სავსებით დროული იქნებოდა შეგვევსო რუბაკინის ეს მონაცემები უახ-ლესი ცნობარების მიხედვით, განსაკუთრებით ფინანსურ და სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებში მონაწილეობის შესახებ.

ჩვენს ლიბერალებს (მეტადრე კადეტებს) განსაკუთრებით არ უყვართ კლასობრივი ბრძოლის «თეორიები», დაჟინებით იცავენ თავიანთ შეხედულებას, თითქოს თანამედროვე სა-ხელმწიფოებში მთავრობას შ ე ე ძ ლ ო ს კლასებს გ ა რ ე თ ან კლასებს ზ ე ვ ი თ იდგეს. მაგრამ რა ვქნათ, ბატონებო, თუ თქვენთვის არასასიამოვნო «თეორია» ზუსტად შეესაბამება სინამდვილეს? თუ თანამედროვე კანონმდებლობისა და თანა-მედროვე პოლიტიკის მთელი საფუძვლები თვალნათლივ გვი-ჩვენებენ ყველა თანამედროვე სახელმწიფოს წყობისა და მართვა-გამგეობის კლასობრივ ხასიათს? თუ გამოჩენილ პო-ლიტიკურ მოღვაწეთა, პალატების წევრთა, მაღალი თანამდე-ბობის პირთა და სხვათა პირადი შემადგენლობის ცნობებიც კი ააშკარავებენ ეკონომიური ბატონობის განუყრელ კავშირს პოლიტიკურ ბატონობასთან?

კლასობრივი ბრძოლის უარყოფა ან მიჩქმალვა პოლიტიკა-ში ფარისევლობის უცუდესი სახეა, ეს არის სპეკულაციის გაწევა ხალხის იმ ყველაზე განუვითარებელი ფენების, წვრი-ლი მეპატრონეების (გლეხების, ხელოსნებისა და სხვ.) უმეცა-რებითა და ცრურწმენით, რომლებიც ყველაზე დაშორებული არიან კლასთა უაღრესად მწვავე და პირდაპირ ბრძოლას და წინანდებურად, ძველებურად ადგიან პატრიარქალურ შეხე-დულებებს. მაგრამ გლეხი რომ უმეცარი და განუვითარებე-ლია, ეს ლიბერალური ინტელიგენტებისათვის მარჯვე. საშუა-ლებაა ხალხის გასარყვნელად და მონობაში დასატოვებლად.

«პრავდა» № 142,
1913 წ. 23 ივნისი
ხელმოწერა: მ.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

თეზისები ნაციონალურ საკითხზე [67]

1. ჩვენი პროგრამის § (ერთა თვითგამორკვევის შესახებ) შეუძლებელია სხვანაირად გავიგოთ, თუ არა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თვითგამორკვევის აზრით, ე. ი. გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების აზრით.

2. რუსეთის სოციალ-დემოკრატებისთვის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის ეს მუხლი ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ საჭიროა

(ა) როგორც საერთოდ დემოკრატიის ძირითადი პრინციპების გულისთვის,

(ბ) ისე რუსეთის ფარგლებში, დ ა ა მ ა ს თ ა ნ მ ი ს გ ა ნ ა პ ი რ ა მ ხ ა რ ე ე ბ შ ი, მთელ რიგ ერთა არსებობის გამო, რომლებიც მკვეთრად განსხვავებული არიან სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და სხვა პირობებით, ამავე დროს ეს ერები (ისე როგორც რუსეთის ყველა ერი ველიკორუსების გარდა) წარმოუდგენლად დაჩაგრული არიან მეფის მონარქიის მიერ;

(გ) ბოლოს, იმის გამოც, რომ მთელ აღმოსავლეთ ევროპაში (ავსტრია და ბალკანეთი) და აზიაში — ე. ი. რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში — ან დამთავრებული არ არის, ანდა მხოლოდ ახლახან არის დაწყებული სახელმწიფოთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნა, რაც მთელ ქვეყანაში მეტნაკლებად მუდამ იწვევდა დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოების ან ისეთი სახელმწიფოების შექმნას, რომლებსაც ყველაზე უფრო მახლობელი და ურთიერთნათესაური ნაციონალური შემადგენლობა აქვთ.

(დ) რუსეთი ამჟამად წარმოადგენს ყველაზე უფრო ჩამორჩენილი და რეაქციული სახელმწიფო წყობილების ქვეყანას ყ ვ ე ლ ა მის გარეშემო არსებულ ქვეყანასთან შედარებით, დაწყებული — დასავლეთში — ავსტრიით, სადაც 1867 წლიდან განმტკიცდა პოლიტიკური თავისუფლებისა და კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები, ხოლო ახლა შემოღებულია საყოველთაო საარჩევნო უფლებაც, და გათავებული — აღმოსავლეთში — რესპუბლიკური ჩინეთით. ამიტომ რუსეთის სოციალ-დემოკრატები მთელ თავიანთ პროპაგანდაში უნდა იცავდნენ ყველა ეროვნების უფლებას — შექმნან ცალკე სახელმწიფო ან თავისუფლად აირჩიონ ის სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც სურთ ყოფნა.

3. სოციალ-დემოკრატიის მიერ ყველა ეროვნების თვითგამორკვევის უფლების აღიარება სოციალ-დემოკრატებისაგან მოითხოვს, რომ ისინი

(ა) უეჭველად მტრულად უყურებდნენ ძალადობის ყოველგვარ გამოყენებას, რა ფორმითაც უნდა ხდებოდეს, გაბატონებული ერის მხრივ (ან იმ ერის მხრივ, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს) იმ ერის მიმართ, რომელსაც სურს გამოეყოს სახელმწიფოდ;

(ბ) მოითხოვდნენ ასეთი გამოყოფის საკითხის გადაწყვეტას ამა თუ იმ ტერიტორიის მოსახლეობის მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე;

(გ) ეწეოდნენ შეუნელებელ ბრძოლას როგორც შავრაზმულ-ოქტიაბრისტულ, ისე ლიბერალურ-ბურჟუაზიულ («პროგრესისტები», კადეტები და სხვ.) პარტიებთან საერთოდ ნაციონალური ჩაგვრის ყოველგვარი დაცვის ან დაშვების ანდა კერძოდ ერთა თვითგამორკვევის უფლების უარყოფის გამო.

4. სოციალ-დემოკრატიის მიერ ყველა ეროვნების თვითგამორკვევის უფლების აღიარება სრულიადაც არ ნიშნავს სოციალ-დემოკრატების მხრივ უარისთქმას თვითეულ ცალკე

შემთხვევაში ამა თუ იმ ერის სახელმწიფოდ გამოყოფის მიზანშეწონილობის დამოუკიდებლად შეფასებაზე. პირიქით, სოციალ-დემოკრატები სწორედ დამოუკიდებელ შეფასებას უნდა იძლეოდნენ და ანგარიშს უწევდნენ როგორც კაპიტალიზმის განვითარებისა და ყველა ეროვნების გაერთიანებული ბურჟუაზიის მიერ სხვადასხვა ერის პროლეტართა ჩაგვრის პირობებს, ისე. დემოკრატიის საერთო ამოცანებს, ხოლო პირველ რიგში და ყველაზე მეტად სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს.

ამ თვალსაზრისით მხედველობაში უნდა მივიღოთ განსაკუთრებით შემდეგი გარემოება. რუსეთში არის ორი ერი, ყველაზე უფრო კულტურული და ყველაზე უფრო განცალკევებული მთელი რიგი ისტორიული და საყოფაცხოვრებო პირობების გამო, რომელთაც ყველაზე ადვილად და ყველაზე «ბუნებრივად» შეეძლოთ განეხორციელებინათ გამოყოფის უფლება. ეს არის ფინეთი და პოლონეთი. 1905 წლის რევოლუციის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ამ ორ ერშიც კი გაბატონებული კლასები, მემამულეები და ბურჟუაზია, ხელს იღებენ რევოლუციურ ბრძოლაზე თავისუფლებისათვის და დაახლოებას ცდილობენ რუსეთის გაბატონებულ კლასებთან და მეფის მონარქიასთან ფინეთისა და პოლონეთის რევოლუციური პროლეტარიატის შ ი შ ი ს გ ა მ ო.

ამიტომ სოციალ-დემოკრატიამ მთელი ენერგიით უნდა გააფრთხილოს ყველა ეროვნების პროლეტარიატი და მშრომელი კლასები არ მოტყუვდნენ «თავიანთი» ბურჟუაზიის ნაციონალისტური ლოზუნგებით, ბურჟუაზიისა, რომელიც მოთაფლული ან მგზნებარე სიტყვებით «სამშობლოს» შესახებ ცდილობს გ ა თ ი შ ო ს პროლეტარიატი და ა ა ც ი ლ ო ს მ ი ს ი ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა ბურჟუაზიის ოინებს, რომელიც ეკონომიურ და პოლიტიკურ კავშირს სდებს სხვა ერთა ბურჟუაზიასთან და მეფის მონარქიასთან.

პროლეტარიატი ვერ იბრძოლებს სოციალიზმისათვის და ვერ დაიცავს თავის ყოველდღიურ ეკონომიურ ინტერესებს,

თუ ყველა ერის მუშები უმჭიდროესად და სრულად არ არიან შეკავშირებული გამოუკლებლივ ყველა მუშათა ორგანიზაციაში.

პროლეტარიატი ვერ მოიპოვებს თავისუფლებას სხვაგვარად, თუ არა რევოლუციური ბრძოლის გზით მეფის მონარქიის დამხობისა და მისი დემოკრატიული რესპუბლიკით შეცვლისათვის. მეფის მონარქია გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ს ეროვნებათა თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობას და გარდა ამისა მთავარი ბურჯია ბარბაროსობის, მხეცობისა და რეაქციისა როგორც ევროპაში, ისე აზიაშიც. ამ მონარქიის დამხობა კი შეუძლია მხოლოდ რუსეთის ყველა ერის გაერთიანებულ პროლეტარიატს, რომელიც წინ მიუძღვის ყველა ერის მშრომელთა მასების თანამიმდევარ დემოკრატიულ ელემენტებს და რევოლუციური ბრძოლის უნარის მქონე ელემენტებს.

ამიტომ ის მუშა, რომელიც «თავისი» ერის ბურჟუაზიასთან პოლიტიკურ ერთიანობას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ყველა ერის პროლეტარებთან სრულ ერთიანობას, მოქმედებს თავისი ინტერესების წინააღმდეგ, სოციალიზმისა და დემოკრატიის ინტერესების წინააღმდეგ.

5. როდესაც სოციალ-დემოკრატია იცავს თანამიმდევარ დემოკრატიულ სახელმწიფო წყობილებას, ის მოითხოვს ეროვნებათა უცილობელ თანასწორუფლებიანობას და იბრძვის იმის წინააღმდეგ, რომ რაიმე პრივილეგიები ჰქონდეს ერთ თუ რამდენიმე ეროვნებას.

კერძოდ, სოციალ-დემოკრატია უარყოფს «სახელმწიფო» ენას. რუსეთში ასეთი რამ განსაკუთრებით ზედმეტია, რადგან რუსეთის მოსახლეობის შვიდ მეათედზე მეტი ეკუთვნის მონათესავე სლავურ ტომებს, რომელნიც თავისუფალ სახელმწიფოში თავისუფალი სკოლის არსებობისას, ეკონომიური ბრუნვის მოთხოვნილებათა გამო, ადვილად მიაღწევდნენ შეთანხმებას ერთ-ერთი ენის ყოველგვარი «სახელმწიფო» პრივილეგიების გარეშე.

სოციალ-დემოკრატია მოითხოვს თვითმპყრობელურ-ბატონყმური სახელმწიფოს მებატონე-მემამულეთა და მოხელეთა მიერ დადგენილი რუსეთის ძველი ადმინისტრაციული დაყოფის ნაცვლად ისეთ დაყოფას, რომელიც დამყარებული იქნება თანამედროვე სამეურნეო ცხოვრების მოთხოვნებზე და შეძლებისდაგვარად შეთანხმებული იქნება მოსახლეობის ნაციონალურ შემადგენლობასთან.

სახელმწიფოს ყველა ოლქი, რომელიც განსხვავდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თავისებურებით ან ნაციონალური შემადგენლობით, უნდა სარგებლობდეს ფართო თვითმმართველობითა და ავტონომიით და მისი დაწესებულებანი აგებულ უნდა იქნან საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

6. სოციალ-დემოკრატია მოითხოვს საერთოსახელმწიფოებრივი კანონის გამოცემას, რომელიც დაიცავს სახელმწიფოს ყოველი ადგილის ყოველი ეროვნული უმცირესობის უფლებებს. ამ კანონის მიხედვით, ყოველი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ეროვნული უმრავლესობა შეეცდებოდა შეექმნა თავისთვის ეროვნული პრივილეგია ან შეეკვეცა ეროვნული უმცირესობის უფლებები (სასწავლო საქმის, ამა თუ იმ ენის ხმარების სფეროში, საბიუჯეტო საქმეში და სხვ.), გამოცხადებულ უნდა იქნას ძალადაკარგულად, ხოლო ასეთი ღონისძიების გატარება აიკრძალოს დასჯის შიშით.

7. სოციალ-დემოკრატია უარყოფით ეკიდება «კულტურულ-ნაციონალური» (ან უბრალოდ «ნაციონალური») «ავტონომიის» ლოზუნგს და მისი განხორციელების პროექტებს, რადგან ეს ლოზუნგი (1) უეჭველად ეწინააღმდეგება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერნაციონალიზმს, — (2) აადვილებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეების გავლენის სფეროში პროლეტარიატისა და მშრომელი მასების ჩათრევას, — (3) მას შეუძლია ყურადღება ჩამოაშოროს საერთოდ სახელმწიფოს თანამიმდევარ დემოკრატიულ გარდაქმნათა ამოცანებს, ეს კი ისეთი გარდაქმნებია, რომ მხო-

ლოდ მათ შეუძლიათ უზრუნველყონ (საერთოდ რამდენადაც ეს შესაძლებელია კაპიტალიზმის დროს) ნაციონალური მშვიდობა.

იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატებში განსაკუთრებით გამწვავდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის საკითხი, მოგვყავს ამ დებულების ზოგიერთი განმარტება.

(ა) სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით შეუწყნარებელია როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი კულტურის ლოზუნგის წამოყენება. ეს ლოზუნგი არ არის სწორი, რადგან, კაცობრიობის მთელი სამეურნეო, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრება სულ უფრო და უფრო ინტერნაციონალური ხდება უკვე კაპიტალიზმის დროს. სოციალიზმი მთლიანად ინტერნაციონალურსა ხდის მას. ინტერნაციონალური კულტურა, რომელსაც უკვე ახლა სისტემატურად ქმნის ყველა ქვეყნის პროლეტარიატი, ითვისებს არა «ნაციონალურ კულტურას» (ამა თუ იმ ნაციონალური კოლექტივისას) მთლიანად, არამედ ყ ო ვ ე ლ ი ნაციონალური კულტურიდან იღებს მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ მის თანამიმდევრად დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს.

(ბ) სოციალ-დემოკრატების პროგრამებში ნაციონალური კულტურის ლოზუნგისადმი მიახლოების, თუმცა გაუბედავი მიახლოების, ალბათ, ერთადერთ მაგალითს იძლევა ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების ბრიუნის პროგრამის § 3. ეს § 3 ამბობს: «ერთი და იმავე ერის ყველა თვითმმართველი ოლქი ქმნის ნაციონალურად ერთიან კავშირს, რომელიც თავის ნაციონალურ საქმეებს სავსებით ავტონომიურად წყვეტს».

ეს ლოზუნგი კომპრომისულია, რადგან აქ ექსტერიტორიული (პერსონალური) ნაციონალური ავტონომიის ნატამალიც არ არის. მაგრამ ეს ლოზუნგიც მცდარი და მავნეა, რადგან რუსეთის სოციალ-დემოკრატების საქმე სრულებითაც არ არის ერთ ერად შეაერთოს ლოძელი, რიგელი, პიტერელი და სარატოველი გერმანელები. ჩვენი საქმეა ვიბრძოლოთ

სრული დემოკრატიზმისათვის და ყ ვ ე ლ ა ნაციონალური პრივილეგიის გაუქმებისათვის რუსეთში გერმანელი მუშების გასაერთიანებლად ყველა სხვა ერის მუშებთან სოციალიზმის ინტერნაციონალური კულტურის დაცვისა და განვითარების საქმეში.

მით უფრო მცდარია ექსტერიტორიული (პერსონალური) ნაციონალური ავტონომიის ლოზუნგი (ამ ლოზუნგის თანამიმდევარ მომხრეთა გეგმით) ნაციონალური პარლამენტების დაწესებით და ნაციონალური მინისტრებით (ო. ბაუერი და კ. რენერი). ასეთი დაწესებულებები, რაც ეწინააღმდეგება კაპიტალისტური ქვეყნების მთელ სამეურნეო პირობებს და ნაკადი არ არის მსოფლიოს არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, იმ ადამიანთა ოპორტუნისტული ოცნებაა, რომელთაც გული გასტეხიათ თანამიმდევარ დემოკრატიულ დაწესებულებათა შექმნაზე და ბურჟუაზიის ნაციონალური კინკლაობისგან ხსნას ეძებენ ზოგიერთ («კულტურულ») საკითხში თვითეული ერის როგორც პროლეტარიატის, ისე ბურჟუაზიის ხელოვნურ განცალკევებაში.

ზოგჯერ სოციალ-დემოკრატებს გარემოება აიძულებს დროებით დაემორჩილონ ამა თუ იმ კომპრომისულ გადაწყვეტილებას, მაგრამ სხვა ქვეყნებისგან ჩვენ უნდა გადმოვიღოთ არა კომპრომისული, არამედ თანამიმდევარი სოციალ-დემოკრატიული გადაწყვეტილებები. ავსტრიელთა კომპრომისის უხეირო ცდის გადმოღება კი მით უფრო უგუნური იქნებოდა ახლა, როცა მან ავსტრიაშიც სრული კრახი განიცადა, გამოიწვია რა ჩეხი სოციალ-დემოკრატების სეპარატიზმი და გამოყოფა.

(გ) რუსეთში «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ლოზუნგის ისტორია ცხადყოფს, რომ ის მიიღო ებრაელთა, და მ ხ ო ლ ო დ ებრაელთა, გამოუკლებლივ ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიულმა პარტიამ, რომელთაც ბუნდი უკრიტიკოდ მისჩანჩალებდა კუდში, არათანამიმდევრად უარყოფდა რა ებრაელთა ნაციონალურ პარლამენტს (სეიმს) და ებრაელთა ნაციონალურ

მინისტრებს. ამავე დროს ის ევროპელი სოციალ-დემოკრატებიც კი, რომლებიც იწყნარებენ ან იცავენ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის კომპრომისულ ლოზუნგს, აღიარებენ ამ ლოზუნგის სრულ განუხორციელებლობას ებრაელებისთვის (ო. ბაუერი და კ. კაუცკი). «გალიციისა და რუსეთის ებრაელები უფრო კასტაა, ვიდრე ერი, და ებრაელობის, როგორც ერის, კონსტიტუირების ცდები კასტის შენარჩუნების ცდებია» (კ. კაუცკი).

(დ) ცივილიზებულ ქვეყნებში კაპიტალიზმის დროს ჩვენ ვხედავთ ნაციონალური მშვიდობისკენ საკმაოდ სრულ (შედარებით) მიახლოებას მ ხ ო ლ ო დ მთელი სახელმწიფო წყობისა და მართვა-გამგეობის დემოკრატიზმის მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ა დ განხორციელების პირობებში (შვეიცარია). თანამიმდევარი დემოკრატიზმის ლოზუნგები (რესპუბლიკა, მილიცია, ხალხის მიერ მოხელეთა არჩევა და სხვ.) ყოველი ერის პროლეტარიატსა და მშრომელ მასებს და საერთოდ ყოველივე მოწინავეს აერთებს იმ პირობებისათვის საბრძოლველად, რომელნიც გამორიცხავენ სულ მცირეოდენი ნაციონალური პრივილეგიის შესაძლებლობას, — მაშინ როდესაც «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ლოზუნგი ქადაგებს ერთა განცალკევებას სასკოლო (ან საერთოდ «კულტურულ») საქმეში, განცალკევებას, რაც სავსებით ეთავსება ყოველგვარ (და მათ შორის ნაციონალურ) პრივილეგიათა საფუძვლების შენარჩუნებას.

თანამიმდევარი დემოკრატიზმის ლოზუნგები ერთად ა ე რ თ ე ბ ს ყველა ერის პროლეტარიატსა და მოწინავე დემოკრატიას (ელემენტებს, რომელთაც ესაჭიროებათ ყველა საქმეში და მათ შორის სასკოლო საქმეშიც ერთა დემოკრატიული ელემენტების არა განცალკევება, არამედ გაერთიანება), — კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ლოზუნგი კი თ ა შ ა ვ ს სხვადასხვა ერის პროლეტარიატს, აკავშირებს მას ცალკეულ ერთა რეაქციულ და ბურჟუაზიულ ელემენტებთან.

თანამიმდევარი დემოკრატიზმის ლოზუნგები შეურიგებლად მტრულია ყველა ერის რეაქციონერებისა და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მიმართ, — კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ლოზუნგი კი სავსებით მისაღებია ზოგიერთი ერის რეაქციონერებისა და კონტრრევოლუციონერი ბურჟუებისათვის.

8. ამრიგად, რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური პირობების მთელი ერთობლიობა უცილობლად მოითხოვს სოციალ-დემოკრატიისაგან ყველა ეროვნების მუშათა შეერთების გატარებას გამოუკლებლივ ყ ვ ე ლ ა პროლეტარულ (პოლიტიკურ, პროფესიულ, კოოპერაციულ, საგანმანათლებლო და სხვ. და ა. შ.) ორგანიზაციაში. არა ფედერაცია პარტიის წყობაში და არა ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების შექმნა, არამედ ამა თუ იმ ადგილის ყველა ერის პროლეტარების ერთიანობა პროპაგანდისა და აგიტაციის ადგილობრივი პროლეტარიატის ყ ვ ე ლ ა ენაზე შემოღებით, ყოველივე ნაციონალური პრივილეგიების წინააღმდეგ ყველა ერის მუშების ერთად ბრძოლით, პარტიის ადგილობრივი და საოლქო ორგანიზაციების ავტონომიით.

9. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიის ათზე მეტი წლის გამოცდილება ადასტურებს ზემომოყვანილ დებულებებს. პარტია არსდება 1898 წელს, როგორც «რუსეთის» პარტია, ე. ი. რუსეთის ყველა ეროვნების პროლეტარიატის პარტია. პარტია «რუსეთის» პარტიად რჩება, როდესაც 1903 წელს ბუნდი გამოდის პარტიიდან, მას შემდეგ რაც პარტიის ყრილობამ არ მიიღო მოთხოვნა — ბუნდი მიეჩნიათ ებრაელი პროლეტარიატის ე რ თ ა დ ე რ თ წარმომადგენლად. 1906 — 1907 წლებში ცხოვრება სავსებით ააშკარავებს ამ მოთხოვნის უმწეობას, მთელი რიგი ებრაელი პროლეტარები შეთანხმებულად განაგრძობენ საერთო სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას მთელ რიგ ადგილობრივ ორგანიზაციებში, და ბუნდიც უბრუნდება პარტიას. სტოკჰოლმის ყრილობა (1906 წ.) აერთიანებს როგორც პოლონელ, ისე

ლატვიელ სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც ტ ე რ ი ტ ო-
რ ი უ ლ ი ავტონომიის ნიადაგზე დგანან, ამასთან ყრილობა
ა რ ღებულობს ფედერაციის პრინციპს და მოითხოვს ყველა
ეროვნების სოციალ-დემოკრატების გაერთიანებას ადგილებზე.
ეს პრინციპი მრავალი წელიწადია ტარდება კავკასიაში, ტარ-
დება ვარშავაში (პოლონელი მუშები და რუსი ჯარისკაცები),
ვილნოში (პოლონელი, ლატვიელი, ებრაელი, ლიტველი მუ-
შები), რიგაში, ყველა სამ უკანასკნელ ცენტრში ტარდება
სეპარაციულად გამოყოფილი ბუნდის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. 1908
წლის დეკემბერში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა
პარტია, თავისი კონფერენციის სახით, იღებს სპეციალურ
რეზოლუციას, რითაც ადასტურებს ყველა ეროვნების მუშათა
ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს მოთხოვნას ა რ ა ფედერაციის პ რ ი ნ-
ც ი პ ზ ე. სეპარატისტ-ბუნდელთა მიერ პარტიის გადაწყვეტი-
ლების გამთიშველი შეუსრულებლობა იწვევს მთელი ამ
«უცუდესი ტიპის ფედერაციის» [68] კრახს, — ბუნდელ სეპარა-
ტისტებს აახლოებს ჩეხ სეპარატისტებთან და პირიქით (იხ.
კოსოვსკი «ნაშა ზარიაში» და ჩეხი სეპარატისტების ორგანო
«Der čechoslavische Sozialdemokrat» * 1913, № 3, კოსოვსკის
შესახებ) — და, ბოლოს, ლიკვიდატორთა აგვისტოს (1912 წ.)
კონფერენციაზე იწვევს ბუნდელი სეპარატისტებისა და ლიკ-
ვიდატორების ცდას კავკასიელ ლიკვიდატორთა ნაწილთან
ერთად მ ა ლ უ ლ ა დ შეაპარონ პარტიის პროგრამაში «კულ-
ტურულ-ნაციონალური ავტონომია» მ ი ს ი ა რ ს ე ბ ი თ ი
დ ა ც ვ ი ს გ ა რ ე შ ე!

რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატი მუშები პოლონე-
თისაც, ლატვიის მხარისაც და კავკასიისაც წინანდებურად
დგანან ტერიტორიული ავტონომიისა და ყ ვ ე ლ ა ერის სო-
ციალ-დემოკრატი მუშების ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს თვალსაზრისზე.
ბუნდელთა და ლიკვიდატორთა გამოთიშვა და ბუნდის კავ-
შირი ვარშავაში ა რ ა-სოციალ-დემოკრატებთან ყველა
სოციალ-დემოკრატის წინაშე დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ შ ი აყენებს

* — «ჩეხოსლავური სოციალ-დემოკრატი». რ ედ.

მ თ ე ლ ნაციონალურ საკითხს, როგორც მისი თეორიული მნიშვნელობის მხრივ, ისე პარტიის მშენებლობის საქმეში.

კომპრომისული გადაწყვეტილებები დაარღვიეს სწორედ მათ, ვინც ამ გადაწყვეტილებებს პარტიის ნების წინააღმდეგ ატარებდა, და ყველა ეროვნების მუშა სოციალ-დემოკრატების ერთიანობის მოთხოვნა უფრო ხმამაღლა გაისმის, ვიდრე ოდესმე.

10. მეფის მონარქიის უხეშად მებრძოლი და შავრაზმული ნაციონალიზმი და შემდეგ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ნაციონალიზმის — ველიკორუსულის (ბ-ნი სტრუვე, «რუსსკაია მოლვა»[69], «პროგრესისტები» და სხვ.), უკრაინულის, პოლონურის (ნაროდოვული «დემოკრატიის»[70] ანტისემიტიზმი), ქართულის, სომხურის და სხვათა ნაციონალიზმის გამოცოცხლება, — ყოველივე ეს განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვს რუსეთის ყველა კუთხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისგან წინანდელზე მეტი ყურადღება მიაქციონ ნაციონალურ საკითხს და გამოიმუშაონ მისი თანამიმდევრად-მარქსისტული გადაწყვეტილებანი მტკიცე ინტერნაციონალიზმისა და ყველა ერის პროლეტართა ერთიანობის სულისკვეთებით.

(α) ნაციონალური კულტურის ლოზუნგი სწორი არ არის და გამოხატავს მხოლოდ ნაციონალური საკითხის გაგების ბურჟუაზიულ შეზღუდულობას. ინტერნაციონალური კულტურა.

(β) ნაციონალური დაყოფის გამარადისება და დახვეწილი ნაციონალიზმის გატარება — ერთა შეერთება, დაახლოება, არევა და **სხვანაირი,** ინტერნაციონალური კულტურის პრინციპების გამოხატულება.

(γ) წვრილი ბურჟუის სასოწარკვეთილება (უიმედო ბრძოლა ნაციონალური კინკლაობის წინააღმდეგ) და რადიკალურ-დემოკრატიულ გარდაქმნათა და სოციალისტური მოძრაობის შიში — კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მხოლოდ რადი-

კალურ-დემოკრატიულ გარდაქმნებს შეუძლიათ შექმნან ნაციონალური მშვიდობა და მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია ბოლო მოუღოს ნაციონალურ კინკლაობას.

(ბ) ნაციონალური კურიები სასკოლო საქმეში [71].

(ვ) ებრაელობა.

დაწერილია 1913 წ. ივნისში

პირველად დაიბეჭდა 1925 წ. ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საგულისხმო სიტყვები

ცნობილი რენეგატი ბ-ნი იზგოევი, რომელიც სოციალ-დემოკრატი იყო 1905 წლამდე და სწრაფად «მოჭკვიანდა»... მემარჯვენე ლიბერალი გახდა 17 ოქტომბრის შემდეგ, «ოქ-ტიაბრისტული» ანუ კონტრრევოლუციური ლიბერალიზმის მთავარ ორგანოში «რუსსკაია მისლში» ხშირად აპყრობს თავის მოწყალე თვალს სოციალ-დემოკრატიას.

იმ მუშებს, რომლებსაც სურთ კარგად გაერკვნენ მუშათა პოლიტიკის სერიოზულ საკითხებში, შეიძლება მხოლოდ ვურჩიოთ ბ-ნ იზგოევის სტატიის წაკითხვა «რუსსკაია მის-ლის» მიმდინარე წლის უკანასკნელ, ივნისის ნომერში.

სასარგებლოა კარგად ჩავუფიქრდეთ იმ აღტაცებულ ქება-დიდებას, რომელსაც უხვად ასხამს ბ-ნი იზგოევი ლიკვიდა-ტორულ ი დ ე ო ლ ო გ ი ა ს ა და ტ ა ქ ტ ი კ ა ს, ე. ი. სწორედ ლიკვიდატორობის ძირითად პრინციპებს. ლიბერალებს არ შეუძლიათ ქება-დიდება არ შეასხან ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსების პრინციპებსა და ტაქტიკას!

სასარგებლოა კარგად ჩავუფიქრდეთ ლიკვიდატორთა სავ-სებით თანამგრძნობ ბ-ნ იზგოევის დამოუკიდებელ ტაქტიკურ მსჯელობას, იზგოევისა, რომელსაც რაც უნდა იყოს «დაწყე-ბითი მარქსისტული სკოლა» აქვს გავლილი და ესმის, რომ საჭიროა ძიება ლიკვიდატორებთან პარტიელების სერიოზუ-ლი ბრძოლის სერიოზული ფესვებისა.

სამწუხაროდ, ჩვენ აქ უნდა დავჯერდეთ ბ-ნ იზგოევის საგულისხმო სტატიის ფრიად მოკლე ციტატებს და ამ ციტატების სულ მცირე, არასრულ, განმარტებას.

ბ-ნ იზგოევის აზრით, ბოლშევიზმის წარმატებები დამოკიდებულია იმაზე, თუ «რა იმედებია რუსეთის მშვიდობიანი განვითარებისა თუნდაც გერმანული ტიპის კონსტიტუციური მიმართულებით. აკი გერმანიაში შესაძლებელი აღმოჩნდა მონარქისტული კონსტიტუცია თავისუფლებებით, გაძლიერებული დაცვის გარეშე, მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფართო განვითარებით. შესაძლებელია თუ არა ეს რუსეთში? რამდენადაც სასწვრის უღელი ქანაობს ამა თუ იმ მხარეს, იმდენად მაღლა ან დაბლა იწევს ლიკვიდატორებისა და ბოლშევიკების შანსები»...

...«თუ რეაქციის მოწოლას საზღვარი არ დაედო, თუ რუსეთის კონსტიტუციური ძალები საკმარისი არ აღმოჩნდა მშვიდობიანი სახელმწიფო გარდაქმნისათვის, ბოლშევიზმი უეჭველად გაიმარჯვებს და უკანა კუთხეში მირეკავს ლიკვიდატორებს». თვითონ ბ-ნ იზგოევს კი ბოლშევიკები მიაჩნია ანარქისტებად, ლიკვიდატორები კი — «ნამდვილ სოციალ-დემოკრატებად», რომლებიც სრულიად გონივრულად აგდებენ ორ უკანასკნელ მუხლს ბოლშევიკური პლატფორმიდან და მათ კოალიციის თავისუფლებით ცვლიან!!

«ჩადგება ქარიშხალი, — წერს ბ-ნი იზგოევი — დადგება დადებითი მუშაობის დრო, და ლიკვიდატორებიც კვლავ (!!?) ჩაუდგებიან სათავეში მუშათა კლასს». ასეთია ბ-ნ იზგოევის ოცნებანი. ლიკვიდატორების ტაქტიკა ჩინებული იქნებაო, როდესაც «ქარიშხალი ჩადგება»... აი მისი «აზრი ტაქტიკის შესახებ»:

«თუ უფრო ღრმად ჩავუფიქრდებით ბოლშევიკურ ტაქტიკას, უნდა აღვიაროთ, რომ იგი აგებულია იმ რწმენაზე, რომ რუსეთში ბრძოლა მონარქისტული კონსტიტუციისათვის... (მრავალწერტილი ბ-ნ იზგოევისაა) დამთავრდა 3 ივნისს. შემდეგ ბრძოლა წარმოებს, შესაძლოა, უშუალო ან თანამიმდევარი დემოკრატიისათვის, მაგრამ სხვა კონსტიტუცია, გარდასამი ივნისის კონსტიტუციისა, რუსეთის კარდინალური ისტორიული სა-

ფუძვლის პირობებში, შეუძლებელია. რუსეთის კონსტიტუციონალისტებს შეიძლება იმედი ჰქონდეთ მხოლოდ კონსტიტუციისა უთავისუფლებებოდ, განსაკუთრებული წესებით. ჩვენ შემცდარად და პოლიტიკურად მავნებლად მიგვაჩნია ბოლშევიკური თვალსაზრისი, რომელიც თუმცა პოლარულად საწინააღმდეგოა შავრაზმული თვალსაზრისისა, მაგრამ მაინც ენათესავება მას. მაგრამ მისი შინაარსიანობა არ შეიძლება უარვყოთ. რუსეთის კონსტიტუციონალისტთა ხანგრძლივ უმწეობას იმაში, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მიეცათ უფლებრივი წყობილების გარანტიები, შეუძლია მომავალში გაამართლოს კიდეც ბოლშევიკური პესიმიზმი. ჯერჯერობით კი ის, როგორც მართებულად აღნიშნა «ლუჩმა»... (ოღონდაც!)... იწვევს მხოლოდ შერევას ნახევრადანარქისტულ ელემენტებთან...» («ლუჩით» აღტაცებულ ბ-ნ იზგოევს მოჰყავს ციტატები ლიკვიდატორთა სტატიებიდან).

ბ-ნ იზგოევს საერთოდ პესიმიზმად მიაჩნია პესიმიზმი მეშამულეთა და ბურჟუაზიის მ ი მ ა რ თ. განუყრელად დაკავშირებულია თუ არა ა ს ე თ ი «პესიმიზმი» ო პ ტ ი მ ი ზ მ თ ა ნ, პირველ ყოვლისა, პროლეტარიატის, ხოლო შემდეგ მშრომელი წვრილბურჟუაზიული მასების მიმართ, ბ-ნ იზგოევს ამაზე ფიქრისა ეშინია. აბა როგორ არ უნდა ეშინოდეს!

ყველაზე კურიოზული ამ ლაქუცში, ასე უხვად რომ აბნევს ლიკვიდატორების მიმართ რენეგატი, ყველაზე საგულისხმო ლიბერალის ამ სიტყვებში ის არის, რომ იგი, თუმცა სავსებით თანაუგრძნობს ლიკვიდატორებს, მაგრამ მაინც ვ ე რ ბ ე დ ა ვ ს ბოლშევიკური ტაქტიკა უ შ ი ნ ა ა რ ს ო დ მიიჩნიოს! მას, «მშვიდობიანი» განვითარებისა და ლიკვიდატორული ოპორტუნიზმის მომხრეს, ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თქვას, რომ სწორედ ასეთი განვითარება გაიმარჯვებს!! ის, ბოლშევიზმის გააფთრებული მტერი, ათასნაირი ლანძღვა-გინებით რომ გვიმასპინძლდება (ანარქისტები, ბლანკისტები, თავისმაქებარნი და სხვ. და ა. შ.), ის, ლიკვიდატორების მოსიყვარულე მეგობარი, ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა აღიაროს, რომ ბოლშევიზმი გაიმარჯვებს, თუ «რუსეთში კონსტიტუციური ძალები საკმარისი არ აღმოჩნდაო» (ე. ი. თუ ეს ძალები იმდენივე აღმოჩნდა, რამდენიც ახლაა...)!!

მეტად ბრაზიანმა, სოციალ-დემოკრატიულ საქმეთა კარგად მცოდნემ, მაგრამ არცთუ მაინცდამაინც საზრიანმა ბ-მა

იზგოევმა ვერ შეამჩნია, რომ მთელი ამ მსჯელობით * . . . .

. . . . . .

და ჩამოხადა ლეღვის ფოთოლი ბატონ თ. დ-ს, ლ. ს.-ს, ეჟოვს, ლარინს, მარტოვს, პოტრესოვსა და კომპანიას.

გმადლობთ, სულით და გულით გმადლობთ, ბოლშევიკებზე გაბრაზებულო ბ-ნო იზგოევ! სიმართლე თვალსა სთხრისო. და თქვენც უ ც ა ბ ე დ ა დ თვალები ამოსთხარეთ თქვენს მეგობარ ლიკვიდატორებს. თქვენ მათ ისე «ნაზად» ეკონებით, რომ ახრჩობთ ამ ჩაკონებით.

კიდევ რამდენიმე სიტყვა ერთ წმინდა ისტორიულ საკითხზე. გერმანიაში რატომ «აღმოჩნდა შესაძლებელი» სწორედ ისეთი კონსტიტუცია, რომელიც საფრანგეთისაზე უფრო მოსწონს კონტრრევოლუციურ ლიბერალიზმს? მხოლოდ იმიტომ, ბრაზიანო, მაგრამ მოუსაზრებელო ბ-ნო იზგოევ, რომ ეს კონსტიტუცია ტ ო ლ ქ მ ე დ ი აღმოჩნდა ბისმარკისა და ლიბერალთა მისწრაფებებისა, რომელთაც ეშინოდათ მუშებისთვის თავისუფლების მინიჭებისა, და იმ მუშების მისწრაფებებისა, რომელნიც, როგორც ორმოციან, ისე ორმოცდაათიან და სამოციან წლებში, ცდილობდნენ გერმანიის ს რ უ ლ ი დემოკრატიზაცია მოეპოვებინათ. გერმანიის მუშები მ ა შ ი ნ სუსტნი აღმოჩნდნენ. ამიტომ ბისმარკმა და პრუსიელმა ლიბერალებმა ს ა ნ ა ხ ე ვ რ ო დ გაიმარჯვეს. გერმანიის მუშები რომ უფრო ძლიერი ყოფილიყვნენ, ბისმარკი მეოთხედით გაიმარჯვებდა. კიდევ უფრო ძლიერი რომ ყოფილიყვნენ, ბისმარკი სულაც ვერ გაიმარჯვებდა. გერმანიამ თავისუფლებანი მიიღო, მიუხედავად ბისმარკისა, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ პრუსიელი ლიბერალებისა, მ ხ ო ლ ო დ იმის წყალობით, რომ მუშათა კლასი (ნაწილობრივ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიაც, მაგრამ სულ მცირე ნაწილი) მედგრად და შეუპოვრად მიისწრაფოდა სრული დემოკრატიზაციისაკენ.

ვერაფერი გაიგეთ, ბ-ნო იზგოევ? ვერ გაიგეთ, რომ ისტორიამ გერმანიისთვისაც გაამართლა «ბოლშევიკური» ტაქტიკა?

* ხელნაწერის შემდგომი გვერდი აღმოჩენილი არ არის. რ ე დ.

ნაკლებ გაბრაზდით ბოლშევიკებზე, ნაკლებ «ელოლიავეთ» ლიკვიდატორებს, და მაშინ, შესაძლოა, კიდევ გაიგოთ.

ვ. ი.
(ან ხელმოუწერლად)

P. S. * თუ არ გამოგადგეთ, ძალიან გთხოვთ გადასცეთ «პროსვეშჩენიეს». ჩემი აზრით, უკეთესი იქნება ფელეტონად მოთავსდეს «პრავდაში».

დაწერილია 1913 წ. ივლისის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1925 წ.
ჟურნალში «კრასნაია ნოვ» № 1

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

ცხოვრების სურათები

როდესაც ლაპარაკობენ საერთოდ რუსეთის ცხოვრებისა და მეტადრე რუსეთის სოფლის ბატონყმურობაზე, ეს იწვევს ჩვენი ლიბერალების პროტესტს, — განსაკუთრებით იმ ლიბერალებისას, რომელთაც უყვართ თავი მოგვაჩვენონ თითქმის მარქსისტებად. აბა, რა ბატონყმობა შეიძლება XX საუკუნის რუსეთშიო! ეს «აგიტაციაა» მხოლოდ და მეტი არაფერიო...

ამავე დროს თანამედროვე რუსეთის სოფელში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება ბატონყმობის საოცრად მკვეთრი სურათები, და მხოლოდ «შეჩვეული» რუსი ობივატელის წყეული დამყაყებულობა აიძულებს მას გულგრილად აუქციოს გვერდი ამ სურათებს.

აი ერთ-ერთი ასეთი სურათი, გადმოღებული ჩვენს მიერ ჩერნიგოვის საგუბერნიო საერობო კრების 10 წლის, 1900-1909 წლების, დადგენილებათა ოფიციალური კრებულიდან.

«ჩვენს ერობას შავ ლაქად აზის — წერს ამის გამო ბ-ნი ხიენიაკოვი («რუსსკოე ბოგატსტვო») — სასოფლო გზების შენახვის დ ღ ე მ დ ე არ-სებული არქაული წესი ნატურალური ბეგრის საშუალებით... იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ დიდი უსამართლობაა ამ ბეგრის მხოლოდ და მხოლოდ გლეხების მიერ მოხდა,... აღმაშფოთებელია თვით ამ ბეგრის მოხდის წესიც. თოვლის დნობისა და კოკისპირული წვიმების შემდეგ, სოფლის მამასახლისები, პოლიციის ურიადნიკის მრისხანე ბრძანებით, «მიერეკებიან ხალხს», როგორც ჩვენში ამბობენ, გზის შესაკეთებლად. მუშაობა წარმოებს სრულიად უთავბოლოდ, უნიველირებოდ, ყოველგვარი ტექნიკური მითითების მიუცემლად. მე მოწმე ვიყავი ასეთი მუშაობისა, რომელსაც აწარმოებდნენ განსაკუთრებით ენერგიულად, ურიადნიკთა მრის-

ხანე შეყვირებით. ა რ ა გ უ ლ მ ო დ გ ი ნ ე ე ბ ს კ ი მ ა თ რ ა ხ ი ს ც ე-
მ ი თ ა ი ძ უ ლ ე ბ დ ნ ე ნ ე მ უ შ ა ვ ნ ა თ. ეს იყო ზაფხულის დამ-
ლევს. გუბერნატორის გავლას მოელოდნენ... დაახლოებით სამი ვერსის
მანძილზე მორეკილი იყო 500 კაცი და ქალი ბარებით, ისინი ურიადნიკთა
ბრძანებით თხრიდნენ თხრილებს, რაც სრულიად არ იყო საჭირო და
შემდგომ ამოსავსები გახდა... ჩვენი ერობა კი თითქმის 50 წლის განმავ-
ლობაში არათუ არ ზრუნავს მოხსნას გლეხთა მოსახლეობას ეს მძიმე
ტვირთი, ა რ ა მ ე დ კ ი დ ე ვ უ ფ რ ო მ ე ტ ა დ ა დ ი დ ებ ს მ ა ს...»

ეს ერობა, ისე როგორც რუსეთის ყველა ერობა, მემამულეთა ერობაა.

ამრიგად, მემამულეები კიდევ უფრო ადიდებენ გლეხთა ძველებურ «ბეგარას». მემამულეთა ბრძანებით, ურიადნიკები და მამასახლისები «მოერეკებიან ხალხს», აიძულებენ ასობით გლეხებს მოსცდნენ თავიანთ მეურნეობაში მუშაობას, და «თხარონ თხრილები, რაც სრულიად არ არის საჭირო», «სრულიად უაზროდ», «ა რ ა გ უ ლ მ ო დ გ ი ნ ე ე ბ ს კ ი მ ა თ-
რ ა ხ ი ს ც ე მ ი თ ა ი ძ უ ლ ე ბ ე ნ».

აი სად არის პურიშკევიჩების, მარკოვებისა და კომპანიის ძალაუფლების ფესვები. და რა საზიზღარი ფარისევლები არიან ჩვენი შელამაზებული, წესიერი, კეთილგანზრახული რეფორმატორული ლიბერალური პროგრამები, როცა მათ ასეთ ფესვებს ადარებ!

«პრავდა» № 149,
1913 წ. 2 ივლისი
ხელმოწერა: ტ-ი ნ

იბეჭდება გაზეთ
«პრავდის» ტექსტის
მიხედვით

დათხოვნილი სათათბიროს და თავგზააბნეული ლიბერალები

უკვე ერთ კვირაზე მეტი გავიდა, რაც IV სათათბიროს დაითხოვეს[72], გაზეთებში კი ჯერაც არ შეწყვეტილა მასზე მსჯელობა და მისი მოღვაწეობის შეფასება. საერთოდ ყველა უკმაყოფილოა IV სათათბიროსი. უკმაყოფილონი არიან არა მარტო ლიბერალები, არა მარტო «პასუხისმგებელი» (მემამულეთა წინაშე) ოპოზიცია. უკმაყოფილონი არიან ოქტიაბრისტებიც. უკმაყოფილონი არიან მემარჯვენეები.

ეჭვს გარეშეა, რეაქციული მემამულეებისა და რეაქციული ბურჟუაზიის ეს უკმაყოფილება შავი სათათბიროს მიმართ მეტისმეტად დამახასიათებელი და ფრიად მნიშვნელოვანია. ამ კლასებმა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი მოიმოქმედეს, რაც კი შესაძლებელია, რათა უზრუნველეყოთ ეგრეთწოდებული «მშვიდობიანი» «კონსტიტუციური» განვითარება.

ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი მოიმოქმედეს — და დარწმუნდნენ, რომ ა რ ა ფ ე რ ი გამოვიდა! აქედანაა საყოველთაო უკმაყოფილება თვით მემამულეთა და ბურჟუაზიის ბანაკში. არც მემარჯვენეები და არც ოქტიაბრისტები სამი ივნისის სისტემით არ არიან მოჯადოებული და აღტაცებული, როგორც ეს მესამე სათათბიროს ეპოქას ახასიათებს.

ჩვენს ეგრეთწოდებულ «მაღალ» კლასებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ «ზედაფენებს» ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ რუსეთის მართვა წინანდებურად, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მოწყობისა და მართვა-გამგეობის ყველა საფუძველი მთლია-

ნად მ ა თ მ ი ე რ არის განსაზღვრული და მ ა თ ი ინტერესების მიხედვითაა მოგვარებული. «ქვედაფენები» კი აღსავსენი არიან სურვილით შეცვალონ ეს მართვა-გამგეობა.

«ზედაფენებისთვის» სახელმწიფო საქმეების ძველებურად წარმართვის ამ შეუძლებლობის დამთხვევა საქმის ასეთი წარმართვის მიმართ «ქვედაფენების» ამ გამწვავებულ შეურიგებლობასთან სწორედ ის არის, რასაც ეწოდება (თუმცა, ცოტა არ იყოს, არაზუსტად) პოლიტიკური კრიზისი საერთონაციონალური მასშტაბით.

ჩვენს თვალწინ ამ კრიზისის ზრდა ფაქტია და თითქმის უდავო ფაქტი.

თითქოს, დემოკრატებისთვის და გაგებული ლიბერალებისთვისაც კი აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ უკეთესობისაკენ მისწრაფებათა სიმძიმის ცენტრი სრულიადაც არ არის სათათბირო, რომ ამ მხრივ სათათბირო მხოლოდ არაზუსტი მაჩვენებელია.

მაგრამ ჩვენმა ლიბერალებმა უკვე დიდი ხანია აიშვეს თავი. «როგორც III, ისე IV სათათბირო სახალხო წარმომადგენლობის პაროდიაა», წერდა «რეჩის» მოწინავე სტატიის ავტორი, «მ ა გ რ ა მ ს წ ო რ ე დ ი ს ი ნ ი არსებობენ და **hic Rhodus, hic salta**» (ლათინური თქმაა, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: «აქაა როდოსი, აქ იცეკვე», ესე იგი აქ არის მთავარი, აქ არის დედაარსი, აქ დაამტკიცე, აქ იბრძოლეო).

ცდებით, ბატონებო! აქ ა რ ა რ ი ს «როდოსი» და აქ ა რ **იქნება** «ცეკვა», როგორც აქ ა რ დაწყებულა იგი.

მხოლოდ მემამულეებისა და ფულის ქისის ლაქიებს შეუძლიათ IV სათათბირო «როდოსად» მიიჩნიონ დემოკრატიისათვის, შეუძლიათ დაივიწყონ, რომ სათათბიროს გარდა «ა რ ს ე ბ ო ბ ს», მაგალითად, მუშათა მოძრაობა მისი საერთო-სახალხო მნიშვნელობით, თუმცა მის ამ მნიშვნელობას დიდად ჩქმალავენ ლიბერალები, დიდად ჰკვეცენ, დიდად ამცირებენ ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსები — ლიკვიდატორები.

«გავაკეთეთ თუ არა ყველაფერი, რაც შეგვეძლო — ამბობს «რეჩი»— რომ გავლენა მოგვეხდინა სათათბიროზე, გვეიძულებინა იგი გაჰყოლოდ» და შეესრულებინა ჩვენი მოთხოვნები?»

ეს მაინცდამაინც წიგნიერად ვერ არის ნათქვამი, მაგრამ საკმაოდ ცხადია. «ჩვენ» — ეს არის მემამულეები და ბურჟუაზია. ამ საზოგადოებას «რეჩი» ხედავს, მხოლოდ ეს «საზოგადოებრივი» აზრი, მხოლოდ იგი აინტერესებს «რეჩს».

აიძულოს ყველაზე რეაქციული მემამულეები «შეასრულონ» იმ ლიბერალური მემამულეებისა და ლიბერალური ბურჟუაზიის «მოთხოვნები», რომელთაც თვითონაც არ იციან რა «მოითხოვონ», რა სურთ: ცვლილებები უკეთესობისაკენ თუ ამ ცვლილების მომხდენი მუშათა მოძრაობისა და მისი საერთო-სახალხო გაქანების შესუსტება?

საბრალო ლიბერალები!

«პრავდა» № 151,
1913 წ. 5 ივლისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

პროსტიტუციასთან ბრძოლის მეხუთე საერთაშორისო ყრილობა

ამ ცოტა ხნის წინათ ლონდონში დამთავრდა «ქალიშვილებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მ ე ხ უ თ ე საერთაშორისო ყრილობა».

სიტყვების კორიანტელი დააყენეს ჰერცოგებისა და გრაფების ცოლებმა და ასულებმა, ეპისკოპოსებმა, პასტორებმა, რაბინებმა, პოლიციის მოხელეებმა და ყოველი ჯურის ბურჟუაზიულმა ფილანთროპებმა! რამდენი საზეიმო სადილი და ბრწყინვალე ოფიციალური წვეულება მოეწყო! რამდენი საზეიმო სიტყვა წარმოითქვა პროსტიტუციის მავნებლობისა და უმსგავსობის შესახებ!

მერე ბრძოლის რა საშუალებებს მოითხოვდნენ ყრილობის ეს კოპწია ბურჟუაზიული დელეგატები? უმთავრესად ორ საშუალებას: რელიგიასა და პოლიციას. ყველაზე უტყუარსა და საიმედო საშუალებასაო პროსტიტუციის წინააღმდეგ. როგორც ლაიფციგის «სახალხო გაზეთის»[73] ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება, ერთი ინგლისელი დელეგატი იკვეხნიდა თურმე, პარლამენტს გ ა შ ო ლ ტ ვ ა მივაღებინე მაჭანკლობისთვისაო. აი როგორია თანამედროვე «ცივილიზებული» გმირი პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლისა!

ერთი კანადელი ბანოვანი აღტაცებული იყო პოლიციით და «ზნედაცემული» ქალების მიმართ პოლიციელ ქალთა მეთვალყურეობით, ხელფასის გადიდების შესახებ კი ამ

ბანოვანმა აღნიშნა, მუშაქალები უკეთესი ხელფასის ღირსნი არ არიანო.

ერთი გერმანელი პასტორი აცამტვერებდა თანამედროვე მატერიალიზმს, რომელიც სულ უფრო და უფრო ვრცელდება ხალხში და ხელს უწყობს თავისუფალი სიყვარულის გავრცელებასო.

როდესაც ავსტრიელმა დელეგატმა გერტნერმა სცადა აღეძრა საკითხი პროსტიტუციის სოციალური მიზეზების, მუშათა ოჯახების გაჭირვებისა და სიღატაკის, ბავშვთა შრომის ექსპლოატაციის, აუტანელი საბინაო პირობებისა და სხვ. შესახებ, — ორატორი ჩააჩუმეს მტრული წამოძახილებით!

სამაგიეროდ დიდკაცებზე ლაპარაკობდნენ — დელეგატთა ჯგუფებში — საგულისხმო და დიდ ამბებს. მაგალითად, როდესაც გერმანიის დედოფალი ეწვევა ხოლმე ბერლინის რომელიმე სამშობიარო სახლს, «უკანონო» ბავშვთა დედებს თ ი თ ე ბ ზ ე ბ ე ჭ დ ე ბ ს ა ც მ ე ვ ე ნ, — რომ ჯვარდაუწერელი დედების ხილვით არ შებღალონ გვირგვინოსნის გრძნობა!!

ამის მიხედვით შეიძლება განვსაჯოთ, რა საზიზღარი ბურჟუაზიული ფარისევლობა უნდა იყოს გამეფებული ამ არისტოკრატიულ ბურჟუაზიულ კონგრესებზე. ქველმოქმედების აკრობატები და გაჭირვებისა და სიღატაკის აბუჩად აგდების პოლიციელი დამცველები იკრიბებიან «პროსტიტუციასთან საბრძოლველად», პროსტიტუციასთან, რომელსაც ხელს უწყობენ სწორედ არისტოკრატია და ბურჟუაზია...

«რაბოჩაია პრავდა» № 1.
1913 წ. 13 ივლისი
ხელმოწერა: W.

იბეჭდება გაზეთ
«რაბოჩაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

სიტყვა და საქმე

ჩვენში მუდამ იმ შეცდომას სჩადიან, რომ განსაზღვრული პარტიის თუ ჯგუფის ლოზუნგებს, ტაქტიკას, საერთოდ მის მიმართულებას შეფასებას აძლევენ იმ განზრახვებისა თუ მოტივების მიხედვით, რომელთაც თვით ეს ჯგუფი ასახელებს. ასეთი შეფასება ყოვლად უვარგისია. კეთილი განზრახვებით — ეს უკვე დიდი ხნის ნათქვამია — ჯოჯოხეთია მოკირწყლული.

თავიდათავია არა განზრახვები, არა მოტივები, არა სიტყვები, არამედ ის ობიექტური, მათგან დამოუკიდებელი ვითარება, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ პარტიის ან ჯგუფის ლოზუნგების, ტაქტიკის ან საერთოდ მიმართულების ბედსა და მნიშვნელობას.

ამ თვალსაზრისით მივუდგეთ თანამედროვე მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვას. პეტერბურგის 1 — 3 ივლისის გაფიცვა, თვით ბურჟუაზიული გაზეთების — «რეჩის» და «რუსსკოე სლოვოს» გამოანგარიშებით, მოედო 62 ათასზე მეტ მუშას, აღნიშნული გაზეთები კი ასეთ შემთხვევებში მუდამ შემცირებულ ცნობებს იძლეოდნენ.

მაშასადამე, ჩვენს წინაშეა სამოცათასიანზე მეტი მასის გამოსვლის ფაქტი. როგორც ვიცით, ამის უშუალო საბაბი იყო პროტესტი მუშათა პრესის დევნის, მისი ყოველდღიური კონფისკაციის წინააღმდეგ და სხვ. და ა. შ.. ჩვენ აგრეთვე ვიცით, თვით ისეთი გაზეთების ცნობებით, როგორიცაა «ნოვოე ვრემია», «რეჩი», «სოვრემენკა» [74], «რუსსკოე სლოვო», რომ მუშები თავიანთ სიტყვებში და სხვ. ხაზგასმით აღნიშნავდნენ თავიანთი პროტესტის საერთო-სახალხო მნიშვნელობას.

РАБОЧАЯ ПРАВДА

ГАЗЕТА

СЕГОДНЯ ВЪ НОМЕРѢ

№ 3. Вторникъ, 16 іюля 1913 г. ЦѢНА 2 коп.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ „РАБОЧАЯ ПРАВДА"

Редакция

Издательство „Правда"

Слово и дѣло

Рабочий день в государственном и частном производстве

Рабочий вопрос

Рабочий вопрос в Германіи

Рабочий вопрос в Англіи

Рабочий вопрос в Россіи

Рабочий вопрос в Австріи

Рабочий вопрос в Франціи

Рабочий вопрос в Америкѣ

Рабочий вопрос в Бельгіи

Рабочий вопрос в Швейцаріи

Рабочий вопрос в Голландіи

Рабочий вопрос в Швеціи

Рабочий вопрос в Норвегіи

Рабочий вопрос в Данціи

Рабочий вопрос в Испаніи

Рабочий вопрос в Португаліи

Рабочий вопрос в Италіи

Рабочий вопрос в Греціи

Рабочий вопрос в Турціи

Рабочий вопрос в Болгаріи

Рабочий вопрос в Сербіи

Рабочий вопрос в Румыніи

Рабочий вопрос в Венгріи

Рабочий вопрос в Австріи

Рабочий вопрос в Германіи

Рабочий вопрос в Франціи

Рабочий вопрос в Англіи

Рабочий вопрос в Россі

მერე როგორ შეხვდა ამ ამბავს რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა კლასი? რა პოზიცია დაიჭირეს მათ?

ჩვენ ვიცით, რომ «როსსია» [75] «ზემშჩინა» და მათი მსგავსი გაზეთები გამოდიოდნენ ჩვეულებრივი მკაცრი გამკიცხავი განცხადებებით, — ხშირად დიდად უხეში ლანძღვა-გინებით, მუქარით და სხვ.. ეს ახალი ამბავი როდია. ეს გასაგებია. ეს გარდუვალია.

უფრო «ახალია» ბურჟუაზიის გასაოცარი გულგრილობა, ასახული ლიბერალური გაზეთების გულგრილობით, ამასთან ამ გულგრილობას ხშირად ცვლის უარყოფითი დამოკიდებულება, მაშინ როდესაც უფრო ნაკლებ საყურადღებო, მონაწილეთა რაოდენობის მხრივ უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი მუშათა მოძრაობანი (17 — 18 წლის წინათ) ლიბერალურ-ბურჟუაზიული საზოგადოების აშკარა თანაგრძნობას იწვევდნენ. აქ ლიბერალიზმის უეჭველი გადამწყვეტი შებრუნებაა მარჯვნივ, დემოკრატიისაგან განდგომა, დემოკრატიის წინააღმდეგ.

პეტერბურგის 1 — 3 ივლისის ამბების გამო რუსეთის ერთ-ერთი ფრიად გავრცელებული გაზეთი, თუ ყველაზე გავრცელებული არა (ლიბერალური «რუსსკოე სლოვო») წერდა:

«საინტერესოა აღინიშნოს პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული გაზეთების დამოკიდებულება ამ გაფიცვისადმი. სოციალ-დემოკრატიული «პრავდა» ფართო ადგილს უთმობს გუშინდელ (დაწერილია 3 ივლისს) გაფიცვას, ხოლო ეკრეთწოდებული ლიკვიდატორების ჯგუფის ორგანო, გაზეთი «ლუჩი», სჯერდება მცირე შენიშვნას გაფიცვის შესახებ, ხოლო პოლიტიკურ გაფიცვებს უძღვნის მოწინავე სტატიას (2 ივლისის «ლუჩი»), სადაც გაზეთი პროტესტს აცხადებს მუშების ასეთი გამოსვლების წინააღმდეგ». («რუსსკოე სლოვო», 1913 წ. 3 ივლისისა.)

ასეთია ფაქტები. რეაქციის მტრული განწყობილება. ლიბერალებისა და ლიკვიდატორების გულგრილობა და უარყოფა. სინამდვილეში ლიბერალიზმისა და ლიკვიდატორობის ერთიანობა. მუშათა მასობრივი მოძრაობის ერთიანობა, რაც შესაძლებელია მხოლოდ ლიკვიდატორების წინააღმდეგ.

თავისი დემოკრატიული მოვალეობის შესრულება, მოწინავე რაზმის სამსახურის შესრულება, ხალხის მასების მომსახურება, განათლება და შემჭიდროება პროლეტარიატს სხვაგვარად არ შეუძლია, თუ არა გადამწყვეტი ბრძოლით ლიკვიდატორების წინააღმდეგ, რომელნიც საქმით სავსებით დამოკიდებული არიან ლიბერალიზმისაგან.

ლიბერალებიც ხშირად სხვადასხვა მომარქსისტო თუ მეორეევ ელემენტებზე ნაკლებ როდი რადიკალობენ სათათბიროს ტრიბუნაზე, მაგრამ ლიბერალებს ეს ხელს არ უშლის ებრძოლონ (ლიკვიდატორების დახმარებით) მასების სათათბიროსგარე დემოკრატიზმს.

«რაბოჩაია პრავდა» № 3,
1913 წ. 16 ივლისი

იბეჭდება გაზეთ
«რაბოჩაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

კადეტები უკრაინის საკითხის შესახებ

დიდი ხანია აღნიშნულია პრესაშიც და სათათბიროს ტრიბუნიდანაც, მაგალითად, სოციალ-დემოკრატ პეტროვსკის[76] სიტყვაში, უკრაინის საკითხზე ზოგიერთი გავლენიანი კადეტის (ბ-ნ სტრუვეს მეთაურობით) გამოსვლების სრული უხამსობა, რეაქციულობა და თავხედობა.

ამ დღეებში კადეტური პარტიის ოფიციალურ ორგანოში — «რეჩში» შევხვდით მისი მუდმივი თანამშრომლის, ბ-ნ მიხ. მოგილიანსკის სტატიას, რომლის დუმილით გვერდის ავლა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა.

ეს სტატია უკრაინელების ნამდვილი შოვინისტური დევნაა «სეპარატიზმისთვის». «წინდაუხედავი ავანტიურიზმი», «პოლიტიკური ბოდვა», «პოლიტიკური ავანტიურა» — აი როგორი გამოთქმებითაა აჭრელებული სტატია წმინდა წყლის ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა ე ლ ი ს ბ-ნ მიხ. მოგილიანსკისა, რომელიც «დემოკრატიზმის» წამოსასხამს ეფარება!! კონსტიტუციურ-«დემოკრატიული» პარტიაც ურცხვად ხელს აფარებს ამ სტატიას, ბეჭდავს მას თანგრძნობით და მდუმარედ იწონებს ასეთს შიშველ შოვინიზმს.

ბ-ნი მიხ. მოგილიანსკი თვითონ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ სტუდენტობის სრულიად უკრაინის ყრილობაზე ლვოვში უკრაინის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ლოზუნგის წინააღმდეგ გაილაშქრა ზოგიერთმა უკრაინელმა სოციალ-დემოკ-

რატმაც რუსეთის უკრაინელი ემიგრანტების სახით, გაილაშქრა სოციალ-დემოკრატ დონცოვის წინააღმდეგ, რომელმაც ყრილობას წარუდგინა ერთხმად უმრავლესობის მიერ ორის წინააღმდეგ მიღებული რეზოლუცია «დამოუკიდებელი უკრაინის» შესახებ.

მაშასადამე, აქ ლაპარაკი სულაც არ არის იმაზე, რომ ყველა სოციალ-დემოკრატი ეთანხმებოდა დონცოვს. მაგრამ სოციალ-დემოკრატები ედავებოდნენ დონცოვს და აყენებდნენ თავიანთ მოსაზრებებს, ედავებოდნენ იმავე ტრიბუნაზე, არწმუნებდნენ იმავე აუდიტორიას.

ბ-ნ მიხ. მოგილიანსკის იმდენად დაუკარგავს საანბანო პოლიტიკური რიგიანობის ალღო, რომ დონცოვისა და უკრაინელ სტუდენტთა მთელი ყრილობის მიმართ ხმარობს შავრაზმელთა ლექსიკონიდან ნასესხებ უხეშ, სალანძღავ სიტყვებს, მაშინ როდესაც ძალიან კარგად იცის, რომ მის მოწინააღმდეგეებს არ შეუძლიათ «რეჩის» შეხედულებათა უარყოფა, რუსი აუდიტორიის წინაშე იმავე ტრიბუნაზე ისევე გადაჭრით, აშკარად და თავისუფლად გამოსვლა.

ვაი-დემოკრატები არიან ჩვენი კადეტები! და ვაი-დემოკრატები არიან ისინიც, ვინც ითმენს კადეტების ასეთ საქციელს და ფრიად მხურვალე პროტესტს არ აცხადებს მის წინააღმდეგ. მარქსისტები არასდროს არ გაიბრუებენ თავს ნაციონალური ლოზუნგით — სულ ერთია, ველიკორუსული იქნება ის, პოლონური, ებრაული, უკრაინული თუ სხვა რომელიმე. მაგრამ მარქსისტები არ ივიწყებენ აგრეთვე ყოველი დემოკრატის საანბანო ვალდებულებას — ებრძოლონ ყოველი ერის ყოველგვარ დევნას «სეპარატიზმის» გულისთვის, იბრძოლონ ერთა სრული და უცილობელი თანასწორუფლებიანობისა და მათი თვითგამორკვევის უფლების აღიარებისათვის.

შეიძლება სხვადასხვა აზრისა იყო იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს, პროლეტარიატის თვალსაზრისით, ეს თვითგამორკვევა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. შეიძლება და უნდა

შევედავოთ კიდეც დონცოვის მსგავს ნაციონალ-სოციალებს, მაგრამ საზიზღარი დევნა «სეპარატიზმისათვის», დევნა იმ ადამიანებისა, რომელთაც არ შეუძლიათ თავი დაიცვან, ჩვენი კადეტების უკიდურესი ურცხვობაა.

«რაბოჩაია პრავდა» № 3,
1913 წ. 16 ივლისი
ხელმოწერა: მ.

იბეჭდება გაზეთ
«რაბოჩაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

უახლესი მონაცემები გერმანიის პარტიათა შესახებ

გერმანიის სტატისტიკურმა ბიურომ გამოაქვეყნა საინტერესო მონაცემები პარლამენტის (რეიხსტაგის) 1912 წლის არჩევნების შესახებ. განსაკუთრებით საგულისხმოა სხვადასხვა პარტიის ძალების შედარება სოფლად და ქალაქად.

გერმანიის სტატისტიკა სოფლის დასახლებულ პუნქტებს აკუთვნებს ყველა იმ პუნქტს, სადაც 2 000-მდე მცხოვრებია, მსგავსად ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობის სტატისტიკისა, რუსეთის გამოკლებით, სადაც დღემდე შენარჩუნებულია უაზრო, ოფიციალურ-პოლიციური, თვითნებური განსხვავება იმ დასახლებული პუნქტებისა, რომელთაც ქალაქები ეწოდებათ მცხოვრებთა რიცხვის დამოუკიდებლად.

წვრილ ქალაქებს გერმანიის სტატისტიკა აკუთვნებს ისეთ დასახლებულ პუნქტებს, სადაც 2-დან 10 ათასამდე მცხოვრებია, ხოლო უფრო დიდ ქალაქებს — ისეთ დასახლებულ პუნქტებს, სადაც 10 000 და მეტი მცხოვრებია.

როგორც აღმოჩნდა, საოცრად სწორი თანაფარდობა ყოფილა ამა თუ იმ პარტიის პროგრესულობასა («პროგრესულობის» ცნების მეტად ფართო ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობით) და ამ პარტიის ძალის გადიდებას შორის ქალაქებში და საერთოდ უფრო დიდ დასახლებულ პუნქტებში.

ამასთან გერმანიის პოლიტიკურ პარტიათა ოთხი ჯგუფი აშკარად განსხვავდება:

1) სოციალ-დემოკრატები — დაქირავებული მუშების ერთად-ერთი სავსებით პროგრესული და საუკეთესო აზრით «სახალხო», მასობრივი პარტია;

2) «პროგრესული სახალხო პარტია» — წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული პარტია, რაღაც ჩვენებური ტრუდოვიკების მსგავსი (მხოლოდ არა ბატონყმური, არამედ სავსებით ბურჟუაზიული საზოგადოების ვითარებაში);

3) «ნაციონალ-ლიბერალები» — მსხვილი ბურჟუაზიის პარტია, გერმანიის ოქტიაბრისტულ-კადეტური პარტია;

4) ყველა კონსერვატიული პარტია, შავრაზმელი მემამულეებისა, კლერიკალებისა, რეაქციული მეშჩანებისა და გლეხებისა (ანტისემიტები, «ცენტრი», ე. ი. კათოლიკები, საკუთრივ კონსერვატორები, პოლონელები და სხვ.).

სხვადასხვა პარტიის მიერ მიღებული ხმების წილი (პროცენტულად):

	სოც.-დემ.	პროგრესისტ.	ნაც.-ლიბ.	ყველა კონსერვ. პარტია	დაქსაქ. და გაურკვ.	სულ
სოფლად	19,0	8,8	12,8	58,6	0,8	100,0
პატარა ქალაქებში.....	35,8	12,1	15,0	36,4	0,7	100,0
დიდ »	49,3	15,6	13,8	20,0	1,3	100,0
მთელ გერმანიაში	34,8	12.3	13,6	38,3	1,0	100,0

გერმანიაში არსებობს საყოველთაო საარჩევნო უფლება. მოყვანილი ცხრილი ცხადყოფს, რომ გერმანიის სოფელი, გერმანიის გლეხობა (ისე როგორც ყ ვ ე ლ ა ევროპული, კონსტიტუციური, ცივილიზებული ქვეყნის გლეხობაც) დღემდე თ ი თ ქ მ ი ს მ თ ლ ი ა ნ ა დ დამონებულია, სულიერად და პოლიტიკურად, მემამულეებისა და ხუცების მიერ.

გერმანიის სოფლებში ხმების თითქმის $^{3}/_{5}$-ს (58,6%) აძლევენ კონსერვატიულ, ე. ი. მემამულეთა და ხუცესთა, პარტიებს!

გლეხი ევროპაში ყველგან რევოლუციური ი ყ ო, როდესაც ის ებრძოდა ფეოდალებს, მებატონეებსა და მემამულეებს. როცა თავისუფლება და მიწის მცირე ნაკვეთი მოიპოვა, გლეხი, როგორც საერთო წესი, უ რ ი გ დ ე ბ ო დ ა მემამულეებსა და ხუცებს, რეაქციონერი ხდებოდა.

მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება, თავის მხრივ, იწყებს გლეხის გამოგლეჯას რეაქციის კალთებიდან და მას სოციალ-დემოკრატების მიმდევრად ხდის. გერმანიაში 1912 წელს სოციალ-დემოკრატებმა სოფლად შეკრიბეს უ კ ვ ე სოფლის მთელი ხმების თ ი თ ქ მ ი ს მ ე ხ უ თ ე დ ი (19,0%).

მაშასადამე, გერმანიის თანამედროვე სოფლის პოლიტიკური მდგომარეობა ასეთია. ე რ თ ი მ ე ხ უ თ ე დ ი მიჰყვება სოციალ-დემოკრატებს, ე რ თ ი მ ე ხ უ თ ე დ ი მეტნაკლებად «ლიბერალურ» ბურჟუაზიას, ს ა მ ი მ ე ხ უ თ ე დ ი მემამულეებსა და ხუცებს. ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო სოფლის პოლიტიკურ განათლებაზე. კაპიტალიზმი აჩანაგებს წვრილ გლეხობას, სულ უფრო და უფრო ავიწროებს მას და, შეიძლება ითქვას, ძალით აღებინებს ხელს რეაქციულ ცრურწმენაზე.

წვრილ ქალაქებში უკვე სულ სხვა სურათია: სოციალ-დემოკრატებმა უკვე გაუსწრეს ლიბერალურ ბურჟუაზიას (ხმების 35,8% წინააღმდეგ 27%-ისა), მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით ვერ დაეწიენ კონსერვატორებს, რომელთაც ხმების 36,4% აქვთ. წვრილი ქალაქები მეშჩანობის, უმთავრესად სავაჭრო-სამრეწველო მეშჩანობის მთავარი ბურჯია. მეშჩანობა ყველაზე უფრო მერყეობს და მტკიცე უმრავლესობას არ ანიჭებს არც კონსერვატორებს, არც სოციალისტებსა და არც ლიბერალურ ბურჟუაზიას.

დიდ ქალაქებში — სოციალ-დემოკრატია იმარჯვებს. მას მიჰყვება მოსახლეობის ნ ა ხ ე ვ ა რ ი (ხმების 49,3%), — იმდენივე, რამდენიც კონსერვატორებსა და ლიბერალებს ერთად (15, 6 + 13, 8 + 20 = 49, 4%). კონსერვატორებს აქ მიჰყვება მოსახლეობის მხოლოდ ე რ თ ი მ ე ხ უ თ ე დ ი, ლიბე-

რალურ ბურჟუებს — ს ა მ ი მ ე ა თ ე დ ი, სოციალ-დემოკრატებს — ნ ა ხ ე ვ ა რ ი. ყველაზე დიდი ქალაქები რომ ავიღოთ, სოციალ-დემოკრატიის კიდევ უფრო შეუდარებლად სრულ სიჭარბეს მივიღებდით.

ცნობილია, რომ ქალაქები ყველა თანამედროვე სახელმწიფოში და თვით რუსეთშიც კი ბევრად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სოფელი, რომ ქალაქები წარმოადგენენ ხალხის ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ცენტრებს და პროგრესის მთავარი მამოძრავებელი არიან. ქალაქებში სოციალ-დემოკრატიის უპირატესობა მკვეთრად ასურათებს ამ პარტიის, როგორც მოწინავე ხალხის მასების პარტიის, მნიშვნელობას.

გერმანიაში 1912 წელს 65 მილიონი მოსახლეობიდან მხოლოდ 25,9 მილიონი ცხოვრობდა სოფლად, 12,3 მილიონი — წვრილ ქალაქებში და 26,8 მილიონი — უფრო დიდ ქალაქებში. უკანასკნელ ათწლეულებში, როდესაც გერმანია სავსებით კაპიტალისტური, შედარებით თავისუფალი სახელმწიფო გახდა, რომელსაც აქვს მტკიცე კონსტიტუცია და საყოველთაო საარჩევნო უფლება, — ქალაქის მოსახლეობა სოფლის მოსახლეობასთან შედარებით განსაკუთრებით სწრაფად იზრდება. 1882 წელს 45 მილიონიდან ქალაქებში ცხოვრობდა 18,9 მილიონი, ე. ი. 41,8%; 1895 წელს 52 მილიონიდან — 26, ე. ი. 49,8; 1907 წელს 62 მილიონიდან — 36, ე. ი. 58,1%. ხოლო მოსახლეობა ყველაზე დიდი ქალაქებისა, 100 000 და მეტი მცხოვრებით, ამ წლების განმავლობაში შეადგენდა — 3 — 7 — 12 მილიონს, ე. ი. მთელი მოსახლეობის 7, 4% — 13, 6% — 19, 1%-ს. 25 წლის განმავლობაში მთელი მოსახლეობა გაიზარდა 36,5%-ით, ქალაქთა მოსახლეობა — 89,6%-ით, ხოლო ყველაზე დიდი ქალაქების მოსახლეობა — 254,4%-ით.

ბოლოს, საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ გერმანიაში წმინდა ბურჟუაზიულ პარტიებს მიჰყვება მოსახლეობის უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა. მთელ გერმანიაში 1912

წელს სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს მიცემულ ხმათა საერთო რიცხვის მესამედზე მეტი (34, 8%), კონსერვატორებმა (ე. ი., უმთავრესად, მემამულეებმა და ხუცებმა) — ორ მეხუთედზე ცოტა ნაკლები (38,3%), ყველა ლიბერალურ-ბურჟუაზიულმა პარტიამ კი ხმების მხოლოდ ერთი მეოთხედი (25,9%).

რით აიხსნება ეს? რატომაა, რომ ბურჟუაზიულ გერმანიაში, კაპიტალიზმის განსაკუთრებით სწრაფად განვითარების ქვეყანაში, რევოლუციის (1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის) დროიდან 60 წელზე მეტი ხნის შემდეგ, ბატონობენ მემამულური და კლერიკალური და არა წმინდა ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიები?

უმთავრესი რამ ამ მოვლენის ასახსნელად უკვე აღნიშნა კ. მარქსმა 1848 წელს: გერმანიის ბურჟუაზიამ, შეშინებულმა პროლეტარიატის დამოუკიდებლობით, როცა დაინახა, რომ დემოკრატიულ დაწესებულებებს მუშები იყენებენ თავისთვის და კაპიტალისტების წინააღმდეგ, ზურგი შეაქცია დემოკრატიას, სამარცხვინოდ უღალატა თავისუფლებას, რომელსაც წინათ იცავდა, და პირი იბრუნა ლაქიობისკენ მემამულეებისა და კლერიკალების წინაშე[77]. ცნობილია, რომ 1905 წლიდან დაწყებული რუსეთის ბურჟუაზია ამ ლაქიურ პოლიტიკურ მისწრაფებებსა და ლაქიურ პოლიტიკურ იდეებს კიდევ უფრო გულმოდგინედ ავითარებს, ვიდრე გერმანიის ბურჟუაზია.

«რაბოჩაია პრავდა» № 3,
1913 წ. 16 ივლისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ
«რაბოჩაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ინგლისელი ოპორტუნისტების მხილება

ამას წინათ ინგლისის ქალაქ ლიოსტერში (Leicester) პარლამენტის დამატებითი არჩევნები მოხდა.

ამ არჩევნებს უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს, და ყოველი სოციალისტი, რომელსაც აინტერესებს საერთოდ ლიბერალური ბურჟუაზიისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულებისა და კერძოდ ინგლისის სოციალისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საკითხი, გულდასმით უნდა ჩაუფიქრდეს ლიოსტერის არჩევნებს.

ლიოსტერის საარჩევნო ოლქი პარლამენტში გზავნის ორ წევრს, და ყოველ ამომრჩეველს ორი ხმა აქვს. ინგლისში ასეთი ოლქები ბევრი არ არის, მაგრამ განსაკუთრებით სწორედ ისინი უწყობენ ხელს ლიბერალებთან სოციალისტების უსიტყვო ბლოკს (კავშირს), რასაც ხაზგასმით აღნიშნავს ლაიფციგის «სახალხო გაზეთის» ინგლისელი კორესპონდენტი. სწორედ ასეთი ოლქებისაგან გავიდნენ პარლამენტში ეგრეთწოდებული «დამოუკიდებელი» (სოციალიზმისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ლიბერალიზმისაგან დამოკიდებული) მუშათა პარტიის გამოჩენილი ბელადები. კეირ-გარდიც, ფილიპ სნოუდენიც, რამსეი მაკდონალდიც — «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» ბელადები ასეთი ოლქებისაგან გავიდნენ.

ასეთ ოლქებში კი გაბატონებული ლიბერალები დირექტივებს (მითითებას) აძლევენ თავიანთ ამომრჩევლებს: ერთი

ხმა სოციალისტს, ერთი — ლიბერალს, — რასაკვირველია, თუ ეს სოციალისტი — «გონიერი», ზომიერი «დამოუკიდებელია» და არა ვინმე შეურიგებელი ესდეკი, რომლის გინება და მონათვლა ანარქო-სინდიკალისტად და სხვ. ინგლისელმა ლიბერალებმა და ლიკვიდატორებმა რუს ლიბერალებსა და ლიკვიდატორებზე ნაკლებ როდი იციან!

მაშასადამე, ფაქტიურად ხორციელდება ლიბერალების ბლოკი ზომიერ, ოპორტუნისტ სოციალისტებთან. ფაქტიურად ინგლისელი «დამოუკიდებელნი» (რომელთადმიც ასეთ სიყვარულს იჩენენ ჩვენებური ლიკვიდატორები) დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი არიან ლიბერალებზე. «დამოუკიდებელთა» მოქმედება ინგლისის პარლამენტში განუწყვეტლივ ადასტურებს ამ დამოკიდებულებას.

და აი, ლიოსტერის «დამოუკიდებელთა» დეპუტატმა, თვითონ პარტიის ბელადმა მაკდონალდმა, უარი თქვა მანდატზე პირადი მიზეზებით.

რა უნდა ექნათ?

ლიბერალებმა, რასაკვირველია, თავიანთი კანდიდატი წამოაყენეს.

ლიოსტერი საფაბრიკო ქალაქია უმთავრესად პროლეტარული მოსახლეობით.

«დამოუკიდებელთა» ადგილობრივმა ორგანიზაციამ მოიწვია კონფერენცია და 67 ხმით 8 წინააღმდეგ დაადგინა თ ა ვ ი ს ი კ ა ნ დ ი დ ა ტ ი ს წ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა. ითქვა და შესრულდა კიდეც. წამოაყენეს ბანტონი, ქალაქის საბჭოს წევრი, «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» თვალსაჩინო მოღვაწე.

მაშინ ამ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელზედაც დამოკიდებულია ფულის გაცემა არჩევნებისთვის (არჩევნები კი ინგლისში ძალიან ძვირი ჯდება), უ ა რ ი თ ქ ვ ა ბანტონის კანდიდატურის დამტკიცებაზე!!

ოპორტუნისტების ცენტრალური კომიტეტი ადგილობრივი მუშების წინააღმდეგ წავიდა.

ინგლისის მეორე სოციალისტური პარტიის, არა ოპორტუნისტულის, ლიბერალებისაგან მ ა რ თ ლ ა დამოუკიდებელი ლიოსტერის ორგანიზაცია თავის წარმომადგენელს გზავნის ლიოსტერელ «დამოუკიდებლებთან» და წინადადებას აძლევს მათ მხარი დაუჭირონ თ ა ვ ი ს ი წევრის, «ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის» წევრის, ჰარტლის (Hartley) მუშათა მოძრაობის ფრიად პოპულარული მოღვაწის, «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» ყოფილი წევრის კანდიდატურას, რომელმაც ეს პარტია მიატოვა მისი ოპორტუნიზმის გამო.

«დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» ლიოსტერის ორგანიზაცია მძიმე მდგომარეობაშია: იგი მთელი სულითა და გულით მხარს უჭერს ჰარტლის, მაგრამ... მაგრამ თავისი პარტიის დისციპლინა? ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება? ლიოსტერელებმა იპოვეს გამოსავალი: კრება დახურეს და, რ ო გ ო რ ც კ ე რ ძ ო პ ი რ ე ბ მ ა, ყ ვ ე ლ ა მ, მხარი დაუჭირა ჰარტლის. მეორე დღეს მუშების ხალხმრავალმა კრებამ მოიწონა ჰარტლის კანდიდატურა. თვითონ ბანტონმა დეპეშა გაგზავნა, ჰარტლის ვაძლევ ხმასაო. ლიოსტერის პროფესიულმა კავშირებმა მხარი დაუჭირეს ჰარტლის.

საქმეში ერევა «დამოუკიდებელთა» საპარლამენტო ფრაქცია და ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ პრესაში (ისევე, როგორც ჩვენი «რეჩი» და «სოვრემენკა», ეხმარება ოპორტუნისტებს) აქვეყნებს თ ა ვ ი ს პ რ ო ტ ე ს ტ ს ჰარტლის კანდიდატურის წინააღმდეგ, მაკდონალდის «შებღალვის» წინააღმდეგ!!

არჩევნებში, რა თქმა უნდა, ლიბერალებმა გაიმარჯვეს. მათ მიიღეს 10 863 ხმა, კონსერვატორებმა — 9 279, ჰარტლიმ კი — 2 580.

სხვადასხვა ქვეყნის შეგნებული მუშები ხშირად «შემწყნარებლობას» იჩენენ ინგლისელ დამოუკიდებელთა მიმართ. ეს დიდი შეცდომაა. დამოუკიდებელთა ღ ა ლ ა ტ ი მუშათა საქმისადმი ლიოსტერში შემთხვევითი ამბავი კი არ არის, არამედ შედეგია «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» მ თ ე ლ ი

ოპორტუნისტული პოლიტიკისა. ყველა ნ ა მ დ ვ ი ლ ი სოციალ-დემოკრატის თანაგრძნობა იმ ინგლისელი სოციალ-დემოკრატების მხარეზე უნდა იყოს, რომლებიც გაბედულად იბრძვიან ინგლისის «დამოუკიდებელი» მუშათა პარტიის მიერ მუშების ლიბერალური გარყვნის წინააღმდეგ.

«რაბოჩაია პრავდა» № 3,
1913 წ. 16 ივლისი
ხელმოწერა: კ. ტ.

იბეჭდება გაზეთ
«რაბოჩაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მოწინავე კაპიტალის იდეები

ერთ-ერთი ფრიად ცნობილი და უმდიდრესი ამერიკელი ვაჭარი ვინმე ედუარდ ალბერტ ფ ი ლ ე ნ ა, სავაჭრო პალატების საერთაშორისო ყრილობის ვიცე-თავმჯდომარე, ახლა პარიზსა, ბერლინსა და ევროპის სხვა უდიდეს ცენტრებში მოგზაურობს, რათა პირადად დაუახლოვდეს ვაჭართა წრის უაღრესად გავლენიან წარმომადგენლებს.

ბანკეტებზე, რომლებსაც, როგორც ეს მიღებულია, ევროპის უმდიდრესი პირნი უმართავენ ამერიკის ერთ-ერთ მდიდარ ადამიანს, ეს უკანასკნელი ავითარებს თავის «ახალ» იდეებს ვაჭრის მ ს ო ფ ლ ი ო ძ ლ ი ე რ ე ბ ი ს შესახებ. გერმანიის საბირჟო კაპიტალის ორგანო, «ფრანკფურტის გაზეთი»[78] დაწვრილებით გადმოგვცემს ამერიკელი «მოწინავე» მილიონერის აზრებს.

ჩვენ განვიცდითო — ორატორობდა ის — დიდ ისტორიულ მოძრაობას, რომელიც დამთავრდება იმით, რომ მთელი ძალაუფლება თანამედროვე მსოფლიოში გადავა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა ხელშიო. ჩვენ ყველაზე პასუხისმგებელი ადამიანები ვართ მსოფლიოში, ამიტომ ჩვენ ყველაზე გავლენიანი უნდა გავხდეთ პოლიტიკურადაცაო.

იზრდება დემოკრატია, იზრდება მასების ძალა — მსჯელობდა მისტერ ფილენა (რომელსაც, ალბათ, ეს «მასები», ცოტა არ იყოს, დოყლაპიებად მიაჩნია). ძვირდება ცხოვრება. პარლამენტარიზმი და ყოველდღიური პრესა, მილიონობით ეგზემპლარებად რომ ვრცელდება, უფრო და უფრო დაწვრილებითს ცნობებს აწვდის ხალხის მასებს.

მასები იღწვიან იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში, გაიფართოონ საარჩევნო უფლება, შემოიღონ საშემოსავლო გადასახადი და სხვა. მასების ხელში, ე. ი. ჩვენი მოსამსახურეების ხელში, — დაასკვნა პატივცემულმა ორატორმა — უნდა გადავიდეს ძალაუფლება მთელ მსოფლიოშიო.

მასების ბუნებრივი ბელადები უნდა იყვნენ მეწარმეები და ვაჭრები, რომელნიც სულ უკეთ და უკეთ სწავლობენ თავიანთი ინტერესებისა და მასის ინტერესების ერთობის შეგნებას. (შევნიშნავთ ფრჩხილებში, რომ გაქნილმა ბ-მა ფილენამ, მფლობელმა გიგანტური სავაჭრო ფირმისა, სადაც 2 500 მოსამსახურეა, თავისი მოსამსახურეები «გააერთიანა» «დემოკრატიულ» ორგანიზაციად, გახადა ისინი მოგების მონაწილეებად და სხვა. მისტერ ფილენა თავის მოსამსახურეებს თვლის უიმედო დოყლაპიებად და დარწმუნებულია, რომ ისინი სავსებით კმაყოფილი და უსაზღვროდ მადლიერი არიან «კეთილისმყოფელი მამისა»...)

ხელფასის გადიდება, შრომის პირობების გაუმჯობესება — აი რა გაგვიერთგულებს მოსამსახურეებს, ამბობდა ბ-ნი ფილენა, აი რა უზრუნველყოფს ჩვენს ძალაუფლებას მთელს მსოფლიოში. ჩვენს სამსახურში ჩადგება ყველა, ვინც კი ნიჭიერია მსოფლიოში.

ჩვენ გვესაჭიროება ორგანიზაცია და ორგანიზაცია, — ძლიერი, დემოკრატიული ორგანიზაცია როგორც ნაციონალური, ისე ინტერნაციონალური (საერთაშორისო). — ამბობდა ამერიკელი. ის მოუწოდებდა პარიზის, ბერლინისა და სხვ. ვაჭართა წრეს საერთაშორისო სავაჭრო პალატების რეორგანიზაციისაკენ. სავაჭრო პალატებმა ყველა ცივილიზებული ქვეყნის ვაჭრები და მეწარმენი უნდა გააერთიანონ ერთიან, ძლიერ ორგანიზაციად. ყველა სერიოზული ინტერნაციონალური საკითხი მან უნდა განიხილოს და გადაწყვიტოსო.

ასეთია «მოწინავე» კაპიტალისტის, ბ-ნ ფილენას იდეები.

მკითხველი ხედავს, რომ ეს იდეები — მცირედი, ვიწრო, ცალმხრივი, ანგარებიანი უბადრუკი მ ი ა ხ ლ ო ე ბ ა ა მარქსიზმის იდეებთან, რომელნიც გამოთქმული იყო 60 წლის წინათ. აი «ჩვენ» რა ოსტატურად ვაცამტვერებთ და უარვყოფთ მარქსს; «ჩვენ», ცივილიზებულმა ვაჭრებმა და პოლიტიკური ეკონომიის პროფესორებმა, სულ მთლად უარვყავით იგი!.. ამავე დროს კი ცოტცოტაობით ვქურდავთ მას და მთელი ქვეყნიერების გასაგონად ვიკვეხნით ჩვენს «პროგრესულობას»...

უპატივცემულესო ბ-ნო ფილენა! განა საბოლოოდ დარწმუნებული ხართ იმაში, რომ მთელი მსოფლიოს მუშები მთლად დოყლაპიები არიან?

«რაბოჩაია პრავდა» № 4,
1913 წ. 17 ივლისი
ხელმოწერა: W.

იბეჭდება გაზეთ
«რაბოჩაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რა შეიძლება გაკეთდეს სახალხო განათლებისათვის

დასავლეთის სახელმწიფოებში გავრცელებულია მრავალი დამყაყებული ცრურწმენა, რომელთაგან კურთხეული დედა-რუსეთი თავისუფალია. მაგალითად, იქ ჰგონიათ, რომ უდიდესი საჯარო ბიბლიოთეკები, სადაც ასიათასობით და მილიონობით ტომია შენახული, სრულიადაც არ უნდა შეადგენდეს მხოლოდ იმ ერთი მუჭა მეცნიერთა ან ვითომ-მეცნიერთა კუთვნილებას, რომელნიც ამ ბიბლიოთეკებით სარგებლობენ. იქ ისახავენ უცნაურ, გაუგებარ, ველურ მიზანს — ეს უზარმაზარი უსაზომო ბიბლიოთეკები ხელმისაწვდომი გახადონ არა მარტო მეცნიერთა, პროფესორთა და სხვ. სპეციალისტთა საამქროსთვის, არამედ მასისთვის, ხალხისთვის, ქუჩისთვის.

რა პროფანაციაა საბიბლიოთეკო საქმისა! რა უქონლობაა «წესრიგისა», რომლითაც ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ. ნაცვლად ი მ წ ე ს ე ბ ი ს ა, რომლებსაც განიხილავენ და იმუშავებენ მოხელეთა ათეული კომისიები, ასობით ფორმალობასა და შეზღუდვას რომ თხზავენ წიგნებით სარგებლობისათვის, — ყურადღების მიპყრობა იმაზე, რომ ბ ა ვ შ ვ ე ბ მ ა ც კი ისარგებლონ წიგნების მდიდარი კოლექციებით; ზრუნვა იმაზე, რომ მკითხველებს შეეძლოთ შინ თავიანთ ოჯახში იკითხონ სახაზინო წიგნები; საჯარო ბიბლიოთეკის სიამაყედ და სახელად მიჩნევა არა იმისა, თუ რამდენი იშვიათი ეგზემპლარია მასში, XVI საუკუნის რამდენი და რა

გამოცემაა ან X საუკუნის რა ხელნაწერები მოეპოვება მას. არამედ ის, თუ რამდენად ფართოდ ტრიალებს წიგნი ხალხში, რამდენი ახალი მკითხველია მიზიდული, რამდენად სწრაფად კმაყოფილდება წიგნის ყოველი მოთხოვნა, რამდენი წიგნი გაიცა შინ წასაკითხად, რამდენი ბავშვია მიზიდული, რომ იკითხონ და ისარგებლონ ბიბლიოთეკით... უცნაური ცრურწმენაა გავრცელებული დასავლეთის სახელმწიფოებში, და არ შეიძლება არ გვახარებდეს ის გარემოება, რომ ჩვენი მზრუნველი ხელისუფალნი გულშემატკივრად და გულმოდგინედ გვიცავენ ამ ცრურწმენათა გავლენისაგან, იცავენ ჩვენს მდიდარ საჯარო ბიბლიოთეკებს ქუჩისგან, მდაბიო ხალხისგან!

წინ მიდევს ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკის 1911 წლის ანგარიში.

ამ წელს ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკა გადაიტანეს ორი ძველი შენობიდან ერთ ახალში, რომელიც ქალაქმა ააშენა. ტომების მთელი რაოდენობა ამჟამად აღწევს დაახლოებით ორ მილიონს. მოხდა ისე, რომ პირველი წიგნი მომსვლელთა სამკითხველო დარბაზიდან რუსულ ენაზე მოითხოვეს. ეს იყო ნ. გროტის თხზულება: «ჩვენი დროის ზნეობრივი იდეალები». წიგნის მოთხოვნის ბილეთი გადაეცა დილის 9 საათსა და 8 წუთზე. წიგნი მკითხველს მოუვიდა 9 საათსა და 15 წუთზე.

ერთი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკას ესტუმრა 1 658 376 კაცი. სამკითხველო დარბაზში იყო 246 950 მკითხველი, რომელთაც წასაკითხად წაიღეს 911 891 ტომი.

მაგრამ ეს მხოლოდ მცირე წილია ბიბლიოთეკის წიგნის ტრიალისა. ბიბლიოთეკაში სიარული მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია. საგანმანათლებლო საქმის გონივრული დაყენება იმით იზომება, თუ რამდენი წიგნი ეძლევა მკითხველებს შინ წასაკითხად, — რა ხელსაყრელი პირობებია შექმნილი მოსახლეობის უმრავლესობისათვის.

ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკას ნიუ-იორკის სამ რაიონში — მანხატანსა, ბრონქსა და რიჩმონდში (სადაც მოსახლეობა საერთოდ თითქმის ს ა მ მილიონ კაცს უდრის), აქვს ო რ მ ო ც დ ა ო რ ი განყოფილება, მალე 43 ექნება. ამასთან სისტემატურად ისახავენ მიზნად, რომ ყოველ მცხოვრებს თავისი სახლიდან არა უშორეს ს ა მ ი მ ე ო თ ხ ე დ ი ვ ე რ ს ი ს ა, — ე. ი. არა უმეტეს ათი წუთის სავალისა, — ჰქონდეს საჯარო ბიბლიოთეკის განყოფილება, რომელიც სახალხო განათლების ყოველგვარ დაწესებულებათა და საწარმოთა ც ე ნ ტ რ ს წარმოადგენს.

1911 წლის განმავლობაში შინ წასაკითხად გაიცა თითქმის რ ვ ა მ ი ლ ი ო ნ ი — 7 914 882 ტომი, ოთხასი ათასით მეტი, ვიდრე 1910 წელს. ორივე სქესის ყველა ასაკის ყოველ ას მცხოვრებზე მოდის 267 წიგნი, გაცემული ერთი წლის განმავლობაში შინ წასაკითხად.

ბიბლიოთეკის 42 განყოფილებიდან თვითეული განყოფილება არა მარტო იმის საშუალებას იძლევა, რომ ადგილობრივ წაიკითხო მოთხოვნილი წიგნი და შინ წასაკითხად მიიღო წიგნები, არამედ იგი წარმოადგენს აგრეთვე აუდიტორიას საღამოს ლექციებისთვის, სახალხო კრებებისთვის, გონივრული გასართობებისთვის.

ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში აღმოსავლურ ენებზე არის დაახლოებით 15 000 წიგნი, ებრაულ ენაზე — დაახლოებით 20 000, სლავურ ენებზე — დაახლოებით 16 000. მთავარ სამკითხველო დარბაზში ღ ი ა თაროებზე, თავისუფალი საყოველთაო ხმარებისთვის, არის დაახლოებით 20 000 ტომი.

ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკამ ბავშვებისთვის მოაწყო საგანგებო სამკითხველო დარბაზი — ცენტრალური, და ასეთებს ხსნის განყოფილებებთანაც. ბიბლიოთეკარები ზრუნავენ, რომ ყოველნაირად შეუწყონ ხელი ბავშვებს და აძლევენ მათ ცნობებს. სულ ბავშვებმა შინ წასაკითხად წაიღეს 2 859 888 ტომი, სამ მილიონზე ცოტა ნაკლები (საერთო

რაოდენობის მესამედზე მეტი). სამკითხველოში მოსიარულე ბავშვთა რიცხვი 1 120 915-ს აღწევს.

რაც შეეხება წიგნების დანაკარგს, ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკის ანგარიშით თვითეულ 100 000 შინ გაცემულ წიგნზე იკარგება 70 — 80 — 90 წიგნი.

აი რა წესები არსებობს ნიუ-იორკში. ჩვენში?

«რაბოჩაია პრავდა» № 5,
1913 წ. 18 ივლისი
ხელმოწერა: W.

იბეჭდება გაზეთ
«რაბოჩაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

წვრილი წარმოება მიწათმოქმედებაში

•გლეხთა საკითხი თანამედროვე, კაპიტალისტურ, სახელმწიფოებში ყველაზე ხშირ გაუგებრობასა და მერყეობას იწვევს მარქსისტებში, ყველაზე მეტ თავდასხმას იწვევს მარქსიზმზე ბურჟუაზიული (პროფესორული) პოლიტიკური ეკონომიის მხრივ.

მიწათმოქმედებაში წვრილ წარმოებას კაპიტალიზმის დროს დაღუპვა და წარმოუდგენლად შევიწროებული, დაჩაგრული მდგომარეობა უწერიაო, — ამბობენ მარქსისტები. წვრილი წარმოება მიწათმოქმედებაში, როგორც მსხვილ კაპიტალზე დამოკიდებული, როგორც ჩამორჩენილი მსხვილ წარმოებასთან შედარებით, ბოგინობს მხოლოდ მოთხოვნილების საშინელი შემცირებით და კატორღული, წელში გამწყვეტი ჯაფით. ადამიანის შრომის დაქსაქსვა და განიავება, მწარმოებლის დამოკიდებული მდგომარეობის უცუდესი სახეები, გლეხის ოჯახის, გლეხის პირუტყვის არაქათის გამოლევა, გლეხის მიწის გამოფიტვა — აი რა მოაქვს კაპიტალიზმს გლეხისთვის ყველგან.

გლეხის ხსნა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა სხვანაირად, თუ არ შეუერთდა პროლეტარიატის, პირველ რიგში კი დაქირავებული მუშების მოქმედებას.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია და მისი არც თუ ყოველთვის შეგნებული დამცველები, ნაროდნიკებისა და

ოპორტუნისტების სახით, პირიქით, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ წვრილი წარმოება ცხოველუნარიანია და მსხვილ წარმოებაზე უფრო ხელსაყრელია. გლეხი, რომელსაც კაპიტალისტურ წყობილებაში მტკიცე და საიმედო მდგომარეობა აქვს, უნდა მიილტვოდეს არა პროლეტარიატისაკენ, არამედ ბურჟუაზიისაკენ, არა დაქირავებული მუშების კლასობრივი ბრძოლისაკენ, არამედ თავისი, როგორც მესაკუთრისა და მეურნის, მდგომარეობის განმტკიცებისაკენ — ასეთია ბურჟუაზიული ეკონომისტების თეორიის დედაარსი.

შევეცადოთ ზუსტი მონაცემების მიხედვით შევამოწმოთ რამდენად მართებულია პროლეტარული და ბურჟუაზიული თეორია. ავიღოთ ავსტრიისა და გერმანიის მიწათმოქმედებაში ქალთა შრომის მონაცემები. რუსეთისთვის დღემდე არ არსებობს სრული მონაცემები, რადგან მთავრობამ არ მოისურვა მეცნიერულ საფუძველზე ჩაეტარებინა ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს აღწერა.

ავსტრიაში 1902 წლის აღწერამ სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ 9 070 682 პირიდან აღწერა 4 422 981 ქალი, ე. ი. 48,7%. გერმანიაში, სადაც კაპიტალიზმი ბევრად უფრო განვითარებულია, სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ ყველა მუშაკს შორის უმრავლესობა ქალები აღმოჩნდნენ, სახელდობრ 54,8%. რაც უფრო მეტად ვითარდება კაპიტალიზმი მიწათმოქმედებაში, მით უფრო აძლიერებს ის ქალთა შრომას, ე. ი. აუარესებს მშრომელი მასების ცხოვრების პირობებს. გერმანიის მრეწველობაში ქალებია 25%, მიწათმოქმედებაში კი ერთიორად და კიდევ უფრო მეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ მრეწველობა თავისკენ იზიდავს უკეთეს მუშახელს, მიწათმოქმედებას კი უტოვებს უფრო სუსტ მუშახელს.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიწათმოქმედება უმთავრესად უკვე ქალთა საქმიანობად გადაიქცა.

მაგრამ თუ გადავხედავთ მიწათმოქმედების სხვადასხვა ზომის მეურნეობათა მონაცემებს, დავინახავთ, რომ სწორედ

წვრილ წარმოებაში ქალთა შრომის ექსპლოატაცია განსაკუთრებით დიდად არის განვითარებული. პირიქით, მსხვილი, კაპიტალისტური, წარმოება მიწათმოქმედებაშიც უმთავრესად მამაკაცის შრომას იყენებს, თუმცა ამ მხრივ მრეწველობას მაინც ჩამორჩება.

აი ავსტრიისა და გერმანიის შედარებითი მონაცემები:

მეურნეობანი	მეურნეობათა ჯგუფები	ქალთა პროცენტი მუშაკთა საერთო რიცხვში	
		ავსტრია	გერმანია
პროლეტარული	1/2 ჰექტარამდე *	52,0	74,1
	1/2-დან 2 ჰექტარამდე	50,9	65,7
გლეხური	2 » 5 »	49,6	54,4
	5 » 10 »	48,5	50,2
	10 » 20 »	48,6	48,4
კაპიტალისტური	20 » 100 »	46,6	44,8
	100 და მეტი »	27,4	41,0
სულ.....		48,7	54,8

ორივე ქვეყანაში ჩვენ ვხედავთ კაპიტალისტური მიწათმოქმედების ერთსა და იმავე კანონს. რაც უფრო წვრილია წარმოება, მით უფრო ცუდია მუშახელის შემადგენლობა, მით უფრო მეტად სჭარბობენ ქალები სოფლის მეურნეობის მუშაკთა საერთო რიცხვში.

კაპიტალიზმის დროს საქმის საერთო მდგომარეობა შემდეგია. პროლეტარულ მეურნეობებში, ე. ი. ისეთ მეურნეობებში, რომელთა «მეპატრონეები» ცხოვრობენ უმთავრესად დაქირავებული შრომით (მოჯამაგირეები, დღიური მუშები და საერთოდ დაქირავებული მუშები მიწის მცირე ნაკვეთით), ქალთა შრომა სჭარბობს მამაკაცთა შრომას, ზოგჯერ ძალიან დიდადაც.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ პროლეტარული ანუ მოჯამაგირეთა შრომით გაძღოლილი მეურნეობების რიცხვი ძალიან დიდია: ავსტრიაში 1,3 მილიონი მთელი რიცხვიდან — 2,8 მილიონიდან, გერმანიაში კი 3,4 მილიონი მთელი რიცხვიდან — 5,7 მილიონიდან.

* ჰექტარი = 9/10 დესეტინას.

გლეხურ მეურნეობებში მამაკაცთა და ქალთა შრომა დაახლოებით ერთნაირადაა გავრცელებული.

ბოლოს, კაპიტალისტურ მეურნეობებში მამაკაცთა შრომა ს ჯ ა რ ბ ო ბ ს ქ ა ლ თ ა შ რ ო მ ა ს.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ წვრილ წარმოებაში მუშახელის შემადგენლობა უარესია, ვიდრე მსხვილ, კაპიტალისტურ წარმოებაში.

ეს იმას ნიშნავს, რომ მიწათმოქმედებაში მუშა-ქალი — პროლეტარი და გლეხი — ბევრად უფრო უნდა ძაბავდეს ძალღონეს, წელებზე ფეხს იდგამდეს, ქანცს იწყვეტდეს მუშაობით თავისი და თავისი შვილების ჯანმრთელობის საზიანოდ, რათა შეძლებისდაგვარად გაუთანაბრდეს მუშა მამაკაცს მსხვილ, კაპიტალისტურ წარმოებაში.

ეს იმას ნიშნავს, რომ წვრილ წარმოებას კაპიტალიზმის დროს თავი გააქვს მხოლოდ იმით, რომ მ ე ტ ი რაოდენობის შრომას ა ხ ა რ ჯ ვ ი ნ ე ბ ს მუშაკს, ვიდრე მსხვილი წარმოება.

გლეხი უფრო შებოჭილია, უფრო გახლართულია კაპიტალისტური დამოკიდებულების რთულ ქსელში, ვიდრე დაქირავებული მუშა. მას ჰგონია, რომ დამოუკიდებელია, რომ შეუძლია «დაეუფლოს მეურნეობას», ნამდვილად კი, რომ როგორმე თავი გაიტანოს, უფრო დაძაბულად უნდა იმუშაოს (კაპიტალისთვის), ვიდრე დაქირავებულმა მუშამ.

ამას უფრო ცხადყოფს მიწათმოქმედებაში ბ ა ვ შ ვ თ ა შრომის მონაცემები *.

«რაბოჩაია პრავდა» № 5.
1913 წ. 18 ივლისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ
«რაბოჩაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 238—242. რ ე დ.

მრეწველობის ერთ-ერთი «მოდური» დარგი

კაპიტალისტური წარმოება ვითარდება ნახტომებითა და ცვალებადი სიმძაფრით. ხან მრეწველობის «ბრწყინვალე» აყვავება, ხან კრახი, კრიზისი, უმუშევრობა. სხვანაირად არც შეიძლება მეურნეობის ისეთი სისტემის დროს, როცა ცალკეული, დაქსაქსული და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მეპატრონეები «მუშაობენ» უცნობი ბაზრისთვის, კერძო საკუთრების უფლებით განაგებენ მრავალი ათასი მუშის გაერთიანებულ შრომას მსხვილ საწარმოებში.

«მოდური» მრეწველობის მაგალითი, რომელიც ამჟამად განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება და გამალებით მიექანება კრახისკენ, საავტომობილო მრეწველობა არის. გერმანიაში, მაგალითად, ყველა სახის ავტომობილი, მოტოციკლეტების ჩათვლით, 1907 წელს იყო 27 ათასი, 1912 წელს კი უკვე 70 ათასი.

საფრანგეთსა და ინგლისში ავტომობილები გაცილებით უფრო გავრცელებულია. აი შედარებითი მონაცემები: გერმანია — 70 ათასი, საფრანგეთი — 88 ათასი, ინგლისი — 175 ათასი.

ამრიგად, მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით გერმანია თითქმის ერთიოთხად უფრო ღარიბია ავტომობილებით, ვიდრე ინგლისი, რუსეთი კი, რა თქმა უნდა, განუზომლად უფრო ჩამორჩენილია.

სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური ორგანიზაციის დროს ავტომობილები მხოლოდ მდიდართა ძალიან ვიწრო

წრის კუთვნილებას შეადგენს. მრეწველობას შ ე ე ძ ლ ო ასიათასობით ავტომობილის მოწოდება, მაგრამ ხალხის მ ა ს ი ს სიღატაკე განვითარებას აფერხებს და რამდენიმე წლის «ბრწყინვალე» ზრდის შემდეგ კრახს იწვევს.

სხვათა შორის. საავტომობილო საქმეს, თუ ის მოსახლეობის უმრავლესობას ემსახურება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან გაერთიანებულ მუშათა საზოგადოება ავტომობილებით შეცვლის მუშა-პირუტყვის დიდ რაოდენობას მიწათმოქმედებაში და მეეტლეობა-მეურმეობაში. ასეთი შეცვლა საშუალებას მოგვცემს მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ დ ე ს ე ტ ი ნ ა მიწა, ახლა რომ ცხენების საკვების მოყვანას უკავია, გამოვიყენოთ პურის, ხორცის, რძის მოსაპოვებლად ხალხის კვების გაუმჯობესებისათვის.

ბურჟუაზიული ეკონომისტები ხომ მხოლოდ გვაშინებენ, როცა ამბობენ, მიწათმოქმედებას არ შეუძლია საკმაო პური მოგვცესო!

«რაბოჩაია პრავდა» № 8,
1913 წ. 21 ივლისი
ხელმოწერა: ნ.

იბეჭდება გაზეთ
«რაბოჩაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით.

მკვდარი ლიკვიდატორობა და ცოცხალი «რეჩი»

ლიკვიდატორების გაზეთის «ყივაია ჟიზნის» პირველ ნომერში მოთავსებული იყო ლ. მ.-ს[79] სტატია «ძველ თემაზე». ჩვენ სხვა შემთხვევისთვის გადავდებთ წვრილმან ფანდებს გატაცებული ავტორისას, რომელიც იჩქარის კაუცკის «კალთებს ჩაეჭიდოს» რ. ლუქსემბურგთან პოლემიკაში. ლ. მ. იმეორებს ლიბერალების გაცვეთილ ხერხს — გაბეროს და პრინციპულად მნიშვნელოვნად მოგვაჩვენოს ასეთი პოლემიკა გერმანელი ოპორტუნისტების (რეფორმისტების) პოზიციის სავსებით მიფუჩეჩებით!

ბ-ნ ლ. მ. სიამოვნებით ეჭიდება კაუცკის სერთუკს, მაგრამ, როცა «გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაზე» ლაპარაკობს, ამჯობინებს დუმილს — ალბათ, თავმდაბლობის გამო, — იმ რეფორმისტების ვრცელ და მართლა პრინციპულად არსებითს ლიტერატურაზე, რომლებიც ენათესავებიან ლ. მ.-ს და «ყივაია ჟიზნს».

ვიმეორებთ, ამაზე სხვა დროს.

ლ. მ., როგორც იტყვიან, ყურით მოათრევს გერმანელებს რუსეთის საქმეებთან. ამ საქმეების შესახებ კი «ყივაია ჟიზნის» პირველი ნომერი ლ. მ.-ს პირით ღაღადებს:

...კოალიციათა თავისუფლებისათვის უბრძოლველად «რუსეთის მუშები თავს ვერ დააღწევენ აუტანელ მდგომარეობას, რაც მათ უმზადებს უთავბოლო ფუსფუსს, ძალთა კოლოსალურ ფლანგვას პერიოდულ ერთფეროვან მასობრივ გამოსვლებში და ამ ძალთა ფლანგვას არ აანაზღაუ-

რებს ორგანიზებულობის ზრდა და მოპოვებული პოლიტიკური პოზიციების განმტკიცება». მოწინავე პროლეტარების ძალღონე (წერს ლ. მ., იმეორებს რა მოწინავე ლიბერალთა აზრებს) მიმართული უნდა იყოს იქითკენ, «რომ მუშათა კლასს შევძინოთ უნარი იმისა, რომ ბრძოლა გამართოს და გაიმარჯვოს არა მარტო ერთდღიანი ვაფიცვების სარბიელზე, არამედ სხვა ყოველგვარ სარბიელზედაც».

ამ სიტყვებში მარხია მუშათა პარტიის ლიკვიდატორთა «მოძღვრების» მთელი არსი. «უთავბოლო ფუსფუსი» — ეს სიტყვები სახელს გაითქვამენ. ისინი უნდა გადაიბეჭდოს «ჟივაია ჟიზნის» ყოველ ნომერში, უნდა გახდეს მთელი მისი მიმართულების დევიზი. აი რა არის ლიკვიდატორების «ლოზუნგი»!

ალბათ, «სხვა სარბიელად» და არაუთავბოლო ფუსფუსად ბრძენთაბრძენ ლ. მ.-ს მიაჩნია პეტიციები? თქვით პირდაპირ, ნუ გრცხვენიათ, ბატონებო!

აი ინებეთ მართლა ცოცხალი გაზეთი «რეჩი», ე. ი. ისეთი, რომელიც იცავს ლიკვიდატორობის არა მკვდარ დოქტრინას, არამედ ცოცხალ კლასობრივ ინტერესებს (ოღონდ, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიისას და არა პროლეტარიატისას). შეადარეთ ერთმანეთს 11 ივლისის «ჟივაია ჟიზნიდან» მოყვანილი ციტატები და 6 ივლისის «რეჩის» მოწინავე სტატია.

«რეჩის» მოწინავე სტატია აცხადებს, 1905 წლის მუშათა მოძრაობა «ნაციონალური იყო, 1913 წლისა კი — კლასობრივიო» და აღტაცებით თავბრუდახვეული იმეორებს ლიკვიდატორების თავდასხმებს «გაფიცვებით გატაცებაზე», იმეორებს ლიკვიდატორების მითითებებს, რომ «სიტყვის, კრებებისა და კავშირების თავისუფლებისათვის მუშებს შეუძლიათ და უნდა იბრძოლონ კიდეც არა მარტო გაფიცვებით, არამედ სხვა უფრო რთული (ბიჭოს!) პოლიტიკური საშუალებებითაც».

რასაკვირველია, ლ. მ.-სა არ იყოს, ლიბერალები თავმდაბლად სდუმან იმაზე, სახელდობრ რა «რთული» საშუალებებია ეს. მაგრამ სამაგიეროდ ლიბერალები პირდაპირ

ამბობენ, რომ კავშირებისა და სხვათა თავისუფლების დამყარების შემდეგ, მათი რწმენით, შესაძლებელი გახდება «ს ე რ ი ო ზ უ ლ ი ბ რ ძ ო ლ ა ქაოსური და მრეწველობის მომშ-ლელი შემთხვევითი გაფიცვების წინააღმდეგ» («რეჩის» იგივე მოწინავე სტატია).

ნებას მივცემთ ჩვენს თავს შევნიშნოთ მხოლოდ, რომ ახლა ყველა აღიარებს თვით წმინდა ეკონომიური გაფიცვების ახალი ტალღის ფაქტს. იმაზე უფრო სასაცილო და შესაბრალისი არაფერია, რომ ამ დროს «შემთხვევითობაზე» ილაპარაკო.

მაგრამ ლიბერალების კლასობრივი პოზიცია ცხადია. ყოველი მუშა ერთბაშად გაიგებს მათს პოზიციას, ბუნდოვან ფრაზებში «რთულ» საშუალებათა შესახებ ერთბაშად დაინახავს ბურჟუაზიის ინტერესებს. ცოცხალი «რეჩი» ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავს. «ჟივაია ჟიზნის» მკვდარი ლიკვიდატორობა უმწეოდ მისჩანჩალებს კუდში ლიბერალებს და, რაკი ვერაფერს ამბობს ნათლად და პირდაპირ «სხვა სარბიელის» შესახებ, მხოლოდ ბრაზობს და ილანძღება: «უთავბოლო ფუსფუსიაო»...

აი რა განთქმულ და თან სამარცხვინო ლოზუნგამდე მივიდნენ ლიკვიდატორები!

«რაბოჩაია პრავდა» № 10,
1913 წ. 24 ივლისი
ხელმოწერა: პ. ო ს ი პ ო ვ ი

იბეჭდება გაზეთ
«რაბოჩაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

სანადელო მიწების მობილიზაცია

ოფიციალურ გაზეთ «როსსიაში» ორიოდე დღის წინათ მოთავსებული იყო იმ გამოკვლევის შედეგები, რომელიც 1912 წლის ზაფხულში ჩაატარა შინაგან საქმეთა სამინისტრომ სანადელო მიწების მობილიზაციის, ე. ი. მათი ყიდვა-გაყიდვის, ხელიდან ხელში გადასვლის საკითხზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსაკვლევად აირჩია ოთხი გუბერნია: ვიტებსკის, პერმის, სტავროპოლისა და სამარის (ნიკოლაევის მაზრა). დამახასიათებელია, რომ ევროპული რუსეთის ველიკორუსული სამიწათმოქმედო «ცენტრის» გუბერნიებს, სადაც ყველაზე ძლიერია ბატონყმობის ნაშთები, სადაც გლეხების მდგომარეობა ყველაზე მძიმეა, ყველაზე ძლიერია ჩაგვრა მებატონე-მემამულეთაგან, გამოკვლევა ა რ შ ე ხ ე ბ ი ა! ცხადია, სამინისტროს სურდა იმდენად გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა კი არა, რამდენადაც მ ო ტ ყ უ ე ბ ა, იმდენად საქმის შ ე ს წ ა ვ ლ ა კი არა, რამდენადაც მ ი ს ი დ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეგროვილი და «როსსიის» მიერ გადმოცემული სტატისტიკა განირჩევა გასაოცარი დაუდევრობით, არაერთგვარობით, პრიმიტიულობით: ჩვენს წინაშეა რუსეთის მოხელეთა ჩვეულებრივი «უგულო ნამუშევარი», მოხელეთა, რომელთაც არ შეუძლიათ სულ უბრალო საქმე არ გააფუჭონ. მთელ რუსეთში გამოიკვლიეს რაღაც ასი ათასი კომლი და ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ შეედგინათ რიგიანი პროგრამა, უზრუნველეყოთ მცოდნე

სტატისტიკოსთა შერჩევა და ყველგან ერთნაირად მაინც გაეტარებინათ ერთიანი არასრული პროგრამა!

გამოკვლევის საერთო შედეგები ასეთია. დასახელებულ ოთხ გუბერნიაში 1912 წლის 1 იანვრამდე თემიდან გამოვიდა და მიწა შემოიმტკიცა საკუთრებად 108 095 კომლმა. «შემომტკიცებელთა» საერთო რიცხვიდან, რაც ამჟამად, ალბათ, ორ მილიონამდე კომლს აღწევს რუსეთში (კომლთა მთელი რიცხვიდან — 12 — 13 მილიონიდან), გამოკვლეულია, მაშასადამე, რაღაც მეოცედი ნაწილი. რა თქმა უნდა, ასეთი გამოკვლევაც საგულისხმოა, თუ ის კეთილსინდისიერად არის ჩატარებული, ე. ი. თუ მას ატარებენ არა რუსი მოხელეები, არა რუსეთის პოლიტიკურ ვითარებაში.

«შემომტკიცებელთა» ასი ათასზე მეტი კომლიდან მიწა გაყიდა 27 588 კომლმა, ე. ი. მეოთხედზე მეტმა (25,5%). მიწის გამყიდველ მესაკუთრეთა ეს უდიდესი რაოდენობა ერთბაშად ცხადყოფს, რომ ჩვენში, რუსეთში, მიწის ყბადაღებული «კერძო საკუთრება» პირველ ყოვლისა მიწისაგან გლეხთა განთავისუფლების იარაღია. მართლაც, მიწის გამყიდველ შემომტკიცებელთა რიცხვიდან ათი ათასზე მეტი კომლი (10 380) სრულიად არ ეწეოდა სოფლის მეურნეობას. მათ ხელოვნურად მიწას აჯაჭვავდა ძველი, ნახევრად შუასაუკუნებრივი თემი. სოციალ-დემოკრატების მოთხოვნა — თემიდან თავისუფლად გასვლის უფლების მიცემა — ერთადერთი სწორი ლონისძიება იყო: მხოლოდ მას შეეძლო, პოლიციის, საერობო უფროსთა და სხვა საყვარელ «ხელისუფალთა» ჩაურევლად, უზრუნველეყო გლეხებისთვის ის, რასაც უცილობლად მოითხოვს კაპიტალისტური საზოგადოებრივი ცხოვრება. არ შეიძლება მიწას მიაჯაჭვო და უაზრობაა მიაჯაჭვო ის, ვისაც არ ძალუძს მეურნეობის წარმართვა.

თუ მთელ რუსეთში შემომტკიცებელთა რიცხვი 2 მილიონამდე კომლს აღწევს, მოყვანილი მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ მათგან დაახლოებით 200 ათასმა კომლმა, რადგან მიწათმოქმედებას არ ეწეოდა, ერთბაშად

გაყიდა მიწა. «კერძო საკუთრებამ» მყისვე განდევნა სოფლიდან ასიათასობით ფიქტიური მიწათმოქმედი! იმის შესახებ, თუ რა ფასად (ალბათ, სულ მუქთად) გაყიდეს მიწა ამ ღარიბებმა, შინაგან საქმეთა სტატისტიკა კრინტსაც არა ძრავს. ვაგლახი სტატისტიკა!

რა მიზეზებმა აიძულეს შემომტკიცებელი მიწათმოქმედნი მიწა გაეყიდნათ? 17 260 ასეთი შემომტკიცებლიდან მხოლოდ 1 791-მა, ე. ი. სულ უმნიშვნელო უმცირესობამ, გაყიდა მიწა მეურნეობის გასაუმჯობესებლად ან მიწის ახალი ნაკვეთების საყიდლად. მთელი დანარჩენი მასა მიწას იმიტომ ჰყიდის, რომ ვ ე ღ ა რ გააქვს თავი მეურნეობით: 4 117 კომლი ჰყიდის და ციმბირში სახლდება; 768 ჰყიდის და სხვა საქმეს ჰკიდებს ხელს; 5 614 ჰყიდის გაჭირვების, «ლოთობისა» (მთავრობის სტატისტიკოსთა აზრით!) და მოუსავლობის გამო; 2 498 ჰყიდის ავადმყოფობის, მოხუცებულობის, მარტოხელობის გამო; 2 472 «სხვა» მიზეზების გამო.

არაკეთილსინდისიერი სტატისტიკოსები ცდილობენ მხოლოდ 5 614 კომლი გვიჩვენონ «მართლაც გაბოგანოებულად»! რა თქმა უნდა, ეს უბადრუკი ხერხია იმ ადამიანებისა, რომელთაც ნაბრძანები აქვთ ვაშა იძახონ. ნამდვილად კი, როგორც ვხედავთ, უმიწაწყლოდ რჩება და ტიალდება მიწის გამყიდველთა უზარმაზარი მასა. ტყუილად როდი ჰყიდიან მიწას უმთავრესად მცირე მიწა-წყლის პატრონნი: ამას აღიარებს. თვით ოფიციალური სტატისტიკაც კი, გაურბის რა, რასაკვირველია, ზუსტ და სრულ მონაცემებს. ვაგლახი სტატისტიკა...

მიწის გამყიდველ 27 588 შემომტკიცებლიდან ნახევარზე მეტმა (14 182) გაყიდა მ თ ე ლ ი მიწა, დანარჩენმა — მიწის ნაწილი. მიწის მყიდველი იყო 19 472. გამყიდველთა და მყიდველთა რიცხვის შედარება ნათლად გვიჩვენებს, რომ ხდება მიწის კონცენტრაცია, მისი თავმოყრა ნ ა კ ლ ე ბ პირთა ხელში. ჰყიდის ღარიბობა, ყიდულობენ მდიდრები. უძლურია ოფიციალურ მჯღაბნელთა ჭაპანწყვეტა — შეანელონ ეს ფაქტი.

სტავროპოლის გუბერნიაში მიწა გაყიდა 14 282 შემოჰტკიცებელმა, მიწა იყიდა 7 489 კაცმა. მათგან 3 290-მა იყიდა 15 დესეტინაზე მეტი თვითეულმა, — მათ შორის 580-მა იყიდა 50 — 100 დესეტინა თვითეულმა, 85-მა — 100 — 500 დესეტინა თვითეულმა, 7-მა — 500 — 1 000 დესეტინა თვითეულმა. სამარის გუბერნიის ნიკოლაევის მაზრაში 142-მა — 50 — 100 დესეტინა თვითეულმა, 102-მა — 100 — 500 დესეტინა თვითეულმა, 2-მა — 500 — 1 000 დესეტინა თვითეულმა.

მიწას ყიდულობდა ორი და მეტი გარიგებით 201 პირი პერმის გუბერნიაში, 2 957 — სტავროპოლის გუბერნიაში, რომელთაგან 562 — 5 — 9 გარიგებით, ხოლო 168 — 10 და მეტი გარიგებითაც!

მიწის კონცენტრაცია ხდება უზარმაზარი მოცულობით. ჩვენ ნათლად დავინახეთ, რა უბადრუკი, უაზრო და რეაქციულია ყოველგვარი ცდა მიწის მობილიზაციის შეზღუდვისა, ცდა, რომელსაც ატარებდნენ III სათათბირო და მთავრობა და რომელსაც იცავდნენ «ლიბერალი» მოხელეები კადეტთა პარტიის სახით. ისე არაფრით მჟღავნდება კადეტების რეტროგრადობა და მოხელეური სიბრიყვე, როგორც გლეხთა მიწის მობილიზაციის საწინააღმდეგო «ზომების» დაცვით.

თუ უკიდურესად არ უჭირს, გლეხი მიწას არ გაყიდის. მის უფლებათა შეზღუდვის ცდა — ეს არის საზიზღარი ფარისევლობა და გლეხისთვის მიწის გაყიდვის პირობების გაუარესება, რადგან ცხოვრება მუდამ ათასნაირი ხერხით გვერდს უვლის ასეთ შეზღუდვას.

ნაროდნიკები, რომელთაც არ ესმით მიწის მობილიზაციის გარდუვალობა კაპიტალიზმის დროს, ბევრად უფრო დემოკრატიულ თვალსაზრისზე დგანან, როცა მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას მოითხოვენ. მხოლოდ უმეცართ შეუძლიათ ასეთი გაუქმება სოციალისტურ ღონისძიებად მიიჩნიონ. სოციალისტური აქ სრულიად არაფერია. ინგლისში,

ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ფერმერები (მოიჯარადრე-კაპიტალისტები) მეურნეობას ეწევიან სხვის, ლენდლორდების (მსხვილ მემამულეთა) კუთვნილ მიწებზე. ეს მიწები რომ სახელმწიფოს ეკუთვნოდეს, კაპიტალიზმი მიწათმოქმედებაში კიდევ უფრო ფართოდ და თავისუფლად განვითარდებოდა. მემამულეები ვეღარ შეუშლიდნენ ხელს. საჭირო აღარ იქნებოდა წარმოებისთვის იმ კაპიტალის წართმევა, რომელიც მიწის ყიდვაში ბანდდება. მიწის მობილიზაცია, მისი სავაჭრო ბრუნვაში ჩაბმა, კიდევ უფრო გაადვილდებოდა, რადგან მიწის ხელიდან ხელში გადასვლა უფრო თავისუფლად, უბრალოდ, იაფად მოხდებოდა.

რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, რაც უფრო ავიწროებს და სულს უხუთავს მას ბატონყმური მსხვილი მიწათმფლობელობის უღელი, მით უფრო უცილობელია (კაპიტალიზმის განვითარების და საწარმოო ძალთა ზრდის თვალსაზრისით) მიწის კერძო საკუთრების გაუქმება, მისი მობილიზაციის სრული თავისუფლება და მიწათმოქმედებაში რუტინისა და დამყაყებულობის ძველი სულისკვეთების დამსხვრევა.

ჩვენში კი სტოლიპინური საადგილმამულო კანონმდებლობა არათუ თავიდან არ აშორებს გლეხებს' გაჩანაგებას და არ ათავისუფლებს მათს მიწას მობილიზაციისაგან, არამედ ასწილ ამწვავებს ამ გაჩანაგებას, ამძიმებს («საერთო» კაპიტალისტურ ზომაზე ბევრად უფრო მეტად) გლეხთა მდგომარეობას, აიძულებს მათ მიწის გაყიდვისას უფრო ცუდ პირობებს დასთანხმდნენ.

«რაბოჩაია პრავდა» № 12,
1913 წ. 26 ივლისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ
«რაბოჩაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

როგორ გავადიდოთ სულობრივი მოხმარების ოდენობა რუსეთში?

ასეთი სათაურით მოათავსა ამ დღეებში მოწინავე სტატია სამრეწველო კაპიტალის ჩვენებური სატრაპების ორგანომ „პრომიშლენნოსტ ი ტორგოვლიამ». მისი დასმული საკითხი რუსეთის ეკონომიური (და ყოველგვარი) ჩამორჩენილობის მიზეზების ძირითადი საკითხია. იგი ღირსია უაღრესად სერიოზული ყურადღებისა.

ჩვენი ვაჭრობისა და მრეწველობის სატრაპები «ერთი შეხედვით პარადოქსულად» აცხადებენ იმ ფაქტს, რომ რუსეთი თუჯის, ნავთობისა და მთელი რიგი სხვა პროდუქტების წარმოების ოდენობის მხრივ დიდ და მოწინავე სახელმწიფოთა რიგში დგას, ხოლო სულობრივი მოხმარების ოდენობის მხრივ (ე. ი. მოსახლეობის 1 სულზე მნიშვნელოვანი პროდუქტების წარმოების ჯამის მხრივ) «მეზობელი ხდება ესპანეთისა», ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ქვეყნისა.

მაგალითად, 1911 წელს მოსახლეობის 1 სულს თუჯი ხმარდებოდა: ამერიკის შეერთებულ შტატებში 233 კილოგრამი, გერმანიაში — 136, ბელგიაში — 173, ინგლისში — 105, ხოლო რუსეთში სულ 25 კილოგრამი (= $1^1/_2$ ფუთი). გლეხთა განთავისუფლების შემდეგ ნახევარი საუკუნის განმავლობაში რკინის მოხმარება რუსეთში გადიდდა ერთიხუთად, და მაინც რუსეთი რჩება წარმოუდგენლად, გაუგონრად ჩამორჩენილ, ღატაკ და ნახევრად ველურ ქვეყნად, რომე-

ლიც წარმოების თანამედროვე იარაღებით მოწყობილია ინგლისზე ერთიოთხად უარესად, გერმანიაზე ერთიხუთად, ამერიკაზე ერთიათად უარესად.

რაშია საქმე? «პრომიშლენნოსტ ი ტორგოვლია» იძულებულია აღიაროს, რომ ყოველივე ეს აიხსნება სოფლის ცხოვრების პირობებით. ჩვენში სოფელი ხარჯავს სულ დაახლოებით 1/4 ფუთ რკინას სულზე, «რუსეთის მოსახლეობის 5/6-ს კი შეადგენს სოფლის გლეხური მოსახლეობა».

«რომელიღაც სტატისტიკოსმა გამოიანგარიშა, რომ თუ ჩინელები თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელს ერთი თითის სიგანით დაიგრძელებენ, ეს ერთი წლის სამუშაოთი უზრუნველყოფს ინგლისის ყველა საფეიქრო ფაბრიკასაო».

მარჯვე და მჭევრმეტყველი შენიშვნაა!

მერე რა არის საჭირო იმისთვის, რომ რუსეთის ათეული მილიონობით გლეხებმა «დაიგრძელონ თავიანთი ეროვნული ტანსაცმელი», ესე იგი, უმეტაფოროდ რომ ვთქვათ, გაიდიდონ მოხმარება, თავი დააღწიონ სიღატაკეს და, ბოლოს და ბოლოს, რამდენადმე მაინც ადამიანები გახდნენ?

ჩვენი მრეწველობის სატრაპები ცარიელი ფრაზით უპასუხებენ: საჭიროა «ქვეყნის საერთო კულტურული განვითარება», მრეწველობის, ქალაქებისა და სხვ. ზრდა, «გლეხთა შრომის ნაყოფიერების გადიდება» და სხვ.

ცარიელი ყბედობაა, უბადრუკი თავდაძვრენაა! ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც რუსეთში ხ დ ე ბ ა ასეთი განვითარება, ასეთი «გადიდება», ხდება უცილობლად. «კულტურისათვის» იღწვის ყ ვ ე ლ ა კლასი. კაპიტალიზმის ნიადაგზე დგებიან თ ვ ი თ შავრაზმელებიც და ნაროდნიკებიც. საკითხი დიდი ხანია სხვანაირად დგას: რ ა ტ ო მ ა ა, რომ ჩვენში კაპიტალიზმისა და კულტურის ეს განვითარება ხდება კუს ნაბიჯით? რატომაა, რომ სულ უფრო და უფრო ჩამოვრჩებით? რატომაა, რომ ეს მზარდი ჩამორჩენილობა საჭიროდ ხდის დიდ სისწრაფესა და «გაფიცვებს»?

ამ კითხვაზე, რაც სავსებით ცხადია ყოველი შეგნებული მუშისთვის, ჩვენი მრეწველობის სატრაპებს ეშინიათ პასუხი

გასცენ სწორედ იმიტომ, რომ სატრაპები არიან. ისინი არიან არა ამერიკული კაპიტალის მსგავსი თავისუფალი და ძლიერი კაპიტალის წარმომადგენლები, არამედ ერთი მუჭა მონოპოლისტები, რომელთაც იცავს სახელმწიფო დახმარება და ათასნაირი თაღლითობა და გარიგება სწორედ იმ შავრაზმელ მემამულეებთან, რომლებიც თავიანთი შუასაუკუნებრივი მიწათმფლობელობით (საუკეთესო მიწის 70 მილიონი დესეტინა) და ჩაგვრით მოსახლეობის $^5/_6$-ს უქმნიან სიღატაკეს, მთელ ჩვენს ქვეყანას კი უძრაობასა და ლპობას.

«უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, — ამბობს ბ-ნი ი. ბ-ნი სატრაპების ჟურნალში, — რომ სულობრივი მოხმარების ოდენობის მხრივ მივუახლოვდეთ არა ესპანეთს, არამედ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს». სატრაპების დაქირავებულ მჯღაბნელს არა სურს დაინახოს, რომ შავრაზმელ მემამულეთა «გულის მოგება» გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ «გვაახლოებს ესპანეთს», ხოლო ამერიკას რომ დავუახლოვდეთ, ამისთვის საჭიროა ულმობელი, თავდადებული ბრძოლა მთელი ხაზით ამ კლასის წინააღმდეგ.

«სევერნაია პრავდა» № 3,
1913 წ. 3 აგვისტო
ხელმოწერა: ვ. ფ რ ე ი

იბეჭდება გაზეთ
«სევერნაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ავგუსტ ბებელი

ბებელის სახით სამარეში ჩაესვენა არა მარტო მუშათა შორის უაღრესად გავლენიანი და მასების ყველაზე საყვარელი ბელადი გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა: ბებელმა თავისი განვითარებისა და თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მსვლელობაში განასახიერა მთელი ისტორიული პერიოდი მარტო გერმანიისა კი არა, არამედ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებისაც.

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში შეიძლება გავარჩიოთ ორი დიდი პერიოდი. პირველი პერიოდი — სოციალისტური იდეების წარმოშობა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ჩანასახები. ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა მეტად მრავალრიცხოვანი სოციალისტური მოძღვრებისა და სექტისა. სოციალიზმი ეძებს თავის გზას, ეძებს თავის სახეს. კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატისა, რომელიც ის-ის იყო იწყებდა გამოკვეთას წვრილბურჟუაზიული «ხალხის» საერთო მასისაგან, ცალკეულ აფეთქებათა ხასიათს ატარებდა, მსგავსად ლიონის ფეიქართა აჯანყებისა. ამ პერიოდში მუშათა კლასიც მხოლოდ იკვლევდა თავის გზას.

ეს პერიოდი არის მარქსიზმის, როგორც სოციალიზმის ერთადერთი დოქტრინის, მომზადებისა და გაჩენის პერიოდი, დოქტრინისა, რომელმაც ჩააბარა გამოცდა ისტორიას. ეს პერიოდი მოიცავს დაახლოებით წარსული საუკუნის ორ პირველ მესამედს და მთავრდება მარქსიზმის სრული გამარჯვებით, სოციალიზმის ყველა მარქსამდელი ფორმის კრახით

(განსაკუთრებით 1848 წლის რევოლუციის შემდეგ) და წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისგან მუშათა კლასის გამოყოფით, დამოუკიდებელ ისტორიულ გზაზე გამოსვლით.

მეორე პერიოდი არის კლასობრივი, პროლეტარული შემადგენლობის მასობრივი სოციალისტური პარტიების შექმნის, ზრდისა და დავაჟკაცების პერიოდი. სოციალიზმის უდიდესი გავრცელება და გაფართოება, პროლეტარიატის ყოველგვარი ორგანიზაციების გაუგონარი ზრდა, სულ სხვადასხვა სარბიელზე მისი ყოველმხრივი მომზადება დიდი მსოფლიო-ისტორიული მიზნის შესასრულებლად — აი რა ახასიათებს ამ პერიოდს. უკანასკნელ წლებში მის შესაცვლელად უკვე დგება მესამე პერიოდი, როდესაც მომზადებული ძალები მთელ რიგ კრიზისებში განახორციელებენ თავიანთ მიზნებს.

ავგუსტ ბებელმა, თვითონ მუშამ, მედგარი ბრძოლით შეიმუშავა სოციალისტური მსოფლმხედველობა, სოციალიზმის მიზნების სამსახურს შესწირა მთელი თავისი მდიდარი ძალღონე მთლიანად, უკანასკნელ შესაძლებლობამდე, ათეული წლების განმავლობაში ის ხელიხელჩაკიდებული მიდიოდა გერმანიის პროლეტარიატთან ერთად, რომელიც იზრდებოდა და ვითარდებოდა, და გახდა ევროპის ყველაზე ნიჭიერი პარლამენტარი, ყველაზე ნიჭიერი ორგანიზატორი და ტაქტიკოსი, რეფორმიზმისა და ოპორტუნიზმისადმი მტრულად განწყობილი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ყველაზე გავლენიანი ბელადი.

ბებელი დაიბადა 1840 წლის 22 თებერვალს კიოლნში, რეინის პირას, პრუსიელი უნტერ-ოფიცრის ღარიბ ოჯახში. დედის რძესთან ერთად მან შეიწოვა მრავალი უხიაკი ცრურწმენა, რომელთაგან შემდგომ ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ თავისუფლდებოდა. რეინისპირეთის მოსახლეობა 1848—1849 წლებში, გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში, განწყობილი იყო რესპუბლიკურად. სახალხო სკოლაში მხოლოდ ორი ბიჭუნა — ერთი მათგანი ბებელი — უჭერდა მხარს მონარქიას და ამისთვის მიბეგვეს კიდეც ამხანაგებმა.

«ზოგი ჭირიც მარგებელიაო», ასე შეიძლება თავისუფალი თარგმანით გამოვხატოთ ის «მორალი», რომელიც გამოჰყავს თვით ბებელს, როდესაც თავის მემუარებში ბავშვობის დროის ამ ეპიზოდს გვიამბობს.

გასული საუკუნის სამოციანმა წლებმა, კონტრრევოლუციის ხანგრძლივი მძიმე წლების შემდეგ, გერმანიას მოუტანეს ლიბერალური «გაზაფხული» და მასობრივი მუშათა მოძრაობის ახალი გამოღვიძება. თავის ბრწყინვალე, მაგრამ ხანმოკლე აგიტაციას იწყებდა ლასალი. ბებელი, იმ დროს ახალგაზრდა ქარგალი-ხარატი, ხარბად კითხულობს ლიბერალურ გაზეთებს, რომელთაც სცემდნენ 1848 წლის ძველი მოღვაწეები, და მხურვალე მონაწილეობას იღებს მუშათა საგანმანათლებლო საზოგადოებებში. ბებელი თავისუფლდება ყაზარმულ-პრუსიულ ცრურწმენათაგან, ემხრობა ლიბერალურ შეხედულებებს და იბრძვის სოციალიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ ცხოვრებას თავისი გააქვს, — და ახალგაზრდა მუშა ლასალის ბროშურებს კითხულობს და თან გზას იკვლევს მარქსისკენაც, თუმცა მაშინ გერმანიაში, კონტრრევოლუციის ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში პარპაშის წყალობით, მარქსის თხზულებათა გაცნობა ძალიან გაძნელებული იყო. მუშათა ცხოვრების პირობები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერიოზული და კეთილსინდისიერი შესწავლა ბებელს სოციალიზმისაკენ ეზიდებიან. ის თვითონაც მივიდოდა სოციალიზმამდე, მაგრამ ამ განვითარების დაჩქარებას ხელი შეუწყო ლიბკნეხტმა, რომელიც მასზე 14 წლით უფროსი იყო და ამ დროს დაბრუნდა ლონდონის ემიგრაციიდან.

მარქსის მოწინააღმდეგეთა წრის ბოროტი ენები იმ დროს ამბობდნენ, მარქსის პარტია სამი კაცისგან შესდგებაო: პარტიის მეთაური — მარქსი, მისი მდივანი — ენგელსი და მისი «აგენტი» — ლიბკნეხტიო. მაგრამ თუ უგუნურნი ერიდებოდნენ ლიბკნეხტს, როგორც ემიგრანტთა ან საზღვარგარეთელთა «აგენტს», ბებელმა შესძლო ლიბკნეხტის სახით ეპოვა ის, რაც მას ესაჭიროებოდა: ცოცხალი კავშირი მარქსის 1848

წლის დიდ გამოსვლასთან, მაშინ დაარსებულ, თუმცა მცირე, მაგრამ ნამდვილ პროლეტარულ პარტიასთან, მარქსისტული შეხედულებისა და მარქსისტული ტრადიციის ცოცხალი წარმომადგენელი. — «დასწყევლოს ღმერთმა, მისგან ბევრ რამეს ისწავლის კაციო!» — ასე ამბობდა, თურმე, ახალგაზრდა ხარატი ბებელი ლიბკნეხტზე.

60-იანი წლების მეორე ნახევარში ბებელი წყვეტს კავშირს ლიბერალებთან, მუშათა კავშირების სოციალისტურ ნაწილს გამოყოფს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნაწილისაგან და ლიბკნეხტთან ერთად დგება ეიზენახის პარტიის, მარქსისტთა პარტიის პირველ რიგებში, პარტიისა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ებრძოდა მუშათა მეორე, ლასალიანელთა პარტიას.

გერმანული სოციალიზმის გათიშვის ისტორიული მიზეზი, მოკლედ რომ ვთქვათ, შემდეგი იყო. დღის წესრიგში იდგა გერმანიის გაერთიანების საკითხი. კლასთა მაშინდელი თანაფარდობის პირობებში ეს გაერთიანება შეიძლებოდა მომხდარიყო ორგვარად: ან რევოლუციის გზით, ანდა პრუსიის დინასტიური ომების გზით, რაც განამტკიცებდა პრუსიელ მემამულეთა ჰეგემონიას გაერთიანებულ გერმანიაში.

ლასალი და ლასალიანელები ხედავდნენ პროლეტარული და დემოკრატიული გზის სუსტ შანსებს და ადგნენ მერყევ ტაქტიკას, ეგუებოდნენ იუნკერ ბისმარკის ჰეგემონიას. მათი შეცდომა ის იყო, რომ მუშათა პარტია გადახარეს ბონაპარტისტულ-სახელმწიფო-სოციალისტური გზისაკენ. პირიქით, ბებელი და ლიბკნეხტი თანამიმდევრად იცავდნენ დემოკრატიულ და პროლეტარულ გზას, ებრძოდნენ სულ მცირე დათმობასაც კი პრუსიელობის, ბისმარკელობის, ნაციონალიზმის მიმართ.

და ისტორიამ გაამართლა ბებელი და ლიბკნეხტი, მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ბისმარკისებურად გაერთიანდა. მხოლოდ ბებელისა და ლიბკნეხტის თანამიმდევარმა დემოკრატიულმა და რევოლუციურმა ტაქტიკამ, მხოლოდ

მათმა «დაუთმობლობამ» ნაციონალიზმისადმი, მხოლოდ მათმა შეურიგებლობამ გერმანიის «ზემოდან» გაერთიანებისა და «ზემოდან» განახლების მიმართ შეუწყო ხელი მტკიცე საძირკვლის ჩაყრას ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისთვის. მაშინ კი საქმე ეხებოდა სწორედ პარტიის ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ ს.

თუ ლასალიანელების კეკემალულობამ ბისმარკელობასთან ან მათმა «შეგუებამ» მასთან ზიანი ვერ მიაყენა გერმანიის მუშათა მოძრაობას, ეს მ ხ ო ლ ო დ იმიტომ, რომ ბებელი და ლიბკნეხტი უაღრესად ენერგიული, შეუბრალებელი სიმკაცრით შეებრძოლნენ ამ ზრახვებს.

ხოლო როცა საკითხი ისტორიულად გადაწყდა, ბებელმა და ლიბკნეხტმა ხუთი წლის შემდეგ გერმანიის იმპერიის დაარსებიდან შესძლეს ორი მუშათა პარტიის გაერთიანება და მარქსიზმის ჰეგემონიის უზრუნველყოფა ერთიან პარტიაში.

სულ ახალგაზრდა, 27 წლის ბებელი აირჩიეს გერმანიის პარლამენტში მისი დაარსების დღიდანვე. გერმანიის (და საერთაშორისო) სოციალ-დემოკრატიის საპარლამენტო ტაქტიკის საფუძვლებს, სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც ერთ ნამცეცსაც არ უთმობდა მტრებს, სულ მცირედს შესაძლებლობასაც არ უშვებდა ხელიდან, რომ ცოტათი მაინც გაეუმჯობესებინა მუშების მდგომარეობა და ამავე დროს პრინციპულად-შეურიგებელი და მუდამ მიმართული იყო საბოლოო მიზნის განხორციელებისაკენ, — ამ ტაქტიკის საფუძვლებს იმუშავებდა ბებელი ანდა იმუშავებდნენ მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით.

გერმანიამ, გაერთიანებულმა ბისმარკისებურად, განახლებულმა პრუსიულად და იუნკრულად, მუშათა პარტიის წარმატებებს პასუხი გასცა სოციალისტების საწინააღმდეგო განსაკუთრებული კანონით. ლეგალური პირობები მუშათა კლასის პარტიისათვის დაინგრა, იგი კანონს გარეშე გამოაცხადეს. დადგა მძიმე დრო. მტრების დევნას დაემატა შინაგანი კრიზისი — მერყეობა ტაქტიკის ძირითად საკითხებში. ჯერ

თავი წამოყვეს ოპორტუნისტებმა, რომლებიც შეუშინდნენ ლეგალობის დანგრევას; მათ სევდიან ჰანგზე გააბეს ლაპარაკი — უარი უნდა ვთქვათ შეუკვეცელ ლოზუნგებზეო, ჩვენი ბრალია ყველაფერი, რადგან ძალიან შორს შევტოპეთო და სხვ.. ამ ოპორტუნისტული მიმდინარეობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ჰეხბერგი, სხვათა შორის, ფინანსურ დახმარებას უწევდა პარტიას, რომელიც ჯერ კიდევ სუსტი იყო და ერთბაშად არ შეეძლო საკუთარ ფეხზე დამდგარიყო.

მარქსმა და ენგელსმა ლონდონიდან გააფთრებით გაილაშქრეს სამარცხვინო ოპორტუნისტული მერყეობის წინააღმდეგ. ბებელმა პარტიის ნამდვილი ბელადის თვისებები გამოიჩინა. მან დროზე დაინახა საშიშროება, შეიგნო მარქსისა და ენგელსის კრიტიკის სისწორე, შესძლო პარტიის წარმართვა შეურიგებელი ბრძოლის გზით. დაარსებულ იქნა არალეგალური გაზეთი «სოციალ-დემოკრატ», რომელიც ჯერ ციურიხში გამოდიოდა, შემდეგ ლონდონში. იგი ყოველკვირეულად შეჰქონდათ გერმანიაში და ჰყავდა 10 000 ხელისმომწერი [80]. ოპორტუნისტულ მერყეობას გადაჭრით მოეღო ბოლო.

მეორე მერყეობა იყო დიურინგით გატაცება, გასული საუკუნის 70-იანი წლების დამლევს. ცოტა ხნით ბებელიც იზიარებდა ამ გატაცებას. დიურინგის მომხრეებს, რომელთაგან ყველაზე ცნობილი იყო მოსტი, «მემარცხენეებად» მოჰქონდათ თავი, ისინი სწრაფად მიექანებოდნენ ანარქიზმისაკენ. ენგელსის მკაცრი, გამანადგურებელი კრიტიკა დიურინგის თეორიებისა ბევრმა პარტიულმა წრემ არ მოიწონა, ხოლო პარტიის ერთ ყრილობაზე წინადადებაც კი წამოაყენეს აეკრძალათ ეს კრიტიკა ცენტრალური ორგანოს ფურცლებზე.

მაგრამ სოციალიზმის ყველა ცხოველმყოფელმა ელემენტმა — და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ბებელმა — სწრაფად შეიგნო «ახალი» თეორიების მთელი სიდამპლე, უარყო ისინი და ზურგი შეაქცია ყოველგვარ ანარქისტულ ზრახვებს. პარტიამ, ბებელისა და ლიბკნეხტის ხელმძღვანელობით, ისწავლა არალეგალური და ლეგალური მუშაობის შეერთება. როდესაც პარლამენტის ლეგალური სოციალ-

დემოკრატიული ფრაქციის უმრავლესობამ ოპორტუნისტული პოზიცია დაიკავა სანაოსნო საზოგადოებისთვის სუბსიდიის მიცემის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ კენჭის ყრის ცნობილ საკითხში, — არალეგალურმა «სოციალ-დემოკრატმა» გაილაშქრა ფრაქციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და, ოთხი კვირის ბრძოლის შემდეგ, გაიმარჯვა.

1890 წელს სოციალისტების საწინააღმდეგო განსაკუთრებული კანონი, რომელმაც 12 წელს იარსება, მოისპო. პარტიული კრიზისი, დაახლოებით იმავე ხასიათისა, როგორიც 70-იანი წლების პირველ ნახევარში იყო, კვლავ განმეორდა. ერთი მხრივ, ოპორტუნისტები ფოლმარის მეთაურობით მზად იყვნენ ესარგებლნათ ლეგალობით, რათა ხელი აეღოთ შეუკვეცელ ლოზუნგებსა და შეურიგებელ ტაქტიკაზე. მეორე მხრივ, ეგრეთწოდებული «ახალგაზრდები» «მემარცხენობას» თამაშობდნენ და ანარქიზმისაკენ მიექანებოდნენ. თუ პარტიის ეს კრიზისი მეტად ხანმოკლე და არასერიოზული აღმოჩნდა, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით სწორედ ბებელსა და ლიბკნეხტს, რომლებმაც უაღრესად მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს ორივე სახის მერყეობას.

დაიწყო პერიოდი პარტიის სწრაფად ზრდისა — გაფართოებისა და გაღრმავებისა, პროლეტარიატის ძალების არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრეთვე პროფესიული, კოოპერაციული, საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაციების განვითარებისა. ძნელია იმ გიგანტური პრაქტიკული მუშაობის აღრიცხვა, რაც ბებელმა შეასრულა ყველა ამ სფეროში როგორც პარლამენტარმა, აგიტატორმა, ორგანიზატორმა. ბებელმა სწორედ ამ მუშაობით მოიპოვა პარტიის უდავო და საყოველთაოდ აღიარებული, მუშათა მასების ყველაზე მახლობელი, ყველაზე საყვარელი ბელადის მდგომარეობა.

გერმანიის პარტიის უკანასკნელი კრიზისი, რომელშიც ბებელმა ფრიად აქტიური მონაწილეობა მიიღო, ეს იყო ეგრეთწოდებული «ბერნშტეინიადა». ყოფილი ორთოდოქსალური მარქსისტი ბერნშტეინი გასული საუკუნის მიწურულში დაადგა წმინდა ოპორტუნისტულ, რეფორმისტულ შეხედულე-

ბებს. ცდილობდნენ მუშათა კლასის პარტია გადაექციათ სოციალური რეფორმების წვრილბურჟუაზიულ პარტიად. მუშათა მოძრაობის მოხელეებში, ინტელიგენციაში ახალმა ოპორტუნისტულმა სენმა ბევრი მომხრე იპოვა.

როდესაც ბებელი მთელი ენერგიით ამხედრდა ამ სენის წინააღმდეგ, მან ამით გამოხატა მუშათა მასების განწყობილება და მათი მტკიცე რწმენა, რომ საჭირო იყო ბრძოლა შეუკვეცელი ლოზუნგების სასარგებლოდ. მისი სიტყვები, წარმოთქმული ოპორტუნისტების წინააღმდეგ ჰანოვერისა და დრეზდენის პარტიულ ყრილობებზე, დიდხანს დარჩება მარქსისტულ შეხედულებათა დაცვისა და მუშათა პარტიის ნამდვილი სოციალისტური ხასიათისათვის ბრძოლის ნიმუშად [61]. მუშათა კლასის ძალების მომზადებისა და თავმოყრის პერიოდი ყველა ქვეყანაში შეადგენს პროლეტარიატის მსოფლიო განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარების აუცილებელ ეტაპს. ამ პერიოდის თავისებურებანი და ამოცანები ისე რელიეფურად არავის განუსახიერებია, როგორც ეს ავგუსტ ბებელმა განასახიერა. მან, თვითონ მუშამ, დამოუკიდებლად გაიკაფა გზა მტკიცე სოციალისტური რწმენისაკენ, იგი გახდა მუშათა ბელადის ნიმუში, ადამიანთა საზოგადოების უკეთესი წყობილების შესაქმნელად კაპიტალის დაქირავებული მონების მასობრივი ბრძოლის წარმომადგენლისა და მონაწილის ნიმუში.

«სევერნაია პრავდა» № 6,
1913 წ. 8 აგვისტო
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ
«სევერნაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ლიბერალიზმის გამოყოფა დემოკრატიისაგან

რუსეთში დემოკრატიისაგან ლიბერალიზმის გამოყოფის საკითხი მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. √

რა არის მისი სისუსტის მიზეზი? ის ხომ არა, რომ დემოკ-რატია ს ა კ მ ა ო დ შეგნებულად და გაბედულად ვერ გამო-ეყო ლიბერალიზმს და მისი უძლურება და მერყეობა გადმო-ედო? ან ის ხომ არა, რომ დემოკრატია მეტად ნაადრევად (ან მეტად მკვეთრად და ა. შ.) გამოეყო ლიბერალიზმს, რითაც შეასუსტა «საერთო იერიშის ძალა»?

არა მგონია თუნდ ერთმა კაცმა მაინც, ვისაც თავისუფლე-ბის საქმე აინტერესებს, დაიწყოს დავა იმის წინააღმდეგ, რომ ეს საკითხი დიდად მნიშვნელოვანია. თავისუფლების შეგნებული მომხრე ვერ იქნები, თუ სავსებით გარკვეულად არ გადაწყვიტე ეს საკითხი. ხოლო ის რომ გადაწყვიტო, უნდა იცოდე, რა საზოგადოებრივი ძალები, რა კლასები უჭე-რენ მხარს ლიბერალიზმს და დემოკრატიას, რა პოლიტიკური მისწრაფებები მარხია ამ კლასების ბუნებაში.

ამ სტატიაში ჩვენ გვინდა გავაშუქოთ ეს ძირითადი სა-კითხი საგარეო პოლიტიკის საჭირბოროტო ამბების თვალ-საზრისით. ყველაზე საჭირბოროტო, რა თქმა უნდა, — ეს არის ბალკანეთის მეორე ომი, ბულგარეთის სასტიკი დამარცხება, მისი დამამცირებელი ზავის შეკვრა ბუქარესტში, რუსეთის უშედეგო ცდა, რომ ბრალი დაედო საფრანგეთისთვის

იმის გამო, რომ მან მხარი არ დაგვიჭირა «ჩვენ», და გამოეწვია ზავის პირობების გადასინჯვა.

საფრანგეთისთვის ამ ბრალის დადების, ბალკანეთში რუსეთის «აქტიური» პოლიტიკის განახლების ამ ცდის საქმეში, როგორც ვიცით, შეთანხმდნენ «ნოვოე ვრემია» და «რეჩი». ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეთანხმდნენ, ერთი მხრივ, მებატონე-მემამულეები და რეაქციულ-ნაციონალისტური მმართველი წრეები და, მეორე მხრივ, ლიბერალური ბურჟუაზიის ყველაზე შეგნებული, ყველაზე ორგანიზებული წრეები, რომლებიც დიდი ხანია უკვე იხრებიან იმპერიალისტური პოლიტიკისაკენ.

ამის გამო წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის გარკვეული ფენების შეხედულებათა გამომხატველი ერთ-ერთი პოპულარული პროვინციული გაზეთი, «კიევსკაია მისლ», წერს 1 აგვისტოს ნომრის მეტად საგულისხმო მოწინავე სტატიაში:

«ოპოზიციას და ნაციონალიზმს კი არ გაუცვლიათ ერთმანეთისთვის ადგილები» (როგორც ამტკიცებდა სათათბიროში ბ-ნი მილიუკოვი საგარეო პოლიტიკაზე წარმოთქმულ ცნობილ სიტყვაში), «არამედ ლიბერალიზმი გ ა მ ო ე ყ ო (ხაზგასმა «კიევსკაია მისლისაა») დემოკრატიას ჯერ გაუბედავად, უკან მიხედვით, შემდგომ კი უკვე თავაწეული დაადგა იმავე გზას, პოლიტიკური ავანტიურების გზას, რომლითაც მის წინ, და იმავე სლავოფილური დროშით, მიიმართება ნაციონალიზმი».

და გაზეთი სამართლიანად მოგვაგონებს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, როგორ იჩენდა «რეჩი» «შოვინისტურ ყოყლოჩინობას», როგორ მოგვიწოდებდა გაგველაშქრნა სომხეთისაკენ, ბოსფორისაკენ, გამსჭვალული იყო რა საერთოდ «იმპერიალისტური ტენდენციებით».

«მხარს უჭერს რა — წერს «კიევსკაია მისლ» — საკუთარი რისკით და პასუხისმგებლობით რუსეთის საგარეო პოლიტიკას, რომელიც არ შეიძლება არ იყოს რეაქციულ-ნაციონალისტური პოლიტიკა, რაკი ასეთი რჩება შინაური პოლიტიკის გეზი, ლიბერალიზმი კისრულობს პოლიტიკურ პასუხისმგებლობასაც ამ მხარის დაჭერისათვის».

უდავო ჭეშმარიტებაა. საჭიროა მხოლოდ ბოლომდე მ ო ვ ი ს ა ზ რ ო თ ეს პოლიტიკა. თუ სწორია ის გარემოება, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის გეზს განსაზღვრავს მისი სამი-

ნაო პოლიტიკის გეზი (ეს კი უეჭველად სწორია), განა ეს მხოლოდ რეაქციას ეხება? ცხადია, არა. ცხადია, ეს ეხება ლიბერალიზმსაც.

ლიბერალიზმს არ შეეძლო საგარეო პოლიტიკაში «გამოყოფოდა დემოკრატიას», თუ ის დემოკრატიისაგან გამოყოფილი არ იყო საშინაო პოლიტიკაში. «კიევსკაია მისლი» იძულებულია აღიაროს ეს, როცა ამბობს, რომ «ლიბერალიზმის პოლიტიკური შეცდომის ხასიათი» «მოწმობს დიდი ორგანული მანკის არსებობასო».

სწორედ რომ ასეა! ჩვენ არ ვიხმარდით ამ. ცოტა არ იყოს, მაღალფარდოვან და საკითხის გამაბუნდოვანებელ გამოთქმას და ვიტყოდით მხოლოდ: ბურჟუაზიის ორმა კლასობრივი ინტერესები. ლიბერალიზმის ამ კლასობრივმა ინტერესებმა აიძულა იგი შეშინებულიყო (განსაკუთრებით 1905 წელს) დემოკრატიული მოძრაობით და გადაეხვია მარჯვნივ — როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

პირდაპირ სასაცილო იქნებოდა ის ადამიანი, ვისაც ჭკუაში მოუვიდოდა უარეყო კადეტთა დღევანდელი იმპერიალიზმისა და შოვინიზმის კავშირი სათათბიროს მოფრთხილების კადეტურ-ოქტიაბრისტულ ლოზუნგთან 1907 წლის გაზაფხულზე; ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების წინააღმდეგ 1906 წლის გაზაფხულზე კადეტთა ხმისმიცემის კავშირი კადეტთა 1905 წლის შემოდგომის გადაწყვეტილებასთან ბულიგინის სათათბიროში მონაწილეობის მიღების შესახებ. ეს არის ერთი პოლიტიკა ერთი და იმავე კლასისა, რომელსაც რევოლუციისა უფრო მეტად ეშინია, ვიდრე რეაქციისა.

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის სისუსტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ეს ჭეშმარიტება არ ესმით საერთოდ წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენებს და კერძოდ წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს, მწერლებს, იდეურ ბელადებს.

მიუხედავად ლიბერალების ზღაპრებისა, თავის ქნევით რომ ანიშნებდნენ მემარცხენეთა «შეურიგებლობაზე», რათა

დაეფარათ მემარჯვენეებთან შერიგებისკენ გადადგმული ნაბიჯები, მუშათა დემოკრატია ლიბერალებსა და მემარჯვენეებს არასდროს არ უყურებდა როგორც «ერთ რეაქციულ მასას» [82], არასდროს არ იღებდა ხელს მათი უთანხმოების გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა ზ ე (თუნდაც, მაგალითად, სათათბიროს არჩევნების მეორე სტადიაზე) განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებისთვის. მაგრამ ის ამოცანად ისახავდა — და მუდამ უნდა ისახავდეს — ლიბერალიზმის მერყეობის ნ ე ი ტ რ ა ლ ი ზ ე ბ ა ს, ლიბერალიზმისა, რომელიც შეიძლება იმპერიალიზმმა «გაიტაცოს» სტოლიპინის ან მაკლაკოვის დროს.

რუსეთის დემოკრატია ერთ სერიოზულ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ისე, თუ ვერ შეიგნო ის ღრმა კლასობრივი ფესვები, რომლებიც ლიბერალიზმს ჰ ყ ო ფ ს დემოკრატიისაგან, — თუ ეს შეგნება ვერ გაავრცელა მ ა ს ე ბ შ ი, — და ამრიგად თუ ვერ ისწავლა «სახალხო თავისუფლების» საქმისთვის ლიბერალიზმის ღალატისა და მერყეობის ნეიტრალიზება. უამისოდ — ზედმეტია ტყუილად ლაპარაკი განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებათა შესახებ.

«სევერნაია პრავდა» № 9,
1913 წ. 11 აგვისტო
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
«სევერნაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

შესანიშნავი საქმე

კურთხეულ დედა-რუსეთში ჯერ კიდევ მრავალია ისეთი კუთხე, სადაც ბატონყმობა თითქოს გუშინ იყოო. აიღეთ, მაგალითად, ურალი. მემამულეები აქ ათი ათასობით დესეტინა მიწას ფლობენ. ქარხნები (ე. ი. იგივე მემამულეები) უკრძალავენ შინამრეწველთ განავითარონ წვრილი მრეწველობა. გლეხები დღემდე დამოკიდებული არიან მემამულეებზე, დღემდე არ მიუციათ მათთვის მიწა.

ხოლო ურალი პატარა «კუთხე» როდია — ეს არის უზარმაზარი და უმდიდრესი ოლქი.

ურალის სტროგანოვისეული ქარხნების ბუშებსა და უმდიდრესი მემამულის სტროგანოვის ქარხნების სამმართველოს შორის მრავალი წლის განმავლობაში ირჩეოდა საქმე 1862 (ს ა მ ო ც დ ა ო რ ი!) წლის კანონის მიხედვით გლეხთათვის მიწის მიცემის შესახებ.

ბოლოს, ეს საქმე დამთავრდა «უმაღლესი დაწესებულების», სენატის, გადაწყვეტილებით 1909 წლის გაზაფხულზე. სენატმა უბრძანა პერმის საგუბერნიო საკრებულოს მიეცათ მიწა გლეხებისთვის, გ ა მ ო ე ყ ე ნ ე ბ ი ნ ა თ 1862 წლის კანონი.

ამრიგად, კანონის გამოცემის დროიდან 47 წლის შემდეგ სენატმა უბრძანა მემამულეებს გამოიყენონ კანონი.

მერე რა მოხდა?

მოხდა ის, რომ მემამულეებმა შესჩივლეს მიწათმფლობელ სტოლიპინს, რომელიც მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. კანონით სენატი შინაგან საქმეთა მინისტრზე მაღლა

დგას, მაგრამ სტოლიპინმა «გავლენა მოახდინა კანონზე» და პერმის გუბერნატორს გაუგზავნა დეპეშა: შეაჩერეთ სენატის ბრძანების შესრულებაო.

გუბერნატორმა შეაჩერა. დაიწყო ახალი მიწერ-მოწერა. ახალი დავიდარაბა.

ბოლოს, სახელმწიფო საბჭო დაეთანხმა სენატის აზრს, და სახ. საბჭოს გადაწყვეტილებაც «ეღირსა უმაღლეს სანქციას», ე. ი. უმაღლესი ხელისუფლების მხრივ დამტკიცებას.

მერე რა მოხდა?

მოხდა ის, რომ მემამულეებმა მიმართეს მიწათმფლობელ ნ. ა. მაკლაკოვს, რომელიც სტოლიპინის ნაცვლად შინაგან საქმეთა მინისტრი აღმოჩნდა. ურალელი მემამულეების დეპუტაციამ «დაარწმუნა» მინისტრი. მინისტრმა განაცხადა, სენატისა და სახ. საბჭოს გადაწყვეტილება «გაურკვეველიაო».

დაიწყო ახალი მიწერ-მოწერა. ახალი დავიდარაბა.

სენატმა ერთხელ კიდევ — 1913 წლის მაისში — გამოიტანა გადაწყვეტილება არა მინისტრის სასარგებლოდ.

ურალელმა მემამულეებმა კვლავ გაუგზავნეს «ბარათი» მინისტრს...

ასეა საქმე გაჩერებული. ასეა დღემდე; ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, 1862 წელს კანონი გამოვიდა ურალელი მუშებისთვის მიწის მიცემის შესახებ, მაგრამ მათ მიწა ჯერაც არ მიუღიათ.

ლიბერალური გაზეთები მოგვითხრობენ ამ საგულისხმო საქმეს და იმ დასკვნამდე მიდიან, რომ რუსეთში ცუდადაა «სამართლის ბატონობის» საქმეო. ეს მართალია. მაგრამ ეს არცთუ მთლად მართალია.

სასაცილოა ლაპარაკი «სამართალზე», როდესაც მემამულეები კიდევაც სცემენ კანონებს და კიდევაც იყენებენ ან აუქმებენ მათ სინამდვილეში. მაშასადამე, ყოფილა ისეთი კლასი, რომელიც თვითონ ქმნის «სამართალს» და თვითონვე აუქმებს მას. მაშასადამე, ლიბერალური სიტყვები «სამართალსა» და «რეფორმებზე» ცარიელი ყბედობაა.

მემამულეებიც იცავენ «სამართალს» — ოღონდ მემამულეთა სამართალს, საკუთარ სამართალს, თავისი კლასის სამართალს.

თუ ასეთი საგულისხმო ფაქტების მოწმე ლიბერალები მაინც გაურბიან კლასობრივი ბრძოლის «მოძღვრებას», თვლიან მას შეცდომად და სხვ., ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ ლიბერალებს სინდისი სუფთა არა აქვთ. იქნებ ლიბერალებს უნდათ, რომ პრივილეგიები გაინაწილონ მემამულეებთან ერთად? მაშინ გასაგებია, რატომ არ მოსწონთ მათ კლასობრივი ბრძოლის «მოძღვრება».

მაგრამ მუშებისა რა ბრალია, თუ მათს «მოძღვრებას» ცხოვრება ადასტურებს!

«სევერნაია პრავდა» № 14,
1913 წ. 18 აგვისტო
ხელმოწერა: ი.

იბეჭდება
გაზეთ «სევერნაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ებრაული სკოლის ნაციონალიზაცია

ძთავრობის პოლიტიკა მთლიანად გაჟღენთილია ნაციონალიზმის სულით. ცდილობენ ყოველგვარი პრივილეგიები მიანიჭონ «გაბატონებულ», ე. ი. ველიკორუსულ ეროვნებას, — თუმცა რუსეთში ველიკორუსები მოსახლეობის უმ ც ი რ ე ს ო ბ ა ს შეადგენს, სახელდობრ, მხოლოდ 43%-ს.

ცდილობენ სულ უფრო და უფრო შეკვეცონ რუსეთში მოსახლე ყველა დანარჩენი ეროვნების უფლებები, გააცალკეონ ერთიმეორისაგან და გააღვივონ მტრობა მათ შორის.

თანამედროვე ნაციონალიზმის უკიდურესი გამოხატულება — ეს არის ებრაული სკოლის ნაციონალიზაციის პროექტი. ეს პროექტი დაებადა ოდესის სასწავლო ოლქის მზრუნველს, და სახალხო «განათლების» სამინისტროც თანაგრძნობით შეხვდა მას. რაში მდგომარეობს ეს ნაციონალიზაცია?

იმაში, რომ სურთ ებრაელები გამოჰყონ ებრაელთა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ (საშუალო) სასწავლებლებში. ყველა დანარჩენი, როგორც კერძო, ისე მთავრობის, სასწავლებლის კარი კი სურთ დაუკეტონ ებრაელებს. ამ «გენიალური» გეგმის დასაგვირგვინებლად განზრახულია ებრაულ გიმნაზიებში მოსწავლეთა რიცხვის შეზღუდვა განთქმული «პროცენტული ნორმით»!

ყველა ევროპულ ქვეყანაში ებრაელთა წინააღმდეგ ასეთი ზომები და კანონები არსებობდა მხოლოდ შუა საუკუნეების, ინკვიზიციის, ერეტიკოსთა დაწვისა და სხვა მშვენიერებათა შავბნელ ეპოქაში. ევროპაში ებრაელებს დიდი ხანია სრული თანასწორუფლებიანობა მიენიჭათ და ისინი

სულ უფრო და უფრო ითქვიფებიან იმ ხალხში, რომლის შორისაც ცხოვრობენ.

საერთოდ ჩვენს პოლიტიკაში, განსაკუთრებით კი აღნიშნულ პროექტში, ებრაელთა შევიწროებისა და ჩაგვრის გარდა ყველაზე მავნებელია მისწრაფება ნაციონალიზმის გაღვივებისა, სახელმწიფოში ერთ-ერთი ეროვნების მეორისაგან განცალკევებისა, მათი განმარტოების გაძლიერებისა, მათი სკოლების გამოყოფისა.

მუშათა კლასის ინტერესები — როგორც საერთოდ პოლიტიკური თავისუფლების ინტერესები, — პირიქით, მოითხოვს ამა თუ იმ სახელმწიფოს გამოუკლებლივ ყველა ეროვნების უაღრესად სრულ თანასწორუფლებიანობას და ერთა შორის ყოველგვარი ზღუდის მოშლას, ყოველგვარ ერთა ბავშვების შეერთებას ერთიან სკოლებში და სხვ.. მუშათა კლასს მხოლოდ მაშინ შეუძლია ძალას წარმოადგენდეს, გაუმკლავდეს კაპიტალს და სერიოზულად გაიუმჯობესოს ცხოვრება, თუ უკუაგდებს ყველა ველურ და უგუნურ ნაციონალურ ცრურწმენას და გააერთიანებს ყველა ერის მუშებს ერთ კავშირად.

შეხედეთ კაპიტალისტებს: ისინი ცდილობენ გააღვივონ ნაციონალური მტრობა «უბრალო ხალხში», თვითონ კი ჩინებულად აჭახრაკებენ თავიანთ საქმეებს: ერთ და იმავე სააქციო საზოგადოებაში რუსებიც არიან, უკრაინელებიც, პოლონელებიც, ებრაელებიც და გერმანელებიც. მუშების წინააღმდეგ გაერთიანებული არიან ყველა ერისა და სარწმუნოების კაპიტალისტები, ამავე დროს კი ცდილობენ მუშები დაანაწილონ და დაასუსტონ ნაციონალური მტრობით!

ებრაული სკოლის ნაციონალიზაციის უაღრესად მავნე პროექტი, სხვათა შორის, ცხადყოფს, რა მცდარია ეგრეთწოდებული «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» გეგმა, ე. ი. სასკოლო საქმის სახელმწიფოსათვის ჩამორთმევისა და თვითეული ცალკეული ერის ხელში გადაცემის გეგმა. ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ სრულიადაც არა ამას, არამედ ყველა ერის მუშათა შეერთებას ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ნა-

ციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ნამდვილი დემოკრატიული საერთო სკოლისა და საერთოდ პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მთელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მაგალითი — თუნდაც შვეიცარიისა დასავლეთ ევროპაში ანდა ფინეთისა აღმოსავლეთ ევროპაში — გვიჩვენებს, რომ მხოლოდ თანამიმდევრად დემოკრატიული საერთოსახელმწიფოებრივი დაწესებულებები უზრუნველყოფენ სხვადასხვა ეროვნების ყველაზე მშვიდობიან და ადამიანურ (და არა მხეცურ) თანაცხოვრებას ისე, რომ სასკოლო საქმე ხელოვნურად და მავნედ არ გაიყოს ეროვნებათა მიხედვით.

«სევერნაია პრავდა» № 14,
1913 წ. 18 აგვისტო
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «სევერნაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რკინა გლეხურ მეურნეობაში

ამას წინათ ჩვენი მრეწველობის მილიონერების, ყრილობათა საბჭოს ორგანო «პრომიშლენნოსტ ი ტორგოვლია» რაღაც სულელური ფარისევლობით თუ ფარისევლური სისულელით ოხრავდა იმის გამო, რომ, როცა ლაპარაკი ჩამოვარდება უმნიშვნელოვანესი პროდუქტების სულობრივ მოხმარებაზე, რუსეთი ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნის, ესპანეთის, მეზობელი გამოდისო.

თანამედროვე მრეწველობის ერთ-ერთი მთავარი პროდუქტის, შეიძლება ითქვას, ცივილიზაციის ერთ-ერთი საძირკვლის — რკინის მხრივ რუსეთის ჩამორჩენილობა და ველურობა განსაკუთრებით დიდია.

«რუსულ სოფელში — აღიარებდა მილიონერთა ორგანო — რკინისთვლიანი ფორანი ჯერ კიდევ იშვიათი ამბავიაო».

მაგრამ დამოკიდებულია თუ არა კულტურის ეს «იშვიათობა» რუსულ სოფელში ბატონყმური ურთიერთობისა და მებატონე-მემამულეთა (რომელთაც ასე ეგებიან ფეხქვეშ ჩვენებური კაპიტალიზმის «ბობოლები») ყოვლისშემძლეობის ს ი ხ შ ი რ ე ზ ე, — ამაზე მილიონერები მოკრძალებით სდუმან.

ჩვენ დიდი ოსტატები და დიდი მოყვარული ვართ ყბედობისა კულტურაზე, საწარმოო ძალთა განვითარებაზე, გლეხური მეურნეობის გაუმჯობესებაზე და სხვ.. მაგრამ როგორც კი ჩამოვარდება ლაპარაკი იმ ლოდის თავიდან მოშო-

რებაზე, რომელიც ხელს უშლის მილიონობით გაღატაკებული, დაბეჩავებული, მშიერ-მწყურვალი, ფეხშიშველი, ველური გლეხობის «წელში გამართვას», — აქ ჩვენებურ მილიონერებს ენა მუცელში უვარდებათ.

აი უნგრეთის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ მემამულეების მიერ გლეხთა შევიწროების მნიშვნელობას რკინის მოხმარების ოდენობის საკითხში, ესეიგი ამ ქვეყნის კულტურის რკინის საძირკვლის სიმტკიცის საკითხში.

უნგრეთი, როგორც ვიცით, ყველაზე ახლოსაა რუსეთთან არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ იმ მემამულე-რეაქციონერების ყოვლისშემძლეობითაც, რომლებსაც შუასაუკუნეების დროიდან შეუნარჩუნებიათ მიწის გიგანტური რაოდენობა.

გერმანიაში, მაგალითად, 23 ათას მეურნეობას 5½ მილიონიდან 100 ჰექტარზე მეტი მიწა აქვს თვითეულს, ისინი ფლობენ მთელი მიწის ¼-ზე ნაკლებს, უნგრეთში კი ასეთი მეურნეობანია 24 ათასი 2,8 მილიონიდან, და მათ ხელშია ამ ქვეყნის მთელი მიწის 45%!! ოთხი ათასი უნგრელი მაგნატი ფლობს 1 000 დესეტინაზე მეტს თვითეული, ყველანი კი — მთელი მიწის თითქმის მესამედს. როგორც ხედავთ, ეს უკვე დიდად არ ჩამორჩება «დედა-რუსეთს».

უნგრეთის სტატისტიკამ (1895 წლისა) განსაკუთრებით დაწვრილებით გამოიკვლია რკინის საკითხი გლეხურ მეურნეობაში. აღმოჩნდა, რომ 2,8 მილიონი მეურნეობიდან ერთნახევარი მილიონი მოჯამაგირეთა (ანუ პროლეტარული) მეურნეობა (5 იოხამდე, ე. ი. 2,85 დესეტინამდე), ოგრეთვე ერთი მილიონი წვრილი გლეხური მეურნეობა (20 იოხამდე, ე. ი. 11 დესეტინამდე) იძულებული არიან დასჯერდნენ ხის ნაკეთობებს.

ამ 2½ მილიონ მეურნეობაში (მეურნეობათა მთელი რიცხვიდან — 2,8 მილიონიდან) უცილობლად სჭარბობს ხისრვილიანი გუთნები, ხისჩარჩოიანი ფარცხები და თითქმის სანახევროდ გავრცელებულია ხისთვლიანი ფორნები.

რუსეთის შესახებ სრული მონაცემები არ არსებობს. ცალკეული ადგილების მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ჩვენში გლეხური მეურნეობების უდიდესი უმრავლესობა ბევრად უფრო გაღატაკებული, პრიმიტიული და გავერანებულია, ვიდრე უნგრეთში.

სხვანაირად შეუძლებელიცაა. რკინისთვლებიანი ფორანი რომ იშვიათობა არ იყოს, ამისათვის საჭიროა გვყავდეს თავისუფალი, კულტურული, გაბედული, მონათმფლობელთა ამლაგმველი ფერმერი, რომელიც ამსხვრევს რუტინას და სახელმწიფოს მთელი მიწის ბატონ-პატრონია. ხოლო «კულტურა» მოსთხოვო გლეხს, რომელსაც დღემდე ავიწროებენ მარკოვები და პურიშკევიჩები და მათი მიწათმფლობელობა — ეს იგივეა, რომ ჰუმანურობა მოსთხოვო სალტიჩიხას.

ჩვენი მრეწველობის მილიონერები ამჯობინებენ პურიშკევიჩების შუასაუკუნებრივი პრივილეგიები გაინაწილონ და ამავე დროს იწუხონ იმაზე, რომ როგორმე იხსნან «სამშობლო» შუასაუკუნებრივი ანტიკულტურულობისაგან...

«სევერნაია პრავდა» № 16,
1913 წ. 21 აგვისტო
ხელმოწერა: ნ. ნ.

იბეჭდება
გაზეთ «სევერნაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მელითონეთა გაფიცვები 1912 წელს

მოსკოვის სამრეწველო რაიონის მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზოგადოებამ მიმდინარე წელს გამოსცა (მოსკოვი, 1913 წ., სტამბა პ. პ. რიაბუშინსკისა) თავისი 1912 წლის საქმიანობის რაღაც ანგარიშის მსგავსი რამ. ამ ანგარიშის თითქმის ყველაზე საინტერესო ნაწილს წარმოადგენს მონაცემები რუსეთის სხვადასხვა რაიონის საგაფიცვო მოძრაობის შესახებ.

I

1911 წელს რუსეთში გაფიცულ მუშათა მთელ რიცხვს მოსკოვის მეფაბრიკეთა საზოგადოება განსაზღვრავს 96 750-ით და 1912 წელს — 211 595-ით. ეს ციფრები ეხება მ ხ ო ლ ო დ ეკონომიურ გაფიცვებს. პოლიტიკურ გაფიცულთ საზოგადოება ანგარიშობს 850 ათასს 1912 წელს, 8 ათასს 1911 წელს და 4 ათასს — 1910 წელს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოველი ბობოლების საზოგადოება ლენის 6 000 გაფიცულს სრულიად არ ანგარიშობს იმ «ოფიციალურ ცნობებთან შედარების გასაადვილებლად», რომელნიც არ მოიცავენ საფაბრიკო ინსპექციის მეთვალყურეობისადმი დაუქვემდებარებელ საწარმოებს. რასაკვირველია, ასეთი შედარების სისწორის გარანტიები ჩვენ მაინც არა გვაქვს: ბატონ მექარხნეებს განუზრახავთ მიბაძონ ჩვენი ოფიციალური სტატისტიკის ცუდ მხარეებს, ისინი არ ზრუნავენ არც თავიანთი მონაცემების სისრულეზე და არც მთვლელთა წესიერებაზე. მაგალითად, ნაკრები ცხრილი გაფიცულთა რიცხვის შესახებ (ანგარიშის 23-ე გვ.) პირდაპირ გვანცვიფ-

რებს უაღრესად უხეში შეცდომებით, რომელთა გასწორებას შევეცადეთ ზემოაღნიშნული ჯამების მოყვანის დროს. ეს ცხრილი პოლონეთის სამეფოში მ თ ე ლ ი 1912 წლის განმავლობაში გაფიცულ მელითონეთა რიცხვს განსაზღვრავს 2 390 კაცით, ხოლო 56-ე გვერდზე გვეუბნებიან, 1912 წლის შ ვ ი დ ი თ ვ ი ს განმავლობაში პოლონეთის სამეფოში გაიფიცა 3 790 მელითონეო!

სასურველია, რომ ჩვენი კიტ-კიტიჩები ქირაობდნენ თვლის მცოდნე მწერლებს, ანდა თავიანთ სტატისტიკას შესამოწმებლად და გასასწორებლად აძლევდნენ მუშათა პროფესიულ საზოგადოებებს.

ვნახოთ, რა როლი შეასრულეს მელითონეებმა 1912 წლის ეკონომიურ საგაფიცვო მოძრაობაში, მეფაბრიკეთა მონაცემების მიხედვით.

ამ მონაცემების მიხედვით გაფიცულთა საერთო რიცხვი — 211 595 ნაწილდება ასე: მელითონენი — 78 195, ფეიქრები — 89 540 და მრეწველობის ყველა სხვა დარგის მუშები — 43 860. რადგან რუსეთში მელითონე ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ფეიქარი, ეს მონაცემები ერთბაშად გვიჩვენებენ, რომ 1912 წელს მ ე ლ ი თ ო ნ ე ნ ი მრეწველობის სხვა დარგების მუშებთან შედარებით ფრიად შეუპოვარ და მედგარ საგაფიცვო ბრძოლას ეწეოდნენ. ამ დასკვნის უფრო ზუსტად გამოსახატავად შევადაროთ ერთმანეთს რუსეთის მუშების საერთო რიცხვი და 1912 წელს გაფიცულთა რიცხვი.

	რუსეთის მუშათა მთელი რიცხვი		
	1908 წლის მონაცემების მიხედვით (სამთამადნო მუშების ჩათვლით)	1910 წლის მონაცემების მიხედვით (სამთამადნო მუშების ჩაუთვლელად)	1912 წელს გაფიცულთა რიცხვშია (მეჭარხნეთა საზოგადოების ცნობებით)
მელითონეები	529 274	280 194	78 195
ფეიქრები	823 401	840 520	89 540
სხვები	901 112	831 241	43 860
ს უ ლ	2 253 787	1 951 955	211 595

ეს მონაცემები ცხადყოფენ, რომ საგაფიცვო ბრძოლის ენერგიის მხრივ მელითონეებს უკავიათ პირველი ადგილი, მეორე ადგილი ეკუთვნით ფეიქრებს, ხოლო უკანასკნელი ადგილი — მრეწველობის სხვა დარგთა მუშებს.

«სხვა» მუშებიც რომ ისევე ენერგიულად გაფიცულიყვნენ, როგორც მელითონეები, ეს გაფიცულთა რიცხვს 90 ათასით მაინც გაადიდებდა.

ეჭვს გარეშეა, რომ მელითონეთათვის უფრო ხელსაყრელმა 1912 წლის ბაზრის პირობებმაც გაუადვილეს მათ საგაფიცვო ბრძოლა, მაგრამ, თუ ბრძოლის შეუპოვრობით მელითონენი ყველაზე მაღლა დგანან, ეკონომიურ გაფიცვათა წ ა რ მ ა ტ ე ბ ი ს მხრივ «სხვები», როგორც დავინახავთ, ყველაზე საუკეთესო პირობებში იყვნენ.

II

საგაფიცვო ბრძოლის შეუპოვრობა, სხვათა შორის, განისაზღვრება გაფიცვათა საშუალო ხანგრძლივობით. ამ საშუალო ხანგრძლივობას ვღებულობთ გაფიცვით გაცდენილ სამუშაო დღეთა მთელი რიცხვის გაყოფით გაფიცულთა რიცხვზე.

აი მექარხნეთა საზოგადოების ციფრები:

		გაფიცვათა საშუალო ხანგრძლივობა
1895 — 1904	წლები	4,8 დღე
1909	წელი.....	6,5 »
1911	»	8,2 »
1912	»	13,4 »

«აღმოჩნდა, — ნათქვამია ანგარიშში, — რომ მუშების წინააღმდეგობა 1912 წელს თითქმის ერთიორად გადიდდა 1911 წლის მიმართ». დავუმატებთ, რომ, თუ ავიღებთ 1912 წლის უკანასკნელი 7 თვის მონაცემებს (მართალი რომ ვთქვათ, ამ ანგარიშში სწორედ მხოლოდ ეს მონაცემებია დამუშავებული ასე თუ ისე გვარიანად), გაფიცვის საშუალო ხანგრძლივობა გამოვა 1 6 დ ღ ე.

მაშასადამე, მუშების შეუპოვრობა საგაფიცვო ბრძოლაში უეჭველად მატულობს, და რაც უფრო ხანი გადის, მით უფრო.

წარმოების დარგთა მიხედვით გაფიცვის ხანგრძლივობა იყო:

	1911 წელს	1912 წელს	1912 წლის უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში
მელითონეთა	10,0 დღე	14,2 დღე	18,8 დღე
ფეიქართა	9,2 »	11,9 »	14,0 »
სხვათა	5,0 »	15,6 »	16,8 »
ყველა წარმოებაში	8,2 »	13,4 »	16,0 »

როგორც ვხედავთ, გაფიცვათა ხანგრძლივობის მხრივ მელითონეებს პირველი ადგილი ეკავათ 1911 წელსაც და 1912 წლის მეორე ნახევარშიც. მხოლოდ 1912 წლის პირველ ნახევარში ეს პირველი ადგილი დაიკავეს «სხვებმა», მელითონენი კი მეორე ადგილას აღმოჩნდნენ. გაფიცვათა ხანგრძლივობის მხრივ ფეიქრებს მთელი აღნიშნული დროის განმავლობაში მეორე ადგილი ეკავათ.

III

გაფიცვების საერთო შედეგებს ბატონი მექარხნეები იმით არკვევენ, რომ ანგარიშობენ გაფიცვით გამოწვეულ «მრეწველობის ზ ა რ ა ლ ს». ხოლო მუშათა კლასმა თუ რა მოიგო გაფიცვებით, ჩვენს კაპიტალისტებს ამის გამოანგარიშება სულაც არა სურთ! აი მეფაბრიკეთა სტატისტიკის შედეგები:

მრეწველობის დარგები	მრეწველთა პირდაპირი ზარალი (ეკონომიური) გაფიცვებით	მუშების დანაკარგი ხელფასი	ქვეყნის დანაკარგი წარმოების დანაკლისით
	(ათასობით მან.)		
ლითონის	558	1 145	4 959
საფეიქრო	479	807	6 010
სხვა	328	529	3 818
სულ 1912 წლის განში	1 365	2 481	14 787
» 1911 » »	402	716	4 563

აქედან ჩანს, რომ 1912 წელს კაპიტალისტებმა ე რ თ ი-
ს ა მ ა დ მეტი ზარალი ნახეს გაფიცვებით, ვიდრე 1911 წელს.

მაგრამ — გვეტყვიან ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლები — «ქვეყანამაც» ხომ ერთისამად მეტი იზარალა, მუშებმაც ერთისამად მეტი დაკარგეს ხელფასის სახით, ამასთან მუშების დანაკარგი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეფაბრიკეთა ზარალიო!

ისე გამოდის, — მეფაბრიკეთა სტატისტიკისა და ბურჟუაზიული ლოგიკის მიხედვით, — რომ ეს უგუნური მუშები გაფიცვებით მხოლოდ საკუთარ თავს ვნებენ, და რომ გულშემატკივარი ხელისუფალნი კეთილმოწყალე კაპიტალისტებთან ერთად გაფიცვების დევნით სწორედ მუშების ინტერესებზე ზრუნავენ...

მაგრამ აი იგივე მექარხნეები გვატყობინებენ: 1911 წლის 96 730 გაფიცულის შესახებ შევძელით გამოგვერკვია გაფიცვათა შედეგებიო.

47 369 მუშა (ე. ი. 49%) დ ა მ ა რ ცხ დ ა საგაფიცვო ბრძოლაში, 49 361 მუშამ კი (ე. ი. 51%) სრული ან ნაწილობრივი დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა მიიღო, ე. ი. გაიმარჯვა.

მეფაბრიკეთა სტატისტიკას და ბურჟუაზიულ ეკონომიას გაფიცვების სწორედ ამ შედეგის აღრიცხვა არ უყვარს! და ვერც აღრიცხავს მას მანეთებით: ძლევამოსილ გაფიცვებს, გარდა ხელფასის მომატებით გამოწვეული პირდაპირი მოგებისა, მუშებისთვის მოაქვს კიდევ ერთი «მოგება». მთელი მუშათა კლასი — და, მაშასადამე, მთელი ქ ვ ე ყ ა ნ ა ც (მშრომელი მასებისა და არა ბურჟუაზიული უმცირესობის ქვეყანა) — მოგებული რჩება იმ წინააღმდეგობით, მუშები რომ უწევენ ბატონ ექსპლოატატორებს გაფიცვებით. ასეთი წინააღმდეგობის გაუწევლად მუშები სულ ერთიანად ცხოვრების სიძვირით დაბეჩავებულ მათხოვრებად გადაიქცეოდნენ, — ასეთი წინააღმდეგობის გაუწევლად ისინი ადამიანებიდან კაპიტალის ნამდვილ მონებად გადაიქცეოდნენ.

მეფაბრიკეთა სტატისტიკის მიხედვით, 1912 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში გაფიცვების წარმატება შემცირდა: გაფიცული მუშების 52% დამარცხდა, გაიმარჯვა მხოლოდ 36%-მა და 11%-ის მიმართ გაფიცვათა შედეგები გამოურკვეველი დარჩა. მაგრამ ჩვენ აქ უფრო გულდასმით უნდა განვიხილოთ გაფიცულ მელითონეთა როლი საერთოდ რუსეთში და განსაკუთრებით მის სხვადასხვა რაიონში.

IV

როგორც უკვე მოვიხსენიეთ, მოსკოვის მექარხნეთა საზოგადოება გაფიცვების შესახებ რამდენადმე დამუშავებულ ცნობებს იძლევა მხოლოდ 1912 წლის უკანასკნელი 7 თვისას. ეს ცნობები მოიცავს რუსეთის 5 რაიონს: მოსკოვის, პეტერბურგის, ბალტიისპირეთის, სამხრეთისა და პოლონეთის სამეფოს.

აღნიშნული თვეების განმავლობაში გაფიცული მელითონეები რაიონების მიხედვით ნაწილდებიან შემდეგნაირად:

რაიონები	გაფიცულ (1912 წლის უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში) მუშათა რიცხვი	
	სულ	მათ შორის მელითონენი
მოსკოვის	48 140	3 760
პეტერბურგის	35 390	15 160
ბალტიისპირეთის	13 210	1 160
სამხრეთის	22 195	16 605
პოლონეთის სამეფოს	12 690	3 790
სულ	131 625	40 475

ამრიგად, სამხრეთში მელითონენი სჭარბობენ გაფიცულ მუშათა საერთო რიცხვში. პეტერბურგის რაიონში ისინი შეადგენენ გაფიცულთა მეტად მნიშვნელოვან ნაწილს (40%-ზე მეტს) და ჩამორჩებიან მხოლოდ ფეიქრებს (16 770 გაფიცულს პეტერბურგის რაიონში). მოსკოვის, ბალტიისპირეთისა და პოლონეთის რაიონებში მელითონენი შეადგენდნენ გაფიცულთა უმნიშვნელო უმცირესობას.

1912 წლის პირველ 5 თვეს თუ შევადარებთ უკანასკნელ 7 თვეს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

	გაფიცულ მუშათა რიცხვი 1912 წლის	
	პირველი 5 თვის განმავ-ლობაში	უკანასკნელი 7 თვის განმავლო-ბაში
მელითონეები	37 720	40 475
ფეიქრები	22 950	66 590
სხვები	19 300	24 560
ს უ ლ	79 970	131 625

წლის მეორე ნახევარში მელითონეთა საგაფიცვო ენერგია რამდენადმე შესუსტდა; — ძალიან გაძლიერდა ფეიქართა საგაფიცვო ბრძოლა; — და დაახლოებით იმავე დონეზე დარჩა მრეწველობის სხვა დარგთა მუშების საგაფიცვო მოძრაობა.

V

გაფიცვათა წარმატების მხრივ მოსკოვის მექარხნეთა საზოგადოება გაფიცულ მუშებს ყოფს სამ ჯგუფად: დამარცხებულნი, გამარჯვებულნი (სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილეს) და გაფიცულნი, რომელთა ბრძოლის შედეგები გამოურკვეველია.

ეს საკითხი გაფიცვის სტატისტიკის ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო საკითხია. მილიონერთა საზოგადოებას ის ცუდად დაუმუშავებია: მაგალითად, არ არის მონაცემები შეტევითს გაფიცვებსა (ე. ი. ისეთ გაფიცვებზე, როცა მუშები მოითხოვენ თავიანთი საარსებო და სამუშაო პირობების გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ ა ს) და თავდაცვითს გაფიცვებზე (როცა მუშები ეწინააღმდეგებიან კაპიტალისტების მიერ მუშათა საარსებო პირობების გ ა მ ა უ ა რ ე ს ე ბ ე ლ ცვლილებათა შემოღებას). შემდეგ, არ არის დაწვრილებითი ცნობები გაფიცვათა მიზეზების შესახებ (ასეთი ცნობები ჩვენს ოფიციალურ სტატისტიკაშიც კი მოიპოვება) და სხვ.

გარდა ამისა, მოსკოვის მექარხნეთა საზოგადოებას არსებული ცნობებიც მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლად დაუმუშავებია. თვალში გვხვდება მონაცემების პირდაპირი დამახინჯების შემთხვევებიც კი; მაგალითად, მოსკოვის რაიონში

გამარჯვებულ მელითონეთა რიცხვი ნაჩვენებია სულ 40 კაცის რაოდენობით (ამასთანავე ნაჩვენებია 3 420 დამარცხებული და 300 გაფიცული, რომელთა ბრძოლის შედეგები გამოურკვეველია).

ამასთანავე ანგარიშის ტექსტში, 35-ე გვერდზე, ვკითხულობთ, რომ 1912 წლის ივლისის დამდეგს მუშათა გაფიცვები ხდებოდა მთელ რიგ სამხატვრო-საზეინკლო სახელოსნოებში, რომელთა 15 საწარმოში სულ გაიფიცა 1 2 0 0 კ ა ც ზ ე მ ე ტ ი. გაფიცვა შეტევითი იყო: მუშები მოითხოვდნენ 9 საათის სამუშაო დღის, უქმეების წინ კი 7 საათის სამუშაო დღის შემოღებას, ხელფასის გადიდებას, სანიტარული პირობების გაუმჯობესებას. სახელოსნოების მფლობელნი შეეცადნენ დარაზმულიყვნენ წინააღმდეგობის გასაწევად და ერთსულოვნად გადაწყვიტეს არ დაეთმოთ და არ მიეღოთ გაფიცული ქარხნების შეკვეთები. მაგრამ, როგორც ჩანს, მუშებმა მარჯვედ შეარჩიეს მომენტი: გახურებული საამშენებლო სეზონი იყო, «თავისუფალი მუშების პოვნა ძნელი იყო. ი ვ ლ ი ს ი ს დ ა მ ლ ე ვ ი ს თ ვ ი ს უ მ ე ტ ე ს ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო ე ბ შ ი მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ნ ი დ ა თ მ ო ბ ა ზ ე წ ა ვ ი დ ნ ე ნ».

ასეა ნათქვამი ანგარიშში! სტატისტიკურ ცხრილში კი აღნიშნულია მხოლოდ 4 0 (ო რ მ ო ც ი!) მელითონე, რომელთაც გაფიცვა მოუგიათ. უნებლიეთ გებადება აზრი, ბატონ მეფაბრიკეთა სტატისტიკოსებს განსაკუთრებული სიამოვნებით ხომ არ «ავიწყდებოდათ» სწორედ მუშათა გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი? ხომ არ ცდილობდნენ ისინი — «უნებლიეთ», რა თქმა უნდა, — ესიამოვნებინათ კიტ კიტიჩებისთვის გამარჯვებულ მუშათა რიცხვის შემცირებით.

ყოველ შემთხვევაში ორგანიზებული და შეგნებული მუშებისთვის სავალდებულოა ფრთხილად და უნდობლად მოეპყრან მეფაბრიკეთა სტატისტიკას და გულმოდგინედ ეცადონ შექმნან თ ა ვ ი ა ნ თ ი, მუშათა, საგაფიცვო სტატისტიკა.

მექარხნეთა საზოგადოების საერთო მონაცემები გაფიცვათა წარმატების შესახებ ასეთია:

გაფიცულთა რიცხვი	მელიორონეები	ფეიქრები	სხვანი	სულ
დამარცხებულნი	19 990	43 085	7 150	70 225
გამარჯვებულნი	17 860	20 285	9 520	47 665
გაფიცულნი, რომელთა ბრძოლის შედეგები გამოურკვეველია	2 625	3 220	7 890	13 735
სულ.....	40 475	66 590	24 560	131 625

აქედან ჩანს, რომ ყველაზე მეტი წარმატება ჰქონდა მრეწველობის სხვა დარგების მუშათა გაფიცვებს: გამარჯვებულთა რიცხვი სჭარბობს დამარცხებულთა რიცხვს. მეორე ადგილი უკავიათ მელიორონეებს: გამარჯვებულთა რიცხვი რაც უნდა იყოს მაინც მნიშვნელოვანია და შეადგენს გაფიცულთა მთელი რიცხვის 40%-ზე მეტს. ყველაზე ცუდი შედეგები აქვთ ფეიქრებს: დამარცხებულთა რიცხვი ერთიორად და უფრო მეტადაც სჭარბობს გამარჯვებულთა რიცხვს.

VI

საერთოდ და მთლიანად, 1912 წელს საგაფიცვო ბრძოლის შედეგები თუმცა უარესია, ვიდრე 1911 წელს, მაგრამ მაინც საკმაოდ კარგია. სხვადასხვა წლის შედარების გასაადვილებლად, დავუშვათ, რომ გაფიცულთა რიცხვი, რომელთა ბრძოლის შედეგები გამოურკვეველია, თანაბრად ნაწილდება გამარჯვებულთა და დამარცხებულთა შორის. მაშინ მივიღებთ, რომ 1912 წლის უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში 132 ათასი გაფიცულიდან 77 ათასი (ე. ი. 58,4%) დამარცხდა და 55 ათასმა (ე. ი. 41,6%) გაიმარჯვა.

დანამდვილებით არ შეიძლება თქმა, რომ ეს მონაცემები სავსებით ემთხვეოდეს წინა წლების ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს. მაგრამ ჩვენ მაინც მოვიყვანთ ამ მონაცემებსაც, რათა მუშებს შეეძლოთ განსაჯონ, როგორია ს ა ე რ თ ო დ რუსეთში გაფიცვათა წარმატება მუშათა მოძრაობის საუკეთესო და უცუდეს წლებში.

	გაფიცულ მუშათა რიცხვი (ათასობით)				
	გამარჯვებულნი	%	დამარცხებულნი	%	სულ
1895 — 1904 (10 წლის ჯამი)..	159	37,5	265	62,5	424
1905 წელი.....	705	48,9	734	51,1	1 439
1906 »	233	50,9	225	49,1	458
1907 »	59	29,5	141	70,5	200
1908 »	—	—	—	—	—
1909 »	—	—	—	—	—
1910 »	—	—	—	—	—
1911 »	49	51,0	47	49,0	96
1912 (7 თვე).....	55	41,6	77	58,4	132

ამრიგად, გაფიცულთა შედეგები 1912 წლის მეორე ნახევარში უარესია, ვიდრე 1905, 1906 და 1911 წლებში, მაგრამ უკეთესია, ვიდრე 1895 — 1904 წლებში და უკეთესია, ვიდრე 1907 წელს. ვიმეორებთ, ჩვენს განკარგულებაში არსებულ სხვადასხვა წლის მონაცემებს სრული შესადარისობა, ალბათ, არ ახასიათებს, მაგრამ მათ მაინც შეუძლიათ ერთგვარი წარმოდგენა მოგვცენ საქმის ვითარებაზე.

უნდა ითქვას, რომ ინგლისის გაფიცვათა სტატისტიკის მიხედვით, საშუალოდ ათი წლის განმავლობაში, 1900 — 1909 წლებში, იმ მუშების პროცენტი, რომელთაც გაფიცვა მოიგეს, უდრის 26,8%-ს, რომელთაც წააგეს — 31,7%-ს, ხოლო რომელთაც ბრძოლა კომპრომისით დაამთავრეს — 41,3%-ს. უკანასკნელთ თუ თანაბრად გავანაწილებთ გამარჯვებულთა და დამარცხებულთა შორის, მივიღებთ: გამარჯვებულნი — 47,5%, დამარცხებულნი — 52,3%. გაფიცვებს რუსეთში 1905 და 1906 წლებში — აგრეთვე 1911 წელსაც — უფრო მეტი წარმატება ჰქონდათ, ვიდრე ინგლისის საშუალო წარმატების გაფიცვებს, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელ მუშებს გიგანტური უპირატესობა აქვთ ორგანიზებულობისა და პოლიტიკური თავისუფლების მხრივ.

VII

ინტერესს მოკლებული არ იქნება ერთმანეთს შევადაროთ რუსეთის სხვადასხვა რაიონის მელითონეთა გაფიცვების წარმატებულობა.

ამ მხრივ მოსკოვისა და პეტერბურგის რაიონები ყველა დანარჩენი რაიონისგან განირჩევა. მოსკოვისა და პეტერბურგის რაიონებში 1912 წლის უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში მელითონეთა და საერთოდ ყველა მუშის გაფიცვებს, შედარებით, წარმატება არ ჰქონდათ. საწინააღმდეგო გარემოება იყო დანარჩენ რაიონებში.

აი მოსკოვისა და პეტერბურგის რაიონების მონაცემები:

	გაფიცულ მელითონეთა რიცხვი 1912 წლის უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში	
	მოსკოვის რაიონში	პეტერბურგის რაიონში
დამარცხებულნი	3 420	10 840
გამარჯვებულნი	40	4 170
გამოურკვეველი შედეგებით	300	150
ს უ ლ	3 760	15 160

დამარცხებულ მუშათა რიცხვი დიდად აღემატება გამარჯვებულთა რიცხვს. იგივე შეიძლება ითქვას ორივე რაიონის ფეიქრებზე და «სხვებზე» პეტერბურგის რაიონში. მხოლოდ მოსკოვის რაიონში «სხვები» იძლევიან გამარჯვებულთა მეტ რიცხვს (4 380), ვიდრე დამარცხებულთა (1 230).

ცხადია, მოსკოვისა და პეტერბურგის რაიონებში იყო ერთგვარი საერთო პირობები, რაც ხელსაყრელი არ იყო მრეწველობის თითქმის ყველა დარგის მუშათა გაფიცვებისათვის.

პირიქით, სამხრეთში, ბალტიისპირეთისა და პოლონეთის რაიონებში საერთოდ ყველა დარგის მუშათა გაფიცვებს და კერძოდ მელითონეთა გაფიცვებს წარმატება ჰქონდათ.

	გაფიცულ მელითონეთა რიცხვი 1912 წლის უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში		
	სამხრეთში	ბალტიისპირეთის რაიონში	პოლონეთის სამეფოში
დამარცხებულნი	4 390	440	900
გამარჯვებულნი	10 040	720	2 890
გამოურკვეველი შედეგებით	2 175	—	—
სულ	16 605	1 160	3 790

პოლონეთის რაიონში მელითონეთა გამარჯვება ყველაზე მნიშვნელოვანია, და საერთოდაც ამ რაიონში საგაფიცვო ბრძოლის ეკონომიური პირობები ყველაზე ხელსაყრელად მოეწყო მუშებისთვის. აქ მათ გაიმარჯვეს მრეწველობის ყ ვ ე ლ ა დარგში (სამხრეთში დამარცხდნენ «სხვები», ხოლო ბალტიისპირეთში ფეიქართა ბრძოლა «ფრედ» დამთავრდა: გაიმარჯვა 1 485-მა, დამარცხდა 1 485). ფეიქრებმაც კი, რომელნიც საერთოდ რუსეთში 1912 წლის მეორე ნახევარში ყველაზე ძლიერ დამარცხდნენ (43 ათასი დამარცხებული და 20 ათასი გამარჯვებული), ბრწყინვალედ გაიმარჯვეს პოლონეთის სამეფოში: დამარცხდა მხოლოდ 390 და გაიმარჯვა 8 060-მა.

რუსეთის დასავლეთსა და სამხრეთში მუშები უტევდნენ კაპიტალისტებს და დიდ გამარჯვებებს აღწევდნენ; ისინი მოსკოვსა და პიტერშიც უტევდნენ, მაგრამ მათ იერიშებს უმეტეს შემთხვევაში იგერიებდნენ. სამწუხაროდ, მონაცემები, რომელთაც ჩვენ ვარკვევთ, მეტისმეტად ღარიბია და 1911 წელთან შედარების საშუალებას არ იძლევა, ასე რომ შეუძლებელი ხდება გარკვეული დასკვნა გამოვიტანოთ, თუ რა არის მიზეზი ასეთი განსხვავებისა.

VIII

როგორც დაკინახეთ, გაფიცვათა შეუპოვრობის მხრივ პირველი ადგილი უკავიათ მელითონეებს, უკანასკნელი — ფეიქრებს. საინტერესოა შევადაროთ მელითონეთა გამარჯვებული და დამარცხებული გაფიცვების შეუპოვრობა. აი საამისო მონაცემები:

	გაფიცულ მელითონეთა რიცხვი	დაკარგული დღეების რიცხვი (ათასობით)	დაკარგული დღეების საშუალო რიცხვი 1 გაფიცულზე
დამარცხებულნი	19 990	230,7	11,5
გამარჯვებულნი	17 860	387,3	21,7
გამოურკვეველი შედეგებით	2 625	145,3	55,4
სულ	40 475	763,3	18,8

როგორც ვხედავთ, მელითონეთა გამარჯვებული გაფიცვები თითქმის ერთიორად მეტი შეუპოვრობით განირჩევა, ვიდრე დამარცხებულნი (21,7 დღე 11,5 წინააღმდეგ). გამარჯვების მოპოვება იოლი როდი იყო. კაპიტალისტთა დაძლევა მხოლოდ უდიდესი ენერგიითა და სიმტკიცით ხერხდებოდა. ხოლო გამოურკვეველი შედეგებით, ალბათ, ის გაფიცვებია, როცა «მოწინააღმდეგეთა» ძალები მეტნაკლებად წონასწორდებოდა და ბრძოლა არაჩვეულებრივი შეუპოვრობით წარმოებდა: ასეთი გამოურკვეველ (შედეგების მხრივ) გაფიცვათა საშუალო ხანგრძლივობა უდრის 55,4 დღეს.

უნდა ითქვას, რომ «სხვათა» მუშების გამარჯვებული გაფიცვებიც დიდი შეუპოვრობით მიმდინარეობდა, ფეიქრებისა კი პირიქით: უფრო შეუპოვარი იყო დამარცხებული გაფიცვები.

მონაცემების შედარება სხვადასხვა რაიონის მელითონეთა საგაფიცვო ბრძოლის შეუპოვრობის შესახებ შემდეგ შედეგებს იძლევა:

	გაფიცვის საშუალო ხანგრძლივობა 1 გაფიცული მელითონისა				
	მოსკოვის რაიონში	პეტერბ. რაიონში	ბალტიის-პირეთში	სამხრეთში	პოლონეთის სამეფოში
დამარცხებულნი.....	11,5	12,1	5,9	12,0	5,2
გამარჯვებულნი	7,5	37,2	23,7	14,9	22,4
გამოურკვეველი შედეგებით	12,0	261,3	—	47,1	—
სულ	11,5	21.4	17,0	18,4	18,3

საერთოდ მელითონეთა გაფიცვების შეუპოვრობის მხრივ პირველი ადგილი უკავია პეტერბურგის რაიონს; მას მისდევს

სამხრეთის რაიონი, შემდეგ პოლონეთის, ბალტიისპირეთისა და, ბოლოს, მოსკოვის რაიონი. მოსკოვის რაიონს გარდა, ყველა დანარჩენ რაიონში გამარჯვებული გაფიცვები ბევრად უფრო შეუპოვრად მიმდინარეობს, ვიდრე დამარცხებულნი.

ბრძოლის შეუპოვრობის — აგრეთვე საგაფიცვო ბრძოლაში ჩაბმულ მუშათა პროცენტის — მიხედვით თუ განვსჯით, პეტერბურგის მელითონენი მთელი რუსეთის მელითონეთა მიმართ ავანგარდის როლს ასრულებენ. ხოლო საერთოდ მელითონენი ამავე როლს ასრულებენ მრეწველობის დანარჩენ დარგთა მუშების მიმართ.

IX

მოსკოვის მექარხნეთა საზოგადოების ანგარიშში ცალკეული გაფიცვები მეტისმეტად მოკლედაა აწერილი. მოვიყვანთ რამდენიმე ამონაწერს ამ აწერიდან, რათა მელითონენებმა დაინახონ, თუ რ ო გ ო რ გვიხატავენ მათს ბრძოლას ბატონი შემდგენელნი მეფაბრიკეთა ანგარიშებისა.

მოსკოვის რაიონში გამოირჩევა სამხატვრო-საზეინკლო სახელოსნოების 1 200 მუშის გაფიცვა. მასზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

პეტერბურგის რაიონში ერთ-ერთ უაღრესად შეუპოვარ გაფიცვად მექარხნეები თვლიან სიმენსის და ჰალსკეს ქარხნის გაფიცვას, რაც გაგრძელდა 14 კვირას და დამთავრდა 19 აგვისტოს. გაფიცვაში, მექარხნეთა საზოგადოების სტატისტიკის მიხედვით, მონაწილეობას იღებდა 1 600 მუშა. ქარხნის ადმინისტრაცია არ დათანხმდა მოეხსნა ჯარიმა 1 მაისის გამო, მაგრამ ამის «ნაცვლად სურვილი გამოთქვა მუშებს საშობაოდ სამ-სამ მანეთს ჯილდოთ მივცემთ თვითეულსო. გარდა ამისა ქარხნის სამმართველო დათანხმდა 1 მაისი შეიტანოს უქმეთა სიაში, თუ მთავრობას ამის საწინააღმდეგო არაფერი ექნებაო». (ანგარიშის 38-ე გვ.). «გაფიცვის განმავლობაში, — ვკითხულობთ ანგარიშში, — მუშები არა ერთხელ დაესხნენ

თავს ახლად მიღებულთ, რომელთა დახმარებით ქარხნებმა შესძლეს მუშაობის ნაწილობრივ განახლება».

სამხრეთის მელითონეთა გაფიცვებიდან შესანიშნავია 3 886 მუშის გაფიცვა ნიკოლაევის გემთსაშენ ქარხნებში, რამაც გამოიწვია 155 ათასზე მეტი სამუშაო დღის დაკარგვა. მუშები მოითხოვდნენ 8 საათის სამუშაო დღეს, ხელფასის მომატებას 50%-ით, ჯარიმებისა და ზედმეტ საათებში მუშაობის გაუქმებას, არჩევითი მამასახლისების ინსტიტუტის შემოღებას და სხვა. გაფიცვამ მთელ ივნისს გასტანა. «ივნისის დამლევს მოხდა შეთანხმება მუშებსა და საქარხნო ადმინისტრაციას შორის იმ პირობით, რომ ყველა მუშა დაუბრუნდებოდა თავიანთ ადგილებს, ქარხანა შემოიღებდა მამასახლისების ინსტიტუტს, გახსნიდა სასადილოს და გაადიდებდა ხელფასს 18%-ით». გაფიცულთა და შტრეიკბრეხერებს შორის იყო შეტაკებები.

უაღრესად შეუპოვარი იყო 2 000 მუშის გაფიცვა, რომელმაც იფეთქა ხარკოვის ორთქლმავალსაშენ ქარხანაში. ქარხანას აღებული ჰქონდა სასწრაფო სახაზინო შეკვეთები და «დიდად ზარალობდა გაცდენით».

ურალის გაფიცვებიდან, რომლებიც სრულიად არ შესულან მეფაბრიკეთა საზოგადოების სტატისტიკაში, აღვნიშნავთ სისერტის ქარხნების გაფიცვას. მუშებმა მოიპოვეს ხელფასის გადიდება. «ზლატოუსტის სახაზინო თოფხანაში გაფიცვის საბაბი გახდა მანქანებით დაშავებული სამი მუშის სიკვდილი. გაფიცულებმა მოითხოვეს დაცვის მოწყობილობათა დადგმა და აგრეთვე ხელფასის გადიდება».

X

თუ თვალს გადავავლებთ გაფიცვების შესახებ მეფაბრიკეთა სტატისტიკის ღარიბ მონაცემებს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ შემდეგი.

მუშებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს — როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული — გაფიცვათა სრულ, წესიერ, გონივრულად დამუშავებულ სტატისტიკას, რომელიც მალ-

მალე ქვეყნდება. იგი საგულისხმო მასალას იძლევა მუშათა მოძრაობის მსოფლიო მიზნების მთელი დიდი გზის გასაშუქებლადაც და ბრძოლის უახლოესი, საჭირბოროტო ამოცანების გასაშუქებლადაც.

მეტნაკლებად დემოკრატიულ და თავისუფალ სახელმწიფოებში შესაძლებელია არსებობდეს გვარიანი ოფიციალური სტატისტიკა. ჩვენში ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენებური ოფიციალური სტატისტიკა უვარგისია, შეუსაბამოდ დაქუცმაცებულია «უწყებათა» შორის, არ არის სარწმუნო და დაგვიანებით ქვეყნდება. მეფაბრიკეთა სტატისტიკა ცოტათი უკეთესია, მაგრამ უფრო ნაკლებ სრულია, თუმცა ზოგჯერ ცოტა ადრე ქვეყნდება, ვიდრე ზარმაცი რუსი მოხელის ნაცოდვილარი.

დროა მუშებმა იფიქრონ გაფიცვათა ს ა კ უ თ ა რ, მუშათა, სტატისტიკაზე. რა თქმა უნდა, ასეთი სტატისტიკის შექმნა ძალიან ძნელია იმ დევნათა პირობებში, რაც თავს ატყდება ჩვენში მუშათა საზოგადოებებს და მუშათა პრესას. ერთბაშად ამ სიძნელეთა დაძლევა შეუძლებელია. მაგრამ მუშებს არ სჩვევიათ დევნას შეუშინდნენ და სიძნელეების წინაშე უკან დაიხიონ.

უდიდეს სარგებლობას მოიტანს გაფიცვათა ნაწილობრივი მუშათა სტატისტიკაც კი, ე. ი. ისეთი სტატისტიკა, რომელიც მოიცავს ცალკეულ რაიონებს, მრეწველობის ცალკეულ დარგებს და შედარებით მცირე დროს. ასეთი სტატისტიკა ასწავლის მუშებს უფრო სრულად და უკეთ წარმართონ საქმე და ზოგჯერ საშუალებას მისცემს ერთმანეთს შეადარონ მეფაბრიკეთა, მოხელეთა მიერ დახატული სურათი და თვით მუშების მიერ დახატული სურათი.

ამიტომ ჩვენს თავს ნებას მივცემთ მეფაბრიკეთა სტატისტიკის ჩვენი გარჩევა დავამთავროთ სურვილის გამოთქმით, რომ მუშებმა, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, კვლავ და კვლავ სცადონ გაფიცვათა საკუთარი, მუშათა, სტატისტიკის წარმოება. ორ-სამ შეგნებულ მუშას შეუძლია შეადგინოს ყოველი გაფიცვის ზუსტი აწერა, მისი დაწყებისა და

დამთავრების დრო, მონაწილეთა რიცხვი (სქესისა და ასაკის მიხედვით, თუ შესაძლებელია), გაფიცვის მიზეზები და მისი შედეგები. ასეთი აწერის ერთი ეგზემპლარი მიუვიდოდა სათანადო მუშათა კავშირის გამგეობას (პროფესიული ან სხვა კავშირის, ანდა პროფესიული ორგანოს რედაქციას); მეორე ეგზემპლარი — მუშათა პრესის საერთო ორგანოს; ბოლოს, მესამე ეგზემპლარი სახ. სათათბიროს მუშათა დეპუტატს — გასაცნობად.

როგორც მეფაბრიკეთა, ისე მთავრობის სტატისტიკას მ უ დ ა მ ექნება არათუ ხარვეზები, არამედ დამახინჯებაც. მუშების თანამგრძნობ პრესაშიც კი ხანდახან ვხვდებით გაფიცვათა საშინლად არასწორ, უაზრო და მთლად ბურჟუაზიული სულით გაჟღენთილ შეფასებას, როცა გაფიცვას სახავენ როგორც «გატაცების» გამოხატულებას და სხვ.

მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით მუშები მოჰკიდებენ ხელს საქმეს — დროთა განმავლობაში, გულმოდგინე მუშაობისა და ძალღონის დიდი დაძაბვის შემდეგ — შეიქმნება პირობები უკეთ შეიცნონ თავიანთი საკუთარი მოძრაობა და მით უზრუნველყონ მისი უფრო დიდი წარმატებანი.

«მეტალლისტ» № № 7, 8 და 10;
1913 წ. 24 აგვისტო, 18 სექტემბერი და 25 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
ჟურნალ «მეტალლისტის»
ტექსტის მიხედვით

რუსეთის ბურჟუაზია და რუსული რეფორმიზმი

ბ-ნ სალაზკინის გამოსვლა ნიჟნი-ნოვგოროდში, როცა მან სრულიად რუსეთის ვაჭართა სახელით პრემიერ-მინისტრს განუცხადა — «დაუყოვნებლივ უნდა» განხორციელდეს ძირითადი პოლიტიკური რეფორმებიო, უკვე აღნიშნა და შეაფასა მუშათა პრესამ. მაგრამ მასზე კიდევ უნდა შევჩერდეთ, რომ აღვნიშნოთ ორი მნიშვნელოვანი გარემოება.

რა სწრაფად შეუცვალეს ერთმანეთს როლები გაერთიანებულმა თავადაზნაურობამ და სრულიად რუსეთის ვაჭრებმა. 1905 წლამდე ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში თავადაზნაურობა ლიბერალობდა და მოკრძალებით იხსენებდა კონსტიტუციას, ვაჭართა წრე კი ჩანდა უფრო კმაყოფილი, ნაკლებ ოპოზიციური.

1905 წლის შემდეგ კი პირიქით: თავადაზნაურობა არქირეაქციული გახდა. 3 ივნისის კონსტიტუციით იგი სრულიად კმაყოფილია და მასში ცვლილების შეტანას თუ მოითხოვს— მხოლოდ მარჯვნივ. ვაჭართა წრე კი, პირიქით, გარკვეულ ლიბერალურ ოპოზიციად იქცა.

რუსეთი თითქოს ერთბაშად «გაევროპულდა», ე. ი. ევროპის ფეოდალისა და ბურჟუის ჩვეულებრივ ურთიერთობას მიუახლოვდა. რასაკვირველია, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ რუსეთში პოლიტიკურ დაჯგუფებებს დიდი ხანია საფუძვლად ედო წმინდა კაპიტალისტური ურთიერთობა. ეს დაჯგუფებანი მწიფდებოდა 1861 წლიდან და სწრაფად მოწიფდა საბოლოოდ 1905 წლის ქარცეცხლში. ყოველგვარ

ნაროდნიკულ ფრაზებს რუსეთის რაიმე პრინციპულ თავისებურებაზე, ყოველგვარ ზეკლასობრივ და გარეკლასობრივ მსჯელობას რუსეთის პოლიტიკასა და ეკონომიკაზე ერთბაშად დაეკარგა ყოველგვარი ინტერესი და მოსაწყენ, უაზრო, მოდაგასულ სასაცილო ხარახურად გადაიქცა.

ეს წინგადადგმული ნაბიჯია. ეს არის განკურნება მავნე თავისმოტყუებისაგან, თავის დაღწევა ბავშვური იმედებისაგან — თითქოს კლასობრივი ბრძოლის გარეშე შეიძლებოდეს რიგიანი და სერიოზული რამის მოპოვება. დადექი ამა თუ იმ კლასის მხარეზე, დაეხმარე ამა თუ იმ კლასობრივი პოლიტიკის შეგნებას და განვითარებას — აი ის სასტიკი, მაგრამ სასარგებლო გაკვეთილი, რომელიც დადებითი ფორმით მოგვცა 1905 წელმა, უარყოფითი ფორმით კი დაადასტურა სამი ივნისის სისტემის გამოცდილებამ.

ლიბერალური ინტელიგენტებისა და წვრილბურჟუაზიული ნაროდნიკების გარეკლასობრივი ყბედობა აღგვილია ისტორიული გზიდან. და კარგიცაა, რომ აღგვილია. დიდი ხანია უნდა აღგვილიყო!

მეორე მხრივ, ერთი შეხედეთ სრულიად რუსეთის ლიბერალური ვაჭართა წრის რეფორმიზმს. იგი აცხადებს «დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს» 17 ოქტომბრის მანიფესტში აღნიშნული რეფორმებიო. ყველამ იცის, რომ იქ აღნიშნულია «სამოქალაქო თავისუფლების ურყევი საფუძვლები», «პიროვნების ნამდვილი ხელშეუხებლობა», «სინდისის, სიტყვის, კრებებისა და კავშირების თავისუფლება», შემდეგ «საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპის შემდგომი განვითარება».

ცხადია, ჩვენს წინაშეა მართლაც ძირითადი პოლიტიკური რეფორმების სია. ცხადია, ერთ-ერთი ამ რეფორმის ცალკეულად განხორციელებაც კი უდიდესი ცვლილების მომასწავებელი იქნებოდა უკეთესობისაკენ.

და აი, ყ ვ ე ლ ა ამ რეფორმას მოითხოვს მ თ ე ლ ი სრულიად რუსეთის ვაჭართა წრე, კაპიტალისტური რუსეთის ეკონომიურად ყველაზე ძლიერი კლასი. მაშ რატომ ასე სრუ-

ლიად გულგრილად ხვდებიან ამ მოთხოვნებს ყველანი, დაწყებული პრემიერ-მინისტრით, რომელმაც მოისმინა, შესვა, წაისაუზმა, უპასუხა, მადლობა გადაუხადა და თავის გზას გაუდგა, და გათავებული იმ მოსკოველი ვაჭრით, რომელმაც განაცხადა, სალაზკინის სიტყვები ჩინებულია, მაგრამ იქიდან არაფერი გამოვაო, — რატომ ყველას არასერიოზულად მიაჩნია?

რატომაა ეს?

იმიტომ, რომ რუსეთი განიცდის იმ თავისებურ ისტორიულ მდგომარეობას, რაც უკვე დიდი ხანია აღარ ყოფილა ევროპის დიდ სახელმწიფოებში (მაგრამ რაც თავის დროზე ყოველ მათგანში ყოფილა), — როცა რეფორმიზმი განსაკუთრებით უაზრო, სასაცილო, უძლური და ამიტომ საზიზღარია. ეჭვს გარეშეა, რომელიმე იმ რეფორმის განხორციელება, ვაჭართა წრე რომ მოითხოვს — სინდისის თავისუფლებისაც, კავშირების თავისუფლებისაც და სხვა რომელიმე თავისუფლებისაც — უდიდესი ცვლილება იქნებოდა უკეთესობისაკენ. ყოველი მოწინავე კლასი, — მათ შორის და პირველ რიგში მუშათა კლასი, — ორივე ხელით ჩაეჭიდებოდა უკეთესობისაკენ ყოველგვარი ცვლილების განხორციელების სულ მცირედს რეფორმისტულ შესაძლებლობას.

ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერასგზით ვერ გაუგიათ ოპორტუნისტებს, რომელთაც ხელიხელ საგოგმანებელ მარგალიტად მიაჩნიათ თავიანთი ბრძნული «ნაწილობრივი მოთხოვნები» — თუმცა იმ მუშების მაგალითმა, რომლებიც მაგრად ჩასჭიდებიან დაზღვევის «ნაწილობრივ» (მაგრამ ნამდვილ) რეფორმას, ყველას ჭკუა უნდა ასწავლოს.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ლიბერალების რეფორმიზმში პოლიტიკური რეფორმების შესახებ «ნ ა მ დ ვ ი ლ ი» არაფერია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ყველამ კარგად იცის, ვაჭართა წრემაც და ოქტიაბრისტებმაც კადეტებითურთ, რომელნიც უმრავლესობას შეადგენენ სათათბიროში, რომ არავითარი რეფორმისტული გზა სალაზკინის მიერ მოთხოვნილი

რეფორმებისკენ არ არის და არც შეიძლება იყოს. ეს ყველას მოეხსენება, ყველას ესმის და ყველა გრძნობს ამას.

აქედან ბევრად მეტ ისტორიულ რეალიზმს, ისტორიულ სინამდვილეს და ქმედობას შეიცავს უბრალო მითითება რეფორმისტული გზის არარსებობის შესახებ, ვიდრე მაღალფარდოვანი, გაბერილი, მედიდური ლაყბობა რაიმე რეფორმებზე. ვინც მტკიცედ იცის, რომ არ არსებობს რეფორმისტული გზა და სხვებსაც უზიარებს ამ ცოდნას, ის ს ა ქ მ ი თ ათასჯერ უფრო მეტს აკეთებს როგორც დაზღვევის, ისე ყოველგვარი «შესაძლებლობის» გამოსაყენებლად დემოკრატიის პროგრესის მიზნებისათვის, ვიდრე საკუთარი სიტყვების რწმენადაკარგული მოლაყბენი რეფორმებზე.

თანამედროვე რუსეთის პირობებში გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ სწორია ის ჭეშმარიტება, რომელიც ათასჯერ დაუდასტურებია მსოფლიო ისტორიას, სახელდობრ: რომ რეფორმები შესაძლებელია მხოლოდ როგორც ისეთი მოძრაობის მეორეხარისხოვანი შედეგი, რომელიც სრულიად თავისუფალია რეფორმიზმის ყოველგვარი შეზღუდულობისაგან. ამიტომაა ასე უსიცოცხლო ლიბერალური რეფორმიზმი. ამიტომაა ასე ცხოველმყოფელი დემოკრატიისა და მუშათა კლასის ზიზღი რეფორმიზმისადმი.

«სევერნაია პრავდა» № 21,
1913 წ. 27 აგვისტო.
«ნაშ პუტ» № 3, 1913 წ. 28 აგვისტო
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «სევერნაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

წოდებათა და კლასთა როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში

ერთ იურიდიულ ჟურნალში მოყვანილი იყო რუსეთში ჩადენილ სახელმწიფო დანაშაულობათა სტატისტიკური მონაცემები. ეს მონაცემები მეტად საგულისხმოა: ისინი იძლევიან ზუსტ მასალას სხვადასხვა ისტორიული ეპოქის განმათავისუფლებელ მოძრაობაში წოდებათა და კლასთა როლის საკითხზე.

სამწუხაროდ, მონაცემები სრული არ არის. მოცემულია მხოლოდ ეპოქები: 1827 — 1846 წლები (ბატონყმობის ეპოქა); 1884 — 1890 წლები («რაზნოჩინცების» მოძრაობის ეპოქა; ბურჟუაზიულ-ლიბერალური და ლიბერალურ-ნაროდნიკული მოძრაობის ერთმანეთში არევა). ბოლოს, უშუალოდ წინარევოლუციური (1901 — 1903) და რევოლუციური (1905 — 1908) ეპოქები, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და პროლეტარული მოძრაობის ეპოქები.

ვღებულობთ შემდეგ მონაცემებს წოდებათა როლის შესახებ. სახელმწიფო დანაშაულობათათვის პასუხისგებაში მიცემულ 100 კაცზე მოდიოდა:

ეპოქები	თავადაზნაურნი	მდაბიო მოქალაქენი და გლეხები	სამღვდელოება	ჯაჭრები
1827 — 1846...	76	23	?	?
1884 — 1890...	30,6	46,6	6,4	12,1
1901 — 1903...	10,7	80,9	1,6	4,1
1905 — 1908...	9,1	87,7	?	?

აქედან ნათლად ჩანს, რა სწრაფად ხდებოდა განმათავისუფლებელი მოძრაობის დემოკრატიზაცია XIX საუკუნეში და რა მკვეთრად იცვლებოდა მისი კლასობრივი შემადგენლობა. ბატონყმობის ეპოქა (1827 — 1846 წლები) — სავსებით სჭარბობს თავადაზნაურობა. ეს არის ეპოქა დეკაბრისტებიდან გერცენამდე. ბატონყმური რუსეთი დაბეჩავებული და უძრავია. პროტესტს აცხადებს უმნიშვნელო უმცირესობა თავადაზნაურებისა, რომლებიც უძლური არიან, ხალხის მხრივ მხარის დაჭერას მოკლებულნი. მაგრამ თავადაზნაურთა წრის საუკეთესო ადამიანებმა ხელი შეუწყეს ხალხის გამოღვიძებას.

რაზნოჩინცის ეპოქა ანუ ბურჟუაზიულ-ლიბერალური ეპოქა (1884 — 1890) — თავადაზნაურნი უკვე შეადგენენ უმცირესობას განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა შორის. მაგრამ, თუ მათ მივუმატებთ სამღვდელოებასა და ვაჭრებს, ვღებულობთ 49%-ს, ე. ი. თითქმის ნახევარს. მოძრაობა ჯერ კიდევ სანახევროდ პრივილეგიურ კლასთა — თავადაზნაურთა და ბურჟუაზიის ზედა ფენების მოძრაობად რჩება. აქედანაა მოძრაობის სისუსტე, მიუხედავად ცალკეულ პირთა გმირობისა.

მესამე (1901 — 1903) და მეოთხე (1905 — 1908) ეპოქები — გლეხური და პროლეტარული დემოკრატიის ეპოქებია. თავადაზნაურობას სულ მცირე როლი ეკუთვნის. მდაბიო მოქალაქენი და გლეხები რევოლუციის წინ შეადგენენ $^{8}/_{10}$-ს და რევოლუციის დროს $^{9}/_{10}$-ს. მასებმა გამოიღვიძეს. აქედანაა ორი შედეგი: 1) ცოტაოდენი სერიოზული რამის მიღწევის შესაძლებლობა და 2) ლიბერალების სიძულვილი მოძრაობისადმი (ჩნდება კონტრრევოლუციური ლიბერალიზმი).

კიდევ უფრო საინტერესოა მოსაქმეობის მონაცემები, რომლებიც მოიპოვება მხოლოდ სამი უკანასკნელი ეპოქისთვის. განმათავისუფლებელი მოძრაობის 100 მონაწილეზე (პასუხისგებაში მიცემულნი სახელმწიფო დანაშაულისათვის) მოდიოდნენ ის პირნი, რომელნიც ეწეოდნენ:

ეპოქები	სოფლის მეურნეობას	მრეწვ. და ვაჭრობას	ლიბერალურ პროფესიებს და მოწაფეები	გაურკვ. მოსაქმეობისა და უსაქმონი
1884 — 1890...	7,1	15,1	53,3	19,9
1901 — 1903...	9,0	46,1	28,7	8,0
1905 — 1908...	24,2	47,4	22,9	5,5

ეს მეტისმეტად საგულისხმო ციფრებია. ერთბაშად აშკარა ხდება რაზნოჩინეცის როლი ნაროდნიკობისა და ნაროდოვოლცობის ეპოქაში (1884 — 1890): მონაწილეთა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა — მოსწავლეები და ლიბერალური პროფესიის ადამიანებია (53,3%). ბურჟუაზიულ-ლიბერალური და ლიბერალურ-ნაროდნიკული მოძრაობის ერთმანეთში არევა, როცა მოსწავლეები და ინტელიგენტები უდიდეს როლს ასრულებენ — აი მაშინდელი პარტიებისა და მაშინდელი მოძრაობის კლასობრივი დედაარსი. გლეხები («სოფლის მეურნეობა») და სამრეწველო მუშები («მრეწველობა და ვაჭრობა») შეადგენენ უმნიშვნელო უმცირესობას (7 და 15%). ეგრეთწოდებული დეკლასირებული ადამიანები, ე. ი. თავისი კლასის შემადგენლობიდან ამოვარდნილნი, გარკვეულ კლასთან კავშირს მოწყვეტილნი, ე რ თ ი მ ე ხ უ თ ე დ ი ა (19,9%), გლეხებზე მეტი, მუშებზე მეტი!

აი საიდან მომდინარეობს მოძრაობის თავისებური ფორმები, გმირობის სიდიადე და მისი უძლურება.

ახლოვდება წინარეევოლუციური ეპოქა (1901 — 1903). პირველ როლს ასრულებს ქალაქის მუშა («მრეწველობა და ვაჭრობა»). თუმცა იგი ხალხის უმცირესობას შეადგენს, მაგრამ მონაწილეთა თ ი თ ქ მ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ს ი ძ ლ ე ვ ა (46,1%). ინტელიგენცია და მოსწავლეები უ კ ვ ე მეორე რიგში დგანან (მიუხედავად ლიბერალებისა და ლიკვიდატორების ზღაპრებისა მუშათა პარტიის შესახებ). გლეხთა როლი უმნიშვნელოა (9% «სოფლის მეურნეობიდან»), მაგრამ იზრდება.

უკანასკნელი ეპოქა, 1905 — 1908 წლები. ქალაქის მუშების როლი გაიზარდა 46,1%-დან 47.4%-მდე. მათ უკვე

გამოაღვიძეს გლეხობის მასა, რომლის მონაწილეობის წილი მოძრაობაში ყველა დანარჩენი კლასის წილზე მეტად გაიზარდა: 9-დან 24,2%-მდე, ე. ი. თ ი თ ქ მ ი ს ე რ თ ი ს ა მ ა დ. გლეხობამ უკვე გაუსწრო ლიბერალურ ინტელიგენტებსა და მოსწავლეებს (22,9%). დეკლასირებულთა, კლასის შემადგენლობიდან ამოვარდნილთა, როლი სულ უმნიშვნელოა (5,5%). ცხადზე უცხადესი ხდება ბოროტი ცილისმწამებლური ხასიათი ლიბერალური თეორიისა ჩვენი რევოლუციის «ინტელიგენტური» დედაარსის შესახებ.

პროლეტარიატი და ბურჟუაზიული დემოკრატია (გლეხობა) — აი ვინ შეადგენს მოძრაობის საზოგადოებრივ ძალას. მაგრამ გლეხობა, თუმცა უდიდეს უმრავლესობას შეადგენს მუშებისა და ქალაქელთა მიმართ, მაინც დიდად ჩამორჩება,—იძლევა მონაწილეთა მხოლოდ მ ე ო თ ხ ე დ ნ ა წ ი ლ ს (24,2%), რადგან ის ჯერ კიდევ ნაკლებაა გამოღვიძებული.

ისღა დაგვრჩენია, რომ ეს სტატია დავამთავროთ სამი ივნისის (სტოლიპინური) საადგილმამულო პოლიტიკის შექებით, პოლიტიკისა, რომელიც ფრიად წარმატებით, სწრაფად და ენერგიულად აღვიძებს დანარჩენებსაც...

«სევერნაია პრავდა» № 22,
1913 წ. 28 აგვისტო;
«ნაშ პუტ» № 4,
1913 წ. 29 აგვისტო

ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «სევერნაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

კლასობრივი ომი დუბლინში

ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში, არცთუ ძალიან სამრეწველო ტიპის ნახევარმილიონიან ქალაქში, კლასობრივი ბრძოლა, რითაც ყოველი კაპიტალისტური საზოგადოების მთელი ცხოვრება იმსჭვალება, ისე გამწვავდა, რომ კლასობრივ ომად გადაიქცა. პოლიცია პირდაპირ მძვინვარებს, გალეშილი პოლიციელები სცემენ მშვიდობიან მუშებს, იჭრებიან სახლებში, აწამებენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. ასობით დაჭრილნი (400-ზე მეტი) და ორი მოკლული მუშა — ასეთია ამ ომის მსხვერპლი. ყველა გამოჩენილი მუშათა ბელადი დაპატიმრებულია. საპყრობილეებში აგდებენ უაღრესად მშვიდობიანი სიტყვის წარმოთქმისთვის. ქალაქი სამხედრო ბანაკსა ჰგავს.

რაშია საქმე? როგორ გაჩაღდა ასეთი ომი მშვიდობიან, კულტურულ, ცივილიზებულ, თავისუფალ სახელმწიფოში?

ირლანდია რაღაც ინგლისური პოლონეთის მსგავსია, მხოლოდ უფრო გალიციის ტიპისა, ვიდრე ვარშავის-ლოძის-დომბროვსკისა. ამ უბედური ქვეყნის პროლეტარები ნაციონალურმა ჩაგვრამ და კათოლიკურმა რეაქციამ გადააქცია მათხოვრებად, გლეხები — ხუცების ჩამორჩენილ, უმეცარ და გამოყეყეჩებულ მონებად, ბურჟუაზია — ნაციონალისტური ფრაზიორობით დაფარულ კაპიტალისტების ფალანგად, მუშების დესპოტებად; ბოლოს, ადმინისტრაცია — ყოველგვარ ძალადობას მიჩვეულ ბანდად.

ამჟამად გაიმარჯვეს ირლანდიელმა ნაციონალისტებმა (ე. ი. ირლანდიელმა ბურჟუებმა): ისინი შეუდგნენ თავიანთი

მიწის გამოყიდვას ინგლისელი მემამულეებისაგან (ლენდ-ლორდებისაგან); ისინი ღებულობენ ნაციონალურ თ ვ ი თ-მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა ს (ცნობილ ჰომრულს, რომლის გამოც წარმოებდა ეს ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა ირლანდიასა და ინგლისს შორის); ამიერიდან ისინი თავისუფლად განაგებენ «თავიანთ» მიწა-წყალს «თავიანთ», ირლანდიელ ხუცებთან ერთად.

და აი ირლანდიის ეს ნაციონალისტური ბურჟუაზია თავის «ნაციონალურ» გამარჯვებას, თავის «სახელმწიფოებრივ» მომწიფებას დღესასწაულობს იმით, რომ ირლანდიის მუშათა მოძრაობას სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებს.

დუბლინში ცხოვრობს ინგლისის მეფისნაცვალი. მაგრამ მისი ძალაუფლება სინამდვილეში ნაკლებია, ვიდრე ძალაუფლება კაპიტალისტთა დუბლინელი ბელადისა, ვინმე მარფისა (**Murphy**), გაზეთ «**Jndependent**»-ის («დამოუკიდებელის» — ხუმრობა არ გეგონოთ!) გამომცემლისა, ქალაქის ტრამვაის კომპანიის მთავარი აქციონერისა და დირექტორისა, დუბლინის მთელი რიგი კაპიტალისტური საწარმოების მონაწილისა. მარფიმ გამოაცხადა — რა თქმა უნდა, ყველა ირლანდიელი კაპიტალისტის სახელით, — მზადა ვარ 3/4 მილიონი გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 7 მილიონი მანეთი) დავხარჯო ირლანდიის პროფესიული კავშირების დასანგრევადო.

ამ კავშირებმა კი საუცხოო განვითარება დაიწყეს. ირლანდიელ ბურჟუაზიულ არამზადებს, რომლებიც «ნაციონალურ» გამარჯვებას დღესასწაულობდნენ, კვალდაკვალ მიჰყვებოდა კლასობრივი თვითცნობიერების გზაზე შემდგარი ირლანდიის პროლეტარიატი. ამხანაგ ლ ა რ კ ი ნ ი ს (**Larkin**), ირლანდიის სატრანსპორტო მუშათა კავშირის მდივნის, სახით მან ნიჭიერი ბელადი იპოვა. ლარკინი, შესანიშნავი ორატორული ნიჭის პატრონი, მგზნებარე ირლანდიური ენერგიის ადამიანი, სასწაულებს ახდენდა გაუწაფავ მუშებში—ბრიტანეთის პროლეტარიატის ამ მასაში, რომელსაც ინგლისში ასე ხშირად სთიშავს მოწინავე მუშებისგან ინგლისელი «გაწაფული»

(Skilled) მუშის წყეული ფილისტერული, ლიბერალური, არისტოკრატიული სულისკვეთება.

ახალმა სულისკვეთებამ გაიღვიძა ირლანდიის მუშათა კავშირებში. გაუწაფავმა მასებმა გაუგონარი გაცხოველება შეიტანეს პროფესიულ კავშირებში. დარაზმვა დაიწყეს ქალებმაც კი, რაც მანამდე გაუგონარი მოვლენა იყო კათოლიკურ ირლანდიაში. მუშათა დარაზმულობის მხრივ დუბლინი მთელი ბრიტანეთის მოწინავე ქალაქი უნდა გამხდარიყო. ქვეყანა, რომლის დამახასიათებელი იყო გათქვირებული, ჩასუქებული კათოლიკე ხუცისა და ღატაკი, მშიერი, ტანსამოსდაფლეთილი მუშის სახეები, მუშისა, რომელიც კვირა დღესაც კი ძონძებში დადის, რადგან არაფერი გააჩნია საგარეო ტანსაცმელი რომ იყიდოს, — ეს ორმაგი და სამმაგი, ნაციონალური, ჩაგვრით დაბეჩავებული ქვეყანა თანდათან პროლეტარიატის ორგანიზებული არმიის ქვეყანა ხდება.

მარფიმ ბურჟუაზიის ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა ლარკინისა და «ლარკინიზმის» წინააღმდეგ. პირველად ანგარიშს უსწორებენ ტრამვაის 200 მუშას, რათა გაფიცვა გამოიწვიონ გამოფენის დროს და მთელი ბრძოლა მ ო შ ხ ა მ ო ნ. სატრანსპორტო მუშათა კავშირი გაფიცვას აცხადებს და მოითხოვს დათხოვნილთა დაბრუნებას. მარფი აწყობს ლოკაუტებს მუშების წინააღმდეგ. მუშები გაფიცვებით უპასუხებენ. ომი ჩაღდება მთელი ხაზით. ვნებათა ღელვა ღვივდება.

ლარკინი — სხვათა შორის, შვილიშვილია განთქმული ლარკინისა, რომელიც სიკვდილით დასაჯეს 1867 წელს ირლანდიის განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისთვის — ლარკინი მხურვალე სიტყვებს წარმოთქვამს მიტინგებზე. თავის სიტყვაში ის აღნიშნავს, რომ ირლანდიის ჰომრულის ინგლისელი ბურჟუაზიული მტრების პარტია თავისუფლად მოუწოდებს წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობას, იმუქრება რევოლუციით, აწყობს შეიარაღებულ წინააღმდე-

გობას ჰომრულის მიმართ, სრულიად დაუსჯელად ავსებს ქვეყანას რევოლუციური მოწოდებებით.

მაგრამ ის, რაც ნებადართული აქვთ რეაქციონერებს, ი ნ გ ლ ი ს ე ლ შოვინისტებს, კარსონს, ლონდონდერის, ბონარ ლოუს (ინგლისელ პურიშკევიჩებს, ირლანდიის მოსისხლე მტრებს — ნაციონალისტებს), — იმისი ნება არა აქვს პროლეტარ-სოციალისტს. ლარკინს აპატიმრებენ. მუშათა მიტინგს კრძალავენ.

მაგრამ, რაც უნდა იყოს, ირლანდია მაინც რუსეთი **ხომ არ** არის. კრებების თავისუფლების ხელყოფა საშინელ აღშფოთებას იწვევს. ლარკინი უ ნ დ ა გაასამართლონ. სასამართლოში კი ლარკინი ბრალმდებელი ხდება და ფაქტიურად საბრალდებო სკამზე სვამს თვით მარფის. მოწმეების ჯვარედინი დაკითხვით ლარკინი ამტკიცებს, რომ მისი, ლარკინის, დაპატიმრების წინ მარფის ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა მეფისნაცვალთან. ლარკინი აცხადებს, პოლიციას მარფი ინახავსო, — და ვერავინ ბედავს ლარკინის ნათქვამი უარყოს.

ლარკინს უშვებენ თავდებში (პოლიტიკურ თავისუფლებას ერთბაშად ვერ გააუქმებ). ლარკინი აცხადებს, **რადაც** უნდა დაჯდეს, მიტინგს დავესწრებიო. მართლაც, ის მოდის გადაცმული და სიტყვით მიმართავს ხალხს. პოლიციამ **ის** იცნო, სტაცა ხელი და დაუწყო ცემა. იწყება პოლიციის ხელკეტის ორი დღის დიქტატურა, ხალხის ცემა, ქალთა და ბავშვთა ტანჯვა-წამება. პოლიცია ძალით იჭრება მუშების ბინებში. მუშა ნ ო ლ ა ნ ი, სატრანსპორტო მუშათა კავშირის წევრი, ცემით მოჰკლეს. მეორე ჭრილობისგან გარდაიცვალა.

ხუთშაბათს, 4 სექტემბერს (22 აგვისტოს ძვ. სტ.) ასაფლავებდნენ ნოლანს. დუბლინის პროლეტარებმა **მოაწყეს** პროცესია 50 000 კაცის შემადგენლობით, აცილებდნენ თავიანთი ამხანაგის ცხედარს. პოლიციელი მხეცები მიიმალნენ, ვერ ბედავდნენ ხალხის გაღიზიანებას, და წესრიგიც საუცხოო იყო. «ეს უფრო დიადი დემონსტრაცია იყო, ვიდრე პარნელის (ირლანდიელი ნაციონალისტების განთქმული ბელა-

დის) დასაფლავების დროსო», უთხრა გერმანელ კორესპონდენტს ერთმა მოხუცმა ირლანდიელმა.

დუბლინის ამბები შებრუნების პუნქტი გახდება ირლანდიის მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის ისტორიაში. მარფი იმუქრებოდა ირლანდიის მუშათა კავშირებს დავანგრევო. მან მხოლოდ ისა ჰქნა, რომ დაანგრია ირლანდიის პროლეტარიატზე ირლანდიის ნაციონალისტური ბურჟუაზიის გავლენის უკანასკნელი ნაშთები. მან გამობრძმედა აგრეთვე ირლანდიის დამოუკიდებელი, ნაციონალისტური ცრურწმენისგან თავისუფალი რევოლუციური მუშათა მოძრაობა.

ეს ერთბაშად გამოჩნდა 1 სექტემბერს (ძვ. სტ. 19 აგვისტოს) გახსნილ პროფესიულ კავშირთა (ტრედ-უნიონთა) მანჩესტერის კონგრესზე. დუბლინის ამბებმა აღაგზნეს დელეგატები — მიუხედავად ოპორტუნისტ-პროფესიონალისტთა წინააღმდეგობისა, ფილისტერული სულისკვეთებით შეპყრობილი და ხელისუფალთა მიმართ აღტაცებული რომ არიან. დუბლინის მუშათა დელეგაციას ოვაციებით შეეგებნენ. დელეგატმა პარტრიჯმა, მელითონეთა კავშირის დუბლინის სექციის თავმჯდომარემ, ილაპარაკა, თუ რა აღმაშფოთებელ ძალადობას მიმართავდა პოლიცია დუბლინში. ერთი მუშა-ქალიშვილი დაძინებას აპირებდა, როცა სახლში პოლიცია შეიჭრა. ქალიშვილი საპირფარეშოში დაიმალა. ის თმებით გამოათრიეს. პოლიციელები გალეშილნი იყვნენ. ეს «ადამიანები» (ბრჭყალებში) სცემდნენ ათი წლის ყმაწვილებს და ხუთი წლის ბავშვებს!

პარტრიჯი ორჯერ დააპატიმრეს ისეთი სიტყვების წარმოთქმისთვის, რომლებიც თვით მოსამართლემ სცნო მშვიდობიან სიტყვებად. დარწმუნებული ვარ ახლა დამაპატიმრებენ, «მამაო ჩვენო» რომ საჯაროდ წაეკითხოო, — თქვა პარტრიჯმა.

მანჩესტერის კონგრესმა დელეგაცია გაგზავნა დუბლინში. იქაურმა ბურჟუაზიამ კვლავ ხელი წამოავლო ნაციონალისტურ იარაღს (სწორედ ისევე, როგორც ნაციონალისტმა ბურ-

ჟუებმა ჩვენს პოლონეთში, ან უკრაინაში, ანდა ებრაელობაში!) — «ინგლისელებს რა საქმე აქვთ ირლანდიის მიწაწყალზეო»! მაგრამ, საბედნიეროდ, ნაციონალისტებმა უკვე დაჰკარგეს გავლენა მუშებზე *.

მანჩესტერის კონგრესზე წარმოთქვამდნენ სიტყვებს, რომლებიც დიდი ხანია არ გაეგონათ. წინადადებას აყენებდნენ, მთელი კონგრესი გადავიტანოთ დუბლინში და საყოველთაო გაფიცვა მოვაწყოთ მთელ ინგლისშიო. სმილმა, სამთო მუშათა კავშირის თავმჯდომარემ, განაცხადა, ინგლისის მუშებს აიძულებენ დუბლინის ყაიდაზე მოახდინონ რევოლუცია და ისინიც ისწავლიან იარაღის ხმარებასო.

ინგლისის მუშათა მასა ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად ადგება ახალ გზას — მუშათა არისტოკრატიის წვრილმანი პრივილეგიების დაცვიდან ის გადადის, თვით მასის დიად გმირულ ბრძოლაზე საზოგადოების ახლებურად მოწყობისათვის. და ამ გზაზე ინგლისის პროლეტარიატი, მისი ენერგიისა და დარაზმულობის წყალობით, უფრო სწრაფად და მტკიცედ განახორციელებს სოციალიზმს, ვიდრე სადმე სხვაგან.

«სევერნაია პრავდა» № 23,
1913 წ. 29 აგვისტო;
«ნაშ პუტ» № 5,
1913 წ. 30 აგვისტო
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება
გაზეთ «სევერნაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

საადგილმამულო «რეფორმის» ახალი ლონისძიებები

მთავრობამ შეიმუშავა გლეხთა მიწათმფლობელობის ახალი კანონპროექტი. განზრახულია სასწრაფოდ «შეზღუდონ» ხუტორებისა და ჩამონაჭერი ნაკვეთების «დაქუცმაცება». მემამულეებს სურთ «დაიცვან მიწის წვრილი საკუთრება» — დაქუცმაცების, დაშლისა და დაწვრილმანებისაგან.

კანონის დედაარსი ისაა, რომ იკრძალება საშუალო გლეხთა ნაკვეთების — ხუტორებისა და ჩამონაჭრების — დაქუცმაცება. როგორც გაყიდვის, ისე მემკვიდრეობით გადასვლის შემთხვევაში ასეთი ნაკვეთები უნდა დარჩეს ერთპიროვნული მესაკუთრის ხელში. დანარჩენი თანამემკვიდრენი ღებულობენ ფულად «საზღაურს» მემამულეთა მიწათმომწყობი კომისიების შეფასების მიხედვით.

გადასახდელ ფულს იძლევა საგლეხო ბანკი მიწის დაგირავებით, საგანგებოდ შეღავათიან პირობებში. საშუალო (განუყოფელი) ნაკვეთების ოდენობა ისაზღვრება 1861 წლის ბატონყმური კანონების საფუძველზე დადგენილი ნადელის მიხედვით [93].

ამ კანონპროექტის მნიშვნელობა ცხადია. მემამულეებს სურთ შექმნან გლეხური ბურჟუაზიის პრივილეგიური და კაპიტალიზმისაგან დაცული მიწის საკუთრება. მემამულეები გრძნობენ, რომ მათი პრივილეგიები და ბატონყმური მიწათმფლობელობა ირყევა და ცდილობენ მიიმხრონ გლეხური ბურჟუაზიის რიცხობრივად უმნიშვნელო, მაგრამ ყველაზე მდიდარი ფენა. მე გაგინაწილებთ ჩემი პრივილეგიების მცირე

წილს — ეუბნება მემამულე კულაკებსა და მდიდრებს — დაგეხმარებით გამდიდრდეთ გაჩანაგებულ გლეხთა მასის ხარჯზე, თქვენ კი დამიცავით ამ მასისგან, გახდით წესრიგის ბურჯნიო. ასეთია ახალი კანონპროექტის კლასობრივი აზრი.

აქ სრული შესაბამისობაა სამი ივნისის, ეგრეთწოდებული სტოლიპინური, საადგილმამულო პოლიტიკის მიმართულებასთან. ეს ერთი და იგივე მემამულური პოლიტიკაა, და რუსეთში 1905 წლის შემდეგ მემამულეებს, როგორც კლასს, არ შეუძლიათ სხვა პოლიტიკა აწარმოონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ შეინარჩუნებენ თავიანთ პრივილეგიებსა და თვით არსებობასაც კი.

დემოკრატიამ — როგორც მუშათა, ისე ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ (ე. ი. გლეხობამ მასობრივად) — უნდა შეიგნოს კლასობრივი ურთიერთობის ეს უცილობელი ჭეშმარიტება და გარდუვალი დასკვნები გამოიტანოს. არაფერია უფრო სულელური და რეაქციული, ვიდრე ის ბიუროკრატიული თვალსაზრისი, რომელსაც ადგიან ლიბერალები და ნაროდნიკები, ასე რომ ეშინიათ გლეხთა მიწების მ ო ბ ი ლ ი ზ ა ც ი ი ს ა, ე. ი. ამ მიწების თავისუფლად ყიდვა-გაყიდვისა. მაგალითად, «რეჩი» ორ თავის მოწინავე სტატიაში ახალი კანონპროექტის შესახებ აცხადებს, რომ «მიწის წვრილი საკუთრების დაცვა აუცილებელიაო». უბედურება, თურმე, ისა ყოფილა, რომ სამი ივნისის საადგილმამულო პოლიტიკა მიღებული იყო «უეცრად, როგორც მკვეთრი პოლიტიკური იარაღიო».

ბრძენთა ბრძენი ლიბერალი გვევლინება იმ «ზეკლასობრივი» მოხელის როლში, რომელიც ჰკიცხავს სტოლიპინს, მემამულეების ბელადს, მემამულეების სასარგებლოდ პოლიტიკური იარაღის გამოყენებისათვის! გარდუვალი კლასობრივი ბრძოლის თავის არიდების ლაჩრული სურვილი იფარება წუწუნით იმის გამო, რომ კლასის ინტერესებს კლასის პოლიტიკას უკავშირებენო. გასაკვირველი არაა, რომ სტოლიპინი მხოლოდ დასცინოდა ა ს ე თ მოწინააღმდეგეებს.

«მიწის წვრილი საკუთრების დაცვა», ლიბერალებისა (რუსი ლიბერალებისა) და ნაროდნიკების ეს სანუკვარი ფორმულა, რეაქციული ფრაზაა. მუშათა კლასი მხარს უჭერს გლეხობას (და ხელმძღვანელობს მას) მხოლოდ მაშინ და იმდენად, როდესაც და რამდენადაც გლეხობა გამოდის დემოკრატიულად, ე. ი. საზოგადოებრივი განვითარებისა და კაპიტალიზმის განვითარების ინტერესებისთვის, მებატონეებისა და მათი პრივილეგიების უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლების ინტერესებისთვის. გლეხთა მიწების მობილიზაციის ყოველგვარი შეზღუდვა კი არის, ჯერ-ერთი, უაზრო ღონისძიება, რომელსაც არ შეუძლია შეაჩეროს კაპიტალიზმი და მხოლოდ აუარესებს მასის მდგომარეობას, უძნელებს მას ცხოვრებას და აიძულებს გვერდი აუაროს კანონს. მეორეც, ეს ღონისძიება სინამდვილეში ქმნის პ რ ი ვ ი ლ ე გ ი უ რ ი წვრილი ბურჟუების, პროგრესის ამ ყველაზე დამყაყებული და გონებაჩლუნგი მტრების მცირე ფენას.

მებატონე-მემამულეთა კლასობრივ პოლიტიკას მუშათა კლასი უპირისპირებს არა «ზეკლასობრივი» ყაიდის ფრაზებს, არამედ სხვა კლასთა ინტერესებს, მოსახლეობის ცხრა მეათედს რომ შეადგენენ. გლეხობა, როგორც წვრილბურჟუაზიული მასა, ჯერ კიდევ დიდხანს იქანავებს პროლეტარიატის თანამიმდევარ დემოკრატიზმსა და მემამულეთა ნასუფრალის, მათთან პრივილეგიების განაწილების იმედს შორის.

მაგრამ რუსეთის მემამულეების პირობები ისე მძიმეა გლეხებისთვის, ასეთ პირობებში მილიონობით გლეხის შიმშილობა ისე ჩვეულებრივია, რომ შეუძლებელია დავეჭვდეთ, ვის გაჰყვება მთელი ცოცხალი, ცხოველმყოფელი და შეგნებული მასა.

«ნაშ პუტ» № 4,
1913 წ. 29 აგვისტო
«სევერნაია პრავდა»
№ 24, 1913 წ. 30 აგვისტო
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «სევერნაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

ვაჭარი სალაზკინი და მწერალი თ. დ.

ვაჭარ სალაზკინის გამოსვლას, უეჭველია, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. წარსულს ჩაბარდა ის ისტორიული ეპოქა, «პირველადი დაგროვების» ეპოქა, როდესაც აზნაური მემამულე წუწუნებდა და «ნდობას» მოითხოვდა, ხოლო ვაჭარი თავს უკრავდა და მადლობას ეუბნებოდა.

განვლო სამი ივნისის, კონტრრევოლუციური ეპოქის, პირველმა ხანამაც, როცა მასების მოძრაობით საშინლად შეშინებული ვაჭარი აღტაცებული და გულაჩვილებული შეჰყურებდა სტოლიპინს. დაიწყო მეორე ხანა, მუშათა მოძრაობის აღმავლობის, «საზოგადოებრივი» გაცხოველებისა და ვაჭართა ლიბერალიზმის ხანა.

ამ ლიბერალიზმის, რომელსაც საშუალო ადგილი უკავია ოქტიაბრიზმსა და კადეტთა პარტიას შორის, სწორ შეფასებას სულ უფრო თავს ახვევენ (ამბების მსვლელობის გამო) თვით წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიასაც კი. ამას წინათ «სევერნაია პრავდას» მოჰყავდა «კიევსკაია მისლის» სამართლიანი მსჯელობა (იხ. «სევერნაია პრავდა» № 9, 11 აგვისტოს თარიღით *) დემოკრატიისაგან ლიბერალიზმის გამოყოფაზე, «პროგრესისტებზე» რომ აღარაფერი ვთქვათ — კადეტების ლიბერალიზმის დაახლოებაზე რეაქციულ ნაციონალიზმთან.

მაგრამ ზოგიერთი მწერალი წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიასაც კი ჩამორჩება, იმდენად შებოჭილია თავისი ოპორ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 353 — 356. რ ე დ.

ტუნისტული დოქტრინით. ასეთ მწერალთა სათავეში დგას, რა თქმა უნდა, ლიკვიდატორი თ. დ.

თ. დ. შეფასებას აძლევდა სალაზკინის გამოსვლას («ნოვაია რაბოჩაია გაზეტა» 23 აგვისტოს თარიღით) და წერდა: მართალი არიან შავრაზმელები, რომლებიც აღშფოთებას გამოთქვამდნენ სალაზკინის წინააღმდეგ, «მაგრამ მართალია მემარცხენე (წაიკითხე: ლიბერალური) პრესაც, როცა აღნიშნავს, ბიუროკრატიას ორგანულად არ ძალუძს დააკმაყოფილოს ქვეყნის მომწიფებული მოთხოვნილებანიო. მართალი არ არის მარტოოდენ «როსსიაო»».

«სალაზკინის გამოსვლა აიხსნება არა რადიკალური პროგრამების სიყვარულით, — წერდა თ. დ. — არამედ წესრიგისა და კანონიერების უქონლობით. ვაჭარი აჯანყდა... ხოლო რაკი ეს ასეა, რა მტრულადაც უნდა უყურებდეს ვაჭარი რადიკალურ პროგრამებს, იძულებული გახდება, თუ დღეს არა, ხვალ, თავისი ღონისძიებების კომბინირება მოახდინოს ქვეყნის უფრო რადიკალური ფენების ღონისძიებებთან».

ასეთია თ. დ.-ს შეფასება. იგი არ სცილდება მუშებთან ლიბერალიზმის კომბინირების ფარგლებს.

ორიგინალური ამბავია! თ. დ. ვერ ხედავს ვაჭრის ღონისძიებებისა და შავრაზმელი მემამულის ღონისძიებების კომბინირებას. ის ვერ ამჩნევს, რომ სალაზკინი იცავს სამი ივნისის რეჟიმის «საფუძვლებს», მას სურს დაახევინოს პურიშკევიჩს ამ საფუძვლების ფარგლებში.

მეორე მხრივ, ის ვერ ამჩნევს განსხვავებას ლიბერალებისა და სალაზკინის რ ე ფ ო რ მ ი ს ტ უ ლ პოზიციასა და მუშათა კლასის პოზიციას შორის, რომლისთვისაც უცხოა რეფორმიზმის უბადრუკი შეზღუდულობა. მწერალ თ. დ.-ს მხედველობიდან გამოეპარა ის არსებითი რამ, რითაც დღეს დემოკრატია განსხვავდება ლიბერალიზმისაგან.

თ. დ.-ს მ ხ ო ლ ო დ ერთი რამ აინტერესებს: ლიბერალებისა და მუშების «კომბინირება». საინტერესო... სპეციალობაა!

შეხედეთ თ. დ.-ს სტატიას, როგორც პოლიტიკურ დოკუმენტს — «საერთო-ევროპული» თვალსაზრისით (თ. დ.-ს და

მის მეგობრებს ხომ ასე უყვართ ლაპარაკი თავიანთ ევროპულობაზე...). თქვენ დაინახავთ, რომ თ. დ. სავსებით იზიარებს ლოიდ-ჯორჯისა და «მუშათა პარტიის» (ინგლისური მასშტაბით) უკიდურესი ოპორტუნისტების პოზიციას; — ანდა კომბისა და ჟორესის (ფრანგული მასშტაბით) პოზიციას: — ანდა «Berliner Tageblatt»-ის *, ბერლინელი მემარცხენე ლიბერალების ორგანოს, და ბერნშტეინის, კოლბისა და ფოლმარის პოზიციას.

თ. დ.-ის სტატიაში მიუღებელი არაფერია მემარცხენე კადეტისთვის, რომელიც ზრუნავს «სალაზკინის ღონისძიებათა და ქვეყნის უფრო რადიკალური ფენების ღონისძიებათა» «კომბინირებაზე».

მარქსისტი ეუბნება მუშებს: გამოიყენეთ სალაზკინებისა და პურიშკევიჩების უთანხმოებანი, ნეიტრალიზაცია მოახდინეთ სალაზკინების მერყეობისა, რომლებმაც გაცილებით უფრო მჭიდრო «კომბინირება» მოახდინეს პურიშკევიჩებთან, ვიდრე ოპოზიციასთან. ლიბერალი ეუბნება მუშებს: სალაზკინები იძულებული იქნებიან მოახდინონ თავიანთ ღონისძიებათა კომბინირება თქვენს ღონისძიებებთან.

რად დაივიწყა მწერალმა თ. დ.-მ განემარტა საერთოდ ლიბერალებისა და კერძოდ სალაზკინის რეფორმიზმის კლასობრივი ფესვები? რად დაივიწყა თ. დ.-მ თუნდაც აღენიშნა რუსეთის პირობებში ვაჭარ სალაზკინების რეფორმიზმის მთელი უაზრო, სასაცილო, მახინჯი შეზღუდულობა?

იმიტომ ხომ არა, რომ ეს მწერალი, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ თავისი მარქსისტული «აბრისა», რეფორმიზმის იმავე თვალსაზრისზე დგას, რომელზედაც დგას ვაჭარი სალაზკინი თ ა ნ ა ხ მ ა დ თავისი კლასის ინტერესებისა და თავისი პროგრესისტული, ესე იგი ნახევრად-ოქტიაბრისტული, აბრისა?

«სევერნაია პრავდა» № 26,
1913 წ. 1 სექტემბერი
ხელმოწერა: თ ი თ ქ მ ი ს
შ ე მ ა რ ი გ ე ბ ე ლ ი

იბეჭდება
გაზეთ «სევერნაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

* — «ბერლინის ყოველდღიური გაზეთი». რ ე ლ

ბრძოლა მარქსიზმისათვის

პეტერბურგის მუშათა პრესის სასარგებლოდ მუშებში ფულის შეგროვების საკითხს ამ უკანასკნელ დროს გულმოდგინედ იხილავდნენ გაზეთებში. და უნდა აღვიაროთ, რომ ამ საკითხის საფუძვლიანად და სერიოზულად განხილვა უსათუოდ საჭიროა, რადგან ამ საკითხს დიდი პრინციპული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

როგორა დგას საკითხი? ლიკვიდატორები («ნოვაია რაბოჩაია გაზეტა») იმ აზრს იცავენ, რომ შეგროვილი ფული თანაბრად გაიყოს. მარქსისტები («სევერნაია პრავდა») მოითხოვენ შეგროვილი ფულის გაყოფას იმ მუშების მითითების მიხედვით, რომელთაც თავიანთი წვლილი შემოაქვთ. როცა მუშები არკვევენ ამა თუ იმ გაზეთის მიმართულებას, მათ თვითონ უნდა გადაწყვიტონ, ვისთვის აგროვებენ ისინი ფულს.

პირველ დოკუმენტში ამ საკითხზე, ლიკვიდატორობის მომხრე 22 ვიბორგელის რეზოლუციაში, უბრალოდ იყო ნათქვამი (იხ. «ნოვაია რაბოჩაია გაზეტა» № 2, 9 აგვისტოს თარიღით): «მუშათა გაზეთების სასარგებლოდ ფული შეგროვდეს თანაბარ საფუძველზე». შემდეგ ნობელისა და პუტილოვის ქარხნების მუშათა ერთი ნაწილის რეზოლუციებში (იქვე, №№ 6, 8, 9, 10) იცავდნენ და საქმით ახორციელებდნენ შეკრებილი ფულის თანაბრად განაწილებას სამად: მარქსისტებს, ლიკვიდატორებსა და ნაროდნიკებს შორის. «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» რედაქცია უსიტყვოდ იწონებდა ამას და იცავდა კიდეც გ. რ.-ს[84] სტატიაში (№ 9).

პირიქით, «სევერნაია პრავდა» ამტკიცებდა, რომ თანაბრად განაწილება არ იქნება სამართლიანი, არ შეესაბამება მარქსიზმის ამოცანებსა და მიზნებსო.

ვიმეორებთ, ყოველი შეგნებული მუშა დაკვირვებით და სრულიად დამოუკიდებლად უნდა გაერკვეს ამ საკითხში.

რა საბუთები მოჰყავთ თანაბრად განაწილების სასარგებლოდ? იმოწმებენ «მუშა-მარქსისტების წმიდათა-წმიდა ლოზუნგს: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!»

იბადება კითხვა, მოითხოვს თუ არა ეს ლოზუნგი მუშა-მარქსისტების, ვთქვათ, მარქსისტული პარტიის წევრთა გაერთიანებას იმ მუშებთან, რომლებიც ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ პარტიებს მიჰყვებიან? თუ ცოტას ჩაუფიქრდება, ყოველი მუშა დაგვეთანხმება, რომ არა, არ მოითხოვს.

ყველა ქვეყანაში, თვით ყველაზე მოწინავეშიც, მოიპოვებიან მუშები, რომლებიც მიჰყვებიან ბურჟუაზიულ პარტიებს: ლიბერალებს ინგლისში, «რადიკალ-სოციალისტებს» საფრანგეთში, კათოლიკებსა და ლიბერალურ «სახალხო» პარტიას გერმანიაში, რეფორმისტულ (წვრილბურჟუაზიულ) პარტიას იტალიაში და სხვ., თვით წვრილბურჟუაზიული პსპ («პოლონეთის სოციალისტური პარტიის») [85] ჩათვლით მეზობელ პოლონეთში.

დიადი ლოზუნგი მუშებს მოუწოდებს გაერთიანდნენ პროლეტარულ, დამოუკიდებელ, კლასობრივ პარტიად, ყ ვ ე ლ ა ჩამოთვლილი პარტია კი ა რ ა პროლეტარულია.

აიღეთ ჩვენებური ნაროდნიკების ძირითადი პრინციპი. ნაროდნიკების შეხედულება, თითქოს მიწის კერძო საკუთრების გაუქმება და თანაბრად დაყოფა სოციალიზმი ან «სოციალიზაცია» იყოს, მხოლოდ შემცდარი და ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი შეხედულებაა. მარქსმა დიდი ხანია დაამტკიცა, რომ გაბედულ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ეკონომისტებს შეუძლიათ მოითხოვონ და მოითხოვდნენ კიდეც მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას [86]. ეს არის ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რეფორმა, რაც ა ფ ა რ თ ო ე ბ ს კაპიტალიზმის სარბიელს.

ჩვენ მხარს ვუჭერთ გლეხებს, როგორც ბურჟუაზიულ დემოკრატიას, მათს ბრძოლაში მიწისა და თავისუფლებისათვის მებატონე-მემამულეთა წინააღმდეგ.

მაგრამ დაქირავებულ მუშათა პროლეტარული ორგანიზაციის ერთიანობა წვრილბურჟუაზიულ გლეხურ დემოკრატიასთან მარქსიზმის დიადი ლოზუნგის უდიდესი დარღვევაა. ასეთი ერთიანობის ცდები დიდ ზიანს მიაყენებდა მუშათა მოძრაობას, რადგან ეს ცდები მუდამ სწრაფი კრახით მთავრდება.

რუსეთის ისტორიამ (1905 — 1906 — 1907 წლებისამ) დაამტკიცა, რომ ნაროდნიკებს მემარცხენე გლეხობის გარდა არავითარი მასობრივი, კლასობრივი, დასაყრდენი არა ჰყავთ და არც შეიძლება ჰყავდეთ.

მაშასადამე, ლიკვიდატორებმა და მათმა მიმდევარმა მუშებმა გადაუხვიეს მარქსიზმს, ისინი ასცდნენ კლასობრივ გზას და დაადგნენ წვრილბურჟუაზიულ პარტიასთან დაქირავებული მუშების უპარტიო ერთიანობის გზას, რადგან ეს სწორედ უპარტიო გაერთიანებაა, როცა მუშას მოუწოდებენ: ნუ არჩევ, რომელია პროლეტარული და რომელია წვრილბურჟუაზიული პარტია, თანაბრად ერგოსო! *

* თუ როგორ ეხმაურება ზოგიერთი მუშა ლიკვიდატორების ამ უპრინციპო ქადაგებას, შეიძლება განვსაჯოთ შემდეგი რეზოლუციის მიხედვითაც, რომელიც დაიბეჭდა «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» 21-ლ ნომერში:

«ასეთი გადაწყვეტილება (თანაბრად განაწილება სამ გაზეთს შორის...) ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ და ერთადერთ სამართლიან გადაწყვეტილებად: ჯერ-ერთი, იმიტომ რომ ყველა სამივე გაზეთს, როგორც მუშათა გაზეთებს, ერთნაირად სჯიან და სდევნიან და, მეორეც, მუშების დიდი უმრავლესობა, როგორც ჩვენში, ისე სხვაგანაც, ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გარკვეულა სხვადასხვა პარტიული მიმდინარეობის თავისებურებებში და არ შეუძლია შეგნებულად მიემხროს ერთ-ერთ მათგანს, მაგრამ ერთნაირად თანაუგრძნობს ყველა მათ ერთობლივად».

ლიკვიდატორული გაზეთი ერთხელაც არ ცდილა აეხსნა თავისი მკითხველებისთვის, მიეცათ მათთვის საშუალება გარკვეულიყვნენ, შეიძლება თუ არა ნაროდნიკული გაზეთი მუშათა გაზეთად მიიჩნიონ და შეიძლება თუ არა ავურიოთ ის მარქსისტულ ან თუნდაც ლიკვიდატორულ გაზეთში. «ნოვაია რაბოჩაია გაზეტა» ამჯობინებს მიეტმასნოს «სტიქიას»,

მასები «ვერ ერკვევიან საქმის ვითარების დედაარსში», — წერდა გ. რ. «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» მე-9 ნომერში. აი სწორედ ამიტომაც გვესაჭიროება ძველი, გამობრძმედილი, მარქსისტული გაზეთი, რათა გ ა ვ ა ვ ი თ ა რ ო თ «გაურკვეველი» მასები, რათა დ ა ვ ე ხ მ ა რ ო თ მათ გაერკვნენ და გ ა ა რ ჩ ი ო ნ.

ხოლო როდესაც გ. რ. და მისი მსგავსი ლიტერატორები ორგანიზებული, მარქსისტული გაერთიანების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი არიან და იმოწმებენ (და სრულიადაც არ აყენებენ ორი პარტიის გაერთიანების საკითხს!) — იმოწმებენ «საქმის ვითარებაში გაურკვეველ მასებს», ეს არის ქ ა დ ა გ ე ბ ა უპარტიობისა, ეს არის გ ა ნ დ გ ო მ ა მარქსიზმისაგან, ეს არის ჩუმად გატარება წვრილბურჟუაზიული შეხედულებებისა და წვრილბურჟუაზიული პოლიტიკისა.

ასეთი პოლიტიკით ლიკვიდატორები ამართლებენ იმას, რომ მათ უწოდებენ ლიკვიდატორებს, ე. ი. განდგომილებს მარქსისტული ორგანიზაციისაგან, მის დამანგრეველებს.

მეორე საბუთია (იხ. გ. რ.-ს სტატია და თვით «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» № 6 რედაქციის მსჯელობა) — თითქოს ფულის შეგროვება მიმართულებათა მიხედვით შლის «ერთსულოვან წინააღმდეგობას რეაქციისათვის», რომელიც მუშათა გაზეთებს სდევნისო.

დაფიქრების შემდეგ ყოველი შეგნებული მუშა დაინახავს, რომ ეს ძველი ლიბერალური საბუთია იმისა, რომ თუ დემოკრატია გამოეყოფა ლიბერალებს, ამით დაირღვევა «ერთსულოვნება რეაქციის წინააღმდეგო». ეს ბურჟუაზიული საბუთია, დიდად შემცდარი საბუთი.

უპარტიო მასა, რომელიც «ვერ გარკვეულა, — როგორც ლიკვიდატორი გ. რ. გვარწმუნებს, — საქმის დედაარსში», საუცხოოდ სწავლობს მაგალითებით. ვინც ჯერ კიდევ სრულიად გაუნათლებელია, შეუგნებელია, არ ეხერხება ან ეზა-

---

ქუდში მისჩანჩალებდეს გაურკვეველთ, ოღონდ კი «უსიამოვნება» მიაყენოს მარქსისტებს.

რება იფიქროს და «გაერკვეს», — ის ხელს იქნევს და ამ-ბობს: «მეც პროტესტს ვაცხადებ, ყველას თანაბრად ერგოსო». ხოლო ვინც იწყებს ფიქრს და «გარკვევას», ის, გარდა ამისა, მოისმენს დისკუსიას პლატ-ფორმების მიხედვით, ე. ი. თვითეული მიმართულე-ბის შეხედულებათა დაცვას, მოისმენს უფრო შეგნებუ-ლად; თანდათან თვითონაც ისწავლის და განურჩევლობისა და ყველასადმი ფართო თანაგრძნობიდან გადავა გაზეთები-სადმი გარკვეულ მოფიქრებულ დამოკიდებულებაზე.

ლიკვიდატორებმა დაივიწყეს ყველა ეს საანბანო ჭეშმა-რიტება, რაც «უნდა ესმოდეს და ახსოვდეს ყოველ მუშას». ლიკვიდატორებმა თავიანთი გეგმით: «გაანაწილეთ თანაბ-რად» — დაამტკიცეს, რომ მათ სამართლიანად თვლი-ან უპარტიობის მქადაგებლებად, მარქსიზმისაგან განდგომი-ლებად და «პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის» დამცველებად (იხილე მარქსისტების 1910 წლის იანვრის ერთხმივი გადაწყვეტილება).

მარქსისტული ორგანიზაცია აერთიანებს შეგნებულ მუშებს საერთო პროგრამით, საერთო ტაქტიკით, საერთო გადაწყვეტილებებით იმ დამოკიდებულების შესახებ, რომე-ლიც უნდა ჰქონდეთ რეაქციისა, კაპიტალისტებისა, დემოკ-რატიული ბურჟუაზიისა (ნაროდნიკები) და სხვათა მიმართ. ყველა ამ საერთო გადაწყვეტილებას — სხვათა შორის, 1908, 1912 და 1913 წლების გადაწყვეტილებებს რეფორ-მიზმის უაზრობისა და დამღუპველობის შესახებ — იცავენ და განუწყვეტლივ ატარებენ მარქსისტები.

დისკუსიები (საუბრები, განხილვანი, კამათი) პარტიებსა და საერთო ტაქტიკაზე საჭიროა; უამისოდ მასა იქსაქსება; უამისოდ შეუძლებელია საერთო გადაწყვეტილების გამოტანა, და მაშასადამე, შეუძლებელია მოქმედების ერთია-ნობაც. უამისოდ იშლება იმ მუშების მარქსისტული ორგანიზაცია, რომლებიც «ერკვევიან საქმის ვითარების

დედაარსში», და ადვილდება ბურჟუაზიის გავლენა ჩამორ-ჩენილებზე.

როცა იცავენ ფულის შეგროვებას მიმართულებათა მიხედ-ვით, ფულის შეგროვებას დისკუსიების გამართვით პლატ-ფორმების შესახებ, პიტერის საუკეთესო მუშები იბრძვიან მარქსიზმისათვის უპარტიობის მომხრეთა წინააღმდეგ.

და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მუშები მთელი ძალ-ღონით დაიცავენ ყოველთვის და ყველგან ფულის შეგრო-ვებისა და მასის გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ე ლ ი დისკუსიების მ ხ ო ლ ო დ მარქსისტულ სისტემას.

«სევერნაია პრავდა» № 27,
1913 წ. 3 სექტემბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «სევერნაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

დუბლინის ხოცვა-ჟლეტის ერთი კვირის შემდეგ

კვირას, 7 სექტემბერს (ძვ. სტ. 25 აგვისტოს) — პოლიციის მიერ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის სწორედ ერთი კვირის შემდეგ — დუბლინის მუშებმა დიდი საპროტესტო მიტინგი გამართეს ირლანდიის კაპიტალისტებისა და ირლანდიის პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ.

მიტინგი მოაწყეს სწორედ იმ ქუჩაზე (ო' კონელის ქუჩა) და იმავე ადგილას, სადაც გასულ კვირას დანიშნული იყო მიტინგი, რომელიც პოლიციამ აკრძალა. ეს არის ისტორიული ადგილი, სადაც ყველაზე მოსახერხებელია მიტინგების გამართვა და სადაც ყველაზე ხშირად იმართებოდა დუბლინის მიტინგები.

პოლიცია მიიმალა. ქუჩები სავსე იყო მუშებით. დიდძალი ხალხი და სრული წესრიგი. «წარსულ კვირას — წამოიძახა ერთმა ირლანდიელმა ორატორმა — აქ ბატონობდა პოლიციის უგუნური ხელკეტი, დღეს კი ბატონობს გონება პოლიციის უხელკეტოდ».

ინგლისში ა რ ი ს კონსტიტუცია, — და ხელისუფლებმა მეორედ ვერ გაბედეს მთვრალი პოლიციელი ჯარისკაცების გამოყენება. აღმართული იყო სამი ტრიბუნა, ექვსი ორატორი, მათ შორის ინგლისის პროლეტარიატის წარმომადგენლები, ჰკიცხავდნენ ხალხის მიმართ ჩადენილ დანაშაულს და მოუწოდებდნენ მუშებს ინტერნაციონალური შემჭიდროებისაკენ. გაერთიანებული ბრძოლისაკენ.

ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია კრებებისა და კოალიციის თავისუფლების მოთხოვნით, აგრეთვე მოთხოვნით — დაუყოვნებლივ დაინიშნოს გამოძიება — დამოუკიდებელ პირთა ხელმძღვანელობით და საჯარო გამოძიების გარანტიით — გასულ კვირას პოლიციის მოქმედების გამო.

ლონდონში დიადი სანახაობის მიტინგი შესდგა ტრაფალგარსკვერში. სოციალისტებისა და მუშების ჯგუფები თავიანთი დროშებით მოვიდნენ. მრავალი პლაკატი იყო ყოველგვარი სურათებით და წარწერებით დღიურ ჭირვარამზე. ხალხი განსაკუთრებული ტაშის ცემით შეხვდა პლაკატს, რომელზედაც გამოხატული იყო პოლიციელი; პოლიციელი წითელ დროშას იქნევდა წარწერით: «სიჩუმე».

ორატორთაგან განირჩეოდნენ ბენ ტილეტი, რომელიც ამტკიცებდა, ინგლისის «ლიბერალური» მთავრობა არაფერით ჩამორჩება რეაქციულ მთავრობასო, — და მელითონეთა კავშირის დუბლინელი მდივანი პარტრიჯი, რომელმაც დაწვრილებით უამბო დამსწრეთ, თუ რა უსინდისო ძალადობას მიმართა პოლიციამ დუბლინში.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ როგორც ლონდონის, ისე დუბლინის მიტინგის მთავარი ლოზუნგი იყო კოალიციის (კავშირების) თავისუფლების მოთხოვნა. ეს სავსებით გასაგებიცაა. საერთოდ რომ ვთქვათ, ინგლისში ა რ ი ს პოლიტიკური თავისუფლების საფუძვლები, ა რ ი ს კონსტიტუციური რეჟიმი (წესწყობილება). მუშების მიერ კოალიციის თავისუფლების მოთხოვნა იქ არსებული კონსტიტუციური წესწყობილების პირობებში ერთ-ერთი საარსებო და სავსებით განსახორციელებელი რეფორმაა (სწორედ ისევე, როგორც რუსეთში შეიძლება, ვთქვათ, მუშათა დაზღვევის ნაწილობრივი რეფორმის განხორციელება).

კოალიციის თავისუფლება ერთნაირად საარსებო საჭიროებას წარმოადგენს როგორც ინგლისისა, ისე რუსეთის მუშებისათვის. და ინგლისის მუშები სავსებით მართებულად იქცევიან, როცა აყენებენ მათთვის უცილობელი პოლიტიკური რეფორმის ლოზუნგს, მათ კარგად აქვთ შეგნებული ინგ-

ლისის კონსტიტუციურ ვითარებაში ამ რეფორმის განხორციელების გზა და მისი განხორციელების სრული შესაძლებლობა (სწორედ ისევე, როგორც მართებულად მოიქცეოდნენ რუსეთის მუშები, თუ წამოაყენებდნენ დაზღვევის კანონის განსაზღვრულ ცვლილებათა ნაწილობრივ მოთხოვნას).

რუსეთში კი პოლიტიკური თავისუფლების სწორედ ის საერთო საფუძვლები არ არის, უ რ ო მ ლ ი ს ო დ ა ც კოალიციის თავისუფლების მოთხოვნა პირდაპირ სასაცილოა და ეს მხოლოდ გაცვეთილი ლიბერალური ფრაზაა, რომელიც ატყუებს ხალხს, თითქოს ჩვენში შესაძლებელი იყოს რეფორმისტულ გზაზე ფიქრი. რუსეთში შეუძლებელია ბრძოლა კოალიციის თავისუფლებისათვის — რაც უაღრესად ესაჭიროებათ მუშებსაც და მთელ ხალხსაც — თ უ ლიბერალების უილაჯო და ყალბ რეფორმიზმს ა რ დაუპირისპირდება თანამიმდევარი დემოკრატიზმი მუშებისა, რომლებსაც რეფორმიზმის ილუზიებს ვერ დავაბრალებთ.

«სევერნაია პრავდა» № 27.
1913 წ. 3 სექტემბერი.
«ნაშ·პუტ» № 8
1913 წ. 3 სექტემბერი
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება
გაზეთ «სევერნაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

პოლიტიკის პრინციპული საკითხები

ლიბერალური ბურჟუაზია და რეფორმიზმი

ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე სრულიად რუსეთის ვაჭართა სახელით ფართო პოლიტიკური რეფორმების შუამდგომლობით გამოვიდა მილიონერი სალაზკინი. პეტერბურგის მელითონეთა კავშირის კრებაზე, რომელსაც სამი ათასი კაცი დაესწრო, სასტიკად დამარცხდნენ რეფორმისტები; გამგეობის წევრების მათმა სიამ 150 ხმამდე მიიღო [87].

ეს ორი ფაქტი, რომელთა დაპირისპირება თავისთავად გებადება აზრად, უაღრესად უპრინციპო ადამიანებსაც კი რუსეთის თანამედროვე პოლიტიკის პრინციპულ საკითხებს აღუძრავს. ყველა კლასის უამრავ ადამიანს აინტერესებს რუსეთის პოლიტიკა, მაგრამ ბევრს როდი აქვს შეგნებული პოლიტიკის საკითხების პრინციპული დაყენების მნიშვნელობა. ბევრს არა აქვს შეგნებული მნიშვნელობა პარტიებისა, რომლებიც მუდამ მოფიქრებულ, ზუსტ და გაფორმებულ პასუხს იძლევიან ამ საკითხებზე. ხოლო როდესაც პარტიები დაკავშირებული არიან გარკვეულ კლასებთან, ასეთ პასუხს იძლევიან მასებში მუშაობის გამოცდილების საფუძველზე და ეს პასუხი მოწმდება ასეთი მუშაობით მრავალი წლის განმავლობაში.

სწორედ ასეთია პასუხი მარქსისტებისა, რომელთაც $4^1/_2$-ზე მეტი წლის წინათ შეაფასეს სამი ივნისის სისტემა და თავიანთი ამოცანები მის მიმართ *. მუშებს, რომლებიც მრავალი

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 15, გვ. 389 — 393. რ ე დ.

წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად მუშაობენ ყოველგვარ ასპარეზზე ამ პასუხის მიხედვით, — მთელი უფსკრული ჰყოფს თავგზააბნეულ ინტელიგენტთაგან, რომელნიც გაურბიან ყოველგვარ გარკვეულ პასუხს და ყოველ ნაბიჯზე მოლიპული გზით რეფორმიზმისა და ლიკვიდატორობისაკენ მიექანებიან.

შებრალების ღირსნი არიან ის ადამიანები, რომლებიც ხედავენ მარქსისტების ბრძოლას ლიკვიდატორებთან და სჯერდებიან უბადრუკ სიტყვებს იმის შესახებ, თუ რა ზიანი შოაქვს დავას, შეხლა-შემოხლას, შინაბრძოლას, ფრაქციულობას... ხოლო ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება მრავალი «ვითომ-მარქსისტი» და ყველა «მემარცხენე» ნაროდნიკი!

ბურჟუაზიის პრინციპული მომხრეები და მარქსიზმის მტრები, გაზეთ «რეჩის» ლიბერალები, გვერდს ვერ აუვლიდნენ ზემოაღნიშნულ ფაქტებს. სარედაქციო სტატიაში (№ 234) ისინი იმეორებენ ყველა გაცვეთილ უბადრუკ სიტყვას, — მაგრამ ამას როდი სჯერდებიან.

ლიბერალები იძულებული ხდებიან აღიარონ, რომ «ბოლშევიკების ბრძოლა ლიკვიდატორებთან გაჩაღებულია ყველგან», რომ «ამ ბრძოლით გამსჭვალულია მუშის ორგანიზმის ყველა ფორი».

მერე რა? შეიძლებოდა ეს შემთხვევით მომხდარიყო? არა...

«უკვე დიდი ხანია გამოისახა დიდი პრინციპული უთანხმოება, რაც საბოლოო ანგარიშში იმის გარშემო ტრიალებს, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარება».

როგორც იქნა მოისაზრეს! მარქსისტებმა ეს განმარტეს 1908 წლის დეკემბერს, ლიბერალებმა ამის გაგება დაიწყეს 1913 წლის აგვისტოში. სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

«განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, — განაგრძობს ლიბერალური გაზეთი, — რომ რეფორმების გზა ანდა «რეფორმები შესაძლებელია მხოლოდ როგორც მოძრაობის მეორეხარისხოვანი შედეგი, მოძრაობისა, რომელიც სრულიად მოკლებულია რეფორმიზმის ყოველგვარ შეზღუდულობას» (ციტატი მოყვანილია «სევერნაია პრავდიდან»). აი როგორ ისმება საკითხი».

სწორედ რომ ასეა! ლიკვიდატორობის საკითხი მხოლოდ ნაწილია საკითხისა მარქსიზმისგან გამოთიშული უპარტიო რეფორმისტების შესახებ.

მაგრამ საინტერესოა ვნახოთ, როგორ იცავენ მას ლიბერალები, რეფორმიზმის პრინციპული მომხრეები?

«რა თქმა უნდა, იმ აზრში, რომ რეფორმები შესაძლებელია მხოლოდ როგორც «მეორეხარისხოვანი შედეგი» — ბევრია მეტაფიზიკა და ფატალიზმი. ურეფორმატორებოდ და ურეფორმიზმოდ რეფორმებიც შეუძლებელია, თუნდაც როგორც «მეორეხარისხოვანი შედეგი»»...

აი ისევ ბრაზიანი სიტყვების ნიმუში და პასუხისგან თავის დაძვრენის ცდები! რა შუაშია აქ მეტაფიზიკა, როცა ისტორიული გამოცდილება, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის გამოცდილება, კაცობრიობის მთელი უახლესი ისტორიის გამოცდილება ევროპასა და აზიაში, ცხადყოფს, რომ სერიოზული რეფორმები ყოფილა მხოლოდ მეორეხარისხოვანი შედეგი რეფორმიზმის შეზღუდულობისაგან სრულიად თავისუფალი მოძრაობისა?

რა შუაშია აქ ფატალიზმი, როდესაც იგივე გამოცდილება ნათლად მეტყველებს, რომ ყველაზე მეტი ქმედობით განირჩეოდნენ სწორედ რეფორმიზმისადმი მტრულად განწყობილი კლასები?

ან, იქნებ, XX საუკუნის პირველი წლების რუსეთის მუშათა კლასის მოქმედებაში მეტი «ფატალიზმი» ჩანს, ვიდრე XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის ლიბერალური ეროველებისა და ბურჟუაზიის მოქმედებაში? თქვენ სასაცილოდ იხდით თავს, ბატონო ლიბერალებო!

ნუთუ ისეთი უმეცარნი ხართ, რომ ვერ ხედავთ კავშირს ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ინტერესებსა და მის მისწრაფებას შორის — რეფორმიზმით დაკმაყოფილების მისწრაფებას შორის? — მუშათა კლასის მდგომარეობასა და მის პირუკუ მისწრაფებას შორის?

არა, ბატონებო, ცუდი დამცველები ყოფილხართ საერთოდ რეფორმიზმისა! მაგრამ იქნებ თქვენ უკეთ იცავთ რეფორმიზმს თანამედროვე რუსეთში?

...«უნდა აღვიაროთ, — განაგრძობს «რეჩი», — რომ თანამედროვე ვითარებას, რასაც არა ერთხელ დაუმტკიცებია ყველაზე ზომიერი რეფორმატორებისთვის მათი ღონისძიებების მთელი ამაოება, ადამიანის აზრი და განსაკუთრებით გრძნობები რეფორმიზმის უარყოფამდე მიჰყავს».

ერიჰა! გამოდის, რომ თქვენც, რეფორმიზმის პრინციპულ მომხრეებს, არ შეგიძლიათ დაიმოწმოთ არც ისტორიის გამოცდილება, არც რუსეთის «თანამედროვე ვითარება». თქვენც კი იძულებული ხდებით აღიაროთ, რომ ეს ვითარება — თქვენს წინააღმდეგაა!

რა მეტაფიზიკოსები და ფატალისტები ყოფილხართ, ბატონებო, — ან რა ბრმა მონები ყოფილხართ ვიწრო, ანგარებიანი, ლაჩარი მდიდარი კაცისა, — თუ, მიუხედავად ისტორიის გამოცდილებისა, მიუხედავად «თანამედროვე ვითარების» გამოცდილებისა, მაინც რეფორმიზმის უპრინციპო პოზიცია გიკავიათ. რეფორმებისადმი თვითონ რწმენადაკარგულნი, სინამდვილეში ხომ არ იცავთ სწორედ იმ ბურჟუაზიას, რომელიც მიისწრაფის სხვის ხარჯზე მოითბოს ხელი?

გასაგებია, რომ რუსეთის მუშათა კლასის მოწინავე რაზმმა, პეტერბურგის მელითონეებმა, საშინლად დაამარცხეს რეფორმისტები და ლიკვიდატორები მათივე საკუთარ წრეში. ლიბერალური და რეფორმისტული «რეჩის» მონაცემების მიხედვით რეფორმისტ-ლიკვიდატორებმა შეაგროვეს 150 ხმა 2 000-დან, ესე იგი ასიდან $7^1/_2$ ხმა. კიდევ და კიდევ ხომ არ ამტკიცებს ეს, — IV სათათბიროსათვის მუშათა წარმომადგენლების არჩევნების შემდეგ, პიტერსა და მოსკოვში მუშათა პრესის წარმოშობის ისტორიის შემდეგ, — რომ ლიკვიდატორები წარმოადგენენ მხოლოდ თავგზააბნეულ და ნახევრადლიბერალურ ინტელიგენტებს? რომ შეგნებული მუშების მასამ მტკიცედ და გადაჭრით დაგმო და უარყო ისინი?

«სევერნაია პრავდა» № 28,
1913 წ. 4 სექტემბერი;
«ნაშ პუტ» № 9,
1913 წ. 4 სექტემბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
კაზეთ «სევერნაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

ლიბერალები და დემოკრატები ენების საკითხში

გაზეთებს არა ერთხელ აღუნიშნავთ კავკასიის მეფისნაცვლის ანგარიში, რომელსაც ახასიათებს არა შავრაზმელობა, არამედ მორცხვი «ლიბერალიზმი». სხვათა შორის, მეფისნაცვალი წინააღმდეგია ხელოვნური გარუსებისა, ე. ი. არარუს ეროვნებათა გარუსებისა. კავკასიაში არარუს ეროვნებათა წარმომადგენლები თ ვ ი თ ო ნ ცდილობენ ასწავლონ ბავშვებს რუსული, მაგალითად, სომხურ სამრევლო სკოლებში, სადაც რუსული ენის სწავლება სავალდებულო არ არის.

«რუსსკოე სლოვო» (№ 198), რუსეთის ერთ-ერთი ფრიად გავრცელებული ლიბერალური გაზეთი, აღნიშნავს ამას და სამართლიანად დაასკვნის, რომ რუსეთში რუსულ ენას მტრულად უყურებენ «მხოლოდ და მხოლოდ» იმის გამო, რომ «ხელოვნურად» (უნდა ეთქვა: ძალადობით) ნერგავენ რუსულ ენასო.

«რუსული ენის ბედზე წუხილი ზედმეტია. იგი თვითონ მოიპოვებს აღიარებას მთელ რუსეთშიო» — წერს გაზეთი. და ეს სამართლიანიცაა, რადგან ეკონომიური აღებ-მიცემობის საჭიროება მუდამ აიძულებს ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ეროვნებებს (სანამ ერთად ცხოვრებას მოისურვებენ) შეისწავლონ უმრავლესობის ენა. რაც უფრო დემოკრატიული იქნება რუსეთის წყობილება, მით უფრო ძლიერ, სწრაფად და ფართოდ განვითარდება კაპიტალიზმი, ეკონომიური ბრუნვის საჭიროება მით უფრო დაჟინებით აიძულებს სხვადა-

სხვა ეროვნებას შეისწავლოს ის ენა, რომელიც ყველაზე უფრო გამოსაყენებელია საერთო სავაჭრო ურთიერთობისათვის.

მაგრამ ლიბერალური გაზეთი იჩქარის გაიმათრახოს თავი და დაამტკიცოს თავისი ლიბერალური არათანამიმდევრობა.

«საეჭვოა, — წერს იგი, — რომ ვინმემ გარუსების მოწინააღმდეგეთა შორისაც კი გაილაშქროს იმის წინააღმდეგ, რომ ისეთ უზარმაზარ სახელმწიფოში, როგორიცაა რუსეთი, უნდა იყოს ერთი საერთო-სახელმწიფო ენა და რომ ასეთი ენა... შეიძლება იყოს მხოლოდ რუსული ენა».

უკუღმა გადმობრუნებული ლოგიკა თუ გინდათ, სწორედ ესაა! პატარა შვეიცარია კი არ აგებს, არამედ იგებს იმით, რომ იქ არის არა ე რ თ ი სახელმწიფო ენა, არამედ სამი: გერმანული, ფრანგული და იტალიური. შვეიცარიის მოსახლეობის 70% გერმანელებია (რუსეთში ველიკორუსებია 43%). 22% — ფრანგები (რუსეთში უკრაინელებია 17%), 7% — იტალიელები (რუსეთში პოლონელებია 6% და ბელორუსები 4½%). თუ შვეიცარიაში იტალიელები საერთო პარლამენტში ხშირად ფრანგულად ლაპარაკობენ, ამას სჩადიან არა რომელიმე ველური პოლიციური კანონის (ასეთი რამ შვეიცარიაში არ არის) იძულებით, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს ცივილიზებული მოქალაქენი თვითონ აძლევენ უპირატესობას უმრავლესობისთვის გასაგებ ენას. ფრანგული ენა სიძულვილს არ უნერგავს იტალიელებს, რადგან ეს არის თავისუფალი, ცივილიზებული ერის ენა, ენა, რომელსაც თავს არავის ახვევენ საზიზღარი პოლიციური ზომებით.

მაშ «უზარმაზარმა» რუსეთმა, ბევრად უფრო ჭრელმა, საშინლად ჩამორჩენილმა, რატომ უნდა შ ე ა ფ ე რ ხ ო ს თავისი განვითარება ერთ-ერთი ენის რაიმე პრივილეგიის შენარჩუნებით? თუ პირიქით, ბატონო ლიბერალებო? რუსეთმა, თუ მას სურს დაეწიოს ევროპას, ხომ არ უნდა მოუღოს ბოლო ყველა და ყოველგვარ პრივილეგიას რაც შეიძლება უფრო ჩქარა, რაც შეიძლება უფრო სრულად, რაც შეიძლება უფრო გაბედულად?

თუ მოისპობა ყოველგვარი პრივილეგიები, თუ შეწყდება ერთ-ერთი ენის თავზე მოხვევა, ყველა სლავი ადვილად და სწრაფად გაუგებს ერთმანეთს და არ შეუშინდება იმ «საშინელ» აზრს, რომ საერთო პარლამენტში სხვადასხვა ენაზე წარმოთქვამენ სიტყვებს. ეკონომიური ბრუნვის საჭიროებანი კი თავისთავად გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ე ნ ამ ა თუ იმ ქვეყნის იმ ენას, რომლის ცოდნა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი იქნება უმრავლესობისთვის სავაჭრო ურთიერთობის თვალსაზრისით. და ეს განსაზღვრა მით უფრო მტკიცე იქნება, რომ მას ნებაყოფლობით მიიღებს სხვადასხვა ერის მოსახლეობა, მით უფრო სწრაფი და ფართო იქნება, რაც უფრო თანამიმდევარი იქნება დემოკრატიზმი და ამის გამო რაც უფრო სწრაფად განვითარდება კაპიტალიზმი.

ლიბერალები ენების საკითხსაც, ისე როგორც ყველა პოლიტიკურ საკითხს, უდგებიან როგორც თვალთმაქცი ჩარჩები, რომლებიც ცალ ხელს (აშკარად) უწვდიან დემოკრატიას, ხოლო მეორე ხელს (ზურგს უკან) მებატონეებს და პოლიციელებს. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ პრივილეგიებისაო — გაიძახიან ლიბერალები, ზურგს უკან კი მებატონეებს სცინცლავენ ხან ერთს, ხან მეორე პრივილეგიას.

ასეთია ყ ო ვ ე ლ ი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ნაციონალიზმი — არა მარტო ველიკორუსული (იგი ყველაზე უარესია მისი ძალმომრეობითი ხასიათისა და ბატონ პურიშკევიჩებთან ნათესაობის წყალობით), არამედ პოლონური, ებრაული, უკრაინული, ქართული და ყოველი სხვა ნაციონალიზმიც. როგორც ავსტრიაში, ისე რუსეთში ყ ვ ე ლ ა ერის ბურჟუაზია «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგით ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი ატარებს მუშების დაქუცმაცებას, დემოკრატიის დასუსტებას, მებატონეებთან ჩარჩულ გარიგებას ხალხის უფლებებისა და ხალხის თავისუფლების გაყიდვის შესახებ.

მუშათა დემოკრატიის ლოზუნგია არა «ნაციონალური კულტურა», არამედ დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა

მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურა. დაე ბურჟუაზიამ ატყუოს ხალხი ყოველგვარი «პოზიტიური» ნაციონალური პროგრამებით. შეგნებული მუშა მას უპასუხებს: არსებობს ნაციონალური საკითხის მხოლოდ ერთადერთი გადაწყვეტა (რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია მისი გადაწყვეტა კაპიტალიზმის სამყაროში, მოხვეჭის, ერთმანეთის ჭამისა და ექსპლოატაციის სამყაროში) და ეს გადაწყვეტაა — თანამიმდევარი დემოკრატიზმი.

დამამტკიცებელი მაგალითები: შვეიცარია დასავლეთ ევროპაში — ძველი კულტურის ქვეყანა, და ფინეთი აღმოსავლეთ ევროპაში — ახალგაზრდა კულტურის ქვეყანა.

მუშათა დემოკრატიის ნაციონალური პროგრამაა: სრულიად არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას; ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის საკითხის, ე. ი. მათი სახელმწიფოდ გამოყოფის საკითხის გადაწყვეტა სრულიად თავისუფალი, დემოკრატიული გზით: საერთო-სახელმწიფო კანონის გამოცემა და ამ კანონის მეოხებით ყოველი ღონისძიება (საერობო, საქალაქო, სათემო და სხვ. და ა. შ.), რომელიც ატარებს ერთ-ერთი ერის რაიმე პრივილეგიას, არღვევს ერთა თანასწორუფლებიანობას ან ეროვნული უმცირესობის უფლებებს, ცხადდება უკანონოდ და გაუქმებულად — სახელმწიფოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს ასეთი ღონისძიების გაუქმება, როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგოსი, და სისხლის სამართლის კანონის მიხედვით მათი დასჯა, ვინც მის განხორციელებას დაიწყებდა.

ენის საკითხისა და სხვათა გამო სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიის ნაციონალურ კინკლაობას მუშათა დემოკრატია უპირისპირებს მოთხოვნას: ყ ვ ე ლ ა ეროვნების მუშაოა უცილობელი ერთიანობა და სრული შეერთება ყ ვ ე ლ ა პროფესიულ, კოოპერაციულ, სამომხმარებლო, საგანმანათლებლო და ყოველგვარ სხვა მუშათა ორგანიზაციაში, წინააღმდეგ ყოველგვარი ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა. მხოლოდ ასეთ ერთიანობას და შეერთებას შეუძლია დაიცვას დემოკრატია,

დაიცვას მუშათა ინტერესები კაპიტალის წინააღმდეგ, — რომელიც უკვე გახდა და სულ უფრო და უფრო ინტერნაციონალური ხდება, — დაიცვას ინტერესები კაცობრიობის განვითარებისა ცხოვრების ახალი წყობისაკენ, სადაც აღარ იქნება არავითარი პრივილეგიები და არავითარი ექსპლოატაცია.

«სევერნაია პრავდა» № 29,
1913 წ. 5 სექტემბერი;
«ნაშ პუტ» № 12, 1913 წ.
7 სექტემბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «სევერნაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ციფრების ენა[88]

I

ცნობილია, რომ მთელ რუსეთში ფაბრიკა-ქარხნების მუშათა ხელფასმა დიდად აიწია სწორედ 1905 წელს და 1905 წლის შემდეგ. საფაბრიკო ინსპექტორების ანგარიშების მიხედვით, რუსეთში ფაბრიკა-ქარხნების მუშის საშუალო ხელფასი ხუთწლეულის — 1901 — 1905 წლების — განმავლობაში უდრიდა 206 მანეთს, ხოლო შემდგომი ხუთწლეულის — 1906 — 1910 წლების — განმავლობაში — 238 მანეთს.

მოსკოვის გუბერნიაში მუშათა ხელფასი რამდენადმე უფრო დაბალია რუსეთის საშუალო ხელფასთან შედარებით. 1901 — 1905 წლებში ის უდრიდა 201 მანეთს, საფაბრიკო ინსპექტორის კოზმინიხ-ლანინის სტატისტიკის მიხედვით, ხოლო შემდგომ ოთხწლეულში — 1906 — 1909 წლებში — 235 მანეთს.

ამრიგად, 1905 წლის წყალობით მოსკოვის მუშათა ხელფასი საშუალოდ გადიდდა 1 მუშაზე 34 მ ა ნ ე თ ი თ ი თ, ე. ი. თითქმის 17%-ით. თუ ფაბრიკა-ქარხნების მუშებს მოსკოვის გუბერნიაში ვიანგარიშებთ 300 ათასიდან 350 ათასამდე, ეს შეადგენს ყველა მუშის წ ლ ი უ რ მოგებას 11 მ ი ლ ი ო ნ ა მ ა ნ ე თ ი ს რაოდენობით.

ჩვენ ვხედავთ, რომ 1905 წლის გაფიცვებში მუშების გაღებული მსხვერპლი ანაზღაურდა მუშების ეკონომიური მდგომარეობის სერიოზული გაუმჯობესებით.

და, თუმცა 3 ივნისის სისტემის, ე. ი. კონტრრევოლუციური (ანტირევოლუციური) სისტემის გამარჯვების შემდეგ მთელი რიგი მონაპოვარნი უკანვე წაიღეს, მაგრამ ხელფასის ძველ დონეზე დაყვანა კაპიტალმა მაინც ვერ შესძლო. მოსკოვის გუბერნიაში 1901-დან 1905 წლამდე მუშების წლიური ხელფასი იყო დაახლოებით 200 მანეთი, მერყეობდა რა წლების მიხედვით 197 მანეთიდან (1902 წელს) 203 მანეთამდე (1905 წელს). 1906 წელს, როდესაც პირველად იჩინა თავი 1905 წლის შედეგებმა, ხელფასმა აიწია 228 მანეთამდე, შემდეგ 1907 წელს — 237 მანეთამდე, 1908 წელს ცოტათი შემცირდა (236½ მან.), 1909 წელს კი კვლავ 237 მანეთამდე ავიდა.

ციფრები ცხადყოფენ, რომ 1905 — 1906 წლების მონაპოვარი რომ არ ყოფილიყო, მუშების გაღატაკება აუტანელი იქნებოდა, რადგან უკანასკნელ ათწლეულში სიძვირე სულ უფრო და უფრო მატულობს.

II

მოსკოვის გუბერნიის დიდ ფაბრიკებში მუშათა ხელფასი, როგორც საერთო წესი, უფრო მაღალია, ვიდრე წვრილ ფაბრიკებში. მაგალითად, საშუალო წლიური ხელფასი ფეიქრებისა, რომლებიც ჩვენი გუბერნიის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა საერთო რიცხვის 68%-ს, ე. ი. ორ მესამედზე მეტს შეადგენენ, 1909 წელს იყო:

| | | |

მუშები უფრო ადვილად ერთიანდებიან და უმკლავდებიან კაპიტალს, უფრო ადვილად იცავენ ერთად თავიანთ მოთხოვნებს. მოწინავე ამხანაგებს რომ დაეწიონ, წვრილი ფაბრიკეებისა და სახელოსნოების მუშები უფრო გულმოდგინედ უნდა გაერთიანდნენ კავშირებში (პროფესიულ, საგანმანათლებლო, კოოპერაციულ და სხვ.) და უფრო მჭიდროდ უნდა დაირაზმონ თავიანთი მუშათა გაზეთის გარშემო.

რადგან დიდ ფაბრიკებში მუშები უფრო დარაზმული არიან — მუშათა გაფიცვებიც უფრო ადვილი მოსაწყობია და უფრო წარმატებით მიმდინარეობს. დიდი ფაბრიკები უფრო მეტ მონაწილეობას იღებდნენ 1905 და 1906 წლების საგაფიცვო მოძრაობაში, ვიდრე წვრილი ფაბრიკები.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვხედავთ, რომ უდიდესი ფაბრიკების მუშებმა **მ ე ტ ი მ ო ი გ ე ს** ამ წლების გაფიცვებით, ვიდრე წვრილ საწარმოთა მუშებმა. აი მონაცემები მოსკოვის გუბერნიის ყველა საწარმოს მუშების შესახებ:

ფაბრიკების თანრიგი მუშების რიცხვის მიხედვით		ერთი მუშის საშუალო წლიური ხელფასი		
		ბუთწლეულის განმავლობაში (1901 — 1905)	ოთხწლეულის განმავლობაში (1906 — 1909)	გადიდება მანეთად
რომელთაც ჰყავთ 1 000-ზე მეტი მუშა		196	234	+38
» » 501—1 000	»	186	231	+45
» » 101— 500	»	211	238	+27
» » 51— 100	»	215	240	+25
» » 21— 50	»	216	241	+25
» » 20 და ნაკლები	»	193	207	+14
	სულ	201	235	+34

ამ ციფრების გამო უწინარეს ყოვლისა საჭიროა განვმარტოთ ზემომოყვანილი წესის გამონაკლისი (მოჩვენებითი); ამ წესის მიხედვით გამოდის, რომ ხელფასი მსხვილ ფაბრიკებში უფრო დიდია, ვიდრე წვრილ ფაბრიკებში. საქმე ისაა, რომ მელითონეებს, სტამბის მუშებს და ზოგიერთ სხვას ბევრად მეტი ხელფასი აქვთ, ვიდრე ფეიქრებს (360 მან., 310 მან. წინააღმდეგ 211 მანეთისა და სხვ.). უდიდეს ფაბრიკებში კი ფეიქ-

რების წ ი ლ ი მუშათა საერთო რიცხვში გაცილებით მეტია, ვიდრე საშუალო და წვრილ ფაბრიკებში. ამის გამო ვღებულობთ მოჩვენებითს გამონაკლისს წესიდან: თითქოს საშუალო და წვრილ ფაბრიკებში უფრო დიდი ხელფასი იყოს, ვიდრე მსხვილ ფაბრიკებში.

რა დასკვნას ვღებულობთ ხელფასის გადიდების შესახებ მსხვილ და წვრილ ფაბრიკებში 1905 წლის შემდეგ?

დიდ ფაბრიკებში (500 და მეტი მუშით) ეს გადიდება შეადგენს დაახლოებით 40 მანეთს წელიწადში, ე. ი. მანეთზე 20 კაპიკს.

საშუალო და წვრილ ფაბრიკებში, 21-დან 500 მუშით, გადიდება უდრის დაახლოებით 25 მანეთს, ე. ი. მანეთზე დაახლოებით 12 კაპიკს.

ყველაზე წვრილ ფაბრიკებში (20 და ნაკლები მუშით) გადიდება სულ შეადგენს 14 მანეთს, ე. ი. მანეთზე 7 — 8 კაპიკს.

ამრიგად, მსხვილ ფაბრიკებში მუშების უფრო ენერგიულმა და შეთანხმებულმა საგაფიცვო ბრძოლამ გამოიწვია ხელფასის უფრო მეტი გადიდება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კავშირებში გაერთიანებით წვრილი ფაბრიკების მუშებს შეუძლიათ ამ მხრივ გაუთანაბრდნენ მსხვილი ფაბრიკების მუშებს.

III

1905 წლის საგაფიცვო ბრძოლით მუშათა მონაპოვარი მარტო ხელფასის გადიდებაში როდი გამოიხატა. გარდა ამისა საერთოდ გაუმჯობესდა მუშის მთელი მდგომარეობა.

მუშათა მდგომარეობის ამ გაუმჯობესების ოდენობის ზუსტად გამოხატვა ციფრებით შეუძლებელია, მაგრამ 1905 — 1906 წლებში ყოველმა მუშამ კარგად შეიგნო და იგრძნო ეს გაუმჯობესება.

საფაბრიკო ინსპექტორის კოზმინიხ-ლანინის მონაცემები მხოლოდ იმის საშუალებას იძლევიან, **რომ გავარკვიოთ, თუ რა გავლენა მოახდინა 1905 წელმა მუშათა დ ა ჯ ა რ ი მ ე-**

ბ ა ზ ე. როცა კაპიტალისტი მუშებს აჯარიმებს, ის მსაჯულის როლს იჩემებს. ამიტომ დაჯარიმებასთან ყოველთვის დაკავშირებულია განსაკუთრებით დიდი თვითნებობა მუშების მიმართ, ზოგჯერ კი მუშების პირდაპირ აბუჩად აგდებაც. ბუნებრივია, რომ მუშები მუდამ მოითხოვენ ჯარიმების გ ა უ ქ მ ე ბ ა ს, კაპიტალისტებისათვის იმის უფლების წართმევას, რომ მსაჯულები იყვნენ თავიანთ საკუთარ საქმეში.

ი მონაცემები მოსკოვის გუბერნიის ყველა მუშის დაჯარიმების შესახებ წლების მიხედვით:

წლები	საშუალოდ 1 მუშაზე მოდიოდა ჯარიმა კაპიკებად
1901.....	30
1902.....	27
1903.....	27
1904.....	29
1905.....	17
1906.....	12
1907.....	15
1908.....	18
1909.....	21

ჩვენ ვხედავთ, თუ რა წარმატებით «შეამცირეს» მუშებმა ჯარიმების ჯამი. 1905 წლამდე ჯარიმები შეადგენდა 27 — 30 კაპიკს ერთ მუშაზე.

დგება 1905 წელი. ჯარიმები ერთბაშად ეცემა თითქმის ერთიორად: 17 კაპიკამდე. 1906 წელს 1905 წლის შედეგები კიდევ უფრო ნათლად იჩენს თავს: ჯარიმები ეცემა 12 კაპიკამდე.

რევოლუცია გათავდა. კაპიტალისტები თამამდებიან. ჯარიმები კვლავ მაღლა იწევს — 15 — 18 — 21 კაპიკამდე.

მაგრამ 1909 წელსაც კი, — ეს კი ყველაზე ყრუ და ყველაზე ხანგრძლივი მყუდროების წელი იყო — კაპიტალისტები ვერ ახერხებენ ჯარიმები აიყვანონ ძველ, უგვანო, დონემდე. თუმცა კაპიტალისტი დიდად ლაქიობს პურიშკევიჩის წინაშე, მაგრამ მაინც ორივე «საყვარელი მეგობარი» ვერ

ახერხებს დაუბრუნდეს ძველ დროს: რ უ ს ე თ ი ს მ უ შ ა უ კ ვ ე ი ს ა ღ ა რ ა რ ი ს, რ ა ც ი ყ ო. რუსეთის მუშამ ცოტა რამ უკვე ისწავლა!

თუ ჯარიმების ჯამს შევადარებთ მუშათა ხელფასის ჯამს, — ასეთი შედარება კი საჭიროა, რადგან სულ ერთი არ არის ხელფასის ერთი მანეთიდან იხდი აბაზს თუ მანეთნახევრიდან, — მუშების გამარჯვება 1905 წელს უფრო ცხადი გახდება.

საშუალოდ მუშების ხელფასის 100 მანეთზე წელიწადში ჯარიმები მოდიოდა კაპიკებად:

1901 წელს	15	1906 წელს	5
1902 »	14	1907 »	6
1903 »	13	1908 »	8
1904 »	14	1909 »	9
1905 »	9		

მაშასადამე, 1905 წლის შედეგად მოსკოვის გუბერნიის მუშებმა მიაღწიეს იმას, რომ უგვანო ჯარიმები ე რ თ ი ს ა მ ა დ შემცირდა. მიაღწევენ ჯარიმების სრულ გაუქმებასაც.

IV

დასასრულ ცოტა შევჩერდეთ იმ საკითხზე, თუ მოსკოველი მუშები ხელფასის რა ნაწილს ღებულობენ ნაღდ ფულად.

ამ მხრივ მოსკოველი მუშების მდგომარეობა მძიმეა. 1909 წელს მათ მიიღეს სულ 73 მილიონი მანეთი ხელფასი; აქედან 61½ მლნ. მან., ე. ი. 84,2% მიეცათ ნაღდ ფულად. ხელფასის თითქმის მეათედი, 7,2 მლნ. მან., მიეცათ სურსათ-სანოვაგისა და საქონლის სახით საფაბრიკო დუქნებიდან. ხელფასის ასეთი სახე მუშებს ბატონყმურ დამოკიდებულებაში აყენებს მეპატრონეების მიმართ და «ზემოგებას» აძლევს მეპატრონეებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან ბამბეულის მრეწველობის მუშები: ხელფასის მეხუთედზე

მეტი (5,9 მლნ. მან. 28,8-დან) მიეცათ სურსათ-სანოვაგის სახით. მუშებს რომ შეექმნათ თავისუფალი **მუშათა კოოპერატივები**, არათუ ასი ათასობით მანეთი დაიზოგებოდა კაპიტალის მონებისთვის, მოისპობოდა **მ ე პ ა ტ რ ო ნ ე თ ა** დუქნებზე ნახევრადბატონყმური დამოკიდებულებაც.

შემდეგ, ხელფასის 3¾ მილიონი მანეთი (5%) მუშებმა მიიღეს იმ პროდუქტების ფასის გადასახდელად, რაც მათ წაღებული ჰქონდათ სამომხმარებლო საზოგადოებათა დუქნებიდან და სხვ.. ბოლოს, ხელფასის 680 ათასი მანეთი (0,9%) მიღებულია იმ მუშების შენახვის სახით, რომელნიც მეპატრონეთა ხარჯზე არიან.

ხელფასის ეს სახე, რაც მუშებს უმზადებს ბატონყმური ხასიათის პირადი დამოკიდებულების ათასნაირ ფორმას, უფრო შესამჩნევად არის შენარჩუნებული აბრეშუმისა და ლელის დამმუშავებელ საწარმოებში, შემდეგ საკვები და საქონლის პროდუქტების დამმუშავებელ საწარმოებში.

რაც შეეხება 1905 წლის გავლენას ხელფასის ფორმებზე, ამ მხრივ თითქმის არავითარი მონაპოვარი არ ყოფილა. აი მონაცემები 1901 წლიდან:

		მ ა თ შ ო რ ი ს გ ა დ ა ხ დ ი ლ ი ა (%%-ით)			
წლები	**მუშათა მთელი ხელფასის ჯამი (მლნ. მანეთებად)**	**ნაღდი ფულით**	**საფ. დუქნების საქონლით**	**წაღებულია სამომხმ. საზოგადოებიდან**	**მუშების შენახვა მეპატრონეთა ხარჯზე**
1901....	53	81,4	8,9	7,3	2,4
1902....	54	81,5	9,1	7,0	2,4
1903....	57	83,0	8,3	6,6	2,1
1904....	55	82,7	9,0	6,5	1,8
1905....	57	82,8	9,2	6,5	1,5
1906....	64	85,1	7,6	5,8	1,5
1907....	71	83,8	9,4	5,3	1,5
1908....	73	82,9	10,4	5,2	1,5
1909....	73	84,2	9,8	5,1	0,9

1905 წლიდან ნაღდი ფულით ანაზღაურება სულ უმნიშვნელოდ გადიდდა. ასევე ცოტათი შემცირდა მეპატრონეთა ხარჯზე მუშების შენახვის სისტემა. პირიქით, საფაბრიკო

დუქნების მეშვეობით ანაზღაურება რამდენადმე კიდევაც გაიზარდა.

საერთოდ და მთლიანად, მდგომარეობა ისეთივე ცუდი დარჩა, როგორც წინათ იყო. მოსკოვის მუშებმა უნდა მიაღწიონ ხელფასის ნაღდი ფულით ანაზღაურებას და იბრძოლონ იმისათვის, რომ საფაბრიკო დუქნები შეიცვალოს მუშათა თავისუფალი სამომხმარებლო საზოგადოებებით.

«ნაშ პუტ» №№ 13 და 14;
1913 წ. 8 და 10 სექტემბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «ნაშ პუტის» ტექსტის
მიხედვით

ბატონი ბურჟუები «შრომითი» მიწათმოქმედების შესახებ

კიევის სასოფლო-სამეურნეო ყრილობაზე, მთელი რუსეთის 1 000 მემამულის წინაშე, ბ-მა პროფესორმა კოსინსკიმ წაიკითხა პირველი მოხსენება, სადაც ამტკიცებდა «შრომითი მეურნეობის» გამარჯვებას მიწათმოქმედებაში.

«შრომითი» მეურნეობის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური ურთიერთობის გასარკვევად. გარდა ამისა, რუსეთში არის ბურჟუაზიული პარტია ნაროდნიკებისა (მათ შორის «მემარცხენეებისა»), რომელიც ცდილობს დაარწმუნოს მუშები სოციალისტური პარტია ვართო; ეს პარტია ყველაზე უფრო თავგამოდებით იცავს სწორედ «შრომითს» მეურნეობას. ამიტომ საჭიროა ყოველი შეგნებული მუშა გაერკვეს, თუ რა არის ეს «შრომითი» მეურნეობა.

ბ-ნი ბურჟუაზიული პროფესორი კოსინსკი სრულიად დაუსაბუთებლად ირწმუნებოდა, რომ გლეხური მეურნეობა იზრდება, ხოლო მსხვილი მეურნეობა, რომელიც დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას ეწევა, იშლება და იღუპებაო. ამასთანავე ბ-ნი პროფესორი

«განასხვავებდა სამი სახის გლეხურ მეურნეობას: 1) პარცელური (ცეროდენა), როცა გლეხი სადღაც ფაბრიკაში მუშაობს, შინ კი, სოფლად, აქვს კარმიდამო და ბოსტანი, რომლის დამუშავება ცოტაოდნად ავსებს მის შემოსავალს; 2) საკვები — როცა გლეხს მიწის უფრო მნიშვნელოვანი მარაგი აქვს, მაგრამ მისი დამუშავება საკმარისი არ არის ოჯახის მთელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; მაშინ ოჯახის წევრთა ნაწილი

ჯარეთ მუშაობს; 3) შრომითი — სრული გლეხური მეურნეობა, სადაც მთელი ოჯახი მუშაობს. აგრარული ევოლუცია (განვითარება) იწვევს საკვებ მეურნეობათა მოსპობას და მათ გაძევებას შრომითი და პარცელური მეურნეობებით. მომავალი უმთავრესად შრომითს მეურნეობებს ეკუთვნის. **რუსული მასშტაბით** მათი **მფლობელობის** საშუალო ოდენობა დაახლოებით 50 დესეტინაა. შრომითი მეურნეობის გამარჯვებას სრულიადაც თან არა სდევს სოფლის პროლეტარიზაცია» («კიევსკაია მისლ» № 242).

აი საფუძვლები «შრომითი» მიწათმოქმედების ბურჟუაზიული თეორიისა, რომელიც გადმოღებული აქვთ ნაროდნიკებს. ყოველი მუშა, რომელიც ოდნავ მაინც იცნობს **პოლიტიკურ** ეკონომიას, ერთბაშად დაინახავს, რომ ბ-ნი **ბურჟუა პარცელურ ანუ** ცეროდენა მეურნეობებს **უწოდებს პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ**, მოჯამაგირეთა მეურნეობებს, **დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ** მუშათა მეურნეობებს.

«**საკვებ**» მეურნეობებს ის უწოდებს, ალბათ, წვრილ გლეხურ მეურნეობებს, უმთავრესად არა გაცვლითს, არა საკაჭრო მეურნეობებს, არამედ ნატურულს (საზრდოს მომცემს). რაკი ამ მეურნეობათა გაძევებას აღიარებს, ამით ჩვენი შეუგნებელი ბურჟუაზიული პროფესორი აღიარებს **კაპიტალიზმის** გამარჯვებასაც, აღებ-მიცემობის ზრდას და წვრილი მეურნეობის გაძევებას. გაძევებას **რ ო მ ე ლ ი** მეურნეობებით? ჯერ-ერთი, პროლეტარულით. სწორედ ამას ეწოდება **პროლეტარიზაცია**, ბ-ნო შეუგნებელო **პროფესორო**! მეორეც, «**შრომითი**» მეურნეობებით — დაახლოებით 50 **დესეტინის საშუალო** სიდიდისა.

მე დამრჩენია დავუმტკიცო შეუგნებელ პროფესორს და მის ესერ (ნაროდნიკ) მოწაფეებს, რომ «**შრომითი**» **მეურნეობები** — ეს არის სწორედ **წ ვ რ ი ლ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი** მეურნეობები.

რა არის **კაპიტალიზმის** მთავარი ნიშანი? — **დაქირავებული** შრომის **გამოყენება**. **დროა** უკვე ჩვენმა **პროფესორებმა** და ესერებმა **შეიგნონ** ეს **ჭეშმარიტება**.

რას გვეუბნება ევროპული, **მეცნიერული** სტატისტიკა **გლეხურ** მეურნეობაში **დაქირავებული** შრომის **გამოყენების** შე-

სახებ? ეს სტატისტიკა გვეუბნება, რომ არათუ 50-დესეტინიანი მეურნეობები, არამედ ის მეურნეობებიც კი, რომლებიც 10 ჰექტარზე (ჰექტარი=დაახლოებით დესეტინას) მეტს ფლობენ, უმეტეს შემთხვევაში დაქირავებულ შრომას მიმართავენ!

გერმანია. 1907 წლის უკანასკნელი აღწერა. 10—20-ჰექტარიანი მეურნეობების რიცხვია — 412 741. მათ ჰყავთ დაქირავებული მუშა — 711 867. თვით 5 — 10-ჰექტარიან მეურნეობებსაც კი ჰყავთ 487 704 დაქირავებული მუშა 652 798 მეურნეობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: აქაც კი დაქირავებული მუშების რიცხვი მეურნეობების რიცხვის ნახევარზე მეტია. ყველამ იცის, რომ წვრილ გლეხებს დიდ უმრავლეს შემთხვევაში ჰყავთ არა უმეტეს ერთი დაქირავებული მუშისა.

ავსტრია. 1902 წლის უკანასკნელი აღწერა. 10—20-ჰექტარიანი მეურნეობების რიცხვია — 242 293. მათგან დაქირავებული მუშები ჰყავს უმრავლესობას — 142 272-ს, ე. ი. თითქმის $^{3}/_{5}$-ს. დავუმატებთ, რომ ავსტრია კაპიტალიზმის განვითარების მხრივ ბევრად უფრო ჩამორჩენილი ქვეყანაა, ვიდრე გერმანია. ავსტრიის მთელ მიწათმოქმედებაში დაქირავებული მუშების პროცენტი ერთიორად ნაკლებია (14%), ვიდრე გერმანიისაში (30%).

შვეიცარია. 1905 წლის უკანასკნელი აღწერა. 10—15-ჰექტარიან მეურნეობების რიცხვია — 19 641. მათგან დაქირავებული მუშები ჰყავს 11 148-ს, ე. ი. უმრავლესობას. 5—10-ჰექტარიანი მეურნეობებიდან დაქირავებული მუშები ჰყავს დაახლოებით 36%-ს შვეიცარიაში და 33%-ს ავსტრიაში.

აქედან შეგვიძლია განვსაჯოთ, თუ რა უსაზღვროდ უმეცარი ან რა უაღრესად არაკეთილსინდისიერია ეს ბურჟუაზიული პროფესორი, რომელსაც კუდში მისჩანჩალებენ ნაროდნიკები და რომელიც უარყოფს სოფლის პროლეტარიზაციას, აღიარებს «საკვებ» მეურნეობათა განდევნას, ჯერ-ერთი, პროლეტარულით და, მეორეც, «შრომითი»

მეურნეობებით, ამ მოთაფლული სიტყვით კი ის ნათლავს იმ მეურნეობებს, რომლებიც დაქირავებულ მუშებს იყენებენ!

ყველანი, ვინც კაპიტალიზმის დროს ქება-დიდებას ასხამს «შრომითი» მიწათმოქმედების წარმატებას (მათ შორის ჩვენებური მემარცხენე ნაროდნიკებიც), ბურჟუები არიან და მუშებს ატყუებენ. მოტყუება მდგომარეობს, ჯერ-ერთი, ბურჟუაზიის შელამაზებაში. დაქირავებული შრომის ექსპლოატატორს «შრომითს» მეურნეს უწოდებენ! მეორეც, მოტყუებაა ის, რომ ჩქმალავენ უფსკრულს უამრავ პროლეტარულ მეურნეობასა და კაპიტალისტურ მეურნეობათა უმნიშვნელო უმცირესობას შორის.

ბურჟუაზიის ინტერესები მოითხოვს კაპიტალიზმის შელამაზებას და კლასობრივი უფსკრულის მიჩქმალვას. პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს კაპიტალიზმისა და დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის მხილებას, მოითხოვს მასების თვალის ახელას კლასობრივი უფსკრულის მთელი სიღრმის დასანახვებლად.

აი მოკლედ 1907 წლის აღწერის მონაცემები გერმანიის მიწათმოქმედებაში არსებული კლასობრივი უფსკრულის შესახებ. სულ არის 5,7 მილიონი მეურნეობა. აქედან პროლეტარულია (დაახლოებით 2 ჰექტარი მიწით) — 3, 4 მლნ. მეურნეობა. ამ «მეურნეთა» უდიდესი უმრავლესობა დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ე ბ ი ა მიწის პაწია ნაკვეთით.

მათ მისდევს წვრილი მეურნეობა (2 — 5-ჰექტარიანი; 1,0 მილიონი მეურნეობა). ესენი არიან ყველაზე ღარიბი გლეხები. მათგან ნახევარზე ნაკლები (495 ათასი) — დამოუკიდებელი მიწათმოქმედნი არიან და ა რ ა ა ქ ვ თ დამხმარე სარეწები. უმრავლესობა საჭიროებს დამხმარე საშოვრებს, ე. ი. საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვას. ეს გლეხები ყველაზე ადვილად ემხრობიან პროლეტარიატს.

ვაერთებთ მათ ერთად 1-ლ ჯ გ უ ფ შ ი: პროლეტარული და წვრილი გლეხური მეურნეობები.

მე-2 ჯგუფი: საშუალო გლეხური მეურნეობები (5 — 10-ჰექტარიანი). როგორც დავინახეთ, მათგან საკმაოდ ბევრი ეწევა დაქირავებული მუშების ექსპლოატაციას. საშუალო გლეხი — ეს არის წვრილი ბურჟუა, რომელიც მერყეობს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

მე-3 ჯგუფი — დანარჩენები, ე. ი. კაპიტალისტები (20 და მეტი ჰექტარიანი) და მსხვილი გლეხები (10 — 20-ჰექტარიანი). ჩვენ დავინახეთ, ეს მსხვილი გლეხები მეტწილად ექსპლოატაციას უწევენ დაქირავებულ მუშებს.

ამრიგად, 1-ლ ჯგუფში შედის: პროლეტარული და წვრილი გლეხური მეურნეობები; მე-2 ჯგუფში: საშუალო გლეხური მეურნეობები; მე-3 ჯგუფში: მსხვილი გლეხური და წმინდა კაპიტალისტური მეურნეობები. ახლა ვნახოთ რამდენი მიწა აქვთ და რამდენი პირუტყვი ჰყავთ ამ ჯგუფებს:

ჯგუფები	მეურნეობათა რიცხვი (მლნ.)	მუშები	მათ აქვთ (მილიონობით) მიწა (ჰექტარებად)	პირუტყვი (მსხვილფეხაზე გადაყვანით)	მანქანები
1-ლი.....	4,4	7,3	5,0	7,0	0,2
მე-2.....	0,6	2,5	4,6	5,1	0,4
მე-3.....	0,7	5,4	22,2	17,3	1,2
სულ.....	5,7	15,2	31,8	29,4	1,8

აი თანამედროვე მიწათმოქმედების სურათი, არა პროფესორული, არა ნაროდნიკული, მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილი. მიწის, პირუტყვისა და მანქანების უმეტესი ნაწილი უმნიშვნელო უმცირესობის (5,7-დან 1/8 — 0,7-ზე ნაკლების) — კაპიტალისტებისა და ბურჟუა გლეხების ხელშია. «მეურნეთა» უდიდეს მასას (5,7-დან 4,4 მილიონს) 1 მეურნეობაზე ჰყავს ორზე ნაკლები მუშა, ორ სულზე ნაკლები პირუტყვი, აქვს ორ დესეტინაზე ნაკლები მიწა. ეს ღატაკებია. მათი წილი მთელ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უმნიშვნელოა. მათ ატყუებენ, როცა ჰპირდებიან კაპიტალიზმის დროს ხსნა შესაძლებელიაო.

შეადარეთ ერთმანეთს სხვადასხვა ჯგუფის შრომის ნაყოფიერება (ვ. ი. რამდენი მუშა მოდის 1 დესეტინა მიწაზე, 1 სულ პირუტყვზე) და დაინახავთ, რა ბარბაროსულად ეუცმაცდება და ნიავდება შრომა წვრილ მეურნეობაში. თითქმის მთელი მანქანები და შრომის მაღალი ნაყოფიერება კი კაპიტალისტების ხვედრი გამხდარა.

შეადარეთ ერთმანეთს პირუტყვის რაოდენობა და მიწის რაოდენობა (მათ შორის მდელოები, საკვების ფართობები და სხვ.) სხვადასხვა ჯგუფში. თქვენ დაინახავთ მშიერ პირუტყვს წვრილ მეურნეობაში და კაპიტალისტურ «წარმატებას» ერთ მუჭა ზედაფენებში.

მარქსისტები იცავენ მასის ინტერესებს და განუმარტავენ გლეხებს: თქვენი ხსნა შეუძლებელია უიმისოდ, თუ არ შეუერთდით პროლეტარიატის ბრძოლას. ბურჟუა-პროფესორები და ნაროდნიკები ატყუებენ მასას ზღაპრებით, თითქოს კაპიტალიზმის დროს შესაძლებელი იყოს წვრილი «შრომითი» მიწათმოქმედება.

«ნაშ პუტ» № 15,
1913 წ. 11 სექტემბერი;
«პრავდა ტრუდა» № 4,
1913 წ. 14 სექტემბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდა ტრუდას»
ტექსტის მიხედვით

ჰარი კველჩი

ოთხშაბათს, 17 სექტემბერს (ძვ. სტ. 4 სექტემბერს), — ლონდონში გარდაიცვალა ამხანაგი ჰარი კველჩი (Quelch), ინგლისის სოციალ-დემოკრატების ბელადი. ინგლისის სოციალ-დემოკრატების ორგანიზაცია დაარსდა 1884 წელს «სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის» სახელწოდებით. 1909 წლიდან მას დაერქვა «სოციალ-დემოკრატიული პარტია», 1911 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც მასში შევიდა ზოგიერთი ცალკე მდგომი სოციალისტური ჯგუფი, — «ბრიტანეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია».

ჰარი კველჩი ინგლისის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი უაღრესად ენერგიული და თავდადებული მუშაკი იყო. იგი იყო მოღვაწე მუშათა კლასის არა მარტო სოციალ-დემოკრატიული, პარტიული, არამედ პროფესიული ორგანიზაციისაც. სტამბის მუშათა პროფესიული კავშირის ლონდონის განყოფილებას არა ერთხელ აურჩევია ის თავის თავმჯდომარედ. არა ერთხელ ყოფილა აგრეთვე «ხელოსანთა საბჭოს» («**Trades Council**») პროფესიულ კავშირთა ლონდონის ბიუროს თავმჯდომარედ.

კველჩი იყო ინგლისის სოციალ-დემოკრატების ცენტრალური ორგანოს — ყოველკვირეული გაზეთის «სამართლიანობის» («**Justice**»)[89], აგრეთვე პარტიული ყოველთვიური ჟურნალის «სოციალ-დემოკრატის» რედაქტორი.

ის უახლოეს მონაწილეობას იღებდა ინგლისის სოციალ-დემოკრატიის მთელ მუშაობაში, მუდამ გამოდიოდა ორატო-

რად პარტიულ და სახალხო კრებებზე. საერთაშორისო კონგრესებსა და საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში კველჩი ხშირად ყოფილა ინგლისის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლად. სხვათა შორის, შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე კველჩის წინააღმდეგ რეპრესიებს მიმართა ვიურტემბერგის მთავრობამ და გააძევა ის შტუტგარტიდან (გაუსამართლებლად, პოლიციის განკარგულებით, როგორც უცხოელი) იმის გამო, რომ კველჩმა სახალხო კრებაზე ჰააგის კონფერენციას უწოდა «**a thief's supper**» (სიტყვასიტყვით: ქურდების კრება). როდესაც კველჩის გაძევების მეორე დღეს გაიხსნა კონგრესის სხდომა, ინგლისის დელეგატებმა ცარიელი დასტოვეს კველჩის სკამი და მასზე ჩამოკიდეს პლაკატი წარწერით: «აქ იჯდა ჰარი კველჩი, რომელიც გუშინ გააძევა ვიურტემბერგის მთავრობამ».

სამხრეთის გერმანელები ხშირად იკვეხნიან — პრუსიელები გვძულს მათი ოფიციალურობის, ბიუროკრატიზმის, პოლიციური სულისკვეთების გამოო, — მაგრამ თვითონ ისინი მოქმედებენ როგორც უცუდესი პრუსიელები, როდესაც საქმე ეხება პროლეტარ-სოციალისტს.

ინგლისის სოციალ-დემოკრატიის, რომლის ბელადი იყო კველჩი, მოღვაწეობის ისტორიული პირობები მეტისმეტად თავისებურია. კაპიტალიზმისა და პოლიტიკური თავისუფლების ყველაზე მოწინავე ქვეყანაში ინგლისის ბურჟუაზიამ (რომელმაც ჯერ კიდევ XVII საუკუნეში საკმაო დემოკრატიული საშუალებით გაუსწორა ანგარიში შეუზღუდველ მონარქიას) XIX საუკუნეში შესძლო გაეთიშა ინგლისის მუშათა მოძრაობა. XIX საუკუნის ნახევარში ინგლისი თითქმის სრული მონოპოლისტი იყო მსოფლიო ბაზარზე. მონოპოლიის გამო ინგლისის კაპიტალის მოგება წარმოუდგენლად დიდი იყო: შეიძლებოდა ამ მოგების მცირე ნასუფრალი გადაეგდოთ მუშათა არისტოკრატიისთვის, — კვალიფიციური საქარხნო მუშებისთვის.

ეს მუშათა არისტოკრატია, რომელიც მაშინ გვარიან ხელფასს იღებდა, ჩაიკეტა ვიწრო, ანგარებიან-ამქრულ კავშირებში, გამოეყო პროლეტარიატის მასას და პოლიტიკაში ლიბერალური ბურჟუაზიის მხარეზე დადგა. და დღემდეც კი, მგონი, არსად ქვეყნად არ არის იმდენი ლიბერალი მოწინავე მუშებში, როგორც ინგლისში.

მაგრამ XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქმის ვითარება იცვლება. ინგლისის მონოპოლიას ძირი გამოუთხარეს ამერიკამ, გერმანიამ და სხვ.. ინგლისის მუშებში ვიწრო, მეშჩანური პროფესიონალიზმისა და ლიბერალიზმის ეკონომიური საფუძველი დანგრეულია. სოციალიზმმა ინგლისში კვლავ თავი წამოჰყო, იგი მასებში შეიჭრა და შეუკავებლად იზრდება მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ინგლისის შორიახლო-სოციალისტური ინტელიგენციის საშინელი ოპორტუნიზმისა.

კველჩი იმათ პირველ რიგებში იყო, ვინც მედგრად და დარწმუნებით ებრძოდა ოპორტუნიზმსა და ლიბერალურ მუშათა პოლიტიკას ინგლისის მუშათა მოძრაობაში. მართალია, მასებისაგან მოწყვეტა ხანდახან ინგლისის სოციალ-დემოკრატებს ერთგვარ სექტანტურ ხასიათს აძლევდა. ინგლისის სოციალ-დემოკრატიის ბელადი და ფუძემდებელი. ჰაინდმანი, შოვინიზმამდეც კი მივიდა. მაგრამ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მას წინააღმდეგობა გაუწია, და მთელს ინგლისში ათეული წლების განმავლობაში მ ხ ო ლ ო დ ბრიტანეთის სოციალ-დემოკრატები ეწეოდნენ სისტემატურ მარქსისტულ პროპაგანდასა და აგიტაციას. ეს უდიდესი ისტორიული დამსახურებაა კველჩისა და მისი ამხანაგებისა. მარქსისტ კველჩის მოღვაწეობის ნაყოფი მთელი ძალით თავს იჩენს ინგლისის მუშათა მოძრაობის უახლოეს წლებში.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კველჩის თანაგრძნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატებისადმი და ის დახმარება, რომელსაც ის მათ უწევდა. 11 წლის წინათ რუსული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი უნდა დაბეჭდილიყო ლონდონში. ინგლისის სოციალ-დემოკრატებმა კველჩის მეთაურობით სიამოვნებით დაგვითმეს თავისი სტამბა. ამისათვის

კველჩმა «შეივიწროვა» თავი: სტამბაში მას თხელი ფიცრით გადაუტიხრეს კუთხე რედაქტორის ოთახის ნაცვლად. ამ კუთხეში მოთავსებული იყო სულ პატარა საწერი მაგიდა, მის ზემოთ თარო წიგნებისთვის და სკამი. როდესაც ამ სტრიქონების დამწერი ნახულობდა კველჩს ამ «რედაქტორის კაბინეტში», მეორე სკამისთვის უკვე ადგილი აღარ იყო...

«პრავდა ტრუდა» № 1,
1913 წ. 11 სექტემბერი;
«ნაშ პუტ» № 16,
1913 წ. 12 სექტემბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდა ტრუდას»
ტექსტის მიხედვით

მარქსიზმი და რეფორმიზმი

ანარქისტებისაგან განსხვავებით მარქსისტები აღიარებენ, რომ საჭიროა ბრძოლა რეფორმებისათვის, ე. ი. მშრომელთა მდგომარეობის ისეთი გაუმჯობესებისათვის, რომელიც ძალაუფლებას წინანდებურად გაბატონებულ კლასს უნარჩუნებს. მაგრამ ამასთანავე მარქსისტები თავგამოდებით ებრძვიან რეფორმისტებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზღუდავენ რეფორმებით მუშათა კლასის მისწრაფებებს და მოღვაწეობას. რეფორმიზმი არის ბურჟუაზიული მოტყუება მუშებისა, რომლებიც, მიუხედავად მდგომარეობის ცალკეული გაუმჯობესებისა, მუდამ დარჩებიან დაქირავებულ მონებად, —ვიდრე კაპიტალის ბატონობა არსებობს.

ლიბერალური ბურჟუაზია ცალი ხელით რომ რეფორმებს იძლევა, მეორე ხელით მუდამ უკანვე მიაქვს, არარამდე დაჰყავს ისინი, იყენებს მათ მუშების დასამონებლად, ცალკეულ ჯგუფებად დასაქუცმაცებლად, მშრომელთა დაქირავებული მონობის გასამარადისებლად. ამიტომ რეფორმიზმი, მაშინაც კი, როცა ის სრულიად გულწრფელია, ნამდვილად იქცევა მუშათა ბურჟუაზიული გარყვნისა და დასუსტების იარაღად. ყველა ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეფორმისტების მოიმედე მუშები მუდამ გაბრიყვებული რჩებოდნენ.

პირიქით, თუ მუშებმა შეითვისეს მარქსის მოძღვრება, ე. ი. შეიგნეს დაქირავებული მონობის გარდუვალობა, ვიდრე კაპიტალის ბატონობა შენარჩუნებულია, ისინი არავითარი ბურჟუაზიული რეფორმებით არ მოიტყუებენ თავს. როცა

მუშებს შეგნებული აქვთ, რომ კაპიტალიზმის შენარჩუნების პირობებში რეფორმები შეუძლებელია მტკიცე, სერიოზული იყოს, ისინი იბრძვიან მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და ამ გაუმჯობესებას იყენებენ უფრო მედგარი ბრძოლის განსაგრძობად დაჭირავებული მონობის წინააღმდეგ. რეფორმისტები ცდილობენ ნასუფრალით დაქსაქსონ და მოატყუონ მუშები, ჩამოაშორონ ისინი კლასობრივ ბრძოლას. ის მუშები, რომლებიც შეიგნებენ რეფორმიზმის მატყუარობას, რეფორმებს გამოიყენებენ თავიანთი კლასობრივი ბრძოლის განვითარებისა და გაფართოებისათვის.

რაც უფრო ძლიერია რეფორმისტების გავლენა მუშებზე, მით უფრო უძლური არიან მუშები, მით უფრო მეტად არიან ისინი დამოკიდებული ბურჟუაზიაზე, მით უფრო ეადვილება ბურჟუაზიას სხვადასხვა ოინებით არარად აქციოს რეფორმები. რაც უფრო დამოუკიდებელი და ღრმა, ფართოა თავისი მიზნებით მუშათა მოძრაობა, რაც უფრო თავისუფალია ის რეფორმიზმის შეზღუდულობისაგან, მით უფრო ადვილია მუშებისთვის განიმტკიცონ და გამოიყენონ ცალკეული გაუმჯობესებანი.

რეფორმისტები ყველა ქვეყანაში არიან, რადგან ბურჟუაზია ყველგან ცდილობს ასე თუ ისე გარყვნას მუშები და გახადოს ისინი კმაყოფილ მონებად, რომელნიც არცკი იფიქრებენ მონობის მოსპობაზე. რუსეთის რეფორმისტები —ესენი არიან ლიკვიდატორები, რომლებიც უარყოფენ ჩვენს წარსულს, რათა მუშების ყურადღება მიაძინონ ახალ, აშკარა, ლეგალურ პარტიაზე ოცნებით. ამას წინათ «სევერნაია პრავდამ» * აიძულა პეტერბურგელი ლიკვიდატორები თავი დაეცვათ რეფორმიზმის ბრალდებისაგან. საჭიროა ყურადღებით შევჩერდეთ მათ მსჯელობაზე, რათა მკაფიოდ გავარკვიოთ მეტისმეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხი.

ჩვენ რეფორმისტები არა ვართ — წერდნენ პეტერბურგელი ლიკვიდატორები — რადგან არასდროს არ გვითქვამს,

რომ რეფორმები — ყველაფერია, საბოლოო მიზანი კი — არაფერი; ჩვენ ვამბობდით: მოძრაობა საბოლოო მიზნისაკენ; ჩვენ ვამბობდით: რეფორმებისათვის ბრძოლის მეშვეობით დასმული ამოცანების სისრულისაკენ.

ვნახოთ, შეეფერება თუ არა ასეთი თავდაცვა ჭეშმარიტებას.

პირველი ფაქტი. ლიკვიდატორი სედოვი ყველა ლიკვიდატორის განცხადებას აჯამებდა, წერდა, რომ მარქსისტების მიერ წამოყენებული «სამი ვეშაპიდან» ორი ამჟამად აღარ გამოდგება აგიტაციისთვისო. ის იტოვებდა 8 საათის სამუშაო დღეს, რომელიც, თეორიულად, განსახორციელებელია როგორც რეფორმა. ის უკუაგდებდა ან უკან სწევდა სწორედ იმას, რაც სცილდება რეფორმის ფარგლებს. მაშასადამე, ის ვარდებოდა სრულიად აშკარა ოპორტუნიზმში, ატარებდა რა იმ პოლიტიკას, რომელიც გამოიხატება ფორმულით: საბოლოო მიზანი — არაფერია. ეს არის სწორედ რეფორმიზმი, როცა «საბოლოო მიზანს» (თუნდაც დემოკრატიზმის მიმართ) რაც შეიძლება შორს აყენებენ აგიტაციისგან.

მეორე ფაქტი. ლიკვიდატორების ყბადაღებული აგვისტოს (შარშანდელი) კონფერენციაც რაც შეიძლება შორს აყენებს — განსაკუთრებული შემთხვევისთვის — არარეფორმისტულ მოთხოვნებს, წაცვლად იმისა, რომ რაც შეიძლება ახლოს მოეწია ისინი, აგიტაციის შიგ შუაგულში.

მესამე ფაქტი. სწორედ იმიტომ, რომ უარყოფენ და ამცირებენ «ძველს», ხელს იღებენ მასზე, ლიკვიდატორები სჯერდებიან რეფორმიზმს. თანამედროვე ვითარებაში რეფორმიზმის კავშირი «ძველის» უარყოფასთან ცხადია.

მეოთხე ფაქტი. მუშათა ეკონომიური მოძრაობა ლიკვიდატორების მრისხანებასა და თავდასხმებს («აზარტს», «ხელის ქნევას» და სხვ. და სხვ.) იწვევს მაშინვე, როგორც კი ეს მოძრაობა უკავშირდება რეფორმიზმის ფარგლებიდან გამოსულ ლოზუნგებს.

რას ვღებულობთ შედეგად? სიტყვიერად ლიკვიდატორები უარყოფენ პრინციპულ რეფორმიზმს, ნამდვილად კი მთელი

ხაზით ახორციელებენ მას. ერთი მხრივ, გვარწმუნებენ, ჩვენთვის რეფორმები ყველაფერი როდიაო, — მეორე მხრივ კი, პრაქტიკულად მარქსისტების ყოველგვარი გამოსვლა რეფორმიზმის ფარგლებიდან იწვევს ლიკვიდატორების თავდასხმებს, ანდა უგულებელყოფას.

ამასთანავე ამბები მუშათა მოძრაობის ყველა სფეროში გვიჩვენებს, რომ რეფორმების პრაქტიკულად გამოყენებისა და რეფორმებისათვის ბრძოლის საქმეში მარქსისტები არათუ ჩამორჩებიან, არამედ, პირიქით — აშკარად წინა რიგებში მიდიან. აიღეთ სათათბიროს არჩევნები მუშათა კურიაში — დეპუტატების გამოსვლები სათათბიროში და სათათბიროს გარეთ, მუშათა გაზეთების დაყენება, დაზღვევის რეფორმის გამოყენება, მელითონეთა კავშირი, როგორც უდიდესი პროფესიული კავშირი და სხვ. — ყველგან ხედავთ მარქსისტი მუშების სიჭარბეს ლიკვიდატორების მიმართ აგიტაციის, ორგანიზაციის, რეფორმებისათვის ბრძოლისა და მათი გამოყენების უშუალო, უახლოესი, «ყოველდღიური» მუშაობის სფეროში.

მარქსისტები დაუღალავ მუშაობას ეწევიან, ხელიდან არ უშვებენ რეფორმების «შესაძლებლობის» და მათი გამოყენების არც ერთ შემთხვევას, ისინი კი არ გმობენ, არამედ მხარს უჭერენ, მზრუნველობით ავითარებენ ყოველგვარ გამოსვლას რეფორმიზმის ფარგლებიდან როგორც პროპაგანდისა და აგიტაციის, ისე ეკონომიური მასობრივი მოქმედების საქმეში, და სხვ.. მარქსიზმს ჩამოშორებულ ლიკვიდატორებს კი თავიანთი თავდასხმებით თვით მარქსისტული მთელის არსებობაზე, მარქსისტული დისციპლინის დანგრევით, რეფორმიზმისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ქადაგებით, მხოლოდ დეზორგანიზაცია შეაქვთ მუშათა მოძრაობაში.

გარდა ამისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთში რეფორმიზმი აშკარავდება განსაკუთრებული სახითაც, სახელდობრ თანამედროვე რუსეთისა და თანამედროვე ევროპის პოლიტიკური ვითარების ძირითადი პირობების გაიგივების

სახით. ლიბერალის თვალსაზრისით ასეთი გაიგივება კანონიერია, რადგან ლიბერალს სწამს და სჯერა, რომ «ჩვენში, მადლობა ღმერთს, კონსტიტუციაა». ლიბერალი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავს, როცა იმ შეხედულებას იცავს, რომ 17 ოქტომბრის შემდეგ დემოკრატიის ყოველგვარი გამოსვლა რეფორმიზმის ფარგლებიდან ეს არის სიგიჟე, დანაშაული, ცოდვა და სხვ.

მაგრამ სინამდვილეში სწორედ ამ ბურჟუაზიულ შეხედულებებს ატარებენ ჩვენი ლიკვიდატორები, რომლებსაც მუდამ და სისტემატურად «გადმოაქვთ» რუსეთში (ქაღალდზე) «აშკარა პარტიაც» და «ლეგალობისთვის ბრძოლაც» და სხვ.. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი, ლიბერალების მსგავსად, ქადაგებენ ევროპული კონსტიტუციის გადმოტანას რუსეთში და ანგარიშს ა რ უწევენ იმ თავისებურ გზას, რომელმაც დასავლეთში გამოიწვია კონსტიტუციების შექმნა და მათი განმტკიცება მთელ თაობათა მანძილზე, ზოგჯერ მთელი საუკუნეების განმავლობაშიც კი. ლიკვიდატორებსა და ლიბერალებს სურთ, როგორც ამბობენ, ფონს გავიდნენ და ფეხი არ დაისველონ.

ევროპაში რეფორმიზმი სინამდვილეში ნიშნავს მარქსიზმის უარყოფას და მის შეცვლას ბურჟუაზიული «სოციალური პოლიტიკით». ჩვენში ლიკვიდატორების რეფორმიზმი ნიშნავს არა მარტო ამას, არამედ გარდა ამისა კიდევ მარქსისტული ორგანიზაციის დანგრევასა და მუშათა კლასის დემოკრატიულ ამოცანებზე უარის თქმას, მათ შეცვლას ლიბერალური მუშათა პოლიტიკით.

«პრავდა ტრუდა» № 2,
1913 წ. 12 სექტემბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდა ტრუდას»
ტექსტის მიხედვით

მიწათმოქმედება და სოფლის ღარიბები

ამ უმნიშვნელოვანეს თემაზე სრულიად რუსეთის საოსოფლო-სამეურნეო ყრილობაზე კიევში 3 სექტემბერს მოხსენება გააკეთა ჩერნიგოველმა აგრონომმა მინინმა.

ბ-ნი მინინი, როგორც ჩანს, ნაროდნიკი (რომელიც, სხვათა შორის, ეთანხმებოდა ბურჟუაზიულ პროფესორს კოსინსკის «შრომითი» მეურნეობის ცხოველუნარიანობის შესახებ), სრულიად სამართლიანად ამტკიცებდა, რომ აგრონომია დახმარებას უწევს შეძლებულ გლეხებსაო. მიწათმოწყობა დახმარებას უწევს მხოლოდ ძლიერთ, ღარიბ-ღატაკებს კი ღუპავსო. მიწათმოწყობა ეს არის ეტლი, რომელშიც ზის ძლიერი და დამარცხებულებს ჰქელავსო.

ეჭვი არ არის, რომ ყოველივე ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა. ამის უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ არაკეთილსინდისიერ ადამიანებს. მაგრამ რაში ხედავს «ხსნას» ბ-ნი მინინი?

მან თქვა («კიევსკაია მისლის» 244-ე ნომრის ანგარიშის მიხედვით):

«ერთადერთი რამ, რაც გადაარჩენს უწვრილეს მეურნეობებს დაყოფის შემდეგ, ეს არის მათგან ნებაყოფლობითი ამხანაგობების შექმნა საკუთარი მიწის ერთად გამოსაყენებლად (კოლექტიურად დასამუშაებლად)».

ცხადია, ეს ნაროდნიკული რეცეპტი — პირდაპირ ბავშვობაა. მემამულეები და კულაკები მიწიდან ერეკებიან მილიო-

ნობით გლეხებს, სხვებს მილიონობით აჩანაგებენ. მთელი მსოფლიო კაპიტალიზმი, საერთაშორისო აღებ-მიცემობის მთელი ძალა, ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის მილიარდობით კაპიტალების მთელი ძლიერება თან ეზიდება რუსეთს, ასაზრდოებს და ეხმარება მის ბურჟუაზიას ქალაქად და სოფლად, აგრეთვე თემის შიგნითაც. და აი, გვეუბნებიან, ამ გაჩანაგებული გლეხების მიერ მათი «საკუთარი მიწის» მცირე ნაკვეთის საერთო დამუშავება «ხსნა» არისო!! ეს იგივეა, რომ ხელის ურმით ეცადო გაუსწრო რკინიგზის მატარებელს სისწრაფისა და ტვირთის გადაზიდვის რაოდენობის მხრივ.

არა, ბატონო ნაროდნიკებო! რა თქმა უნდა, თქვენ მართალი ხართ, როცა ამბობთ, რომ ეს მატარებელი ღარიბებსა სრესსო. მაგრამ აქ ხელის ურემზე როდი უნდა ვიფიქროთ.

არა უკან — მატარებლიდან ურმისაკენ, არამედ წინ: კაპიტალისტური მატარებლიდან გაერთიანებული პროლეტარების მატარებლისაკენ.

ნაროდნიკების უწყინარი ოცნება არათუ ბავშვური გულუბრყვილობაა — იგი პირდაპირ მავნებელია იმით, რომ ღარიბების აზრს აშორებს კლასობრივ ბრძოლას. სოფლის ღარიბების ხსნა არ არსებობს ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გარეშე, რომელმაც უნდა გარდაქმნას მთელი კაპიტალისტური წყობილება. და ყოველგვარი კავშირები, კოოპერატივები, არტელები და სხვ. შეიძლება სასარგებლო იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეგნებულად იღებენ მონაწილეობას ამ კლასობრივ ბრძოლაში.

მაგრამ თუ აბსოლუტურად უდავოა ის გარემოება, რომ კაპიტალიზმის განვითარება და სოფლის პროლეტარიზაცია გარდუვალად წინ მიდის რუსეთშიც, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, უდიდესი შეცდომა იქნებოდა ამ ჭეშმარიტებას დავჯერებოდით.

კაპიტალიზმი სხვადასხვანაირია: მემამულური, ნახევრადფეოდალური — ყოველგვარი პრივილეგიების უამრავი ნაშ-

თით — ყველაზე უფრო რეაქციული და ყველაზე უფრო მტანჯველი მასისთვის, არის აგრეთვე თავისუფალ ფერმერთა კაპიტალიზმი, ყველაზე უფრო დემოკრატიული, ნაკლებ მტანჯველი მასისთვის, პრივილეგიების უმცირესი ნაშთებით.

მაგალითად, რა გავლენას მოახდენდა კაპიტალიზმის განვითარებაზე ის გარემოება, თუ რუსეთში მთელი მიწა გლეხების ხელში გადავიდოდა სრულიად გამოუსყიდველად? ეს არ იქნებოდა სოციალიზმი. ეს ი გ ი ვ ე კაპიტალიზმი იქნებოდა, ოღონდ დემოკრატიული, არა პურიშკევიჩისებურ-გუჩკოვისებური, არამედ ნაროდნიკულ-გლეხური. მაშინ კაპიტალიზმი კიდევ უფრო სწრაფად, უფრო ფართოდ, უფრო თავისუფლად განვითარდებოდა და უფრო ნაკლებ მტანჯველი იქნებოდა მასისთვის.

ა ი დ ე დ ა ა რ ს ი რუსეთის ახლანდელი, დღევანდელი აგრარული საკითხისა. აი რაზე დავობდნენ (საქმის არსის უცოდნელად) კიევში, ერთი მხრივ, მემამულური მიწათმოწყობისა და ბურჟუაზიული აგრონომიის დამცველები და, მეორე მხრივ, — ნაროდნიკები და (შახოვსკის მსგავსი) მემარცხენე კადეტები. ისინი დავობდნენ იმაზე, უნდა დასტოვოს თუ არა ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ პურიშკევიჩების ხელში ფეოდალურ-კაპიტალისტური ტიპის ახალი რუსეთის მშენებლობის დამთავრება? თუ მან თავის ხელში, მასის ხელში, გლეხობის ხელში უნდა აიღოს ეს მშენებლობა და გაუძღვეს მშენებლობას უპურიშკევიჩებოდ, თავისუფალი, დემოკრატიული კაპიტალიზმის მიმართულებით?

ძნელი არ არის შეგნებული მუშის პოზიციის გაგება ამ დავაში. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ როგორც სტოლიპინური, ისე ნაროდნიკული გზა ნიშნავს კაპიტალიზმის განვითარებას, რომელსაც ყოველ შემთხვევაში პროლეტარიატის გამარჯვებისაკენ მივყავართ. ჩვენ სულით არ დავეცემით ისტორიის არავითარი შემობრუნების დროს. მაგრამ ჩვენ ისტორიის არც ერთ შემობრუნებას ნებას არ მივცემთ ჩაიაროს ჩვენი მონაწილეობის გარეშე, მოწინავე კლასის ნამდვილი ჩარევის გარეშე. მუშათა კლასი პურიშკევიჩებისა და გლეხური დემოკ-

რატიის შეჯახებას გულგრილად ვერ უყურებს, ის უაღრესად მხურვალედ, უდიდესი თავდადებით იცავს გლეხური და საერთო-სახალხო დემოკრატიის ყველაზე უფრო თანამიმდევრად გამოხატულ ინტერესებს.

არავითარი დათმობა ერთიანად დამპალ ნაროდნიკულ ვითომ-სოციალიზმს (ნამდვილად კი მეშჩანურ ოცნებობას) — და უდიდესი ყურადღება გლეხურ დემოკრატიას, მის განათლებას, გამოღვიძებასა და დარაზმვას, მის განთავისუფლებას ყველა და ყოველგვარ დამყაყებულ ცრურწმენათაგან — აი შეგნებული მუშის ხაზი.

გინდათ იოცნებოთ, რომ ხელის ურემმა დაამარცხოს მატარებელი? — ჩვენი გზა სხვადასხვაა, ჩვენ მტრები ვართ უხამსი მანილოვობისა. გინდათ ებრძოლოთ პურიშკევიჩებს? — ჩვენ ერთი გზა გვაქვს, მაგრამ იცოდეთ, რომ მუშები არ გაპატიებენ სულ მცირეოდენ მერყეობასაც.

იმათ კი, ვინც მონურად იჩქარის დაადასტუროს, რომ სტოლიპინურმა მიწათმოწყობამ «საბოლოოდ» მოიპოვა წარმატებაო, მუშათა კლასი შეხედავს ზიზღით, რომლითაც მოწინავე, ძლიერი და რეფორმიზმისადმი მტრულად განწყობილი კლასები მუდამ უყურებენ ოპორტუნისტებს და წუთიერი წარმატების რაინდებს.

«პრავდა ტრუდა» № 3,
1913 წ. 13 სექტემბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდა ტრუდას»
ტექსტის მიხედვით

როგორ იცავს უკრაინელებს ეპისკოპოსი ნიკონი?

«კიევსკაია მისლი» იტყობინება, რომ ეპისკოპოსმა ნიკონმა, სახელმწიფო სათათბიროს წევრმა, მემარჯვენემ, პირველმა მოაწერა ხელი სახელმწიფო სათათბიროში შესატანი კანონპროექტს უკრაინული სკოლისა და საზოგადოებათა შესახებო.

კანონპროექტის შინაარსი: დაწყებითს სკოლებში ნებადართულ იქნას სწავლება უკრაინულ ენაზე; მასწავლებლებად დაინიშნონ უკრაინელები; შემოღებულ იქნას უკრაინული ენისა და უკრაინის ისტორიის სწავლება; შეწყდეს უკრაინულ საზოგადოებათა დევნა და მათი დახურვა «ადმინისტრაციული მიხედულებით, ხშირად შიშველი თვითნებობით».

ამრიგად, პურიშკევიჩის პარტიულ ამხანაგს — ეპისკოპოს ნიკონს — ზ ო გ ი ე რ თ შემთხვევაში თ ვ ი თ ნ ე ბ ო ბ ა არ მოსწონს.

ეპისკოპოსი ნიკონი, სამართლიანად ფიქრობს, რომ მის მიერ აღძრული «საკითხი მეტისმეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ეხება 37-მილიონიანი უკრაინელი ხალხის დასახიჩრებას»; — რომ «მდიდარ, ლამაზ, ნიჭიერ, აყვავებულ და პოეტურ უკრაინას მოელის გადაშენება, თანდათანობითი გამოყეყეჩება და ნელი კვდომა».

პროტესტი ველიკოროსების მიერ უკრაინელების ჩაგვრის წინააღმდეგ სრულიად სამართლიანია. მაგრამ დახეთ, რა საბუთებით იცავს უკრაინელთა მოთხოვნებს ეპისკოპოსი ნიკონი:

«უკრაინელი ხალხი არ ეძებს რაღაც ყბადაღებულ ავტონომიას, ზაპოროჟიეს სეჩის აღდგენას; უკრაინელები სეპარატისტები როდ» არიან... უკრაინელები უცხო ტომისანი როდი არიან, ისინი ჩვენიანები, ჩვენი ღვიძლი ძმები არიან; ამიტომაც ისინი არ უნდა შეიზღუდონ ენისა და ნაციონალური კულტურული განვითარების მხრივ; თორემ გამოდის, რომ მათ, ჩვენს ძმებს, ჩვენ თვითონ ვუთანაბრებთ ებრაელებს, პოლონელებს, ქართველებსა და სხვ., ნამდვილ უცხო ტომისანებს».

ამრიგად, ისე გამოდის, რომ უკრაინელი ეპისკოპოსი ნიკონი და მისი თანამოაზრენი ველიკოროს მემამულეებს სთხოვენ პრივილეგიებს უკრაინელებისთვის იმ საბუთით, რომ ისინი ძმები არიან, ებრაელები კი — უცხო ტომისანი! უფრო პირდაპირ და მარტივად რომ ვთქვათ: თანახმანი ვართ ებრაელი და სხვ. გავსრისოთ, როგორც უცხო ტომისანი, თუ ჩვენ დაგვითმობენო.

ნაცნობი სურათია «ნაციონალური კულტურის» დაცვისა, ყველა ბურჟუაზიული ნაციონალისტის მიერ, შავრაზმელი ნაციონალისტით დაწყებული ლიბერალურ და თვით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ნაციონალისტებამდე!

ეპისკოპოს ნიკონს გაგონებაც კი არა სურს იმისა, რომ უკრაინელებს ვერ დაიცავ ჩაგვრისაგან, თუ ყოველგვარი ჩაგვრისაგან არ დაიცავი გამოუკლებლივ ყველა ხალხი, — თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრებიდან აბსოლუტურად არ განდევნე ცნება «უცხო ტომისანი», — თუ არ დაიცავი ყველა ეროვნების სრული თანასწორუფლებიანობა. ნაციონალური ჩაგვრისაგან ვერავის დაიცავ, თუ თანამიმდევრად არ გაატარე უაღრესად ფართო ადგილობრივი და საოლქო ავტონომია და ყველა სახელმწიფოებრივი საკითხის მოსახლეობის უმრავლესობის ნების მიხედვით გადაწყვეტის პრინციპი (ე. ი. თანამიმდევარი დემოკრატიზმის პრინციპი).

ეპისკოპოს ნიკონისთვის უკრაინელების «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგი სინამდვილეში ნიშნავს შავრაზმულობის უკრაინულ ენაზე პროპაგანდის ლოზუნგს, უკრაინულ-კლერიკალური კულტურის ლოზუნგს.

შეგნებულმა მუშებმა გაიგეს, რომ «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგი კლერიკალური ან ბურჟუაზიული თვალთ-

მაქცობაა — სულ ერთია, ლაპარაკია ველიკორუსულ, უკრაინულ, ებრაულ, პოლონურ, ქართულ თუ სხვა რომელიმე კულტურაზე. 125 წლის წინათ, როდესაც ერი ჯერ კიდევ არ იყო გათიშული ბურჟუაზიად და პროლეტარიატად, ნაციონალური კულტურის ლოზუნგი შეიძლებოდა ყოფილიყო ერთიანი და მთლიანი მოწოდება ბრძოლისადმი ფეოდალიზმისა და კლერიკალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ მას შემდეგ ყველგან გაჩაღდა კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. «ერთიანი» ერის გათიშვა ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად მომხდარი ფაქტი გახდა.

საერთოდ ნაციონალურ კულტურაზე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ კლერიკალებს ან ბურჟუებს. მშრომელ მასებს შეუძლიათ ილაპარაკონ მხოლოდ მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალურ (საერთაშორისო) კულტურაზე. მხოლოდ ასეთი კულტურა ნიშნავს ერთა სრულ, ნამდვილ, გულწრფელ თანასწორუფლებიანობას, ნაციონალური ჩაგვრის არარსებობას, დემოკრატიის განხორციელებას. «ნაციონალური საკითხის გადაჭრისაკენ» მივყავართ მხოლოდ ყ ვ ე ლ ა მუშათა ორგანიზაციაში ყველა ერის მუშების ერთიანობასა და შეერთებას კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

«პრავდა ტრუდა» № 3,
1913 წ. 13 სექტემბერი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდა ტრუდას»
ტექსტის მიხედვით

პუბლიცისტის შენიშვნები

I. უპარტიო ინტელიგენტები მარქსიზმის წინააღმდეგ

«ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» რედაქცია იცავდა უპარტიო აგიტაციას შეგროვილი თანხის თანაბრად გაყოფის სასარგებლოდ ლიკვიდატორებსა, ნაროდნიკებსა და მარქსისტებს შორის.

როდესაც ეს რედაქცია ამხილეს, ასეთი გაყოფა სრულიად უპრინციპო ხერხია და ანგრევს წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობათადმი მარქსისტული დამოკიდებულების საფუძვლებსო * — რედაქციამ არ იცოდა რა ეპასუხნა და სცადა ხუმრობით დაეძვრინა თავი. ჩვენ არ ვიცნობთ «თანხის შეგროვების მარქსისტულ სისტემასო».

განდგომილთ უნდათ «ლამაზად და ხუმრობით დაიძვრინონ თავი» ჩვენს ძველ დადგენილებათა საკითხისგან.

მაგრამ მუშები ნებას არავის მისცემენ ხუმრობით მოეკიდონ ასეთ საკითხს.

«ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» იგივე 23-ე ნომერი გვაცნობებს, რომ ლიკვიდატორების აგიტაციას აჰყოლია რუსეთის ორი მუშათა ჯგუფი, სახელდობრ: ქალაქ დვინსკის ბეჭდვითი საქმის მუშათა ჯგუფი და მოსკოვის ნემიროვ-კოლოდკინის ფაბრიკის მუშათა ჯგუფი. ამ ჯგუფებს შეგროვილი თანხა შეუტანიათ თ ა ნ ა ბ რ ა დ ლიკვიდატორული, ნაროდნიკული და მარქსისტული გაზეთებისთვის.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 403 — 408. რ ე დ.

დაე განდგომილმა ინტელიგენტებმა ხუმრობით დაიძვრინონ თავი საკითხისგან, მაგრამ მუშებმა ეს საკითხი უნდა გადაწყვიტონ, და გადაწყვეტენ კიდეც.

შეგროვილი თანხის თანაბრად გაყოფის ქადაგება ნიშნავს იქადაგო უპარტიობა და ერთმანეთში არევა (ან თანასწორუფლებიანობა) პროლეტარიატის კლასობრივ თვალსაზრისზე მდგარი და ნაროდნიკების წვრილბურჟუაზიული გაზეთებისა. ამ საანბანო ჭეშმარიტების წინააღმდეგ ლიკვიდატორული გაზეთის «ლამაზი ხუმრობის» ოსტატ ლიტერატორებს არაფრის თქმა არ შეუძლიათ, — თუმცა მათ ხუმრობას და ხითხითს, ალბათ, აღტაცებაში მოჰყავს ბურჟუაზიული საზოგადოება. ვინც სრული დამარცხება იგემა მუშებში, ის ძალიან ხშირად ამას ინაზღაურებს ბურჟუაზიის აღტაცებით მიმდინარე პრაქტიკის საკითხების თანამიმდევარ-მარქსისტული გადაწყვეტის თვით იდეის აბუჩად აგდების გამო.

ლიკვიდატორებმა თავი ინუგეშეს: მელითონე მუშათა კრებაზე მათ სრული დამარცხება განიცადეს. ბატონ ბურჟუების ყოველ კრებაზე მათ ლამაზად უღიმიან მუშათა გაზეთის პოზიციის წინააღმდეგ მიმართული ლამაზი ხუმრობისათვის.

ყველას თავისი სატკივარი აქვს. დაე ლიკვიდატორებმა თავი ინუგეშონ თავიანთი წარმატებებით ბურჟუაზიის წინაშე. მუშები კი განუმარტავენ მასას იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ მუშების შეგროვილი თანხის თანაბრად გაყოფის ქადაგება არის ქადაგება უპარტიობისა, — ქადაგება პროლეტარიატის მარქსისტული გაზეთის არევისა ან თანასწორუფლებიანობისა ინტელიგენტურ და წვრილბურჟუაზიულ, ნაროდნიკულის მსგავს გაზეთთან.

II. ლიბერალური სიბეცე

ჩვეულებრივი ხერხი დასავლეთევროპელი ოპორტუნისტებისა, დაწყებული ედუარდ ბერნშტეინით, რომლის შეხედულებანი ასე გადაჭრით უარყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ, შემდეგია:

შეხედეთ იმას, რაც არის, — ამბობდა ბერნშტეინი და სხვა ოპორტუნისტები — იქონიეთ გამბედაობა გამოთქვათ ის, რაც არის: გერმანიაში ჩვენ ყველანი ვიბრძვით რეფორმებისთვის, არსებითად ჩვენ ყველანი რეფორმისტები ვართ, ჩვენ რეფორმების პარტია ვართ. ხოლო დაჭირავებული მონობის მოსპობა მთელი რიგი კრიზისების დროს — ლიტონი სიტყვებია, ცარიელი უტოპიაა.

დღემდე ოპორტუნისტები ამ თავიანთ ხერხს ასჯერ იმეორებენ, და მთელი ბურჟუაზიული პრესა (პირველ რიგში ჩვენი კადეტური «რეჩი») ოპორტუნისტების ამ მსჯელობას მუდამ იყენებს მარქსიზმის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ვისაც სერიოზულად აინტერესებს მუშათა მოძრაობის ბედი, მან კარგად უნდა იცოდეს პროლეტარიატის აშკარა მტრებისა და ცრუ მეგობრების ეს გაცვეთილი ხერხი.

ახლახანს (4 სექტემბერს) პეტერბურგის ლიკვიდატორულ გაზეთში საკმაოდ ცნობილმა ლიკვიდატორმა დ.-მ ევროპაში საყოველთაოდ ცნობილი ეს ბურჟუაზიული ხერხი უშნოდ თუ უბოდიშო მოურიდებლობით გაიმეორა, რაც ყურადღების ღირსია.

მართლაც, დაე მკითხველმა განსაჯოს.

«გადავშალოთ მუშათა გაზეთის ფურცელი, თუნდაც ეს «სევერნაია პრავდაც» იყოს, — წერდა დ. — რას დავინახავთ? ჩვენ წავიკითხავთ მუშათა ორგანიზაციების — პროფესიული კავშირების, კლუბების, კოოპერატივების საქმიანობის შესახებ; ამ ორგანიზაციების, მათი გამგეობების წევრთა, დაზღვევის საქმის რწმუნებულთა და სხვათა კრებების შესახებ; მუშების მიერ მოწყობილი ლექციებისა და რეფერატების შესახებ; გაფიცვებისა და საგაფიცვო კომიტეტების შესახებ; სხვადასხვა შემოწირულების მოწყობის შესახებ; მუშათა სხვადასხვა ჯგუფის პოლიტიკური ხელშეწყობის ცდებს მუშათა პრესის დასაცავად, ბებელის ხსოვნის პატივსაცემად ან სხვა რაიმე უშუალო მიზნისათვის».

აი რა «დაინახეს» და რას «ხედავენ» დ. და მისი მსგავსნი «სევერნაია პრავდაში». და დ., რასაკვირველია, ბერნშტეინის მსგავსად, გაიძახის: «უწინარეს ყოვლისა უნდა შევ-ხედოთ ი მ ა ს, რ ა ც ა რ ი ს» (ხაზგასმა თვით დ.-საა). მას

გამოყავს დასკვნა, ყოველივე ეს ხომ არის სწორედ ბრძოლა კოალიციის თავისუფლებისთვისო. «კოალიციის თავისუფლებისთვის ბრძოლის ლოზუნგი, როგორც ყველაზე საარსებო მორიგი მოთხოვნა», «განაზოგადებს ი მ ა ს, რ ა ც ა რ ი ს» (ხაზგასმა დ.-საა).

ბერნშტეინი გვარწმუნებდა, მე მხოლოდ «განვაზოგადებ იმას, რაც არისო», როდესაც ის მუშათა კლასის ბრძოლას რეფორმებისათვის ბრძოლად აცხადებდა.

დ. გვარწმუნებს, მე «განვაზოგადებ იმას, რაც არისო», როდესაც რუსეთის მუშათა კლასის მოძრაობას რეფორმისტულ მოძრაობად აცხადებს.

ბერნშტეინი გვაპარებდა რეფორმებისათვის მუშათა ბრძოლის ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ შინაარსს, — ბრძოლისა, რომელიც გაჟღენთილია სრულიადაც არა რეფორმისტული შინაარსით. პირწმინდად ასევე იქცევა დ.-ც. ლიბერალურ რეფორმიზმს გარდა ის ვ ე რ ა ფ ე რ ს ხედავს და თავის სიბეცეს სინამდვილედ ასაღებს.

რა თქმა უნდა, «ს ე ვ ე რ ნ ა ი ა პ რ ა ვ დ ა» იბრძოდა მუშათა ცხოვრებისა და მუშათა ბრძოლის პირობების სულ მცირედი გაუმჯობესებისთვისაც კი, მაგრამ ამას სჩადიოდა არა ლიბერალურად, როგორც ამას ვაუბატონნი დ.-ები სჩადიან! «სევერნაია პრავდაში» ბევრი რამ ი ყ ო ისეთი, რასაც ისინი მხედველობიდან უშვებენ, იყო ბრძოლა რეფორმიზმის წინააღმდეგ, იყო დაცვა ჩვენი «ძველი» მოთხოვნებისა, დაცვა შეუკვეცელი ლოზუნგებისა და სხვა. ბ-ნ დ.-ს აზრით, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ამას ისინი «ვ ე რ ხ ე დ ა ვ ე ნ», მათ არ სურთ დაინახონ ეს — სწორედ იმიტომ, რომ ისინი ლიბერალები არიან. როგორც ყველა ლიბერალისთვის, მათთვის გაუგებარია კ ა ვ შ ი რ ი, მჭიდრო, განუყრელი კავშირი, რომელიც აქვთ მარქსისტებს სულ მცირედი გაუმჯობესების დაცვასა და საკუთარი ორგანიზაციის ლოზუნგების დაცვას შორის და სხვ.. მათთვის ცხადი არ არის, რომ სწორედ ეს კავშირი განსაზღვრავს ლიბერალის (ისიც კავშირების თავის-

უფლების მომხრეა) და მუშა დემოკრატის მსოფლმხედველობის ძირეულ განსხვავებას.

მოსწყვიტეთ რეფორმებისათვის ბრძოლა საბოლოო მიზნისათვის ბრძოლას — აი რას წარმოადგენს სინამდვილეში ბერნშტეინის ქადაგება. მოსწყვიტეთ გაუმჯობესებათათვის ბრძოლა, კავშირებისა და სხვათა თავისუფლებისათვის ბრძოლა რეფორმიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, მარქსიზმის, მისი რაობისა და მიმართულების დაცვას — აი რას წარმოადგენს სინამდვილეში დ.-ს და სხვა ლიკვიდატორების ქადაგება.

მათ სურთ საკუთარი ლიბერალური სიბეცე (წარსულთან კავშირის არ დანახვა, მისი მიმართულების არ დანახვა, რეფორმიზმის წინააღმდეგ ბრძოლის არ დანახვა) თავს მოახვიონ მუშათა კლასს. მაგრამ მოწინავე მუშებმა, როგორც ეს კიდევ და კიდევ ერთხელ დაამტკიცა მელითონეთა 25 აგვისტოს კრებამ, უკვე შეიცნეს დ.-ს და მისი პატარა ჯგუფის ლიბერალური ბუნება.

III. საბჭირო განმარტება

«ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» 24-ე ნომერში ვხვდებით სასაცილო გამოსვლას ჩვენ მიერ დუბლინის ამბების აწერის გამო *. სასაცილო რამეზე არც კი ღირდა პასუხის გაცემა, ლიკვიდატორული გაზეთი ამასთანავე რომ არ იძლეოდეს მუშებისათვის უაღრესად მნიშვნელოვან და საგულისხმო განმარტებას. თვითონ განსაჯეთ. ინგლისი, სადაც პოლიტიკური თავისუფლების საერთო საფუძვლების არსებობის წყალობით სრულიად სერიოზული და ნამდვილი მნიშვნელობა აქვს კოალიციური კანონმდებლობის (კოალიციის თავისუფლების კანონების) რ ე ფ ო რ მ ი ს მოთხოვნას მუშების მხრივ, ჩვენ განვასხვავეთ რუსეთისაგან, სადაც ასეთი მოთხოვნა არის არასერიოზული, უშინაარსო, ლიბერალური ფრაზა, მაგრამ სადაც შეიძლება სერიოზულად განხორციელდეს, არსებული საფუძვლების დროს, დაზღვევის მსგავსი რეფორმები.

* იხ. ეს ტომი, გვ. 409 — 411. რ ე დ.

ცივილიზებული ბარბაროსობა

ინგლისი და საფრანგეთი ყველაზე ცივილიზებული სახელმწიფოებია მსოფლიოში. ლონდონი და პარიზი მსოფლიოს დედაქალაქებია, 6 და 3 მილიონი მოსახლეობით. მანძილი მათ შორის 8 — 9 საათის სავალია.

შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდი სავაჭრო ურთიერთობაა ამ ორ დედაქალაქს შორის, რა უამრავი საქონელი და ადამიანი მოძრაობს მუდამ მათ შორის.

და აი, მსოფლიოს ეს ყველაზე მდიდარი, ყველაზე ცივილიზებული, ყველაზე თავისუფალი სახელმწიფოები შიშითა და ძრწოლით განიხილავენ დღეს — სრულიადაც არა პირველად! — «ძნელ» საკითხს: შეიძლება, თუ არა გვირაბის გათხრა ლამანშს ქვეშ (საზღვაო სრუტე, რომელიც ინგლისს ჰყოფს ევროპის მატერიკისაგან)?

ინჟინრებმა ძალიან დიდი ხანია გამოიანგარიშეს, რომ შეიძლება. ფული ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებს ბლომად აქვთ. ამ საქმეში დაბანდებული კაპიტალის მოგება უცილობლად უზრუნველყოფილია.

მაშ რა აბრკოლებს საქმეს?

ინგლისს ეშინია... შემოსევისა! გვირაბი, თურმე ნუ იტყვით, «თუ რამე მოხდა», გაუადვილებს მტრის ჯარებს ინგლისში შესევას. ამიტომაც ინგლისის სამხედრო ავტორიტეტები პირველად როდი ფუშავენ გვირაბის გათხრის გეგმას.

კითხულობ ამას და გიკვირს სიგიჟე და სიბეცე ცივილიზებული ხალხებისა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ტექნი-

კის თანამედროვე ილარალების არსებობისას გვირაბით მოძრაობის შეჩერება და გვირაბის სრული გაფუჭება რამდენიმე წამის საქმეა.

მაგრამ ცივილიზებულმა ხალხებმა ბარბაროსთა მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი. კაპიტალიზმმა ისა ჰქნა, რომ ბურჟუაზიამ მუშების მოსატყუებლად უ ნ დ ა დააშინოს ინგლისელი ხალხი იდიოტური ზღაპრებით «შემოსევის» შესახებ. კაპიტალიზმმა ისა ჰქნა, რომ მთელი რიგი კაპიტალისტები, რომლებიც გვირაბის გათხრით «შემოსავლიან საქმეებს» დაკარგავენ, წელებზე ფეხს იდგამენ, რომ ჩაფუშონ ეს გეგმა და შეაფერხონ ტექნიკური პროგრესი.

გვირაბის შიში ინგლისელთა მხრივ ეს არის საკუთარი თავის შიში. კაპიტალისტური ბარბაროსობა ყოველგვარ ცივილიზაციაზე უფრო ძლიერია.

საითაც არ უნდა მიიხედო — ყოველ ნაბიჯზე აწყდები ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა სავსებით შეუძლია კაცობრიობას დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ. ხელის შემშლელია კაპიტალიზმი. მან უამრავი სიმდიდრე დააგროვა — და ადამიანები ამ სიმდიდრის მ ო ნ ე ბ ი გახადა. მან გადაწყვიტა ტექნიკის ურთულესი საკითხები — და შეაფერხა ტექნიკურ გაუმჯობესებათა განხორციელება მილიონობით მოსახლეობის სიღატაკისა და უმეცრების გამო, ერთი მუჭა მილიონერთა გონებაჩლუნგი სიძუნწის გამო.

კაპიტალიზმის დროს ცივილიზაცია, თავისუფლება და სიმდიდრე ბადებს აზრს გამტყვრალ მდიდარზე, რომელიც ცოცხლად ლპება და სიცოცხლეს უხშობს იმას, რაც ახალგაზრდაა.

მაგრამ ახალგაზრდა იზრდება და გაიმარჯვებს, მიუხედავად ყველაფრისა.

«პრავდა ტრუდა» № 6,
1913 წ. 17 სექტემბერი
ხელმოწერა: W.

იბეჭდება
გაზეთ «პრავდა ტრუდას»
ტექსტის მიხედვით

შავრაზმელობის შესახებ

ჩვენებურ შავრაზმელობას აქვს მეტისმეტად ორიგინალური და მეტისმეტად მნიშვნელოვანი თვისება, რომელსაც საკმაო ყურადღება არ ექცევა. ეს არის ბნელი გლეხური დემოკრატიზმი, უაღრესად ტლანქი, მაგრამ უაღრესად ღრმაც.

მბრძანებელი კლასები ძალიან ცდილობენ გამიჯნონ ხალხისგან ჩვენებური პოლიტიკური პარტიები სამი ივნისის საარჩევნო კანონითაც და ჩვენი სახელმწიფო წყობილების ათასნაირი «თავისებურებითაც», მაგრამ ცხოვრებას მაინც თავისი გააქვს. ყოველ პოლიტიკურ პარტიას, უკიდურეს მემარჯვენეებსაც კი უხდებათ ეძიონ ესა თუ ის კავშირი ხალხთან.

უკიდურესი მემარჯვენეები — ეს არის მემამულეთა პარტია. მაგრამ მათ არ შეუძლიათ დასჯერდნენ მარტო მემამულეებთან კავშირს. ისინი იძულებული არიან დაფარონ ეს კავშირი და თავი მოგვაჩვენონ, თითქოს საერთო-სახალხო ინტერესებს იცავენ, «მყარი» სამიწათმოქმედო ყოფაცხოვრების «დალოცვილ ძველ» წესებს იცავენ. იძულებული ხდებიან მოუხმონ ყველაზე მიყრუებული კუთხის გლეხის ყველაზე ღრმად ჩანერგილ ცრურწმენას, გამოიყენონ მისი უმეცრება.

ასეთი ოინები უხიფათოდ არ ჩაივლის ხოლმე. რომ არ მოელი, ისე გადმოხეთქს ხოლმე ნამდვილი გლეხური ცხოვრების ხმა, გლეხური დემოკრატიზმი და გაარღვევს მთელ შავრაზმულ დამყაყებულობას და გაქნილობას. მაშინ მემარჯვენეები იძულებული ხდებიან კინწისკვრით გააგდონ «აუტანელი» დემოკრატი გლეხი. ხოლო უკიდურესი მემარჯვე-

ნეების მიერ მათი საკუთარი ბანაკიდან ყველაზე ერთგულ ქვეშევრდომ შავრაზმელთა ასეთი გაგდება ან ჩამოშორება დემოკრატიზმის გამო, რასაკვირველია, უეჭველად იწვევს საგანმანათლებლო გავლენას მასაზე.

მაგალითად, ეპისკოპოსი ნიკონი, უკიდურესი მემარჯვენე, იძულებული იყო ჩამოშორებოდა სათათბიროში მუშაობას. რატომ?

ამაზე ნათელ პასუხს მოგვცემს თვით ეპისკოპოს ნიკონის წერილი, მოთავსებული «ენისეისკაია მისლში»[91]. რასაკვირველია, ეპისკოპოსი ნიკონი თავისი ჩამოშორების მიზეზებზე პირდაპირ ლაპარაკს ვერ ბედავს. მაგრამ ეპისკოპოს ნიკონს მოჰყავს ვინმე გლეხის წერილი და წერს: «ჩვენებური რუსული სინამდვილისა და ამ მხარის საადგილმამულო, პურისა და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები როგორლაც ვერ აღწევენ ვერც ხელისუფალთა და ვერც სათათბიროს ხელსა და გულს. ამ საკითხებს, მათს შეძლებისამებრ გადაწყვეტას თვლიან «უტოპიურ», «საფრთხილო», უდროო საქმედ. მერე რაღას სდუმან თვითონ და რას ელოდებიან? განწყობილებას, ამბოხებებს, რომელთა გამოც დახვრეტას მიუსჯიან იმავე «ულუკმაპურო», მშიერ, უბედურ გლეხებს?! ჩვენში ეშინიათ «დიდი» საქმეებისა და რეფორმებისა, სჯერდებიან წვრილმანებს, უბრალო რამეებს, თუმცა კეთილ რამეებს».

ასე წერს ეპისკოპოსი ნიკონი. ასე მსჯელობს ბევრი, ძალიან ბევრი შავრაზმელი გლეხი. და სავსებით გასაგებია, რატომ უ ნ დ ა ჩამოეშორებინათ ეპისკოპოსი ნიკონი სათათბიროს საქმეებისგან და გამოსვლებისგან ასეთი სიტყვებისთვის.

არსებითად, ეპისკოპოსი ნიკონი თავის შავრაზმულ დემოკრატიზმს გამოხატავს ფრიად და ფრიად უმართებულო მსჯელობით.. როგორც საადგილმამულო, ისე პურისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები ს ა ვ ს ე ბ ი თ აღწევენ როგორც «ხელისუფალთა», ისე სათათბიროს ხელსაც და გულსაც (და ჯიბესაც).

ამ საკითხებს «ხელისუფალნიც» და სათათბიროც «შეძ-ლებისამებრ» წ ყ ვ ე ტ ე ნ, — მხოლოდ წყვეტენ სწორედ შ ე ძ ლ ე ბ ი ს ა მ ე ბ რ, რაც შეესაბამება იმ მემამულეთა ინ-ტერესებსა და ძალას, რომლებიც სჭარბობენ ხელისუფალთა შორისაც და სათათბიროშიც.

ეპისკოპოსი ნიკონი გრძნობს, რომ მის შავრაზმულ შეხე-დულებებს თვით ცხოვრება ამსხვრევს; ამ შეხედულებებს ამსხვრევს ის, რასაც ის ხედავს სათათბიროშიც და «ხელის-უფალთა» ურთიერთობაშიც და სხვა. ხოლო იმის გ ა გ ე ბ ა, თუ რატომ ხდება ეს, ეპისკოპოს ნიკონს არ შეუძლია ან ეშინია.

მაგრამ ცხოვრება თავისას გაიტანს, და ეპისკოპოს ნიკო-ნის ათი თანამოაზრიდან ყოველ სოფელში ბოლოს და ბოლოს ცხრას უსათუოდ ისე არ გაუჭირდება ცხოვრების გაკვეთი-ლების შეთვისება, როგორც ეპისკოპოს ნიკონს.

«პრავდა ტრუდა» № 14,
1913 წ. 26 სექტემბერი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდა ტრუდას»
ტექსტის მიხედვით

რუსული მართვა-გამგეობისა და რუსული რეფორმების შესახებ

არსებობს პაწაწა ჟურნალი «გრაჟდანინ»[92], რომელსაც ადგენს ბ-ნი მეშჩერსკი. თავადი, რომელსაც მრავალი ვაი-ვაგლახი გაუვლია პეტერბურგის სხვადასხვა უმაღლეს ბიუროკრატიულ «სფეროებში», ამ პაწია ჟურნალში ჩვეულებრივ უაღრესად რეაქციულ რამეებს ქადაგებს.

ეს პაწია ჟურნალი საინტერესოა, ჯერ-ერთი, იმით, რომ ყბედი თავადი იქ მუდამ ამხელს რუსეთის უმაღლესი მმართველობის საიდუმლოებებს, რადგან რუსეთს მართლაც მართავენ ის წარჩინებული მემამულეები, რომელთა შორის ტრიალებდა და ტრიალებს თავადი მეშჩერსკი. ისინი მართლაც მართავენ რუსეთს სწორედ ისე, სწორედ იმ ყაიდაზე, სწორედ იმ წესით, როგორც ამას გვირჩევს, ვარაუდობს და გვთავაზობს თავადი მეშჩერსკი.

მეორეც, ეს პაწია ჟურნალი საინტერესოა იმით, რომ მისი წარჩინებული რედაქტორი, დარწმუნებული იმაში, რომ მისი ჟურნალი ხ ა ლ ხ ს ვერასდროს ვერ მიაღწევს, ხშირად სრულიად დაუნდობლად ამხელს რუსეთის მართვა-გამგეობას.

აი დიდად წარჩინებული თავადის ორი საინტერესო აღიარება:

«ძალიან დამახასიათებელი მოვლენაა — წერს იგი. — დრო და დრო საფრანგეთიდან, ბელგიიდან, ინგლისიდან ჩვენში ჩამოდიან რუსეთისა და რუსებისადმი ფრიად სიმპათიურად (თანაგრძნობით) განწყობილი კარგი ადამიანები, ჩერდებიან საუცხოოდ მორთულ სასტუმროში, უდგენენ ამა თუ იმ მოხელეს თავიანთ რეკომენდაციებს... ხედავ, ათიოდე დღეში

ამ ჩამოსულ უცხოელებს ღებულობს ესა თუ ის მინისტრი, მათ აიმედებენ ამა თუ იმ კონცესიის მიცემით და ასე დაიმედებულნი ბრუნდებიან შინ... შემდგომ კვლავ ჩამოდიან და ერთ კვირაში მათ უკვე აღებული აქვთ კონცესია სადღაც რუსეთში და თავიანთ მოსალოდნელ შემოსავალს ისე ენერგიულად ანგარიშობენ, რომ მილიონებზე ოცნებობენ».

ასე წერს თავადი მეშჩერსკი. გამონაკლისის სახით ის სიმართლეს წერს. რუსულ კაპიტალიზმში ჯერ კიდევ განუზომლად ძლიერია აზიური პრიმიტიულობის, მოხელეური მექრთამეობის, ფინანსისტთა თაღლითობის თვისებები და ისინიც თავიანთ მონოპოლიურ შემოსავალს უნაწილებენ წარჩინებულთ. როდესაც ჩვენი ნაროდნიკები ეომებიან, და სამართლიანადაც ეომებიან, ამ საძაგელ და უსირცხვილო თაღლითობას, ხშირად მათ ეს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ომი ჰგონიათ. მათი შეცდომა ცხადია. ნამდვილად ისინი ომობენ კაპიტალიზმის დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ ა ც ი ი ს ა თ ვ ი ს.

«როდესაც მე საზღვარგარეთ — წერს მეორე ადგილას არქირეაქციონერი თავადი — ურთიერთობა მქონდა სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანებთან,... არ მახსოვს, რომ ლაპარაკის საგანი ყოფილიყოს რაიმე საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი რეფორმები... მე ვკითხულობდი გაზეთებს... მაგრამ სტატიებს რეფორმების შესახებ ვერ ვპოულობდი... პირიქით, როგორც კი გადმოვაბიჯებდი საზღვარს და მოვხვდებოდი შინ, ხელთ ვიღებდი პირველიე რუსულ გაზეთს და მის პირველ, მეორე და მესამე გვერდზეც კი ვნახულობდი სტატიებს რაიმე რეფორმებზე».

სწორი დაკვირვებაა. ბურჟუაზიას ევროპაში რეფორმები არ ესაჭიროება. რუსეთში — ესაჭიროება. წარჩინებულ თავადს არ შეუძლია გაიგოს ამ განსხვავების მიზეზები, — სწორედ ისევე, როგორც ზოგიერთ ბრძენს არ შეუძლია გაიგოს, რომ რეფორმების საჭიროება ბურჟუაზიისათვის განსაკუთრებით ამართლებს მუშათა მკვეთრ ანტირეფორმისტულ ტაქტიკას.

«პრავდა ტრუდა» № 14,
1913 წ. 26 სექტემბერი
ხელმოწერა: მ ე თ ვ ა ლ ყ უ რ ე

იბეჭდება
გაზეთ «პრავდა ტრუდას»
ტექსტის მიხედვით

როგორ კლავს ვ. ზასულიჩი ლიკვიდატორობას

1913 წლის 19 ივლისის «ჟივაია ჟიზნის» მე-8 ნომერში მოთავსებულია ვ. ზასულიჩის შესანიშნავი სტატია ლიკვიდატორობის დასაცავად («ერთი საკითხის გამო»). მუშათა მოძრაობისა და დემოკრატიის საკითხებით დაინტერესებულთა გაძლიერებულ ყურადღებას მივაქცევთ ამ სტატიას, რომელიც საგულისხმოა როგორც შინაარსით, ისე ავტორიტეტიანი ავტორის გულახდილი პირდაპირობით.

I

უწინარეს ყოვლისა ვ. ზასულიჩი, როგორც ყველა ლიკვიდატორი, ცდილობს აძაგოს პარტია, მაგრამ ავტორის გულახდილობა საოცარი სიცხადით ამხელს მას. «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია — ვკითხულობთ ვ. ზასულიჩის სტატიაში — ეს არის არალეგალური, მეორე ყრილობაზე დაარსებული და მაშინვე გაყოფილი ორგანიზაცია ინტელიგენტებისა მუშებში პროპაგანდისა და აგიტაციის გასაწევად». ნამდვილად კი პარტია დაარსდა 1898 წელს და ემყარებოდა ბასობრივი მუშათა მოძრაობის გამოღვიძებას 1895 — 1896 წლებში. მრავალი ათეული და ასეული მუშა (მსგავსად განსვენებული ბაბუშკინისა პეტერბურგში) არათუ ლექციებს ისმენდნენ წრეებში, არამედ თვითონაც ეწეოდნენ აგიტაციას უკვე 1894 — 1895 წლებში,

შემდეგ კი მუშათა ორგანიზაციებს აარსებდნენ სხვა ქალაქებში (ეკატერინოსლავის ორგანიზაციების დაარსება პიტერიდან გადასახლებული ბაბუშკინის მიერ და სხვ.).

ინტელიგენტების შედარებითი სიჭარბე მოძრაობის დასაწყისში ყველგან ჩანდა და არა მარტო რუსეთში. ვ. ზასულიჩი ამ ფაქტს რაღაც პასკვილად აქცევს მუშათა პარტიის მიმართ და კლავს ლიკვიდატორობას ყველა მოაზროვნე მუშაში, რომელთაც განიცადეს 1894—1896 წლების აგიტაცია და გაფიცვები.

...«1903 წელს — წერს ვ. ზასულიჩი — არალეგალური წრეები, რომლებიც ამ მუშაობას ეწეოდნენ, შეერთდნენ ფარულ საზოგადოებად იერარქიული წესდებით. ძნელია იმის თქმა, ეხმარებოდა თუ ხელს უშლიდა ახალი ორგანიზაცია, როგორც ასეთი, მიმდინარე მუშაობას»...

ყველამ, ვინც გულმავიწყი არ არის, იცის, რომ ინტელიგენტთა და მუშათა ჯგუფები არათუ 1903 წელს, არამედ 1894 წლიდან (ხშირად კი უფრო ადრეც) ეხმარებოდნენ ეკონომიურ და პოლიტიკურ აგიტაციასაც, გაფიცვებსაც, პროპაგანდასაც. საჯაროდ განცხადება: «ძნელია იმის თქმა, ეხმარებოდა თუ ხელს უშლიდა ორგანიზაცია მუშაობასო» ნიშნავს არათუ უდიდესი, აშკარაზე-აშკარა ისტორიული ტყუილის დაშვებას. ეს ნიშნავს პარტიის უარყოფას.

მართლაც, რისთვისღა უნდა დააფასო პარტია, თუ ძნელია თქმა, ეხმარებოდა თუ ხელს უშლიდა იგი მუშაობას? განაცხადი არ არის, რომ შაბათი არის ადამიანისთვის გაჩენილი და არა ადამიანი შაბათისთვის?

პარტიის უარყოფა წარსულში, უკანა რიცხვით, ლიკვიდატორებს ესაჭიროებათ იმისთვის, რომ გაამართლონ მისი უარყოფა აწმყოში.

როცა ამ აწმყოზე, სამი ივნისის ეპოქაზე ლაპარაკობს, ვ. ზასულიჩი წერს: «მე მომისმენია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ცარიელდებოდნენ ორგანიზაციის რაიონული განყოფილებები»...

უდავო ფაქტია. ცარიელდებოდნენ ორგანიზაციის როგორც რაიონული, ისე ყოველგვარი სხვა განყოფილებები. მთელი საკითხი ისაა, თუ როგორ ახსნა და როგორ შეხედავ ორგანიზაციიდან ამ გაქცევის მოვლენას?

ვ. ზასულიჩი უპასუხებს: «ცარიელდებოდნენ იმიტომ, რომ იმ მომენტში იქ გასაკეთებელი არაფერი იყოო».

პასუხი გადამჭრელია, რაც უდრის არალეგალობის გადაჭრით დაგმობას და მისგან გაქცევის გამართლებას. როგორღა ამტკიცებს ვ. ზასულიჩი თავის მოსაზრებას? 1) პროპაგანდისტებს გასაკეთებელი არაფერი ჰქონდათ, რადგან «მრავალმა მუშამ შექმნა თავისთვის» თავისუფლების დღეების გამოცემათაგან «მთელი ბიბლიოთეკები, რომლებიც ჯერ კიდევ არ ჩამოურთმევია პოლიციას».

კურიოზულია ვ. ზასულიჩის ეს უნარი — არ შეამჩნიოს, რომ ის თვითონ უარყოფს თავის თავს. თუ პოლიცია «ართმევდა» ბიბლიოთეკებს, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, წაკითხულის განხილვა, მისი შეთვისება, შემდგომი შესწავლა ი წ ვ ე ვ დ ა სწორედ არალეგალურ მუშაობას! ვ. ზასულიჩს სურს დაამტკიცოს, რომ «გასაკეთებელი არაფერი იყო», მისი ნათქვამიდან კი გამომდინარეობს: გასაკეთებელი ბევრი რამ ი ყ ო.

2) «ამ ხანებში არალეგალური პოლიტიკური აგიტაციის შესაძლებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამასთანავე ასეთ «გამოსვლათა» ინიციატივა რაიონების უფლებასა და მოვალეობას არ შეადგენდა».

ვ. ზასულიჩი იმეორებს ლიკვიდატორების სიტყვებს ისე, რომ საქმის ვითარებას არ იცნობს. ამ ხანებში რომ მძიმე მდგომარეობა იყო, უფრო მძიმე, ვიდრე წინათ, ეს უდავოა. მაგრამ მარქსისტების მუშაობა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს «ძნელია», და ისინი ლიბერალებისაგან სწორედ იმით განირჩევიან, რომ ძნელს შეუძლებლად არ აცხადებენ. ლიბერალი ძნელ სამუშაოს შეუძლებელს უწოდებს, რათა დაფაროს ხელის აღება მასზე. მუშაობის სიძნელე მარქსისტს აიძულებს უფრო შეამჭიდროოს საუკეთესო ელემენტები სიძნელეთა დასაძლევად.

ობიექტური ფაქტი, რომ ამ ხანებში ეს მუშაობა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი იყო და კიდევაც წარმოებდა, მტკიცდება თუნდაც III და IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებით. მართლაცდა, ხომ არ ფიქრობს ვ. ზასულიჩი, რომ იატაკქვეშეთის მომხრეებს შეეძლოთ სახელმწიფო სათათბიროში გასულიყვნენ იატაკქვეშეთის მონაწილეობის მ ი უ ღ ე ბ ლ ა დ?

3) ... «არალეგალურ ჯგუფებში გასაკეთებელი არაფერი იყო, მათ გარეთ კი უამრავი აუცილებელი საზოგადოებრივი სამუშაო იყო»... კლუბები, ყოველგვარი საზოგადოება, ყრილობები, ლექციები და სხვ.

ასე მსჯელობს ყველა ლიკვიდატორი, რასაც ვ. ზასულიჩიც იმეორებს. მისი სტატია პირდაპირ შეიძლება ვურჩიოთ მუშათა წრეებში სამეცადინოდ ლიკვიდატორობის ბედუკულმართობის გასარჩევად!

სხვათა შორის იატაკქვეშეთი სწორედ იმიტომ იყო საჭირო, რომ მასთან დაკავშირებული იყო მარქსისტული მუშაობა კლუბებში, საზოგადოებებში, ყრილობებზე და სხვ.

შეადარეთ ეს ჩემი მსჯელობა ვ. ზასულიჩის მსჯელობას. აბა იფიქრეთ, რ ა ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი აქვს ვ. ზასულიჩს ლეგალურ საზოგადოებებში მუშაობა დაგვიხატოს, როგორც ისეთი მუშაობა, რომელიც წარმოებს არალეგალურ ჯგუფთა მუშაობის «გ ა რ ე შ ე»?? რატომ «გარეშე» და არა «მჭიდრო კავშირში», არა «ერთი მიმართულებით»??

ვ. ზასულიჩს ფაქტიური საფუძვლის ნატამალიც არა აქვს, რადგან ყველამ იცის, რომ, ალბათ, არ ყოფილა არც ერთი ლეგალური საზოგადოება და სხვ., რომელშიც მონაწილეობა არ მიეღოთ არალეგალურ ჯგუფთა წევრებს. ვ. ზასულიჩის მტკიცებათა ერთადერთი საფუძველი ეს არის ლიკვიდატორების სუბიექტური განწყობილება. ლიკვიდატორების განწყობილება ისეთი იყო, რომ მ ა თ არაფერი ჰქონდათ გასაკეთებელი იატაკქვეშეთში, რომ ი ს ი ნ ი თანაუგრძნობდნენ მხოლოდ იატაკქვეშეთის გ ა რ ე შ ე, მხოლოდ მისი იდეური მიმართულების გარეშე მუშაობას. სხვა სიტყვებით

რომ ვთქვათ, ვ. ზასულიჩის «საფუძველია» იატაკქვეშეთიდან ლიკვიდატორების გაქცევის გამართლება!

უბადრუკი საფუძველია.

მაგრამ ჩვენ ვერ დავჯერდებით ვ. ზასულიჩის ნაწერთა სუბიექტური საფუძვლების აღნიშვნას, იმ ფაქტიური და ლოგიკური შეცდომების აღნიშვნას, რომლებითაც პირდაპირ სავსეა მისი სტატიის ყოველი ფრაზა. ჩვენ უნდა მოვძებნოთ ობიექტური საფუძვლები იმ უდავო ფაქტისა, რომ «რაიონები ცარიელდებოდნენ», რომ იატაკქვეშეთიდან გარბოდნენ.

საძებნელად შორს წასვლა არ მოგვიხდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ხანებში რუსეთის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული საზოგადოება უძლიერესად იყო აფორიაქებული კონტრრევოლუციური სულისკვეთებით. საყოველთაოდ ცნობილია, რა ღრმა ანტაგონიზმმა იჩინა თავი თავისუფლების დღეებში ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის და წარმოშვა ეს კონტრრევოლუციური სულისკვეთება, პროლეტარიატის მრავალი მერყევი მეგობრის სულიერი მდგომარეობის რღვევასთან, მის გულგატეხილობასთან, სულიერ დაცემასთან ერთად.

ამ ხანებში კლასთა ეს ობიექტური თანაფარდობა სავსებით ცხადყოფს ჩვენთვის, თუ რატომ უ ნ დ ა შესძულებოდა საერთოდ ბურჟუაზიას და განსაკუთრებით ლიბერალურ ბურჟუაზიას (მას ხომ ხელიდან გამოსტაცეს ჰეგემონია ხალხის მასების მიმართ) იატაკქვეშეთი, რატომ უნდა გამოეცხადებინა იგი უმაქნისოდ და «არაქმედუნარიანად» (ვ. ზასულიჩის გამოთქმა), დაეგმო და უარეყო პოლიტიკური არალეგალური აგიტაცია, აგრეთვე არალეგალური ყაიდის ლეგალური მუშაობის წარმოებაც, ი ა ტ ა კ ქ ვ ე შ ე თ ი ს ლოზუნგების შესაბამისად, მასთან განუყრელ იდეურ და ორგანიზაციულ კავშირში.

იატაკქვეშეთიდან უპირველეს ყოვლისა და პირველ რიგში გაიქცა ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელიც შეიპყრო კონტრრევოლუციურმა სულისკვეთებამ, გაიქცნენ სოციალ-დემოკრატიული მუშათა ძოძრაობის ის «თანამგზავრნი»,

რომელნიც ჩვენშიც, ისე როგორც ევროპაშიც, გატაცებულნი იყვნენ პროლეტარიატის (ევროპაში: საერთოდ პლებსის) განმათავისუფლებელი როლით ბურჟუაზიულ რევოლუციაში. ცნობილია ფაქტი, რა უამრავი მარქსისტი ჩამოშორდა იატაკქვეშეთს 1905 წლის შემდეგ და მოიკალათა ყოველგვარ ლეგალურ ინტელიგენტურ ბუდეებში.

როგორიც უნდა იყოს სუბიექტურად ვ. ზასულიჩის «კეთილი» განზრახვები, მაგრამ ლიკვიდატორთა მსჯელობანი, რასაც ის იმეორებს, ობიექტურად კონტრრევოლუციური ლიბერალური უბადრუკი აზრების გადამღერებაა. თუმცა ლიკვიდატორები ყველაზე მეტს გაჰყვირიან «მუშათა თვითმოქმედებაზე» და სხვა, მაგრამ ნამდვილად ისინი წარმოადგენენ და იცავენ სწორედ მუშათა მოძრაობისაგან გამოთიშულ და ბურჟუაზიის მხარეზე გადაბარგებულ ინტელიგენტებს.

ცალკეულ პიროვნებათა გაქცევა შეიძლებოდა ყოფილიყო დაღლილობისა და მოტეხის შედეგი. ასეთი პირნი მხოლოდ სიბრალულს იწვევენ; მათ უნდა დაეხმარო, რამდენადაც მათ გაუვლით ძალთა ეს სისუსტე და კვლავ გაუჩნდებათ ლტოლვა ობივატელობისგან, ლიბერალებისგან და ლიბერალური მუშათა პოლიტიკისგან მუშათა იატაკქვეშეთისაკენ. მაგრამ, როდესაც დაღლილნი და მოტეხილნი ჟურნალისტიკის ტრიბუნაზე ადიან და თავიანთ გაქცევას აცხადებენ არა დაღლილობის, არა სისუსტის, არა ინტელიგენტური სულმდაბლობის გამოვლინებად, არამედ თავიანთ დამსახურებად, ამასთან ყველაფერს აბრალებენ «არაქმედუნარიან» ან «უმაქნისო», ან «მოდუნებულ» და სხვ. იატაკქვეშეთს, — მაშინ ეს გაქცეულნი საზიზღარი რენეგატები, განდგომილნი ხდებიან. მაშინ ეს გაქცეულნი ხდებიან უცუდესი მრჩევლები და ამდენად საშიში მტრები მუშათა მოძრაობისა.

როცა ხედავ როგორ იცავენ და აქებ-ადიდებენ ლიკვიდატორები ასეთ ელემენტებს და ამავე დროს ღმერთსა და ხატს ფიცულობენ, ჩვენ, ლიკვიდატორები, ერთიანობას ვიცავთო, — მხოლოდ მხრებს იჩეჩ და ეკითხები შენს თავს: ვის

მოტყუებას ფიქრობენ ამ ჩმახვით და ამ თვალთმაქცობით? განა ცხადი არ არის, რომ მუშათა პარტიის არსებობა შეუძლებელია თუ გადამწყვეტი ბრძოლა არ გავუმართეთ პარტიისაგან განდგომის ქება-დიდებას?

ლიკვიდატორები (და მათთან ერთად ვ. ზასულიჩიც) თავს იმით ირთობენ, რომ ამ განდგომილთ და გაქცეულთ «მუშათა კლასის ცოცხალ ძალებს» უწოდებენ. მაგრამ ლიბერალური ინტელიგენტების ეს ფანდები დიდი ხანია უარყოფილია სრულიად რუსეთის მასშტაბის უდავო ფაქტებით. მუშათა კურიის დეპუტატებიდან ბოლშევიკებს II საოთათბიროში ჰყავდათ 47%, III-ში — 50% და IV-ში — 67%. აი უცილობელი დამამტკიცებელი საბუთი მუშების ჩამოშორებისა ლიკვიდატორებისგან 1907 — 1913 წლების ეპოქაში. ხოლო პირველი მუშათა ყოველდღიური გაზეთის გაჩენა და ის მოკლენები, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ დღეს პროფესიულ კავშირებში, კიდევ უფრო მეტად აძლიერებენ ამ დამამტკიცებელ საბუთს. მუშათა კლასის ცოცხალი ძალები, თუ ობიექტურ ფაქტებს შევხედავთ და არა ლიბერალური ინტელიგენტების მკვეხარა და ლიტონ განცხადებებს, ეკუთვნით იატაკქვეშეთის მომხრეების, ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეების რიცხვს.

მაგრამ ვ. ზასულიჩის მთელი მსჯელობა წარსულზე მთავარი როდია. მთავარი მერე იქნება. რენეგატობისა და პარტიისაგან განდგომის დაცვა მხოლოდ შესავალია პარტიის დანგრევის დაცვისა. ჩვენც სწორედ ვ. ზასულიჩის სტატიის ამ უმნიშვნელოვანეს ნაწილზე გადავდივართ.

II

...«არალეგალური ორგანიზაცია — ეკითხულობთ სტატიაში — ყოველთვის რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სუსტი მხარე იყო»... (არც მეტი და არც ნაკლები, «ყოველთვის»!). გაბედული ისტორიკოსები არიან ჩვენი ლიკვიდატორები. «ყოველთვის» — მაშასადამე, 1883 — 1893 წლებშიც, პარტიის ორგანიზებული ხელმძღვანელობით მასობრივი მუშათა

მოძრაობის დაწყებამდე; — მაშასადამე, 1894 — 1904 წლებ-ში(ც. 1905 — 1907 წლები?

...«მაგრამ ის ათწილ უკეთესიც რომ ყოფილიყო, მაშინაც ვერ გაუძ-ლებდა რევოლუციას და კონტრრევოლუციას. ევროპის ისტორიაში მე არ მახსოვს არც ერთი რევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც, რევოლუ-ციის გადატანის შემდეგ, ქმედუნარიანი ყოფილიყოს რეაქციის მომენტში».

ეს მსჯელობა ისე მდიდარია «მარგალიტებით», რომ პირ-დაპირ აღარ იცი, რომელი მარგალიტით დაიწყო მისი გარ-ჩევა!

ვ. ზასულიჩს ევროპის ისტორიაში «არ ახსოვს» მისთვის საინტერესო შემთხვევა. მაგრამ ახსოვს თუ არა ვ. ზასულიჩს «ევროპის ისტორიაში» ისეთი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომ დამოუკიდებელი მუშათა პარტიების ვითარებაში მომხ-დარიყოს, პარტიებისა, რომლებსაც ჰყოლოდეთ ასი ათასობ-ბით და მილიონი წევრები, მომხდარიყოს მეზობელ ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი საფეხურის პირო-ბებში და ამ უმაღლეს საფეხურს მოცემულ ქვეყანაში შეექ-მნას დარაზმული სამრეწველო პროლეტარიატი და მუშათა მოძრაობა ნაციონალური მასშტაბით?

ვ. ზასულიჩს არ შეიძლება «ახსოვდეს» ასეთი შემ-თხვევა, რადგან ის «ევროპის ისტორიაში» არ ყოფილა. არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ისტორიაში XX საუკუნემდე ის, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციაში გა-დამწყვეტი როლი ეთამაშა მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვას.

რა გამოგვდის აქედან? გამოგვდის ასეთი შედეგი. ლიკვი-დატორი იმოწმებს მაგალითს «ევროპის ისტორიისას», რო-მელშიც ბურჟუაზიული რევოლუციების დროს ა რ ყ ო ფ ი-ლ ა დამოუკიდებელი პროლეტარული პარტიები მასობრივი გაფიცვებითურთ, — ამ მაგალითს ი მ ი ს თ ვ ი ს იმოწმებს, რომ უ ა რ ყ ო ს ამოცანები ან დ ა ა მ ც ი რ ო ს, შეზღუდოს, შეამციროს, შეკვეცოს ისეთი ქვეყნის ამოცანები, სადაც ა რ-ს ე ბ ო ბ დ ა და არსებობს ორი დასახელებული ძირითადი პირობა (დამოუკიდებელი პროლეტარული პარტია და პოლი-ტიკური ხასიათის მასობრივი გაფიცვები)!

ვ. ზასულიჩს ვერ გაუგია, — და ეს გაუგებლობა მეტად დამახასიათებელია ლიკვიდატორობისთვის, — რომ ის სხვა სიტყვებით, სხვა საბაბით, სხვა მხრივ მიუდგა საკითხს და ლ ი ბ ე რ ა ლ პროკოპოვიჩის ა ზ რ ი გ ა ი მ ე ო რ ა. ამ ლიბერალმა, სწორედ იმ დროს, როდესაც იგი, როგორც უკიდურესი «ეკონომისტი» (1899 წელი), კავშირს წყვეტდა სოციალ-დემოკრატიასთან, ის აზრი გამოთქვა, რომ «ლიბერალებს მართებთ პოლიტიკური, მუშებს კი — ეკონომიური ბრძოლაო».

ამ აზრისაკენ იხრება, ამ აზრს ადგება მ თ ე ლ ი ოპორტუნიზმი რუსეთის 1895—1913 წლების მუშათა მოძრაობაში. მხოლოდ ამ იდეის წინააღმდეგ ბრძოლაში გაიზარდა, — შ ე ე ძ ლ ო მხოლოდ გაზრდილიყო რუსეთის სოციალ-დემოკრატია. ბრძოლა ამ იდეის წინააღმდეგ, მასების გამოგლეჯა ამ იდეის გავლენისაგან, ეს არის სწორედ ბრძოლა დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობისთვის რუსეთში.

პროკოპოვიჩმა ეს იდეა გამოხატა აწმყოს ამოცანებთან შეფარდებით, ბრძანებითი თუ სასურველი ფორმით.

ვ. ზასულიჩი ამ აზრს იმეორებს ვითომ ისტორიული, რეტროსპექტული მსჯელობის თუ ამბების მიმოხილვის ფორმით.

პროკოპოვიჩი ლაპარაკობდა პირდაპირ, გულახდილად, ნათლად და მკვეთრად: თავი დაანებეთ აზრს პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესახებ, ძმაო მუშებო! ვ. ზასულიჩი, რომელსაც ვერ გაუგია, სად მიიყვანა ის ლიკვიდატორობამ, მიხვეულ-მოხვეული გზით იმავე უფსკრულს მიადგა: ევროპის მაგალითის მიხედვითაც კი არ გეკუთვნით თქვენ, ძმაო მუშებო, გქონდეთ თქვენი ძველი, ნაცადი ტ ი პ ი ს «ქმედუნარიანი» ორგანიზაცია, ისეთივე ტიპისა, როგორი ტიპისაც იყო თქვენი ორგანიზაცია 1905 წელს. ლიბერალებმა 1905 წლიდან თავი დაანებეს «იატაკქვეშეთზე» ფუჭ ოცნებას, შექმნეს «ქმედუნარიანი», აშკარა ორგანიზაცია, რომელიც თუმცა ლეგალიზებული არ არის სამი ივნისის სისტემის მიერ, მაგრამ ითმენენ მას; ეს ორგანიზაცია ინარჩუნებს თავის საპარლა-

მენტო ფრაქციას, თავის ლეგალურ პრესას, თავის, ფაქტიურად ყველასთვის ცნობილ, ადგილობრივ კომიტეტებს. თქვენი ორგანიზაცია კი, ძმაო მუშებო, თქვენი ძველი ორგანიზაცია ქმედუნარიანი არ არის, და «ევროპის ისტორიის» გაკვეთილების მიხედვით არც უ ნ დ ა იყოს ქმედუნარიანი, ხოლო ახალ, «ღია პარტიას», ჩვენ, ლიკვიდატორები, ყოველდღე გპირდებით. მეტი რაღა გინდათ? დასჯერდით ჩვენს, ლიკვიდატორულ დაპირებებს, რაც შეიძლება მაგრად აგინეთ თქვენი ძველი ორგანიზაცია, აფურთხეთ მას, უარყავით იგი და ჯერჯერობით (ვიდრე შეგისრულებდეთ დაპირებებს «ღია პარტიის» შესახებ) ს რ უ ლ ი ა დ უ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო დ დარჩითო!

სწორედ ასეთია ვ. ზასულიჩის ლიკვიდატორულ მსჯელობათა ნამდვილი აზრი, რომელსაც საზღვრავს ა რ ა მისი ნება და შეგნება, არამედ კლასთა თანაფარდობა რუსეთში, მუშათა მოძრაობის ობიექტური პირობები. და სწორედ ესა სურთ ლიბერალებს. ვ. ზასულიჩი მხოლოდ ბანს ა ძ ლ ე ვ ს პროკოპოვიჩს!

XVIII საუკუნის დამლევის და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპისგან განსხვავებით რუსეთმა სწორედ ისეთი ქვეყნის მაგალითი მოგვცა, რომელშიც ძველმა ორგანიზაციამ დაამტკიცა თავისი ცხოველმყოფელობა და თავისი ქმედუნარიანობა. ეს ორგანიზაცია დარჩა რეაქციის დროსაც, მიუხედავად ლიკვიდატორებისა და უამრავი ობივატელის ჩამოშორებისა. ამ ორგანიზაციამ შეინარჩუნა თავისი ძირითადი ტიპი და შესძლო თ ა ვ ი ს ი ფ ო რ მ ი ს შეგუება შეცვლილ პირობებთან. შესძლო ამ ფ ო რ მ ი ს შეცვლა მომენტის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო ეს მომენტი მოასწავებდა «კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმას ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე» [93].

ძველი ორგანიზაციის ამ შეგუების ობიექტურ დამამტკიცებელ საბუთს ჩვენ ვხედავთ — თუ ავიღებთ ერთ-ერთ უმარტივეს, უთვალსაჩინოეს, ლიბერალისათვის ყველაზე უფრო გასაგებ დამამტკიცებელ საბუთს — IV სათათბიროს

არჩევნების შედეგის სახით. ძველ ორგანიზაციას მხარი დაუჭირა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუშათა კურიის დეპუტატთა ²/₃-მა და მათ შორის მთავარი სამრეწველო გუბერნიის ექვსეულმა მთლიანად. ამ გუბერნიებში კი დაახლოებით ერთი მილიონი საფაბრიკო-საქარხნო მუშაა. ყოველივე რაც კი რამ ცოცხალია, რაც კი რამ შეგნებულია, გავლენიანია ამ ნამდვილი მ ა ს ი დ ა ნ, პროლეტარული მასიდან, მონაწილეობას იღებდა არჩევნებში, ამასთანავე ფ ო რ მ ა ს უცვლიდა თავის ძველ ორგანიზაციას, სახეს უცვლიდა მისი მუშაობის პ ი რ ო ბ ე ბ ს, მაგრამ ინარჩუნებდა მის მიმართულებას, მუშაობის მის იდეურ-პოლიტიკურ საფუძვლებს და შ ი ნ ა ა რ ს ს.

ჩვენი პოზიცია ნათელია. და იგი საბოლოოდ გამოირკვა 1908 წლიდან. ლიკვიდატორებს კი — და ეს არის მათი უბედურება — არა აქვთ არავითარი პოზიცია, ჯერჯერობით მათ არა აქვთ ა ხ ა ლ ი ორგანიზაცია. მათ შერჩათ მხოლოდ ოხვრა ცუდ წარსულზე და ოცნება კარგ მომავალზე.

III

...«ორგანიზაცია აუცილებელია პარტიისათვის» — წერს ვ. ზასულიჩი. ის უკვე უკმაყოფილოა სტოკჰოლმის (1906 წ.) გადაწყვეტილებით, როდესაც მენშევიკები ს ჭ ა რ ბ ო ბ დ ნ ე ნ დ ა ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი იყვნენ მიეღოთ წესდების ცნობილი პირველი პარაგრაფი.

თუ ეს სწორია (ეს კი უსათუოდ სწორია), მაშინ ვ. ზასულიჩი არ არის მართალი, და მან უნდა უარყოს სტოკჰოლმის მ ე ნ შ ე ვ ი კ უ რ ი გადაწყვეტილება. ორგანიზაცია არათუ «აუცილებელია პარტიისათვის» — ამას აღიარებს ყოველი ლიბერალი და ყოველი ბურჟუა, რომელსაც სურს «გამოიყენოს» მუშათა პარტია ანტიმუშური პოლიტიკისათვის. პარტია ა რ ი ს ერთ მთელად შეკრული ორგანიზაციების ჯამი. პარტია ა რ ი ს მუშათა კლასის ორგანიზაცია, დანაწილებული ყოველგვარი ადგილობრივი და სპეციალური, ცენტრალური და საერთო ორგანიზაციების მთელ ქსელად.

ლიკვიდატორებს აქაც არავითარი პოზიცია არა აქვთ. 1903 წელს ისინი ატარებდნენ პარტიის წევრების ისეთ გაგებას, რომ პარტიის წევრებად აღიარებული უნდა ყოფილიყვნენ არათუ ორგანიზაციებში შემავალი პირნი, არამედ მათი კონტროლით (ორგანიზაციების გარეთ) მომუშავენიც. ვ. ზასულიჩი იგონებს ამ ეპიზოდს, რადგან ეს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან ეპიზოდად მიაჩნია. ის წერს:

....«ჯერ კიდევ მეორე ყრილობაზე, 10 წლის წინათ, მენშევიკებმა იგრძნეს, რომ შეუძლებელი იყო მთელი პარტიის იატაკქვეშეთის ორგანიზაციაში დამალვა»...

თუ 1903 წელს მენშევიკებმა იგრძნეს ზიზღი იატაკქვეშეთისადმი, 1 9 0 6 წ ე ლ ს, განუზომლად უფრო «ღია» პარტიის ეპოქაში, მათ თ ვ ი თ ო ნ, როცა უმრავლესობა ჰყავდათ ყრილობაზე, რატომღა გააუქმეს მათ მიერ 1903 წელს მიღებული მენშევიკური დადგენილება და რატომ გ ა ა ტ ა რ ე ს ბოლშევიკური? ვ. ზასულიჩი პარტიის ისტორიას ისე წერს, რომ ყოველ ნაბიჯზე ხვდები ფაქტების გასაოცარ, წარმოუდგენელ დამახინჯებას!

უდავო ფაქტია, რომ 1906 წელს სტოკჰოლმში მენშევიკებმა მიიღეს პარტიის ბოლშევიკური განსაზღვრა, როგორც ორგანიზაციების ჯამისა, და თუ ვ. ზასულიჩმა და მისმა მეგობრებმა კ ვ ლ ა ვ შეიცვალეს თავიანთი შეხედულებები, თუ მათ 1906 წლის თ ა ვ ი ა ნ თ ი გადაწყვეტილება ახლა კვლავ შეცდომად მიაჩნიათ, რად არ უნდა თქვან ეს პირდაპირ? ამ საკითხს ხომ, საერთოდ, ვ. ზასულიჩი, როგორც ჩანს, მნიშვნელობას აძლევს, რადგან თვითონვე წამოაყენა იგი, თვითონვე მოიგონა 1903 წელი!

მკითხველი ხედავს, რომ იმაზე უფრო უმწეო და დახლართული არაფერია, როგორც ლიკვიდატორების შეხედულებანი ორგანიზაციულ საკითხზე. ეს არის შეხედულებათა სრული უქონლობა. ეს არის ნიმუში უხასიათობისა და გზააბნეულობისა. ვ. ზასულიჩი ბრაზიანად გაიძახის: «ორგანიზაციული ოპორტუნიზმი სულელური სიტყვაა». მაგრამ «სიბრაზით» საქმეს ვერ უშველი. აკი გამოაქვეყნა თ ვ ი თ ჩერევა-

ნინმა, რომ 1907 წელს მენშევიკური ფრაქციის კრებებზე ლონდონში მომავალ ლიკვიდატორებს უკვე ემჩნეოდათ «ორგანიზაციული ანარქიზმიო». მაშინაც და ახლაც ყველაზე თვალსაჩინო ლიკვიდატორები ისეთ ორიგინალურ მდგომარეობაში ვარდებოდნენ და ვარდებიან, რომ კლავდნენ ლიკვიდატორებს.

...«ორგანიზაცია აუცილებელია პარტიისათვის» — წერს ვ. ზასულიჩი. «მაგრამ მთელი პარტიის რამდენადმე დიდი ხნით ხელში ჩაგდებას და მშვიდად (!) ცხოვრებას ერთი და იმავე ფორმით, ერთი და იმავე წესდებით» (უსმინეთ!) «ის შესძლებს მხოლოდ მაშინ, როცა უკვე მიღწეული და განმტკიცებული უფლებრივი წესწყობილების დროს (თუ ის ოდესმე განმტკიცდება რუსეთში) რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება ბოლოს და ბოლოს დაადგება ვაკე გზას და უკან მოიტოვებს იმ კლდე-ღრეებიან გზას, რომლითაც აჩქარებული ტემპით მიეშურება ის მთელი საუკუნის განმავლობაში, ხან მწვერვალზე ასვლის, ხან რეაქციის უფსკრულში გადაჩეხვით, რათა დაშავებული ადგილების მოშუშების შემდეგ კვლავ შეუდგეს მთაზე აცოცვას»...

აი ლიკვიდატორთა ერთ-ერთი მსჯელობა, რომელიც, როგორც აბნეულობის ნიმუში, ღირსია პრემიისა. აბა მიხვდით, რა სურს ავტორს?

«წესდების» შეცვლა? მაგრამ მაშინ, ღვთის გულისთვის, გვითხარით ერთი, ბატონებო, წესდების რა შეცვლაზე ლაპარაკობთ! და ნუ გაიხდით თავს სასაცილოდ, ნუ დაიწყებთ «ფილოსოფიურად» იმის მტკიცებას, რომ წესდება არ არის უცვლელი რამაო.

მაგრამ, როცა ვ. ზასულიჩი «ერთ და იმავე წესდებაზე» ლაპარაკობს (სხვათა შორის, ის შეიცვალა სწორედ 1912 წელს *), ის არავითარი ცვლილების წინადადებას არ იძლევა.

მაშ რა სურს ვ. ზასულიჩს? მას სურს თქვას, რომ პარტია მაშინ გახდება ორგანიზაცია, როდესაც რუსეთისათვის დამთავრდება კლდე-ღრეებიანი გზა და დაიწყება ვაკე გზა. ეს

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 577 — 578. რ ე დ.

ფრიად პატივსაცემი ლიბერალური და ვეხური აზრია: ა ხ ა ლ გ ზ ა ზ ე დადგომამდე ყოველივე არის სიბილწე და ბოროტება, პარტიაც არ არის პარტია, პოლიტიკაც არ არის პოლიტიკაო. «ვაკე გზის» დროს ყველაფერი «რიგზე» იქნება, «კლდე-ღრეებიანი გზის» დროს კი მხოლოდ ქაოსიაო.

დიდი ხანია წაკითხული გვაქვს ლიბერალების ასეთი მსჯელობა. იატაკქვეშეთისა და «კლდე-ღრეებიანი» გზისადმი ლიბერალების სიძულვილის თვალსაზრისით ეს მსჯელობა გასაგები, ბუნებრივი და კანონიერია. ფაქტები აქ დამახინჯებულია (რადგან რუსეთში არალეგალობის დროს მთელი რიგი პ ა რ ტ ი ა-ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი არსებობდა), მაგრამ ჩვენ გვესმის, იატაკქვეშეთისადმი სიძულვილი როგორ უბნელებს თვალს ლიბერალებს, როგორ ჩრდილავს ფაქტებს.

მაგრამ — ერთხელ კიდევ — ნეტავი რა სურს ვ. ზასულიჩს? ჩვენში, თითქოს, პარტია-ორგანიზაცია შეუძლებელი იყოს... მაშასადამე? აზრის ბუნდოვანობა და ბოლომდე უთქმელობა, საქმის დახლართვა გრძელი, მძიმე სატანჯავი პერიოდებით, თავის დაძვრენა და პონტოელისგან პილატესაკენ გაგზავნა. თქვენ მხოლოდ გრძნობთ, რომ ავტორს სურს შემოგვაპაროს ყოველგვარი ორგანიზაციის უარყოფა. და, მიუახლოვდა რა ამ აზრს, ვ. ზასულიჩმა როგორც იქნა თქვა ბოლომდე... აი მისი აზრების დაგვირგვინება:

«ჩვენ გვყავს მუშების ფართო ფენა, რომელიც სრული უფლებით დაიკავებდა ადგილს დასავლეთის ყოველ სოციალისტურ პარტიაში. ეს სწრაფად მზარდი ფენა, რომელსაც პარტიის შესაქმნელად აკლია მხოლოდ მასში ფორმალურად შესვლის შესაძლებლობა — შეიცავს მთელ ძალებს, და რაც უნდა ვუწოდოთ მას, ჩვენ მასზე ვიფიქრებთ და ვილაპარაკებთ, როგორც პარტიაზე».

ამრიგად, როდესაც დავობენ პარტიის ლიკვიდაციაზე, უნდა ვიცოდეთ, რომ ლიკვიდატორები რ ა ღ ა ც ს ხ ვ ა რ ა მ ე ს გულისხმობენ პ ა რ ტ ი ა დ. მერე რას გულისხმობენ ისინი პარტიად?

თურმე ნუ იტყვით: «მუშების ფართო ფენას, რომელსაც პარტიის შესაქმნელად (!!) აკლია მხოლოდ (!) მასში ფორმალურად შესვლის შესაძლებლობა».

ეს უბადლო რამაა. პარტიას წარმოადგენენ ისინი, ვისაც «აკლია პარტიაში ფორმალურად შესვლის შესაძლებლობა». პარტიას წარმოადგენენ პარტიის გარეთ მდგომნი.

ჭეშმარიტად, საუცხოო მარგალიტები მოუგროვებია ჩვენთვის ვ. ზასულიჩს, გულახდილად ბოლომდე ამბობს რა იმას, რ ი ს გ ა რ შ ე მ ო ც დაბორიალობს ყველა ლიკვიდატორი.

IV

გერმანიაში ამჟამად პარტიის წევრია დაახლოებით 1 მილიონი. სოციალ-დემოკრატებს იქ ხმას აძლევს დაახლოებით $4^1/_4$ მილიონი, პროლეტარი კი დაახლოებით 15 მილიონია. ეი უბრალო და ცოცხალი მაგალითი იმის გახსნისა, რაც ლიკვიდატორებმა დახლართეს. ერთი მილიონი — ეს არის პ ა რ ტ ი ა. ერთი მილიონი პარტიულ ორგანიზაციებში შედის. $4^1/_4$ მილიონი — ეს არის «ფართო ფენა». სინამდვილეში ეს ფენა ბევრად უფრო ფართოა, რადგან ხმის მიცემის უფლება არა აქვთ ქალებს, არა აქვს მრავალ მუშას, მოკლებულს ბინადრობის ცენზს, წლოვანების ცენზს და სხვ. და სხვ.

ეს «ფართო ფენა» თითქმის მთლიანად სოციალ-დემოკრატებისგან შესდგება, და უმისოდ პარტია უძლური იქნებოდა. ეს ფართო ფენა ყოველი გამოსვლის დროს კიდევ ფართოვდება 2 — 3-ჯერ, რადგან მაშინ პარტიას მხარს უჭერს არა სოციალ-დემოკრატების მასა.

ნუთუ ეს ცხადი არ არის? პირდაპირ უხერხულია როგორღაც ანაბანას ღეჭვა!

მაშ რით განსხვავდება გერმანია რუსეთისაგან? სრულიადაც არა იმით, რომ ჩვენში ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს განსხვავება «პარტიასა» და «ფართო ფენას» შორის! ეს რომ გავიგოთ, ჯერ ავიღოთ საფრანგეთი. იქ ჩვენ ვნახავთ (დაახლოებით; უფრო ზუსტი ციფრები ჩემს დასკვნას მხოლოდ გ ა ა ძ ლ ი ე რ ე ბ დ ნ ე ნ), რომ:

პარტიაშია დაახლოებით	70 000 *
«ფართო ფენა» (ს.-დ. რომ აძლევს ხმას) დაახლოებით	1 000 000
პროლეტარები დაახლოებით . . .	10 000 000

რუსეთში? პარტიაშია — 150 000 წევრი 1907 წელს (გამოთვლილი და შემოწმებულია ლონდონის ყრილობაზე). ამჟამად არ ვიცით რამდენია. ალბათ, ბევრად უფრო ნაკლები, მაგრამ 30 ათასია თუ 50 ათასი, ამის გარკვევა შეუძლებელია.

ჩვენში «ფართო ფენაა» — 300 — 500 ათასი, თუ მივუმატებთ სოციალ-დემოკრატებისთვის ხმისმიმცემთ. ბოლოს, პროლეტარები ჩვენში, ალბათ, დაახლოებით 20 მილიონია. ვიმეორებ, ციფრები აქაც დაახლოებითია, მაგრამ ყ ო ვ ე ლ-გ ვ ა რ ი სხვა ციფრები, რომელთა უფრო ზუსტად დასაბუთებას იფიქრებდა ვინმე, მხოლოდ უფრო ძლიერ განამტკიცებდა ჩემს დასკვნებს.

დასკვნები ის არის, რომ ყველა ქვეყანაში, ყოველთვის და ყველგან, «პარტიის» გ ა რ დ ა არის «ფართო ფენა» პ ა რ ტ ი ი ს შ ო რ ი ა ხ ლ ო ე ბ ი ს ა და ი მ კ ლ ა ს ი ს უ დ ი დ ე ს ი მ ა ს ა, რომელიც ქმნის, გამოყოფს, ასაზრდოებს პარტიას. ლიკვიდატორებს ვერ გაუგიათ ეს უბრალო და ცხადი რამ და იმეორებენ 1895 — 1901 წლების «ეკონომისტების» შეცდომას; ეკონომისტებს ვერასგზით ვერ გაეგოთ რით განსხვავდებოდა «პარტია» «კლასისაგან».

პარტია არის კლასის შეგნებული, მოწინავე ფენა, მისი ავანგარდი. ამ ავანგარდის ძალა 10-ჯერ, 100-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე მისი რიცხვი.

განა ეს შესაძლებელია? განა შეიძლება ასეულის ძალა აღემატებოდეს ათასის ძალას?

შეიძლება და კიდევაც აღემატება, რ ო დ ე ს ა ც ე ს ა ს ე უ ლ ი დ ა რ ა ზ მ უ ლ ი ა.

დარაზმვა აათკეცებს ძალას. ეს ჭეშმარიტება, ღმერთმანი, ახალი როდია. მაგრამ ჩვენი ბრალი არ არის, თუ ვ. ზასული-

* 1913 წელს ბრესტის ყრილობაზე წარდგენილი ანგარიშის მიხედვით ზუსტი ციფრია [94] — 68 903.

ჩისა და ლიკვიდატორებისთვის თავიდან დაწყება გვიხ-
დება.

მოწინავე რაზმის შეგნებულობა, სხვათა შორის, იმით
გამოიხატება, რომ მას ეხერხება დარაზმვა. დარაზმვით კი იგი
იძენს ერთიან ნებას. და მოწინავე ათასის, ასი ათასის,
მილიონის ეს ერთიანი ნება კლასის ნებად იქცევა. პარტი-
ისა და კლასის შუამავალია «ფართო ფენა» (პარტიაზე უფრო
ფართო, მაგრამ კლასზე უფრო ვიწრო) — სოციალ-დემოკრა-
ტებისთვის ხმისმიმცემთა ფენა, დამხმარეთა ფენა, თანამგრ-
ძნობთა ფენა და სხვ.

სხვადასხვა ქვეყანაში პარტიის დამოკიდებულება
კლასისადმი სხვადასხვაა ისტორიული და სხვა პირობების მი-
ხედვით. მაგალითად, გერმანიაში პარტიად დარაზმულია კლა-
სის დაახლოებით 1/15; საფრანგეთში — დაახლოებით 1/140.
გერმანიაში პარტიის 1 წევრზე მოდის «ფართო ფენის» 4—5
სოციალ-დემოკრატი; საფრანგეთში — 14. საფრანგეთში, არ-
სებითად, არასოდეს არ ყოფილა ასიათასწევრიანი პარტია —
«ღია» ორგანიზაციისა და პოლიტიკური თავისუფლების
დროს.

ყოველ გონიერ ადამიანს ესმის, რომ არსებობს ისეთი
ისტორიული პირობები, ობიექტური მიზეზები, რომლებმაც
გერმანიაში შესაძლებელი გახადეს კლასის 1/15 დარაზმვა
პარტიად, ხოლო საფრანგეთში გააძნელეს ეს, რუსეთში კი
უფრო მეტად აძნელებენ.

რას იტყოდით თქვენ იმ ფრანგზე, რომელიც განაცხადებ-
და: ჩვენი პარტია ვიწრო წრეა და არა პარტიაო. პარტიას
ორგანიზაციაში ვერ დამალავ. პარტია ეს არის ფართო ფენა,
მასშია მთელი ძალაო და სხვ.. ალბათ, გაგიკვირდებო-
დათ, რომ ეს ფრანგი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არ
მოუთავსებიათ.

ჩვენში, რუსეთში, კი სურთ, რომ სერიოზულ ადამიანებად
მიიჩნიონ ისინი, ვინც გრძნობს, ხედავს და იცის, რომ ჩვენში
გზა ჯერ კიდევ კლდე-ღრეებიანია, ე. ი. დარაზმვის
პირობები უფრო ძნელია, აცხადებენ, «ჩვენ ვიფიქრებთ

და ვილაპარაკებთ ფართო ფენაზე (დაურაზმავთა!), როგორც პარტიაზეო». ეს ადამიანები — პარტიიდან გაქცეული გზააბნეულნი, პ ა რ ტ ი ი ს გ ა რ ე თ ან პ ა რ ტ ი ი ს შ ო რ ი ა ხ ლ ო მყოფი გზააბნეული ესდეკები არიან, რომლებმაც ვერ გაუძლეს დაცემულობის, სასოწარკვეთილების, განდგომილობის ლიბერალური იდეების მოწოლას.

V

«თუ უნდა სასარგებლო ძალა იყოს, ეს იატაკქვეშეთი, — წერს ვ. ზასულიჩი თავისი შესანიშნავი სტატიის დასკვნითს ნაწილში — თუნდაც მხოლოდ მარტოოდენ მას ეწოდებოდეს პარტია, ამ მუშათა სოციალ-დემოკრატიას» (ე. ი. იმ ფართო ფენას, რომლის სახით ვ. ზასულიჩი ხედავს «მთელ ძალას» და რომლის შესახებ მან განაცხადა: «ჩვენ მასზე ვიფიქრებთ და ვილაპარაკებთ, როგორც პარტიაზეო») «ისე უნდა უყურებდეს, როგორც პარტიის თანამდებობის პირნი უყურებენ პარტიას».

ჩაუფიქრდით ამ მსჯელობას, რომელიც მარგალიტზე მარგალიტია ვ. ზასულიჩის მარგალიტებით მდიდარ სტატიაში. ჯერ-ერთი, მან მშვენივრად იცის, რას ეწოდება პ ა რ ტ ი ა თანამედროვე რუსეთში. ათეულობით ლიკვიდატორი მწერლები კი არწმუნებდნენ და არწმუნებენ ხალხს, თითქოს ეს მათ არ ესმოდეთ, — შედეგი ის არის, რომ დავას პ ა რ ტ ი ი ს ლიკვიდაციის შესახებ ეს ვაჟბატონები საშინლად ხლართავენ. მაშ დაე ვულგარული, ჩვეულებრივი ლიკვიდატორების წინააღმდეგ იმ მკითხველებმა, რომელთაც აინტერესებთ მუშათა მოძრაობის ბედი, მიმართონ ვ. ზასულიჩის სტატიას და მისგან მიიღონ პასუხი იმ გაბუნდოვანებულ საკითხზე, რომელსაც ახლაც აბუნდოვანებენ, — თუ რა არის პარტია.

მეორეც, განიხილეთ ვ. ზასულიჩის დასკვნა. გვეუბნებიან, იატაკქვეშეთი ისე უნდა უყურებდეს ფართო ფენას, როგორც თანამდებობის პირნი პარტიასო. იბადება კითხვა, რაში მდგომარეობს ყოველი საზოგადოების თანამდებობის პირთა ამ საზოგადოებისადმი დამოკიდებულების დედაარსი? ცხადია, იმაში, რომ თანამდებობის პირნი ახორციელებენ **არა** თავიანთ პირადს (ან ჯგუფურ თუ წრეობრივ) ნებას, არამედ ამ საზოგადოების ნებას.

როგორღა უნდა გავარკვიოთ რამდენიმე ასი ათასი თუ რამდენიმე მილიონი ადამიანისაგან შემდგარი ფართო ფენის ნება? ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ფ ა რ თ ო ფ ე ნ ი ს ნ ე ბ ი ს გ ა რ კ ვ ე ვ ა, თ უ ი ს დ ა რ ა ზ მ უ ლ ი ა რ ა რ ი ს ე რ თ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა დ — ამას ბავშვიც კი მიხვდება. ვ. ზასულიჩის, ისე როგორც სხვა ლიკვიდატორების, უბედურებაც სწორედ ის არის, რომ, რაკი ორგანიზაციული ოპორტუნიზმის მოლიპულ გზას დაადგნენ, ისინი მუდამ უბოროტესი ანარქიზმის ჭაობში ეფლობიან.

რადგან ეს სწორედ ანარქიზმია, ამ სიტყვის უაღრესად სრული და უაღრესად ზუსტი მნიშვნელობით, როდესაც ვ. ზასულიჩი, აღიარებს რა თვითონვე, რომ «ფართო ფენას» «პარტიაში ფორმალურად შესვლის შესაძლებლობა აკლია» და ამიტომ «შესაძლებლობა აკლია» «პ ა რ ტ ი ა შ ე ქ მ ნ ა ს ო», ამასთანავე აცხადებს, რომ ლიკვიდატორები ამ ფართო ფენაზე ი ფ ი ქ რ ე ბ ე ნ დ ა ი ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ე ნ, როგორც პარტიაზეო, და რომ იატაკქვეშეთი ისე უნდა უყურებდეს მას, როგორც უმაღლეს ინსტანციას, როგორც «თანამდებობის პირთა» საკითხის უზენაეს გადამწყვეტს და სხვ. და ა. შ.

როდესაც ორგანიზაციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მიმართავენ ფართო ფენებს ან მასას, და ა ღ ი ა რ ე ბ ე ნ ამ ფართო ფენების ან ამ მასის დარაზმვა შეუძლებელიაო, — ეს წმინდა წყლის ანარქიზმია. ანარქისტები სწორედ იმიტომ არიან მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი უაღრესად მავნე ელემენტები, რომ მუდამ გაჰყვირიან დაჩაგრულ კლასთა მასაზე (ან საერთოდ დაჩაგრულთა მასაზედაც კი), მუდამ ბღალავენ ყოველი სოციალისტური ორგანიზაციის უმწიკვლო სახელს და ამავე დროს თვითონ მათ ა რ ა ვ ი თ ა რ ი სხვა ორგანიზაციის დაპირისპირება და შექმნა არ შეუძლიათ.

მარქსისტები პრინციპულად სხვანაირად უყურებენ დაურაზმავი მასის (და ისეთი მასის, რომლის დარაზმვა დიდი ხნის, ზოგჯერ ათეული წლების განმავლობაში- არ ხერხდება) დამოკიდებულებას პარტიისადმი, ორგანიზაციისადმი.

სწორედ იმისთვის, რომ გ ა რ კ ვ ე უ ლ ი კ ლ ა ს ი ს მასამ ისწავლოს თავისი ინტერესების, თავისი მდგომარეობის გაგება, ისწავლოს თავისი პოლიტიკის წარმოება, სწორედ ამისთვის საჭიროა კლასის მოწინავე ელემენტების დარაზმვა დაუყოვნებლივ და აუცილებლივ, თუნდაც თავდაპირველად ეს ელემენტები კლასის უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდნენ. იმისათვის, რომ მოემსახუროს მასას და გამოხატოს მ ი ს ი სწორად გაგებული ინტერესები, მოწინავე რაზმმა, ორგანიზაციამ, მთელი თავისი მუშაობა უნდა გადაიტანოს მასაში, მიიზიდოს მისგან გამოუკლებლივ ყველა საუკეთესო ძალა, ყოველ ნაბიჯზე შეამოწმოს, ზედმიწევნით და ობიექტურად, არსებობს თუ არა კავშირი მასებთან, ცოცხალია თუ არა ეს კავშირი. ასე, და მ ხ ო ლ ო დ ასე, ზრდის და ანათლებს მასას მოწინავე რაზმი, გამოხატავს მ ი ს ინტერესებს, ასწავლის მას დარაზმვას, წარმართავს მასის მ თ ე ლ საქმიანობას შეგნებული კლასობრივი პოლიტიკის გზით.

თუ მთელი მასის, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ებმება არჩევნებში ან მონაწილეობას იღებს მასში, პოლიტიკური საქმიანობის შედეგად აღმოჩნდება, რომ მუშების ყ ვ ე ლ ა არჩეული წარმომადგენელი იატაქვეშეთისა და მისი პოლიტიკური ხაზის მომხრენი არიან, პარტიის მომხრენი არიან, მაშინ ჩვენ გვაქვს ობიექტური ფაქტი, რომელიც ა მ ტ კ ი ც ე ბ ს მასებთან ცოცხალი კავშირის არსებობას, ამტკიცებს ამ ორგანიზაციის უფლებას — იყოს და იწოდებოდეს მასის კლასობრივი ინტერესების ე რ თ ა დ ე რ თ წარმომადგენლად და გამომხატველად. ყ ო ვ ე ლ პოლიტიკურად შეგნებულ მუშას ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მუშათა ყოველ ჯგუფს შ ე ე ძ ლ ო მონაწილეობის მიღება არჩევნებში, მისი ასე თუ ისე წარმართვა; და თუ შედეგად, სწორედ იმ ორგანიზაციამ, რომელსაც დასცინოდნენ, აგინებდნენ, ზიზღით აბუჩად იგდებდნენ ლიკვიდატორები, გ ა ი ყ ო ლ ი ა მასა, — მაშასადამე, ჩვენი პარტიის დამოკიდებულება მასებისადმი პრინციპულად სწორია, მარქსისტულია.

თეორია «ფ ა რ თ ო ფ ე ნ ი ს ა, რომელსაც, პარტიის შესაქმნელად, აკლია მ ხ ო ლ ო დ მასში ფორმალურად შესვლის შესაძლებლობა», ეს არის ანარქიზმი. რუსეთის მუშათა კლასი ვერ განამტკიცებს და განავითარებს თავის მოძრაობას, თუ ფრიად ულმობელად არ შეებრძოლება ამ თეორიას, მასის გამრყვნელს, თვით ორგანიზაციის ცნების, თვით ორგანიზაციის პრინციპის დამრღვევს.

პარტიის ნ ა ც ვ ლ ა დ «ფართო ფენის» თეორია ეს არის გამართლება უდიდესი თვითნებობისა და მასობრივი მუშათა მოძრაობის ა ბ უ ჩ ა დ ა გ დ ე ბ ი ს ა (ამასთან აბუჩადამგდებნი ყოველი ხუთი სიტყვის შემდეგ უსათუოდ იხსენიებენ «მასას» და აბრუნებენ სიტყვა «მასობრივს»). ყველამ იცის, რომ ამ თეორიის შემწეობით ლიკვიდატორები თ ა ვ ი ა ნ თ, თ ა ვ ს, თავიანთ ინტელიგენტურ წრეს ასაღებენ «ფართო ფენის» წარმომადგენლებად და გამომხატველებად. რას ნიშნავს ჩვენთვის «ვიწრო» პარტია, როცა ჩვენ «ფართო ფენას» წარმოვადგენთო! რას ნიშნავს ჩვენთვის რაღაც იატაკქვეშეთი, რომელიც არჩევნებში აბამს მილიონ მუშას, როცა ჩვენ წარმოვადგენთ ფართო ფენას — უნდა ვიფიქროთ, მილიონებსა და ათეულ მილიონებსო.

ობიექტური ფაქტები — IV სათათბიროს არჩევნებიც, მუშათა გაზეთების გაჩენაც, თანხის შეგროვებაც მათთვის, მელითონეთა კავშირიც პეტერბურგში, ნოქრების ყრილობაც[95] — მთელი სიცხადით ამტკიცებს, რომ ლიკვიდატორები მუშათა კლასისგან ჩამოშორებულ ინტელიგენტთა წრეა. «ფართო ფენის თეორია» კი ლიკვიდატორებს საშუალებას აძლევს გვერდი აუქციონ ყველა ობიექტურ ფაქტს და მათი გული აღავსოს არვისგან აღიარებული სიდიადის ამაყი შეგნებით...

VI

ვ. ზასულიჩის სტატია, ლოგიკისა და მარქსიზმის ანაბანის თვალსაზრისით, კურიოზთა ისეთი გროვაა, რომ მკითხველს ბუნებრივად შეიძლება დაებადოს აზრი: ნუთუ ამ ჩმახვაში

რაიმე სხვა აზრი არ იმალება? და ჩვენი განხილვაც არ იქნებოდა სრული, რომ არ აღგვენიშნა, რომ არის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ვ. ზასულიჩის სტატია სავსებით გასაგები, ლოგიკური და სწორია. ეს არის გათიშვის თვალსაზრისი.

მუშათა მოძრაობის ისტორია აღსავსეა მაგალითებით ეხეირო, უვარგისი და მავნე პარტიებისაც კი. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ასეთია ჩვენი პარტია. მაშინ მავნე და დანაშაულებრივია შეურიგდე მის არსებობას, მით უმეტეს მის წარმომადგენლებს. მაშინ სავალდებულოა იბრძოლო ამ პარტიის განადგურებისათვის და მისი ახალი პარტიით შეცვლისათვის.

მაშინ გასაგები და ბუნებრივი იქნებოდა, — არალეგალური მუშაობის მავნებლობის ღრმა რწმენის თვალსაზრისით, მაშინ გასაგები იქნებოდა ისეთი განცხადებებიც, როგორიცაა: «არ ვიცით, გვეხმარებოდა იგი (პარტია), თუ ხელს გვიშლიდა», გვეხმარება თუ ხელს გვიშლის. ჩვენ გავამართლებდით და ქება-დიდებას შევასხამდით * მას, ვინც მას სტოვებს. ავხსნიდით ამას ძველი პარტიის «ქმედუნარიანობის უქონლობით». ამ ძველი პარტიის სახელით მივმართავდით უპარტიოებს იმისთვის, რომ ისინი ახალ პარტიაში შესულიყვნენ.

ვ. ზასულიჩს ბოლომდე არ გადმოულაგებია გათიშვის ეს თვალსაზრისი. შესაძლოა, ავტორისთვის სუბიექტურად ეს ფაქტი დიდმნიშვნელოვანიც და საგულისხმოც იყოს. მაგრამ ობიექტურად მას მცირე მნიშვნელობა აქვს. თუ მწერალი ამბობს ა, ბ, გ და ჩამოთვლის ანბანის ყველა ასოს, გარდა

* სხვათა შორის. ჩამოშორებულთა ამ დაცვას შეიცავს ვ. ზასულიჩის სიტყვები: «პარტიის შესაქმნელად ფართო ფენას აკლია მხოლოდ მასში ფორმალურად შესვლის შესაძლებლობა». ათასობით ფაქტი საწინააღმდეგოს მეტყველებს. როცა ვ. ზასულიჩი ლაპარაკობს «შესაძლებლობა აკლიაო», სინამდვილეში ის ამით იცავს ობივატელობას, თუ უარესსაც არა.

უკანასკნელისა, შეგვიძლია სანაძლეო დავდოთ, რომ 1 000 მკითხველიდან 999 თვითონ დაუმატებს (ხმამაღლა ან თავის გულში) უკანასკნელ ასოს. ყველა ლიკვიდატორი ამ სასაცილო მდგომარეობაშია: გათიშვის სასარგებლოდ მათ მოჰყავთ საბუთთა სრული კოლექცია, შემდგომ კი ან სდუმან, ანდა უმატებენ, «ერთიანობის მომხრენი ვართო».

ჩვენ კი ვ. ზასულიჩის სტატიის გამოც და ლ. ს.-ს, დანის, ლევიცკის, ეჟოვის, პოტრესოვის, მარტოვის ათეული ასეთი სტატიების გამოც ვიძლევით ერთ პასუხს: ერთიანობის პირველი პირობაა კატეგორიული დაგმობა «პარტიის ნაცვლად ფართო ფენის თეორიისა», დაგმობა ყოველგვარი გამოსვლისა არალეგალობის წინააღმდეგ, დაგმობა ვ. ზასულიჩის სტატიისა და სრულიად ხელის აღება ყველა ასეთ გამოსვლებზე. პარტია ვერ იქნება ერთიანი, თუ არ იბრძოლებს იმათ წინააღმდეგ, ვინც სადავოდ ხდის მისი არსებობის აუცილებლობას.

გათიშვის თვალსაზრისით ვ. ზასულიჩის სტატია ლოგიკური და სწორია. თუ ლიკვიდატორებმა შესძლეს ახალი პარტიის დაარსება და თუ ეს ახალი პარტია ძველზე უკეთესი აღმოჩნდა, — მაშინ ვ. ზასულიჩის სტატია (ისე როგორც ლიკვიდატორების მთელი ლიტერატურაც) ისტორიულად გამართლებული იქნება. სულელური სანტიმენტალობა იქნებოდა, რომ უკეთესი, ნამდვილი, ჭეშმარიტად მუშური პარტიის დამაარსებლებისათვის არ მიგვეცა ძველი, ქმედუნარიანობას მოკლებული, უვარგისი პარტიის დ ა ნ გ რ ე ვ ი ს უფლება, ხოლო თუ ლიკვიდატორები არავითარ ახალ პარტიას არ ქმნიან, მუშათა არავითარ სხვა ორგანიზაციას არ შექმნიან, მაშინ მთელი მათი ლიტერატურა და ვ. ზასულიჩის სტატიაც დარჩება როგორც ძეგლი პარტიისგან ჩამოშორებულ იმ უხერხემლო ინტელიგენტების დაბნეულობისა, რომლებიც გაუტაცნია სასოწარკვეთილების, რწმენის უქონლობის, ობივატელობის კონტრრევოლუციურ ნიაღვარს და რომლებიც ლიბერალებს მისჩანჩალებენ კუდში.

ან-ან. საშუალო რამ აქ არ არის. აქ არაფრის «შერიგება» არ შეიძლება; შეუძლებელია «ოდნავ დავასამაროთ» ძველი პარტია ან «ოდნავ დავაარსოთ» ახალი.

იმ ისტორიული მომენტის თავისებურება, რომელსაც რუსეთი განიცდის, სხვათა შორის თავს იჩენს სწორედ იმით, რომ შედარებით მცირე პარტიულ ბირთვს, რომელმაც გაუძლო ქარტეხილს და თავი შეინარჩუნა მიუხედავად ხან აქ, ხან იქ ცალკეული ორგანიზაციული ძაფების ყოველგვარი გაწყვეტისა, რომელმაც შესძლო უზრუნველეყო თავისი ძლიერი გავლენა მუშათა უდიდეს მასებზე (რასაკვირველია, არა ახლანდელ ევროპასთან შედარებით, არამედ 1849 — 1859 წლების ევროპასთან), — ამ ბირთვს გარს ახვევია მრავალზე უმრავლესი ანტიპარტიული, უპარტიო, გარეპარტიული და პარტიის შორიახლო სოციალ-დემოკრატები და თითქმის-სოციალ-დემოკრატები.

სწორედ ასეც უნდა იყოს იმ ქვეყანაში, რომლის გვერდით აღმართულია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მონ-ბლანი, ხოლო ამ ქვეყნის შიგნით... შიგნით თვით ლიბერალებიც კი ვერ ხედავენ გზას გარდა «კლდე-ღრეებიანი გზისა», ამასთან ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბატონმა სტრუვეებმა და კომპანიამ აღზარდეს ასობით და ათასობით წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტები, რომლებიც ლიბერალურ უბადრუკ აზრებს თითქმის-მარქსისტული სიტყვებით მოსავენ.

აიღეთ ბ-ნი პროკოპოვიჩი. შესამჩნევი ფიგურაა ჩვენს ჟურნალისტიკასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. არსებითად, უეჭველი ლიბერალია. მაგრამ არსებობს საფუძველი იმის შიშისა, რომ ის ანტიპარტიულ სოციალ-დემოკრატად თვლის თავის თავს. აიღეთ ბ-ნი მახნოვეცი (აკიმოვი). უფრო მელანქოლიური ტემპერამენტისა და უფრო ძლიერი მუშათა-მოყვარულობის ლიბერალი. თავის თავს ის, უცილობლად, უპარტიო სოციალ-დემოკრატად თვლის. აიღეთ «კიევსკაია მისლისა» და «ნაშა ზარიას», «ლუჩისა» და სხვათა მწერლები. ეს არის მთელი კოლექცია გარეპარტიული და პარტიის

შორიახლო სოციალ-დემოკრატებისა. ზოგი მათგანი უმთავრესად ოცნებობს ახალი, ღია პარტიის დაარსებაზე, მაგრამ საბოლოოდ ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტიათ ის საკითხი, დიდად ხომ არ შეირცხვენ თავს, თუ «ნ ა ა დ რ ე ვ ა დ» შეუდგები გენიალური გეგმის განხორციელებას. სხვები სპეციალდებიან იმაში, რომ ფიცით ირწმუნებიან, არაფრის ლიკვიდაციას არ ვახდენთ, ერთიანობას ვიცავთ და სავსებით ვეთანხმებით... გერმანიის სოციალ-დემოკრატიასო.

აიღეთ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო ფიგურაა ჩხეიძე, რომელსაც თითქოს წინასწარმეტყველურად ჭვრეტდა ნეკრასოვი, როცა წერდა:

...«მაგრამ ხანდახან გვერდსაც აუვლი
მტკივნეულსა და საძნელო საკითხს» [96]...

სოციალ-დემოკრატიისათვის III სათათბიროს და IV სათათბიროს დასაწყის ეპოქაში ყველაზე ძნელი და მტკივნეული ხანა იყო 1911 — 1912 წლებში. ყალიბდებოდა მუშათა პრესა — ლიკვიდატორული და ანტილიკვიდატორული. ჩხეიძემ «გვერდი აუარა». ის არ მიმხრობია არც ერთს და არც მეორეს. ის იყო პარტიის შორიახლო სოციალ-დემოკრატი. ის თითქოს მარჯვე დროს უცდიდა და თვალყურს ადევნებდა: ერთი მხრივ, არ არსებობს სხვა პარტია, გარდა ძველისა; მეორე მხრივ, ერთიც ვნახოთ, «ისინი» ამ პარტიას ოდნავ დაასამარებენ... კითხულობ მის სიტყვებს და ხშირად ტაშს უკრავ მის გონებამახვილ და გესლიან გამოსვლას მემარჯვენეების წინააღმდეგ, მხურვალე და მძაფრ სიტყვას, ძველი ტრადიციების დაცვას, — და ამავე დროს ცხვირის ნესტოებს იცობ, როცა შლი ლიკვიდატორულ გაზეთს, სადაც აცამტვერებენ «გატაცებას», ქედმაღლურად უარყოფენ ტრადიციებს და ასწავლიან მუშებს ზიზღს ორგანიზაციისადმი, და ყოველივე ეს ხდება თითქოს ჩხეიძის ლოცვა-კურთხევით, თანამშრომელთა სიას რომ ამშვენებს თავისი სახელით. კითხულობ ანის სტატიას, მის დატუქსვას «ლუჩის» რედაქციის სახელით

და უნებლიეთ ფიქრობ: ტრაგიკომიკური დამარცხება ხომ არ განუცდიათ ჩვენს საბრალო ჩხეიძეს და ჩვენს კეთილ ანს დანის უღლის გადაგდების ცდის დროს...

არიან ადამიანები, პროლეტარული ერთიანობის დიადი პრინციპის გულისთვის რომ ურჩევენ პარტიას — შეუთანხმდეს პარტიის შორიახლო, თითქმის-სოციალ-დემოკრატთა ამა თუ იმ ჯგუფს, რომელსაც სურს «გვერდი აუაროს» ან რომელიც მერყეობს საკითხში, დაასამაროს თუ განამტკიცოს ძველი. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ეს ადამიანები ან თვითონ მერყეობენ ანდა ძალიან ცუდად იცნობენ საქმის ნამდვილ ვითარებას. პარტიას, რომელსაც სურს იარსებოს, არ შეუძლია დაუშვას რაიმე მერყეობა თავისი არსებობის საკითხში და რაიმე შეთანხმება იმათთან, ვისაც შეუძლია დაასამაროს ის. უთვალავია იმათი რიცხვი, რომელთაც სურთ შუამავალთა როლი იკისრონ ასეთი შეთანხმების საქმეში, მაგრამ ეს ადამიანები, ერთ ძველ გამოთქმას თუ ვიხმართ, ამაოდ დაშვრებიან და ტყუილად კარგავენ დროს.

P. S. * პ. ბ. აქსელროდის დასკვნითი სტატია «ჟივაია ჟიზნის» მე-13 ნომერში (1913 წ. 25 ივლისის თარიღით) — რომლის სათაურია «წინათ და ახლა» — საოცარი სიმკვეთრით ადასტურებს ჩვენს სიტყვებს. ამ წყალწყალა სტატიის საქმიანი დედაარსი, რა თქმა უნდა, ის კი არ არის, რომ სასაცილო რეკლამას უკეთებდეს ლიკვიდატორების აგვისტოს კონფერენციას, არამედ ის, რომ ხელახლა აღძრავს მუშათა ყრილობის საკითხს. რასაკვირველია, პ. ბ. აქსელროდი ამჯობინებს არ მოიგონოს თავისი მწარე და სავალალო გამოცდილება მუშათა ყრილობის იდეასთან დაკავშირებით 1906 — 1907 წლებში: რა საჭიროა ძველი ამბების ქექვა! პ. ბ. აქსელროდი არ ეხება აგრეთვე თანამედროვე მომენტის განსაკუთრებულ პირობებს, როდესაც შესაძლებელი გახდა მოწვევა, ასე ვთქვათ, სპეციალური ხასიათის მუშათა ყრილობებისა სპეციალური საბაბით (ნოქართა ყრილობა დღეს, შესაძლოა,

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

სადაზღვევო ან პროფესიული ხვალ და სხვ.). პ. ბ. აქსელროდს, ალბათ, არ მოსწონს ნოქართა ყრილობის გამოცდილება, სადაც უმრავლესობა (როგორც თვით ლიკვიდატორები იძულებული არიან აღიარონ «ჟივაია ჟიზნში») ლიკვიდატორების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი იყო.

აქსელროდი იმაზე როდი ლაპარაკობს, რაც იყო და რაც არის. ის ამჯობინებს იოცნებოს მომავალ «ლეღმაზე» — მით უმეტეს, მისი კონკრეტული პირობები ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ! ის ოცნებობს «თუ სრულიად რუსეთისა არა, სრულიად რუსთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა ყრილობის» მოწვევაზე მაინც, ყრილობისა, რომელსაც ამიერიდან უკვე პირდაპირ სრულიად რუსთა ყრილობა ეწოდება.

ამრიგად, გვაქვს ორი ცვლილება წინანდელი გენიალური გეგმისა: ჯერ-ერთი, არა უბრალოდ მუშათა, არამედ სოციალ-დემოკრატიული მუშათა ყრილობა. ეს პროგრესია. მივესალმებით პ. ბ. აქსელროდს ამ ნაბიჯისთვის, რომელიც მან წინ გადადგა ექვსი წლის განმავლობაში. მივესალმებით მას, თუ ის დარწმუნდა მემარცხენე ნაროდნიკებთან «გაერთიანების» პროექტორული გეგმების მავნებლობაში. მეორეც, სრულიად რუსეთის ყრილობის შეცვლა სრულიად რუსთა ყრილობით. ეს ნიშნავს რუსეთის ა რ ა რ უ ს ი ეროვნების მუშებთან სრულ ერთიანობაზე უარისთქმას (მუშათა ყრილობის იდეის ჩაფუშვას მათში აქსელროდი საბოლოოდ თვლის!). ეს არის ორი ნაბიჯი უკან. ეს არის სეპარატიზმის დაკანონება მუშათა მოძრაობაში.

მაგრამ მთავარი ჯერ კიდევ წინ არის. რად დასჭირდა პ. ბ. აქსელროდს მუშათა ყრილობაზე ოცნება? აი რად:

...«მუშათა ყრილობა დააგვირგვინებს ბატონყმური სახელმწიფოს და წოდებრივი სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმის ჩამორჩენილ ისტორიულ ნიადაგზე ჩამოყალიბებული ძველი პარტიული რეჟიმის ლიკვიდაციის პროცესს, რომელიც უკანასკნელ წლებში ხდება, და ამასთანავე საფუძველს ჩაუყრის რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიული არსებობის სრულიად ახალ ეპოქას, მისი განვითარების ეპოქას სრულიად იმავე საფუძვლებზე, რა საფუძვლებზედაც ვითარდებიან დასავლეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიები».

ყველამ იცის, რომ ეს «სრულიად იგივე საფუძვლები» არის ლ ე გ ა ლ უ რ ი პარტიის საფუძვლები. მაშასადამე, მიუკიბ-მოუკიბავად რომ ვთქვათ, მუშათა ყრილობა ლიკვიდატორებს ესაჭიროებათ ძველი პარტიის «ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ი ს დ ა ს ა გ ვ ი რ გ ვ ი ნ ებ ლ ა დ» და ა ხ ა ლ ი, ლ ე გ ა ლ უ რ ი პარტიის დასაარსებლად.

ასეთია პ. ბ. აქსელროდის გრძელი სიტყვების მოკლე აზრი.

აი პარტიის შორიახლო სოციალ-დემოკრატიზმის უკანასკნელი სიტყვა! პარტიის წევრები რომ უნდა მუშაობდნენ პარტიაში და განამტკიცებდნენ მას, — ეს ძველი, მოძველებული აზრი პ. ბ. აქსელროდმა არქივს ჩააბარა. ჩვენ არაფრის ლიკვიდაციას არ ვახდენთ, ეს ცილისწამებაა, ჩვენ მხოლოდ «განზე» ვდგავართ და ყველას გასაგონად გავყვირით «პარტიის ლიკვიდაციის პროცესის დამთავრებას». ამასთანავე ღმერთსა და ხატს ვფიცულობთ, რომ ხვალ მომავალი ლეგალური პარტიის საუცხოო წევრნი ვიქნებითო.

1913 წლის ეს პარტიის შორიახლო ძვირფასი ესდეკები ძალიან ჰგვანან 1903 წლის იმ ლიბერალებს, რომლებიც გვარწმუნებდნენ, სავსებით ესდეკები ვართ და უსათუოდ გავხდებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები... რასაკვირველია, როცა ეს პარტია ლეგალური გახდებაო.

ჩვენ ერთი წუთითაც ეჭვი არ გვეპარება, რომ რუსეთში დადგება პოლიტიკური თავისუფლების ხანა და რომ მაშინ გვეყოლება ლეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტია. მასში, ალბათ, შევა პარტიის ზოგიერთი ახლანდელი შორიახლო ესდეკი.

ამრიგად, მომავალი ლეგალური პარტიის რიგებში ნახვამდის, ჩვენო მომავალო ამხანაგებო! ჯერჯერობით კი — უკაცრავად — ჩვენი გზები გაყრილია, რადგან ჯერჯერობით თქვენ ასრულებთ არა მარქსისტულ, არამედ ლიბერალურ სამუშაოს, ბატონო პარტიის შორიახლო სოციალ-დემოკრატებო.

«პროსვეშჩენიე» № 9,
1913 წ. სექტემბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

პარტიულ მუშაკებთან რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის ზაფხულის თათბირის რეზოლუციები [97]

დაწერილია 1913 წ. სექტემბერს

დაიბეჭდა 1913 წ. ბროშურაში «პარტიულ მუშაკებთან რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის ზაფხულის თათბირის ცნობა და რეზოლუციები». გამოცემა ც. კ.-ისა

იბეჭდება რეზოლუციების არალეგალური ჰექტოგრაფირებული გამოცემის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ბროშურის ტექსტთან

აგიტაციის ამოცანების შესახებ ახლანდელ მომენტში

1. მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მწვავდება. რეაქციონერ მემამულეთა ბატონობა სულ უფრო მეტ დრტვინვას იწვევს მოსახლეობის ყველაზე ზომიერ ფენებშიც კი. რუსეთში რამდენადმე ნამდვილ პოლიტიკურ თავისუფლებას წინანდებურად გზას უღობავს მეფის მონარქია, რომელიც მტრულად არის განწყობილი ყოველგვარი სერიოზული რეფორმისადმი, იცავს მხოლოდ მებატონეთა ძალაუფლებას და შემოსავალს და განსაკუთრებული სისასტიკით ახშობს მუშათა მოძრაობის ყოველგვარ გამოვლინებას.

2. მუშათა კლასი წინანდებურად გამოდის ხელმძღვანელად რევოლუციურ ბრძოლაში საერთონაციონალური განთავისუფლებისათვის. მასობრივი რევოლუციური გაფიცვა კვლავ ვითარდება. მუშათა კლასის მოწინავე რაზმთა ნამდვილი ბრძოლა წარმოებს რევოლუციური ლოზუნგებით.

მასობრივი ეკონომიური მოძრაობა, რომელიც ხშირად იწყება სულ პირვანდელი მოთხოვნილებებით, ბრძოლის მთელი ვითარების გამო, სულ უფრო და უფრო უერთდება მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას.

მოწინავე მუშათა ამოცანას წარმოადგენს თავისი მუშაობით აგიტაციისა და განათლების სფეროში დააჩქარონ პროლეტარიატის დარაზმვა ეპოქის რევოლუციური ლოზუნგებით. მოწინავე მუშები მხოლოდ ამ პირობით შეასრულებენ

აგრეთვე გლეხთა და ქალაქის დემოკრატიის გამოღვიძების თავიანთ ამოცანას.

3. რევოლუციური ლოზუნგებით მიმდინარე მუშათა კლასის ბრძოლამ მრეწველთა ნაწილი და ლიბერალურ-ოქტიაბრისტული ბურჟუაზია აიძულა გაძლიერებით ალაპარაკებულიყვნენ საერთოდ რეფორმებისა და კერძოდ კოალიციის შეკვეცილი თავისუფლების საჭიროებაზე. ერთი მხრივ, ბურჟუაზია გაცხარებით ირაზმება სამეურნეო კავშირებად, აწესებს გაფიცვებისაგან დაზღვევას და მთავრობისაგან მოითხოვს სისტემატურად სდევნიდეს მუშათა მოძრაობას; მეორე მხრივ, ის ურჩევს მუშებს რევოლუციური მოთხოვნების ნ ა ც ვ ლ ა დ დასჯერდნენ კოალიციის თავისუფლების მსგავს ცალკეულ კონსტიტუციურ რეფორმას. მუშათა კლასმა უნდა გამოიყენოს მთავრობის ყველა შესაძლებელი მერყეობა, ისე როგორც ის უთანხმოებანიც, რომლებიც არსებობს ბურჟუაზიასა და რეაქციულ ბანაკს შორის, რათა გააძლიეროს შეტევა როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ბრძოლის სფეროში. მაგრამ მუშათა კლასი სწორედ მდგომარეობის წარმატებით გამოსაყენებლად უნდა დარჩეს შეუკვეცელი რევოლუციური ლოზუნგების ნიადაგზე.

4. საქმის ვითარების ასეთი საერთო მდგომარეობის დროს სოციალ-დემოკრატიის ამოცანას წარმოადგენს წინანდებურად აწარმოოს მასებში ფართო რევოლუციური აგიტაცია მონარქიის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარების სასარგებლოდ. საჭიროა სინამდვილის ცოცხალი მაგალითებით დაუცხრომლად ვამტკიცოთ რეფორმიზმის, ე. ი. ამ ტაქტიკის მთელი მავნებლობა, რომელიც რევოლუციური ლოზუნგების ნ ა ც ვ ლ ა დ ცენტრში აყენებს ნაწილობრივ გაუმჯობესებათა მოთხოვნას.

5. ლიკვიდატორები თავიანთ აგიტაციაში კოალიციის თავისუფლებისა და საერთოდ ნაწილობრივი რეფორმების სასარგებლოდ ადგებიან ლიბერალურ გზას. ისინი ნამდვილად უარყოფენ რევოლუციურ აგიტაციას მასებში, თავიანთ ორგანოებში პირდაპირ ქადაგებენ, რომ ლოზუნგები

«დემოკრატიული რესპუბლიკა» და «მიწების კონფისკაცია» არ შეიძლება მასებში აგიტაციის საგანი იყოსო. კოალიციის თავისუფლებას ისინი აყენებენ, როგორც ეპოქის ყოვლისშემცველ ლოზუნგს, სინამდვილეში კი ამით ცვლიან 1905 წლის რევოლუციურ მოთხოვნებს.

6. თათბირი გაფრთხილებას იძლევა ლიკვიდატორთა მავნე რეფორმისტული აგიტაციის წინააღმდეგ და მოგვაგონებს, რომ რსდმ პარტიამ თავის პროგრამა-მინიმუმში უკვე დიდი ხანია წამოაყენა კოალიციის, სიტყვის, პრესისა და სხვა თავისუფლებათა მოთხოვნა, ყველა ეს მოთხოვნა მჭიდროდ დაუკავშირა რევოლუციურ ბრძოლას მეფის მონარქიის დაბნობისათვის. თათბირი ადასტურებს 1912 წლის იანვრის კონფერენციის რეზოლუციას, რომელიც ამბობს: «კონფერენცია მოუწოდებს ყველა სოციალ-დემოკრატს განუმარტონ მუშებს პროლეტარიატისათვის კოალიციის თავისუფლების აუცილებელი საჭიროება, ამასთან საჭიროა ეს მოთხოვნა ყოველთვის განუყრელად იყოს დაკავშირებული ჩვენს საერთო პოლიტიკურ მოთხოვნებსა და მასებში რევოლუციურ აგიტაციასთან» *.

ეპოქის მთავარ ლოზუნგებად რჩება: 1) დემოკრატიული რესპუბლიკა, 2) მემამულეთა მიწების კონფისკაცია, 3) რვაჯ საათის სამუშაო დღე. კოალიციის თავისუფლება მათში შედის, როგორც ნაწილი მთელში.

რეზოლუცია ორგანიზაციულ საკითხზე და პარტიული ყრილობის შესახებ

1. ანგარიშებმა ადგილებიდან ცხადყვეს, რომ ყველაზე მნიშვნელოვან მორიგ ორგანიზაციულ ამოცანას წარმოადგენს არა მარტო თვითეული ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცება, არამედ ცალკეულ ქალაქთა ერთმანეთთან გაერთიანებაც.

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 17, გვ. 574 — 575. რ ე დ.

2. თათბირი რჩევას იძლევა, რომ როგორც პირველი ნაბიჯი საოლქო გაერთიანებისაკენ, მოეწყოს მუშათა მოძრაობის ადგილობრივი პუნქტების ამხანაგთა თათბირები (ხოლო სადაც შესაძლებელია კონფერენციებიც). ამასთან უნდა მივისწრაფოდეთ, რომ თათბირებზე წარმოდგენილი იყოს პარტიული მუშაობის ყველა დარგი: პოლიტიკური, პროფესიული, სადაზღვევო, კოოპერაციული და სხვ.

3. თათბირი აღიარებს, რომ საერთო-რუსეთის მასშტაბით მუშაობის გაერთიანებისათვის სრულიად აუცილებელია რწმუნებულ პირთა სისტემა ცენტრალურ კომიტეტთან. განხორციელება თებერვლის თათბირის გადაწყვეტილებისა რწმუნებულ პირთა შესახებ მხოლოდ ახლა დაიწყო. მოწინავე მუშებმა ადგილობრივ ყველგან უნდა იზრუნონ იმაზე, რომ რწმუნებული პირნი წამოყენებულ იქნან მუშათა მოძრაობის ყოველ დიდ ცენტრში მაინც და რაც შეიძლება მეტი რაოდენობით.

4. თათბირი დღის წესრიგში აყენებს პარტიული ყრილობის მოწვევის საკითხს[98]. მუშათა მოძრაობის ზრდა, პოლიტიკური კრიზისის მომწიფება ჩვენს ქვეყანაში, მუშათა კლასის გამოსვლების სრულიად რუსეთის მასშტაბით გაერთიანების საჭიროება აუცილებელს და შესაძლებელს ხდის ასეთი ყრილობის მოწვევას — მისი საკმაოდ მომზადების შემდეგ.

5. თათბირი სთხოვს ადგილობრივ ამხანაგებს, ამ საკითხის განხილვის შემდეგ, წინასწარ დასახონ დღის წესრიგი, ყრილობის მოწვევის სასურველი ვადა, რეზოლუციების პროექტები და სხვ.

6. თათბირი აღნიშნავს, რომ სხვა სიძნელეთა გარდა ყრილობისათვის ფულადი ხარჯების საკითხიც შეიძლება გადაწყვიტონ მხოლოდ მუშებმა.

თათბირი მოუწოდებს ამხანაგებს შეუდგნენ ფულადი ფონდის შექმნას პარტიული ყრილობის მოსაწვევად.

საგაფიცვო მოძრაობის შესახებ

1. თათბირი ადასტურებს 1912 წლის იანვრის კონფერენციისა და 1913 წლის თებერვლის თათბირის რეზოლუციებს *, რომლებიც იძლევიან საგაფიცვო მოძრაობის შეფასებას, რაც შეესაბამება უკანასკნელი თვეების მთელ გამოცდილებას.

2. რევოლუციური გაფიცვის აღმავლობის ახალ ხანას ახასიათებს მოსკოვის მოძრაობა და სულისკვეთების გაცხოველება რამდენიმე ადგილას, რომელიც დღემდე არ ღებულობდა მონაწილეობას მოძრაობაში.

3. თათბირი მიესალმება პეტერბურგის კომიტეტისა და მოსკოვის მთელი რიგი პარტიული ჯგუფების წამოწყებას, რომელთაც წამოაყენეს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის საკითხი და ნაბიჯიც გადადგეს ამ მიმართულებით მიმდინარე წლის ივლისსა და სექტემბერში **.

4. თათბირი აღიარებს, რომ მოძრაობა უახლოვდება ისეთ საფეხურს, როცა დღის წესრიგში დგება სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა. საჭიროა დაუყოვნებლივ და ყველგან დაიწყოს სისტემატური მოსამზადებელი აგიტაცია ამ გაფიცვისათვის.

5. პოლიტიკური გაფიცვების ლოზუნგები, რომლებიც გაძლიერებული ენერგიით უნდა გავავრცელოთ, უნდა იყოს მომენტის ძირითადი რევოლუციური მოთხოვნები: დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათის სამუშაო დღე, მემამულეთა მიწების კონფისკაცია.

6. თათბირი მოუწოდებს ყველა ადგილობრივ მუშაკს — განავითარონ აგიტაცია ფურცლების საშუალებით და რაც შეიძლება უფრო სწორი და მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ სხვადასხვა ქალაქის მუშათა პოლიტიკურ და სხვა ორგანიზაციებთან. განსაკუთრებით საჭიროა ყურადღება მიექ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 557 — 559 და ტომი 18, გვ. 551 — 553. რ ე დ.

** ცენტრალური ორგანოს რედაქციამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა თათბირის რეზოლუციების გამოცემა, დაურთო მითითებანი სექტემბრის ამბებისა, რომლებმაც სავსებით დაადასტურეს ეს რეზოლუციები.

ცეს პირველ რიგში პეტერბურგისა და მოსკოვის მუშების შეთანხმებას, რომ პოლიტიკური გაფიცვები, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა საბაბით წარმოიშვას (პრესის დევნა, სადაზღვევო გაფიცვა და სხვ.), შეძლებისამებრ ერთ და იმავე დროს ტარდებოდეს ორივე დედაქალაქში.

პარტიული პრესის შესახებ

1. თათბირი აღნიშნავს სოციალ-დემოკრატიული აგიტაციისა და ორგანიზაციის საქმისათვის ლეგალური პრესის უდიდეს მნიშვნელობას და ამიტომ პარტიულ დაწესებულებებს და ყველა შეგნებულ მუშას მოუწოდებს გაძლიერებით დაუჭირონ მხარი ლეგალურ პრესას მისი უაღრესად ფართოდ გავრცელებით, მასობრივი კოლექტიური ხელმოწერისა და ფულის მუდმივი შეგროვების მოწყობით. ამასთან თათბირი კვლავ ადასტურებს, რომ ფულის აღნიშნული შეგროვება უდრის საწევრო გადასახადებს პარტიის სასარგებლოდ.

2. განსაკუთრებით გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსკოვის ლეგალური მუშათა ორგანოს განმტკიცებას[99] და სამხრეთში მუშათა გაზეთის რაც შეიძლება ახლო ხანში შექმნას.

3. თათბირი გამოთქვამს სურვილს, რომ არსებული მუშათა ლეგალური ორგანოები რაც შეიძლება უფრო მჭიდროდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს ურთიერთისათვის ცნობების მიწოდებით, თათბირების მოწყობით და სხვ.

4. თათბირი აღიარებს მარქსიზმის თეორიული ორგანოს არსებობის დიდმნიშვნელობასა და საჭიროებას და გამოთქვამს სურვილს, რომ პარტიული და პროფესიული პრესას ყველა ორგანო აცნობდეს მუშებს ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» და მოუწოდებდეს მათ მუდმივი ხელისმომწერნი გახდნენ ამ ჟურნალისა, სისტემატური დახმარება გაუწიონ მას.

5. თათბირი პარტიულ გამომცემლობათა[100] ყურადღებას მიაქცევს სოციალ-დემოკრატიული აგიტაციისა და პროპაგანდის საკითხებზე პოპულარული ბროშურების ფართოდ გამოცემის უკიდურეს საჭიროებას.

6. უკანასკნელ ხანებში მასების რევოლუციური ბრძოლის გამწვავებისა და მისი სრული და ყოველმხრივი გაშუქების საჭიროების გამო, რაც მიუწვდომელია ლეგალური პრესისთვის, თათბირი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს არალეგალურ პარტიულ გამომცემლობათა დიდად განვითარების საჭიროებას, ამასთან, გარდა არალეგალური ფურცლებისა, ბროშურებისა და სხვ., ფრიად საჭიროა პარტიის არალეგალური ორგანოს (ც. ო.) [101] უფრო ხშირი და რეგულარული გამოსვლა.

სოციალ-დემოკრატიის მუშაობის შესახებ სათათბიროში

დეტალურად გაარჩია რა რსდმპ 1908 წლის დეკემბრის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ, და განიხილა რა ყველა მონაცემი IV სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის მუშაობის შესახებ, თათბირი:

1. აღიარებს, რომ აღნიშნული რეზოლუცია სავსებით სწორად განსაზღვრავს სოციალ-დემოკრატიის სათათბიროს ხაზით მუშაობის ამოცანებს და მიმართულებას და რომ ამიტომ საჭიროა კვლავაც ამ რეზოლუციით ვიხელმძღვანელოთ;

2. რომ დეკემბრის რეზოლუციის მე-3 მუხლის უკანასკნელი ქვეგანყოფილება (3 თ) (ხმისმიცემის ან თავის შეკავების შესახებ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებზე) [102] განმარტებულ უნდა იქნას შემდეგნაირად. როდესაც კანონპროექტებში, ფორმულებში და სხვ. საქმე ეხება მუშათა, დაბალ მოსამსახურეთა და საერთოდ მშრომელი მასების მდგომარეობის უშუალო და პირდაპირ გაუმჯობესებას (მაგალითად, სამუშაო დღის შემცირება, ხელფასის გადიდება, მუშებისა და საერთოდ მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრებაში თუნდაც მცირე ბოროტების მოსპობა და სხვ.), ხმა უნდა მიეცეს იმ მუხლებს, რომლებიც ამ გაუმჯობესებას შეიცავენ.

იმ შემთხვევებში კი, როდესაც გაუმჯობესება იმ პირობების გამო, რომელთაც ქმნის საამისოდ IV სათათბირო, საეჭვოა, ფრაქცია თავს იკავებს, უსათუოდ საგანგებოდ ასაბუთებს თავის შეკავებას, წინასწარ განიხილავს რა საკითხს მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

თათბირი აღიარებს, რომ:

ყველა შეკითხვის, **დიდი** კანონპროექტებისა და სხვათა გამო სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ უნდა წარადგინოს მორიგ საქმეებზე გადასვლის თავისი დამოუკიდებელი ფორმულები.

იმ შემთხვევებში, როდესაც, სოციალ-დემოკრატიის ფორმულის უარყოფის შემდეგ, ფრაქციის ხმისმიცემა მთავრობის წინააღმდეგ ემთხვევა სხვა პარტიების ხმისმიცემას — საჭიროა ფრაქცია ეცადოს, რომ ცალკე დაასაბუთოს თავისი ხმისმიცემა სხვისი ფორმულისთვის ან სხვისი ფორმულის ნაწილისთვის.

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ

თათბირი იმ აზრისაა, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთიანობა სათათბიროს ხაზით მუშაობის სფეროში შესაძლებელიცაა და აუცილებელიც.

მაგრამ თათბირი აღნიშნავს, რომ 7 დეპუტატის საქციელი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ფრაქციის ერთიანობას.

7 დეპუტატი სარგებლობს 1 ხმის შემთხვევითი უმრავლესობით და არღვევს ელემენტარულ უფლებებს მუშათა იმ 6 დეპუტატისას, რომელნიც რუსეთის მუშების დიდი უმრავლესობის წარმომადგენლები არიან.

7 დეპუტატი ვიწრო-ფრაქციული ინტერესებიდან გამოდის და 6 დეპუტატს შესაძლებლობას უსპობს გამოვიდნენ სათათბიროს ტრიბუნაზე მუშათა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მთელი რიგი გამოსვლების დროს, როცა სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ორ და მეტ ორატორს აყენებდა,

6 დეპუტატს, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, არ ეძლეოდათ საშუალება წამოეყენებინათ თავიანთი ორატორი.

სათათბიროს კომისიებში (მაგალითად, საბიუჯეტო კომისიაში) ადგილების განაწილებისას 7 დეპუტატი ასევე ეარს ეუბნება 6 დეპუტატს ორში ერთი ადგილის მიცემაზე.

მუშათა მოძრაობისთვის დიდმნიშვნელოვან დაწესებულებებში ფრაქციის წარმომადგენლების არჩევის დროს 7 დეპუტატი ერთი ხმის უმრავლესობით 6 დეპუტატს წარმომადგენლობას ართმევს. პირად პერსონალს, რომელიც მომსახურებას უწევს ფრაქციას, მუდამ ირჩევენ ცალმხრივად (მაგალითად, უარყოფილია მეორე მდივნის დანიშვნის მოთხოვნა).

თათბირი იმ აზრისაა, რომ 7 დეპუტატის ამგვარი მოქმედება აუცილებლად ქმნის შეხლა-შემოხლას ფრაქციაში, ხელს უშლის დარაზმულ მუშაობას და გამოიწვევს ფრაქციის გათიშვას.

თათბირი სასტიკ პროტესტს აცხადებს 7 დეპუტატის ამგვარი მოქმედების წინააღმდეგ.

6 დეპუტატი რუსეთის მუშების დიდი უმრავლესობის წარმომადგენლები არიან და მოქმედებენ მისი ორგანიზებული ავანგარდის პოლიტიკურ ხაზთან სრული თანხმობით.

ამიტომ თათბირი იმ აზრისაა, რომ სათათბიროს ხაზით მუშაობის სფეროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთიანობის შენარჩუნება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ ფრაქციის ორივე ნაწილი სრულიად თანასწორუფლებიანი იქნება და 7 დეპუტატი ხელს აიღებს ჩახშობის პოლიტიკაზე.

მიუხედავად შეურიგებელი უთანხმოებისა არა მარტო სათათბიროს ხაზით მუშაობის სფეროში, თათბირი მოითხოვს ფრაქციის ერთიანობას 2 მისი ნაწილის თანასწორუფლებიანობის ზემოაღნიშნულ საფუძველზე.

თათბირი მოუწოდებს შეგნებულ მუშებს გამოთქვან თავიანთი აზრი ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე და მთელი ძალღონით შეუწყონ ხელი ფრაქციის ერთიანობის შენარჩუნებას

მუშათა 6 დეპუტატის თანასწორუფლებიანობის ერთადერთ შესაძლებელ საფუძველზე.

ლეგალურ საზოგადოებებში მუშაობის შესახებ

1. ამჟამად, როცა მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა ასე გაცხოველებულია, განსაკუთრებით საჭიროა გავაძლიეროთ მუშაობა მუშათა ყველა ლეგალურ საზოგადოებაში (პროფესიული კავშირები, კლუბები, ავადმყოფთა დაზღვევის სალაროები, კოოპერატივები და სხვ.).

2. მუშათა ლეგალურ საზოგადოებებში მთელი მუშაობა უნდა წარმოებდეს არა ნეიტრალობის სულისკვეთებით, არამედ რსდმ პარტიის ლონდონის ყრილობისა და შტუტგარტის საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით [103]. სოციალ-დემოკრატებმა ყველა მუშათა ორგანიზაციაში უნდა მიიზიდონ მუშების რაც შეიძლება ფართო წრეები, წევრთა შემადგენლობაში უნდა მიიწვიონ ყველა მუშა პარტიულ შეხედულებათა განურჩევლად. მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა ამ საზოგადოებათა შიგნით უნდა შეადგინონ პარტიული ჯგუფები და ყველა ამ საზოგადოებაში ხანგრძლივი სისტემატური მუშაობით ეცადონ უმჭიდროესი ურთიერთობა დაამყარონ ამ საზოგადოებებსა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შორის.

3. საერთაშორისო და ჩვენი, რუსეთის, მუშათა მოძრაობის გამოცდილება გვასწავლის, რომ ასეთი მუშათა ორგანიზაციების (პროფესიული კავშირები, კოოპერატივები, კლუბები და სხვ.) ჩასახვისთანავე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული ეს დაწესებულება დასაყრდენი იყოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. თათბირი მოუწოდებს ყველა პარტიელს გაითვალისწინონ ეს მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ დგას რუსეთში, სადაც ლიკვიდატორები სისტემატურად ცდილობენ გამოიყენონ ლეგალური საზოგადოებები პარტიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

4. თათბირის აზრით, დაზღვევის სალაროებში რწმუნებულთა არჩევის დროს, პროფესიული კავშირების მთელ მუშაობაში და სხვ., მოძრაობის სრული ერთიანობისა და უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების დაცვასთან ერთად, უნდა ვატარებდეთ პარტიის ხაზს, ვცდილობდეთ ყველა პასუხსაგებ პოსტზე არჩეულ იქნან პარტიის მომხრეები და სხვ.

5. ლეგალურ მუშათა საზოგადოებებში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების გასათვალისწინებლად სასურველია უფრო ხშირად მოეწყოს თათბირები ადგილებზე ლეგალურ მუშათა ორგანიზაციებში მუშაობის აქტიურ მონაწილეებთან, სასურველია აგრეთვე საერთოპარტიულ კონფერენციებზე რაც შეიძლება მეტი წარმომადგენლების მიზიდვა იმ პარტიული ჯგუფებიდან, რომლებიც ლეგალურ საზოგადოებებში ეწევიან მუშაობას.

რეზოლუცია ნაციონალურ საკითხზე

შავრაზმული ნაციონალიზმის თავაშვებულობა, ნაციონალისტური ტენდენციების ზრდა ლიბერალურ ბურჟუაზიაში, ნაციონალისტური ტენდენციების გაძლიერება დაჩაგრულ ეროვნებათა ზედაფენებში — ნაციონალურ საკითხს ამჟამად თვალსაჩინო ადგილას აყენებენ.

სოციალ-დემოკრატიის შიგნით არსებული საქმის ვითარება (კავკასიელი სოციალ-დემოკრატების, ბუნდისა და ლიკვიდატორების ცდები პარტიის პროგრამის გაუქმებისა[104] და სხვ.). პარტიას აიძულებს კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს.

თათბირი ეყრდნობა რსდმ პარტიის პროგრამას და — ნაციონალურ საკითხში სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის სწორად დაყენების გულისთვის — აყენებს შემდეგ დებულებებს:

1. რამდენადაც ექსპლოატაციაზე, მოგებასა და კინკლაობაზე დამყარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში შესაძლე-

ბელია ნაციონალური მშვიდობა, იმდენად ეს მისაღწევია მხოლოდ სახელმწიფოს თანამიმდევარი, ბოლომდე დემოკრატიული, რესპუბლიკური წყობილების პირობებში, რაც უზრუნველყოფს ყველა ერისა და ენის სრულ თანასწორუფლებიანობას, სავალდებულო სახელმწიფო ენის არარსებობას, ისე, რომ მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყოს სკოლებით, სადაც სწავლება იქნება ყველა ადგილობრივ ენაზე, ხოლო კონსტიტუციაში შეტანილი იქნება ძირითადი კანონი, რომელიც გააუქმებს ერთ-ერთი ერის ყოველგვარ პრივილეგიებს და ეროვნული უმცირესობის უფლებათა ყოველგვარ დარღვევას. ამასთან განსაკუთრებით საჭიროა ფართო საოლქო ავტონომია და სავსებით დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობა, ხოლო თვითმმართველი და ავტონომიური ოლქების საზღვართა განსაზღვრა მოხდეს სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა და სხვათა გათვალისწინებით თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

2. სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში უსათუოდ საზიანოა საერთოდ დემოკრატიისა და განსაკუთრებით პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით. სწორედ ასეთ დაყოფას წარმოადგენს რუსეთში ებრაელობის ყველა ბურჟუაზიული პარტიისა და სხვადასხვა ერის მეშჩანური, ოპორტუნისტული ელემენტების მიერ მიღებული გეგმა ეგრეთწოდებული «კულტურულ-ნაციონალური» ავტონომიისა ან ისეთ «დაწესებულებათა შექმნისა, რომელნიც უზრუნველყოფენ ნაციონალური განვითარების თავისუფლებას».

3. მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ეროვნების მუშათა შეერთებას ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებად — პოლიტიკურ, პროფესიულ, კოოპერაციულ-საგანმანათლებლო და სხვ. ორგანიზაციებად. სხვადასხვა ეროვნების მუშათა მხოლოდ ასეთი შეერთება ერთიან ორგანიზაციებად შესაძლებლობას აძლევს პროლეტარიატს ძლევამოსილი ბრძოლა აწარმოოს საერთა-

შორისო კაპიტალისა და რეაქციის წინააღმდეგ, აგრეთვე ყველა ეროვნების იმ მემამულეების, ხუცებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების ქადაგებისა და მისწრაფების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვეულებრივ თავიანთ ანტიპროლეტარულ მისწრაფებას ატარებენ «ნაციონალური კულტურის» დროშით. მსოფლიო მუშათა მოძრაობა ქმნის და დღითიდღე სულ უფრო ავითარებს პროლეტარიატის ინტერნაციონალურ (საერთაშორისო) კულტურას.

4. რაც შეეხება მეფის მონარქიის მიერ დაჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ე. ი. გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებას, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უცილობლად უნდა დაიცვას ეს უფლება. ამას მოითხოვს როგორც საერთოდ საერთაშორისო დემოკრატიის ძირითადი პრინციპები, ისე განსაკუთრებით რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობის გაუგონარი ნაციონალური ჩაგვრა მეფის მონარქიის მიერ, რომელიც წარმოადგენს ყველაზე რეაქციულ და ბარბაროსულ სახელმწიფო წყობილებას ევროპისა და აზიის მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით. ამას მოითხოვს, შემდეგ, თავისუფლების საქმე თვით ველიკორუსი მოსახლეობისა, რომელსაც უნარი არ შესწევს შექმნას დემოკრატიული სახელმწიფო, თუ აღმოფხვრილი არ იქნება შავრაზმული ველიკორუსული ნაციონალიზმი, რომელსაც ზურგს უმაგრებს ნაციონალურ მოძრაობათა სისხლის ღვრით ჩახშობის ტრადიცია და რომელსაც სისტემატურად აძლიერებს არა მარტო მეფის მონარქია და ყველა რეაქციული პარტია, არამედ მონარქიის წინაშე მლიქვნელი ველიკორუსული ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, მეტადრე კონტრრევოლუციის ეპოქაში.

5. შეუწყნარებელია ერთმანეთში ავურიოთ ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხი (ე. ი. გამოყოფის საკითხის გადაწყვეტის სრულიად თავისუფალი და დემოკრატიული წესის უზრუნველყოფა სახელმწიფოს კონსტიტუციით) და ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი. ეს უკანასკნელი საკითხი სოციალ-დამოკრატიულმა პარტიამ

თვითეულ ცალკე შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებისა და სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით.

ამასთან სოციალ-დემოკრატიას მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ დაჩაგრულ ერთა მემამულეები, ხუცები და ბურჟუაზია ხშირად ნაციონალისტური ლოზუნგებით ფარავენ მუშების დაყოფისა და მათი გაბრიყვების მისწრაფებებს, მათ ზურგს უკან სდებენ რა გარიგებას გაბატონებული ერის მემამულეებთან და ბურჟუაზიასთან ყველა ერის მშრომელი მასების საზიანოდ.

* * *

თათბირი პარტიული ყრილობის დღის წესრიგში აყენებს ნაციონალური პროგრამის საკითხს. თათბირი მოუწოდებს ცენტრალურ კომიტეტს, პარტიულ პრესასა და ადგილობრივ ორგანიზაციებს, რაც შეიძლება დაწვრილებით გააშუქონ (ბროშურებში, დისკუსიებზე და სხვ.) ნაციონალური საკითხი.

ნაროდნიკების შესახებ

1. ლონდონის ყრილობამ შეაჯამა ნაროდნიკული პარტიების — და, სხვათა შორის, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის — მუშაობა რევოლუციურ ეპოქაში და ზუსტად აღნიშნა, რომ ეს პარტიები მუდამ მერყეობდნენ ლიბერალების ჰეგემონიისადმი დამორჩილებასა და მემამულური მიწათმფლობელობისა და ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას შორის, აგრეთვე აღნიშნა მათი ქადაგების ფსევდო (ცრუ) სოციალისტური ხასიათი, რაც ჩქმალავს წინააღმდეგობას პროლეტარსა და წვრილ მეპატრონეს შორის.

2. *რეაქციულმა ეპოქამ კიდევ უფრო მეტად გააძლიერა ეს ნიშნები, წარმოშვა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში, ერთი მხრივ, ხელის აღება თანამიმდევარ-დემოკრატიულ პოლიტიკაზე და პარტიის ზოგიერთი ელემენტიც კი*

გადააქცია რევოლუციის კრიტიკოსად, რომლებიც ლიბერალების კვალს მიჰყვებიან, ხოლო, მეორე მხრივ, პარტია გადააქცია მასების ცხოვრებისგან მოწყვეტილ წმინდა ინტელიგენტურ ჯგუფად.

3. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია კვლავ ოფიციალურად იცავს ტერორს, რომლის ისტორიამ რუსეთში სავსებით გაამართლა ბრძოლის ამ მეთოდის სოციალ-დემოკრატიული კრიტიკა და რომელიც სრული კრახით დამთავრდა. ამასთან ერთად არჩევნების ბოიკოტმა და იმ გარემოებამ, რომ ამ ინტელიგენტურ ორგანიზაციას სრულიად არ შესწევს უნარი გეგმაშეწონილად იმოქმედოს ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე, ისა ჰქნეს, რომ რევოლუციური მოძრაობის ახალმა აღმავლობამ ყველგან ისე ჩაიარა, რომ ამ პარტიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

4. ნაროდნიკობის წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი წარმოადგენს მუშათა კლასის წინაშე მხოლოდ იმ იდეების მავნებლურ ქადაგებას, რომლებიც ჩქმალავენ სულ უფრო და უფრო მზარდ უფსკრულს შრომისა და კაპიტალის ინტერესებს შორის და ცდილობენ შერბილებული სახით წარმოგვიდგინონ კლასობრივი ბრძოლის სიმწვავე, და იწვევს მეშჩანურ უტოპიას კოოპერაციის სფეროში.

5. მერყეობა დემოკრატიული ლოზუნგების დაცვის სფეროში, პარტიის წრეობრივი ხასიათი და მისი წვრილბურჟუაზიული ცრურწმენები დიდად უშლიან ხელს ნაროდნიკობას განავითაროს რესპუბლიკურ-დემოკრატიული პროპაგანდა გლეხობის ფართო წრეებში. ამრიგად თვით ამ პროპაგანდის ინტერესები მოითხოვს პირველ ყოვლისა სოციალ-დემოკრატებისაგან ნაროდნიკობის გადაჭრით გაკრიტიკებას.

თათბირი სრულიადაც არ გამორიცხავს ნაროდნიკულ პარტიებთან იმ ერთობლივ მოქმედებას, რაც სპეციალურად გათვალისწინებულია ლონდონის ყრილობის მიერ და ამიტომ ფიქრობს, რომ სოციალ-დემოკრატიის ამოცანა უნდა იყოს:

ა) ამხილოს მერყეობა და თანამიმდევარ დემოკრატიზმზე ხელის აღება, რაც თავს იჩენს ნაროდნიკულ პარტიებში;

b) ებრძოლოს ნაროდნიკობის წვრილბურჟუაზიულ სოციალიზმს, რომელიც აფუჩეჩებს უფსკრულს კაპიტალსა და შრომას შორის;

c) ხელი შეუწყოს რესპუბლიკურ-დემოკრატიულ მიმდინარეობებს გლეხთა მასაში და მუდამ მიუთითოს, რომ მხოლოდ თავისი დემოკრატიზმის მხრივ თანამიმდევარი სოციალისტური პროლეტარიატი შეიძლება იყოს ღარიბ გლეხთა მასების საიმედო ხელმძღვანელი მონარქიასა და მემამულურ მიწათმფლობელობასთან ბრძოლაში;

d) გაძლიერებული ყურადღება მიაქციოს სოციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდას მუშათა იმ, თუმცა მცირერიცხოვან, ჯგუფებში, რომლებიც დღემდე ვერ განთავისუფლებულან ნაროდნიკობის ჩამორჩენილი თეორიებისაგან.

ვითომ-ტრუდოვიკი

ჟურნალი «ზავეტი»[105] — ყველაზე ნაროდნიკული, მ ე-მ ა რ ც ხ ე ნ ე-ნაროდნიკული ჟურნალია, თვით ბ-ნ ჩერნოვიანად. ამასთან სქელტანიანი, სერიოზული ჟურნალია. თუკი სადმე შეიძლება, სწორედ აქ შეიძლება ვიპოვოთ ცნობილი «შ რ ო მ ი თ ი საწყისის» ახსნა, რის შესახებაც ალაპარაკებულია ყველა ტრუდოვიკი, ყველა ნაროდნიკი, მათ შორის ყველა «ესერი».

ზოგიერთები იმასაც კი ირწმუნებიან, «შრომითი საწყისი» სოციალისტური საწყისიაო და «შრომითი საწყისის» თეორეტიკოსებიც სოციალისტები არიანო.

ვნახოთ, ერთ-ერთი «მემარცხენე ნაროდნიკი», ბ-ნი ს. ზაკი, რომელიც სპეციალურადაა გართული სამრეწველო კაპიტალიზმის საკითხით, როგორ მსჯელობს «შ რ ო მ ი თ ი» მრეწველობის შესახებ.

ბ-ნი ს. ზაკი განასხვავებს სამგვარ მრეწველობას: 1) «შრომითს», 2) შრომითი მრეწველობიდან კაპიტალისტურზე «გარდამავალს» და 3) კაპიტალისტურს. კაპიტალისტურ მრეწველობას იგი აკუთვნებს ისეთ საწარმოებს, სადაც მუშათა რიცხვი 50-ზე მეტია, გარდამავალს — 11-დან 50-მდე; შ რ ო მ ი თ ს — ს ა დ ა ც მ უ შ ა თ ა რ ი ც ხ ვ ი ა რ ა ღ ვ-მ ა ტ ე ბ ა 10-ს.

რატომაა უკანასკნელი საწარმოები «შრომითი»? იმიტომ, თურმე ნუ იტყვით, რომ «ვიდრე საწარმოებს არა ჰყავთ თუნდაც ერთი კანტორის მოსამსახურე და ერთი ტექნიკოსი ს-

შუალოდ თვითეულ საწარმოზე, მანამდე მათს კაპიტალისტურ ხასიათზე ლაპარაკიც ზედმეტია».

ასეთი თეორია ეკადრება კანტორის მცირემცოდნე მოსამსახურეს და არა მწერალს, რომელსაც სოციალისტად მოაქვს თავი! ვიდრე ბ-ნ ზაკს და სხვა ნაროდნიკებს არ გამოუგონიათ «ს ა კ უ თ ა რ ი», ახალი, ჭეშმარიტად რუსული, პოლიტიკური ეკონომია, მანამდე ჩვენ ძველ შეხედულებას გავიზიარებთ, რომ კაპიტალიზმი ეწოდება ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო წარმოებას, რომელიც საქონლად აქცევს ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ა ს.

ეს არის ანაბანა, რომლის არცოდნა სირცხვილია. მაგრამ ბატონი ნაროდნიკები სიტყვიერად მარქსის თეორიის მომხრეები, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მტრები არიან. საქმით კი საზოგადოებას სთავაზობენ მეტად უხამსი ობივატელის შეხედულებებს, ობივატელისა, რომელსაც არაფერი უსწავლია და იმეორებს ბურჟუაზიული ფრაზების ნაწყვეტებს: თუ არის «კანტორა» — ეს კაპიტალისტიაო. ხოლო თუ ჩემი მეურნეობა პატარაა, რაღა კაპიტალისტი ვყოფილვარ, მშრომელი ვარო!

პრესაში ასეთი შეხედულებების დაცვა იმას ნიშნავს, რომ უარყო პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერება და დაიცვა უმეცრება.

კაპიტალისტები არიან წვრილნი და მსხვილნი, სულელნი და ჭკვიანნი, მაგრამ კაპიტალიზმი ამით კი არ განისაზღვრება, არამედ ს ა ქ ო ნ ლ ი ს წარმოებითა და დაქირავებული შრომის გამოყენებით.

ჩვენს ნაროდნიკს «შრომითი» მეურნეობის ნიშნად მიაჩნია კიდევ მუშაობაში მეპატრონის ოჯახის წევრთა მონაწილეობა. ნამდვილად კი ყველამ, ვინც იცნობს პოლიტიკური ეკონომიის საწყისებს, იცის, რომ ეს არის წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი მეურნეობის ნიშანი. წვრილი ბურჟუაზია რომ შეალამაზო და მას «შრომითი» მეურნეობა უწოდო, ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენაც არ გქონდეს სოციალიზმზე.

აი თვით ბ-ნ ზაკის ციფრები. 100 საწარმოზე საშუალოდ მოდის მეპატრონის ოჯახის წევრნი: 1) 28 იმ საწარმოებში,

სადაც არის 3-მდე მუშა; 2) 34 იმ საწარმოებში, სადაც 4—5 მუშაა; 3) 22 იმ საწარმოებში, სადაც 6—10 მუშაა.

მართლაცდა, კარგი ვინმე ყოფილა ჩვენი «ახალი ნაროდნიკი»? მას თვითონ მოჰყავს ციფრები დაქირავებული შრომის სიჭარბის შესახებ და ამას უწოდებს «შრომითს» მეურნეობას!!

ბ-ნი ზაკი დაგოგავს სხვადასხვა სამრეწველო აღწერის მონაცემებში და აღტაცებულია, რა «ბევრი» «შრომითი» მეპატრონე გვყავსო, და თან ირწმუნება, ეს ამტკიცებს «ორთოდოქსალური (ე. ი. მართლმორწმუნე, ნაროდნიკები ასე უწოდებენ დასაცინად მარქსის მოძღვრებას) თეორიის უმწეობასაო». მოვიყვანოთ სრული მონაცემები გერმანული აღწერიდან, რომელსაც იმოწმებს უწინარეს ყოვლისა ბ-ნი ზაკი. ვიღებთ მრეწველობას ფართო აზრით, ვაჭრობისა და გზების ჩათვლით.

საწარმოთა ჯგუფები:	საწარმოთა რიცხვი (ათას.)	პროც.	რაოდენობა მილიონებად:					
			მუშები	პროც.	ცხ. ძალა	პროც.	კილოვატი	პროც.
მარტოხელა.....	1 452	44,4	1.4	10,1	—	—	—	—
წვრილი (2—5 მუშა)....	1 524	46,7	3,8	26,2	0,7	7,4	0,1	7.1
საშუალო (6—50 მუშ.).	259	8,0	3,5	24,3	1,5	17,3	0,2	15,7
მსხვილი (51 და მეტი)..	31	0,9	5,7	39,4	6,6	75,3	1,2	77,2
სულ.....	3 266	100	14,4	100	8,8	100	1,5	100

დააკვირდით კაპიტალიზმის ამ სურათს მრეწველობაში. მარტოხელა — წვრილი ბურჟუა ძალიან «ბევრია»: ერთნახევარი მილიონი. მათი წილი წარმოებაში? მუშები — მეათედი ნაწილი და მანქანები — ნული, როგორც ორთქლისა, ისე ელექტრომანქანები!!

მსხვილი კაპიტალისტები? ყველა საწარმოს ერთ მეასედს შეადგენენ, მუშები კი მათ ჰყავთ ყველა მუშის თითქ-

მის ²/₅ (39%), ხოლო მანქანები მთელი რაოდენობის ს ა მ მ ე ო თ ხ ე დ ზ ე მ ე ტ ი (75 — 77%)!

ყოველი მოაზროვნე მუშა ერთბაშად დაინახავს აქ თავისი ყოველდღიური გამოცდილების დადასტურებას: უმწეო, კაპიტალის მიერ გასრესილი, წვრილი ბურჟუების მასა და უმნიშვნელო რაოდენობის კაპიტალისტურ მსხვილ საწარმოთა ს რ უ ლ ი ბ ა ტ ო ნ ო ბ ა.

შემდეგ «მემარცხენე» ნაროდნიკის მიერ საშინლად დამახინჯებული სტატისტიკა გვიჩვენებს კაპიტალიზმის უაღრესად სწრაფ ზრდასა და წვრილი წარმოების განდევნას. შევადარეთ მონაცემები სამი გერმანული აღწერისა—1882 წლის, 1895 წლისა და 1907 წლისა (უკანასკნელი). მკითხველი რომ ციფრებით არ დავღალოთ, ავიღოთ მხოლოდ ყველაზე უმთავრესი: დავუპირისპიროთ ერთმანეთს მარტოხელათა საწარმოები და კაპიტალისტური, საშუალო და მსხვილი ერთად:

	მარტოხელათა საწარმოები		საშუალო და მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები	
წლები:	საწარმოთა მთელი რიცხვის %	მუშების მთელი რიცხვის %	საწარმოთა მთელი რიცხვის %	მუშების მთელი რიცხვის %
1882	62	26	4	41
1895	54	17	7	58
1907	42	10	9	63

25 წლის წინათ მარტოხელანი შეადგენდნენ მეპატრონეთა უმრავლესობას (³/₅). ახლა ისინი უმცირესობას შეადგენენ (²/₅). წინათ მათ ჰყავდათ ყველა მუშის ¹/₄; ახლა კი ჰყავთ ¹/₁₀.

კაპიტალისტური საწარმოების წილი, პირიქით, სწრაფად იზრდება. 25 წლის წინათ მათ ჰყავდათ მუშების უმცირესობა (²/₅), ახლა კი ჰყავთ უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა, მუშების საერთო რიცხვის თითქმის ²/₃ (63 პროც.). ჩვენ კი უკვე დავინახეთ, რომ ერთი მუჭა კაპიტალისტების ხელში მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს, როგორც ორთქლის, ისე მეტადრე ელექტრომანქანების კონცენტრაცია (თავმოყრა) კიდევ უ ფ რ ო ბ ე ვ რ ა დ ძ ლ ი ე რ ი ა, ვიდრე მუშების კონცენტრაცია.

ამრიგად. სამრეწველო აღწერა თავისუფალ და სწრაფი განვითარების ქვეყნებში ფრიად ბრწყინვალედ ადასტურებს მარქსის თეორიას. კაპიტალიზმი ყველგან გაბატონებულია. ყველგან აძევებს წვრილ წარმოებას. ყველგან ჩანაგდება გლეხთა, წვრილ ხელოსანთა და შინამრეწველთა მასა. წვრილ მეპატრონეს მსხვილი კაპიტალი ჩაგრავს და ახშობს ათასნაირი საშუალებით, რასაც სტატისტიკა ჯერ ძალიან სუსტად აღრიცხავს. წვრილი მეპატრონის ხსნა არ არის. მას არა აქვს გამოსავალი, გარდა პროლეტარიატის ბრძოლასთან შეერთებისა.

«შრომითი საწყისისა» და «შრომითი მეურნეობის» თეორია, თავიდან ბოლომდე, ძველი ბურჟუაზიული ცრურწმენის განმეორებაა. ყველა ქვეყნის გამოცდილება ყოველ ნაბიჯზე ამსხვრევს ამ ცრურწმენას.

როცა მემარცხენე ნაროდნიკები ცდილობენ დაუმტკიცონ მუშებს, რომ კაპიტალისტი ან პაწაწა კაპიტალისტი 5 ან 10 დაქირავებული მუშით «შრომითი» მეპატრონეაო, ამით მხოლოდ თავიანთ ბურჟუაზიულობას ამტკიცებენ.

«პრავდა ტრუდა» № 18,
1913 წ. 1 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

- იბეჭდება
გაზეთ «პრავდა ტრუდ»ს
ტექსტის მიხედვით

დაბნეული უპარტიოლები

ჩვენი საზოგადოებრიობის ერთ-ერთი უაღრესად გავრცელებული და უაღრესად მტკივნეული მოვლენაა — უგულებელმყოფელი (თუ პირდაპირ არა უარმყოფელი) დამოკიდებულება პარტიულობისადმი.

პოლიტიკურ მარტოხელებს, პოლიტიკურ ავანტიურისტებს, პოლიტიკურ მანილოვებს ახასიათებთ ის, რომ უარს ამბობენ პარტიულობაზე და მაღალფარდოვანი სიტყვებით ლაპარაკობენ პარტიული «შეზღუდულობის», «შაბლონურობის», სხვათა აზრის აუტანლობის შესახებ და სხვ. და ა. შ.. ნამდვილად კი ასეთი სიტყვები ასახავენ მხოლოდ სასაცილო და უბადრუკ ყალბ წარმოდგენას თავის თავზე ან თავისმართლებას იმ ინტელიგენტებისას, რომლებიც მოწყვეტილი არიან მასას და გრძნობენ, რომ საჭიროა საკუთარი სისუსტის დაფარვა. პოლიტიკას ამ სიტყვის სერიოზული მნიშვნელობით მხოლოდ მ ა ს ე ბ ი ქმნიან, ხოლო უპარტიო მასა, რომელიც არ მიჰყვება მტკიცე პარტიას, ეს არის დაქსაქსული, შეუგნებელი მასა, რომელიც მოკლებულია სიმტკიცეს და სათამაშო იარაღი ხდება მარჯვე პოლიტიკანების ხელში, მუდამ «დროულად» რომ ჩნდებიან გაბატონებული კლასებიდან «შესაფერ» შემთხვევათა გამოსაყენებლად.

რუსეთი ერთ-ერთი უაღრესად წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა, რომელსაც ყველაზე ნაკლები ჩვევა აქვს თავისუფალი პოლიტიკური მოღვაწეობისა. ამიტომ და მხოლოდ ამიტომ არის ჩვენში გავრცელებული უგულებელმყოფელი

დამოკიდებულება პარტიულობისადმი. რუსეთის შეგნებული მუშის ერთ-ერთი ამოცანაა (და მისი ერთ-ერთი დიდი ისტორიული დამსახურებაა) — სისტემატური, შეუპოვარი ბრძოლა ამ უგულებელმყოფელი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

აი ერთ-ერთი უახლესი მაგალითი თვითკმაყოფილი უპარტიობისა პ ა რ ტ ი ი ს შ ო რ ი ა ხ ლ ო ინტელიგენციაში.

მუშებმა ფართო ნიადაგზე დააყენეს ფულის შეგროვება მუშათა გაზეთებისთვის. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ მასა, — თუ ის შეგნებულად ერკვევა, რ ო მ ე ლ გაზეთს უნდა დაეხმაროს, რომელ მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს შეუწყოს ხელი,— ფულის ამ შეგროვებით ს წ ა ვ ლ ო ბ ს იდეურ, პრინციპულ პოლიტიკას.

ლიკვიდატორებმა, რომლებიც ასე ხშირად ექანებიან უპარტიობის პოლიტიკისაკენ, გააჩაღეს ყველასათვის ცნობილი კამპანია შ ე გ რ ო ვ ი ლ ი ფ უ ლ ი ს თ ა ნ ა ბ რ ა დ გ ა ყ ო ფ ი ს სასარგებლოდ. ისინი ხელმძღვანელობდნენ უბრალო სურვილით — დაეფარათ თავიანთი სისუსტე, და ფაცაფუცში ვერც კი მოასწრეს ჩაფიქრებოდნენ, რომ ასეთ კამპანიას საფუძვლად უდევს სწორედ უ პ ა რ ტ ი ო ბ ი ს პრინციპი.

ცხოვრებამ მყისვე ამხილა ისინი. მ ა თ ი ლოზუნგი რუსეთის წვრილბურჟუაზიულმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ თავის ლოზუნგად ა ქ ც ი ა: თანაბრად საერთოდ, ლიკვიდატორებთანაც და ნაროდნიკებთანაც!

თავიანთ პოლიტიკურ ავანტიურიზმში მხილებულმა უპარტიოებმა, რომლებმაც უარყვეს მარქსისტული წარსული რაღაც «ფართოზე» და ამდენადვე უპრინციპოზე ოცნების გულისთვის, — იწყეს წრიალი და მელაკუდობა. გ. რ. ლიკვიდატორთა გაზეთის 24-ე ნომერში ირწმუნება, რომ ისინი სრულიადაც არ არიან მომხრე ნაროდნიკებთან გაერთიანებისა და თითქოს ასეთ გაერთიანებას «სისტემატურად ქადაგებდნენ» მარქსისტებიო.

ჰეშმარიტების ამაზე უფრო უხეშად დამახინჯება ძნელი წარმოსადგენია. გ. რ. და კომპანია რომ უპარტიოები არ იყვ-

ნენ, ფილისტერულად რომ არ ეკიდებოდნენ მარქსისტული წარსულის ი ს ტ ო რ ი ა ს, ეცოდინებოდათ, რომ სხვადასხვა პარტიისადმი მუშების დამოკიდებულების საკითხი მ ხ ო ლ ო დ მარქსისტების («პრავდისტების») წყალობით არის სავსებით ოფიციალურად გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ექვსი წლის წინათ და უფრო ადრეც *. მხოლოდ მარქსისტებმა განსაზღვრეს ზუსტად რუსეთის ყ ვ ე ლ ა დიდი პარტიის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი საფუძვლები; ლიკვიდატორები ვერასდროს ვერ გააკეთებდნენ ამას. რუსეთის ყველა პარტიიდან მხოლოდ მარქსისტებმა, ნაცვლად ცალკეული პარტიებისადმი ქაოსური, უპრინციპო («შემთხვევიდან შემთხვევამდე») დამოკიდებულებისა, ე ქ ვ ს ი წ ლ ი ს წინათ შეიმუშავეს ზუსტი პასუხი სხვადასხვა «მიმდინარეობის» დედაარსისა და მათდამი დამოკიდებულების საკითხზე.

მას შემდეგ ისტორიამ ბრწყინვალედ, უცილობლად დაადასტურა ამ პასუხის სისწორე.

ამ პასუხში ზუსტად და ნათლად არის აღნიშნული, რომ ნაროდნიკები წარმოადგენენ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას, რომლებთანაც ერთად შესაწყნარებელია მხოლოდ «ერთობლივი მოქმედება» რეაქციის წინააღმდეგ და ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

ახლა გ. რ. და კომპანია ირწმუნებიან, ნაროდნიკებთან გაერთიანების წინააღმდეგი ვართო და უნდათ თავი დაიძვრინონ: ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ შეგროვილი ფული თანაბრად გაიყოს ო რ მ ა გაზეთმა, როცა «ანარიცხები მასობრივიაო», მაგრამ ამის წინააღმდეგი ვართ, როცა ფულს აგროვებენ «შეგნებულ თანამოაზრეთა ჯგუფებშიო»!! (იხ. «ნოვაია რაბოჩაია გაზეტა», № 24).

ჯერ-ერთი, ცხოვრებამ უკვე დაამტკიცა, რომ თანაბრად გაყოფის თქვენი პროპაგანდიდან გამომდინარეობს უპარტიო გეგმა. ეს ფაქტია. იმავე 24-ე ნომერში ვკითხულობთ ერთი მუშათა ჯგუფის რეზოლუციას: თ ა ნ ა ბ რ ა დ ნ ა რ ო დ ნ ი-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 12, გვ. 150 — 153. რ ე დ.

კ ე ბ თ ა ნ ა ც ო. როგორც ყოველთვის, ჩვენი უპარტიოები ანუ დამოუკიდებელნი ერთი კარისაკენ მიეშურებიან და მეორეში ხვდებიან!

მეორეც, შეიძლება განა შეგნებულთა ჯგუფს შეგნებული ვუწოდოთ, თუ მას არ შეუძლია მასები გაანათლოს? არ შეიძლება, ბატონო უპარტიოებო! შეგნებულნი ეტყვიან მასას: გადარიცხეთ ყველამ, გაერთიანდით ყველანი, მაგრამ ამასთანავე ე ც ა დ ე თ გ ა ე რ კ ვ ე თ სხვადასხვა გაზეთის მიმართულებაში.

გადარიცხო და თქვა «თანაბრადო», — ეს იმას ნიშნავს, რომ იყო უპარტიო, შეუგნებელი, განურჩეველი. გადარიცხო და თქვა: «ა მ ა დ ა ა მ მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს ო», — ეს ნიშნავს იყო შეგნებული და შეგნებულად იღებდე მონაწილეობას ს ა ე რ თ ო მოქმედებაში.

გ. რ. ამახინჯებს ამ ანაბანას!

შევაჯამოთ: გ. რ. და ლიკვიდატორთა კომპანია ირწმუნებიან, ნაროდნიკებთან გაერთიანების წინააღმდეგი ვართო, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ კი განაგრძობენ მათთან უ პ ა რ ტ ი ო გაერთიანების ხაზს, უ პ ა რ ტ ი ო ბ ი ს ხაზს, რაც დიდად საზიანო და შეუწყნარებელია მუშებისთვის.

მუშათა დემოკრატიას არა ერთხელ გაუწევია წინააღმდეგობა და მომავალშიც გადაჭრით უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა უპარტიობის ქადაგებას, რომელიც პოლიტიკურად აჩლუნგებს მუშებს და აადვილებს მათს ყოველგვარ მოტყუებას.

«ზა პრავდუ» № 3,
1913 წ. 4 ოქტომბერი
ხელმოწერა: კ ა რ — ო ვ

იბეჭდება
გაზეთ «ზა პრავდუს»
ტექსტის მიხედვით

ლიბერალები და მიწის საკითხი ინგლისში

შაბათს 11 ოქტომბერს (28 სექტემბერს ძვ. სტილით) ინგლისის ლიბერალმა მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა ქალაქ ბედფორდში წარმოთქმული ორი «ბრწყინვალე» სიტყვით დაიწყო «აგრარული კამპანია». როგორც ჩვენი კიტ კიტიჩ გუჩკოვი შეგვპირდა «გავუსწორდები» რუსეთის პრივილეგიურ და ყოვლისშემძლე მემამულეებსო, ასევე ინგლისის ლიბერალი მინისტრი შეგვპირდა კამპანიას დავიწყებ მიწის საკითხზე, ვამხელ მიწათმფლობელებს — ლენდლორდებს, მივმართავ ხალხს და მოვუწოდებ მიწის «რადიკალური» (ლოიდ-ჯორჯი მეტისმეტად რადიკალურადაა განწყობილი!) რეფორმის მოსახდენადო.

ინგლისის ლიბერალური გაზეთები შეეცადნენ თავისი ბელადის გამოსვლისათვის რაც შეიძლება უფრო საზეიმო ხასიათი მიეცათ. რეკლამა, რეკლამა რადაც უნდა დაჯდეს! სიტყვა მეტად გრძელია — დავბეჭდოთ მისი მოკლე «შინაარსი», ვუწოდოთ მას აგრარული «ქარტია», შევალამაზოთ ისე, რომ ნაცვლად პარლამენტური საქმოსნის დიპლომატიური ფანდებისა თვალში მოგვხვდეს რეფორმების გრძელი ნუსხა, ხელფასის მინიმუმიც, 100 000 კოტეჯიც (პატარა სახლები) მუშებისთვის, «მიწის იძულებითი განსხვისებაც წ მ ი ნ დ ა (!!) მიწათმფლობელური ღირებულების მიხედვით».

მკითხველს რომ დავანახვოთ, თუ რ ო გ ო რ ეწევა ხალხში აგიტაციას ინგლისის ლიბერალური ბურჟუაზიის მინისტრი,

მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი ლოიდ-ჯორჯის მიერ ბედფორდში წარმოთქმული სიტყვებიდან.

«მიწის საკითხზე უფრო საარსებო, უფრო ძირითადი საკითხი არ არსებობსო — გაიძახოდა ორატორი. საჭმელი, რომლითაც ხალხი იკვებება, წყალი, რომელსაც ის სვამს, ბინა, რომელშიც ის ცხოვრობს, მრეწველობა, რომელიც მას გასამრჯელოს აძლევს, ყოველივე ეს მიწაზეა დამოკიდებულიო». მერე ვის ეკუთვნის მიწა ინგლისში? ერთ მუჭა მდიდრებს! ინგლისში მთელი მიწის მესამედი ზედა პალატის წევრებს ეკუთვნის. «ლენდლორდიზმი (მემამულური მიწათმფლობელობა) ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი მონოპოლია არისო». ლენდლორდთა ძალაუფლება უსაზღვროა. მათ შეუძლიათ გააძევონ მოიჯარადრეები, გაავერანონ მიწა — მტერზე უარესად. არა, მე თავს არ ვესხმი არც პიროვნებებს, არც კლასს, — თავგამოდებით გაიძახოდა მინისტრი, — მაგრამ განა შეიძლება ასეთი მდგომარეობა დავტოვოთო?

უკანასკნელ ათწლეულთა განმავლობაში მიწათმოქმედი მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა, ორ მილიონზე მეტი იყო და ერთნახევარ მილიონამდე დავარდა, ხოლო მონადირე მცველთა რაოდენობა გადიდდა 9 000-დან 23 000-მდე. არ არსებობს დედამიწაზე არც ერთი ქვეყანა, სადაც ამდენი დაუმუშავებელი მიწა იყოს, სადაც მეურნე-ფერმერებს ასეთ ზარალს აყენებდეს გარეული ფრინველი და ნადირი, რომელთა მოშენებას ეწევიან მდიდრები თავის გასართობად.

თავბრუდამხვევი სისწრაფით იზრდება ინგლისის სიმდიდრე. ხოლო სოფლის მუშები? მათი $^{9}/_{10}$ ღებულობს 20$^{1}/_{2}$ შილინგზე ნაკლებს (დაახლოებით 10 მანეთს) კვირაში — თანხა, რომელიც მუშათა სახლებში აუცილებლად მიაჩნიათ, რომ კაცი შიმშილით არ მოკვდეს. სოფლის მეურნეობის მუშების 60% ღებულობს 18 შილინგზე (დაახლოებით 9 მანეთი) ნაკლებს კვირაში.

კონსერვატორები გვირჩევენ მიწის გამოყიდვას წვრილწვრილ ნაკვეთებად. მაგრამ ვინც გამოყიდვაზე ლაპარაკობს—

ჰქუხდა ინგლისელი როდიჩევი — მას ვეკითხები: რ ა ფ ა-ს ა დ? (საერთო ხარხარი).

ხომ არ გასრესს წვრილ მყიდველს მაღალი ფასი? ხომ არ გასრესს მას დიდი გადასახადები? ჩვენში არსებობს კანონი მუშებისთვის მიწის მიცემის შესახებ. აი მაგალითები. ერთი ნაკვეთი მიწის ყველა გადასახადი და ბეგარა შეადგენს 30 გირვანქა სტერლინგს (დაახლოებით 270 მან.). მას ყიდულობენ და წვრილ-წვრილ ნაკვეთებად მიჰყიდიან ხოლმე ღარიბებს ნაწილ-ნაწილი გადახდით. გადასახდელი კი 60 გირვანქა გამოდის!

ინგლისის სოფლების გაუკაცრიელება კი უმწეობის საფრთხეს უქმნის ჩვენს ქვეყანას — ძლიერი გლეხობა თუ არ არის, არც ძლიერი ჯარია. განა შეელევა უხეში ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გაღვივებას რუსი და ინგლისელი ლიბერალი?

მიწა მემამულეებს როდი შეუქმნიათ — წამოიძახა ლოიდ-ჯორჯმა — ქვეყანამ არჩევანი უნდა მოახდინოს მემამულეების ძალაუფლებასა და მუშების კეთილდღეობას შორის. უნდა ვიმოქმედოთ მტკიცედ, გაბედულად მონოპოლიების წინააღმდეგ, — მიწის საკუთრება კი უდიდესი მონოპოლიაა. ფერმერ-მოიჯარადრეს გარანტია უნდა მიეცეს, რომ მას არ გააგდებენ, არ წაართმევენ მისი ენერგიისა და ოსტატობის ნაყოფს (ხმა კრებიდან: რა ზომებს გვირჩევთ?). უნდა ვიმოქმედოთ. კმარა გაუბედავი ცდები და ნახევარზომები. უნდა ვიმოქმედოთ რადიკალურად, როგორც საქმიანი ადამიანები იქცევიან. ლაპარაკია მონოპოლიების არა შეკეთებაზე, არამედ მოსპობაზე.

უნდა უზრუნველვყოთ მუშა ხელფასის მინიმუმით, შევამციროთ სამუშაო დღე, მივცეთ მას წესიერი, ხეირიანი პატარა სახლი, მივცეთ მიწის მცირე ნაკვეთი, რომ მას შეეძლოს ზოგიერთი პროდუქტის მოყვანა ოჯახისთვის! უნდა შეიქმნას პ რ ო გ რ ე ს ი ს კ ი ბ ე, რომ «თაოსნიან» მუშებს შეეძლოთ მასზე ასვლა მცირე ნაკვეთიდან, ბოსტნიდან, პატარა დამოუკიდებელი მეურნეობისაკენ. ხოლო უფრო თაოს-

ნიანი მუშები უფრო შორს უნდა წავიდნენ და მსხვილი ფერმერები გახდნენ ჩვენს ქვეყანაში. თქვენ გხიბლავენ ამერიკაში, ავსტრალიაში გადასახლების მშვენიერებით. ჩვენ კი გვინდა, რომ ბრიტანელი მუშა აქ, ინგლისში, საკუთარ მშობლიურ მიწა-წყალზე პოულობდეს საზრდოს, პოულობდეს თავისუფალ ცხოვრებას, პოულობდეს ხელსაყრელ პირობებს თავისთვისაც და თავისი ბავშვებისთვისაც.

გაისმის ტაშის გრიალი... და გრძნობთ, რომ გაუბრიყვებელ მსმენელთა განმარტოებული ხმები (იმის მაგვარი, რომელმაც წამოიძახა: თქვენ რას გვირჩევთო?) თითქოს შენიშნავენ: კარგად ჭიკჭიკებს, მაგრამ სადღაც ჩაჯდებაო...

კარგად ჭიკჭიკებს ინგლისის ლიბერალი მინისტრი, მეშჩანთა საყვარელი ადამიანი, მუშების უზომო მოტყუებით გაფიცვების ჩაშლის უდიდესი ოსტატი, საუკეთესო მსახური ინგლისის კაპიტალისა, რომელიც იმონებს ბრიტანეთის მუშებსაც და ინდოეთის 300 მილიონ მოსახლეობასაც. მაგრამ რა ძალამ აიძულა ეს გაქნილი საქმოსანი, ფულის ქისის ლაქია, ასეთი «რადიკალური» სიტყვები წარმოეთქვა?

მუშათა მოძრაობის ძალამ.

ინგლისში მუდმივი ჯარი არ არის. ხალხს ვერ შეიმაგრებ ძალადობით, — მისი შემაგრება შეიძლება მხოლოდ მოტყუებით. მუშათა მოძრაობა შეუჩერებლივ იზრდება. უნდა შევაქციოთ მათი ყურადღება, უნდა «გავართოთ» მასები რეფორმების მრავალალმთქმელი პროექტებით, უნდა მოვაჩვენოთ მასებს, რომ კონსერვატორებს ვეომებით, უნდა შევპირდეთ ნასუფრალს, ოღონდ მასებმა არ დაკარგონ ლიბერალების რწმენა, ოღონდ ისინი გაჰყვნენ, როგორც ცხვრები მწყემსს — სამრეწველო და ფინანსურ კაპიტალისტებს.

რაც შეეხება რეფორმების დაპირებას... განა ინგლისური ანდაზა არ ამბობს, დაპირება ქადის ქერქსა ჰგავსო: მას ამზადებენ, რათა გატეხონო. ლოიდ-ჯორჯი დაპირებას იძლევა, მთელი ლიბერალური სამინისტრო კი მისი განმახორციელებელი იქნება და ერთიხუთად შეკვეცავს ამ დაპირებას. ხოლო

კონსერვატორები ერთხელ კიდევ შეკვეცენ — გამოვა ერთიათად შეკვეცა.

ინგლისის ბურჟუაზიის რეფორმიზმი ცხადზე უცხადესად გვიჩვენებს ინგლისის მუშათა კლასის ღრმა რევოლუციური მოძრაობის ზრდას. ბრტყელ-ბრტყელად მოუბარნი და ლიბერალი შარლატნები ამ მოძრაობას ვერ შეაჩერებენ.

«ზა პრავდუ» № 8,
1913 წ. 12 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «ზა პრავდუს»
ტექსტის მიხედვით

ცუდი საქმის ცუდი დაცვა

ვინმე გრ. გოლოსოვმა საშინლად იწყინა, რომ მე «პროსვეშჩენიეში» ჩხეიძეს «პარტიის შორიახლო სოციალ-დემოკრატი» ვუწოდე *.

გრ. გოლოსოვი ცოფებსა ყრის, ილანძღება რაც ძალა და ღონე აქვს, უამრავ ძახილისა და კითხვით ნიშანს ხმარობს. მაგრამ რაც უფრო მეტად ბრაზობს გრ. გოლოსოვი, მით უფრო ცხადი ხდება, რომ ბრაზიანი წამოძახილებით ის ჩქმალავს დამამტკიცებელი საბუთების უქონლობას.

ჩხეიძეს მე პარტიის შორიახლო პირი ვუწოდე. გოლოსოვისთვის ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ ის გააბათილებდა ჩემს ნათქვამს, თუ ჩხეიძის პ ა რ ტ ი უ ლ ო ბ ა ს დაამტკიცებდა.

მე აღვნიშნე ის ფაქტი, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ისტორიის (აგრეთვე პარტიის აღორძინების ისტორიის) ყველაზე კრიტიკულ მომენტში ჩხეიძემ «გვერდი აგვიარა». როდესაც ლიკვიდატორული და ანტილიკვიდატორული პრესა ყალიბდებოდა (1911 წელი და 1912 წლის დამდეგი), ჩხეიძე ა რ ყ ო ფ ი ლ ა ა რ ც ა ქ, ა რ ც ი ქ.

აბათილებს თუ არა ჩემი ბრაზიანი მოწინააღმდეგე ამ ზუსტად აღნიშნულ ფაქტს?

არა. ბრაზიანი გრ. გოლოსოვი ვერ აბათილებს, მას არ შეუძლია გააბათილოს ეს ფაქტი. გაბრაზებულია, მაგრამ ღონიერი ვერ არის საბრალო გოლოსოვი! ის შეშინებული

* იხ. ეს ტომი, გვ. 488. რ ე დ.

გვერდს ჯვლის იმ ფაქტს, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩხეიძის საქციელი (მიუხედავად მისი ორატორული ნიჭისა და პარლამენტური გამოცდილებისა) პ ა რ ტ ი ი ს შ ო რ ი ა ხ ლ ო ადამიანის საქციელი იყო.

ბრაზიან გრ. გოლოსოვს რომ ფიქრი შეეძლოს, მიხვდებოდა, რომ პარტიული ადამიანის ნიშანია უაღრესად ენერგიული, პირდაპირი, აშკარა მონაწილეობა თავისი პარტიის (და არა მარტო პარტიის სათათბიროს ფრაქციის) საქმეში. ლიკვიდატორული და ანტილიკვიდატორული პრესის შექმნა უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო მარქსისტული მთელის უახლეს ისტორიაში. მაშასადამე, ჩხეიძე რომ პარტიის შორიახლო ადამიანია, ეს მე უცილობლად დავამტკიცე.

გრ. გოლოსოვი რაღაც ისტერიული გაბოროტებით გაიძახის: «პარტია არის იქ, სადაც ვ. ილინი ზის გრ. ზინოვიევთან ერთადო».

კეთილი გოლოსოვი კისრულობს აქ მეტად საინტერესო და უმნიშვნელოვანესი საკითხის წამოყენებას — ს ა დ ა რ ი ს პარტია. და თუ თვითონ გრ. გოლოსოვს ფიქრის უნარი არ შესწევს, სამაგიეროდ ყველა მუშა ფიქრობდა და ფიქრობს ამაზე.

პარტია ა რ ი ს ი ქ, სადაც იმყოფება შეგნებული, პოლიტიკური ცხოვრების მონაწილე მარქსისტი მუშების უმრავლესობა.

გრ. გოლოსოვი სწორედ იმიტომ ბრაზობს ასე ისტერიულად, რომ გრძნობს თავის უძლურებას გააბათილოს ეს უბრალო ჭეშმარიტება.

IV სათათბიროს არჩევნებმაც, «პრავდის» წარმოშობისა და ზრდის ისტორიამაც, მელითონეთა კავშირის გამგეობის არჩევნებმაც, დაზღვევის კამპანიამაც, მუშების რეზოლუციებმაც მუშათა ექვსი დეპუტატის სასარგებლოდ — ყოველივე ამან დ ა ა მ ტ კ ი ც ა, რომ პარტია ექვსეულის მხარეზეა, მათი ხაზის მხარეზეა. მ ა თ ი ლოზუნგები მიღებული და შემოწმებულია მუშების მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მოქმედებით მუშათა მოძრაობის ყველა სფეროში.

ბრაზიანი გოლოსოვი სწორედ იმიტომ ბრაზობს, რომ უძ-ლურია გააბათილოს ზუსტი, ცხადი, უდავო ფაქტები მარქსისტების გამარჯვებისა ლიკვიდატორებზე და არჩევნებში, პროფესიულ კავშირებშიც, ყოველდღიური გაზეთების შექმნის საქმეშიც, დაზღვევის კამპანიაშიც.

იმათ, ვის წინააღმდეგაც არის ყ ვ ე ლ ა ფაქტი, არაფერი დარჩენიათ, გარდა «გაბრაზებისა» და ისტერიკისა.

პარტია არის იქ, სადაც დარაზმულია მუშების უმრავლესობა იმ პარტიულ გადაწყვეტილებათა გარშემო, რომლებიც მთლიან, სისტემატურ, ზუსტ პასუხს იძლევიან უმნიშვნელოვანეს კითხვებზე. პარტია არის იქ, სადაც ამ გადაწყვეტილებათა ერთიანობით და ამ გადაწყვეტილებათა კეთილსინდისიერი განხორციელების ერთიანი ნებით გაერთიანებულია შეგნებული მუშების უმრავლესობა.

იცავს რა ჩხეიძის (და შვიდეულის) «უფლებას» — მუშათა კლასის ამ გადაწყვეტილებათა, ამ ნების დარღვევის «უფლებას», გრ. გოლოსოვი, ისე როგორც ყველა ლიკვიდატორი, ანგრევს მარქსისტულ ორგანიზაციას უპარტიობის სასარგებლოდ.

ეჭვი არ არის, რომ მუშები კვლავაც მხარს დაუჭერენ თ ა ვ ი ა ნ თ ი ექვსი დეპუტატის პოზიციას შვიდეულის პოზიციის, პ ა რ ტ ი ი ს შ ო რ ი ა ხ ლ ო პოზიციის წინააღმდეგ.

«ზა პრავდუ» № 12,
1913 წ. 17 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

•ბეჭდება
გაზეთ «ზა პრავდუს»
ტექსტის მიხედვით

განცხადება [106]

პატივცემულო ამხანაგებო!

სახელმწიფო სათათბიროში ერთი წლის ერთად მუშაობამ გამოააშკარავა მთელი რიგი შეხლა-შემოხლა და უთანხმოება ჩვენსა და თქვენს, ე. ი. დანარჩენ შვიდ სოციალ-დემოკრატ დეპუტატს შორის. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ აშკარა პოლემიკა იმართებოდა პრესაში, ხოლო თქვენმა უკანასკნელმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც თქვენ მიიღეთ სახელმწიფო სათათბიროს დახურვის წინა დღეებში 1913 წლის ივნისს, როცა დეპუტატების ნაწილი უკვე წასული იყო, საბოლოოდ ცხადყო შექმნილი მდგომარეობის აუტანლობა და გამოუვალობა. ეს გადაწყვეტილებები, მიღებული თქვენ მიერ შვიდი ხმით ექვსის წინააღმდეგ, შემდეგია: უარი ეთქვას ბოლშევიკებს (ე. ი. 6 დეპუტატს) საბიუჯეტო კომისიის ორი ადგილიდან ერთზე და არჩეულ იქნას ერთი **(და არა ორი) ერთ** მნიშვნელოვან დაწესებულებაში.

მას შემდეგ, რაც **თქვენ** შვიდი **ხმით** ექვსის წინააღმდეგ არა ერთხელ წაგირთმევიათ მუშათა 6 დეპუტატისთვის სათათბიროში წამოყენებული ერთი ორატორი ორი ორატორიდან, აღნიშნული გადაწყვეტილება ის წვეთი აღმოჩნდა, რომელმაც ფიალა აავსო.

თქვენ იცით, რომ ჩვენ ვმოქმედებდით და ვმოქმედებთ მთლად და მხოლოდ და მხოლოდ თანამიმდევარი მარქსიზმის

სულისკვეთებით, იდეურად ვემხრობით ყველაფერში მის ზოგად გადაწყვეტილებებს.

თქვენ მოგეხსენებათ, ამხანაგებო, რომ არსებობს სავსებით ობიექტური ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენ არ ვაზვიადებთ, როცა ვლაპარაკობთ, რომ ჩვენი მოქმედება სავსებით ეთანხმება რუსეთის მარქსისტი მოწინავე მუშების დიდი უმრავლესობის შეგნებასა და ნებას. ეს დაამტკიცა «პრავდის», პირველი მუშათა გაზეთის, ისტორიამაც, — გაზეთისა, რომელიც შექმნა მუშათა მოძრაობის აღმავლობამ 1912 წლის აპრილ-მაისში და რომელმაც თავის გარშემო გააერთიანა მუშების უმრავლესობა. ეს დაამტკიცა «პრავდის» გავრცელებამ 40 000 ეგზემპლარის რაოდენობით. ეს დაამტკიცა მუშათა ჯგუფების ანარიცხებმა «პრავდის» სასარგებლოდ, რის შესახებაც მუდამ აშკარად ბეჭდავდა ცნობას ეს გაზეთი. ეს დაამტკიცა IV სათათბიროს არჩევნებმა მუშათა კურიაში; ამ არჩევნებმა კურიის დეპუტატებად მოგვცა მხოლოდ ბოლშევიკები და II და III სახელმწიფო სათათბიროს მუშათა კურიის არჩევნებთან შედარებით ცხადყო რუსეთის შეგნებულ მუშებში მარქსიზმისა და ანტილიკვიდატორულ რწმენათა უცილობელი, ყველასათვის უდავო, უდიდესი ზრდა. დასასრულ, ეს დაამტკიცა მელითონეთა კავშირის გამგეობის არჩევნებმა ს.-პეტერბურგში და წელს მოსკოვის პირველი მუშათა გაზეთის ისტორიამ. თავისთავად ცხადია, ჩვენ უეჭველ მოვალეობად მიგვაჩნია ვიმოქმედოთ რუსეთის მარქსისტულად დარაზმული მუშების უმრავლესობის ნებასთან მტკიცე თანხმობით.

თქვენ კი, შვიდი დეპუტატი, მოქმედებთ ამ ნების დამოუკიდებლად და მის წინააღმდეგ. თქვენ თამამად იღებთ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება შეგნებული მუშების უმრავლესობის ნებას. მოგაგონებთ თუნდაც იმას, რომ თქვენ ზოგიერთ ორჭოფ საფუძვლებზე. არა-სოციალ-დემოკრატი იაგელო მიიღეთ, რომელიც დღემდე პოლონეთის არც ერთ სოციალ-დემოკრატს არ უცვნია, ანდა — წინააღმ-

დეგ მუშების უმრავლესობის ნებისა — მიიღეთ ნაციონალისტური ლოზუნგები, ეგრეთწოდებული კულტურულ-ნაციონალური ავტონომია და სხვა. ჩვენ ზუსტად არ ვიცით თქვენი დამოკიდებულება ლიკვიდატორულ მიმდინარეობასთან და ვფიქრობთ, რომ თქვენ უფრო იხრებით ლიკვიდატორობისაკენ და არა სრული მომხრე ხართ მისი. მაგრამ როგორც უნდა იყოს, უდავო ფაქტია, რომ თქვენ სავალდებულოდ არა თვლით რუსეთის იმ შეგნებული მუშების უმრავლესობის აზრსა და მოთხოვნებს, რომლებთანაც ჩვენ ხელიხელჩაკიდებული მივდივართ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ პირობებში მსოფლიოს ყოველი ქვეყნის ყოველი სოციალისტი, ყოველი შეგნებული მუშა საშინელ უცნაურობად ჩათვლის თქვენს მისწრაფებას — შეგვავიწროოთ ერთი ხმით, წაგვართვათ ერთი ადგილი ორიდან სათათბიროს კომისიებში ან სხვა დაწესებულებებში, სათათბიროს ორატორების სიაში და სხვ., თავს მოგვახვიოთ ისეთი ტაქტიკა და პოლიტიკა, რომელთაც გმობს რუსეთის შეგნებული მუშების უმრავლესობა.

ჩვენ აღვიარებთ და არ შეგვიძლია არ აღვიაროთ, რომ ამჟამად შეურიგებელია ჩვენი უთანხმოებანი არა მარტო სათათბიროს ხაზით მუშაობის სფეროში. ჩვენ იძულებული ვართ თქვენი მისწრაფება ჩვენი შევიწროებისა და ორი ადგილიდან ერთის წართმევისა აღვიაროთ უეჭველ გამთიშველ მისწრაფებად, რაც სპობს ერთად მუშაობის ყოველგვარ შესაძლებლობას. მაგრამ, ანგარიშს ვუწევთ რა მუშების მტკიცე სურვილს თუნდაც გარე სამყაროს წინაშე შევინარჩუნოთ სოციალ-დემოკრატი დეპუტატების ერთიანობა თუნდაც სათათბიროს ხაზით მუშაობაში, ანგარიშს ვუწევთ რა ჩვენს ერთი წლის გამოცდილებას, რომელმაც ცხადყო, რომ შესაძლებელია შეთანხმების გზით ასეთი ერთიანობის მიღწევა სათათბიროში გამოსვლებისას, წინადადებას გაძლევთ დააწესოთ ზუსტად და ნათლად, ერთხელ და სამუდამოდ, რომ შეუწყნარებელია ყოველგვარი

შეეიწროება 7 ხმით კურიის მუშათა დეპუტატების ექვსეულისა. IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ნამდვილი ერთიანობის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით, თუ სავსებით და მტკიცედ იქნება აღიარებული შვიდეულისა და ექვსეულის თანასწორობა, მათ შორის შეთანხმების პრინციპის გატარება სათათბიროს ხაზით მუშაობის ყველა საკითხში.

«ზა პრავდუ» № 13,
1913 წ. 18 ოქტომბერი

იბეჭდება
გაზეთ «ზა პრავდუს»
ტექსტის მიხედვით

სათათბიროს «შვიდეული»

სახელმწიფო სათათბიროს შვიდი დეპუტატის გრძელ-გრძელი განცხადებები და მსჯელობა ლიკვიდატორობის დასაცავად მეტად უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს.

შვიდეული მუდამ მსჯელობს მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ სათათბიროს ხაზით მუშაობაზე, ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს ხაზით სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწეობაზე.

თავრიდის სასახლის გარეთ შვიდეულისთვის ორგანიზებული ა რ ა ფ ე რ ი არსებობს! «ჩვენ შვიდივემ გადავწყვიტეთ, ჩვენ და იაგელომ ხმა მივეცით, ჩვენ ორატორები გავგზავნეთ, ჩვენ მივიღეთ დეკლარაციაო» — შვიდეულისგან მხოლოდ ეს გესმის და მეტი არაფერი. «ჩვენნა ვართ სათათბიროელნი», «ჩვენნა ვართ სათათბიროში» — ამის გარდა შვიდეულმა არაფერი იცის და არაფერი გაეგება მას.

შვიდეული უკვე იმდენად არის მოშხამული ლიკვიდატორობით, რომ აღარ ესმის მარქსიზმის ანაბანა.

მარქსისტულად თუ განვსჯით, დეპუტატები სათათბიროში უნდა ატარებდნენ ა რ ა თ ა ვ ი ა ნ თ ნებას, არამედ მარქსისტული ორგანიზაციის ნებას, ა რ ა თ ა ვ ი ა ნ თ გადაწყვეტილებებს, არამედ მარქსისტული მთელის გადაწყვეტილებებს, ა რ ა თ ა ვ ი ა ნ თ ტაქტიკას, არამედ მის ტაქტიკას. სირცხვილია და თავისმოჭრა, რომ მარქსიზმის ამ ანაბანის განმარტება გვიხდება სათათბიროს დეპუტატებისთვის! ხადამდე მისულა მათი ქანაობა ლიკვიდატორობისკენ,

თუ ისინი ბედავენ გამოვიდნენ როგორც უპარტიოები, როგორც დამანგრეველი პროლეტარული პოლიტიკური ორგანიზაციისა!

შვიდ მოლიკვიდატოროს ეშინიათ კიდევაც დაეყენონ საკითხი, თუ «სად არის მარქსისტული ორგანიზაცია».

ყველაფრის დედააზრი კი სწორედ ამაშია.

მთელი ყვირილი ერთიანობაზე — სულ მთლად თვალთმაქცობაა, როცა გვერდს უვლიან რუსეთის მარქსისტულად ორგანიზებული, მოწინავე, შეგნებული მუშების უმრავლესობის ერთიანი ნების, ერთიან გადაწყვეტილებათა, ერთიანი ტაქტიკის საკითხს.

გაზეთმა «ზა პრავდუ» დიდი ხანია აღნიშნა, რა მონაცემების მიხედვით შეიძლება (და კიდევაც უნდა) ვიმსჯელოთ მუშების უმრავლესობის მარქსისტულ ნებაზე, რომლის მიმართ ურჩობა არის გამთიშველობა, დეზორგანიზაციანგრევა.

ეს მონაცემებია: 1) IV სათათბიროს არჩევნები მუშათა კურიაში; 2) მუშათა გაზეთების ისტორია; 3) პროფესიული კავშირები. ევროპაში ამას უმატებენ კიდევ უმთავრესს: ღია წიგნში შეტანილ პოლიტიკური პარტიის წევრთა რაოდენობას. ყველამ იცის, რომ რუსეთში ასეთი მონაცემები შეუძლებელია იყოს; ნაწილობრივ მათ ცვლის ზოგადი გადაწყვეტილებები, რაც სავალდებულოა ყოველი პატიოსანი მუშისთვის.

ლიკვიდატორები და შვიდეული კრინტსაც არ ძრავენ ამაზე, კრინტსაც არ ძრავენ მარქსისტული ორგანიზაციის ნიშნებზე, მის გადაწყვეტილებებზე, მის ტაქტიკაზე! ლიკვიდატორებსა და შვიდეულს სურთ «ერთიანობა», ესე იგი მუშათა ექვსი დეპუტატის დამორჩილება შვიდი უპარტიოსთვის, **ესე იგი მარქსისტული მთელის ნების დარღვევა.**

ლიკვიდატორებსა და შვიდეულს სურთ, რომ სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატების ჯგუფი მოქმედებ-

დეს საკუთარი პასუხისმგებლობით და რისკით, როგორც თვითონ მოისურვებს, ამ მთელის **გარეშე და** მის **წინააღმდეგ.** და ამ სამარცხვინო, დეზორგანიზატორულ მოთხოვნას ისინი ერთიანობის მოთხოვნას უწოდებენ.

შვიდეულის ყვირილი ერთიანობაზე მოგვაგონებს ცნობილ ანეგდოტს: შვიდს სურს «გაერთიანდეს» ექვსთან, როგორც ადამიანი «ერთიანდება» პურის ნატეხთან. იგი მას ჭ ა მ ს.

შვიდ უპარტიოს სურს შეჭამოს ექვსი მარქსისტი და მოითხოვს, რომ ამას ეწოდოს «ერთიანობა».

მარქსისტული ორგანიზაციის დანგრევა მუშების უმრავლესობისგან მ ო წ ყ ვ ე ტ ი ლ ი შვიდეულის მიერ, მ ო ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ო დეპუტატების შვიდეულის მიერ, იმ შვიდეულის მიერ, რომელსაც დავიწყებია, რომ სათათბიროში ისინი მხოლოდ მუშების უმრავლესობის ნების გ ა მ ტ ა რ ე ბ ლ ე ბ ი არიან, — აი როგორ იქცევიან ლიკვიდატორები და შვიდი დეპუტატი!

მუშათა კლასის ორგანიზაციის თავგასული მტრების ამ გაუგონარი დეზორგანიზატორული საქციელის წინააღმდეგ გამოდის მუშათა კლასი და გადაჭრით მოითხოვს დამორჩილებას სათათბიროს ხაზით მ უ შ ა ო ბ ა შ ი ც.

«ზა პრავდუ» № 19,
1913 წ. 25 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ. ფ.

იბეჭდება
გაზეთ «ზა პრავდუს»
ტექსტის მიხედვით

ლიბერალური ბურჟუაზია და ლიკვიდატორები

რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის მთავარ პარტიას, კადეტურ პარტიას, თავის მთავარ შტაბში ცოტა როდი ჰყავს ევროპული განათლების პირები. ჩვენს დროში განათლებული ადამიანი ვერ იქნები, — თუ საერთოდ არ იცნობ მარქსიზმსა და დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობას.

რუსეთის კადეტებს, მათს პარტიაში ბურჟუაზიული ინტელიგენციის სიუხვის გამო, რასაკვირველია, აქვთ ასეთი ცოდნა, არიან მათში მთელი რიგი ისეთი პირნიც, რომელნიც ახალგაზრდობაში თვითონ იყვნენ მარქსისტები ან თითქმის-მარქსისტები და წელთა განმავლობაში «მოჭკვიანდნენ» და ლიბერალური ობივატელები გახდნენ.

ყოველივე ამით აიხსნება განსხვავება სოციალ-დემოკრატიისადმი ძველ, ევროპის, და ახალ, რუსეთის, ლიბერალთა დამოკიდებულებაში. პირველნი იბრძოდნენ სოციალ-დემოკრატიის წარმოშობის წინააღმდეგ, უარყოფდნენ მისი არსებობის უფლებას; მეორენი იძულებული არიან შეურიგდნენ ფ ა ქ ტ ს: «ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, — წერს «რეჩის» (№ 287) მოწინავე სტატია, — რომ რუსეთში სოციალ-დემოკრატიას უწერია პროლეტარიატის ლეგალური პოლიტიკური პარტია გახდეს». ამიტომ ჩვენი ლიბერალების ბრძოლამ სოციალ-დემოკრატიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მიიღო **სოციალ-დემოკრატიაში** ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო ბრძოლის ფორმა.

რადგან ჩვენებური ლიბერალური ბურჟუები უძლური არიან ხელი შეუშალონ სოციალ-დემოკრატიის წარმოშობას და ზრდას, მათ მთელი ზრუნვა იქით მიმართეს, რომ ი ს ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ა დ გ ა ზ რ დ ი ლ ი ყ ო. აქედან გამომდინარეობს ჩვენი კადეტების მრავალი წლის და სისტემატური მისწრაფება მხარი დაუჭირონ ოპორტუნიზმს (და განსაკუთრებით ლიკვიდატორობას) სოციალ-დემოკრატიის რიგებში; ასეთი მხარის დაჭერა ლიბერალებს ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ა დ მიაჩნიათ ე რ თ ა დ ე რ თ საშუალებად, რომ შეინარჩუნონ ლიბერალური გავლენა პროლეტარიატზე, შექმნან ისეთი მდგომარეობა, რომ მუშათა კლასი დამოკიდებული იყოს ლიბერალურ ბურჟუაზიაზე.

ამიტომ მეტად საგულისხმოა, თუ როგორ შეფასებას აძლევენ ლიბერალები მუშათა ექვსი დეპუტატის ბრძოლას შვიდი მოლიკვიდატორო დეპუტატის წინააღმდეგ. ლიბერალები, რომლებიც გარედან უყურებენ, იძულებული არიან აღიარონ პირდაპირ ძირითადი ფაქტი: შვიდნი, ესენი არიან «სოციალ-დემოკრატიის პარლამენტური ელემენტები», ეს არის «პარლამენტური მუშაობის პარტია», მათ რიგებშია «სათათბიროს სოციალ-დემოკრატიის მთელი ინტელიგენცია». ეს არის «ღია პარლამენტური პარტიისაკენ წამყვანი სოციალ-დემოკრატიის ევოლუციის» ხაზი, ხაზი, რომელიც დაკავშირებულია «ტაქტიკის» განსაკუთრებულ «მიმართულებასთან». ««ნოვაია რაბოჩაია გაზეტა» — სოციალ-დემოკრატი პარლამენტარიების ორგანოა».

პირიქით, «ზა პრავდუ» — «შეურიგებელთა ორგანოაო», წერს «რეჩი». ეს არის არა პარლამენტური მუშაობის პარტია, არამედ «მოპირდაპირე პარტია».

«დ ე პ უ ტ ა ტ-ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ტ ე ბ ი ს» პარტია «მ უ შ ა თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს» წინააღმდეგ, აი «რეჩის» შეფასება. «რეჩი» მანჭვა-გრეხით ირწმუნება, თითქოს შეუძლებელია ვიცოდეთ, ვის მიჰყვება მუშების უმრავლესობა, მაგრამ იმწამსვე თვითონვე იმათრახებს თავს შემდგომ ფრიად საგულისხმო ფრაზაში:

«რაც უფრო ძლიერ შეფერხდება — წერს ის — გადასვლა ასეთ ნორმალურ» (ე. ი. აშკარა, ლეგალურ) «არსებობაზე, მით უფრო მეტი საფუძველი არსებობს მოველოდეთ, რომ სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენციის პარლამენტური უმრავლესობა იძულებული იქნება დაუთმოს პარლამენტსგარე მუშათა უმრავლესობას და მის ახლანდელ სულისკვეთებას. ჩვენ ვიხილეთ მიმართულებათა ასეთი დაყოფის სამწუხარო შედეგები 1905 წლის დამლევს. და ვის როგორც უნდა შეხედოს თანამედროვე ჩიხიდან მომავალ გამოსვლას, არა მგონია მოინახონ იმ შეცდომების დამცველნი, რომლებიც ჩაიდინეს იმ ზამთრის თვეებში სტიქიური მასობრივი სულისკვეთების გამოუცდელმა ხელმძღვანელებმა». ასე წერს «რეჩი».

ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ ის, რაც ახლა განსაკუთრებით გვაინტერესებს ამ აღსარებაში.

პარლამენტსგარე მუშათა უმრავლესობა წინააღმდეგია «სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენციის პარლამენტური უმრავლესობისა» — აი დედაარსი შვიდეულთან ექვსეულის დავისა, რაც ლიბერალებისთვისაც კი ახლა გამოაშკარავდა.

შვიდეული და «ნოვაია რაბოჩაია გაზეტა», ეს უმრავლესობა იმ ინტელიგენციისა, რომელიც თავის თავს სოციალ-დემოკრატიულს უწოდებს, წინააღმდეგია «პარლამენტსგარე მუშათა უმრავლესობისა» წინააღმდეგია პარტიისა.

ძველი პარტია აღარ არის, ძველი პარტია საჭირო არ არის, შეველევით პარტიას, დავჯერდებით ერთ გაზეთს და სათათბიროს ხაზით მუშაობას, ვიქადაგებთ რა მომავალ აშკარა პარტიას, — აი შვიდეულის პოზიციისა და ყველა ლიკვიდატორის პოზიციის დედაარსი.

გასაგებია, ასე რატომ ეფერებიან ლიბერალები შვიდეულს და ლიკვიდატორებს, აქებენ მათ პარლამენტური პირობების გაგებისათვის, მათ ტაქტიკას უწოდებენ «რთულს, მოფიქრებულს, არა გამარტივებულს». შვიდეული და ლიკვიდატორები ლიბერალურ ლოზუნგებს ატარებენ მუშებში — როგორ არ უნდა აქონ ისინი ლიბერალებმა? ლიბერალებს მხოლოდ ის უნდათ, რომ შექმნან ინტელიგენტების, პარლამენტარიების, ლეგალისტების დასაყრდენი ძველი

პარტიის წინააღმდეგ, «პარლამენტსგარე მუშათა უმრავლესობის» წინააღმდეგ.

— დაე ამ დასაყრდენმა სოციალ-დემოკრატია უწოდოს თავის თავს — მთავარია არა სახელწოდება, არამედ მისი ლიბერალური მუშათა პოლიტიკა, — მსჯელობს განათლებული ბურჟუაზია და მისი თვალსაზრისით სავსებით სწორადაც მსჯელობს.

ლიბერალებმა გაიგეს (და წამოროშეს) ის, რაც დიდი ხანია გაგებული აქვს ყველა შეგნებულ, მოწინავე მუშას, სახელდობრ ის, რომ «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» ჯგუფი და მისი მიმყოლი შვიდეული ეს არის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გამოთიშული და პარტიის უარმყოფელი, არალეგალობის მაგინებელი დასაყრდენი ლიბერალური ინტელიგენციისა, რომელიც აწარმოებს დათმობათა სისტემატურ პოლიტიკას ბურჟუაზიული რეფორმიზმის მიმართ, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მიმართ და სხვ..

ნამდვილად პარტიული, ლიბერალური ბურჟუაზიისაგან ნამდვილად დამოუკიდებელი «პარლამენტსგარე მუშათა უმრავლესობის» ერთიანობა წარმოუდგენელია ისე, თუ გადამწყვეტი ბრძოლა არ გავუმართეთ მუშათა პარტიის ლიკვიდატორთა ამ ინტელიგენტურ დასაყრდენს.

«ზა პრავდუ» № 20,
1913 წ. 26 ოქტომბერი

იბეჭდება
გაზეთ «ზა პრავდუს»
ტექსტის მიხედვით

კაპიტალიზმი და მუშების იმიგრაცია

კაპიტალიზმმა შექმნა ხალხთა გადასახლება-დასახლების განსაკუთრებული სახე. მრეწველობის მხრივ სწრაფად მზარდი ქვეყნები, იყენებენ რა მეტ მანქანებს, აძევებენ რა ჩამორჩენილ ქვეყნებს მსოფლიო ბაზრიდან, ხელფასს ადიდებენ საშუალოზე ზევით და დაქირავებულ მუშებს იზიდავენ ჩამორჩენილი ქვეყნებიდან.

ამრიგად გადაჰყავთ ასიათასობით მუშები ასობით და ათასობით ვერსის მანძილზე. მოწინავე კაპიტალიზმი ძალით ითრევს მათ თავის ორომტრიალში, აშორებს მათ მივარდნილ კუთხეებს, ხდის მათ მსოფლიო-ისტორიული მოძრაობის მონაწილეებად, უპირისპირებს მათ მრეწველთა ძლიერს, გაერთიანებულს, საერთაშორისო კლასს.

ეჭვს გარეშეა, რომ მხოლოდ უკიდურესი სიღატაკე აიძულებს ადამიანებს მიატოვონ სამშობლო, რომ კაპიტალისტები ყოვლად უსინდისო ექსპლოატაციას უწევენ გადასახლებულ მუშებს. მაგრამ მხოლოდ რეაქციონერებს შეუძლიათ თვალი დახუჭონ ხალხთა ამ თანამედროვე გადასახლების პროგრესულ მნიშვნელობაზე. კაპიტალის უღლისაგან ხსნა არ არის და არც შეიძლება იყოს კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების გარეშე, მის ნიადაგზე კლასობრივი ბრძოლის გარეშე. სწორედ ამ ბრძოლაში აბამს კაპიტალიზმი მთელი მსოფლიოს მშრომელ მასებს, ამსხვრევს რა ადგილობრივი ცხოვრების დამყაყებულობას და ჩამორჩენილობას,

ანგრევს რა ნაციონალურ ტიხრებს და ცრურწმენებს და ერთად თავს უყრის ყველა ქვეყნის მუშებს ამერიკის, გერმანიისა და სხვ. უდიდეს ფაბრიკებსა და მაღაროებში.

ამერიკას პირველი ადგილი უჭირავს მუშების შემომყვან ქვეყნებში. აი მონაცემები ამერიკაში გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ:

ათ წელიწადში	1821 — 1830.....	99	ათასი გადასახლებული
»	1831 — 1840.....	496	» »
»	1841 — 1850.....1 597		» »
»	1851 — 1860.....2 453		» »
»	1861 — 1870.....2 064		» »
»	1871 — 1880.....2 262		» »
»	1881 — 1890.....4 722		» »
»	1891 — 1900.....3 703		» »
ცხრა წელიწადში	1901 — 1909.....7 210		» »

გადასახლება დიდად იზრდება და სულ უფრო ძლიერდება. ხუთი წლის განმავლობაში, 1905 — 1909, ამერიკაში გადასახლდა საშუალოდ (ლაპარაკია მხოლოდ შეერთებულ შტატებზე) მ ი ლ ი ო ნ ზ ე მ ე ტ ი კ ა ც ი წლიურად.

ამასთან საინტერესოა ცვლილება გადასახლებულთა (იმიგრანტების, ე. ი. ამერიკაში შესახლებულთა) შემადგენლობისა. 1880 წლამდე სჭარბობდა ეგრეთწოდებული ძ ვ ე ლ ი იმიგრაცია, ძველი კულტურული ქვეყნებიდან — ინგლისიდან, გერმანიიდან, ნაწილობრივ შვეციიდან. 1890 წლამდისაც კი ინგლისი და გერმანია ერთად იძლეოდნენ ყველა იმიგრანტის ნახევარზე მეტს.

1880 წლიდან იწყება ეგრეთწოდებული ა ხ ა ლ ი იმიგრაციის წარმოუდგენლად სწრაფი ზრდა აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპიდან, ავსტრიიდან, იტალიიდან და რუსეთიდან. ეს სამი ქვეყანა ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს იმიგრანტებს აძლევდა:

ათ წელიწადში	1871 — 1880 წ.წ.....	201	ათასს
»	1881 — 1890 »	927	»
»	1891 — 1900 » 1 847		»
ცხრა წელიწადში	1901 — 1909 » 5 127		»

ამრიგად, ძველი მსოფლიოს ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებს, რომელთაც ყველაზე უფრო მეტად შერჩენიათ ბატონყმობის ნაშთები ცხოვრების მთელ წყობაში, ასე ვთქვათ, ძალით ასწავლიან ცივილიზაციას. ამერიკული კაპიტალიზმი ჩამორჩენილი აღმოსავლეთი ევროპის (მათ შორის რუსეთისაც, რომელმაც 594 ათასი იმიგრანტი მისცა 1891 — 1900 წლებში და 1 410 ათასი 1900 — 1909 წლებში) მილიონობით მუშებს აშორებს ნახევრადშუასაუკუნებრივ ვითარებას და აყენებს პროლეტარიატის მოწინავე, საერთაშორისო, არმიის რიგებში.

საინტერესო დაკვირვებას ახდენს გურვიჩი, ავტორი მეტისმეტად საგულისხმო ინგლისური წიგნისა: «იმიგრაცია და შრომა», რომელიც გასულ წელს გამოვიდა. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ამერიკაში მიმავალი იმიგრანტების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა (1905 წ. — 1 მილიონი, 1906 წ. — 1,2 მილიონი, 1907 წ. — 1,4 მილიონი, 1908 — 1909 — 1,9 მილიონი წლიურად). მუშებმა, რომლებმაც ყოველგვარი გაფიცვები გადაიტანეს რუსეთში, ამერიკაშიც უფრო გაბედული, შეტევითი, მასობრივი გაფიცვების სულისკვეთება შეიტანეს.

რუსეთი სულ უფრო და უფრო უკან რჩება, საზღვარგარეთს აძლევს რა თავისი საუკეთესო მუშების ნაწილს; ამერიკა სულ უფრო სწრაფად მიდის წინ, შეჰყავს რა მთელი მსოფლიოდან ყველაზე ენერგიული, შრომისუნარიანი მუშათა მოსახლეობა *.

გერმანია, რომელიც მეტნაკლებად ამერიკის თანაბრად მიდის, მუშების გამშვები ქვეყნიდან იქცევა სხვათა მუშების მიმზიდველ ქვეყნად. იმიგრანტების რიცხვი გერმანიიდან

* გარდა შეერთებული შტატებისა ამერიკის სხვა სახელმწიფოებიც სწრაფად მიდიან წინ. უკანასკნელ წელს ამერიკაში გადასახლებულთა რაოდენობა იყო დაახლოებით 250 ათასი, ბრაზილიაში დაახლოებით 170 ათასი, კანადაში 200 ათასზე მეტი, სულ 620 ათასი წელიწადში.

ამერიკაში, რამაც 1881 — 1890 წლების ათწლეულში 1 453 ათასს მიაღწია, 1901 — 1909 წლების ცხრაწლეულში 310 ათასამდე დაეცა. უცხოელი მუშების რიცხვი კი გერმანიაში 1910 — 1911 წლებში იყო 695 ათასი, ხოლო 1911 — 1912 წლებში — 729 ათასი. ამ უკანასკნელთა დაყოფას თუ შევხედავთ მოსაქმეობისა და იმ ქვეყნების მიხედვით, საიდანაც ისინი გამოვიდნენ, შემდეგ სურათს დავინახავთ:

	უცხოელი მუშები, დაბანდებული გერმანიაში 1911 — 1912 წლებში (ათასებად)		
	სოფლის მეურნეობაში	მრეწველობაში	სულ
რუსეთიდან.....	274	34	308
ავსტრიიდან.....	101	162	263
დანარჩენი ქვეყნებიდან.....	22	135	157
სულ	397	331	728

რაც უფრო მეტად ჩამორჩენილია ქვეყანა, მით უფრო მეტ დაუხელოვნებელ, «შავ», სოფლის მუშას იძლევა. მოწინავე ერები ხელთ იგდებენ, ასე ვთქვათ, უკეთესი სახის მუშაობას. ნახევრადველურ ქვეყნებს კი უტოვებენ უფრო ცუდი სახის მუშაობას. საერთოდ ევროპა («დანარჩენი ქვეყნები») გერმანიას აძლევს 157 ათას მუშას, აქედან $^{8}/_{10}$-ზე მეტს (135-ს 157-დან) სამრეწველო მუშებს. ჩამორჩენილი ავსტრია აძლევს სამრეწველო მუშების მხოლოდ $^{6}/_{10}$-ს (162-ს 263-დან). ყველაზე ჩამორჩენილი რუსეთი — სამრეწველო მუშების მხოლოდ $^{1}/_{10}$-ს (34-ს 308-დან).

ამრიგად, რუსეთს ყველგან და ყველაფერში ურტყამენ მისი ჩამორჩენილობის გამო. მაგრამ რუსეთის მუშები, დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, ყველაზე უფრო მეტად აღწევენ თავს ამ ჩამორჩენილობას და სიველურეს, ყველაზე მეტ წინააღმდეგობას უწევენ საკუთარი სამშობლოს ამ «ძვირფას» თვისებებს, ყველაზე მჭიდროდ ირაზმებიან ერთ მსოფლიო-განმათავისუფლებელ ძალად ყველა ქვეყნის მუშებთან ერთად.

ბურჟუაზია ერთი ერის მუშებს უსისინებს მეორე ერის მუშებს და ცდილობს გათიშოს ისინი. შეგნებული მუშები, ესმით რა კაპიტალიზმის მიერ ყველა ნაციონალური ტიხრის მსხვრევის გარდუვალობა და პროგრესულობა, ცდილობენ ჩამორჩენილი ქვეყნების თავიანთ ამხანაგებს დაეხმარონ განათლებისა და დარაზმვის საქმეში.

«ზა პრავდუ» № 22,
1913 წ. 29 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «ზა პრავდუს»
ტექსტის მიხედვით

მასალები სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შიგნით არსებული ბრძოლის საკითხისათვის [107]

ერთი მხრივ, სახელმწიფო სათათბიროს ექვს სოციალ-დემოკრატ მუშათა (კურიის) დეპუტატს — ბადაევს, მალინოვსკის, მურანოვს, პეტროვსკის, სამოილოვსა და შაგოვსა და მეორე მხრივ, სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დანარჩენ შვიდ წევრს შორის ბრძოლა გაჩაღდა. როგორც ექვსეულმა, ისე შვიდეულმა მოწოდებებით მიმართეს მუშებს და სთხოვეს მათ განეხილათ საკითხი და გამოეთქვათ თავიანთი აზრი.

საკითხის განხილვა უკვე დაიწყო პეტერბურგის მუშებში; განხილვა რომ წარმატებით მიმდინარეობდეს, ჩვენ ვიძლევით მასალებისა და მოსაზრებების შეჯამებას, რაც საინტერესო იქნება ყოველი მუშისთვის, ვინც კი ზრუნავს „ძველი“ მარქსისტული“ ორგანიზაციის ბედ-იღბალზე.

ვისი ნება?

ძირითადი საკითხი, რომელიც დგება მუშების წინაშე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გათიშვის გამო, ეს არის მარქსისტული მთელისადმი სათათბიროს ფრაქციის დამოკიდებულების საკითხი. ვისმა ნებამ უნდა

განსაზღვროს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გადაწყვეტილებები, ტაქტიკა, მოქმედება?

ყველა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გამოცდილება ქვეყნად ნათელ და სავსებით უდავო პასუხს იძლევა ამ კითხვაზე. სოციალ-დემოკრატიის სათათბიროს დეპუტატები არიან გარკვეული ქვეყნის შეგნებული და გაერთიანებული პროლეტარიატის ნების გამტარებელნი. მოწინავე პროლეტარიატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთაც იგი ატარებს მთელ თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლაში, ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული წარმომადგენლობისათვის. პარლამენტის ის დეპუტატები, რომლებიც არ ეთანხმებიან შეგნებული, გაერთიანებული, მოწინავე პროლეტარიატის ნებას, უარს ამბობენ რწმუნებულებაზე, ე. ი. უარს ამბობენ დეპუტატის წოდებაზე.

უწინარეს ყოვლისა ნათლად უნდა გავიგოთ და მტკიცედ შევითვისოთ ეს ზოგადი და ძირითადი დებულებები, რომელთაც ყველა მარქსისტი იზიარებს მთელ დედამიწის ზურგზე, რათა საშუალება არ მივცეთ სხვადასხვა არაკეთილსინდისიერ ადამიანებს არიონ და გააბუნდოვანონ საკითხი.

თუ ვინმე დაიწყებს სათათბიროს სოციალ-დემოკრატების დამოუკიდებლობის დაცვას დარაზმული და შეგნებული მუშების უმრავლესობის ნებისაგან, ასეთი ადამიანი ერთბაშად აღმოჩნდება მარქსისტული ორგანიზაციის მტერი და სოციალ-დემოკრატი მუშების ყოველგვარი ერთიანობის, ყოველგვარი შეთანხმებული მუშაობის დამრღვევი.

ახლა იბადება კითხვა, როგორ განვსაზღვროთ ჩვენ, რუსმა მუშებმა, რუსეთის შეგნებული და ერთ მთელად დარაზმული სოციალ-დემოკრატი მუშების უმრავლესობის ნება და გადაწყვეტილებები?

როგორია რუსეთის შეგნებული მუშების უმრავლესობის ნება?

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთიან პოლიტიკურ მთელად დარაზმული პროლეტარიატის ნების გასარკვევად მიჩნეულია შემდეგი ნიშნები.

ჯერ-ერთი, მუშათა გაზეთები. როცა პროლეტარიატი მხარს უჭერს ამა თუ იმ მუშათა გაზეთს, ამით ის განსაზღვრავს თავის პოლიტიკურ ნებას, განსაზღვრავს, რომელ მიმართულებას ემხრობა ის.

მეორე, პარლამენტის არჩევნები. სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო კანონი სხვადასხვანაირია, მაგრამ ხშირად შეიძლება შეუცდომლად განვსაზღვროთ, რ ო გ ო რ დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ს ირჩევს მუშათა კლასი. მუშების მიერ არჩეული დეპუტატების **მიმართულება მიუთითებს** პროლეტარიატის **ნებას.**

მესამე, ყოველგვარი მუშათა კავშირები და საზოგადოებები, განსაკუთრებით პროფესიული კავშირები, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ კაპიტალის წინააღმდეგ, საშუალებას იძლევიან ვიმსჯელოთ პროლეტარიატის ნებაზე.

მეოთხე, დასავლეთ ევროპაში პროლეტარიატის ნების ყველაზე ზუსტი განმსაზღვრელია სოციალისტური პარტიების გადაწყვეტილებები, პარტიებისა, რომლებიც აშკარად მოქმედებენ და ყველასთვის ცნობილი წევრთა შემადგენლობა აქვთ.

რუსეთში, როგორც ცნობილია, ღია სოციალ-დემოკრატიული პარტია არ არსებობს, — ჩვენში კადეტური პარტიაც კი აკრძალულად ითვლება. ამიტომ რუსეთში იმ ადამიანებს, რომლებიც თავს ესხმიან «არალეგალურ» მუშაობას ან ეჭარს ამბობენ მასზე, ანდა ამართლებენ მასზე უარისთქმას, უწოდებენ ლიკვიდატორებს, ე. ი. განდგომილებს, მუშათა ორგანიზაციის დამანგრეველებს.

მაშ ვნახოთ, რანაირია მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი რუსეთის მოწინავე მუშების ნების შესახებ.

რას გვეუბნება პროლეტარიატის ნების შესახებ II, III და IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები?

რუსეთში საარჩევნო კანონი, გლეხობისაგან მუშების გამოყოფის რეაქციული მიზნით, აწესებს მუშათა კურიებს, ე. ი. მუშების ცალკე არჩევნებს. მაგრამ ამ გზით კიდევ უფრო ჩქარა ირკვევა იმ მუშების ნება, რომლებიც სათათბიროში გზავნიან მათი შეხედულებების, მათი მიმართულების თანახმა ადამიანებს.

ამიტომ ყველა დეპუტატი მუშათა კურიიდან II სათათბიროშიც, III-შიც და IV-შიც სოციალ-დემოკრატები იყვნენ. ყველა ცოტად თუ ბევრად მცოდნე ადამიანი (გარდა პოლიტიკურად არაკეთილსინდისიერთა) იძულებული იყო აქედან ის დასკვნა გამოეტანა, რომ რუსეთის მუშების ნებაა — შეთანხმებულად და ერთგულად იარონ სოციალ-დემოკრატებთან ერთად.

მაგრამ რა მიმართულებას იცავდნენ მუშები სოციალ-დემოკრატიის შიგნით?

ამაზე ნათელ პასუხს იძლევა მონაცემების შეჯამება მუშათა კურიის დეპუტატების მიმართულების შესახებ. II სათათბიროში ასეთი დეპუტატი იყო 23, მათში 11 (ე. ი. 47%) ბოლშევიკი. ცნობილია, რომ სწორედ ამ დროს, 1907 წლის გაზაფხულზე, ზუსტად შეჯამეს და შეამოწმეს მუშათა პარტიაში ბოლშევიკების მომხრე უმრავლესობა.

III სათათბიროში, საარჩევნო კანონის შეცვლის შემდეგ, დარჩა 8 დეპუტატი მუშათა კურიიდან, მათში 4 ბოლშევიკი (ე. ი. 50%). IV სათათბიროში იყო 9 დეპუტატი მუშათა კურიიდან, მათში 6 ბოლშევიკი (ე. ი. 67%).

ამრიგად, ექვსი წლის მანძილზე, 1907-დან 1912 წლამდე, როდესაც ინტელიგენცია გარბოდა სოციალ-დემოკრატიისგან, მუშები სულ უფრო და უფრო მეტად გადადიოდნენ ბოლშევიკების მხარეზე.

რუსეთის მუშების ორ-მესამედზე მეტი იზიარებს IV სათათბიროს ექვსი მუშათა (კურიის) დეპუტატის შეხედულებებსა და მიმართულებას: ბადაევის, მალინოვსკის, მურანოვის, პეტროვსკის, სამოილოვისა და შაგოვისას. მათ ემხრობა პოლიტიკური ცხოვრების მონაწილე შეგნებული მუშების **დიდი უმრავლესობა.**

ინტელიგენტები გაექცნენ მარქსისტულ ორგანიზაციას, მოახდინეს მისი ლიკვიდაცია, მუშები გაექცნენ ლიკვიდატორებს. მხოლოდ არაკეთილსინდისიერ ადამიანებს შეუძლიათ უარყონ ეს ჭეშმარიტება.

ვინ არიან წარმომადგენლები?

სწორედ იმავე დღეს, როცა გაზეთებში გამოქვეყნდა, ერთი მხრივ, 6 დეპუტატის *, ხოლო მეორე მხრივ, მათი მოწინააღმდეგეების განცხადებები, ლიკვიდატორულმა გაზეთმა (№ 60-ში) 7 დეპუტატის დასაცავად საჩქაროდ მოიყვანა, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, ის მოსაზრება, რომ შვიდ დეპუტატს არანაკლები მუშა აძლევს ხმას, ვიდრე ექვს დეპუტატსო.

ამ დროს ჩვენს გაზეთში (№ 13) გამოქვეყნდა მონაცემები, რამაც სავსებით გაუცამტვერა ლიკვიდატორებს პოზიცია და ძირფესვიანად მოსპო მათ მიერ წამოყენებული «საბუთების» მნიშვნელობა.

ეს მონაცემები გვიჩვენებენ მუშების რაოდენობას იმ გუბერნიებში, რომელთაც სოციალ-დემოკრატი დეპუტატები გაგზავნეს სათათბიროში, და ნათელ წარმოდგენას იძლევიან იმაზე, თუ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის რომელ ნაწილს მეტად აძლევენ ხმას მუშები, და იმაზედაც კი, თუ რამდენად მეტია ეს ხმები.

აი ეს მონაცემები:

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 528 — 531. რედ.

გუბერნიები	დეპუტატების გვარები	ათასებად		
		მუშების რიცხვი საფაბრიკო ინსპექტორების ანგარიშის მიხედვით	სამთამადნო მრეწველობა	სულ
მოსკოვის	მალინოვსკი	348	3	351
ვლადიმირის.....	სამოილოვი.....	202	3	205
პეტერბურგის.....	ბადაევი	170	27	197
ეკატერინოსლავის ...	პეტროვსკი.....	33	85	118
კოსტრომის	შაგოვი	91	—	91
ხარკოვის	მურანოვი.....	45	1	46
	სულ.....	889	119	1 008
ვარშავის	იაგელო.....	78	—	78
დონის ოლქი.....	ტულიაკოვი.....	18	41	59
უფის.....	ხაუსტოვი.....	6	31	37
თავრიდის.....	ბურიანოვი	10	10	20
ირკუტსკის.....	მანკოვი	2	11	13
თბილისის	ჩხეიძე	5	—	5
ყარსისა და ბათუმის ოლქები.....	ჩხენკელი	1	1	2
	სულ.....	120	94	214

რადგან დეპუტატი იაგელო არ შედის შვიდი დეპუტატის რიცხვში, ვინაიდან ის არ ეკუთვნის სოციალ-დემოკრატიას და არა აქვს გადამწყვეტი ხმა 6 და 7 დეპუტატს შორის არსებული დამოკიდებულების საკითხში და, გარდა ამისა, სათათბიროში გავიდა ქ. ვარშავის მუშა ამრჩეველთა უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ, ამიტომ ვარშავის გუბერნიის მუშების რიცხვი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ მუშათა ხმების რიცხვში, რომლებიც 7 დეპუტატს უჭერენ მხარს.

ამრიგად გამოდის, რომ 1 მლნ. 144 ათასიდან 7 დეპუტატზე მოდის სულ 136 ათასი, ანუ 11,8 პროცენტი, ანუ დაახლოებით **ერთი მეათედი,** 6 დეპუტატზე კი 1 მლნ. 8 ათასი, ანუ 88,2 პროცენტი, ანუ დაახლოებით **ცხრა მეათედი.**

ლიკვიდატორთა გადაჭრით მტკიცება მუშათა ხმები თანასწორი იყოო, სავსებით უარყოფილი აღმოჩნდა.

რას გვიპასუხებენ ისინი ამაზე?

მათი პასუხი ღირსია იმისა, რომ სავსებით განმეორებულ იქნას, და მხოლოდ მათი მდგომარეობის უიმედობით შეიძლება მისი ახსნა.

«განზე ვტოვებთ ამ ციფრების სისწორისა და მნიშვნელობის საკითხს და აღვნიშნავთ...» — ამბობს ბ-ნი ფ. «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» 61-ლ ნომერში.

თქვენ, ბატონებო, ლაპარაკობდით მუშათა ხმების რიცხვზე, თქვენ მოგიყვანეს ეს ციფრები, თქვენ კი მათ განზე სტოვებთ.

ვერც კი მოასწრო ამის თქმა, რომ შემდგომ ნომერში (№ 62) აქვეყნებენ ისეთ მტკიცებას, რომლის წინაშე შეიძლება მხოლოდ მხრები აიჩეჩო.

«ამ მტკიცების არითმეტიკული მხარის შესახებ ჩვენმა გაზეთმა გუშინ უკვე გამოთქვა თავისი აზრი».

განზე დასტოვო, ეს ნიშნავს «აზრი გამოთქვა». ნეტავ ვის აბრიყვებენ ბატონი ლიკვიდატორები?

მოვიყვანეთ რა აღნიშნული ციფრები, რომლებიც ლიკვიდატორებს არ უარუყვიათ, ჩვენ კრინტიც არ დაგვიძრავს იმ გუბერნიების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ჩვენს საარჩევნო სისტემაში, რომელთაგან არჩეულია მუშათა 6 დეპუტატი. **ფაქტებით** გაწბილებული ლიკვიდატორები ცდილობენ ილაპარაკონ იმ საგანგებო პრივილეგიებზე, რომლებიც 3 ივნისის კანონმა მიანიჭა 6 დეპუტატს, ჩვენს ქედის მოხრაზე სტოლიპინური კურიების წინაშე, იმაზე, რომ ჩვენ მხოლოდ 6 დეპუტატს ვთვლით სოციალ-დემოკრატ დეპუტატებად და სხვ.

ასეთ მტკიცებას ფრიად გარკვეული, თუმცა არცთუ საქებური სახელი აქვს... გავერიდოთ სიბინძურეს!..

გუბერნიებში მუშების რაოდენობა იგივე რჩება. მათი ერთმანეთთან შედარება შესაძლებელია და აუცილებელიცაა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია აჯამებს თავის წარმატებებს არჩევნებში, მიუხედავად იმისა, რომ ქალები იქ მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას.

ყოველივე ეს იმდენად ცხადია და მარტივი, რომ საკვირველია, ვისი თავგზის აბნევას ფიქრობენ ლიკვიდატორები თავიანთი «საბუთებით».

მუშების რა ნებას მოწმოგენ მუშათა გაზეთები რუსეთში?

ყველასთვის ცნობილია, რომ რუსეთში მუშათა გაზეთების წარმოშობა დაიწყო 1908 — 1910 წლების სასოწარკვეთილებისა და რღვევის პერიოდის შემდეგ, 1911 წლიდან, და განმტკიცდნენ 1912 წელს.

აიღეთ 1912 წელი. პირველ ყოვლისა წარმოიშვა და განმტკიცდა ყოველკვირეული გაზეთი «ზვეზდა»[108], რომელიც შემდეგ გამოდიოდა კვირაში ორჯერ და მოამზადა ყოველდღიური «პრავდა». «პრავდა» წარმოიშვა მუშათა **არაჩვეულებრივ ძლიერი** მხარის დაჭერით 1912 წლის აპრილში. ამ გაზეთმა თავის გარშემო შემოიკრიბა შეგნებული მუშების უმრავლესობა. მისი მიმართულება იყო გაერთიანებული და შეგნებული პროლეტარების **უმრავლესობის** მიმართულება.

1913 წელს უკვე ჩნდება **ორი** საერთო-რუსეთის გაზეთი ერთი მიმართულებისა. მუშათა მხარის დაჭერის დიდმა აღმავლობამ მოსკოვში შექმნა «ნაშ პუტ», **იმავე** მიმართულების გაზეთი.

მეორე მიმართულებამ, ლიკვიდატორულმა, მხოლოდ 1912 წლის შ ე მ ო დ გ ო მ ი დ ა ნ, ძალზე სუსტი ყოველკვირეული გაზეთების შემდეგ, გამოუშვა ყოველდღიური «ლუჩი».

მაშასადამე, ფაქტები ურყევად ამტკიცებენ, რომ მუშების **უმრავლესობა** გაცილებით უფრო ადრე დაირაზმა «პრავდის» გარშემო. ლიკვიდატორული გაზეთის შექმნა იყო უფრო გვიანი საქმე, ეს იყო უმრავლესობის **ნების წინააღმდეგ** ბ რ ძ ო ლ ი ს საქმე, **გათიშვის,** ე. ი. უმცირესობის მხრივ უმრავლესობისადმი დამორჩილების სურვილის უქონლობის ს ა ქ მ ე.

ყოველი მუშა მიხვდება, რომ პროლეტარიატის მოქმედების **ერთიანობა ირღვევა,** როცა იმავე ქალაქში იქმნება მ ე ო რ ე გაზეთი, რომელიც ცდილობს ძირი გამოუთხაროს პირველს. არსად ევროპაში **არც ერთი** სოციალ-დემოკრატიული პარტია საქმის აქამდე მიყვანას არ იწყნარებს.

მუშების რა ნებას მოწმობს ფულის შეკრება მუშათა გაზეთებისთვის?

ბურჟუაზიული გაზეთები არსებობენ დიდი კაპიტალების მეოხებით. მუშათა გაზეთები არსებობენ თვით მუშების მიერ შეკრებილი ფულით.

როცა მუშებს ანარიცხები შეაქვთ ამა თუ იმ გამოცემის, ამა თუ იმ გაზეთის დასახმარებლად, ამით ისინი ნათლად განსაზღვრავენ თავიანთ ნებას.

ამიტომ რუსეთში მუშათა გაზეთების სასარგებლოდ მუშათა ანარიცხების ისტორია მუშების ნების ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ამ ისტორიის უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ სრულიად უვიც ან არაკეთილსინდისიერ ადამიანებს (კადეტებისა და ლიკვიდატორების მსგავსთ).

აი მონაცემები **მუშათა ჯგუფური ფულის შეკრებისა,** რაც არა ერთხელ დაბეჭდილა უკვე და რის შემოწმებაც შეუძლია ყოველ წერა-კითხვის მცოდნეს:

	მუშათა ჯგუფური ფულის შეკრების რიცხვი			
	«პრავდის-თვის»	მოსკოვ. გაზეთის-თვის	ორივეს-თვის ერთად	«ლუჩისთვის»
1912 წელი	620	5	625	89
1913 წელი 1 აპრილამდე...	309	129	438	139
1913 წელი 1 აპრილიდან ოქტომბრამდე	1 252	261	1 513	328
სულ ორივე წლის განმავლობაში.....	2 181	395	2 576	556

ეს მონაცემები დროის დიდი მანძილისაა. ისინი მოიცავენ მთელ 1912 წელს და 1913 წლის 9 თვეს. ეს მონაცემები ეხება **მთელ რუსეთს** *.

რის მაჩვენებელია ეს მონაცემები? უცილობლად იმისა, რომ შეგნებულ მუშებში **სავსებით სჭარბობენ «ზ ა პ რ ა ვ დ უ ს» მ ო მ ხ რ ე ე ბ ი, მუშათა ექვსი დეპუტატის**, ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეთა მომხრეები.

მუშების ნების დამრღვევი, გამთიშველი და დეზორგანიზატორია ყველა, ვინც არ სცნობს ამ დიდი უმრავლესობის გადაწყვეტილებებს.

მუშების რა ნებას გვიჩვენებენ პროფესიული კავშირები პეტერბურგში?

ცნობილია, რომ მელითონენი ყველაზე განვითარებული და მოწინავე მუშები არიან მარტო პიტერში კი არა, მთელ რუსეთშიც, მარტო რუსეთში კი არა მთელ მსოფლიოშიც.

ვერავინ უარყოფს — და ლიკვიდატორებმაც მელითონეთა კრების დღეს თ ვ ი თ ო ნ აღიარეს ეს — რომ მელითონენი რუსეთის მთელი პროლეტარიატის **ავანგარდია** (მოწინავე რაზმია).

მერე რა დაგვანახვა მელითონეთა პიტერის კრებამ?

მიმდინარეობდა გამგეობის არჩევნები. იყო ორი სია.

ერთი სია, რომელიც დაიბეჭდა ლიკვიდატორების გაზეთში და რომელსაც ეს გაზეთი იცავდა, შეიცავდა მ თ ე ლ ი რ ი გ ი ცნობილი ლიკვიდატორების ს ა ხ ე ლ ებ ს.

მეორე სია, რომელიც «პრავდაში» დაიბეჭდა, **ანტილიკვიდატორული** იყო.

ლიკვიდატორები მოტყუებით ასაღებდნენ თავიანთ სიას კავშირის გადაწყვეტილებად, მაგრამ ტყუილმა ვერ უშველა.

---

* კრებულში «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა» ამ ადგილს ერთვის შემდეგი სტრიქონქვეშა შენიშვნა:

«1914 წლის მაისისთვის დამრგვალებულ ციფრებში: მუშათა 6 000 ჯგუფი პრავდისტებისა და დაახლოებით $1^1/_2$ ათასი ლიკვიდატორებისა». რ ე დ.

მელითონეთა კრებას დაესწრო **3 000-მდე კაცი.** მათგან რაღაც **150-მა** მისცა ხმა ლიკვიდატორთა სიას.

ცხადია, შეგნებული და მოწინავე მუშების ნება სავსებით გამოირკვა. მუშებს გაგონებაც კი არა სურთ ლიკვიდატორების შესახებ.

პეტერბურგის ყველა პროფესიული კავშირიდან ლიკვიდატორებს ჯერ კიდევ მისდევს მხოლოდ მბეჭდავთა კავშირი *, განმარტოებული პეტერბურგის მთელი პროლეტარიატისაგან. და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქაც ყველაფერი «რიგზე» ვერ არის ლიკვიდატორებისთვის. განა ლიკვიდატორთა ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავთ ნოქრებს, ხისდამმუშავებელთ, ოქრომჭედლებს, თერძებს, მეფუნთუშეებს, სახუროთმოძღვრო-სამშენებლო, სამიკიტნოების მოსამსახურეებს და სხვ.? რამდენი არიან ისინი, სად არიან? განა ბევრია ასეთი თაყვანისმცემლები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში? რაღაც არა ჩანან! ლიკვიდატორები კი, როდესაც ილაშქრებდნენ არალეგალური მუშაობისა და «გაფიცვებით გატაცების» წინააღმდეგ, იბრძოდნენ ლეგალობისთვის სტოლიპინური რეფორმების საფარველით, ამტკიცებდნენ, ყველაფერი ლეგალური ჩვენ მოგვყვებაო! მერე ვის გაჰყვა მუშათა ინტელიგენცია? წინა ნომერში **106 მუშა მოსწავლე** მიესალმება ექვსეულს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს ლიკვიდატორებს!

შვიდეულის დეპუტატები, რომლებიც ლიკვიდატორებს მიჰყვებიან, **არღვევენ** მუშების უმრავლესობის **ნებას.** ეს დაამტკიცა სათათბიროს არჩევნებმაც, გაზეთებისთვის ფულის შეგროვებამაც, მელითონეთა კრებებმაც, ისე როგორც ლეგალური მოძრაობის მთელმა მუშაობამ და ამჟამად მიმდინარე სადაზღვევო კამპანიამ (სადაზღვევო საქმის ყოველკვირეული ჟურნალისთვის მხარის დაჭერა მუშათა ექვსი დეპუტატის მოწოდებით).

---

* კრებულში «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა» ამ ადგილას ერთვის შემდეგი სტრიქონქვეშა შენიშვნა:

«ახლა, როგორც ჩანს, ეს კავშირიც შორდება ლიკვიდატორებს». რ ე დ.

შვიდ დეპუტატს, რომელნიც **არღვევენ** მუშების უმრავლესობის ნებას, უნდა ახსოვდეთ, რა შედეგები გამომდინარეობს გარდუვალად იქიდან, რომ ისინი დაჟინებით იცავენ **თავიანთ** ნებას მუშათა უმრავლესობის **წინააღმდეგ**.

იდეური ერთიანობა

ლიკვიდატორული გაზეთი წერს:

«სოციალ-დემოკრატია არის გარკვეული იდეური ერთიანობა, და ის ადამიანები, რომლებიც მის იდეებს არ სცნობენ, მას არ ეკუთვნიან».

ეს მართალია, მაგრამ მთლად მართალი არ არის, რადგან სოციალ-დემოკრატია არის არა მარტო ი დ ე უ რ ი, **არამედ** ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი ერთიანობაც. ამის დავიწყება შეუძლიათ მხოლოდ ლიკვიდატორებს, ე. ი. ისეთ ადამიანებს, რომლებიც სწორედ ორგანიზაციულ მთელს არ ცნობენ, ანგარიშს არ უწევენ მის ნებას, არღვევენ მის გადაწყვეტილებებს და სხვ.

ჩვენმა ლიკვიდატორებმა, სწორედ იმათ, რომლებიც წერდნენ გაზეთ «ლუჩში» და წერენ «ნოვაია რაბოჩაია გაზეტაში», ყველაზე მკაფიოდ დაანახვეს თავი მუშათა მასებს იმით, რომ მათ გაილაშქრეს რუსი მარქსისტების ორგანიზაციის წინააღმდეგ და გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღეს მასთან.

მთელი რიგი გადაწყვეტილებები რუსეთის მუშების ამ ერთადერთი არსებული პოლიტიკური ორგანიზაციისა გადაჭრით გმობდა ლიკვიდატორებს სწორედ ამ ორგანიზაციისადმი მათი შეუწყნარებელი, დეზორგანიზატორული, გამთიშველური დამოკიდებულების გამო. ასეთი გადაწყვეტილებები გამოტანილი იყო როგორც 1908, ისე 1910 და 1912 წლებშიც. ისინი ცნობილია რუსეთის იმ მუშებისთვის, რომელთაც აინტერესებთ თავიანთი კლასის ინტერესები. მაგრამ ლიკვიდატორებმა არა თუ არა სცნეს საჭიროდ დამორჩილებოდნენ ამ გადაწყვეტილებებს, არამედ უბოდიშოდ ფეხქვეშ თელავენ მათ მთელი თავიანთი საქმიანობით და მთელი თავიანთი პროპაგანდით.

აი ამიტომაც ლიკვიდატორულმა გაზეთმა ორგანიზაციული საკითხის განხილვის დროს დაუმალა თავის მკითხველებს, რომ სოციალ-დემოკრატია არის არა მარტო იდეური, არამედ ორგანიზაციული დარაზმულობაც. ლიკვიდატორები მოქმედებენ ორგანიზაციასთან სრულიად გათიშულად, ფეხქვეშ თელავენ მის გადაწყვეტილებებს, აბუჩად იგდებენ თვით მისი არსებობის ფაქტს და ამიტომაც, ბუნებრივია, ამჯობინებენ არ მოაგონონ ეს მუშებს.

ლიკვიდატორმა მწერალმა თუმცა ეს გარემოება დაუმალა თავის მკითხველებს, მაგრამ მას მაინც უნდა ეღიარებინა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სოციალ-დემოკრატიას მიეკუთვნონ ის ადამიანები, რომლებიც მის იდეებს არ იზიარებენ. მაგრამ სწორედ ამ ადამიანებს ეკუთვნიან ბატონი ლიკვიდატორები. მათი იდეები სოციალ-დემოკრატიული იდეები კი არ არის, არამედ ლიბერალური მუშათა პოლიტიკის იდეებია. ოპორტუნისტებისა და ლეგალისტების იდეები, იმ ადამიანთა იდეები, რომლებიც კვეცენ თანამიმდევარ მარქსისტულ ლოზუნგებს, ქადაგებენ ძველი ორგანიზაციის დანგრევას და აშკარა პარტიის შექმნას 3 ივნისის რეჟიმის პირობებში, არსად, არასოდეს და არავის მიერ არ შეიძლება ჩაითვალოს სოციალ-დემოკრატიის იდეებად.

ლიკვიდატორები როგორც თავიანთი ორგანიზაციული მოღვაწეობით, ისე თავიანთი არამარქსისტული იდეების პროპაგანდით **გასცილდნენ** სოციალ-დემოკრატიის **ფარგლებს.**

სოციალ-დემოკრატია არის გარკვეული ორგანიზაციული ერთიანობა, და ის ადამიანები, რომლებიც ამ ორგანიზაციის დისციპლინას არ ემორჩილებიან, უგულებელყოფენ ამ ორგანიზაციას, ფეხქვეშ თელავენ მის გადაწყვეტილებებს, — ამ ორგანიზაციას არ ეკუთვნიან. ეს ძირითადი წესია.

მაგრამ მართალია ენაშეუკავებელი ლიკვიდატორიც. ის მართალია, როცა წერს, რომ ის ადამიანები, რომლებიც არ სცნობენ სოციალ-დემოკრატიულ იდეებს, სოციალ-დემოკრატიას არ ეკუთვნიანო. სწორედ რომ ასეა, ბატონო ლიკვიდატორო. თქვენ

მხოლოდ ვერ მოგისაზრებიათ, რომ ეს სიტყვები უწინარეს ყოვლისა და ყველაზე ახლოს გეხებათ სწორედ თვითონ თქვენ, თქვენს ლიკვიდატორულ იდეებს.

ლიკვიდატორები და ბურჟუაზია

თუ კი ეს ვისმე დააეჭვებს, მან უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ როგორ უყურებენ ლიკვიდატორობას, მის იდეებსა და მის ბრძოლას მარქსისტული მუშათა ორგანიზაციის წინააღმდეგ ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და ბურჟუაზიული პრესა. ყველა, ვინც გაეცნობა ამ უკანასკნელს, ძალიან ჩქარა დარწმუნდება, რომ ლიკვიდატორთა ყოველგვარ გალაშქრებას მარქსისტების წინააღმდეგ ქება-დიდებითა და აღტაცებით ეგებება ბურჟუაზია. სიხარულით შეეგება ის ლიკვიდატორების გამოსვლებს ძველი ორგანიზაციის წინააღმდეგ, სიხარულით ჩასჭიდა მან ხელი მათ გალაშქრებას გაფიცული მუშების წინააღმდეგ, «გაფიცვით გატაცების» წინააღმდეგ.

მაგრამ ბურჟუაზიულმა პრესამ ლიკვიდატორთა ქება-დიდების დროს ვერ დაუმალა თავისთავს ერთი სავალალო გარემოება. ის იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ლიკვიდატორობა, რაც ასე მოსწონთ ბურჟუაზიულ ლიბერალებს (ამქარი ამქარს იცნობს!), არის მხოლოდ ინტელიგენტური მიმდინარეობა, რომელიც არავითარი წარმატებით არ სარგებლობს მუშათა მასებში. ეს ძალიან აღონებს ლიბერალებს, მაგრამ ეს უნდა ახარებდეს ყოველ შეგნებულ მუშას!

შეხედეთ, როგორ შეაფასა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში მომხდარი ამბები «რეჩმა», ბურჟუაზიული ლიბერალების მთავარმა ორგანომ.

«რეჩმა» პირდაპირ განაცხადა, შვიდეული არის «სოციალ-დემოკრატიის პარლამენტური ელემენტებიო», ისინი «პარლამენტური მუშაობის პარტიას» ეკუთვნიანო, «დეპუტატ ინტელიგენტების პოზიცია უფრო დაკვირვებულიაო». მოკლედ რომ ვთქვათ, ბატონ ლიბერალებს გაცილებით უფრო მოს-

წონთ ლიკვიდატორებისა და «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» პოზიცია, ვიდრე მუშათა ექვსი დეპუტატის პოზიცია.

«ყველა ისინი არჩეული არიან უშუალოდ მუშების მიერ», ამბობენ ლიბერალები მუშათა დეპუტატებზე, «შეურიგებელთა» ჯგუფს წარმოადგენენ და მათი ლოზუნგებიც ბევრად უფრო «მისაწვდომია» მუშათა მასისთვისაო.

აი მუშათა დეპუტატების სწორედ ეს «შეურიგებლობა» და მასასთან მათი უშუალო კავშირი არ მოსწონთ ბატონ ლიბერალებს. და ისინიც მოსთქვამენ «საფუძველი არსებობს მოველოდეთ, რომ სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენციის პარლამენტური უმრავლესობა იძულებული იქნება დაუთმოს პარლამენტსგარე მუშათა უმრავლესობასაო».

მთელი სულითა და გულით სწადიათ ბატონ ლიბერალებს, რომ დღევანდელ დავაში გაიმარჯვონ «ზომიერებმა», «საპარლამენტო» ტაქტიკის მომხრეებმა, ლიკვიდატორებმა, და ხელფეხი შეუბოჭონ შეურიგებელ მუშათა დეპუტატებს მათი «სწორხაზოვანი» ლოზუნგებითურთ!

მაგრამ ლიბერალებიც გრძნობენ, რომ მუშათა კლასი და მისი ერთგულება შეუკვეცელი ლოზუნგებისადმი ხელს შეუშლის ლიკვიდატორთა და ლიბერალთა ოცნების შესრულებას — ოპორტუნისტების გამარჯვებას სოციალ-დემოკრატიაში.

დარაზმული მარქსისტების გადაწყვეტილება

პროლეტარიატის უმრავლესობის ნების დამრღვევი დეპუტატების შვიდეული შიშით უვლის გვერდს, რომ ექვსეული ამ ნებასთან შეთანხმებულად მოქმედებს.

აი მარქსისტების უკვე დაბეჭდილი გადაწყვეტილება:

«თათბირი იმ აზრისაა, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის **ერთიანობა** სათათბიროს ხაზით მუშაობის სფეროში **შესაძლებელიცაა და აუცილებელიც.**

მაგრამ თათბირი აღნიშნავს, რომ **7 დეპუტატის საქციელი** სერიოზულ **საფრთხეს უქმნის** ფრაქციის **ერთიანობას.**

7 დეპუტატი სარგებლობს ერთი ხმის შემთხვევითი უმრავლესობით და არღვევს ელემენტარულ უფლებებს მუშათა

იმ 6 დეპუტატისას, რომელნიც რუსეთის მუშების დიდი უმრავლესობის წარმომადგენლები არიან.

7 დეპუტატი ვიწრო-ფრაქციული ინტერესებიდან გამოდის და 6 დეპუტატს შესაძლებლობას უსპობს გამოვიდნენ სათათბიროს ტრიბუნაზე მუშათა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მთელი რიგი გამოსვლების დროს, როცა სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ორ და მეტ ორატორს აყენებდა, 6 დეპუტატს, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, არ ეძლეოდათ საშუალება წამოეყენებინათ თავიანთი ორატორი.

სათათბიროს კომისიებში (მაგალითად, საბიუჯეტო კომისიაში) ადგილების განაწილებისას 7 დეპუტატი ასევე უარს ეუბნება 6 დეპუტატს ორში ერთი ადგილის მიცემაზე.

მუშათა მოძრაობისთვის დიდმნიშვნელოვან დაწესებულებებში ფრაქციის წარმომადგენლების არჩევის დროს 7 დეპუტატი ერთი ხმის უმრავლესობით 6 დეპუტატს წარმომადგენლობას ართმევს. პირად პერსონალს, რომელიც მომსახურებას უწევს ფრაქციას, მუდამ ირჩევენ ცალმხრივად (მაგალითად, უარყოფილია მეორე მდივნის დანიშვნის მოთხოვნა).

თათბირი იმ აზრისაა, რომ 7 დეპუტატის ამგვარი მოქმედება აუცილებლად ქმნის შეხლა-შემოხლას ფრაქციაში, ხელს უშლის დარაზმულ მუშაობას და გამოიწვევს ფრაქციის გათიშვას.

თათბირი სასტიკ პროტესტს აცხადებს 7 დეპუტატის ამგვარი მოქმედების წინააღმდეგ.

6 დეპუტატი რუსეთის მუშების დიდი უმრავლესობის წარმომადგენლები არიან და მოქმედებენ მისი ორგანიზებული ავანგარდის პოლიტიკურ ხაზთან სრული თანხმობით. ამიტომ თათბირი იმ აზრისაა, რომ სათათბიროს ხაზით მუშაობის სფეროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთიანობის შენარჩუნება **მხოლოდ** მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ ფრაქციის ორივე ნაწილი **სრულიად თანასწორუფლებიანი** იქნება და 7 დეპუტატი ხელს აიღებს ჩახშობის პოლიტიკაზე.

მიუხედავად შეურიგებელი უთანხმოებისა არა მარტო საათათბიროს ხაზით მუშაობის სფეროში, **თათბირი მოითხოვს ფრაქციის ერთიანობას** 2 მისი ნაწილის თანასწორუფლებიანობის ზემოაღნიშნულ საფუძველზე.

თათბირი მოუწოდებს შეგნებულ მუშებს **გამოთქვან თავიანთი აზრი** ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე **და მთელი ძალლონით შეუწყონ ხელი** ფრაქციის **ერთიანობის შენარჩუნებას** მუშათა 6 დეპუტატის თანასწორუფლებიანობის ერთადერთ შესაძლებელ საფუძველზე» *.

ამ გადაწყვეტილებამ ნათლად და ზუსტად განსაზღვრა მუშების წარმომადგენლების მეშვეობით უმრავლესობის ნება, რომლის შესახებაც ჩვენ დაწვრილებით ვილაპარაკეთ უკვე წინათ.

მხოლოდ უპარტიო ესდეკებს შეუძლიათ დაარღვიონ ეს ნება. მხოლოდ ლიკვიდატორებს შეუძლიათ ურჩიონ შვიდეულს იმოქმედონ თავიანთი პასუხისმგებლობით, როგორც მოქმედებენ მუშათა ორგანიზაციის გამთიშველები და დეზორგანიზატორები.

ჩვენი მუშაობა ფრაქციის შიგნით

6 დეპუტატმა მუშათა სამსჯავროს გადასცა საკითხი ფრაქციის შემთხვევითი უმრავლესობის მხრივ მათი ჩახშობისა საათათბიროს ფრაქციაში.

მათ გასაოცარი ფაქტები მოიყვანეს ფრაქციის ცხოვრებიდან. მერე რა უპასუხა მათ 7 დეპუტატმა?

ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირ და ნათლად ჩამოეთვალათ და უარეყოთ 6 დეპუტატის მიერ აღნიშნული საათათბიროს ხაზით მათი მოღვაწეობის შეზღუდვის შემთხვევები, 7 დეპუტატი შეუდგა მთელი რიგი ისეთი ფაქტების ჩამოთვლას, რომლებიც შეზღუდვასა და ჩახშობას არ გვიჩვენებენ.

უეჭველია, ფრაქციაში იყო შემთხვევები, როცა ანგარიშს უწევდნენ 6 დეპუტატს, ესეც რომ არ ყოფილიყო, ეს პირდა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 502 — 504. რ ე დ.

პირ პროლეტარიატის აბუჩად აგდება იქნებოდა, ასეთი მდგომარეობა ფრაქციაში ერთ დღესაც ვერ გასტანდა.

ფრაქციის ერთიანობა შესაძლებელია, შეთანხმებაც აუცილებელია, ამას ცხადყოფს ფრაქციის არსებობის ერთი წლის გამოცდილება.

მაგრამ ეს გამოცდილება აგრეთვე ცხადყოფს, რომ 6 დეპუტატი ფრაქციაში ხელფეხშებოჭილი იყო ლიკვიდატორობისაკენ მერყევი 7 დეპუტატის მიერ, რომლებიც ანგარიშს არ უწევდნენ მუშათა დეპუტატების უმრავლესობას.

6 დეპუტატის მიერ მოყვანილი ფაქტები, რომლებიც ნათლად გამოხატავენ ფრაქციის შინაგანი ცხოვრების სურათს, გაუბათილებელი დარჩა.

7 დეპუტატი: 1) ცდილობდა შეეცვალა სოციალ-დემოკრატიის პროგრამა. მაგალითად, სათათბიროს ტრიბუნიდან ისინი იცავდნენ ყველა მარქსისტის მიერ 1903 წელს უარყოფილ კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას.

2) სათათბიროს საქმეების გადამწყვეტი ხმით ფრაქციაში მიიღეს და უნდოდათ მიეღოთ გადამწყვეტი ხმით პარტიულ საქმეებში დეპუტატი იაგელო, რომელიც ეკუთვნოდა სხვა ორგანიზაციას და სოციალ-დემოკრატიას არ ეკუთვნოდა.

3) მიუხედავად მრავალგზის მოთხოვნისა, 6 დეპუტატს არ აძლევდნენ უფლებას საკუთარი მდივანი ჰყოლოდათ.

4) ყოველმხრივ ზღუდავდნენ 6 დეპუტატს სათათბიროს ტრიბუნიდან გამოსვლებში.

5) არ მოისურვეს 6 დეპუტატისათვის წარმომადგენლობა მიეცათ ერთ მნიშვნელოვან დაწესებულებაში.

6) ზღუდავდნენ 6 დეპუტატის მონაწილეობას სათათბიროს კომისიებში, მათ შორის საბიუჯეტო კომისიაში.

ყველაფერ ამაზე 7 დეპუტატს ერთი პასუხი აქვს — ს ა ქ მ ი ს ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა.

ცხადია, არა მ უ შ ა თ ა ს ა ქ მ ი ს ა და ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ს ა ქ მ ი ს სარგებლობით შეიძლება აიხსნას იმ 6 დეპუტატის მოღვაწეობის ჩახშობა და შეზღუდვა,

რომლებიც რუსეთის მუშების დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ.

თუ როგორ ახშობდნენ სათათბიროს ფრაქციაში 6 დეპუტატს, — დამაჯერებლად ცხადყოფს მონაცემები სათათბიროს კომისიებში სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მონაწილეობის შესახებ.

26 კომისიიდან, რომლებშიც სოციალ-დემოკრატი წარმომადგენლები შედიან:

6 დეპუტატი მონაწილეობას იღებს 7 კ ო მ ი ს ი ა შ ი; დანარჩენი 7 — 13 კ ო მ ი ს ი ა შ ი — თითქმის **ერთიორად მეტი.**

20 კომისიიდან, რომლებშიც თითო-თითო სოციალ-დემოკრატია წარმომადგენლად:

6 დეპუტატი მონაწილეობას იღებს 7 კ ო მ ი ს ი ა შ ი; დანარჩენი 7 — 13 კ ო მ ი ს ი ა შ ი — თითქმის **ერთიორად მეტი.**

კომისიებში, რომლებშიც ორ-ორი სოციალ-დემოკრატია წარმომადგენლად:

6 დეპუტატი მონაწილეობას იღებს 3 კ ო მ ი ს ი ა შ ი; დანარჩენი 7 მონაწილეობას იღებს 6 კ ო მ ი ს ი ა შ ი — **ერთიორად მეტი.**

3 მათგანში დანარჩენ დეპუტატთა ორ-ორი წარმომადგენელია.

6 დეპუტატის შემადგენლობიდან არც ერთი არ იღებს მონაწილეობას ორ კომისიაზე მეტში; დანარჩენებიდან:

ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ს ი ღ ე ბ ს 6 კ ო მ ი ს ი ა შ ი; ს კ ო ბ ე ლ ე ვ ი — 6 კ ო მ ი ს ი ა შ ი, მ ა ნ კ ო ვ ი — 4 კ ო მ ი ს ი ა შ ი.

რას მოითხოვენ ექვსნი?

ექვსნი მოითხოვდნენ საკუთარ მდივანს; ო რ შ ი ერთ ადგილს საბიუჯეტო კომისიაში; ორის, და არა ერთის, არჩევას ერთ მნიშვნელოვან დაწესებულებაში.

შვიდეულმა აღიარა, რომ ეს მოთხოვნები მან აქამდე **არ შეასრულა და უარი თქვა მათ შესრულებაზე.**

ყოველი მუშა ხედავს, რომ ეს მოთხოვნები უსათუოდ სამართლიანია.

შვიდეული დაკარგავს ნდობას, თუ მას არ სურს შეასრულოს ეს სამართლიანი მოთხოვნები!

შვიდეული ვალდებულია **თანასწორუფლებიანობა, სრული თანასწორობა** მისცეს მუშათა დეპუტატების ექვსეულს, დეპუტატებისა, რომლებიც მოქმედებენ **უმრავლესობის ნებასთან** შეთანხმებულად.

მხოლოდ ასე შეუძლია შვიდეულს, რომელიც უმრავლესობის **ნების წინააღმდეგ** მოქმედებს, გადადგას ნაბიჯი თუნდაც სათათბიროს ხაზით მუშაობის ერთიანობისაკენ.

მუშებმა უნდა აიძულონ შვიდეული ანგარიში გაუწიოს უმრავლესობის ნებას!

ერთიანობა სათათბიროში და ერთიანობა სათათბიროს გარეთ

ერთიანობის განხორციელება სათათბიროს გარეთ შეიძლება მხოლოდ ერთი საშუალებით, მუშათა უჯრედების ერთიანობით, მუშათა ამ უჯრედებში ყველას შესვლით, ვისაც გულწრფელად და ღირსეულად სურს იმუშაოს მუშათა კლასის სასარგებლოდ მისი პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. ამ უჯრედებში შესვლა ყველას შეუძლია. ყველას, ვისაც სურს ორგანიზაციასთან შეთანხმებულად იმუშაოს, შეუძლია და ვალდებულიცაა შევიდეს ამ უჯრედში. მხოლოდ ასე შეიძლება განვახორციელოთ ერთიანობა მუშათა მოძრაობაში, ერთიანობა ქვემოდან, ერთიანობა პრაქტიკულ მუშაობაში, ბრძოლაში, ურთიერთი კონტროლით.

ჩვენმა გაზეთმა დიდი ხანია უკვე წამოაყენა ეს ლოზუნგი და მუდამ იცავს მას. მაგრამ რაღაც არ ისმის, რომ ლიკვიდატორები ამ გზას დასდგომოდნენ, რომელიც მათთვის მუდამ

გახსნილია, თუ მათ ნამდვილად სურთ სოციალ-დემოკრატიული მუშაობა და ერთიანობა.

მაგრამ რა ვუყოთ ერთიანობას სათათბიროს ხაზით მუშაობაში?

სათათბიროს ხაზით მუშაობაში ერთიანობას ყველგან და ყოველთვის აღწევენ მხოლოდ ერთი გზით: საპარლამენტო წარმომადგენლობის დამორჩილებით ორგანიზებული მუშების უმრავლესობის წინაშე. მაგრამ ჩვენში ლიკვიდატორობისაკენ გადახრილ 7 დეპუტატს არა სურს ანგარიში გაუწიოს ამ ნებას. მათ არა სურთ ანგარიში გაუწიონ ორგანიზებული მუშების ზუსტ გადაწყვეტილებებს. ისინი ამჯობინებენ ისარგებლონ ერთი ხმის შემთხვევითი უმრავლესობით იმისათვის, რომ გასაქანი არ მისცენ 6 დეპუტატს, რომლებიც გამოხატავენ მუშების დიდი უმრავლესობის ნებას, მუშაობენ მარქსისტულ ორგანიზაციასთან სრული იდეური შეთანხმებით.

ამ ადამიანებისთვის, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ მარქსისტულ მთელს, ერთადერთი სწორი გამოსავალი იქნებოდა პირდაპირ განაცხადონ ეს.

მაგრამ ისინი ამჯობინებენ ისარგებლონ თავიანთი, ვითომდა არა პასუხსაგები მდგომარეობით. ისინი არათუ ანგარიშს არ უწევენ ორგანიზებული მუშების გადაწყვეტილებებს, მათ სურთ ისარგებლონ თავიანთი უმრავლესობით სათათბიროში, რათა დაარღვიონ გადაწყვეტილებები, რომლებიც ასახავენ პროლეტარიატის ნებას სათათბიროს გარეთ.

ერთიანობა სათათბიროში მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ 7 დეპუტატი ხელს აიღებს მოქმედების ასეთ წესზე.

მეტს ხომ არაფერს მოითხოვს 6 დეპუტატი.

სათათბიროს ხაზით მუშაობაში ერთიანობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელიო, ამბობენ ჩვენი ამხანაგები, თუ 7 დეპუტატი, რომლებიც ხელფეხშეკრული არ არიან მარქსისტების გადაწყვეტილებებით, ხელს აიღებენ ჩვენს ჩახშობაზე,

რომლებსაც გვსურს კვალდაკვალ მივსდიოთ მარქსისტების იდეურ გადაწყვეტილებებს.

ამ ნიადაგზე ერთიანობა შესაძლებელია.

მაგრამ მხოლოდ ამ ნიადაგზე. 7 დეპუტატის მხრივ ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა იმას ნიშნავს, რომ ისინი შეგნებულად და აშკარად იწვევენ გათიშვას. ორგანიზებული მუშების დიდი უმრავლესობა, რომელიც ექვსეულს მიჰყვება, როგორც ეს ციფრებით არის დამტკიცებული ზემოთ, 7 დეპუტატს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს ა ძ ლ ე ვ ს იმუშაონ შეთანხმების ნიადაგზე. ამ შეთანხმების უარყოფა 7 დეპუტატის მხრივ მოასწავებს სრულ და გადაჭრით გ ა მ ო თ ი შ ვ ა ს მარქსისტული მუშათა ორგანიზაციიდანაც. ეს ნიშნავს, რომ 7 მერყევი დეპუტატი სავსებით დაადგა გამთიშველი ლიკვიდატორობის გზას.

«ზა პრავდუ» № 22,
1913 წ. 29 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «ზა პრავდუს» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ტექსტთან კრებულისა «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა», ნაწილი II, სპბ., 1914 წ.

სახლის მფლობელი კადეტი, რომელიც «მარქსის მიხედვით» მსჯელობს

«გოროდსკოე დელოს»[109] რედაქტორ-გამომცემელი, სახლის მფლობელი ბ-ნი ველიხოვი, სახელმწიფო სათათბიროსი და კადეტური პარტიის წევრი, თავის ჟურნალში იცავს ქალაქთა წარმომადგენლების კიევის ყრილობას «ინტელიგენტური ბიუროკრატიისაგან».

ამ ბრაზიან სიტყვაში, რომელიც ნასესხებია რეაქციული პრესიდან, იგულისხმება დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც, თურმე ნუ იტყვით, ჩაგრავს საბრალო სახლის მფლობელებს, როცა ლაპარაკობს «სახლის მფლობელთა ინსტიტუტებზე» და მოითხოვს პოლიტიკურ ვარკვეულობას. «ინტელიგენტური ბიუროკრატია» — ჩივის ბ-ნი ველიხოვი — ცდილობდა «თავს მოეხვია ყრილობისთვის პირველ რიგში ზოგადპოლიტიკური როლი».

ყრილობის ამ მიმდინარეობას ბ-ნი ველიხოვი უწოდებს «პოლიტიკურ» მიმდინარეობას და მას უპირისპირებს მეორე, «მ უ ნ ი ც ი პ ა ლ უ რ» მიმდინარეობას.

მის შეხედულებებს ის შემდეგნაირად განმარტავს:

«რევოლუციამ, ამბობდნენ ქალაქის მოღვაწეები, განვლო და არა გვგონია განმეორდეს ახლო მომავალში. მას ბოლომდე არ ჰქონია წარმატება, ალბათ, იმიტომ, რომ მაშინ რევოლუციურად განწყობილი კლასები» (ვ. ი. რომელი კლასები? თქვით პირდაპირ, ბ-ნო ველიხოვ!) «გამოდიოდნენ გამოცდილებისა და ცოდნის არასაკმაო მარაგით და მომზადებული არ იყვნენ სახელმწიფო ძალაუფლების ასათვისებლად. მიტინგების, ლოზუნგების, მგზნებარე სიტყვებისა და საპროტესტო რეზოლუციების ფართო

გზა ახლა ვერავის დააკმაყოფილებდა და, როგორც ჩანს, ამან თავისი დრო მოჭამა. წინ მოგველის პრაქტიკული ხასიათის კოლოსალური კულტურული მუშაობა».

ასე წერს ბ-ნი სახლის მფლობელი. ის სავსებით მებატონეთა თვალსაზრისზე დგას თავისი მორალითაც და თავისი მისწრაფებითაც — დაივიწყოს, თუ როგორ გადადიოდა ბურჟუაზია გადამწყვეტ მომენტში მებატონეთა მხარეზე, და ეგეთონვე კურიოზულად იმეორებს მის მიერ სადღაც [illegible] ბატ[illegible]ლიკვიდატორებთან, ყურმოკრულ «ვითომ მარქსის[illegible]ლ» სიტყვებს.

«რუსეთში, — წერს ის, — სადაც მუშა პროლეტარიატი ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი და უძლურია, სადაც მარქსის «კაპიტალის» მიხედვითაც კი ბატონობა მემამულე თავადაზნაურების ხელიდან ისტორიული განვითარების უახლოეს საფეხურზე ქალაქის ბურჟუაზიის ხელში უნდა გადავიდეს — ბურჟუაზიაზე თავდასხმა, მისი უგულებელყოფა, ხელის შეშლა მისი ცდებისა — ებრძოლოს თანამედროვე სახელმწიფო წყობას და რეჟიმს, ეს ნიშნავს შეაფერხო ბუნებრივი პროგრესი» («გოროდსკოე დელო», 1913, № 20, გვ. 1341 — 1342).

სავსებით, სავსებით «მარქსის მიხედვითაა»!

უსაყვარლესო პროგრესულო და თვით კონსტიტუციურ-დემოკრატიულო სახლის მფლობელო! «თანამედროვე სახელმწიფო წყობასთან ბურჟუაზიის ბრძოლის ცდებისთვის» მარქსისტებს ა რ ა ს დ რ ო ს ხელი არ შეუშლიათ და არც უშლიან ხელს. თქვენ ვერასოდეს ვერ დაგვისახელებთ «ბრძოლის» ვერც ერთ შემთხვევას, რომელშიც უ ფ რ ო ენერგიულად არ მიეღოს მონაწილეობა «უძლურ პროლეტარიატს». მებატონეებთან ბურჟუაზიის «ბრძოლის» ა რ ც ე რ თ ი შემთხვევა მარქსისტებსა და მუშებს ა რ უ გ უ ლ ე-ბ ე ლ უ ყ ვ ი ა თ.

მაგრამ იქნებ მოიგონოთ თქვენ, ბ-ნო მარქსის ციტატების მომყვანო, ისტორიის ის მაგალითები, რომლებიც სულ უფრო და უფრო ხშირდება 1848 წლიდან დაწყებული, როცა ბურჟუაზია ღ ა ლ ა ტ ო ბ დ ა მებატონეებთან ბრძოლას და მებატონეთა მ ხ ა რ ე ზ ე გადადიოდა?

ასეთი შემთხვევებით სავსეა რუსეთის ისტორიაც, განსაკუთრებით 1904 წელს, კიდევ უფრო მეტად 1905 წლის შემოდგომაზე, კიდევ უფრო მეტად იმავე წლის ზამთარში, შემდეგ 1906 წლის გაზაფხულზე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

შეგიძლიათ თუ არა განსაჯოთ, თქვენ, ბ-ნო მარქსის ციტატების მომყვანო სახლის მფლობელო, რომ მებატონეებთან ბ რ ძ ო ლ ი ს ინტერესები მოითხოვს ი მ ბურჟუების მხილებას, მათზე თავდასხმას, მათი სახელის გატეხას, რომლებიც ბრ[illegible]ზე ლაპარაკობენ და ნამდვილად კი ამ ბრძოლას ღალატობენ?

«ზა პრავდუ» № 23,
1913 წ. 30 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზა პრავდუს»
ტექსტის მიხედვით

მუშათა მასა და მუშათა ინტელიგენცია

ასეთი სათაურით ლიკვიდატორთა «ნაშა ზარიას» მე-9 ნომერში მოთავსებულია სტატია გ. რაკიტინისა, რომელიც იძულებულია აღიაროს ის, რისგანაც უძლური გაბოროტებით თავს იძვრენს ლიკვიდატორული გაზეთი. გ. რაკიტინი მაღლა დგას სხვადასხვა თ. დ.-ზე იმით, რომ ცოტა რამეში მაინც ცდილობს მ ო ი ს ა ზ რ ო ს და გ ა ა რ კ ვ ი ო ს ს ა კ ი თ ხ ი და არა გაუმასპინძლდეს მკითხველს უკვე მობეზრებული ლანძღვით.

«გამარჯვება, — ასე იწყებს თავის სტატიას გ. რაკიტინი — გამარჯვება, რომელიც მოიპოვეს გაზეთ «პრავდის» მომხრეებმა მელითონეთა ს.-პეტერბურგის პროფესიული კავშირის საერთო კრებაზე, ისე როგორც ზოგიერთი სხვა ფაქტიც, რაც მოწმობს ბოლშევიზმის გავლენის გაძლიერებას მუშებში (განსაკუთრებით პეტერბურგში), უნებლიეთ გვაიძულებს ჩავუფიქრდეთ: ეს როგორ მოხდა, რომ მენშევიკური მიმართულებისა და სპეციალურად ეგრეთწოდებული «ლიკვიდატორობის» დასაყრდენი პუნქტები ხელიდან ეცლება იმ მიმდინარეობის გავლენას, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა რუსეთის აშკარა მუშათა ორგანიზაციებს და რომელიც მარტო თვითონ მუშაობდა დაუღალავად ამ ორგანიზაციებში უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე?»

ეს ფრაზა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რათა დავანახვოთ მკითხველს «ნათელი წუთების» იშვიათი შემთხვევები ლიკვიდატორების ცხოვრებაში, რომლებიც იძულებული არიან სიმართლე აღიარონ. «ნოვაია რაბოჩაია გაზეტა» თ. დ.-ს და კომპანიის სტატიებში პირდაპირ ჯავრობს და ილანძღება,

როცა მას ზუსტი ციფრებით II, III და IV სათათბიროს არჩევნების ან მუშათა ჯგუფობრივი ფულის შეგროვების შესახებ და სხვ. უ მ ტ კ ი ც ე ბ ე ნ, რომ «პრავდისტული» მიმდინარეობა სჭარბობს შეგნებულ (ე. ი. პოლიტიკური ცხოვრების მონაწილე) მუშებში.

გ. რაკიტინი ამ ფაქტს აღიარებს. ის აღიარებს მელითონეთა კრებაზე გამარჯვებასაც და «ს ხ ვ ა ფ ა ქ ტ ე ბ ს ა ც» (თუმცა თავმდაბლად სდუმს იმაზე, თუ როგორია ეს ფაქტები—წმინდა ინტელიგენტურ-ლიტერატორული ხერხია იმ ვარაუდით, რომ დ ა უ მ ა ლ ო ს მუშებს ზ უ ს ტ ი ციფრები, რომლებიც დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი შემოწმების შესაძლებლობას იძლევიან). გ. რაკიტინი საერთოდ აღიარებს «ბოლშევიზმის გავლენის გაძლიერებას მუშებში, განსაკუთრებით პეტერბურგში», აღიარებს, რომ ლიკვიდატორობის «დასაყრდენი პუნქტები» «ხელიდან ეცლება» ამ «მიმდინარეობის» «გავლენას».

გ. რაკიტინი ცდილობს ლიკვიდატორებისთვის ეს სავალალო ფაქტი ა ხ ს ნ ა ს ლიკვიდატორებისთვის რაც შეიძლება უფრო ს ა ნ უ გ ე შ ო დ.

მერე როგორია ეს ახსნა?

«მუშათა მასები» გადიან «მოძრაობის ბოლშევიკურ ეტაპს» (გვ. 59), — აღიარებს გ. რაკიტინი. მაგრამ «მუშათა ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა, — აცხადებს ის (გვ. 57), — დგას ეგრეთწოდებული «ლიკვიდატორული» მიმდინარეობის თვალსაზრისზე». აქედან, რა თქმა უნდა, გამოჰყავთ ლიკვიდატორებისთვის «სანუგეშო» დასკვნა, რომ «მოძრაობის ბოლშევიკური ეტაპი» «მასების და მუშათა მოზარდი ახალგაზრდობის დროებითი გატაცებაა ბოლშევიკური ლოზუნგებით», ეს არის გავლენა «უფრო ინსტინქტისა და გრძნობისა, ვიდრე შეგნებისა და ანგარიშისა», ეს არის მუშათა მასების მხრივ ხელისაუღებლობა «გლეხური მსოფლმხედველობის პრიმიტიულობაზე», «სტიქიურ გატაცებათა მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება», (ლიკვიდატორების) «მოქ-

ნილი კლასობრივი ტაქტიკის» გაუგებლობა და მისი შეცვლა «ბოლშევიზმის გამარტივებული ტაქტიკით» და სხვ. და ა. შ.

ერთი სიტყვით, «ნაშა ზარიას» თანამშრომლის ახსნა დიდებულია: პრავდისტების უმრავლესობა მოუმწიფებელი, განუვითარებელი, სტიქიური, ცუდიაო, ხოლო ლიკვიდატორების უმცირესობა ინტელიგენტური, მოქნილი, შეგნებულია და სხვაო. ყველა რეაქციული მწერალი მუდამ და სავსებით ამავე ყაიდაზე ხსნის მასების დემოკრატიულ რწმენას იმით, რომ მასა სულელი, განუვითარებელია და სხვა, ხოლო განვითარებული და ჭკვიანი თავადაზნაურები და ბურჟუები არიანო!

მაგრამ მაინც ნება მიბოძეთ, ძვირფასო რაკიტინ, გკითხოთ, სადღაა თქვენი დამამტკიცებელი საბუთები? თქვენ თვითონ აღიარეთ, რომ პრავდისტების გამარჯვებას, «მასების მიერ მოძრაობის ბოლშევიკური ეტაპის გავლას» მოწმობენ ფ ა ქ ტ ე ბ ი ო! სადა გაქვთ ფ ა ქ ტ ე ბ ი, რომლებიც ადასტურებდნენ, თითქოს ლიკვიდატორებს მიჰყვებოდეს მუშათა ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა? სადა გაქვთ ისეთი ფაქტები, როგორიცაა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები ან მუშათა ჯგუფობრივი ფულის შეგროვებათა რიცხვი, ანდა ამა თუ იმ სიის გამარჯვება პროფესიულ კავშირებში?

არც ერთი, პირდაპირ ა რ ც ე რ თ ი ფაქტი, არც ერთი მოსაზრებაც კი რაკიტინს არ მოჰყავს!

ამიტომ ჩვენს თავს ნებას ვაძლევთ არ დავეთანხმოთ რაკიტინს. მისთვის, რა თქმა უნდა, ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო ა ბოლშევიკური მ უ შ ა თ ა მ ა ს ა მიიჩნიოს განუვითარებელ და სულელ მასად («ინსტინქტი და არა შეგნება»), ხოლო ლიკვიდატორული უმცირესობა განვითარებულ და ჭკვიან უმცირესობად. მაგრამ ისტორიის წერა, **მუშათა მოძრაობის ეტაპების** ა ხ ს ნ ა არა ფაქტებზე დაყრდნობით, არამედ იმაზე, რაც სასიამოვნოა ისტორიკოსის პიროვნებისთვის, ეს — მომიტევეთ, რაკიტინ, — ეს პირდაპირ სასაცილო ბავშვური საქციელია. რა თქმა უნდა, მე არ შემიძლია აღვიარო, რომ

ლიკვიდატორი რაკიტინის «ინსტინქტი და გრძნობა» აიძულებს რაკიტინს ლიკვიდატორული უმცირესობა მიიჩნიოს განსაკუთრებით ინტელიგენტურ, ჭკვიან, მოწინავე ადამიანებად, მაგრამ განა კარგია, რომ მ წ ე რ ა ლ მ ა იხელმძღვანელოს «ინსტინქტით და გრძნობით» ნაცვლად «შ ე გ ნ ე ბ ი ს ა დ ა ა ნ გ ა რ ი შ ი ს ა»?

დაწერილია 1913 წ.
ნოემბრის დამდეგს.

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს
ჟურნალში «პროლეტარსკაია
რევოლუცია» № 9

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გათიშვის შესახებ [110]

პატივცემულო ამხანაგებო! თქვენი გაზეთის 266-ე ნომერში მოთავსებულია თქვენი «რუსი კორესპონდენტის» სტატია სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გათიშვის შესახებ. ეს სტატია, სამწუხაროდ, ძალიან დაშორებულია ობიექტურობას და მას ერთგვარად შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს გერმანელი მკითხველი. იმედი გვაქვს, პატივცემულო ამხანაგებო, შეიწყნარებთ ჩვენს თხოვნას და მოათავსებთ ამ მოკლე პასუხს, რათა გერმანელ მუშებსა და გერმანიის მოძმე პარტიას სწორი ინფორმაცია ჰქონდეთ ამ ელემენტარულ ფაქტებზე.

1) რუსი კორესპონდენტი იწყებს იმის აღნიშვნით, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიას «ზიანს აყენებს მ რ ა ვ ა ლ ორგანიზაციად, ჯგუფად და მიმდინარეობად დაქუცმაცება». უკვე მარტო ეს აბსოლუტურად არ არის მართალი. ყოველმა რუსმა სოციალ-დემოკრატმა და საერთოდ ყველამ, ვისაც აინტერესებს ისტორიული ბრძოლა რუსეთში, იცის, რომ ამჟამად რუსეთის მუშათა მოძრაობაში არსებობს მხოლოდ ო რ ი მიმდინარეობა, ო რ ი ხელმძღვანელი გაზეთი პეტერბურგში, ორი პოლიტიკური ხაზი: მარქსისტები და ლიკვიდატორები. პირველნი, ე. ი. მარქსისტები, ს.-პეტერბურგში უშვებენ ყოველდღიურ გაზეთს «ზა პრავდუ» (მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ მთავრობამ მოსპო მოსკოვში მათი მეორე ყოველ-

დღიური გაზეთი «ნაშ პუტ»). მეორენი პეტერბურგში უშვებენ «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას». რაიმე სხვა «მიმდინარეობა» რუსეთის მუშათა მოძრაობაში ა რ ა რ ი ს, და თვით საზღვარგარეთის რუს სტუდენტობაშიც და ემიგრანტებშიც ქრება ყოველგვარი სხვა შუალედი ეგრეთწოდებული «მიმდინარეობანი». ყოველმა რუსმა სოციალ-დემოკრატმა უნდა მოახდინოს ახლა არჩევანი მარქსისტებსა და ლიკვიდატორებს შორის.

2) განსხვავებას რუსეთის მარქსისტებსა და ლიკვიდატორებს შორის თქვენი «რუსი კორესპონდენტი» განსაზღვრავს, როგორც განსხვავებას გერმანიის რადიკალებსა და რევიზიონისტებს შორის, როგორც განსხვავებას, «ერთი მხრივ, ბებელსა ან ლედებურს და, მეორე მხრივ, ფრანკსა ან დავიდს შორის». მაგრამ ეს არც თუ სავსებით სწორია. რუსი ლიკვიდატორი, რასაკვირველია, რევიზიონიზმის პლატფორმაზე დგას. დასავლეთ ევროპის ოპორტუნიზმისაგან მან შეითვისა რაც კი რამ ცუდი იყო. მაგრამ ლიკვიდატორებსა და რევიზიონისტებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ფრანკი ან დავიდი არასდროს არ დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ გერმანიის თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მისი ორგანიზაციის არსებობა «მავნებელია». ჩვენებური ლიკვიდატორები კი იბრძვიან სწორედ თვით პარტიის არსებობის წინააღმდეგ, ისინი ფაქტიურად სპობენ («ლიკვიდაციას უშვრებიან») მის არალეგალურ ორგანიზაციას, ისინი იბრძვიან მის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგაც კი (პოლიტიკური) გაფიცვების დროს და ამ საქმიანობის ჯილდოდ მთელი რუსეთის ბურჟუაზიის მოწონებასა და მხურვალე მხარის დაჭერას იმსახურებენ.

3) თქვენი კორესპონდენტი წერს, რომ მხოლოდ ერთხელ წამოიჭრა «სათათბიროს ფრაქციაში პოლიტიკური უთანხმოება» ექვს მარქსისტს და ლიკვიდატორობისკენ გადახრილ შვიდ დეპუტატს შორის. მაგრამ ეს ასე არ არის. უთანხმოება თავს იჩენდა ყოველ ნაბიჯზე, როგორც ეს უცილობლად დაამტკიცა ს.-პეტერბურგის მუშათა პრესამ. საქმე იქამდე მივიდა, რომ შვიდეულმა ერთი ხმის უმრავლესობით დაადგინა

გაეუქმებინა ჩვენი პარტიის პროგრამა. უკვე პირველსავე პოლიტიკურ დეკლარაციაში, რომელიც სათათბიროს ფრაქციამ გამოაქვეყნა ტრიბუნიდან, ამ 7 დეპუტატმა მთელი რუსეთის წინაშე უარყო პარტიის 1903 წლის II ყრილობის პროგრამა. ლიკვიდატორების მომხრე ნაციონალისტური ელემენტების (ბუნდი) გულის გასახარებლად მათ განაცხადეს, რუსეთის სოციალ-დემოკრატია იცავს ეგრეთწოდებულ «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიასო». პარტია კი უარყოფს ამ მოთხოვნას, რომელსაც რუსეთში მხარს უჭერს თითქმის ყველა ბურჟუაზიული ნაციონალისტი. პარტიის პროგრამის შემუშავების დროს ეს მოთხოვნა უარყოფილ იქნა ყ ვ ე ლ ა რუსი სოციალ-დემოკრატის მიერ. მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ პლეხანოვმა დაახასიათა ეს მოთხოვნა, როგორც «სოციალიზმის შეგუება ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ თ ა ნ». ექვსმა მარქსისტმა დეპუტატმა სასტიკი პროტესტი განაცხადა პროგრამის ამ ღალატის წინააღმდეგ. მაგრამ შვიდ დეპუტატს არ შეუცვლია თავისი გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია პარტიის წინააღმდეგ.

4) თქვენი კორესპონდენტი აცხადებს, რომ მხოლოდ «არაპირდაპირი გზით» შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ექვსი მარქსისტი დეპუტატი წარმოადგენს მუშათა კლასის უმრავლესობას. ეს აბსოლუტურად არ არის სწორი. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე ზუსტ ციფრს, რომელიც ცხადყოფს, თუ რამდენი მუშაა წარმოდგენილი ექვსი, და რამდენი შვიდი დეპუტატის მიერ.

გუბერნიები	მარქსისტ-დეპუტატთა გვარები	მუშების რიცხვი საფაბრიკო ინსპექციის მონაცემების მიხედვით
პეტერბურგის	ბადაევი	197 000
მოსკოვის	მალინოვსკი	351 000
ვლადიმირის	სამოილოვი	205 000
ეკატერინოსლავის	პეტროვსკი	118 000
კოსტრომის	შაგოვი	91 000
ხარკოვის	მურანოვი	46 000
		ს უ ლ 1 008 000

გუბერნიები	დანარჩენ დეპუტატთა გვარები	მუშების რიცხვი საფაბრიკო ინსპექციის მონაცემების მიხედვით
ვარშავის	იაგელო	78 000
დონის ოლქი	ტულიაკოვი	59 000
უფის	ხაუსტოვი	37 000
თავრიდის	ბურიანოვი	20 000
ირკუტსკის	მანკოვი	13 000
თბილისის	ჩხეიძე	5 000
ყარსის ოლქი	ჩხენკელი	2 000
	სულ	214 000

მ თ ე ლ ი მ უ შ ა თ ა კ უ რ ი ა წარმოდგენილია მარქსისტი დეპუტატებით. ექვსი მარქსისტი დეპუტატი წარმოადგენს, ზომიერი გამოანგარიშებით, მუშების ხ უ თ ჯ ე რ მეტ რიცხვს, ვიდრე ლიკვიდატორობისაკენ გადახრილი შვიდი დეპუტატი.

განა ეს არის «არაპირდაპირი» დამამტკიცებელი საბუთები?

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ციფრი იმ მ უ შ ა თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი ს რაოდენობის შესახებ, რომელნიც სახსრების შეგროვების გზით ხელს უწყობენ მარქსისტებისა და ლიკვიდატორების ლეგალურ პრესას.

	«პრავდა»	მოსკოვის გაზეთი	მთელი მარქსისტული პრესა	ლიკვიდატორების გაზეთი
1912 წელს	620	5	625	89
1913 წელს 1 აპრილამდე	309	129	438	139
1913 წელს 1 აპრილიდან ოქტომბრამდე	1 252	261	1 513	328
სულ ორი წლის განმავლობაში	2 181	395	2 576	556

ეს ციფრები გამოქვეყნებული იყო პეტერბურგის გაზეთის «ზა პრავდუ» * 22-ე ნომერში და არავის უ ა რ უ ყ ვ ი ა.

* იხ. ეს ტომი, გვ. 548 — 552. რ ე დ.

თქვენს კორესპონდენტს ეს უნდა სცოდნოდა. ჯგუფობრივი შენატანები ყოველთვის ქვეყნდება ორივე გაზეთში, და ამ მონაცემებს ჩვენი მტრები, ბურჟუაზიული ბანაკიდან, უყურებენ როგორც ორივე მიმართულების ძალთა თანაფარდობის მაჩვენებელს.

აქაც ციფრები ამტკიცებენ, რომ მარქსისტებს მხარს უჭერს მუშათა ჯგუფების ხუთჯერ მეტი რიცხვი, ვიდრე ლიკვიდატორებს.

განა შეიძლება ამას «არაპირდაპირი» დამამტკიცებელი საბუთები ეწოდოს?

დასავლეთ ევროპის ლეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიებისაგან განსხვავებით ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია დავასახელოთ ჩვენი პარტიის წევრთა ზუსტი რიცხვი. მაგრამ ჩვენც მოგვეპოვება იმის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები, თუ ვის მიჰყვებიან მუშები.

მეორე სათათბიროში მუშათა კურიის 23 დეპუტატიდან (ყველანი სოციალ-დემოკრატები იყვნენ) 11 ბოლშევიკი იყო, ე. ი. 47%. მესამე სათათბიროში — 8-დან 4, ე. ი. 50%. მეოთხე სათათბიროში — 9-დან 6, ე. ი. 67%. იქნებ ეს მონაცემებიც სამი სათათბიროს არჩევნების შესახებ ხუთი წლის (1907 — 1912) განმავლობაში აგრეთვე «არაპირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები» იყოს?

ახლა, მას შემდეგ რაც ექვსეული საჯაროდ გამოვიდა პრესაში შვიდეულის წინააღმდეგ, ყველა პროფესიული კავშირი, რომელმაც თავისი აზრი გამოთქვა, ექვს დეპუტატს მიემხრო შვიდის წინააღმდეგ. პეტერბურგის მარქსისტული გაზეთი ყოველდღე აქვეყნებს მრავალი მუშის, რწმუნებულის, პროფესიული კავშირის, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის მუშების რეზოლუციებს, რომლებიც მხარს უჭერენ ექვს დეპუტატს.

მუშათა ექვსმა დეპუტატმა, რომელნიც წარმოადგენენ რუსეთის მთელ მუშათა კლასს, სათათბიროში შექმნა თავისი სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქცია, რომელიც ყო-

ველი მხრივ ემორჩილება სოციალ-დემოკრატი მუშების ნებას. შვიდი დეპუტატი გამოდის როგორც «დამოუკიდებელი» ჯგუფი. მუშათა ექვსმა დეპუტატმა შეთანხმება შესთავაზა შვიდეულს სათათბიროში სამუშაოდ. დღემდე შვიდეული მკვახედ უარყოფდა ამ წინადადებას. მაგრამ შეთანხმება აუცილებელია.

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება.

! რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოს — «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია

დაწერილია 1913 წ. ნოემბრის დამდეგს.

დაიბეჭდა 1913 წ. 24 დეკემბერს გაზეთში **«Leipziger Volkszeitung»**, № 298

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1934 წ. 21 იანვარს **გაზეთ «პრავდაში»**, № 21

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია გაზეთ **«Leipziger Volkszeitung»**-ის ტექსტთან

თარგმანი გერმანულიდან

*მემარცხენე ნაროდნიკები მარქსისტებს შორის ბრძოლის შესახებ

გაზეთ «ვოლნაია მისლის» [1] მე-3 ნომერში მოთავსებულია სტატია ღვლარჭნილი სათაურით: «ერთერთიანობა, ორ-ერთიანობა თუ სამერთიანობა».

«ჩვენ აშკარად ვაცხადებთ, — ნათქვამია ამ სტატიაში, — რომ ერთი ფრაქციის — ბოლშევიკების პრეტენზია — დაეუფლოს მთელ მუშათა **მოძრ**აობას იმდენადვე უგუნურია და უაზრო, როგორც სოციალ-დემოკრატიის ორი ფრაქციის მისწრაფება — განასახიეროს მთელი სოციალისტური მოძრაობა რუსეთში. მომავალი მხოლოდ ყველა სოციალისტური მიმდინარეობის ერთ პარტიად გაერთიანებას ეკუთვნის.

და ჩვენც, წამოვაყენეთ რა ეს ლოზუნგი 1906 წლის დამდეგიდან, ბოლომდე მისი ერთგული ვრჩებით».

აი ნიმუში სასაცილოდ ბრაზიანი ფრაზებისა «ერთიანობის» შესახებ!! მარქსისტებისა და ნაროდნიკების ისტორიული ბრძოლის პრინციპული შინაარსის შესახებ, ბრძოლისა, რომელიც რამდენიმე ათეული წელიწადია მიმდინარეობს, კ რ ი ნ ტ ი ც ა რ ა რ ი ს დ ა ძ რ უ ლ ი. კრინტი არ არის აგრეთვე დაძრული 1905 — 1907 წლების მოძრაობის ისტორიაზე, როცა მოსახლეობის ყველა კლასის მ ა ს ე ბ ი ს აშკარა გამოსვლამ საქმით ცხადყო სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატისა და «მშრომელი» (ე. ი. წვრილბურჟუაზიული) გლეხობის ძ ი რ ი თ ა დ ი განსხვავება.

თუკი რუსეთში არსებობს რადიკალური და სერიოზული გაზეთი, რომელიც ა ს ე აყენებს საკითხს, ეს ერთ-ერთი

თვალსაჩინო ნიშანია იმისა, თუ ჯერ კიდევ რამდენად საჭიროა ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა პრინციპული გარკვეულობის ა ნ ა ბ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს.

ბოლშევიკებს რომ შეგნებული მუშების უმრავლესობა ემხრობა, ეს ძალაუნებურად უნდა აღიარონ ღვარძლითა და სისინით მათმა მტრებმა — ბატონმა ლიკვიდატორებმა.

ამის უარყოფა გულჩვილობით შეუძლებელია. მუშები არავის შეაშინებინებენ თავს შეძახებით: «უგუნურია და უაზრო», ისინი მხოლოდ გაიღიმებენ.

იდეის თვალსაზრისით, მარქსიზმის მთელი ისტორია რუსეთში ეს არის ბრძოლა წვრილბურჟუაზიულ თეორიებთან, დაწყებული «ლეგალური მარქსიზმით» და «ეკონომიზმით». ეს ბრძოლა შემთხვევითი როდი იყო. არც მისი პირდაპირი განგრძობაა ახლა შემთხვევითი. რუსეთის მუშათა პარტია, როგორც ნამდვილად კლასობრივი პროლეტარული პარტია, ყალიბდება და ვაჟკაცდება სამივნისელთა ძნელ ხანაში, სახელდობრ, ამ ბრძოლაში წვრილბურჟუაზიულ ლიკვიდატორობასთან და მემარცხენე ნაროდნიკობასთან.

«ჩვენ, მემარცხენე ნაროდნიკებს, არასოდეს არ მოგვითბია ხელი სხვის უბედურებაზე» — წერს «ვოლნაია მისლი». და ამასთან ერთად იმის მტკიცებას ვხედავთ, რომ გათიშვა იწვევს «ჩვენი სოციალ-დემოკრატიის სრულ შინაგან უძლურებას»!

ასეთი რამის წერა, ბატონებო, სწორედ «ხელის მოთბობას» ნიშნავს, მაგრამ ვიტყვით: არა სხვის «უბედურებაზე», არამედ «სხვის ი დ ე უ რ ბ რ ძ ო ლ ა ზ ე», რადგან მარქსისტებს შორის ბრძოლას საფუძვლად უდევს სწორედ ლიბერალური და პროლეტარული პოლიტიკის იდეის შეჯახება. მუშებმა უკვე ისე ისწავლეს ამ ბრძოლის პრინციპული საფუძვლების მონახვა, რომ მათ არ აკრთობს არც ღვარძლიანი სიტყვები და არც გულჩვილობა.

«ევროპის მუშათა მოძრაობის ერთიან პარტიათა შიგნით უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ი უთანხმოებანია, ვიდრე ჩვენში» — წერს «ვოლნაია მისლი». ეს მეტად გავრცელებული, მაგრამ

დიდად უმართებულო მსჯელობაა. ევროპაში არსად არა დგას იმის საკითხიც კი, რომ პროლეტარული, მარქსისტული ორგანიზაცია შეცვალონ... ლაყბობით «ფართო» პარტიის შესახებ პურიშკევიჩის ლოცვა-კურთხევით... და სხვ.

ასეთი დავით მუშები შეიძენენ ცოდნას ნამდვილად, და არა სიტყვიერად, ა შ ე ნ ო ნ მუშათა პარტია.

«ზა პრავდუ» № 34,
1913 წ. 13 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «ზა პრავდუს» ტექსტის მიხედვით

აგრარული საკითხი და რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა

(პუბლიცისტის შენიშვნები)

ამას წინათ აღნიშნულ თემაზე ორი საინტერესო სტატია გამოქვეყნდა ჟურნალებში. ერთი — ლიკვიდატორთა «ნაშა ზარიაში» (1913 წ., № 6—ნ. როჟკოვისა), მეორე — მემარჯვენე კადეტების «რუსსკაია მისლში» (1913 წ., № 8 — ი. ი. პოლფეროვისა). ეჭვს გარეშეა, რომ ორივე ავტორი წერდა ისე, რომ სრულიად არაფერი იცოდნენ ერთმანეთის შესახებ, და სრულიად სხვადასხვა წანამძღვარიდან გამოდიან.

მიუხედავად ამისა ორივე სტატიის მსგავსება საოცარია. თვალნათლივ შეიძლება დაინახოთ აქ — და ეს განსაკუთრებით საგულისხმოდ ხდის ორივე სტატიას — პრინციპული ნათესაობა ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსების იდეისა და კონტრრევოლუციონერი ლიბერალური ბურჟუების იდეისა.

ნ. როჟკოვის მასალა სწორედ ისეთივეა, როგორც ბ-ნ პოლფეროვისა, მხოლოდ უკანასკნელისა უფრო ფართოა. კაპიტალიზმი რუსეთის სოფლის მეურნეობაში იზრდება 1905 წლის რევოლუციის შემდეგ. იზრდება პურისა და მიწის ფასები; იზრდება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სასუქის შემოზიდვა, აგრეთვე შინაური წარმოება ერთისაც და მეორისაც. იზრდება წვრილი კრედიტის დაწესებულებანი; იზრდება ფერმებად გამოყოფილთა რიცხვი. იზრდება ხელფასი (44,2 პროცენტითო 1890-დან 1910 წლამდე — გვაუწყებს ნ. როჟკოვი, იმას კი ივიწყებს, თუ რამდენად გაძვირდა ცხოვრება ამ ხნის განმავლობაში!). იზრდება სავაჭრო მეცხო-

ველეობა, ერბო-კარაქის წარმოება, ბალახთესვა, სასოფლო-სამეურნეო სასწავლო საქმე.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მეტად საინტერესოა. მარქსიზმის თვალსაზრისით ეჭვის მიტანაც კი შეუძლებელია იმაზე, რომ კაპიტალიზმის განვითარებას ვერ შეაჩერებ. ოღონდ ავტორებს რომ ეს ახალი მონაცემებით განემარტათ, არ შეიძლებოდა მათთვის მადლობა არ გვეთქვა.

მაგრამ მთავარია მონაცემების შეფასება, მათგან გამოყვანილი დასკვნები. ამასთან ნ. როჟკოვი იჩქარის... გულისამაჩვილებლად. «მოხდა მემამულეთა ბატონყმური მეურნეობის გარდაქმნა ბურჟუაზიულ, კაპიტალისტურ მეურნეობად... სოფლის მეურნეობაში ბურჟუაზიულ წესებზე გადასვლა... მომხდარი ფაქტია, სრულიად უცილობელი... აგრარული საკითხი წინანდელი ფორმით დღის წესრიგიდან მოიხსნა რუსეთში... რა საჭიროა ხელოვნურად გამოვაცოცხლოთ გვამი აგრარული საკითხი ძველი ფორმით».

როგორც მკითხველი ხედავს, დასკვნები სავსებით ცხადი და სავსებით... ლიკვიდატორულია. ლიკვიდატორთა ჟურნალის რედაქციამ სტატიას დაურთო (როგორც ეს დიდი ხანია შემოღებულია ვაჭრულ უპრინციპო რედაქციებში) მ ც ი რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა: «ძალიან ბევრ რამეში არ ვეთანხმებით... შესაძლებლად არ მიგვაჩნია ა ს ე გ ა დ ა ჭ რ ი თ ვამტკიცოთ, როგორც ამას ნ. როჟკოვი შვრება, რომ რუსეთი წავა სწორედ იმ გზით, რომელიც დასახულია 9/ XI — 14/VI კანონითო»...

ლიკვიდატორები ისე გაბედული «როდი არიან», როგორც ნ. როჟკოვი! რა ღრმა, პრინციპული დამოკიდებულებაა საქმისადმი!

ნ. როჟკოვმა თავისი სტატიით ერთხელ კიდევ და კიდევ დაამტკიცა, რომ მას დ ა უ ს წ ა ვ ლ ი ა მარქსიზმის მთელი რიგი დებულებები, მაგრამ ვ ე რ გ ა უ გ ი ა ისინი. ამიტომ ისინი ასე ადვილად «ამოუხტნენ» მას.

კაპიტალიზმის განვითარება რუსეთის სოფლის მეურნეობაში მიმდინარეობდა 1861 1904 წლებშიც. ყველა ნიშანი,

რომელთაც ახლა როჟკოვი და პოლფეროვი აღნიშნავენ, უკვე მაშინაც არსებობდა. კაპიტალიზმის განვითარებამ ბ ურ ჟ უ ა-ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი კრიზისი 1905 წელს კი არ მოსპო, არამედ მოამზადა და გაამწვავა იგი. რატომ? იმიტომ, რომ ძველ, ნატურალურ, ნახევრადბატონყმურ მეურნეობას ძირი გამოეთხარა. ხოლო პ ი რ ო ბ ე ბ ი ა ხ ა ლ ი, ბურჟუა-ზიული მეურნეობისათვის შექმნილი არ არის. აქედანაა 1905 წლის კრიზისის არაჩვეულებრივი სიმწვავე.

ნიადაგი ა ს ე თ ი კრიზისებისთვის გაქრაო — ამბობს როჟკოვი. რასაკვირველია, ეს შესაძლებელია, თუ აბსტრაქ-ტულად ვილაპარაკებთ, ე. ი. თუ ვილაპარაკებთ საერთოდ კაპიტალიზმზე და ა რ ა რუსეთზე, ა რ ა 1913 წელზე. რა-საკვირველია, მარქსისტები მხოლოდ განსაკუთრებულ პირო-ბებში (ა რ ა ყოველთვის, ა რ ა ყველგან) აღიარებენ ბურ-ჟუაზიულ-დემოკრატიული აგრარული საკითხის არსებობას.

მაგრამ როჟკოვს ისიც კი არ გაეგება, რა დებულებები უნდა დაამტკიცოს, თუ მას სურს დაადასტუროს თავისი კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი დასკვნა.

გლეხები უკმაყოფილონი არიან თავიანთი მდგომარეო-ბით? — «მაგრამ გლეხები ხომ არსად არ არიან კმაყოფილი თავიანთი მდგომარეობითო» — წერს როჟკოვი.

ერთმანეთს შეადარო და გაუთანაბრო, ერთი მხრივ, დასავლეთევროპელ გლეხთა უკმაყოფილება, რომელთა სოფელსა და იურიდიულ ყოფაცხოვრებას სავსებით ბურჟუა-ზიული წყობილება აქვს და რომლებმაც «წესრიგის პარტია» შექმნეს, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთის მუდმივი შ ი მ შ ი-ლ ო ბ ა, სოფლის ს რ უ ლ ი წოდებრივი დაბეჩავება, სამართ-ლის სფეროში ს რ უ ლ ი ბატონყმური რეჟიმი და სხვ., ეს პირდაპირ ბავშვურად სასაცილოა. როჟკოვი რიყეზე ქვებს ვერ ხედავს.

იზრდება კაპიტალიზმი, ეცემა საბატონო სისტემა (შრომა-მიგება) — წერს ის. «მემამულეთა დიდი უმრავლესობა — წერს ლიბერალი პოლფეროვი — ... სულ უფრო და უფრო

ავითარებს საბეო და სანახევრო სისტემას, რაც მხოლოდ და მხოლოდ გლეხის ფულადი გაჭირვებისა და მიწის სივიწროვის შედეგია».

«რ უ ს ს კ ა ი ა მ ი ს ლ ი ს» ლიბერალი უფრო ნაკლებ გულუბრყვილო ოპტიმისტია, ვიდრე ლიკვიდატორთა «ნაშა ზარიას» თანამშრომელი, ყოფილი მარქსისტი!

ნ. როჟკოვი არცკი შეხებია მონაცემებს იმის შესახებ, თუ რ ა მ დ ე ნ ა დ გავრცელებულია თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე სოფელში სანახევრო სისტემა, შრომამიგება, საბატონო სისტემა, კაბალა. როჟკოვმა საოცარი მოუფიქრებლობით აუარა გვერდი იმ ფაქტს, რომ ეს სისტემები ჯ ე რ კ ი დ ე ვ ფართოდ არის გავრცელებული. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი კრიზისი კიდევ უფრო გამწვავებულა.

ხელოვნურად ნუ აცოცხლებთ გვამს — წერს ლიკვიდატორი, სავსებით ბანს აძლევს რა ლიბერალს, რომელიც ს ხ ვ ა სიტყვებით «გვამად» აცხადებს 1905 წლის მოთხოვნებს.

ჩვენ ამაზე ვუპასუხეთ: მარკოვი და პურიშკევიჩი გვამები არ არიან. ეკონომიკა, რომელმაც ისინი წარმოშვა და დღესაც წარმოშობს, გვამი არ არის. ბრძოლა ამ კლასის წინააღმდეგ — ცოცხალი მუშების ცოცხალი ამოცანაა, საკუთარი კლასობრივი მიზნების ცოცხალი გაგებაა.

ამ ამოცანაზე ხელის აღება — გ ვ ა მ ი ს ე ბ უ რ ი გახრწნის ნიშანია ლიკვიდატორებისა, რომლებიც ყველანი «ისე გადაჭრით» როდი ლაპარაკობენ, როგორც როჟკოვი, მაგრამ ყ ო ვ ე ლ ა ნ ი ივიწყებენ ან ჩქმალავენ ბრძოლას საადგილმამულო (განსაკუთრებით — მიწათმფლობელური) პურიშკევიჩობისა და პოლიტიკური პურიშკევიჩობის წინააღმდეგ.

პურიშკევიჩების ბატონობა ჩვენს ცხოვრებაში — იმავე მედლის მეორე მხარეა, რასაც სოფლად ეწოდება შრომამიგება, კაბალა, საბატონო სისტემა, ბატონყმობა, ბურჟუაზიული მეურნეობის უაღრესად ელემენტარული საერთო პირობების უქონლობა. თუ ზედაფენებში მილიონერი-მეპატრონეები

(გუჩკოვები და კომპანია) დრტვინავენ, — მაშასადამე, სრულიად აუტანელი ყოფილა მილიონობით წვრილ მეპატრონეთა (გლეხთა) პირობები ქვედაფენებში.

როცა მუშები ამოცანად ისახავენ პურიშკევიჩობის ფესვების წინააღმდეგ ბრძოლას, ამით ისინი სრულიადაც არ უხვევენ სადღაც განზე «თავიანთი» ამოცანებისაგან, რათა «ხელოვნურად გამოაცოცხლონ» რაღაც მათთვის უცხო რამ. არა. ისინი ა მ ი თ არკვევენ თ ა ვ ი ს თ ვ ი ს თავიანთი ბრძოლის, საკუთარი კლასის დემოკრატიულ ამოცანებს, ისინი ამით დემოკრატიზმსა და სოციალიზმის ანაბანას ასწავლიან ფართო მასებს. რადგან მხოლოდ «მეფურ-პრუსიულ სოციალიზმს» (როგორც ეს თქვა მარქსმა შვეიცერის წინააღმდეგ) [112] შეუძლია მიჩქმალოს საერთოდ პურიშკევიჩობისა და კერძოდ მიწათმფლობელური პურიშკევიჩობის ბატონყმური ყოვლისშემძლეობა.

როჟკოვი, თავისდა შეუმჩნევლად, დაქანდა პოლფეროვისკენ, რომელიც ამბობს: «მიწის ნაკვეთის უბრალო მიმატება» ვერ «უშველიდა» საქმეს უინტენსიფიკაციოდო! თითქოს ინტენსიფიკაცია ასწილ უფრო სწრაფად არ წავიდოდა პურიშკევიჩობის თ ა ვ ი დ ა ნ მ ო შ ო რ ე ბ ი თ! თითქოს ლაპარაკი იყოს მხოლოდ გლეხებზე, — «მიემატოს» მათ თუ არა, — და არა მ თ ე ლ ხალხზე, კაპიტალიზმის მ თ ე ლ განვითარებაზე, კაპიტალიზმისა, რომელსაც ამახინჯებს და აფერხებს პურიშკევიჩობა!

როჟკოვმა წამოროშა ლიკვიდატორობის დ ე დ ა ა რ ს ი, როცა აღნიშნა «კოალიციის თავისუფლების» ყოვლისმომცველი ლოზუნგის (შეადარეთ ამ ლოზუნგის დაყენება სახელმწიფო სათათბიროში 1913 წლის 23 ნოემბერს წარმოთქმულ ტულიაკოვის ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ სიტყვასა და ბადაევის მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ სიტყვაში) კ ა ვ შ ი რ ი, — როცა აღნიშნა ამ ლოზუნგის კავშირი აგრარული საკითხის ახლანდელი მდგომარეობით დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ს თ ა ნ.

ეს კავშირი ობიექტური ფაქტია; თანდართული «მცირე შენიშვნებით» «ნაშა ზარია» ვერ მოიშორებს მას.

თავი დაანებე ფიქრს მთელ ხალხზე, პურიშკევიჩობაზე მთელ ცხოვრებაში, გლეხთა შიმშილობაზე, შრომამიგებაზე, საბატონო სისტემაზე, ბატონყმობაზე — იბრძოლე «ლეგალობისთვის», «კოალიციის თავისუფლებისთვის», როგორც ერთ-ერთი რეფორმისთვის, — აი ის აზრები, რომლებსაც ბურჟუაზია ავითარებს მუშებში. როჟკოვი და ლიკვიდატორები, თავისდა შეუგნებლად, მხოლოდ კუდში მისჩანჩალებენ მას.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ პროლეტარი, მთელი მშრომელი ძასების მოწინავე წარმომადგენელი, თავისი განთავისუფლების გზაზედაც ვერ ივლის ისე, თუ არ გააჩაღა ყოველმხრივი ბრძოლა პურიშკევიჩობასთან ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის გულისთვის და ამ ბრძოლის ინტერესებისთვის, — აი ის აზრები, რომლებიც განასხვავებენ მარქსისტს ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსისაგან.

«ზა პრავდუ» № 36,
1913 წ. 15 ნოემბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზა პრავდუს» ტექსტის მიხედვით

დავისა და ბრძოლის ოარი ხერხი

არის ხოლმე პრესაში ისეთი დავა და აზრთა ისეთი ბრძოლა, რომლებიც ეხმარებიან მკითხველებს უფრო ნათლად გაიგონ პოლიტიკის საკითხები, უფრო ღრმად გაითვალისწინონ, თუ რა მნიშვნელობა აქვთ ამ საკითხებს, უფრო მტკიცედ გადაწყვიტონ ისინი.

არის ხოლმე ისეთი დავა, რომელიც ერთმანეთის ლანძღვად, ჭორიკანობად და კინკლაობად გადაიქცევა ხოლმე.

მოწინავე მუშებს, რომლებსაც ესმით თ ა ვ ი ა ნ თ ი პასუხისმგებლობა იმ მუშაობის მსვლელობისათვის, რომლის მიზანია პროლეტარიატის განათლება და დარაზმვა, მართებთ უდიდესი ყურადღებით ადევნონ თვალყური იმას, რომ გ ა რ დ უ ვ ა ლ ი დავა, აზრთა გ ა რ დ უ ვ ა ლ ი ჭიდილი ა რ გ ა დ ა გ ვ ა რ დ ე ს ერთმანეთის ლანძღვად, ჭორიკანობად, კინკლაობად, ცილისწამებად.

ეს არის მუშათა საქმის, მუშათა ორგანიზაციის საკითხი. ეს არის სულ მცირეოდენ დეზორგანიზატორულ ცდებთან ბრძოლის უაღრესად სერიოზული და დიდმნიშვნელოვანი საკითხი. აქ თავს ვერ დაიძვრენ: ვისაც ვერ უსწავლია დეზორგანიზატორობის ძირშივე აღკვეთა, ის ორგანიზატორად არ ვარგა. ხოლო უორგანიზაციოდ მუშათა კლასი ა რ ა რ ა ა. თუ არ წარმოებს კამათი, დავა და აზრთა ჭიდილი — რაიმე მოძრაობა, მათ შორის მუშათა მოძრაობაც, შეუძლებელია. თუ ულმობელად არ შევებრძოლეთ დავის გადაგვარებას ლან-

ძღვად და კინკლაობად, ა რ ა ვ ი თ ა რ ი ორგანიზაცია ა რ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ.

მოვუწოდებთ შეგნებულ მუშებს ამ თვალსაზრისით შეხედონ ექვსეულისა და შვიდეულის ბრძოლას სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში.

ექვსეულმა თავის მოვალეობად აღიარა ანგარიში გაუწიოს მარქსისტთა თათბირის ნებასა და გადაწყვეტილებას. პროლეტარიატის წარმომადგენლები სათათბიროში ვალდებული არიან დაემორჩილონ სათათბიროს გარეთ მოქმედი შეგნებული, ორგანიზებული მუშა-მარქსისტების უმრავლესობის ნებას.

ეს არის ზოგადი პრინციპი. ეს არის ზოგადი საფუძველი მთელი ჩვენი შეხედულებისა მუშათა მოძრაობის ამოცანებზე.

თუ ეს შეხედულება სწორი არ არის, ის უნდა უარვყოთ და უკუვაგდოთ. თუ ის სწორია და ა ნ ა ბ ა ნ ა ს წარმოადგენს, ურომლისოდაც პოლიტიკას ვერ მოჰკიდებ ხელს, თუ ამ უანაბანოდ რ ა ი მ ე ორგანიზაცია წარმოუდგენელია, — მაშინ უნდა მივიღოთ ეს შეხედულება და მტკიცედ დავიცვათ ის, მიუხედავად ყოველგვარი ყვირილისა, გოდებისა, შემოტევისა, ცილისწამებისა.

ამხანაგო მუშებო! იკამათეთ ამაზე. ეცადეთ კამათით, საუბრებით, დისკუსიებით სავსებით გაარკვიოთ ეს საკითხი, მაგრამ თავიდან მოიშორეთ ისინი, ვინც კამათს ლანძღვით ცვლის.

ერთი შეხედეთ, რა პასუხი გასცეს ლიკვიდატორებმა ექვსეულის პირველ და ძირითად საბუთს?

მათ პასუხში ლანძღვის მეტი არაფერია! გალანძღეს თათბირი, მეასედ გალანძღეს არალეგალური მუშაობა, ეს არის და ეს.

განა ეს პასუხია? განა ეს უბრალო ცდა არ არის დეზორგანიზაცია შეიტანონ და დაშალონ ორგანიზაცია?

საქმე იქამდე მივიდა, რომ თ. დ-მ 70-ე ნომერში სიტყვასიტყვით ასეთი ფრაზა დაწერა: «სად არიან პასუხისმგებელი კოლექტივები, რომლებმაც წამოაყენეს მათი კანდიდატურა და განაწესები მისცეს მათ?»

დაუფიქრდით, ამხანაგო მუშებო, ამ კითხვის მნიშვნელობას და დაინახავთ, რომ ეს კითხვა, ღირსია... იმათი, ვინც... დაკითხვას აწარმოებს!.. გაიგეთ, ბატონო თ. დ. და სხვა ლიკვიდატორებო, რომ ჩვენ ა რ შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა გეკამათოთ, რაკი ა ს ე თ კითხვებს იძლევით.

განიხილეთ საქმე არსებითად: სწორია თუ არა თათბირის გადაწყვეტილება, სწორად გამოხატა თუ არა მან მუშების უმრავლესობის ინტერესები და შეხედულებები? «პრავდისტები» ამაზე უპასუხებენ მთელი რიგი ზუსტი ციფრებით (სამშაბათის, 1913 წ. 29 ოქტომბრის «ზა პრავდუს» ნომერი) *. ეს ციფრები ცხადყოფენ, რომ «პრავდისტების» მხარეზეა შეგნებული, ე. ი. პოლიტიკური ცხოვრების მონაწილე, მუშების უეჭველი და უდავო უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა.

ეს ციფრები ეხებოდა მუშათა კურიაში II, III და IV სათათბიროს არჩევნების შედარებასაც, — ექვსეულისა და შვიდეულის მიერ წარმოდგენილი მუშების რიცხვსაც, — და იმ მუშათა ჯგუფების რიცხვსაც, რომლებიც აშკარად ეხმარებოდნენ სახსრების შეგროვებით ამა თუ იმ გაზეთს, და სხვ.

სად არის ლიკვიდატორთა პასუხი ამ საბუთზე, იმ არსებით საკითხში, რომელიც შეეხება უმრავლესობას?

პასუხის ნაცვლად — ლანძღვა-გინება. ლიკვიდატორები არც ერთ, პირდაპირ არც ერთ ციფრს არ უარყოფენ, იმასაც კი არ ცდილობენ, რომ შეასწორონ ისინი, სხვა ციფრებით შეცვალონ!!!

საქმე ცხადზე უცხადესია: ვინც გვერდს უვლის ზუსტ მონაცემებს უმრავლესობის შესახებ, ის ა რ ღ ვ ე ვ ს უმრავლესობის ნებას, ის დეზორგანიზატორია.

შვიდეული სათათბიროში ლიკვიდატორობისკენ იხრება, რადგან იგი თავს ნებას აძლევს ლანძღოს არალეგალური მუშაობა, რადგან იგი მონაწილეობას იღებს უმრავლესობის ნების ჩაშლაში. ეს არის სწორედ შვიდეულის უ პ ა რ ტ ი ო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 544 — 565. რ ე დ.

ბის ნიშანი. და არც ერთი ადამიანი ქვეყნად, თუ ის ჭკუაზე შეშლილი არ არის, ნებას არ მისცემს შვიდ უპარტიოს ერთი ხმით ჩაახშონ პარტიული გადაწყვეტილებანი და მათი მომხრეები.

ლიკვიდატორთა ვერავითარი ლანძღვა ვერ უარყოფს ამ უბრალო და ნათელ ფაქტს.

ექვსეულმა თავისი მოვალეობა შეასრულა. და რაც უფრო მეტად ყვირიან და ილანძღებიან ლიკვიდატორები, მით უფრო მალე მიხვდება ყველა მუშა და ყველა მარქსისტი ექვსეულის მოქმედების სისწორეს, სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის უპარტიო დეპუტატებთან თანასწორუფლებიანობისა და შეთანხმების გარდუვალობას.

«ზა პრავდუ» № 36,
1913 წ. 15 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «ზა პრავდუს» ტექსტის მიხედვით

ვითომ-«გამაერთიანებელნი»

პოლონეთის სოციალ-დემოკრატების ბერლინის წრე (როზა ლუქსემბურგი, ტიშკო და კომპანია), გადაჭრით უარყოფილი პოლონელი სოციალ-დემოკრატი მუშების მიერ, არ ცხრება. ის კვლავ უწოდებს თავის თავს პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის «მთავარ გამგეობას», თუმცა პირდაპირ არც ერთი ადამიანი ამ ქვეყნად ვერ იტყოდა, თუ რას «განაგებს», კაცმა რომ თქვას, უპარტიოდ დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ი ეს სავალალო «გამგეობა» [113].

ვარშავისა და ლოძის სოციალ-დემოკრატმა მუშებმა უკვე დიდი ხანია განაცხადეს, საერთო არაფერი გვაქვს ბერლინის აღნიშნულ წრესთანო. სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებმა ვარშავაში, დაზღვევის კამპანიის მსვლელობამ ვარშავაში ყველას და თვითეულს დაანახვა, რომ პოლონეთში არსებობს მხოლოდ ერთი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია — ის ორგანიზაცია, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა, «მთავარი გამგეობის» წევრ დეზორგანიზატორებს და ცილისმწამებლებს არა ვცნობო. ამ «გამგეობის» საგმირო საქმეთაგან საკმარისია მოვიხსენიოთ ერთი: პოლონელი სოციალ-დემოკრატი მუშების მთავარი დასაყრდენი — ვარშავის დასაყრდენი — ამ ვაჟბატონებმა უ ს ა ფ უ ძ ვ ლ ო დ გამოაცხადეს «ოხრანკის ქსელში გახვეულად». გავიდა ერთი წელი. «გამგეობამ» ვერაფრით ვერ დაამტკიცა თავისი აღმაშფოთებელი ბრალდება. რა თქმა უნდა, მარტო ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ

მუშათა მოძრაობის არც ერთ პატიოსან მოღვაწეს არ მოესურვებინა რაიმე ურთიერთობა დაეჭირა ტიშკოს წრის ჯენტლმენებთან. როგორც მკითხველი ხედავს, ბრძოლის ხერხებში ეს ვაჟბატონები ცოტათი თუ განსხვავდებოდნენ ჩვენი მარტოვების, დანებისა და კომპანიისაგან...

და აი პოლონეთში მომუშავე ყველა პარტიის მიერ დაგმობილ პირთა წრემ ახლა გადაწყვიტა იხსნას რუსეთის მუშათა მოძრაობა. როზა ლუქსემბურგმა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში [114] შეიტანა წინადადება — განიხილონ საკითხი ერთიანობის აღდგენისა რუსეთში. ამის ერთ-ერთი მოტივი ის არის, რომ, თურმე ნუ იტყვით, «ლენინის ჯგუფს» გათიშვა შეაქვს პოლონეთის სოციალ-დემოკრატიაშიო.

ამ განცხადებით ბერლინის წრემ ერთბაშად გამოამჟღავნა თავისი თავი. ბოლშევიკები, როგორც ცნობილია, ხელიხელჩაკიდებული მიდიან იმ პოლონელ სოციალ-დემოკრატ მუშებთან ერთად, რომელთაც უარყვეს ინტრიგანთა წრე. ეს ძილს უფრთხობს ყბადაღებულ «გამგეობას» და აქედან გამომდინარეობს მთელი «გამაერთიანებელი» კამპანია, რომელიც დაიწყო რუსეთის მარქსისტებზე თავდასხმებით და მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს რუსეთის ლიკვიდატორებს.

«რომ არ უჭირდეს», როზა ლუქსემბურგი ამას არ იზამდა. თავის დროზე მისმა წრემაც კი უარი თქვა «აგვისტოს» შერიგებაზე ლიკვიდატორებთან.

მაგრამ რადგან უპრინციპობისა და ინტრიგანობის წყალობით ამ ჯგუფმა ყოველგვარი მნიშვნელობა დაჰკარგა პოლონეთისა და რუსეთის მუშათა მოძრაობაში, ეს პოლიტიკური კოტრები ახლა კალთაში ეჭიდებიან ლიკვიდატორებს. ყველა მომაკვდინებელ ცოდვაში ბრალი მიუძღვის, რა თქმა უნდა, «ლენინის ჯგუფს», და ამიტომ... ამიტომ რადაც უნდა დაჯდეს საჭიროა გავერთიანდეთ ამ ჯგუფთანო. ძველი ისტორიაა!..

არსებითად როგორ მოეკიდებიან რუსი მარქსისტები საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში რუსთა უთანხმოების გარჩევის საკითხს?

რამდენადაც ვიცით, ისინი ძალიან მოხარული იქნებიან, თუ ისე მოეწყობა საქმე, რომ დასავლეთევროპელი ამხანაგები არსებითად გაეცნობიან ჩვენს დავას. ჩვენ ყური მოვკარით, რომ რუს მარქსისტებს, თავის მხრივ, საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში შეაქვთ წინადადება — განიხილონ აგრეთვე საკითხი პოლონეთის სოციალ-დემოკრატიაში მომხდარი გათიშვის შესახებ და იმ სამარცხვინო საქციელის შესახებაც. რაც ტიშკოს ჯგუფმა იკადრა პოლონეთის ნამდვილი მუშათა ორგანიზაციების მიმართ. მარქსისტები ძალიან მოხარული იქნებიან, თუ საერთაშორისო ბიურო განიხილავს აგრეთვე უთანხმოებას 6 და 7 დეპუტატს შორის. ამით უცხოელი ამხანაგების წინაშე დაისმება საკითხი, პარლამენტის ფრაქცია უნდა დაემორჩილოს მუშათა პარტიას, თუ, პირიქით, მუშათა პარტია უნდა დაემორჩილოს სათათბიროს ფრაქციას.

მარქსისტები კიდევ უფრო კმაყოფილი იქნებიან, თუ მიღებული იქნება როზა ლუქსემბურგის წინადადება — 1914 წელს ვენაში განზრახული საერთაშორისო ყრილობის დღის წესრიგში დაისვას რუსთა გაერთიანების საკითხი.

ახალმა ინტერნაციონალმა ასეთი საკითხები ორჯერ დასვა საერთაშორისო ყრილობებზე. ერთხელ — ამსტერდამში 1904 წელს — დაისვა ფრანგთა ერთიანობის საკითხი. კონგრესმა ა რ ს ე ბ ი თ ა დ განიხილა გედისტებისა (მარქსისტების) და ჟორესისტების (რევიზიონისტების) დავის საფუძვლები. მან დ ა გ მ ო ჟორესისტების ხაზი — მათი მონაწილეობა ბურჟუაზიულ სამინისტროებში, ბურჟუაზიასთან შეთანხმებანი და სხვ.. და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ა რ ს ე ბ ი თ ა დ მისცა გაერთიანების წინადადება მებრძოლ მხარეებს.

მეორედ — კოპენჰაგენში 1910 წელს — დაისვა ჩეხ-ავსტრიელთა გათიშვის საკითხი. კონგრესი კვლავ ა რ ს ე ბ ი თ ა დ მიუდგა დავას. მან გაილაშქრა ჩეხი სეპარატისტების «ბუნდისტურ-ნაციონალისტური» პრინციპების წინააღმდეგ და ის აზრი გამოთქვა, რომ მუშათა პროფესიული კავშირები ერთი ქვეყნის შიგნით არ უნდა აიგოს ეროვნების პრინციპის მიხედვით. ა რ ს ე ბ ი თ ა დ დავის ამ გადაწყვეტის

საფუძველზე კონგრესმა გაერთიანების წინადადება მისცა ორივე მხარეს. (თუმცა ჩეხი ბუნდელები არ დაემორჩილნენ ინტერნაციონალს.)

თუ რუსთა საკითხი დაისვა, ვენის კონგრესი, უეჭველია, გამოთქვამს თავის აზრს «არალეგალური მუშაობის» მნიშვნელობაზე ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა თანამედროვე რუსეთი, იმაზე, რომ არსებულ პირობებში «ევოლუციისა» თუ «შეუკვეცელი» გზის პერსპექტივიდან უნდა გამოდიოდნენ მარქსისტები და სხვ.. ყოველივე ამაზე ინტერნაციონალის აზრის მოსმენა ყოველ შემთხვევაში ინტერესს მოკლებული არ იქნება...

მაგრამ სამწუხაროდ ეს ჯერ კიდევ შორსაა. ჯერჯერობით კი ჩვენ გვაქვს მხოლოდ როზა ლუქსემბურგისა და ტიშკოს ბერლინის წრის ბრაზიანი, მაგრამ უძლური გამოსვლა. ვურჩევთ ბ-ნ თ. დ.-ს კარგად გამოიყენოს ეს გამოსვლა მარქსისტების წინააღმდეგ და ლიკვიდატორობის დასაცავად. ლიკვიდატორთა გაზეთებში თუმცა მოთხრობილი იყო ბერლინის ამ წრის სამარცხვინო თავგადასავალი პოლონელ მუშებთან ბრძოლაში, მაგრამ თუ ეს დასჭირდა ბ-ნ თ. დ.-ს, რა თქმა უნდა, იგი არ დააყოვნებს დაეწაფოს ამ... ცივ წყაროსაც.

რუსეთის მუშები კი იტყვიან: ერთიანობას თვითონ ჩ ვ ე ნ შევქმნით ჩვენს რუსეთის მუშათა ორგანიზაციებში. უძლურ ინტრიგანებს კი მხოლოდ სასაცილოდ ავიგდებთ.

«ზა პრავდუ» № 36,
1913 წ. 15 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «ზა პრავდუს» ტექსტის მიხედვით

წერილი ს. გ. შაუმიანს

1913. 6. XII.

ძვირფასო მეგობარო! ძალიან გამახარა თქვენმა 15 ნოემბრის წერილმა. უნდა იცოდეთ, რომ ჩემს მდგომარეობაში საშინლად აფასებს ადამიანი ამხანაგების აზრს რუსეთიდან, განსაკუთრებით დაკვირვებული და ამ საკითხით დაინტერესებული ამხანაგებისას. ამიტომ თქვენ რომ მალე გამომეხმაურეთ, ეს ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო. უფრო ნაკლებ დაშორებულად გრძნობ თავს, როცა ასეთ წერილებს იღებ. მაგრამ კმარა ლირიკა. გადავიდეთ საქმეზე.

1. თქვენ მომხრე ხართ იმისა, რომ რუსეთში იყოს სახელმწიფო ენა, ეს «საჭიროა; მას ჰქონდა და ექნება დიდი პროგრესული მნიშვნელობაო». ოდნავადაც არ გეთანხმებით. მე ამის შესახებ დიდი ხანია დავწერე «პრავდაში» * და ჩემი აზრი ჯერჯერობით არავის უარუყვია. თქვენი მოსაზრება სრულიად არ მაჯერებს, — პირიქით. **რუსულ** ენას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა უამრავი წვრილი და ჩამორჩენილი ერისთვის — ეს უდავოა. მაგრამ ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მას მეტი პროგრესული მნიშვნელობა ექნებოდა, იძულება რომ არ ყოფილიყო? მერე, განა «სახელმწიფო ენა» არ ნიშნავს იმ ჯოხს, რომლითაც იგერიებენ რუსულ ენას?? როგორ არ გინდათ გაიგოთ ის ფსიქოლოგია,

* იხ. ეს ტომი, გვ. 416 — 420. რედ.

რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნაციონალურ საკითხში და რომელიც სულ მცირედი იძულებისას ბილწავს, აუწმინდურებს, არარად აქცევს ცენტრალიზაციის, დიდი სახელმწიფოების, ერთიანი ენის უდავო პროგრესულ მნიშვნელობას?? მაგრამ კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკა, ვ ი დ რ ე ფსიქოლოგია: რუსეთში უ კ ვ ე არის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი ეკონომიკა, რაც საჭიროდ ხდის რ უ ს უ ლ ენას. თქვენ კი არა გწამთ ეკონომიკის ძალა და გინდათ ვიგინდარა პოლიციელთა ყავარჯნებით «გაამაგროთ» ეკონომიკა?? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ამით თქვენ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ თ ეკონომიკას, აფერხებთ მას?? ნუთუ გათახსირებული პოლიციელობის თავიდან მოშორება არ გააათკეცებს (გააათასკეცებს) რუსული ენის დაცვისა და გავრცელების თავისუფალ კავშირებს?? არა, აბსოლუტურად არ გეთანხმებით და ბრალად გდებთ **königlich preussischer Sozialismus** *-ს!!

2. თქვენ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ხართ ავტონომიისა. თქვენ მხარს უჭერთ მ ხ ო ლ ო დ საოლქო თვითმმართველობას. სრულიად არ გეთანხმებით. მოიგონეთ ენგელსის განმარტება, რომ ცენტრალიზაცია სრულიადაც არ გამორიცხავს ადგილობრივ «თავისუფლებათ» [116]. რატომ უნდა მიეცეს ავტონომია პოლონეთს, ხოლო კავკასიას, სამხრეთსა და ურალს არა?? ავტონომიის ფ ა რ გ ლ ე ბ ს ხომ ცენტრალური პარლამენტი განსაზღვრავს! ჩვენ დემოკრატიულ ცენტრალიზმს ვუჭერთ მხარს, უსათუოდ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ფ ე დ ე რ ა ც ი ი ს ა. ჩვენ მხარს ვუჭერთ იაკობინელებს ჟირონდისტების წინააღმდეგ. მაგრამ ავტონომიის შიში — რუსეთში... რას ბრძანებთ, ეს სასაცილოა! ეს რეაქციულია. მომიყვანეთ მაგალითი, მოიგონეთ მაგალითი, სადაც ავტონომიას შ ე უ ძ ლ ი ა ზიანი მოიტანოს! ვერ მოიყვანთ. ხოლო ვიწრო გაგება: მხოლოდ თვითმმართველობა რუსეთში (და პრუსიაში) ხელსაყრელია არამზადა პოლიციელობისთვის.

---

* — მეფურ-პრუსიულ სოციალიზმს. რ ე დ.

3. «თვითგამორკვევის უფლება მარტო გამოყოფის უფლებას როდი ნიშნავს. ის ნიშნავს აგრეთვე ფედერაციული კავშირის უფლებას, ავტონომიის უფლებასო» — იწერებით თქვენ. აბსოლუტურად არ გეთანხმებით. ის არ ნიშნავს ფ ე დ ე რ ა ც ი ი ს უფლებას. ფედერაცია არის თანასწორთა კავშირი, კავშირი, რომელიც მოითხოვს ს ა ე რ თ ო თანხმობას. როგორ შეიძლება იყოს **ერთი** მხარის უ ფ ლ ე ბ ა, რომ მას დ ა ე თ ა ნ ხ მ ო ს მეორე მხარე?? ეს აბსურდია. პრინციპულად ჩვენ წინააღმდეგი ვართ ფედერაციისა — ის ასუსტებს ეკონომიურ კავშირს, ის უვარგისი ტიპია ერთი სახელმწიფოსთვის. გინდა გამოიყო? ეშმაკისკენაც გიქნია პირი, თუ შეგიძლია გაწყვიტო ეკონომიური კავშირი, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თუ «თანაცხოვრების» უღელი და შეხლა-შემოხლა ისეთია, რომ ეს ა ფ უ ჭ ე ბ ს და ღუპავს ეკონომიური კავშირის საქმეს. არ გინდა გამოიყო? მაშინ უკაცრავად, ჩემს მ ა გ ი ვ რ ა დ ნუ გადაწყვეტ, ნუ ფიქრობ, თითქოს ფედერაციის «უ ფ ლ ე ბ ა» გქონდეს.

«ავტონომიის უფლება»?? არც ეს არის სწორი. ჩვენ ა ვ ტ ო ნ ო მ ი ი ს მ ო მ ხ რ ე ვ ა რ თ **ყველა ნაწილისთვის**, ჩვენ გამოყოფის **უფლების** მომხრე ვართ (და არა ყველას **გამოყოფის მომხრე!**). ავტონომია არის დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობის **ჩვენი** გეგმა. გამოყოფა სრულიადაც არ არის ჩვენი გეგმა. ჩვენ სრულიადაც არ ვქადაგებთ გამოყოფას. საერთოდ, ჩვენ წინააღმდეგი ვართ გამოყოფისა. მაგრამ ჩვენ მ ო მ ხ რ ე ვ ა რ თ გამოყოფის **უფლებისა** შავრაზმული ველიკორუსული ნაციონალიზმის გამო, რომელმაც ისე წაბილწა ნაციონალური თანაცხოვრების საქმე, რომ ზოგჯერ ძ ე ტ ი კავშირი იქნება თავისუფალი გამოყოფის შ ე მ დ ე გ!!

თვითგამორკვევის უფლება გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ი ა ცენტრალიზმის ჩვენი ზოგადი წანამძღვარისა. ეს გამონაკლისი უსათუოდ საჭიროა შავრაზმული ველიკორუსული ნაციონალიზმის არსებობის გამო, და ოდნავი უარისთქმა ამ გამონაკლისზე

ოპორტუნიზმია (როგორც ეს მოსდის როზა ლუქსემ-ბურგს), სულელური ხელის შეწყობაა ველიკორუსული შავ-რაზმული ნაციონალიზმისა. მაგრამ გამონაკლისი ფართოდ ა რ უ ნ დ ა გავიგოთ. ა რ ა ფ ე რ ი, აბსოლუტურად არაფერი გარდა **გამოყოფის უფლებისა** აქ არ არის და არც უნდა იყოს.

ამაზე მე ვწერ «პროსვეშჩენიეში» *. მომწერეთ აუცი-ლებლად და რაც შეიძლება დაწვრილებით, როდესაც მე ამ სტატიებს (სამ წიგნში იქნება) დავამთავრებ. ზოგ რამეს კი-დევ გამოვგზავნი. რეზოლუცია ყველაზე მეტად სწორედ მე გავიყვანე. ზაფხულში ვკითხულობდი რეფერატებს ნაციონა-ლურ საკითხზე [116] და ცოტათი შევისწავლე ის. ამიტომ ვფიქ-რობ «მტკიცედ ვიდგე», თუმცა, რა თქმა უნდა, **ich lasse mich belehren** ** იმ ამხანაგების მიერ, რომელნიც უფრო მეტად და უფრო დიდხანს სწავლობდნენ საკითხს.

4. წინააღმდეგი ხართ პროგრამის «შეცვლისა», — წინააღ-მდეგი ხართ «ნაციონალური პროგრამისა»?? აქაც არ გეთან-ხმებით. თქვენ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა გეშინიათ. ამაოდ გეში-ნიათ მათი. სულ ერთია, მას (პროგრამას) **ყველანი** ცვლიან ფ ა რ უ ლ ა დ, საძაგლად, ცუდი მხრივ. ჩვენ კი მ ი ს ი მი-მართულებით, **თანამიმდევარ**-დემოკრატიული მიმართულე-ბით, მარქსისტული (ანტიავსტრიული) მიმართულებით ვსაზღვრავთ, ვაზუსტებთ, ვავითარებთ, ვამტკიცებთ. ეს **უნდა** გვექნა. აბა შემოჰყონ ახლა ცხვირი ოპორტუნის-ტულმა (ბუნდელმა, ლიკვიდატორულმა, ნაროდნიკულმა) არამზადებმა — აბა მოგვცენ **თავიანთი** ასევე ზ უ ს ტ ი და ასევე ს რ უ ლ ი პასუხი ყ ვ ე ლ ა ჩვენს კითხვაზე, რომე-ლიც აღძრულია და გადაწყვეტილი ჩვენს რეზოლუციაში. აბა სცადონ. არა, ჩვენ «ფარხმალი კი არ დაგვიყრია» ოპორ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 20, გვ. 1 — 46. რ ე დ.

** — მე ყურად ვიღებ აზრს, გამოთქმულს. რ ე დ.

ტუნისტთა წინაშე, არამედ ყველა პუნქტში დავამარცხეთ ისინი!

— პოპულარული ბროშურა ნაციონალურ საკითხზე ძალიან საჭიროა. მოიწერეთ. ველოდები პასუხს და მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ვ. ი. სალამი მეგობრებს.

დაწერილია 1913 წ.
23 ნოემბერს (6 დეკემბერს).

პირველად დაიბეჭდა 1918 წ. 2 (15) მარტს
გაზეთ «ბაკინსკი რაბოჩისა» № 48-ში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

«კულტურულ-ნაციონალური» ავტონომიის შესახებ

ეგრეთწოდებული «კულტურულ-ნაციონალური» ავტონომიის (სხვანაირად რომ ვთქვათ: «ისეთ დაწესებულებათა შექმნა, რომელნიც ნაციონალური განვითარების თავისუფლების გარანტიას იძლევიან») გეგმის ან პროგრამის დედაარსს შეადგენს სასკოლო საქმის დაყოფა ეროვნებათა მიხედვით.

ეს დედაარსი მით უფრო დაჟინებით უნდა დავიცვათ, რაც უფრო ხშირად ცდილობენ ყოველგვარი აშკარა და ფარული ნაციონალისტები (მათ შორის ბუნდელები) გააბუნდოვანონ იგი.

ყოველი ერი, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობს მისი რომელიმე წევრი (დამოუკიდებლად ტერიტორიისა: აქედან წარმოსდგება სახელწოდება «ექსტერიტორიული», უმიწაწყლო ავტონომიისა), შეადგენს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ერთიან კავშირს, რომელიც განაგებს ნაციონალურ-კულტურულ საქმეებს. ამ საქმეებიდან მთავარია სასკოლო საქმე. ერის შემადგენლობის განსაზღვრა ყოველი მოქალაქის თავისუფლად ჩაწერით, დამოუკიდებლად მისი საცხოვრებელი ადგილისა, ყოველ ნაციონალურ კავშირში უზრუნველყოფს სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფის აბსოლუტურ სიზუსტეს და აბსოლუტურ თანამიმდევრობას.

იბადება კითხვა, მისაღებია თუ არა ასეთი დაყოფა საერთოდ დემოკრატიის თვალსაზრისით, და განსაკუთრებით

პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით?

საკმარისია ნათლად წარმოვიდგინოთ «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» პროგრამის დედაარსი, რათა ამ კითხვას უყოყმანოდ ვუპასუხოთ, — უეჭველად მიუღებელია.

ვიდრე სხვადასხვა ერი ერთ სახელმწიფოში ცხოვრობს, მათ ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიური, უფლებრივი და საყოფაცხოვრებო ხასიათის მილიონობით და მილიარდობით ძაფი. როგორ უნდა ამოვგლიჯოთ სასკოლო საქმე ამ კავშირურთიერთობიდან? შეიძლება თუ არა «გამოვყოთ» იგი სახელმწიფოს «გამგებლობიდან», როგორც ამბობს, უაზრობის რელიეფურად ხაზგასმის მხრივ, ბუნდის კლასიკური ფორმულირება? თუ ეკონომიკა მჭიდროდ აკავშირებს ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ერებს, მაშინ მათი ერთხელ და სამუდამოდ დაყოფის ცდა «კულტურული» და განსაკუთრებით სასკოლო საკითხების სფეროში უაზრო და რეაქციულია. პირიქით, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ერები შ ე ე რ თ დ ნ ე ნ სასკოლო საქმეში, რათა სკოლაში მზადდებოდეს ის, რაც ცხოვრებაში ხორციელდება. ამჟამად ჩვენ ვხედავთ ერთა არათანასწორუფლებიანობას და მათი განვითარების დონის არაერთნაირობას; ასეთ პირობებში სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფა ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ გარდუვალად იქცევა გ ა უ ა რ ე ს ე ბ ა დ უფრო ჩამორჩენილი ერებისთვის. ამერიკის სამხრეთ, ყოფილ მონათმფლობელურ, შტატებში დღემდე გამოყოფენ ზანგების ბავშვებს განსაკუთრებულ სკოლებში, მაშინ როდესაც ჩრდილოეთში თეთრკანიანები და ზანგები ერთად სწავლობენ. ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთში წარმოიშვა «ებრაული სკოლის ნაციონალიზაციის», ე. ი. სხვა ეროვნებათა ბავშვთაგან ებრაელ ბავშვთა განსაკუთრებულ სკოლებში გამოყოფის პროექტი. ზედმეტი იქნება დავუმატოთ, რომ ეს პროექტი წარმოიშვა უაღრესად რეაქციულ, პურიშკევიჩულ, წრეებში.

არ შეიძლება დემოკრატი იყო, თუ სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფის პრინციპს იცავ. დაიხსომეთ:

ჯერჯერობით ჩვენ ვმსჯელობთ საერთო-დემოკრატიული, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თვალსაზრისით.

განუზომლად უფრო გადაჭრით გვიხდება გამოსვლა სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფის წინააღმდეგ პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით. ვინ არ იცის, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ერის კაპიტალისტები უმჭიდროესად, განუყრელად ერთდებიან სააქციო საწარმოებებად, კარტელებად და ტრესტებად, მრეწველთა კავშირებად და სხვ. ყოველი ეროვნების მუშების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ? ვინ არ იცის, რომ ყ ო ვ ე ლ კაპიტალისტურ საწარმოში — დაწყებული უზარმაზარი ქარხნებით, მაღაროებით და ფაბრიკებით, განგრძობილი სავაჭრო ფირმებით და გათავებული კაპიტალისტური მიწათმფლობელური მეურნეობებით — ჩვენ ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს, სრულიად გამოუკლებლივ, ვხედავთ მუშების მეტ ნაციონალურ სიჭრელეს, ვიდრე მიყრუებულ, მყუდრო, მძინარა სოფელში?

ქალაქის მუშას, რომელიც ყველაზე უკეთ იცნობს განვითარებულ კაპიტალიზმს და რომელსაც ყველაზე ღრმად შეუთვისებია მთელი თავისი ცხოვრებიდან და შესაძლოა დედის რძესთან ერთად შეუწოვია კლასობრივი ბრძოლის ფსიქოლოგია, — ასეთ მუშას უნებლიეთ და გარდუვალად ებადება აზრი, რომ ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დაყოფა არათუ მ ა ვ ნ ე წამოწყებაა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს მ ხ რ ი ვ, არამედ პირდაპირ თაღლითურიც, შარლატნურიც. მუშები შ ე ი ძ ლ ე ბ ა დაქსაქსო, დაყო, შეასუსტო ასეთი იდეის ქადაგებით, კიდევ უფრო მეტად ერების მიხედვით სახალხო სკოლების დაყოფით, კაპიტალისტებს კი, რომელთა ბავშვები ჩინებულად არიან უზრუნველყოფილი მდიდარი კერძო სკოლებით და საგანგებოდ დაქირავებული მასწავლებლებით, ვერავითარი «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» ვ ე რ ა ვ ი თ ა რ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ვერავითარი დაქსაქსვით, ვერავითარი შესუსტებით ვერ დაემუქრება.

სინამდვილეში «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია», ე. ი. ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის აბსოლუტურად წმინდა და თანამიმდევარი დაყოფა, მოგონილია არა კაპიტალისტების (ჯერჯერობით ისინი უფრო უხეშ ხერხებს იყენებენ მუშების დასაყოფად), არამედ ავსტრიის ოპორტუნისტული, მეშჩანური ინტელიგენციის მიერ. დასავლეთ ევროპის არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც ჭრელი ეროვნული შემადგენლობაა, ამ გენიალურად-მეშჩანური და გენიალურად-ნაციონალისტური იდეის ხსენებაც კი არ არის. მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპაში, ჩამორჩენილ, ფეოდალურ, კლერიკალურ, მოხელურ ავსტრიაში, სადაც ყოველგვარი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება შეფერხებულია უბადრუკი წვრილმანი კინკლაობით (უფრო უარესიც: შფოთით, ცემა-ტყეპით) ენების გამო, გაჩნდა სასოწარკვეთილი წვრილი ბურჟუის ეს იდეა. გადავტიხროთ მაინც ერთხელ და სამუდამოდ ყველა ერი აბსოლუტური სიწმინდით და თანამიმდევრობით «ეროვნულ კურიებად» სასკოლო საქმეში, თუკი შეუძლებელია კატისა და ძაღლის შერიგება! — აი ფსიქოლოგია, რომელმაც წარმოშვა სულელური «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია». პროლეტარიატი, რომელსაც შეგნებული აქვს და რომელიც აფასებს თავის ინტერნაციონალიზმს, არასოდეს არ დასთანხმდება დახვეწილი ნაციონალიზმის ამ სისულელეს.

შემთხვევითი როდია, რომ რუსეთში «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» მიიღეს მხოლოდ ებრაელობის **ყველა** ბურჟუაზიულმა პარტიამ, შემდგომ (1907 წ.) სხვადასხვა ერის წვრილბურჟუაზიული, მემარცხენე ნაროდნიკული პარტიების კონფერენციამ და, ბოლოს, მარქსისტების შორიახლო ჯგუფთა მეშჩანურმა, ოპორტუნისტულმა ელემენტებმა, ე. ი. ბუნდელებმა და ლიკვიდატორებმა (უკანასკნელთ შეეშინდათ კიდეც ეს ექნათ პირდაპირ აშკარად, სავსებით გარკვეულად). შემთხვევითი როდია, რომ სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან მხოლოდ ნაციონალიზმით შეპყრობილი ნახევრადლიკვი-

დატორი ჩხენკელი და წვრილი ბურჟუა კერენსკი ლაპარაკობდნენ «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიაზე».

საერთოდ სასაცილოა ლიკვიდატორთა და ბუნდელთა მხრივ ავსტრიის დამოწმება ამ საკითხზე. ჯერ-ერთი, სანიმუშოდ რატომ უნდა ავიღოთ ეროვნულად ჭრელ ქვეყნებში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა? რატომ არ უნდა ავიღოთ ყველაზე მოწინავე? ეს ხომ ის ხერხია, რომელიც ჰგავს ცუდი რუსი ლიბერალების, ე. ი. კადეტების ხერხს, რომლებიც კონსტიტუციის ნიმუშებს ყველაზე მეტად ეძებენ ჩამორჩენილ ქვეყნებში, პრუსიაში, ავსტრიაში და არა მოწინავე ქვეყნებში, არა საფრანგეთსა, შვეიცარიასა და ამერიკაში!

მეორეც, როცა ავსტრიის მაგალითს იღებენ რუსეთის ნაციონალისტური მეშჩანები, ე. ი. ბუნდელები, ლიკვიდატორები, მემარცხენე ნაროდნიკები და სხვ., თავის მხრივაც განსაკუთრებით აუარესებენ მას. ჩვენში პროპაგანდასა და აგიტაციაში «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» გეგმას ყველაზე მეტად და პირველ რიგში იყენებენ სწორედ ბუნდელები (პლუს ებრაელობის ყველა ბურჟუაზიული პარტია, რომელთაც — არა ყოველთვის შეგნებულად — კუდში მისჩანჩალებენ ბუნდელები). ამავე დროს სწორედ «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» იდეის სამშობლოში, ავსტრიაში, ამ იდეის ფუძემდებელმა ოტო ბაუერმა თავისი წიგნის საგანგებო თავი მიუძღვნა იმის დამტკიცებას, რომ ებრაელებისადმი «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» იდეის მიყენება შეუძლებელია!

ეს ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებზე უკეთ ამტკიცებს, თუ რა ნაკლებ თანამიმდევარია და რა ნაკლებ სწამს თავისი იდეა ო. ბაუერს, რომელმაც ერთადერთი ექსტერიტორიული (საკუთარ ოლქს მოკლებული) ერი გამორიცხა ერთა ექსტერიტორიული ავტონომიის გეგმიდან.

ეს იმას ამტკიცებს, თუ როგორ გადმოაქვთ ბუნდელებს ევროპიდან მოდაგასული გეგმები, როგორ აათკეცე-

ბენ ევროპის შეცდომებს, აბსურდამდე მიდიან რა ამ შეცდომების «განვითარებაში».

ვინაიდან — ეს მესამე, — ავსტრიელმა სოციალ-დემოკრატებმა ბრიუნის ყრილობაზე (1899) **უარყვეს** მათთვის შეთავაზებული «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» პროგრამა. მათ მიიღეს მხოლოდ კომპრომისი სახელმწიფოს ყველა ნაციონალურად შემოზღუდულ **ოლქთა** კავშირის სახით. ეს კომპრომისი **არ შეიცავს** არც ექსტერიტორიულობას, არც სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფას. ამ კომპრომისული პროექტის მიხედვით ყველაზე მოწინავე (კაპიტალისტურად მოწინავე) დასახლებული ადგილები, ქალაქები, ფაბრიკები, მაღაროები, სოფლის მსხვილი მამულები და სხვ. ა რ აქუცმაცებენ სასკოლო საქმეს ეროვნებათა მიხედვით!

რუსეთის მუშათა კლასი იბრძოდა და იბრძოლებს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» რეაქციული, მავნე, მეშჩანური, ნაციონალისტური იდეის წინააღმდეგ.

«ზა პრავდუ» № 46,
1913 წ. 28 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «ზა პრავდუს» ტექსტის მიხედვით

საზღვარგარეთის პაწაწა ჯგუფები და რუსი ლიკვიდატორები

«ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» 86-ე ნომერში სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ მოთავსებულია ერთი სალანძღავი პატარა სტატია, რომელიც ყურადღების ღირსია მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ლანძღვა-გინებისა, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ინსინუაციის ყველასთვის მობეზრებული ხერხებისა.

ეს სტატიაა: «გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პრესა გათიშვის შესახებ». სტატია იმიტომ არის ყურადღების ღირსი, რომ უაღრესი სიცხადით განუმარტავს რუსეთის მუშებს ისეთ რამეს, რაც მათ დღემდე არ იციან და რისი ც ო დ ნ ა ც ს ა ჭ ი რ ო ა.

ს ა ჭ ი რ ო ა ვ ი ც ო დ ე თ, რა ინტრიგებს მიმართავენ რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული ჯგუფები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რადგან ამის არცოდნა მუდამ და გარდუვალად კომიკურ და ტრაგიკომიკურ შეცდომებს აკეთებინებს ბევრ რუს სოციალ-დემოკრატს.

ლიკვიდატორთა სტატია იწყება ხაზგასმული სიტყვებით: «დღემდე გერმანიის სოციალ-დემოკრატიის რიგებში ე რ თ ი ხმაც ა რ ამოუღიათ» გათიშვის სასარგებლოდ (ბატონი ლიკვიდატორები «გათიშვას» უწოდებენ მარქსისტული ორგანიზაციის წ ყ ო ბ ა ს ლიკვიდატორების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ).

დაიხსომეთ ეს ხაზგასმული სიტყვები სტატიის პირველ ფრაზაში: «ე რ თ ი ხმაც ა რ ამოუღიათ»!

ბურჟუაზიულ მჯლაბნელთა გაცვეთილი ხერხია: გაზეთს ბოლომდე ყველა როდი კითხულობს, სტატიის ეფექტურ პირველ სიტყვას კი ყველა დაინახავს...

განაგრძეთ ლიკვიდატორთა სტატიის კითხვა. აი ფრანკფურტის გაზეთის აზრი. ცხადია, ლიკვიდატორთა სასარგებლოდ. ამასთან არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ გაზეთი ოპორტუნისტულია!!

კეთილო ლიკვიდატორებო! ნუთუ თქვენ რუს მუშებს თვლით ბრიყვებად, რომლებმაც არ იციან, რომ გერმანელ სოციალ-დემოკრატებში არსებობს ოპორტუნიზმი და «ნაშაზარიას» მუდამ მხარს უჭერს ვითომდა «სოციალისტური ყოველთვიური ჟურნალი», გერმანელ ოპორტუნისტთა მთავარი ორგანო?

განვაგრძობთ კითხვას. დრეზდენის გაზეთის აზრი. გმობენ ერთოდ გათიშვას. გაურკვეველია გაზეთის სიმპათიაც რუსეთის საქმეებში და მიმართულებაც გერმანიის საქმეებშიც. ლიკვიდატორებს ესაჭიროებათ არა ის, რომ გაანათლონ რუსი მუშები, არამედ ის, რომ მოატყუონ ისინი მთელი რიგი საკითხების მიჩქმალვით.

განვაგრძობთ კითხვას. ლეიფციგის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანომ

«ორი კვირის წინათ მოათავსა რუსეთიდან გაგზავნილი კორესპონდენცია, სადაც საქმის ვითარება გაშუქებულია გამთიშველთათვის საკმაოდ ხელსაყრელად».

ასეა სიტყვასიტყვით დაბეჭდილი ლიკვიდატორულ გაზეთში. და, რასაკვირველია, არავითარი ხაზგასმა არ არის.

და, რასაკვირველია, ერთი სიტყვაც, ერთი პატარა სიტყვაც არ არის თქმული, კრინტიც არ არის დაძრული არსებითად ამ «არასასიამოვნო» სტატიაზე!! ოჰ, ჩვენ დიდი ოსტატები ვართ პატარა ხრიკებისა და უბადრუკი ინტრიგებისა!

ერთი მხრივ, ხაზგასმულია «ერთი ხმაც არ აუმაღლებიათ», ხოლო მეორე მხრივ, **ერთადერთი** კორეს-

პონდენცია რუსეთიდან აღმოჩენილა «საკმაოდ ხელსაყრელი» ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეთათვის.

განვაგრძობთ კითხვას:

«(ლეიფციგის სოციალ-დემოკრატიული გაზეთის) 15 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ვრცელი სარედაქციო (ხაზგასმა ლიკვიდატორებისაა!!) სტატია»...

რომლიდანაც მოყვანილია მხოლოდ ლიკვიდატორებისთვის სასარგებლო ადგილები.

რუსეთის მუშებო! დროა ისწავლოთ ლიკვიდატორთა ტყუილის მხილება.

«სარედაქციო» სტატია — ხაზგასმა ლიკვიდატორებისაა. ტყუილია. სტატია მოთავსებულია ლიტერებით I. K.[117], ე. ი. სწორედ არა როგორც სარედაქციო, არამედ როგორც ცალკე თანამშრომლის სტატია!!!

ლიკვიდატორები სრულიად უსირცხვილოდ, სრულიად თავხედურად ატყუებენ რუსეთის მუშებს.

ეგ კიდევ არაფერი. ლიკვიდატორებმა დამალეს, რომ იმავე სტატიაში შვიდეულს უწოდებენ «უსინდისო გამთიშველებს» იმის გამო, რომ იაგელო მიიღეს წინააღმდეგ პოლონელი სოციალ-დემოკრატების ნებისა!!

ეგ კიდევ არაფერი. ლიკვიდატორებმა დამალეს ყოველი პოლიტიკურად მცოდნე ადამიანისათვის ცხადი ფაქტი. I. K.-ს სტატია დაწერილია ტიშკოელის მიერ. ეს ყველაფრით ჩანს. «ტიშკოელები» — ეს არის როზა ლუქსემბურგის, ტიშკოს და კომპანიის ბერლინური წრე, რომელმაც წარმოუდგენელი სისაძაგლე გაავრცელა პროვოკაციის შესახებ ვარშავის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რიგებში. «ლუჩმაც» კი (მართალია, იაგელოს გაჩანჩალების შემდეგ!) აღიარა ეს საძაგლობად. თვით «ნოვაია რაბოჩაია გაზეტასაც» არა ერთხელ უთქვამს, რომ «ტიშკოელები» არ წარმოადგენენ ვარშავის პოლონელ სოციალ-დემოკრატ მუშებსო, ებრძვიან რა მუშათა სადაზღვევო ცენტრს, სადაც შედის ბუნდი, ლევიცა და პოლონელი სოციალ-დემოკრატები (რა თქმა უნდა, ვარშაველები და არა ტიშკოელები).

და აი ახლა, რუსი მუშების მოსატყუებლად, ლიკვიდატორები კალთაში ეჭიდებიან ტიშკოელებს. წყალწაღებული ხავსს (ბინძურსა და დამპალსაც კი) ეჭიდებოდაო.

ტიშკოელი I. K.-ს სტატიაში, ისევე როგორც ტიშკოელთა ყველა გამოსვლაში, აშკარად ჩანს ერთი სურვილი: ინტრიგა მოაწყონ გათიშვასთან დაკავშირებით, გვარიანი «პოლიტიკური კაპიტალი» შეიძინონ ამის გამო. მბრძანებლობის თამაში რუსეთის მუშათა მოძრაობისგან «მოწყვეტილი» პაწაწა ჯგუფებისა. ინტრიგები ამ ნიადაგზე, მოთაფლული ფრაზები ნ ა ც ვ ლ ა დ იმის შესწავლისა, რაც რუსეთში ხდება — აი ტიშკოელობის დედაარსი, აი საზღვარგარეთის თვითმყოფი და «დამოუკიდებელი» ჯგუფების ცხრა მეათედის საქმიანობა.

ახლა ისინი თითქოს ცოცხლდებიან იმ იმედით, რომ «ხელს მოითბობენ» ექვსეულისა და შვიდეულის გათიშვაზე...

ფუჭი იმედია! რუსეთის სოციალ-დემოკრატი მუშები უკვე იმდენად მომწიფდნენ, რომ თ ვ ი თ ო ნ ვ ე, უმრავლესობით, გადაწყვეტენ თავიანთი ორგანიზაციის ბედს და ზიზღით უკუაგდებენ საზღვარგარეთის პაწაწა ჯგუფთა ინტრიგებს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პრესაში ასეთ ჯგუფთა წევრები ძალიან ხშირად წერენ ამ ჯგუფთა თვალსაზრისით, მაგრამ «ყურთა მიხედვით» ასეთი ხალხის გამოცნობა სულაც არ არის ძნელი.

«ზა პრავდუ» № 46,
1913 წ. 28 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «ზა პრავდუს»
ტექსტის მიხედვით

კადეტი მაკლაკოვი და სოციალ-დემოკრატი პეტროვსკი

უკვე საკმაოდ დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც სოციალ-დემოკრატი პეტროვსკი გამოვიდა სახელმწიფო სათათბიროში განაწესის საკითხზე და თავმჯდომარემ სიტყვა წაართვა მინისტრისა და სხვათა მიმართ «მკაცრი გამოთქმების» ხმარების გამო. ვიწრო აზრით გაგებული «დღიური ჭირვარამის» თვალსაზრისით ეს, თითქოს, უკვე მოძველდა. მაგრამ, არსებითად, პეტროვსკისა და კადეტ მაკლაკოვის გამოსვლები მეტი ყურადღების ღირსია, ვიდრე ჩვეულებრივი «დღიური ახალი ამბავი».

კადეტი მაკლაკოვი სახელმწიფო სათათბიროში გამოვიდა ახალი განაწესის საკითხზე. ეს ვაჟბატონი განაწესის ავტორიცაა და განაწესის შემდგენი კომისიის მომხსენებელიც. და აი მთელ რიგ საკითხებში კადეტი მაკლაკოვი კადეტთა ფრაქციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ გამოდის და ოქტიაბრისტებისა და მემარჯვენეების დახმარებით უ ა ღ რ ე ს ა დ რ ე ა ქ ც ი უ ლ განაწესს ატარებს ოპოზიციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

ეს ახალი ამბავი როდია. დიდი ხანია ცნობილია, რომ ვ. მაკლაკოვი ოქტიაბრისტების უსაყვარლესი ადამიანია, რომ არსებითად იგი ოქტიაბრისტია. მაგრამ ჩვენი საზოგადოებრიობის ის უ დ ი დ ე ს ი ფაქტი, რომელსაც ააშკარავებს ეს დიდი ხნის ცნობილი გარემოება, ფრიად გაძლიერებული ყურადღების ღირსია.

ჩვენს თვალწინ დიდად ცნობილი კადეტი იმ საკითხში, რომელშიც სათათბირო შედარებით უფრო ნაკლებ უძლურია, ვიდრე სხვა საკითხებში, თვითონ ახშობს სათათბიროს თავისუფლებას მემარჯვენეებისა და ოქტიაბრისტების დახმარებით!! სოციალ-დემოკრატი პეტროვსკი ათასჯერ მართალი იყო, როცა მკაცრად დაახასიათა ასეთი დახელოვნებული პოლიტიკანი.

მაგრამ რაშია აქ დედააზრი? ვ. მაკლაკოვის საქციელი იმიტომ არის ყალბი, რომ პირადად ბ-ნი ვ. ა. მაკლაკოვია ყალბი? რა თქმა უნდა, არა! ესე იგი საქმე ეს კი არ არის.

როგორც ბეილისის[118] საქმეა საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი, რადგან მან განსაკუთრებით მკვეთრად გამოააშკარავა ჩვენი შინაური პოლიტიკის მთელი სარჩული, მისი ფარული «მექანიკა» და სხვ., — ასევე კადეტების წინააღმდეგ და სათათბიროს თავისუფლების წინააღმდეგ ვ. მაკლაკოვის გამოსვლათა წვრილმანი (შედარებით). შემთხვევა ააშკარავებს, მეასედ და მეათასედ, ჩვენი, რუსეთის, ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიის ნამდვილ სარჩულს.

კადეტებისა და ოქტიაბრისტების ბრძოლა ეს არის ბრძოლა მეტოქეთა — ამიტომაც არის ის ასე მწვავე და ასე უპრინციპო. ოქტიაბრისტების უსაყვარლეს ადამიანს და სათათბიროს თავისუფლების ჩამხშობ ვ. მაკლაკოვს სწორედ იმიტომ და მხოლოდ იმიტომ შეეძლო გამხდარიყო კადეტების «ამომავალი ვარსკვლავი», რომ კადეტები ოქტიაბრისტებთან ერთად ერთ კლასობრივ ნიადაგზე დგანან. ესენი არიან სხვადასხვა ფრთა ან სხვადასხვა წარმომადგენელი სხვადასხვა ელფერის ლიბერალური ბურჟუაზიისა, რომელსაც დემოკრატიისა უფრო მეტად ეშინია, ვიდრე პურიშკევიჩებისა.

ეს არის არსებითი. ეს არის დიდმნიშვნელოვანი. ეს არის პოლიტიკის დედაარსი. აქ არის ფესვი ჩვენი ბურჟუაზიის საოცარი პოლიტიკური უძლურებისა, მიუხედავად მთელი მისი ეკონომიური ძლიერებისა.

სოციალ-დემოკრატი პეტროვსკი ასრულებდა დემოკრატის მოვალეობას, როცა ებრძოდა სათათბიროს თავისუფლების ჩამხშობ ბ-ნ ვ. მაკლაკოვს. რუსეთში შეუძლებელია თავისუფლება იყოს, ვიდრე დემოკრატიის ფართო მასები არ ისწავლიან ბატონ ვ. მაკლაკოვებისა და აგრეთვე ამგვარ რაინდთა წარმომშობი პარტიების სიძულვილს.

«ზა პრავდუ» № 47,
1913 წ. 29 ნოემბერი
ხელმოწერა: მ.

იბეჭდება გაზეთ «ზა პრავდუს»
ტექსტის მიხედვით

ცაბერნი

არის ხოლმე პოლიტიკაში ისეთი «შემთხვევები», როცა გარკვეული საქმის ვითარების დედაარსი არაჩვეულებრივი ძალითა და სიცხადით აშკარავდება როგორღაც უცბად, შედარებით წვრილმანი საბაბის გამო.

ცაბერნი პატარა ქალაქია ელზასში. 40 წელზე მეტი ხნის წინათ ელზასი ძლევამოსილმა პრუსიელებმა მოსწყვიტეს საფრანგეთს (მხოლოდ გერმანიის სოციალ-დემოკრატების პარტიამ განაცხადა მხურვალე პროტესტი). 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ელზასის მოსახლეობას ძალით «აგერმანელებდნენ» და ყოველგვარი შევიწროებით «უმორჩილებდნენ» მეფურ-პრუსიულ, სამხედრო, მოხელეურ დისციპლინას, რომელსაც «გერმანული კულტურა» ეწოდება. ელზასელები კი უპასუხებდნენ თავიანთი საპროტესტო სიმღერით: «თქვენ ხელში ჩაიგდეთ ჩვენი ელზასი, ჩვენი ლორენი, თქვენ შეგიძლიათ გააგერმანელოთ ჩვენი მინდვრები, მაგრამ ჩვენს გულს თქვენ ვერასოდეს ვერ დაეუფლებით, — ვერასოდეს».

და აი პრუსიელმა აზნაურმა, ახალგაზრდა ოფიცერმა ფორსტნერმა აშკარა აღშფოთებამდე მიიყვანა საქმე. მან უხეშად გამოლანძღა ელზასის მოსახლეობა («ვაკეს» — უხეში სალანძღავი სიტყვაა). მილიონჯერ უკადრებიათ ყაზარმებში გერმანელ პურიშკევიჩებს ამგვარი გამოთქმები, და

ყველაფერი შერჩენიათ, მილიონს რომ ერთიც მიემატა... ფიალა აივსო!

რაც ათეული წლების განმავლობაში ჩაგვრით, შარის მოდებითა და შეურაცხყოფით, ათეული წლების განმავლობაში ძალად გაპრუსიელებით დაგროვდა გულში, ყოველივე ამან გარეთ გადმოხეთქა. საფრანგეთის კულტურა კი არ ამხედრებულა გერმანიის კულტურის წინააღმდეგ — დრეიფუსის[119] საქმემ თავის დროზე ცხადყო, რომ უხეში სამხედრო პირნი, რომელთაც შეუძლიათ ჩაიდინონ ყოველგვარი სიმხეცე, ბარბაროსობა, ძალადობა, დანაშაული, საფრანგეთში არა ნაკლებია, ვიდრე სხვა ქვეყანაში. არა, საფრანგეთის კულტურა კი არ არის გერმანიის კულტურის წინააღმდეგი, არამედ საფრანგეთის მთელი რიგი რევოლუციებით აღზრდილი დემოკრატია აჯანყდა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ.

ქარიშხალსავით დატრიალებული გულისწყრომა მოსახლეობისა, გაბოროტება პრუსიელი ოფიცრების წინააღმდეგ, მათი აბუჩად აგდება საფრანგეთის თავისუფლებისმოყვარე, ამაყი ხალხის მხრივ, გააფთრებული რისხვა პრუსიელი სალდაფონებისა, თვითნებური დაპატიმრებანი და ხალხის ცემა-ტყეპა, — ყოველივე ამან წარმოშვა ცაბერნში (და შემდგომ თითქმის მთელ ელზასშიც) «ანარქია», როგორც ბურჟუაზიული გაზეთები ამბობენ. გერმანიის მემამულეთა, «ოქტიაბრისტთა», ხუცესთა რეიხსტაგმა დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია გერმანიის საიმპერიო მთავრობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

სულელური სიტყვაა «ანარქია». იგი გულისხმობს, რომ გერმანიაში იყო და არის «დადგენილი» სამოქალაქო უფლებრივი წესწყობილება, რომელსაც — რაღაც ეშმაკის ჩაგონებით! — გადაუხვიეს. სიტყვა «ანარქია» ერთიანად გამსჭვალულია კაზიონური, მემამულეთა და სამხედრო პირთა წინაშე მლიქვნელი, საუნივერსიტეტო გერმანული «მეცნიერების» (უკაცრაული პასუხია, მეცნიერების) სულით, მეცნიერებისა, რომელიც ქებას ასხამდა არაჩვეულებრივ «კ ა ნ ო ნ ი ე რ ე ბ ა ს» გერმანიაში.

ცაბერნის შემთხვევამ ცხადყო, რომ მართალი იყო მარქსი, რომელმაც დაახლოებით 40 წლის წინათ გერმანიის სახელმწიფო წესწყობილებას უწოდა «პარლამენტურ ფორმაში გამოწყობილი სამხედრო დესპოტიზმი» [120]. მარქსმა ასი-ათასჯერ უ ფ რ ო ღ რ მ ა დ შეაფასა გერმანიის «კონსტიტუციის» ნამდვილი დედაარსი, ვიდრე ასეულმა პროფესორებმა, ხუცებმა და ბურჟუაზიის პუბლიცისტებმა, რომლებიც აქებ-ადიდებდნენ «უფლებრივ სახელმწიფოს». ისინი მუცლით ხოხავდნენ გერმანელ მედროვეთა წარმატებისა და ზეიმის წინაშე. პოლიტიკის კლასობრივი არსის შეფასებისას იგი ხელმძღვანელობდა არა ამბების ამა თუ იმ «ხვეულით», არამედ ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო დემოკრატიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მ თ ე ლ ი გამოცდილებით.

«ანარქიამ» კი არ «იფეთქა» ცაბერნში, არამედ გერმანიის ნ ა მ დ ვ ი ლ ი წყობილება, პრუსიელი ნახევრადფეოდალი მიწათმფლობელის ხმლის ბატონობა გამწვავდა და გარეთ გადმოხეთქა მან. გერმანიის ბურჟუაზიას რომ პატიოსნების გრძნობა ჰქონდეს, მას რომ თავი და სინდისი ჰქონდეს, მას რომ სწამდეს ის, რასაც ლაპარაკობს, მისი საქმე და სიტყვა რომ ერთმანეთს არ შორდებოდეს, — ერთი სიტყვით, ის რომ ა რ იყოს ბურჟუაზია, რომელიც დგას სოციალისტური პროლეტარიატის მილიონების პირისპირ, — ის რესპუბლიკური გახდებოდა ცაბერნში მომხდარი «შემთხვევის» გამო. ახლა კი საქმე გათავდება ბურჟუაზიული პოლიტიკანების პლატონური პროტესტებით — პარლამენტში.

მაგრამ პარლამენტს გარეთ საქმე ამით არ გათავდება. გერმანიის წვრილი ბურჟუაზიის მასებში შეიცვალა და იცვლება სულისკვეთება. შეიცვალა პირობები, შეიცვალა ეკონომიური ვითარება, ძ ი რ ი გ ა მ ო ე თ ხ ა რ ა თავადაზნაურულ-პრუსიული ხმლის «მშვიდად» ბატონობის მ თ ე ლ დ ა-ს ა ყ ო ნ ს. ბურჟუაზიის ნების წინააღმდეგ ს ა ქ მ ი ს ვ ი თ ა რ ე ბ ა ს ის მიჰყავს ღრმა პოლიტიკური კრიზისისაკენ.

განვლო «გერმანელი მიხელის» მშვიდი ძილის ეპოქამ პრუსიელი პურიშკევიჩების მფარველობით და გერმანიის კაპიტალისტური განვითარების განსაკუთრებული საბედნიერო მსვლელობის პირობებში. შეუკავებლად მწიფდება და ახლოვდება საერთო, ძირფესვიანი კრახი...

«ზა პრავდუ» № 47,
1913 წ. 29 ნოემბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება გაზეთ «ზა პრავდუს» ტექსტის მიხედვით

ბიუროს გადაწყვეტილებათა საკითხისათვის [121]

დღეს, ორშაბათს, 2 (15) დეკემბერს, ცნობილი გახდა — ჯერჯერობით მოკლე დეპეშით — ბიუროს გუშინდელი გადაწყვეტილება რუსთა საქმეებზე. პლეხანოვმა წერილობით განაცხადა გადადგომის შესახებ, ე. ი. თვითონ ითხოვა გადადგომა.

ორგ. კომიტეტი (ლიკვიდატორული ხელმძღვანელი დაწესებულება) აფილიირებულია, ე. ი. მან ბიუროში წარმომადგენლობის უფლება მიიღო.

(ამის გამო უნდა აღინიშნოს, რომ წესდებით არა მარტო თვით ოპორტუნისტული პარტიების, არამედ ნახევრადპარტიული მუშათა ორგანიზაციების აფილიირებაც ხდება. აფილიირებულია ინგლისელების ყველაზე ოპორტუნისტული ჯგუფები; მაშასადამე, ორგ. კომიტეტის აფილიირებისთვისაც არ შეიძლებოდა ხელის შეშლა.)

რა მივიღეთ შედეგად? მივიღეთ ის, რომ პლეხანოვი გააძევეს ლიკვიდატორებმა! თუ ლიკვიდატორები შეეცდებიან იზეიმონ ამის გამო, მათ უნდა ვუპასუხოთ: ერთიანობის თვალთმაქცი მომხრეები ხართ. ბატონმა ლიკვიდატორებმა მიაღწიეს იმას, რომ თვითონ აღმოჩნდნენ პლეხანოვის ადგილას. ასეთია ფაქტიური შედეგი. დაე განსაჯოს საერთოდ ყველა მუშამ და განსაკუთრებით მუშა-მენშევიკებმა, გულწრფელად უნდათ თუ არა ლიკვიდატორებს ერთიანობა? ერთიანობის გულწრფელი მომხრეები პლეხა-

ნოვით ხომ არ შეიცვლიდნენ თავიანთ თავს? ნუთუ მართლაც მოიძებნება ისეთი გულუბრყვილო ადამიანი, რომელსაც შეუძლია დაიჯეროს, რომ პლეხანოვის შეცვლა ლიკვიდატორით ეს არის ნაბიჯი ერთიანობისაკენ და არა ერთიანობისაგან **განდგომა?**

ყოველ შემთხვევაში შემიძლია რედაქციას შევთავაზო ასეთი შენიშვნა იმ შემთხვევისათვის, თუ ლიკვიდატორები გამოვიდნენ რაიმე სულელური ზეიმით. (შემდეგ) შეიძლება დავუმატოთ კიდევ, რომ ოკისტებმა (= ლიკვიდატორები), აფილიირების შემდგომ ვალდებულება იკისრეს გახდნენ **მთელ** ოდენობად, ე. ი. პარტიად. ალბათ, ღია პარტიად, ბატონებო! ვიცოცხლებთ და ვნახავთ!

ბოლოს, «გაერთიანება დაევალა ეკზეკუტივს» — ასეა ნათქვამი დეპეშაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტს (= ვანდერველდე + ბერტრანი + ანსელი + მდივანი ჰიუსმანსი) დაევალა მიიღოს ზომები ან გადადგას ნაბიჯები ერთიანობის აღდგენის მიმართულებით.

როგორც ჩანს (ან ალბათ), ეს ისე გაკეთდა, რომ ჩვენთვის არ უსაყვედურებიათ. მაშინ ეს ჩვენთვის სავსებით მისაღებია. უნდა ითქვას, რომ ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტი მუდამ და უცილობლად ვალდებულია იზრუნოს ერთიანობაზე და ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ბიუროს მდივანი, ჰიუსმანსი, წერილობით ეთათბირებოდა ლენინს იმის შესახებ, რა ნაბიჯი გადადგან ერთიანობის მისაღწევად. მაშასადამე, ეკზეკუტივისთვის (= აღმასრულებელი ბიურო) დავალება, ვიმეორებ, სავსებით მისაღებია ჩვენთვის, და ლიკვიდატორთა მხრივ შესაძლებელი მითქმა-მოთქმა პირდაპირ სიცრუე იქნებოდა.

დეპეშაში არაფერია ნათქვამი შვიდეულისა და ექვსეულის შესახებ. მაგრამ წერილიდან ვიცით, რომ ბიუროს სხდომის დასაწყისში სიით გამოძახებისას დასახელებულ იქნა ლიკვიდატორი. მაშინ ჩვენმა წარმომადგენელმა განაცხადა, ის ექვსეულს არ აურჩევიაო, რაზედაც ჰიუსმანსმა უპასუხა

წესდების განმარტებით, რომლის ძალით (პარლამენტების სოციალისტური ფრაქციები) წარადგენენ მხოლოდ და მხოლოდ უმრავლესობას დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ იმისა, თუ რომელ პარტიას ეკუთვნის. ამიტომ, ალბათ, ასეც დარჩა. ერთი ლიკვიდატორი შვიდისგან ან რვისგან. თუ ასეთია წესდება (რასაც ჩვენ შევამოწმებთ; ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ კი არ შეიძლებოდა არ დავჯერებოდით ბიუროს წესდების ოფიციალურ განმარტებას ბიუროს მდივნის მიერ ოფიციალურ სხდომაზე), კარგად მოვიქეცით, რომ ფუჭად არ ვხარჯავდით ძალებს და «ადგილიდან არ ვიძროდით», არ მივდი-მოვდიოდით, არ მოვითხოვდით. ამას პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. ამის დაბეჭდვა უხერხულია. თუ ლიკვიდატორები ზეიმს დაიწყებენ, — ჩვენ მათ კვლავ ვუპასუხებთ: ერთიანობის თვალთმაქცი მომხრეები ხართ, შეგნებულ მუშათა უმრავლესობის ნების დამრღვევნი.

მაშასადამე, შედეგად ისე გამოვიდა, როგორც წინათ იყო დაწერილი.

ჩვენი წარმომადგენლის წერილიდან ჩანს ავრეთვე, რომ ლიკვიდატორები უქადაგებდნენ კაუცკის (რომელიც გერმანელების წარმომადგენლად იყო), რომ დაენიშნათ კ ო მ ი ს ი ა ერთიანობის საკითხზე. ხოლო კაუცკი კიცხავდა როზა ლუქსემბურგს ლენინზე თავდასხმისათვის და იმ აზრისა იყო, რომ საზღვარგარეთიდან ვერაფერს გააწყობო; საჭიროა, რომ რუსეთის მუშებმა მოითხოვონ ერთიანობაო.

დავუცადოთ ამ სიტყვების დადასტურებას. ჩვენ სწორედ ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს მომხრე ვართ რუსეთის შეგნებული მუშების უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ნების თანახმად.

ასეთია საქმის ვითარება იმ ცნობების მიხედვით, რაც ამჟამად მოგვეპოვება.

დაწერილია 1913 წ.
2 (15) დეკემბერს
იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მუშათა ერთიანობის შესახებ

«ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» პოლემიკა მუშათა ექვსი დეპუტატის წინააღმდეგ უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ნაკლებსაქმიან, სულ უფრო ნაკლებიდეურ, სულ უფრო მეტი «კინკლაობის» ხასიათს იღებს. მ ი თ უ ფ რ ო საჭიროა დ ა ვ უ ბ რ უ ნ ო თ ამ პოლემიკას სადავო საკითხების სერიოზულად გარჩევის ხასიათი — ალბათ, ყოველი შეგნებული მუშა დაგვეთანხმება ამაში.

აი ჩვენს წინაშეა «განთქმული სახელები», რომელთაც ამოძრავებენ ლიკვიდატორები. წერეთელი და გეგეჭკორი კიცხავენ ექვსეულს, აგვისტოს კონფერენციის (1912 წ.) «ხელმძღვანელი დაწესებულებაც» კიცხავს მას. მეათასედ ლანძღავენ ექვსეულს, გამთიშველებს უწოდებენ და «ერთიანობას» აცხადებენ.

ლანძღვისა და ხმაურის მიუხედავად, ჩვენ მეათასედ, მშვიდად მოვუწოდებთ მუშებს ჩაუფიქრდნენ და შეისწავლონ საკითხი.

ერთიანობა აუცილებელია მუშათა კლასისათვის. ერთიანობას ახორციელებს მხოლოდ ერთიანი ორგანიზაცია, რომლის გადაწყვეტილებებს ალალ-მართლად ატარებს ყველა შეგნებული მუშა. განიხილო საკითხი, გამოთქვა და მოისმინო სხვადასხვა აზრი, გაიგო ორგანიზებულ მარქსისტთა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს შეხედულება, გამოხატო ეს აზრი დაუსწრებლად გამოტანილი გადაწყვეტილებით, კეთილსინდისიერად შეასრულო ეს გადაწყვეტილება — აი რას ეწოდება ყველგან

ქვეყნად, ყველა გონიერ ადამიანთა შორის ე რ თ ი ა ნ ო ბ ა. და ასეთი ერთიანობა უსაზღვროდ ძვირფასია, უსაზღვროდ მნიშვნელოვანია მუშათა კლასისათვის. დაქსაქსული მუშები არარაა. გაერთიანებული მუშები — ყველაფერია.

იბადება კითხვა, არსებობს თუ არა ისეთი მონაცემები, რომელთა მიხედვით ყოველ შეგნებულ მუშას, ვისაც სურს დამოუკიდებლად შეისწავლოს სადავო საკითხი, შეეძლოს განსჯა, თუ ამ უკანასკნელ წლებში როგორ ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ო დ ა ერთიანობა სოციალ-დემოკრატ მუშებში?

უნდა ვეცადოთ შევკრიბოთ ასეთი მონაცემები, შევამოწმოთ ისინი, გამოვაქვეყნოთ, როგორც მასალა მუშების გასანათლებლად, შესამჭიდროებლად და დასარაზმავად.

1912 წლის აპრილიდან არსებობდა გაზეთი «პრავდა», რომლის მიმართულება მუდამ (ეს არ უარუყვია არც ერთ მოწინააღმდეგეს) მკაცრად შეესაბამებოდა იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მას შემდეგ ს ა მ ჯ ე რ გამოიტანა (ერთხელ 1912 წელს და ორჯერ 1913 წელს) მარქსისტთა ხელმძღვანელმა დაწესებულებამ. მუშების რა რიცხვი სცნობდა ამ გადაწყვეტილებებს (მუშათა ცხოვრების ყველა საკითხზე: სულ იყო დაახლოებით ორმოცი გადაწყვეტილება) და რამდენი ახორციელებდა?

ამ კითხვაზე — ცხადია, დიდმნიშვნელოვან და საინტერესო კითხვაზე — შეიძლება გავცეთ მხოლოდ დაახლოებითი პასუხი, მაგრამ დამყარებული სრულიად ზუსტ, ობიექტურ, ა რ ა ცალმხრივად შეკრებილ ფაქტებზე. 1912 და 1913 წლებში უმეტეს ნაწილად იყო მუშათა ო რ ი გაზეთი, რომლებიც გამოთქვამდნენ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა შეხედულებას მუშათა მასის წინაშე. ორივე გაზეთში იბეჭდებოდა ანგარიშები იმ მუშათა ჯგუფების შესახებ, რომლებიც ფულს კრებდნენ ამა თუ იმ გაზეთის დასახმარებლად. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ის მუშათა ჯგუფები, რომლებიც შეკრებილ ფულს უგზავნიდნენ ა მ ა დ ა ა მ გაზეთს, ამით ადასტურებდნენ საქმით (და არა სიტყვიერად) თავიანთ თანაგრძნობას მისი

მიმართულებისადმი, თავიანთ სიმტკიცეს, რომ დაიცავენ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ის იზიარებს.

ამ მონაცემების გამოქვეყნება ორივე მოკამათე გაზეთში საუკეთესო გარანტიაა იმისა, რომ აღარ იქნება ჩადენილი ის შეცდომები, რომლებსაც თვით დაინტერესებული მუშები ასწორებენ. აი ეს მონაცემები, რომლებიც უკვე მ რ ა ვ ა ლ ჯ ე რ დაბეჭდილა და ე რ თ ხ ე ლ ა ც არავის გაუბათილებია, არ შეუცვლია სხვა მონაცემებით: თითქმის ორი წლის განმავლობაში, 1912 წლის იანვრიდან 1913 წლის ოქტომბრამდე, მუშათა ჯგუფობრივი ფულის შეკრება იყო 556 «ლუჩისთვის», 2 181 «პრავდისთვის» და 395 მოსკოვის მუშათა გაზეთისთვის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვერც ერთი ადამიანი, თუ ის დაბრმავებული არ არის რაღაც განსაკუთრებული რამით, ვერ დაეჭვდება, რომ უმრავლესობა (და დიდი უმრავლესობაც) მხარს უჭერს «პრავდისტებს». პრავდისტები ქმნიან — ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად — თვით იმ მუშების ნ ა მ დ ვ ი ლ ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთიანი გადაწყვეტილებებით და კეთილსინდისიერად ატარებენ მათ. რუსეთში პ ი რ ვ ე ლ ა დ არის ასე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოველდღიური მარქსისტული გაზეთი, რომელიც ზედმიწევნით იცავს ერთიან ზუსტ გადაწყვეტილებებს, სულ უფრო და უფრო სისტემატურად და მჭიდროდ ა ე რ თ ი ა ნ ებ ს ქვეყნის ყოველ კუთხეში გაფანტულ მ უ შ ა თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ს.

აი ეს არის მუშების ერთიანობა საქმით და არა სიტყვიერად! ეს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ სულაც არ არის ყველაფერი, მაგრამ ეს უკვე საქმეა და არა სიტყვები, არა ცარიელი რეკლამა.

მაგრამ წერეთელი, გეგეჭკორი, «აგვისტოს ხელმძღვანელი დაწესებულება», ისე როგორც ყველა დანარჩენი ლიკვიდატორი, დ ა ჟ ი ნ ებ ი თ გვერდს უვლიან ფაქტებს!!

ისინი გაჰყვირიან «ერთიანობაზე» და გვერდს უვლიან იმას, რომ სწორედ ლიკვიდატორები, რომლებიც აშკარა უმ-

ცირესობას შეადგენენ შეგნებულ მუშებში, სწორედ ისინი არღვევენ ერთიანობას, ფუშავენ ამ უმრავლესობის ნებას!!

ვერავითარი გაკვირვება, გოდება, სალანძღავი სიტყვები ვერ გააბათილებს ამ უბრალო და ნათელ ფაქტს. მხოლოდ ღიმილით შეგვიძლია შევხვდეთ «აგვისტოს ხელმძღვანელი და სხვ.» მხრივ სხვადასხვა «დაწესებულებისა» და ჯგუფის დამოწმებას. აბა ერთი დაფიქრდით, ბატონებო: რა ფასი აქვთ «დაწესებულებებსა და ჯგუფებს», თუ მათ სულ არ უჭერენ მხარს მუშები ან მათ აშკარა უმცირესობა უჭერს მხარს? სწორედ ასეთი «დაწესებულებები და ჯგუფები» არიან გამთიშველი დაწესებულებანი, თუ ისინი არ მოუწოდებენ ყველა მუშას შეასრულონ უმრავლესობის ნება.

მუშათა მოძრაობის ორი წლის გამოცოცხლების ისტორია სულ უფრო მეტად ადასტურებს პრავდისტების შეხედულებებს. რუსეთში მარქსისტების გარკვეულ გადაწყვეტილებათა გარშემო მუშების გაერთიანების გამოცდილება სულ უფრო მეტად ცხადყოფს ჩვენი ორგანიზაციის წარმატებებს, ზრდასა და ძალას. გასაგებია, რომ ჩვენ უფრო გაბედულად და სწრაფად ვივლით იმავე გზით და ვერ შეგვაკრთობს ვერც ლანძღვა-გინება, ვერც ყვირილი, ვერც სხვა რამ.

«ზა პრავდუ» № 50,
1913 წ. 3 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «ზა პრავდუს» ტექსტის მიხედვით

ცუდი საქმის ჯიუტად დაცვა

ბატონი ლიკვიდატორები დაჟინებით იცავენ ოქტიაბრისტულ პარაგრაფს, რომელიც «მოხვდა» მათს კანონპროექტში თავისუფლებათა შესახებ. ეს არის მე-5 პარაგრაფი, რომელიც ხრიკიანად ზღუდავს კოალიციების თავისუფლებას იმის მოხსენიებით, რომ მუშების მოქმედება დაუსჯადია, «რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ე ს ს ა ე რ თ ო დ ა რ შ ე ა დ გ ე ნ ს ს ი ს ხ ლ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ე ს ი თ დ ა ს ჯ ა დ ქ მ ე დ ო ბ ა ს».

ამ პარაგრაფის რეაქციული ხასიათი ცხადია. ცხადია, ნ ა მ დ ვ ი ლ ი სოციალ-დემოკრატები, თუ მათ მოუხდებოდათ ლაპარაკი ამ ხრიკიანობაზე, საწინააღმდეგოს იტყოდნენ, ე. ი. ისინი იტყოდნენ ან იმას, რომ გაფიცვასთან დაკავშირებით, დაჩაგრული ამხანაგებისათვის დახმარების აღმოჩენის მოტივებით მომხდარი ქმედობანი დაუსჯადია ანდა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, მათი დასჯადობა უნდა შემსუბუქდეს.

ცხადია, ლიკვიდატორები იძულებული იქნებიან თავიანთი პროექტიდან ამოშალონ ეს რეაქციული პარაგრაფი: მუშები აიძულებენ ლიკვიდატორებს ასე მოიქცნენ.

და აი, ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირ აღიარონ შეცდომები, ლიკვიდატორები (ბურენინ-გამას[122] ხელმძღვანელობით) მელაკუდობენ, თვალთმაქცობენ, ცრუპენტელობენ. ბ-ნი გორსკი «ნოვაია ლიკვიდატორსკაია გაზეტაში»[123] გვარწმუნებს, თითქოს საზღვარგარეთულ თათბირებზე (3 — 4 წლის წინათ)[124] «ნ. ლენინის უახლოესი მონაწილეობით» ასეთ მუხლებს ღებულობდნენ კანონპროექტებში გაფიცვების შესახებ.

ყოველივე ეს თავიდან ბოლომდე ტყუილია.

საზღვარგარეთულ თათბირებზე მუშაობა ისე ნაწილდებოდა, რომ ქვეკომისიები იმუშავებდნენ პროექტებს, ხოლო საერთო კომისია იხილავდა ზოგიერთ ძირითად საკითხს. გაფიცვების ქვეკომისიაში ლენინს სულაც არ მიუღია მონაწილეობა (ის იყო 8-საათიანი სამუშაო დღის ქვეკომისიაში). საერთო კომისიაში კი ლენინი ილაშქრებდა ყოველი მუხლის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რომელიც დასაშვებად თვლიდა ან აღიარებდა სისხლის სამართლის წესით სასჯელობას!!

ბ-ნ გორსკის სურს რომელიმე ბ-ნ თ. დ.-ის (გაფიცვათა ქვეკომისიის ყოფილი წევრის!) პროექტი თავს მოახვიოს ლენინს. ეს თქვენ არ გაგივათ, ბატონებო.

ბ-მა ბურენინ-გამამ ცუდი საქმის დასაცავად კიდევ ერთი ცუდი საბუთი იხმარა.

«თავიანთი კლასობრივი ბრძოლა — წერდა ის — მათ (სოციალ-დემოკრატებმა) უნდა აწარმოონ გარკვეულ ფარგლებში არა «ბურჟუაზიული კანონიერების», არამედ ხალხის ფართო მასების მორალურ-უფლებრივი შეგნების პატივისცემისათვის».

აი ფილისტერის საკადრისი მოსაზრება!

გარკვეულ ფარგლებში, ბატონო ლიკვიდატორო, ჩვენს კლასობრივ ბრძოლას ვაწარმოებთ მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ო-ბ ი ს მოსაზრებით, ის კი შეუწყნარებლად მიგვაჩნია, რასაც შეუძლია (განსაზღვრულ პირობებში) დეზორგანიზაცია მოახდინოს ჩვენს რიგებში, ანდა ჩვენზე შემოტევა გაუადვილოს მტერს ისეთ დროს, როცა ეს ხელსაყრელია მხოლოდ მეორე მხარისთვის და სხვ.. ლიკვიდატორს არ ესმის ეს. ნამდვილი, მიზეზები და ეფლობა ოპორტუნისტულ ჭაობში. რა არის ხალხის ეს ფართო მასები? ეს არის განუვითარებელი პროლეტარები და წვრილი ბურჟუები, აღსავსენი მეშჩანური, ნაციონალისტური, რეაქციული, კლერიკალური და სხვ. და სხვ. ცრურწმენით.

როგორ შეგვიძლია ჩვენ «პ ა ტ ი ვ ი ვ ც ე თ», მაგალითად, ანტისემიტიზმის «მორალურ-უფლებრივ შეგნებას»,

ანტისემიტიზმისა, რომელიც, როგორც ცნობილია, ძალიან ხშირად თუნდაც ვენის (რუსეთის ბევრ ქალაქზე უფრო კულტურული ქალაქის) «ხალხის ფართო მასების» შეგნებაში გაბატონებული თვისება იყო?

მ ე შ ჩ ა ნ თ ა ფართო მასების «მორალურ-უფლებრივი შეგნება» გაკიცხავს, ვთქვათ, შტრეიკბრეხერისთვის სილის ვაწნას ღატაკური ხელფასის მომატების მოთხოვნით გამოწვეული გაფიცვის მგზნებარე დაცვის დროს. ასეთ შემთხვევებში ჩვენ არ ვ ი ქ ა დ ა გ ე ბ თ ძალადობას, რადგან ეს მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ი არ არის ჩ ვ ე ნ ი ბრძოლის თვალსაზრისით. მაგრამ მეშჩანთა ასეთ შეგნებას ჩვენ «პატივს» არა ვცემთ, — ასეთ «შეგნებას» ჩვენ განუხრელად შევებრძოლებით დარწმუნების, პროპაგანდის, აგიტაციის ყველა საშუალებით.

ბ-ნ ბურენინ-გამას მოწოდება «პატივი» ვცეთ ხალხის ფართო მასების მორალურ-უფლებრივ შეგნებასო, — ეს არის მეშჩანის მოწოდება, პატივი ვცეთ მეშჩანურ ცრურწმენასო.

ეს არის ბატონ ლიკვიდატორთა მეშჩანობის ზედმეტი დამამტკიცებელი საბუთი (ათასი სხვა საბუთის დამატებით).

«პროლეტარსკაია პრავდა»
№ 1, 1913 წ. 7 დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

კადეტები და «ხალხთა თვითგამოკვეთის უფლება»

მიმდინარე წლის ზაფხულში გაზეთმა «რეჩმა», რუსეთის ლიბერალების მთავარმა ორგანომ, მოათავსა ბ-ნ მიხ. მოგილიანსკის სტატია სტუდენტობის სრულიად უკრაინის ლვოვის ყრილობის შესახებ. გაზეთ «რაბოჩაია პრავდაში» აღნიშნული იყო, რომ ბ-მა მოგილიანსკიმ სრულიად შეუწყნარებელი საქციელი გამოიჩინა (შეუწყნარებელი დემოკრატისთვის ან ისეთი ადამიანისთვის, რომელსაც დემოკრატად მოაქვს თავი) და ს ა ლ ა ნ ძ ღ ა ვ ი სიტყვებით გაუმასპინძლდა უკრაინულ სეპარატიზმს, რასაც, სხვათა შორის, ქადაგებდა ბ-ნი დონცოვი *. მაშინვე პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ ლაპარაკია სრულიადაც არა იმაზე, ვეთანხმებით თუ არ ვეთანხმებით ბ-ნ დონცოვს, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებს მრავალი უკრაინელი მარქსისტი. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ შ ე უ წ ყ ნ ა რ ე ბ ე ლ ი ა ლანძღვა-გინება «სეპარატიზმისა», როგორც «ბოდვისა» და ავანტიურიზმისა, რომ ეს არის შოვინისტური ხერხი, რომ, როცა ველიკორუსი დემოკრატი სეპარაციის (გამოყოფის) ამა თუ იმ გეგმას აკრიტიკებს, ის ვალდებულია იქადაგოს გამოყოფის თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, გამოყოფის უ ფ ლ ე ბ ა.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 309 — 311. რ ე დ.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს არის პრინციპული, პროგრამული საკითხი, რომელიც ეხება საერთოდ დემოკრატიის ვალდებულებებს.

და აი ახლა, ნახევარი წლის შემდეგ, ბ-ნი მიხ. მოგილიანსკი კვლავ ამ მუხლის გამო გამოდის «რეჩში» (№ 331) და გვიპასუხებს არა ჩვენ, არამედ უპასუხებს ბ-ნ დონცოვს, რომელიც მკაცრად ეკვეთა «რეჩს» ლვოვის გაზეთში «შლიახი» [125] და ამავე დროს აღნიშნა, რომ ««რეჩის» შოვინისტურ გამოსვლას სათანადო სამარცხვინო დაღი დაასვა მხოლოდ რუსულმა სოციალ-დემოკრატიულმა პრესამო».

ბ-ნი მოგილიანსკი უპასუხებს ბ-ნ დონცოვს და სამჯერ აცხადებს, რომ «ბ-ნ დონცოვის რეცეპტების კრიტიკას საერთო არაფერი აქვს ერთა თვითგამორკვევის უფლების უარყოფასთანო».

ლიბერალური «რეჩის» თანამშრომლის ეს განცხადება მეტისმეტად საყურადღებოა, და ჩვენც ვთხოვთ ამხანაგებს განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან მას. რაც უფრო იშვიათად თანხმდებიან ბატონი ლიბერალები გაცვეთილი პოლიტიკურ-ოპოზიციური ჭორიდან გადავიდნენ დემოკრატიის ძირითად და არსებით ჭეშმარიტებათა დადგენასა და ანალიზზე, მით უფრო დაჟინებით უნდა მოვუწოდოთ სერიოზულად შეაფასონ ასეთი გადასვლის ყოველი შემთხვევა.

აღიარებს თუ არა ჩვენი კონსტიტუციურ-«დემოკრატიული» პარტია ერთა თვითგამორკვევის უფლებას? — აი საინტერესო საკითხი, რომელსაც უცაბედად შეეხო ბ-ნი მოგილიანსკი.

ის სამჯერ აკეთებს თავის შენიშვნას, მაგრამ პირდაპირ პასუხს ამ კითხვაზე არ იძლევა! მან კარგად იცის, რომ ვერც კადეტთა პარტიის პროგრამაში, ვერც ამ პარტიის ყოველდღიურ პოლიტიკურ ქადაგებაში (პროპაგანდასა და აგიტაციაში) ვერ იპოვი პირდაპირს, ზუსტს, ნათელ პასუხს ამ კითხვაზე.

«უნდა ითქვასო, — წერს ბ-ნი მოგილიანსკი, — რომ «ერთა თვითგამორკვევის უფლება» არ წარმოადგენს რაღაც ფეტიშს, რომლის გაკრიტიკება არ შეიძლებოდეს: ერის ცხოვრების არაჯანსაღ პირობებს შეუძ-

ლია წარმოშვას არაჯანსაღი ტენდენციები ერის თვითგამორკვევაში, და ამ ტენდენციების გამოაშკარავება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ უარვყოთ ერთა თვითგამორკვევის უფლება».

აი ნიმუში იმ ლიბერალური ფანდებისა, რომელთა გადამღერებას თქვენ შეხვდებით ბატონ სემკოვსკების სტატიებში ლიკვიდატორთა გაზეთის ფურცლებზე! რა თქმა უნდა, ბ-ნო მოგილიანსკი, არც ერთი დემოკრატიული უფლება არ არის «ფეტიში», არც ერთ მათგანში არ უნდა დავივიწყოთ, მაგალითად, კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ხასიათი. ყველა საერთო დემოკრატიული მოთხოვნა ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დემოკრატიული მოთხოვნაა, მაგრამ აქედან მხოლოდ ანარქისტებსა და ოპორტუნისტებს შეუძლიათ გამოიყვანონ ის დასკვნა, რომ პროლეტარიატი ამ მოთხოვნების უაღრესად თანამიმდევარი დაცვის წინააღმდეგი უნდა იყოსო.

რასაკვირველია, ერთი საქმეა თვითგამორკვევის უ ფ ლ ე ბ ა, და სხვაა ამა თუ იმ ერის ამა თუ იმ შემთხვევაში თვითგამორკვევის, გამოყოფის მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ო ბ ა. ეს ანაბანაა. მაგრამ სცნობს თუ არა ბ-ნი მოგილიანსკი, სცნობენ თუ არა რუსეთის ლიბერალები, სცნობს თუ არა კადეტთა პარტია, რომ დემოკრატის მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ს შეადგენს უქადაგოს მასებს — განსაკუთრებით ველიკორუსებს — ამ უფლების დიდი მნიშვნელობა? მისი საარსებო საჭიროება?

არა, არა და არა. აი რას უვლის გვერდს, აი რას ფარავს ბ-ნი მოგილიანსკი. აი სად მარხია კადეტების ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი ს ა და შ ო ვ ი ნ ი ზ მ ი ს ერთ-ერთი ფესვი — არა მარტო სტრუვეს, იზგოევისა და სხვა გულახდილი კადეტებისა, არამედ კადეტთა პარტიის დიპლომატებისაც, როგორიცაა მილიუკოვი, და ამ პარტიის ობივატელებისა, როგორიც არიან... მაგრამ სახელების ჩამოთვლას მნიშვნელობა არა აქვს!

რუსეთის შეგნებულ მუშას არ დაავიწყდება, რომ გარდა ნაციონალ-რეაქციონერებისა ჩვენში არიან კიდევ ნაციონალ-ლიბერალებიც, ჩნდება ნაციონალ-დემოკრატიზმის ჩანასახებიც (მოიგონეთ ბ-ნი პეშეხონოვი 1906 წლის «რუსსკოე

ბოგატსტვოს» მე-8 ნომერში, სადაც ის მოუწოდებს «ფრთხილად» მოეპყარით ველიკორუსი გლეხის ნაციონალისტურ ცრურწმენასო).

ნაციონალიზმის ყველა ფორმის იარასთან საბრძოლველად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თვითგამორკვევის უფლების ქადაგებას.

«პროლეტარსკაია პრავდა»
№ 4, 1913 წ. 11 დეკემბერი
ხელმოწერა: ი.

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

კარგი რეზოლუცია და ცუდი სიტყვა

რუსეთის ყველა შეგნებული მუშა, უეჭველია, ინტერესითა და ყურადღებით მოეკიდა საერთაშორისო ბიუროს რეზოლუციას რუსთა საქმეების გამო. როგორც ცნობილია, ამ რეზოლუციის დედააზრს შეადგენს გადაწყვეტილება — მოგვარდეს ანუ მოეწყოს «ა ზ რ თ ა ს ა ე რ თ ო გ ა ც ვ ლ ა-გ ა მ ო ც ვ ლ ა» რუსეთის «მუშათა მოძრაობის ყველა ფრაქციისა», იმათიც, რომლებიც სცნობენ სოციალ-დემოკრატიულ პროგრამას, აგრეთვე იმათიც, რომელთა პროგრამა «ეთანხმება» (ან შეესაბამება — **im Einklange**) მას.

უკანასკნელი განსაზღვრა მეტისმეტად ფართოა და გულისხმობს არა მარტო იაგელოს მომხრეებს, არამედ ყოველ იმ ჯგუფსაც, რომელიც მოისურვებს განაცხადოს, რომ მისი პროგრამა «შეესაბამება» ან «ეთანხმება» სოციალ-დემოკრატიის პროგრამას. მაგრამ ეს ფართო განსაზღვრა არაფერს არა ვნებს, რადგან «ა ზ რ თ ა გ ა ც ვ ლ ა-გ ა მ ო ც ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს», ცხადია, სასურველია ფართოდ განისაზღვროს მონაწილეთა შემადგენლობა, იმათი ჩათვლით, ვისთანაც გაერთიანებას მ ო ი ს ურ ვ ე ბ დ ნ ე ნ სოციალ-დემოკრატთა ცალკეული ჯგუფებიც კი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე წარმოდგენილი იყო ორი გეგმა: 1) კაუცკის გეგმა — «მოეწყოს აზრთა საერთო გაცვლა-გამოცვლა» და მ ე ტ ი ა რ ა ფ ე რ ი. აზრთა გაცვლა-გამოცვლით მიუდგომელი კოლეგიის წინაშე, სახელდობრ საერთა-

შორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, გ ა მ ო ი რ კ ვ ე ვ ა, როგორია საქმის ვითარება და როგორია უთანხმოების სიღრმე. 2) მეორე გეგმა წამოაყენა როზა ლუქსემბურგმა, მაგრამ უკანვე წაიღო კაუცკის შესიტყვების შემდეგ, — ამ გეგმით ნავარაუდევი იყო «გამაერთიანებელი კონფერენციის» (**Einigungskonferenz**) მოწვევა «ერთიანი პარტიის აღსადგენად».

რასაკვირველია, ეს უკანასკნელი გეგმა უარესი იყო, რადგან ჯერ საჭიროა ზუსტი მონაცემების შეგროვება, იმაზედაც რომ არაფერი ვთქვათ, რომ აქ როზა ლუქსემბურგი ცდილობდა ფარულად გაეპარებინა მხოლოდ «აღდგენა» სავალალოდ-განთქმული «ტიშკოელთა წრისა».

მიიღეს კაუცკის გეგმა, უფრო ფრთხილი, რომელიც უფრო სისტემატურად უდგება ერთიანობის საკითხს წინასწარი «აზრთა გაცვლა-გამოცვლისა» და ზუსტი მონაცემების შესწავლის შ ე მ წ ე ო ბ ი თ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ კაუცკის რეზოლუცია ერთხმად იქნა მიღებული.

მაგრამ კაუცკის რეზოლუციისაგან, რომელიც ბიუროს რეზოლუცია გახდა, უნდა განვასხვაოთ კაუცკის ს ი ტ ყ ვ ა; თავისი სიტყვის ერთ ადგილას კაუცკიმ ს ა შ ი ნ ე ლ ი უ ც ნ ა უ რ ო ბ ა თქვა. ეს გარემოება მოკლედ ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, ახლა კი «**Vorwärts**»-ში (მთავარი გერმანული ორგანო) [126] მოთავსებული კაუცკის სიტყვის ანგარიში გვაიძულებს უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ მნიშვნელოვან საკითხზე.

როზა ლუქსემბურგის საპასუხოდ კაუცკიმ თქვა, «რომ ძველი პარტია გაქრა — თუმცა შენარჩუნებულია ძველი სახელები, რომელთაც დროთა განმავლობაში (**im Laufe der Jahre** — უკანასკნელი წლების განმავლობაში) ახალი შინაარსი მიეცათ. არ შეიძლება აიღოთ და უბრალოდ გარიცხოთ ძველი ამხანაგები მხოლოდ იმიტომ, რომ მათი პარტია (**ihre Partei**) ძველ სახელს არ ატარებსო».

როდესაც როზა ლუქსემბურგმა ამაზე უპასუხა, რომ «კაუცკის გამოთქმა, თითქოს რუსეთის პარტია მოკვდა (**sei**

tot), მოუფიქრებელი სიტყვააო», კაუცკი დასჯერდა «პროტესტის გამოთქმას იმის წინააღმდეგ, თითქოს მას ეთქვას, რუსეთის სოციალ-დემოკრატია მოკვდაო. მან მხოლოდ ისა თქვა, რომ ძველი ფორმები დამსხვრეულია და საჭიროა ახალი ფორმის შექმნაო».

აი ოფიციალური ანგარიშის იმ ადგილების თარგმანი, რომლებიც ჩვენს საკითხს ეხება.

კაუცკის რომ არ უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა სოციალ-დემოკრატია მოკვდაო, ეს ცხადია. მაგრამ პარტია გაქრაო, ეს მან თქვა და ეს მას არც წაუღია უკან, მიუხედავად იმისა, რომ მას ამაზე შეედავნენ!

ეს წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია.

კაუცკიმ საოცრად დიდი აბნეულობა გამოამჟღავნა. რომელი «ძველი ამხანაგების» გარიცხვაზე ლაპარაკობდა ის? ბატონ პოტრესოვისა და კომპანიისა? უწოდა თუ არა მან ლიკვიდატორულ უსახობას «**მათი** პარტია»?

იქნებ კაუცკის მხედველობაში ჰქონდა «პპს ლევიცა», რომელიც როზა ლუქსემბურგის ფორმულით უნდა გარიცხულიყო? მაგრამ მაშინ გაუგებარია გამოთქმა «ძველი ამხანაგები», რადგან სოციალ-დემოკრატიული პარტიის არსებობის დღიდან, ე. ი. 1898 წლიდან, პპს წევრები არასოდეს არ ყოფილან საერთოდ სოციალ-დემოკრატების პარტიული ამხანაგები!

ჩვენთვის ორივე გაგება ერთნაირია, რადგან ერთიანობის საკითხზე «აზრთა გაცვლა-გამოცვლიდან» სასაცილოა, მართლაც, ლიკვიდატორების გამორიცხვა (საქმის მთელი დედაარსი ხომ მათ გარშემო ტრიალებს), როგორც სასაცილო იქნებოდა პპს ლევიცას გამორიცხვა (განყენებულად თუ ვიმსჯელებთ, შესაძლებელია, რომ ლიკვიდატორებმა — მათგან ყველაფერს უნდა მოველოდეთ! — დაიცვან ულტიმატურად თავიანთი გამთიშველური ბლოკი პპს-თან — არა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან). ყოველ შემთხვევაში საჭიროა ზუსტად გავიგოთ, რას მოითხოვენ პარტიისგან არა მარტო ბატონი ლიკვიდატორები, არამედ მათი მოკავშირენიც.

უდავოდ რჩება ის ფაქტი, რომ კაუცკი ბიუროში იქამდე მივიდა, რომ თქვა, თითქოს რუსეთის პარტია გაქრა.

როგორ შეეძლო მას ეთქვა ასეთი საშინელი უცნაურობა? ამის გასაგებად რუსეთის მუშებმა უნდა იცოდნენ, ვინ აწვდის ცნობებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პრესას რუსთა საქმეების შესახებ? როდესაც გერმანელები წერენ, მაშინ ისინი ჩვეულებრივ გვერდს უვლიან უთანხმოების საკითხს. როდესაც რუსები წერენ გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებში, მაშინ ჩვენ ვხედავთ ან ყველა საზღვარგარეთული ჯგუფის კავშირს ლიკვიდატორებთან «ლენინელების» ფრიად უწმაწური სიტყვებით გასალანძღავად (ასე იყო «**Vorwärts**»-ში 1912 წლის გაზაფხულზე), ან ტიმკოელის, ტროცკისტის თუ საზღვარგარეთული წრის სხვა ვინმეს ნაჯღაბნს, რომელიც განზრახ აბუნდოვანებს საკითხს. მთელი წლობით არა ჩანს არც ერთი დოკუმენტი, რეზოლუციების კრებული, იდეათა ანალიზი, არავითარი ცდა ფაქტიური მონაცემების შეგროვებისა!

შევიცოდოთ გერმანელი ბელადები, რომ მათ (რომლებსაც ეხერხებათ მონაცემების შეკრება და შესწავლა, როდესაც თეორიით არიან გართული) არ ეთაკილებათ ცნობების მიმწოდებელ ლიკვიდატორთა ზღაპრების მოსმენა და განმეორება.

ცხოვრებაში გამოყენებული იქნება ბიუროს რეზოლუცია, კაუტსკის სიტყვა კი სამწუხარო კურიოზად დარჩება.

«პროლეტარსკაია პრავდა» № 6,
1913 წ. 13 დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა რუსულ სკოლაში

უფრო ზუსტი წარმოდგენა რომ გვქონდეს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» გეგმაზე, რომელიც წარმოადგენს სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფას, სასარგებლო იქნება ავიღოთ რუსული სკოლების მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობის კონკრეტული მონაცემები. პეტერბურგის სასწავლო ოლქის მიმართ ასეთი მონაცემები შეკრებილია სკოლების 1911 წლის 18 იანვრის აღწერით.

აი მონაცემები, თუ როგორ არიან მოსწავლეები დაყოფილი სახალხო განათლების სამინისტროს დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა დ ე დ ა ე ნ ი ს მიხედვით. მონაცემები ეხება ს.-პეტერბურგის მთელ სასწავლო ოლქს, ფ რ ჩ ხ ი ლ ე ბ შ ი კი მოგვყავს ც ი ფ რ ე ბ ი ს.-პეტერბურგის შ ე ს ა ხ ე ბ. როცა ამბობენ «რუსულ ენას», მოხელეები მუდამ ურევენ ველიკორუსულ, ბელორუსულ და უკრაინულ («მალოროსულ», ოფიციალური სახელწოდებით) ენებს. სულ არის 265 660 (48 076) მოსწავლე.

რუსული ენა — 232 618 (44 223); პოლონური — 1 737 (780); ჩეხური — 3 (2); ლიტვური — 84 (35); ლატვიური — 1 371 (113); ჟმუდთა — 1 (0); ფრანგული — 14 (13); იტალიური — 4 (4); რუმინული — 2 (2); გერმანული — 2 408 (845); შვედური — 228 (217); ნორვეგიული — 31 (0); დანიური — 1 (1); ჰოლანდიური — 1 (0); ინგლისური — 8 (7); სომხური — 3 (3); ბოშური — 4 (0); ებრაული — 1 196 (396);

ქართული — 2 (1); ოსური — 1 (0); ფინური — 10 750 (874); კარელური — 3 998 (2); ჩუდთა — 247 (0); ესტონური — 4 723 (536); ლოპართა — 9 (0); ზირიანთა — 6 008 (0); სამოედთა — 5 (0); თათრული — 63 (13); სპარსული — 1 (1); ჩინური — 1 (1); უცნობი — 138 (7).

ასეთია შედარებით ზუსტი მონაცემები. ისინი ცხადყოფენ მოსახლეობის უდიდეს ეროვნულ სიჭრელეს, — თუმცა ეხება რუსეთის ერთ-ერთ უაღრესად ველიკორუსულ რაიონს. ერთბაშად ჩანს დიდი ქალაქის, ს.-პეტერბურგის, უდიდესი ეროვნული სიჭრელე. ეს არის არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ კაპიტალიზმის კ ა ნ ო ნ ი ყველა ქვეყანაში და მსოფლიოს ყველა კუთხეში. დიდი ქალაქები, საფაბრიკო, სამთამადნო-საქარხნო, სარკინიგზო, საერთოდ სავაჭრო და სამრეწველო დაბები უცილობლად განსხვავდებიან მოსახლეობის უდიდესი ეროვნული სიჭრელით და სწორედ ამგვარი დაბები ყველაზე სწრაფად იზრდებიან, მუდამ იზიდავენ რა მიყრუებული სოფლების სულ უფრო და უფრო მეტ მცხოვრებლებს.

ახლა სცადეთ ცოცხალი სინამდვილის ამ მონაცემებს მიუმატოთ ნაციონალისტ მეშჩანთა ის მკვდარი უტოპია, რომელსაც ეწოდება «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» ანუ (ბუნდელების ენაზე) ნაციონალური კულტურის საკითხების, ე. ი. პირველ რიგში სასკოლო საქმის «ამოღება სახელმწიფოს გამგებლობიდან».

«სახელმწიფოს გამგებლობიდან ამოღება» სასკოლო საქმე და გადაეცემა 23 (პეტერბურგის მიმართ) «ნაციონალურ კავშირს», რომელთაგან თვითეული ავითარებს «თავის» «ნაციონალურ კულტურას»!!

სასაცილოც კია სიტყვების დახარჯვა ასეთი «ნაციონალური პროგრამის» უაზრობისა და რეაქციულობის დასამტკიცებლად.

დღესავით ნათელია, რომ ასეთი გეგმის ქადაგება ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ნიშნავს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და კლერიკალიზმის იდეების გატარებას ან მხარის დაჭერას. საერთოდ დემოკრატიის ინტერესები და განსაკუთ-

რებით მუშათა კლასის ინტერესები სწორედ წინააღმდეგს მოითხოვს: უნდა ვეცადოთ, რომ ყ ვ ე ლ ა ეროვნების ბავშვები შ ე ე რ თ დ ნ ე ნ ამა თუ იმ ადგილის ე რ თ ი ა ნ სკოლებში; საჭირო.ა, რომ ყველა ეროვნების მუშებმა ს ა ე რ თ ო ძალ-ღონით გაატარონ სასკოლო საქმეების ის პროლეტარული პოლიტიკა, რომელიც ასე კარგად გამოხატა ვლადიმირელი მუშების დეპუტატმა სამოილოვმა სახელმწიფო სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის სახელით [127]. ჩვენ ფრიად გადაჭრით უნდა გავილაშქროთ სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით ყოველგვარი დაყოფის წინააღმდეგ.

ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვიზრუნოთ, რომ სასკოლო საქმეში ასე თუ ისე გავმიჯნოთ ერები, არამედ, პირიქით — იმაზე, რომ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შევქმნათ ერთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ძირითადი დემოკრატიული პირობები. «ნაციონალური კულტურა» კი არ უნდა ავწიოთ ჩვენ ფარზე, არამედ მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური (საერთაშორისო) კულტურის გულისთვის უნდა ვამხილოთ ამ ლოზუნგის კლერიკალური და ბურჟუაზიული ხასიათი.

მაგრამ განა შესაძლებელიაო, შეგვეკითხებიან, უზრუნველვყოთ, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ე რ თ ი ქართველი ბავშვის ინტერესები პეტერბურგის 48 076 მოწაფეშიო? ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: პეტერბურგში განსაკუთრებული ქართული სკოლის შექმნა, ქართული «ნაციონალური კულტურის» საფუძვლებზე — შეუძლებელია, ასეთი გეგმის ქადაგება კი არის მ ა ვ ნ ე იდეების შეტანა ხალხის მასებში.

მაგრამ ჩვენ არ დავიცავთ არაფერს საზიანოს და არ მოვითხოვთ არაფერს შეუძლებელს, თუ ამ ბავშვისთვის მოვითხოვთ უფასო სახაზინო აუდიტორიას ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და სხვ. ლექციებისთვის, მისთვის ქართული წიგნების გადატანას ცენტრალური ბიბლიოთეკიდან, ხაზინის მიერ ხარჯების ნაწილის გადახდას ქართველი

მასწავლებლის გასამრჯელოდ და სხვ.. ნამდვილი დემოკრატიის პირობებში, თუ სკოლიდან სავსებით განდევნილი იქნება ბიუროკრატიზმი და «პერედონოველობა»[128], ამის მიღწევას სავსებით შესძლებს მოსახლეობა. ხოლო ამ ნამდვილი დემოკრატიის მოპოვება სხვაფრივ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა, თუ ყ ვ ე ლ ა ეროვნების მუშები არ შეერთდნენ.

ყოველი «ნაციონალური კულტურისთვის» განსაკუთრებული ეროვნული სკოლების მოთხოვნის ქადაგება რეაქციულია. მაგრამ ნამდვილი დემოკრატიის პირობებში სავსებით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას სწავლების ინტერესები მშობლიურ ენაზე, მშობლიური ისტორიისა და სხვა ეროვნებათა მიხედვით სკოლების დ ა უ ყ ო ფ ლ ა დ. ხოლო სრული ადგილობრივი თვითმმართველობა იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია რაიმე ძალით მოვახვიოთ თავს — მაგალითად რომ ვთქვათ — კემის მაზრის (სადაც მხოლოდ 514 რუსი ბავშვია) 713 კარელიელ ბავშვს ან პეჩორის მაზრის 681 ზირიანელ ბავშვს (153 რუსია), ან ნოვგოროდის მაზრის 267 ლატვიელს (7 000-ზე მეტი რუსია), და სხვ. და სხვ.

განუხორციელებელი კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ქადაგება უაზრობაა, ის ახლავე მხოლოდ იდეურად აქუცმაცებს მუშებს. ყველა ეროვნების მუშების შეერთების ქადაგება აადვილებს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის წარმატებას, რასაც შეუძლია უზრუნველყოს ყველა ეროვნების თანასწორუფლებიანობა და რაც შეიძლება მეტი მშვიდობიანი თანაცხოვრება.

«პროლეტარსკაია პრავდა» № 7,
1913 წ. 14 დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

გაფიცვები რუსეთში [129]

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების უმრავლესობაში გაფიცვათა სტატისტიკა შედარებით დიდი ხანი არაა, 10 — 20 წელია, რაც სწორად არის დაყენებული. რუსეთში მონაცემები გაფიცვათა შესახებ მოიპოვება მხოლოდ 1895 წლიდან. ჩვენი ოფიციალური სტატისტიკის მთავარი ნაკლი, გარდა გაფიცულთა რიცხვის შესახებ ცნობების შემცირებისა, ის არის, რომ იგი მოიცავს მხოლოდ საფაბრიკო ინსპექციისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა მუშებს. რკინიგზელი მუშები, სამთამადნო მუშები, ტრამვაელები, საქვეაქციზო, სამთამადნო და სხვ. საწარმოთა მუშები, აგრეთვე მშენებელი და სასოფლო-სამეურნეო მუშები სტატისტიკაში არ შედიან.

აი საერთო მონაცემები საგაფიცვო სტატისტიკის რუსეთში არსებობის მთელი ხნის მანძილზე:

წლები	გაფიცვათა რიცხვი		გაფიცულ მუშათა რიცხვი	
	სულ	ყველა საწარმოს %	სულ	ყველა მუშის %
1895	68	0,4	31 195	2,0
1896	118	0,6	29 527	1,9
1897	145	0,7	59 870	4,0
1898	215	1,1	43 150	2,9
1899	189	1,0	57 498	3,8
1900	125	0,7	29 389	1,7
1901	164	1,0	32 218	1,9
1902	123	0,7	36 671	2,2
1903	550	3,2	86 832	5,1
1904	68	0,4	24 904	1,5
1905	13 995	93,2	2 863 173	163,8
1906	6 114	42,2	1 108 406	65,8
1907	3 573	23,8	740 074	41,9
1908	892	5,9	176 101	9,7
1909	340	2,3	64 166	3,5
1910	222	1,4	46 623	2,4
1911	466	2,8	105 110	5,1
1912	1 918	?	683 361	?

თუ რამდენად შემცირებულია ციფრები, ჩანს, მაგალითად, იმით, რომ მეტად ფრთხილ მწერალს ბ-ნ პროკოპოვიჩს 1912 წლისთვის მოჰყავს სულ სხვა ციფრი: 683 ათასი გაფიცული, ხოლო «სხვა გამოანგარიშებით — 1 248 ათასი გაფიცული საფაბრიკო-საქარხნო საწარმოებში და გარდა ამისა 215 ათასი გაფიცული იმ საწარმოებში, რომლებიც საფაბრიკო ინსპექციას არ ექვემდებარებიან», ე. ი. 1 463 ათასი, თითქმის 1½ მილიონი.

ეკონომიურ გაფიცვათა რიცხვი (1905 წლიდან) განსაზღვრულია ასე:

წლები	გაფიცვათა რიცხვი	მუშათა რიცხვი	წლები	გაფიცვათა რიცხვი	მუშათა რიცხვი
1905	4 388	1 051 209	1909	290	55 803
1906	2 545	457 721	1910	214	42 846
1907	973	200 004	1911	442	96 730
1908	428	83 407	1912	702	172 052

ამრიგად, გაფიცვათა ისტორია რუსეთში აშკარად იყოფა 4 პერიოდად (თუ არ ჩავთვლით 80-იან წლებს, როცა იფეთქა მოროზოვის ფაბრიკების განთქმულმა გაფიცვებმა, რაც რეაქციონერმა პუბლიცისტმა კატკოვმაც კი აღნიშნა როგორც «მუშათა საკითხის» გაჩენა რუსეთში):

			გაფიცულნი ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ
1-ლი	პერიოდი	(1895—1904), რევოლუციის წინა.....	43 ათასი
მე-2	»	(1905—1907), რევოლუციური.....	1 570 »
მე-3	»	(1908—1910), კონტრრევოლუციური...	96 »
მე-4	»	(1911—1912), თანამედროვე, გამოცოცხლების დასაწყისი.....	394 »

საერთოდ, მთელი 18 წლის განმავლობაში, ჩვენში გაფიცულთა საშუალო რიცხვი წლიურად არის — 345,4 ათასი. გერმანიაში საშუალოდ 14 წლის განმავლობაში (1899 —

1912) — 229,5 ათასი; ინგლისში საშუალოდ 20 წლის განმავლობაში (1893 — 1912) — 344,2 ათასი. თვალსაჩინოდ რომ ნათელვყოთ, თუ რა კავშირი აქვს რუსეთის გაფიცვებს პოლიტიკურ ისტორიასთან, მოგვყავს 1905 — 1907 წლების მონაცემები წლის მეოთხედების მიხედვით:

წლები	1905				1906				1907			
წლის მეოთხედები	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
გაფიცულთა რიცხვი (ათასობით) ყოველ სამ თვეში (წლის მეოთხედში)	რევოლუციის დასაწყისი			რევოლუცია		I სათათბირო				II სათათბირო		
სულ	810	481	294	1 277	269	479	296	63	146	323	77	193
ეკონომიური	411	190	143	275	73	222	125	37	52	52	66	30
პოლიტიკური	399	291	151	1 002	196	257	171	26	94	271	11	163

რუსეთის სხვადასხვა რაიონის მუშების მონაწილეობა გაფიცვებში ჩანს შემდეგი მონაცემებით:

საფ.-საქარხნო ოლქები	საფ.-საქ. მუშების რიცხვი (ათასობით) 1905 წელს	გაფიცულთა რიცხვი (ათასობით): ათი წლის განმავლობაში (1895 — 1904)	გაფიცულთა რიცხვი (ათასობით): მარტო 1905 წლისა
ს.-პეტერბურგის	299	137	1 033
მოსკოვის	567	123	540
ვარშავის	252	69	887
სამხრეთის 3 ოლქი	543	102	403
სულ	1 661	431	2 863

აქედან ჩანს შედარებითი ჩამორჩენილობა მოსკოვისა და კიდევ უფრო შეტად სამხრეთისა, მაშინ როდესაც პირველობა თვალსაჩინოდ ეკუთვნის პეტერბურგს და მის რაიონს (მათ შორის რიგას), აგრეთვე პოლონეთს.

მრეწველობის მთავარ დარგთა მიხედვით გაფიცულნი ასე იყოფიან:

(გაფიცულთა რიცხვი ათასობით)

წარმოებათა ჯგუფები	მუშათა მთელი რიცხვი (ათასობით) 1904 წელს	ათი წლის (1895—1904) განმავლობაში	მხოლოდ 1905 წელს
მელითონეები	252	117	811
ფეიქრები	708	237	1 296
სტამბის მუშები, ხისდამმუშავებელნი, დაბალები და ქიმიური მრეწველობის მუშები და სხვ.	277	38	471
კერამიკული მრეწვ. და საკვები პროდ. წარმოებ. მუშები	454	39	285
სულ	1 691	431	2 863

აქედან ჩანს მელითონეთა მოწინავე როლი და ფეიქართა ჩამორჩენილობა, უფრო მეტად კი დანარჩენი მუშების ჩამორჩენილობა.

მიზეზთა მიხედვით გაფიცვები ასე ჯგუფდება (14 წლის, 1895 — 1908, განმავლობაში): პოლიტიკური გაფიცულნი — 59,9%; ხელფასის გამო — 24,3%; სამუშაო დღის გამო — 10,9%; შრომის პირობების გამო — 4,8%.

გაფიცვათა წარმატების მიხედვით ვღებულობთ შემდეგ დაყოფას (თუ გაფიცულებს, რომლებმაც კომპრომისით დაამთავრეს გაფიცვა, თანაბრად დავყოფთ გამარჯვებულთა და დამარცხებულთა შორის):

გაფიცულთა რიცხვი (ათასობით)
ეკონომ. გაფიცვებში

	ჯამი 10 წლის (1895—1904) განმავლობაში	%	1905	%	1906	%	1907	%	1911	%	1912	%
გამარჯვებულნი	159	37,5	705	48,9	233	50,9	59	29,5	49	51	55	42
დამარცხებულნი	265	62,5	734	51,1	225	49,1	141	70,5	47	49	77	58
სულ	424	100,0	1 439	100,0	458	100,0	200	100,0	96	100	132	100

1911 — 1912 წლების მონაცემები სრული არ არის და არც სავსებით შესადარისია წინა მონაცემებთან.

დასასრულ მოგვყავს მოკლე მონაცემები გაფიცვათა დაყოფის შესახებ სხვადასხვა სიდიდის საწარმოთა და მათი ადგილსამყოფელის მიხედვით:

ყოველი თანრიგის ასი მუშიდან გაფიცული იყო

საწარმოთა თანრიგები	1895—1904, ე. ი. 10 წლის განმავლობაში	მხოლოდ 1905 წლის განმავლობაში
დაახლ. 20 — მუშა.....	2,7	47,0
21 — 50 »	7,5	89,4
51 — 100 »	9,4	108,9
101 — 500 »	21,5	160,2
501 — 1 000 »	49,9	163,8
1 000-ზე ზევით...	89,7	231,9

გაფიცვათა პროცენტი

	ქალაქად	სოფლად
1895—1904.....	75,1	24,9
1905.....	85,0	15,0

დიდ საწარმოთა სიჭარბე საგაფიცვო მოძრაობაში და სოფლის ფაბრიკების შედარებითი ჩამორჩენილობა ცხადად ჩანს ამ ციფრებით.

დაწერილია 1913 წ.

დაიბეჭდა 1913 წ. დეკემბერს
უბის კალენდარში
«მუშის თანამგზავრი 1914 წლისა»
გამომც. «პრიბოი», ს.-პეტერბურგი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება კალენდრის
ტექსტის მიხედვით

რსდმ პარტიის ნაციონალური პროგრამის შესახებ

ცენტრალური კომიტეტის თათბირმა მიიღო «იზვესტიაში» დაბეჭდილი რეზოლუცია ნაციონალურ საკითხზე * და ყრილობის დღის წესრიგში დააყენა ნაციონალური პროგრამის საკითხი.

რატომ და როგორ დაიჭირა ამჟამად ნაციონალურმა საკითხმა თვალსაჩინო ადგილი კონტრრევოლუციის მთელ პოლიტიკაშიც, ბურჟუაზიის კლასობრივ თვითშეგნებაშიც და რუსეთის პროლეტარულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაშიც, — ეს დაწვრილებით არის აღნიშნული თვით რეზოლუციაში. ამაზე შეჩერება, საქმის ვითარების სრული სიცხადის გამო, არა მგონია საჭირო იყოს. თეორიულ მარქსისტულ ლიტერატურაში საქმის ეს ვითარება და სოციალ-დემოკრატიის ნაციონალური პროგრამის საფუძვლები უკვე იყო გაშუქებული უკანასკნელ ხანებში (აქ პირველ ადგილზეა სტალინის სტატია [130]). ამიტომ ამ სტატიაში ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დავჯერდეთ საკითხის წმინდა პარტიულ დაყენებას და იმის განმარტებას, რისი თქმაც სტოლიპინ-მაკლაკოვის მხრივ შევიწროებულ ლეგალურ პრესას არ შეუძლია.

რუსეთის სოციალ-დემოკრატია ყალიბდება ისე, რომ მთლიანად ეყრდნობა უფროსი ქვეყნების, ე. ი. ევროპის გამოცდილებას, და ამ გამოცდილების თეორიულ გამოხატულებას, სახელდობრ მარქსიზმს. ჩვენი ქვეყნის თავისებურება და მასში სოციალ-დემოკრატიის შექმნის ისტორიული მომენ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 505 — 508. რ ე დ.

ტის თავისებურება მდგომარეობს, ჯერ-ერთი, იმაში, რომ ჩვენში — ევროპისაგან განსხვავებით — სოციალ-დემოკრატიის ჩამოყალიბება დაიწყო ბურჟუაზიულ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა მ დ ე და განაგრძობს ჩამოყალიბებას მის დ რ ო ს. მეორეც, ჩვენში აუცილებელი ბრძოლა საერთობურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული დემოკრატიიდან პროლეტარული დემოკრატიის გამოყოფისათვის, — ბრძოლა, რომელიც ძირითადად ისეთივეა, როგორიც ყველა ქვეყანამ განიცადა, — მიმდინარეობს მარქსიზმის სრული თეორიული გამარჯვების პირობებში დასავლეთსა და ჩვენში. ამიტომ ამ ბრძოლის ფორმაა არა იმდენად მარქსიზმისათვის ბრძოლა, რამდენადაც ბრძოლა «თითქმის მარქსისტული» ფრაზით დაფარული წვრილბურჟუაზიული თეორიების სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ.

ასეთია საქმის ვითარება, დაწყებული «ეკონომიზმით» (1895 — 1901) და «ლეგალური მარქსიზმით» (1895 — 1901, 1902). ამ მიმდინარეობებს რომ უმჭიდროესი, უშუალო კავშირი და ნათესაობა აქვთ მენშევიზმთან (1903 — 1907) და ლიკვიდატორობასთან (1908 — 1913), ამის დავიწყება შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც ისტორიული სიმართლისა ეშინიათ.

ნაციონალურ საკითხში ძველი «ისკრა», რომელიც 1901 — 1903 წლებში ამზადებდა და რომელმაც მოამზადა რსდმ პარტიის პროგრამა რუსეთის მუშათა მოძრაობის თეორიასა და პრაქტიკაში მარქსიზმის პირველ და ძირითად დასაბუთებასთან ერთად, ებრძოდა, როგორც დანარჩენ საკითხებშიც, წვრილბურჟუაზიულ ოპორტუნიზმს. ეს ოპორტუნიზმი გამოიხატებოდა პირველ რიგში ბუნდის ნაციონალისტური გატაცებით თუ მერყეობით. ბუნდის ნაციონალიზმს შეუპოვრად ებრძოდა ძველი «ისკრა», და ამ ბრძოლის დავიწყება იმას ნიშნავს, რომ კვლავ ივანე გულმავიწყი გახდე, მოსწყდე რუსეთის მთელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის ისტორიულ და იდეურ ბაზას.

მეორე მხრივ, 1903 წლის აგვისტოში მეორე ყრილობაზე რსდმ პარტიის პროგრამის საბოლოოდ დამტკიცების დროს წარმოებდა ბრძოლა, — რაც არ არის აღნიშნული ყრილობის ოქმებში, რადგან ეს ხდებოდა საპროგრამო კომისიაში, რომელსაც თითქმის მთელი ყრილობა ესწრებოდა, — წარმოებდა ბრძოლა რამდენიმე პოლონელი სოციალ-დემოკრატის უხეში ცდის წინააღმდეგ — საეჭვოდ გაეხადათ «ერთა თვითგამორკვევის უფლება», ე. ი. სულ სხვა მხრივ ჩაფლულიყვნენ ოპორტუნიზმსა და ნაციონალიზმში.

და ახლაც, ათი წლის შემდეგ, ბრძოლა წარმოებს იმავე ორი ძირითადი ხაზით, რაც თავის მხრივ ასევე ამტკიცებს, რომ ეს ბრძოლა ღრმად არის დაკავშირებული რუსეთის ნაციონალური საკითხის მთელ ობიექტურ პირობებთან.

ავსტრიაში ბრიუნის ყრილობაზე (1899) უარყვეს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» პროგრამა (რომელსაც იცავდნენ კრისტანი, ელენბოგენი და სხვები და რაც გამოხატული იყო სამხრეთ სლავთა პროექტში). მიღებულია ტერიტორიული ნაციონალური ავტონომია და მხოლოდ სოციალ-დემოკრატიის პროპაგანდა ყველა ნაციონალური ოლქის სავალდებულო კავშირის სასარგებლოდ წარმოადგენს კომპრომისს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» იდეის მიმართ. ამ იდეის მიუყენებლობა ებრაელობისადმი საგანგებოდ და სპეციალურად არის ხაზგასმული ამ ავბედითი იდეის მთავარ თეორეტიკოსთა მიერ.

რუსეთში — როგორც ყოველთვის — გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ამოცანად დაისახეს პატარა ოპორტუნისტული შეცდომა ოპორტუნისტული პოლიტიკის სისტემად გაეზვიადებინათ. როგორც ბერნშტეინმა გერმანიაში წარმოშვა რუსეთის მემარჯვენე კადეტები — სტრუვე, ბულგაკოვი, ტუგანი და კომპანია, ასევე ოტო ბაუერის მიერ «ინტერნაციონალიზმის დავიწყებამ» (არქიფრთხილი კაუცკის შეფასებით) წარმოშვა რუსეთში ის, რომ ებრაელობის ყველა ბურჟუაზიულმა პარტიამ და მთელმა რიგმა წვრილ-

ბურჟუაზიულმა მიმდინარეობებმა (ბუნდი და ესერული ნაციონალური პარტიების კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა 1907 წელს) «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» ს რ უ ლ ა დ მიიღეს. ჩამორჩენილი რუსეთი იძლევა, ასე ვთქვათ, იმის მაგალითს, თუ დასავლეთ ევროპის ოპორტუნიზმის მიკრობები როგორ წარმოშობენ ჩვენს ველურ ნიადაგზე მთელ ე პ ი დ ე მ ი ე ბ ს.

ჩვენში უყვართ ლაპარაკი, რომ ბერნშტეინს «ითმენენ» ევროპაშიო, მაგრამ ავიწყდებათ დაურთონ, რომ არსად ქვეყნად, გარდა «კურთხეული» დედა-რუსეთისა, ბერნშტეინელობას არ წარმოუშვია სტრუვიზმი, ხოლო «ბაუერიანობას» არ გამოუწვევია ებრაელი ბურჟუაზიის დახვეწილი ნაციონალიზმის გამართლება სოციალ-დემოკრატების მხრივ.

«კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» ნიშნავს სწორედ ფრიად დახვეწილ და ამიტომ ფრიად მავნე ნაციონალიზმს, ნიშნავს მუშების გახრწნას ნაციონალური კულტურის ლოზუნგით, ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დიდად მავნე და ანტიდემოკრატიული დაყოფის პროპაგანდას. ერთი სიტყვით, ეს პროგრამა უცილობლად ეწინააღმდეგება პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმს და შეესაბამება მხოლოდ ნაციონალისტ მეშჩანთა იდეალებს.

მაგრამ არის ე რ თ ი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა, როდესაც მარქსისტები ვალდებული არიან, თუ მათ არა სურთ უღალატონ დემოკრატიას და პროლეტარიატს, დაიცვან ერთი სპეციალური მოთხოვნა ნაციონალურ საკითხში, სახელდობრ: ერთა თვითგამორკვევის უ ფ ლ ე ბ ა (რსდმ პარტიის პროგრამის § 9), ე. ი. პოლიტიკურად გამოყოფის უფლება. თათბირის რეზოლუცია ისე დაწვრილებით განმარტავს და ასაბუთებს ამ მოთხოვნას, რომ ადგილი აღარ რჩება რაიმე გაუგებრობისათვის.

ამიტომ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ იმ საოცრად უმეცარი და ოპორტუნისტული პასუხის დახასიათებაზე, რომელსაც იძლევიან პროგრამის ამ მუხლის წინააღმდეგ. ამას-

თან აღვნიშნავთ, რომ პროგრამის არსებობის 10 წლის მანძილზე რსდმ პარტიის არც ერთი ნაწილი, არც ერთი ნაციონალური ორგანიზაცია, არც ერთი საოლქო კონფერენცია, არც ერთი ადგილობრივი კომიტეტი, ყრილობის ან თათბირის არც ერთი დელეგატი არ ცდილა აღეძრა § 9-ის შეცვლისა ან ამოღების საკითხი!!

ეს საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ. ეს ერთბაშად გვიჩვენებს, არის თუ არა სერიოზულობისა და პარტიულობის ნატამალი მაინც ამ მუხლის საწინააღმდეგო მოსაზრებებში.

აი თუ გნებავთ ლიკვიდატორთა გაზეთის თანამშრომელი ბ-ნი სემკოვსკი. ის, როგორც ისეთი ადამიანი, რომელმაც მოახდინა პარტიის ლიკვიდაცია, დაუფიქრებლად აცხადებს: «სხვადასხვა მოსაზრებით ჩვენ არ ვიზიარებთ როზა ლუქსემბურგის წინადადებას პროგრამიდან § 9-ის სავსებით ამოგდების შესახებ» («ნ. რ. გაზ.» № 71).

საიდუმლო მოსაზრებებია! ან როგორ არ უნდა «შეიქციოს თავი საიდუმლოებით» ჩვენი პროგრამის ისტორიის ასეთი არცოდნის დროს? როგორ არ უნდა «შეიქციოს თავი საიდუმლოებით», როცა თავისი სიმჩატით (რა არის მერე რაღაც პარტია და პროგრამა!) იგივე უბადლო ბ-ნი სემკოვსკი გამონაკლისს აკეთებს ფინეთისთვის?

«როგორ მოვიქცეთ... თუ პოლონეთის პროლეტარიატი მოისურვებს ერთი სახელმწიფოს ფარგლებში აწარმოოს ერთობლივი ბრძოლა რუსეთის მთელ პროლეტარიატთან ერთად, ხოლო პოლონეთის საზოგადოების რეაქციული კლასები, პირიქით, მოისურვებდნენ პოლონეთის ჩამოშორებას რუსეთისაგან და რეფერენდუმის (მოსახლეობის საერთო დაკითხვის) დროს ხმების უმრავლესობას შეაგროვებდნენ ამის სასარგებლოდ: ჩვენ, რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა, ჩვენს პოლონელ ამხანაგებთან ერთად ცენტრალურ პარლამენტში ხმა მივცეთ გამოყოფის **წინააღმდეგ**. თუ არ დავარღვიოთ «თვითგამორკვევის უფლება» და ხმა მივცეთ **გამოყოფას?**»

მართლაც, როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ასეთ გულუბრყვილო, ასეთ საშინლად უთავბოლო კითხვებს იძლევიან?

თვითგამორკვევის უფლება, ძვირფასო ბ-ნო ლიკვიდატორო, ნიშნავს საკითხის გადაწყვეტას სწორედ არა ცენტრა-

ლური პარლამენტის, არამედ გ ა მ ო ს ა ყ ო ფ ი უ მ ც ი-
რ ე ს ო ბ ი ს პარლამენტის, სეიმის მიერ, რეფერენდუმის
საშუალებით. როდესაც ნორვეგია ეყოფოდა (1905 წ.) შვე-
ციას, ამას წყვეტდა მ ხ ო ლ ო დ ნორვეგია (რომელიც ერთი-
ორად უფრო პატარაა შვეციაზე).

ბავშვიც კი შეამჩნევს, რომ ბ-ნი სემკოვსკი უღმერთოდ
ურევს.

«თვითგამორკვევის უფლება» ნიშნავს ი ს ე თ ს დემოკრა-
ტიულ წყობილებას, სადაც საერთოდ არათუ დემოკრატია
იქნებოდა, არამედ სპეციალურად შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ც
ი ქ ნ ე ბ ო დ ა გამოყოფის საკითხის **არადემოკრატიული**
გადაწყვეტა. დემოკრატია, საერთოდ რომ ვთქვათ, ეთავსება
მებრძოლ და მჩაგვრელ ნაციონალიზმს. პროლეტარიატი
მოითხოვს ისეთ დემოკრატიას, რომელიც **გამორიცხავს** სა-
ხელმწიფოს ფარგლებში ერთ-ერთი ერის ძალით შენარჩუ-
ნებას. ამიტომ, «თვითგამორკვევის უფლება რომ არ დავარ-
ღვიოთ», ვალდებული ვართ ხმა «მივცეთ» ა რ ა «გამოყოფის
სასარგებლოდ», როგორც ამას ფიქრობს საზრიანი ბ-ნი სემ-
კოვსკი, არამედ ხმა მივცეთ იმას, რომ გამოსაყოფ ოლქს
ნება მიეცეს თვითონვე გადაწყვიტოს ეს საკითხი.

თითქოს ბ-ნ სემკოვსკის გონებრივი ნიჭის ადამიანსაც კი
არ გაუჭირდება იმის მიხვედრა, რომ «განქორწინების უ ფ-
ლ ე ბ ა» **არ** მოითხოვს ხ მ ი ს მ ი ც ე მ ა ს განქორწინების
სასარგებლოდ! მაგრამ ასეთი ყოფილა § 9-ის კრიტიკოსთა
ბედი, რომ მათ ლოგიკის ანაბანაც კი ავიწყდებათ.

როდესაც ნორვეგია ეყოფოდა შვეციას, შვეციის პროლე-
ტარიატი, თუ მას არ უნდოდა ნაციონალისტ მეშჩანობას
გაჰყოლოდა, ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი იყო ხ მ ა მ ი ე ც ა და აგიტა-
ცია გაეწია ნორვეგიის ძალით შემოერთების წინააღმდეგ, რის
მიღწევასაც ცდილობდნენ შვეციის ხუცები და მემამუ-
ლეები. ეს ცხადია და არცთუ ძალიან ძნელია ამის გაგება.
შვეციის ნაციონალისტურ დემოკრატიას შეეძლო **არ** გაეწია
ასეთი აგიტაცია, რასაც მ ფ ლ ო ბ ე ლ, მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ერთა

პროლეტარიატისგან მოითხოვს თვითგამორკვევის უ ფ ლ ე-
ბ ი ს პრინციპი.

«როგორ მოვიქცეთ, თუ რეაქციონერები უმრავლესობას შეადგენენ» — კითხულობს ბ-ნი სემკოვსკი. ასეთი კითხვის დასმა მესამეკლასელ გიმნაზიელს თუ შეეფერება. მერე რა ვუყოთ რ უ ს ე თ ი ს კონსტიტუციას, თუ დემოკრატიული კენჭისყრა უმრავლესობას რეაქციონერებს არგუნებს? ბ-ნი სემკოვსკი ფუჭ, უშინაარსო, უადგილო კითხვას იძლევა, — ისეთ კითხვათაგანს, რომელთა შესახებ ამბობენ, შვიდ რეგვენს მეტი კითხვის მიცემა შეუძლია, ვიდრე სამოცდაათ ჭკვიანს პასუხის გაცემაო.

როდესაც დემოკრატიული კენჭისყრის დროს რეაქციონერები უმრავლესობას შეადგენენ, საერთოდ ხდება და შეიძლება მოხდეს ორში ერთი: ან რეაქციონერთა გადაწყვეტილება ხორციელდება და მისი მავნე შედეგები მეტნაკლები სისწრაფით უბიძგებენ მასებს დემოკრატიისაკენ რეაქციონერების წინააღმდეგ; ანდა რეაქციონერებისა და დემოკრატიის კონფლიქტს წყვეტს სამოქალაქო ან სხვაგვარი ომი, რომელიც შესაძლებელია (ეს, ალბათ, სემკოვსკებსაც კი სმენიათ) დემოკრატიის დროსაც.

თვითგამორკვევის უფლების აღიარება «ხელსაყრელია» «გაქანებული ბურჟუაზიული ნაციონალიზმისთვისო», გვარწმუნებს ბ-ნი სემკოვსკი. ეს ბავშვური სისულელეა, რადგან ამ უ ფ ლ ე ბ ი ს აღიარება სრულიადაც არ გამორიცხავს არც პროპაგანდასა და აგიტაციას გამოყოფის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, არც ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოაშკარავებას. სამაგიეროდ სავსებით უდავოა, რომ გამოყოფის უ ფ ლ ე ბ ი ს უარყოფა «ხელსაყრელია» გ ა ქ ა ნ ე ბ უ ლ ი ვ ე ლ ი კ ო-
რ უ ს უ ლ ი შ ა ვ ი ნ ა ზ მ უ ლ ი ნაციონალიზმისთვის.

როზა ლუქსემბურგის სასაცილო შეცდომის არსიც სწორედ ის არის, რომ იმის შიშით, ვაითუ ხელი შევუწყოთ ჩაგრულ ერთა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმსო, ხელს უწყობენ მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ი ერის არა მარტო ბურჟუაზიულ, არამედ

შავრაზმულ ნაციონალიზმსაც, — ამის გამო როზა ლუქსემ-ბურგი დიდი ხანია სასაცილოდ აიგდო როგორც გერმანიის, ისე რუსეთის (1903 წ. აგვისტო) სოციალ-დემოკრატიამ.

ბ-ნი სემკოვსკი რომ ასე ქალწულებრივ უმანკო არ იყოს პარტიის ისტორიისა და პარტიის პროგრამის საქმეებში, ის მიხვდებოდა, რომ ვალდებული იყო გაებათილებინა პლეხანოვი, რომელმაც 11 წლის წინათ, როცა «ზარიაში»[131] იცავდა რსდმ პარტიის პროგრამის პროექტს (რომელიც პროგრამა გახდა 1903 წლიდან), სპეციალურად გამოყო (გვ. 38) თვითგამორკვევის უფლების აღიარება და მის შესახებ დაწერა:

«ეს მოთხოვნა — რომელიც ბურჟუაზიული დემოკრატებისთვის სავალდებულო არ არის თეორიაშიც კი — სავალდებულოა ჩვენთვის, როგორც სოციალ-დემოკრატებისთვის. ჩვენ რომ ის დაგვევიწყნა ან ვერ გაგვებედნა მისი წამოყენება იმის შიშით, რომ არ შეგველახა ველიკორუსთა ტომის თანამემამულეთა ნაციონალური ცრურწმენა, მაშინ სამარცხვინო სიცრუე იქნებოდა, რომ ჩვენი პირით გვეთქვა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის საბრძოლო ლოზუნგი: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!»».

პლეხანოვი ჯერ კიდევ «ზარიაში» აყენებს ძირითად მოსაზრებას, რომელიც დაწვრილებით განვითარებულია თათბირის რეზოლუციაში, — მოსაზრებას, რომლისთვისაც ბატონ სემკოვსკეს 11 წლის განმავლობაში არ მიუქცევიათ ყურადღება. რუსეთში 43% ველიკორუსია, მაგრამ ველიკორუსული ნაციონალიზმი ბატონობს მოსახლეობის 57 პროცენტზე და ახშობს ყველა ერს. ნაციონალ-რეაქციონერებს უკვე შეუერთდნენ ჩვენში ნაციონალ-ლიბერალები (სტრუვე და კომპანია, პროგრესისტები და სხვ.) და გამოჩნდნენ ნ ა ც ი ო ნ ა ლ-დემოკრატიზმის «პირველი მერცხლები» (მოიგონეთ ბ-ნ პეშეხონოვის 1906 წლის აგვისტოს მოწოდება — ფრთხილად მოეპყარით გლეხის ნაციონალისტურ ცრურწმენასო).

რუსეთში მხოლოდ ლიკვიდატორები სცნობენ დამთავრებულად ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, ხოლო ყველგან ამ ქვეყნად ა ს ე თ ი რევოლუციის თანამგზავრი იყო

და არის ნაციონალური მოძრაობა. რუსეთში სწორედ მთელ რიგ განაპირა მხარეებში ჩვენ ვხედავთ დაჩაგრულ ერებს, რომლებიც მეზობელ სახელმწიფოებში მეტი თავისუფლებით სარგებლობენ. ცარიზმი მეზობელ სახელმწიფოებზე უფრო რეაქციულია, იგი უ დ ი დ ე ს დაბრკოლებას უქმნის თავისუფალ ეკონომიურ განვითარებას და მთელი ძალ-ღონით აღვივებს ველიკორუსთა ნაციონალიზმს. რა თქმა უნდა, მარქსისტი, ს ხ ვ ა თ ა ნ ა ბ ა რ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი, ყოველთვის უპირატესობას აძლევს მსხვილ სახელმწიფოებს, ვიდრე წვრილებს. მაგრამ სასაცილო და რეაქციულია, რომ აზრადაც კი გავივლოთ მეფის მონარქიის პირობებისა და ყველა ევროპული და აზიის უმრავლესი ქვეყნების პირობების თანაბრობა.

ამიტომ თანამედროვე რუსეთში ერთა თვითგამორკვევის უფლების უარყოფა წარმოადგენს უეჭველ ოპორტუნიზმსა და დღემდე ყოვლად ძლიერი შავრაზმული ველიკორუსული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელის აღებას.

«სოციალ-დემოკრატ» № 32,
1913 წ. 15 (28) დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

კაუცკის შეუწყნარებელი შეცდომის შესახებ

«პროლეტარსკაია პრავდას» მე-6 ნომერში ჩვენ აღვნიშნეთ ამხ. კაუცკის სიტყვა*, რომელიც მან წარმოთქვა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში რუსთა საქმეების განხილვის დროს და რომელიც აკვირვებს ყოველ რუს მკითხველს რუსთა საქმეების სრული და სავალალო უცოდინარობით.

კაუცკიმ თავის სიტყვაში თქვა, რუსეთში «ძველი პარტია მოკვდაო». საწინააღმდეგოდ გამოთქმული აზრების პასუხად კაუცკიმ თავის მეორე სიტყვაში განაცხადა: «მე ის კი არ მითქვამს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია მოკვდა-მეთქი, მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ ძველი ფორმები დაიმსხვრა და უნდა შევქმნათ ახალი ფორმებიო». ასე გადმოსცემს საქმის ვითარებას «Vorwärts»-ი («წინ»), ცენტრალური ორგანო გერმანიის პარტიისა, რომლის დელეგატიც იყო კაუცკი. «წინ» გამოდის იმავე ქალაქში, სადაც კაუცკი ცხოვრობს, და, რა თქმა უნდა, კაუცკის რომ დაენახა, რომ მისი სიტყვები სწორად არ იყო გადმოცემული, ის დაუყოვნებლივ შეიტანდა შესწორებებს ანგარიშში, რაც მას არა ერთხელ გაუკეთებია ბევრად უფრო ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებზე, ვიდრე მთელი პარტიის «არსებობის საკითხია», ისიც ისეთი პარტიისა, რომელიც წარმოდგენილია ინტერნაციონალში.

* იხ. ეს ტომი, გვ. 632 — 635. რ ე დ.

მაგრამ აი «ნოვაია ლიკვიდატორსკაია გაზეტამ» 101-ლ ნომერში გამოაქვეყნა ს ა კ უ თ ა რ ი ანგარიში საერთაშორისო ბიუროს სხდომის შესახებ. კაუცკის მეორე სიტყვა ამ ანგარიშში იმგვარადაა წარმოდგენილი, თითქოს კაუცკიმ პირდაპირ უ ა რ ყ ო თავისი განცხადება — «პარტია მოკვდაო».

ჩვენ ყველაზე უფრო გაგვახარებდა, კაუცკის თავისი მეორე სიტყვა მართლაც იმისთვის რომ აეღო, რომ გადაჭრით უარეყო თავის მიერ გამოთქმული და რუსეთის პარტიის ცხოვრების ფრიად სამწუხარო უცოდინარობაზე დამყარებული შეხედულება. მაგრამ — ვაი რომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს «ნოვაია ლიკვიდატორსკაია გაზეტას» გადმოცემას უფრო მეტად დავენდოთ, ვიდრე გერმანიის პარტიის ცენტრალური ორგანოს გადმოცემას.

ლიკვიდატორთა გაზეთუნა ცდილობს მიჩქმალოს საქმე. მაგრამ ის ნათელია. კაუცკიმ თავისი ფრაზით ძველი პარტიის «სიკვდილის» შესახებ ცხადყო არა მარტო ის გარემოება, რომ იგი არ იცნობს რუსეთის მუშათა მოძრაობის ფაქტებს, არამედ ისიც გამოააშკარავა, თუ როგორ გავლენას ახდენენ ჩვენს საზღვარგარეთელ ამხანაგებზე საზღვარგარეთელი ლიკვიდატორი მეჭორეები.

როცა კაუცკიმ თავისი საოცარი ფრაზა წარმოთქვა და წინაალმდეგობას წააწყდა, ის შეეცადა გამოესწორებინა საქმე: გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანოს («წინ») მიხედვით გამოდის, რომ საქმე მას მაინცდამაინც კარგად ვერ გამოუსწორებია, ლიკვიდატორის კორესპონდენციის მიხედვით კი გამოდის, რომ უკეთესად გამოუსწორებია, მაგრამ ცოტათი, — რადგან სოციალ-დემოკრატიის «ფორმა» სხვა რა უნდა იყოს, თუ არა პარტია?

მაგრამ საქმე ის კი არ არის, როგორ გ ა მ ო ა ს წ ო რ ა საქმე კაუცკიმ, არამედ ის, თუ რა შეუწყნარებელი შეცდომა დ ა უ შ ვ ა მან, შეცდომა, როგორც ლიკვიდატორთა მეცადინეობის შედეგი საზღვარგარეთ. რუსეთის შეგნებულ მუშებს,

რა თქმა უნდა, ადვილად შეეძლოთ ემხილებინათ საზღვარგარეთელი მეჭორეები. საჭიროა მხოლოდ სურვილი იყოს ამისა. და მათ, ბოლოს და ბოლოს, უნდა მოისურვონ ეს! მათ თავიანთი მოძრაობის საზღვარგარეთელი ამხანაგებისთვის გაცნობის საქმე ისე უნდა დააყენონ, რომ ეს საქმე ხელიდან გამოგლიჯონ უპასუხისმგებლო საზღვარგარეთულ ჯგუფებს. მათ უნდა გ ა ა ქ ა რ წ ყ ლ ო ნ მეჭორეების ცდები — თავიანთი ლიკვიდატორული მიზნებისთვის გამოიყენონ საზღვარგარეთის პარტიების მხრივ საქმის ვითარების უცოდინარობა (ბუნებრივი). სწორედ ამიტომაც მოვუწოდებდით ჩვენ ამხანაგ მუშებს რაც შეიძლება უფრო ენერგიული პასუხი გაეცათ საერთაშორისო ბიუროს მოწოდებაზე, რომლის მიზანია მარქსისტებისა და ლიკვიდატორების უთანხმოების გამორკვევა. დაე საზღვარგარეთელმა ამხანაგებმა, ბოლოსა და ბოლოს, გაიგონონ არა ლიკვიდატორთა ჩურჩული, არამედ თვით მუშების ხმა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს აუცილებელია, თუ ჩვენ ვაფასებთ ინტერნაციონალური ერთიანობის იდეას.

ამავე მოწოდებას, რომ ნამდვილად გამოირკვეს უთანხმოება, რომ თვით მუშების რეზოლუციების, გადაწყვეტილებების, ხმისმიცემის საშუალებით გაეცნონ საზღვარგარეთელი ამხანაგები საქმის ვითარებას, ჩვენ ვუპირისპირებთ ლიკვიდატორთა ცდებს — მიჩქმალონ და დაამახინჯონ ფაქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ბიუროს სხდომაზე.

«პროლეტარსკაია პრავდა» № 8,
1913 წ. 15 დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

კიდევ სასკოლო საქმის დაყოფის შესახებ ეროვნებათა მიხედვით

მარქსისტები გადამწყვეტ ბრძოლას ეწევიან ყოველგვარი სახის ნაციონალიზმის წინააღმდეგ, დაწყებული ჩვენი მმართველი წრეებისა და მემარჯვენე ოქტიაბრისტული პარტიების უხეში, რეაქციული ნაციონალიზმით თვით ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების მეტ-ნაკლებად დახვეწილი და ფარული ნაციონალიზმის ჩათვლით.

რეაქციული ანუ შავრაზმული ნაციონალიზმი ცდილობს უზრუნველყოს ერთ-ერთი ერის პრივილეგიები, ყველა დანარჩენ ერს კი უქმნის დაქვემდებარებულ, არათანასწორუფლებიან და სრულიად უუფლებო მდგომარეობასაც კი. არც ერთ მარქსისტსა და არც ერთ დემოკრატსაც კი არ შეუძლია ასეთ ნაციონალიზმს სავსებით მტრულად არ მოეკიდოს.

ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნაციონალიზმი სიტყვიერად აღიარებს ერთა თანასწორუფლებიანობას, მაგრამ საქმით იცავს (ხშირად ფარულად, ხალხის ზურგს უკან) ერთ-ერთი ერის ზოგიერთ პრივილეგიას და ყოველთვის ცდილობს მეტი სარფა მოუპოვოს «თავის» ერს (ე. ი. თავისი ერის ბურჟუაზიას), დაყოს და გამიჯნოს ერები, განავითაროს ნაციონალური განკერძოებულობა და სხვ.. ბურჟუაზიული ნაციონალიზმი ყველაზე მეტს ლაპარაკობს «ნაციონალურ კულტურაზე», ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რაც ერთ ერს ყოფს მეორისაგან და ა ქ უ ც მ ა ც ე ბ ს სხვადასხვა ერის მ უ შ ე ბ ს და აბრიყვებს მათ «ნაციონალური ლოზუნგებით».

შეგნებული მუშები იბრძვიან ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ნაციონალური ჩაგვრისა და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ნაციონალური პრივილეგიების წინააღმდეგ. მაგრამ ამას როდი სჯერდებიან. ისინი ებრძვიან ყოველგვარ, ყველაზე დახვეწილ ნაციონალიზმსაც კი და რეაქციის, ყოველგვარი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იცავენ ყ ვ ე ლ ა ეროვნების მუშების არა მარტო ერთიანობას, არამედ შ ე ე რ თ ე ბ ა ს ა ც. ჩვენი საქმეა არა ერთა გამიჯვნა, არამედ ყველა ერის მუშების შემჭიდროება. ჩვენს დროშას აწერია არა «ნაციონალური კულტურა», არამედ ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი (საერთაშორისო) კულტურა, რაც ყველა ერს აერთებს უმაღლეს სოციალისტურ ერთიანობად და რასაც უკვე ახლა ამზადებს კაპიტალის ინტერნაციონალური გაერთიანება.

წვრილბურჟუაზიული, მეშჩანური ნაციონალიზმის გავლენა გადაედო ზოგიერთ «ვითომ-სოციალისტსაც», რომლებიც იცავენ ეგრეთწოდებულ «კულტურულ-საგანმანათლებლო ავტონომიას», ესე იგი სასკოლო საქმის (და საერთოდ ნაციონალური კულტურის საქმის) გადაცემას სახელმწიფოს ხელიდან ცალკეულ ერთა ხელში. გასაგებია, რომ მარქსისტები იბრძვიან ე რ თ ა გ ა მ ი ჯ ვ ნ ი ს ამ ქადაგების წინააღმდეგ, ამ დახვეწილი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ე რ ო ვ ნ ე ბ ა თ ა მ ი ხ ე დ ვ ი თ ს ა ს კ ო ლ ო ს ა ქ მ ი ს დ ა ყ ო ფ ი ს წინააღმდეგ. როდესაც ჩვენმა ბუნდელებმა, ხოლო შემდეგ ლიკვიდატორებმა მოისურვეს, წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ პროგრამისა, «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» დაცვა, ისინი დაგმეს არა მარტო ბოლშევიკებმა, არამედ პარტიელმა მენშევიკებმაც (პლეხანოვმა).

ახლა ბ-ნი ანი «ნოვაია რაბოჩაია გაზეტაში» (№ 103) ცდილობს დაიცვას ცუდი საქმე, ის ცვლის საკითხს და ლანძღვა-გინებით გვამკობს. ლანძღვას ჩვენ მშვიდად უკუვაგდებთ, — ეს მხოლოდ ლიკვიდატორების უძლურების ნიშანია.

სკოლები მშობლიურ ენაზე — გვარწმუნებს ბ-ნი ანი — ეს არის სწორედ ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დაყოფა; პრავდისტებს სურთ უცხო ტომელთ მათი ნაციონალური სკოლები წაართვანო!

ბ-ნ ანის ასეთი ხერხი შეიძლება მხოლოდ სასაცილოდ ავიგდოთ, რადგან ყველამ იცის, რომ პრავდისტები იცავენ ენათა უაღრესად სრულ თანასწორუფლებიანობას და სახელმწიფო ენასაც კი არ სცნობენ საჭიროდ! ბ-ნ ანს უილაჯო მრისხანების გამო თავგზა ებნევა, — ეს საშიში რამ არის. პატივცემულო ბ-ნო ან!

მშობლიური ენის უფლებები სავსებით ზუსტად და გარკვევით არის აღიარებული მარქსისტთა პროგრამის § 8-ში [132].

ბ-ნი ანი რომ მართალი იყოს — სკოლები მშობლიურ ენაზე ეს არის სწორედ სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფაო, — მაშინ რად დასჭირდათ ბუნდელებს 1906 წელს და ლიკვიდატორებს 1912 წელს «შეევსოთ» (უფრო სწორად რომ ვთქვათ, დ ა ე მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ი ნ ა თ) პროგრამა, რომელმაც 1903 წელს ს ა ვ ს ე ბ ი თ აღიარა მ შ ო ბ ლ ი ურ ი ე ნ ა სწორედ იმავე ყრილობაზე, «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» რომ უ ა რ ყ ო?

არა, ბ-ნო ან, თქვენ ვერ შესძლებთ საკითხის შეცვლას და ხმაურით, ყვირილითა და ლანძღვით ლიკვიდატორების მიერ ამ პროგრამის დ ა რ ღ ვ ე ვ ი ს მიჩქმალვას, პლეხანოვის თქმით, «ნაციონალიზმისადმი სოციალიზმის შეგუების» მიჩქმალვას.

ჩვენ არ გვინდა პროგრამის დარღვევა. ჩვენ არ გვინდა ნაციონალიზმს სოციალიზმი შევუგუოთ. ჩვენ ვიცავთ სრულ დემოკრატიას, ენათა სრულ თავისუფლებას და თანასწორუფლებიანობას და ამით სრულიადაც არ ვიცავთ «სასკოლო საქმის ერებისთვის გადაცემას», «ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დაყოფას».

«ლაპარაკია ერების მიხედვით სკოლების დაყოფაზე, — წერს ბ-ნი ანი, — მაშასადამე, ადგილზე უნდა იყვნენ ეს ერები, რომლებიც ხელს

უშლიან ერთმანეთს განვითარებაში და, მაშასადამე, **საჭიროა მათი გამიჯვნა** სახალხო განათლების სფეროშიც».

ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები ნათლად ააშკარავებს, თუ ბ-ნ ანს როგორ აშორებს ლიკვიდატორობა სოციალიზმს და აახლოებს ნაციონალიზმს. ერთა გ ა მ ი ჯ ვ ნ ა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მავნებელია, და ჩვენც, მარქსისტები, ვცდილობთ დ ა ვ ა ა ხ ლ ო ვ ო თ და შ ე ვ ა ე რ თ ო თ ისინი. ჩვენი მიზანია არა ერთა «გამიჯვნა», არამედ სრული დემოკრატიის დამყარებით მათი თანასწორუფლებიანობისა და ისეთივე მშვიდობიანი (შედარებით) თანაცხოვრების უზრუნველყოფა, როგორც ეს შვეიცარიაშია *.

«პროლეტარსკაია პრავდა»
№ 9, 1913 წ. 17 დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

---

* ბ-ნი ანი თამამად ლაპარაკობს, რომ «შვეიცარიის კანტონებში **ერთა** ერთმანეთში არევა არ არისო». ნუთუ არ შერცხვება მას, როცა **დავუსახელებთ ოთხ** კანტონს: ბერნს, ფრეიბურგს, გრაუბუნდენსა და ვალისს?

ბ-ნ გორსკისა და ერთი ლათინური ანდაზის შესახებ

ბ-ნი გორსკი ლიკვიდატორთა გაზეთში განაგრძობს შვიდეულის აშკარა შეცდომის დაცვას, შვიდეულისა, რომელმაც მიიღო სამწუხარო მუხლი «სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობათა» შესახებ. ამაოა ყოველგვარი ოინები, ბ-ნო გორსკი! ამაოდ ამბობთ თქვენ თ. დ.-ს პროექტს არ ვიცნობო — თქვენ ადვილად იპოვით მას თქვენი გაზეთის რედაქციის მეშვეობით. დაე თ. დ. ისეთი მოწმის როლს ნუ გაითამაშებს, რომლის «პოვნა შეუძლებელია». ეს სასაცილო იქნებოდა.

ამაოდ გვარწმუნებს ბ-ნი გორსკი, თითქოს ლენინმა, ზინოვიევმა და კამენევმა «თავიანთი დუმილით» პასუხისმგებლობა იკისრეს თ. დ.-ს და მისი მეგობრების პროექტის გამო. სამ დასახელებულ ლიტერატორს ათ-ათი მდივანი და ცალკე გაზეთი დასჭირდებოდა თვითეულს ყველა იმ სისულელის უარსაყოფად, რაც კი დღის სინათლეზე გამოდის.

ამაოდ იმალება ბ-ნი გორსკი უ ც უ დ ე ს (შესაძლებელთაგან) სოციალისტთა ზურგს უკან, რომელნიც კითომ შ ე ა მ ც ი რ ე ბ დ ნ ე ნ სასჯელს «სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობათათვის», ისინი რომ არ გაეგდოთო. არის კარგი ლათინური ანდაზა, რომელიც ამბობს: «შეცდომა ყოველ

ადამიანს მოუკვა, მაგრამ შეცდომის დაცვა მხოლოდ სულელის თვისება არისო».

მოიგონეთ ეს ანდაზა, ბ-ნო გორსკი და ბ-ნო თ. დ., და ურჩიეთ შვიდეულს ამოაგდონ კანონპროექტიდან ოქტიაბრისტული მუხლი «სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობათა» შესახებ!

«პროლეტარსკაია პრავდა» № 10,
1913 წ. 18 დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერა[133]

როგორც იქნა გამოვიდა მეცნიერული სოციალიზმის სახელგანთქმულ ფუძემდებელთა მიწერ-მოწერა, რომლის გამოცემას დიდი ხანია გვპირდებოდნენ. მისი გამოცემა ენგელსმა უანდერძა ბებელსა და ბერნშტეინს, და ბებელმა სიკვდილამდე ცოტა ადრე მოასწრო სარედაქციო მუშაობის თავისი ნაწილის დამთავრება.

მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერა, რომელიც რამდენიმე კვირის წინათ დიტცმა გამოსცა შტუტგარტში, ოთხ დიდ ტომს შეიცავს. მათში სულ შევიდა მარქსისა და ენგელსის 1 386 წერილი, 1844-დან 1883 წლამდე განვლილი ხანგრძლივი პერიოდისა.

სარედაქციო მუშაობა, ე. ი. ცალკეული პერიოდების მიწერ-მოწერის წინასიტყვაობანი შეადგინა ედ. ბერნშტეინმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს სამუშაო არ არის დამაკმაყოფილებელი არც ტექნიკურად და არც იდეურად. ბერნშტეინს არ უნდა ეკისრა, — უკიდურესი ოპორტუნისტული შეხედულებებისაკენ მისი სავალალოდ ცნობილი «ევოლუციის» შემდეგ — იმ წერილების რედაქტირება, რომლებიც ერთიანად რევოლუციური სულისკვეთებითაა გამსჭვალული. ბერნშტეინის წინასიტყვაობანი ნაწილობრივ უშინაარსოა, ნაწილობრივ კი პირდაპირ ყალბია, — მაგალითად, როდესაც მარქსისა და ენგელსის მიერ გამომჟღავნებულ ლასალისა და შვეიცერის ოპორტუნისტულ შეცდომათა ზუსტი, ნათელი,

პირდაპირი დახასიათების ნაცვლად ხვდები ეკლექტიკურ ფრაზებს და გამოსვლებს, როგორიცაა, მაგალითად, ის, რომ «მარქსი და ენგელსი ყოველთვის როდი იყვნენ მართალნი ლასალის მიმართო» (ტ. III, გვ. XVIII), ან თითქოს ისინი ტაქტიკით შვეიცერს «უფრო უახლოვდებოდნენ», ვიდრე ლიბკნეხტსო (ტ. IV, გვ. X). ამ გამოსვლებში არავითარი სხვა შინაარსი არ არის, გარდა ოპორტუნიზმის დაფარვისა და შელამაზებისა. სამწუხაროდ, ეკლექტიკური დამოკიდებულება მარქსის იდეური ბრძოლისადმი ბევრ მის მოწინააღმდეგესთან სულ უფრო მძლავრად ვრცელდება გერმანიის თანამედროვე სოციალ-დემოკრატიაში.

ტექნიკურად არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი საძიებელი, ერთი საძიებელი ოთხივე ტომისათვის (მაგალითად, გამოტოვებულია კაუცკის, სტირლინგის სახელები); ცალკეული წერილების შენიშვნები მეტად უბადრუკია და იკარგება რედაქტორის წინასიტყვაობებში, ნაცვლად იმისა, რომ ეს შენიშვნები მოთავსებული ყოფილიყო სათანადო წერილებთან ერთად, როგორც ეს ზორგემ გააკეთა, და სხვ.

მიწერ-მოწერის ეს გამოცემა მეტისმეტად ძვირია — ოთხივე ტომის ფასია დაახლოებით 20 მანეთი. ცხადია, სრული მიწერ-მოწერა შეიძლებოდა და უნდა გამოცემულიყო ნაკლებ მდიდრულად, უფრო ხელმისაწვდომ ფასად და გარდა ამისა უნდა გამოცემულიყო — მუშებში ფართოდ გასავრცელებლად — პრინციპულად უმნიშვნელოვანესი ადგილების ამონაწერები.

რა თქმა უნდა, გამოცემის ყველა ეს ნაკლი გააძნელებს მიწერ-მოწერის გაცნობას. ეს სამწუხაროა, რადგან მისი მეცნიერული და პოლიტიკური ღირებულება განუზომელია. აქ არა მარტო მარქსი და ენგელსი გამოდიან მკითხველის წინაშე განსაკუთრებული რელიეფობით და მთელი თავისი სიდიადით. მარქსიზმის უმდიდრესი თეორიული შინაარსი აქ გადაშლილია უაღრესად თვალსაჩინოდ, რადგან მარქსი და ენგელსი არა ერთხელ უბრუნდებიან წერილებში თავიანთი

პირველი ფურცელი
ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«მარქსისა და ენგელსის
მიწერ-მოწერა».—
1913 წ. დასასრული.

დაპატარავებულია

მოძღვრების სულ სხვადასხვა მხარეს, ხაზს უსვამენ და განმარტავენ — ხანდახან ერთად იხილავენ და არწმუნებენ ერთმანეთს — ყველაზე ახალ (წინანდელ შეხედულებათა მიმართ), ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე ძნელ რამეებს.

მკითხველის თვალწინ გასაოცარი სიცხოველით არის გადაშლილი მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ისტორია — უმნიშვნელოვანეს მომენტებსა და ყველაზე უფრო არსებითს პუნქტებში. კიდევ უფრო საგულისხმოა მუშათა კლასის პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ისტორია. სრულიად სხვადასხვა საბაბის გამო, ძველი სამყაროს სხვადასხვა ქვეყანაში და ახალ სამყაროშიც, სხვადასხვა ისტორიულ მომენტში მარქსი და ენგელსი იხილავენ ყველაზე უფრო პრინციპულ მხარეს მუშათა კლასის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ამოცანების საკითხთა დ ა ყ ე ნ ე ბ ა შ ი. ხოლო ეპოქა, რომელსაც მიწერ-მოწერა მოიცავს, ეს არის სწორედ ეპოქა მუშათა კლასის გამოყოფისა ბურჟუაზიული დემოკრატიიდან, ეპოქა დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობის წარმოშობისა, ეპოქა პროლეტარული ტაქტიკისა და პოლიტიკის საფუძვლების განსაზღვრისა. რაც უფრო ხშირად ვუკვირდებით ჩვენს დროში, თუ როგორ ვნებს სხვადასხვა ქვეყნის მუშათა მოძრაობას ოპორტუნიზმი ბურჟუაზიის დახავსებისა და ლპობის გამო, ყოველდღიური წვრილმანი საკითხებით მუშათა ბელადების ყურადღების შთანთქმის გამო და სხვ., — მით უფრო საგულისხმოა მიწერ-მოწერის უმდიდრესი მასალა, რომელიც ცხადყოფს პროლეტარიატის ძ ი რ ე უ ლ ი გარდაქმნითი მიზნების უღრმეს გაგებას და ტაქტიკის ამა თუ იმ ამოცანების არაჩვეულებრივ მოქნილ განსაზღვრას ამ რევოლუციური მიზნების თვალსაზრისით, ისე რომ ოპორტუნიზმსა თუ რევოლუციურ ფრაზას ოდნავ არაფერს უთმობენ.

თუ შევეცდებით ერთი სიტყვით განვსაზღვროთ, ასე ვთქვათ, მთელი მიწერ-მოწერის ფოკუსი, — ის ცენტრალური პუნქტი, რომელშიც თავს იყრის გამოთქმული და განხილული იდეების მთელი ქსელი, ეს სიტყვა იქნება დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა.

მატერიალისტური დიალექტიკის მიყენება მთელი პოლიტიკური ეკონომიის გადამუშავებისადმი მისი, პოლიტიკური ეკონომიის დასაბამიდან — მატერიალისტური დიალექტიკის მიყენება ისტორიის, ბუნებისმეტყველების, ფილოსოფიისადმი, მუშათა კლასის პოლიტიკისა და ტაქტიკისადმი, — აი რა აინტერესებთ ყველაზე უფრო მარქსსა და ენგელსს, აი რაში შეაქვთ მათ ყველაზე უფრო არსებითი და ყველაზე უფრო ახალი რამ, აი რაშია მათი წინგადადგმული გენიალური ნაბიჯი რევოლუციური აზროვნების ისტორიაში.

შემდეგ ჩვენ აზრადა გვაქვს, მიწერ-მოწერის საერთო მიმოხილვის შემდეგ, წარმოვადგინოთ მარქსისა და ენგელსის ყველაზე უფრო საინტერესო შენიშვნათა და მსჯელობათა ნარკვევი, რასაც სრულიადაც არა აქვს წერილების მთელი შინაარსის ამოწურვის პრეტენზია.

I. საერთო მიმოხილვა

მიწერ-მოწერა იწყება 24 წლის ენგელსის წერილებით მარქსისადმი 1844 წელს. გერმანიის მაშინდელი ვითარება შესანიშნავი სიცხადით აშკარავდება. პირველი წერილი დათარიღებულია 1844 წლის სექტემბრის დამლევით და გაგზავნილია ბარმენიდან, სადაც ენგელსის ოჯახი ცხოვრობდა და სადაც ის დაიბადა. ენგელსი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო სრული ოცდაოთხი წლისა. მას გულს უღონებს ოჯახური ვითარება და ისწრაფის მოშორდეს იქაურობას. მამა დესპოტია, მორწმუნე მეფაბრიკე, აღშფოთებული შვილის სირბილით პოლიტიკურ კრებებზე და მისი კომუნისტური რწმენით. დედა რომ არ იყოს, რომელიც ძალიან მიყვარსო, — სწერს ენგელსი, — ვერ ავიტანდი იმ რამდენიმე დღესაც კი, რაც ჩემს წასვლამდე დარჩენილა. ვერ წარმოიდგენ, — შესჩივის ის მარქსს, — რა წვრილმან მოსაზრებებს, რა ცრურწმენით სავსე შიშს გამოსთქვამენ აქ, ოჯახში, ჩემი წასვლის წინააღმდეგო [134].

სანამ ენგელსი ბარმენშია, — სადაც მას კიდევ ერთხანს აჩერებდა ერთი სამეჯნურო ამბავი, — ის უთმობს მამას და

ორიოდე კვირას დადის სამუშაოდ ფაბრიკის კანტორაში (მამამისი მეფაბრიკე იყო). «ვაჭრობა — საზიზღრობაა, — სწერს იგი მარქსს, — საზიზღარია ქალაქი ბარმენი, საზიზღარია აქაური დროსტარება, განსაკუთრებით კი საზიზღარია დარჩე არა მარტო ბურჟუად, არამედ მეფაბრიკედაც კი, ე. ი. ბურჟუად, რომელიც აქტიურად გამოდის პროლეტარიატის წინააღმდეგ». თავს იმით ვინუგეშებ,—განაგრძობს ენგელსი,— რომ ვმუშაობ ჩემს წიგნზე მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ (ეს წიგნი, როგორც ვიცით, 1845 წელს გამოვიდა და ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია მსოფლიო სოციალისტურ ლიტერატურაში). «შეიძლება კაცი კომუნისტი იყო და ამასთანავე გარემო პირობების გამო ბურჟუად და ჩარჩობის სასაპალნე პირუტყვად დარჩე, თუ ლიტერატურულ მოღვაწეობას არ ეწევი, — მაგრამ ერთ და იმავე დროს აწარმოო ფართო კომუნისტური პროპაგანდა და ჩარჩობა, სამრეწველო საქმიანობა, ეს შეუძლებელია. მე წავალ. ამასთან ერთად ეს მომადუნებელი ცხოვრებაც მთლად ქრისტიანულ-პრუსიულ ოჯახში, — მეტი აღარ შემიძლია ამის ატანა, ბოლოს და ბოლოს აქ შეიძლება გერმანელი ფილისტერი გავხდე და ფილისტერობა შევიტანო კომუნიზმში» [135]. ასე წერდა ახალგაზრდა ენგელსი. 1848 წლის რევოლუციის შემდეგ ცხოვრებამ აიძულა იგი დაჰბრუნებოდა მამის კანტორას და დიდი ხნით დარჩენილიყო «ჩარჩობის სასაპალნე პირუტყვად», მაგრამ მან შესძლო გამაგრება, შესძლო შეექმნა არა ქრისტიანულ-პრუსიული, არამედ სრულიად სხვაგვარი ამხანაგური ვითარება, შესძლო მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე «კომუნიზმში ფილისტერობის შეტანის» შეუბრალებელ მტრად გადაქცევა.

1844 წლის გერმანიის პროვინციაში საზოგადოებრივი ცხოვრება ჰგავდა 20 საუკუნის დამდეგის, 1905 წლის რევოლუციის წინა დროის რუსეთისას. ყოველივე პოლიტიკისაკენ მიისწრაფის, ყველაფერი დუღს ოპოზიციური აღშფოთებით

მთავრობის წინააღმდეგ. პასტორები სასტიკად ილაშქრებენ ახალგაზრდობის წინააღმდეგ ათეიზმის გამო, ბავშვები ბურჟუაზიულ ოჯახებში სცენებს უმართავენ მშობლებს «შინამოსამსახურეებისა თუ მუშებისადმი არისტოკრატიული მოპყრობის» გამო.

საერთო ოპოზიციურობა გამოიხატება იმაში, რომ ყველანი კომუნისტებად აცხადებენ თავს. «ბარმენში პოლიციის კომისარი კომუნისტია», — სწერს ენგელსი მარქსს. მე ვიყავი კელნში, დიუსელდორფში, ელბერფელდში — ყველგან ყოველ ფეხის გადადგმაზე კომუნისტებს ხვდები! «ერთი მგზნებარე კომუნისტი, მხატვარი, რომელიც კარიკატურებს ხატავს, მისი გვარია ზეელი, ორი თვის შემდეგ პარიზში მოდის. მე მას თქვენს მისამართს მივცემ. ყველას მოგეწონებათ — ენთუზიასტია, უყვარს მუსიკა, კარიკატურისტად გამოგადგებათ» [135].

«აქ ელბერფელდში სასწაულები ხდება. გუშინ (დაწერილია 1845 წლის 22 თებერვალს) ქალაქის საუკეთესო რესტორანის ყველაზე უფრო დიდ დარბაზში გვქონდა მესამე კომუნისტური კრება. პირველს 40 კაცი დაესწრო, მეორეს — 130, მესამეს სულ ცოტა — 200. წარმოდგენილი იყო მთელი ელბერფელდი და ბარმენი, დაწყებული ფულიანი არისტოკრატიით და გათავებული წვრილი მედუქნეებით, მხოლოდ პროლეტარიატი არ იყო».

სიტყვასიტყვით ასე წერს ენგელსი. გერმანიაში მაშინ ყველა კომუნისტი იყო — პროლეტარიატს გარდა. კომუნიზმი ყველასი და მეტადრე ბურჟუაზიის ოპოზიციური სულისკვეთების გამოხატულების ფორმა იყო. «ყველაზე ჩლუნგი, ყველაზე ზარმაცი, ყველაზე ფილისტერული საზოგადოება, რომელსაც არაფერი არ აინტერესებდა ქვეყანაზე, პირდაპირ ალტაცებაში მოდის კომუნიზმით» [137]. მაშინ კომუნიზმის მთავარი მქადაგებლები იყვნენ ჩვენებური ნაროდნიკების, «სოციალისტ-რევოლუციონერების», «სახალხო სოციალისტებისა» და სხვ. მსგავსი ადამიანები, ე. ი. არსებითად კეთილგანმზრახველი, მთავრობის წინააღმდეგ ცოტად თუ ბევრად გაბოროტებული, ბურჟუები.

და ასეთ ვითარებაში, უთვალავი ვითომდა-სოციალისტური მიმართულებისა და ფრაქციის არსებობისას ენგელსმა შესძლო გაეკაფა გზა პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი სოციალიზმისაკენ, ის არ შეუშინდა კავშირის გაწყვეტას მრავალ კეთილ ადამიანთან, რომლებიც ცხარე რევოლუციონერები, მაგრამ ცუდი კომუნისტები იყვნენ.

1846 წელი. ენგელსი პარიზშია. პარიზი მაშინ დუღდა პოლიტიკითა და სხვადასხვა სოციალისტური თეორიის განხილვით. ენგელსი ხარბად სწავლობს სოციალიზმს, ეცნობა პირადად კაბეს, ლუი ბლანს და სხვა გამოჩენილ სოციალისტებს, დარბის რედაქციებსა და წრეებში.

მისი მთავარი ყურადღება მიქცეულია ყველაზე სერიოზულ და ყველაზე გავრცელებულ მაშინდელ სოციალისტურ მოძღვრებაზე — პრუდონიზმზე. ჯერ კიდევ პრუდონის «სიღატაკის ფილოსოფიის» გ ა მ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ა მ დ ე (1846 წელი, ოქტომბერი; მარქსის პასუხი — განთქმული «ფილოსოფიის სიღატაკე» — 1847 წელს გამოქვეყნდა) ენგელსი შეუბრალებელი გესლიანობითა და შესანიშნავი სიღრმით აკრიტიკებს პრუდონის ძირითად იდეებს, რითაც მაშინ განსაკუთრებით გატაცებული იყო გერმანელი სოციალისტი გრიუნი. ინგლისური ენისა (რომელიც მარქსმა ბევრად უფრო გვიან შეითვისა) და ინგლისური ლიტერატურის საუცხოო ცოდნა საშუალებას აძლევს ენგელსს ერთბაშად (1846 წლის 16 სექტემბრის წერილი) აღნიშნოს პრუდონის ყბადაღებული «შრომის ბაზრების»[138] გაკოტრების მაგალითები ინგლისში. პრუდონი ა რ ც ხ ვ ე ნ ს სოციალიზმს, — აღშფოთებული წერს ენგელსი, — პრუდონის შეხედულებით გამოდის, რომ მუშებმა კაპიტალი უნდა გ ა მ ო ი ყ ი დ ო ნ ო!

ოცდაექვსი წლის ენგელსი პირდაპირ აცამტვერებს «ჭეშმარიტ სოციალიზმს» — ეს გამოთქმა გვხვდება მის 1846 წლის 23 ოქტომბრის წერილში, დიდი ხნით ადრე «კომუნისტურ მანიფესტამდე» — ამასთან მის მთავარ წარმომადგენლად გრიუნს ასახელებს. «ანტიპროლეტარული, წვრილ-

ბურჟუაზიული, ფილისტერული» მოძღვრება, «უშინაარსო ფრაზები», სხვადასხვა «ზოგადსაკაცობრიო» მისწრაფებანი, «ცრურწმენით გამსჭვალული შიში «უხეში» კომუნიზმისა» (**Löffel-Kommunismus** — სიტყვასიტყვით: «კოვზის კომუნიზმი» ანუ ჭამაძღომის კომუნიზმი), კაცობრიობის «გაბედნიერების მშვიდობიანი გეგმები», — აი ენგელსის შეფასება, რომელიც შეეხება სოციალიზმის ყ ვ ე ლ ა სახეს მარქსამდე.

«სამი საღამო — სწერს ენგელსი — ვდავობდით პრუდონიზმზე: თითქმის ყველანი. გრიუნის მეთაურობით, ჩემს წინააღმდეგ იყვნენ. მთავარი, რისი მტკიცებაც მე მიხდებოდა, ეს იყო — ძალდატანებითი რევოლუციის აუცილებლობა» (1846 წლის 23 ოქტომბერი). ბოლოსა და ბოლოს მე გავაფთრდი — და მოწინააღმდეგენი იქამდე მივიყვანე, რომ იძულებულნი გახდნენ პირდაპირ ელაპარაკნათ კომუნიზმის წინააღმდეგ. მე მოვითხოვე კენჭისყრა საკითხზე, კომუნისტები ვართ ჩვენ თუ არა. დიდად აღშფოთდნენ გრიუნელები, რომლებიც ირწმუნებოდნენ: ჩვენ «კაცობრიობის სიკეთეზე» მსჯელობისათვის შევიკრიბენით და ხომ უნდა ვიცოდეთ, ა რ ს ე ბ ი თ ა დ რ ა არის კომუნიზმიო. მაშინ მე მათ სულ უბრალოდ განვუმარტე საგანი, რათა საკითხის არსისაგან ვერ დაეძვრინათ თავი. მეო — სწერს ენგელსი — კომუნისტების სულისკვეთება შემდეგნაირად განვსაზღვრე: 1) პროლეტარების ინტერესების დაცვა ბურჟუების ინტერესების საწინააღმდეგოდ; 2) ამის ვანხორციელება კერძო საკუთრების მოსპობით და მის ნაცვლად საერთო ქონების შემოღებით; 3) ამ მიზნების განსახორციელებლად ყველა საშუალების უარყოფა, გარდა ძალდატანებითი დემოკრატიული რევოლუციისა (დაწერილია 1½ წლით ადრე 1848 წლის რევოლუციამდე) [139].

დისკუსია იმით დამთავრდა, რომ კრებამ 13 ხმით ორი გრიუნელის წინააღმდეგ ენგელსის განსაზღვრა მიიღო. ამ კრებებს ესწრებოდა ოცამდე დურგალი-ხელოსანი. ასე ეყრებოდა პარიზში 67 წლის წინათ საფუძველი გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

ერთი წლის შემდეგ, 1847 წლის 23 ნოემბრის წერილში, ენგელსი ატყობინებს მარქსს — შავად შევადგინე «კომუნისტური მანიფესტიო» და, სხვათა შორის, წინააღმდეგია წინათ განზრახული კატეხიზმოს ფორმისა. «მე ვიწყებ — სწერს ენგელსი — იმ საკითხით, თუ რა არის კომუნიზმი, და შემდეგ პირდაპირ გადავდივარ პროლეტარიატზე — მისი წარმოშობის ისტორია, განსხვავება წინანდელი მუშებისაგან. პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგურობის განვითარება, კრიზისები, დასკვნები». «ბოლოს კომუნისტების პარტიული პოლიტიკა» [140].

ენგელსის ეს ისტორიული წერილი იმ ნაწარმოების პირველი მონახაზის შესახებ, რომელმაც მთელი მსოფლიო შემოიარა და რომელიც დღემდე სწორია ყოველივე ძირითადში, ცოცხლად, მწვავედ და თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თითქოს გუშინ იყოს დაწერილიო, რომ მარქსისა და ენგელსის სახელებს სამართლიანად აყენებენ ერთად, როგორც თანამედროვე სოციალიზმის ფუძემდებელთა სახელებს.

დაწერილია 1913 წ. დამლევს.

პირველად დაიბეჭდა 1920 წ.
28 ნოემბერს გაზეთ «პრავდაში» № 268
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

შენიშვნები

I ვ. ი. ლენინის სტატია «მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი» გამოქვეყნდა 1913 წლის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მე-3 ნომერში, რომელიც მიეძღვნა კარლ მარქსის გარდაცვალების 30 წლისთავს.

«პროსვეშჩენიე» — ყოველთვიური ბოლშევიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში ლეგალურად 1911 წლის დეკემბრიდან. ჟურნალი შეიქმნა ლენინის მითითებით ნაცვლად მეფის მთავრობის მიერ დახურული ბოლშევიკური ჟურნალის «მისლისა», რომელიც მოსკოვში გამოდიოდა. ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა «პროსვეშჩენიეს»; ჟურნალში გამოქვეყნდა მისი ნაშრომები: «საარჩევნო კამპანიის პრინციპული საკითხები», «არჩევნების შედეგები», «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე», «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» და სხვები.

პეტერბურგში ყოფნისას 1912 და 1913 წლებში ჟურნალის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. «პროსვეშჩენიეში» გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის ნაშრომი «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია», რომელიც 1914 წელს ცალკე ბროშურად გამოიცა სახელწოდებით «ნაციონალური საკითხი და მარქსიზმი» (იხ. ი. ბ. სტალინი. «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი». თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 312 — 395). «პროსვეშჩენიეს» მუდმივი თანამშრომელი იყო ვ. მ. მოლოტოვი. სამხატვრო-სალიტერატურო განყოფილებას რედაქტორობდა ა. მ. გორკი. სარედაქციო კოლეგიაში მუშაობდნენ: მ. ა. საველიევი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ი. ელიზაროვა და სხვები. ჟურნალის ტირაჟი 5 ათას ეგზემპლარამდე აღწევდა.

ჟურნალი დახურა მეფის მთავრობამ პირველი მსოფლიო ომის წინახანებში — 1914 წლის ივნისში. «პროსვეშჩენიეს» გამოცემა გა-

ნახლდა 1917 წლის შემოდგომაზე; გამოვიდა ჟურნალის მხოლოდ ერთი (ორმაგი) ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა ლენინის ნაშრომები «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?» და «პარტიული პროგრამის გადაშინჯვისათვის». — **8.**

2 «რ ე ჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტების პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს); სხვა სახელწოდებით გამოდიოდა 1918 წლის აგვისტომდე. — **18.**

3 ლენინს მხედველობაში აქვს მარქსის შემდეგი სიტყვები მისი შესავლიდან «ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის»: «სკოლა, რომელიც დღევანდელ სისაძაგლეს გუშინდელი სისაძაგლით აკანონებს, სკოლა, რომელიც ყმების ყოველგვარ ყვირილს მათრახის წინააღმდეგ ამბოხებად აცხადებს, თუკი ეს მათრახი — ძველთაძველი მემკვიდრეობითი ისტორიული მათრახია... — ს ა მ ა რ თ ლ ი ს ეს ი ს ტ ო რ ი ულ ი სკ ო ლ ა გერმანიის ისტორიას გამოიგონებდა, თვითონ იგი გერმანიის ისტორიის გამონაგონი რომ არ იყოს» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. I, 1938, გვ. 387). — **14.**

4 ხელნაწერს სათაური არა აქვს. სათაური ««ნ ა ვ თ ო ბ ი ს შ ი მ შ ი ლ ო ბ ი ს» შესახებ» გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **15.**

5 «პ რ ა ვ დ ა» — ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში; დაარსდა ვ. ი. ლენინის მითითებით და ი. ბ. სტალინის ინიციატივით. ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით შემუშავებულია «პრავდის» პლატფორმა და მომზადებულია პირველი ნომერი, რომელიც გამოვიდა 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს).

«პრავდა» გამოდიოდა მუშების სახსრებით: 1912 წელს მუშებმა ჩაატარეს 620 ჯგუფური ფულის შეკრება ბოლშევიკური პრესის სასარგებლოდ, 1913 წელს — 2 181, 1914 წლის იანვარ-მაისში — 2 873. «პრავდის» კორესპონდენტები იყვნენ მოწინავე მუშები. მისი ტირაჟი აღწევდა 40 — 60 ათას ეგზემპლარს დღეში. გაზეთის თვითეულ ეგზემპლარს რამდენიმე ათეული მუშა კითხულობდა.

ბოლშევიკებს მაშინ «პრავდისტებს» ეძახდნენ. «1912 წლის «პრავდა», — წერდა ი. ბ. სტალინი, — ეს არის საძირკვლის ჩაყრა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს».

ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა «პრავდას», თითქმის ყოველდღე ათავსებდა სტატიას გაზეთში, მითითებებს აძლევდა მის რედაქციას. 1912 წლის სექტემბერში ნარიმის გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ «პრავდაში» ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. 1913 წლის იანვარ-თებერვალში გაზეთის რედაქტორი იყო ი. მ. სვერდლოვი. 1913 წლის თებერვალში ი. ბ. სტალინმა ი. მ. სვერდლოვთან ერთად ლენინის მითითებათა მიხედვით მოახდინა «პრავდის» რედაქციის რეორგანიზაცია. 1912 წლის მაისიდან ნოემბრამდე სარედაქციო კოლეგიის მდივნად და წევრად მუშაობდა ვ. მ. მოლოტოვი; 1913 წლის შემოდგომაზე, არალეგალურ მდგომარეობაზე გადასული, ის ხელმძღვანელობდა «პრავდაში» პროფესიული მოძრაობის განყოფილებას. რედაქციის მუდმივი თანამშრომლები იყვნენ: მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატურინი, კ. ს. ერემეევი, ნ. გ. პოლეტაევი, კ. ნ. სამოილოვა, ა. ი. ელიზაროვა და სხვები. გაზეთში ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ IV სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები. «პრავდაში» იბეჭდებოდა ა. მ. გორკის ნაწარმოებები.

მეფის მთავრობამ რვაჯერ დახურა «პრავდა», მაგრამ გაზეთი განაგრძობდა გამოსვლას სხვა სახელწოდებებით: «რაბოჩაია პრავდა», «სევერნაია პრავდა», «პრავდა ტრუდა», «ზა პრავდუ», «პროლეტარსკაია პრავდა», «პუტ პრავდი», «რაბოჩი», «ტრუდოვაია პრავდა».

«პრავდის» გამოცემა, რომელიც დახურული იყო იმპერიალისტური ომის წინადღეებში 1914 წლის 8 (21) ივლისს, განახლდა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 5 (18) მარტს; გაზეთი გამოვიდა როგორც რსდმ პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის ოფიციალური ორგანო. 15 (28) მარტს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე «პრავდის» რედაქციის შემადგენლობაში შეიყვანეს ი. ბ. სტალინი. 1917 წლის აპრილს რუსეთში დაბრუნების შემდეგ ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა «პრავდის» ხელმძღვანელობას. ივლისის დღეების შემდეგ, ვ. ი. ლენინის არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, პარტიის ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელი რედაქტორი გახდა ი. ბ. სტალინი. 1917 წლის ივლის-ოქტომბერში «პრავდამ», დროებითი მთავრობის მხრივ დევნის გამო, ოთხჯერ შეიცვალა სახელწოდება და გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით: «ლისტოკ «პრავდი»», «პროლეტარი», «რაბოჩი», «რაბოჩი პუტ». 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) გაზეთი გამოდის თავის ძველი სახელწოდებით — «პრავდა». — **80.**

6 «**თანამედროვე რუსეთი და მუშათა მოძრაობა**» — მოხსენება, წაკითხული ლენინის მიერ კრაკოვში 1913 წლის 18 აპრილს

(ახ. სტ.). მოხსენების საგაზეთო ანგარიში გამოქვეყნდა გალიციისა და სილეზიის პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ორგანოში — გაზეთ «Naprzód» («წინ»), რომელიც გამოდიოდა კრაკოვში 1892 წლიდან. — 32.

7 ლენინს მხედველობაში აქვს 1907 წლის 3 (16) ივნისის რეაქციული სახელმწიფო გადატრიალება, რაც იმაში გამოიხატა, რომ მთავრობამ გარეკა II სახელმწიფო სათათბირო და შეცვალა სათათბიროს საარჩევნო კანონი.

ახალი საარჩევნო კანონი ბევრად ადიდებდა მემამულეებისა და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლობას სათათბიროში და რამდენჯერმე ამცირებდა გლეხთა, მუშათა და არარუს ეროვნებათა წარმომადგენლების ისედაც მცირე რიცხვს. ახალი კანონის მიხედვით ერთი ამრჩეველი მოდიოდა: მიწათმფლობელთა კურიაში (მემამულეები) — 230 ამომრჩეველზე, ქალაქის პირველ კურიაში (მსხვილი ბურჟუაზია) — ათას ამომრჩეველზე, ქალაქის მეორე კურიაში (ქალაქის დანარჩენი ამომრჩევლები) — 15 ათას ამომრჩეველზე, გლეხთა კურიაში — 60 ათას ამომრჩეველზე და მუშათა კურიაში — 125 ათას ამომრჩეველზე. სამი ივნისის საარჩევნო კანონმა უზრუნველყო III და IV სახელმწიფო სათათბიროს შავრაზმულ-კადეტური შემადგენლობა. — 33.

8 კატკოვისა და პობედონოსცევის «პატრიარქალურ ლოზუნგებად» ლენინი გულისხმობს მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს — ნადელების «განუსხვისებლობა», თემისა და ბატონყმობის სხვა ნაშთების შენარჩუნება. კატკოვი — რედაქტორი რეაქციული გაზეთისა «მოსკოვსკიე ვედომოსტი», და პობედონოსცევი — სინოდის ობერ-პროკურორი, ალექსანდრე III თავადაზნაურულ-ბატონყმური პოლიტიკის თავგამოდებული დამცველები იყვნენ. — 34.

9 ლაპარაკია გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოზე, მემამულეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაზე, რომელიც დაარსდა 1906 წლის მაისში. საბჭო დიდ გავლენას ახდენდა მეფის მთავრობის პოლიტიკაზე. ლენინი გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს უწოდებდა «გაერთიანებულ მებატონეთა საბჭოს». — 34.

10 «რუსსკოე ბოგატსტვო» — ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1876-დან 1918 წლის შუა ხანებამდე. 90-იანი წლების დამდეგიდან ჟურნალი ლიბერალური ნაროდნიკების ორგანო იყო. 1906 წლიდან «რუსსკოე ბოგატსტვო» ფაქტიურად ენესების

(«სახალხო სოციალისტების») ნახევრადკადეტური პარტიის ორგანო ხდება. ლენინი ამ პერიოდში «რუსსკოე ბოგატსტვოს» მიმართულებას განსაზღვრავდა როგორც «ნაროდნიკულ, ნაროდნიკულ-კადეტურ» მიმართულებას. — 36.

11 ლენინს მხედველობაში აქვს 1912 წლის 23 ივნისის (6 ივლისის) კანონები ავადმყოფობათა და უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის შესახებ, მიღებული III სახელმწიფო სათათბიროს მიერ მუშათა მოძრაობის ზეგავლენით. ეს კანონები ვრცელდებოდა სამრეწველო მუშების მხოლოდ 20 პროცენტზე და არ ითვალისწინებდა დაზღვევას ინვალიდობისა, მოხუცებულობისა და უმუშევრობისაგან.

ბოლშევიკების პარტიამ მოაწყო მასობრივი კამპანია მუშათა დაზღვევის გაფართოების სასარგებლოდ და ეს კამპანია გამოიყენა მუშათა მასებში თავისი გავლენის განსამტკიცებლად. — 36.

12 ლენინს მხედველობაში აქვს ბრძოლა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის შიგნით, რასაც შედეგად მოჰყვა ერთიანი პარტიის დაქსაქსვა ექვს განცალკევებულ ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად: გერმანიის, ჩეხიის, პოლონეთის, რუსინთა, იტალიის, სამხრეთ-სლავთა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებად. — 37.

13 ლაპარაკია კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ბოლშევიკურ ორგანიზაციებზე, რომლებიც შექმნა ი. ბ. სტალინმა ვ. ზ. კეცხოველთან და ა. გ. წულუკიძესთან ერთად ინტერნაციონალიზმის პრინციპების საწყისებზე. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების რევოლუციურ მუშაობას, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებდნენ სხვადასხვა ეროვნების მოწინავე პროლეტარებს (იხ. ეს ტომი, გვ. 84, 239).

ი. ბ. სტალინი წერდა: «თუ კავკასიელებმა მოახერხეს სომეხ და თათარ მუშებს შორის ნაციონალური უთანხმოების დაძლევა, თუ მათ მოახერხეს მოსახლეობის უშიშარყოფა ხოცვა-ჟლეტისა და ერთმანეთისათვის ტყვიის დაშენის შესაძლებლობისაგან, თუ ბაქოში, ნაციონალური ჯგუფების ამ კალეიდოსკოპში, ახლა უკვე შეუძლებელია ნაციონალური შეტაკებანი, თუ იქ მოხერხდა მუშების ჩაბმა მძლავრი მოძრაობის ერთიან დინებაში, — ამაში უკანასკნელი როლი როდი შეასრულა კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალურმა წყობამ» (ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 393). — 37.

14 ინგლისის მუშათა პარტია (Labour Party) დაარსებულია 1900 წელს როგორც მუშათა ორგანიზაციების — პროფკავშირების,

სოციალისტური პარტიებისა და ჯგუფების — გაერთიანება პარლამენტში მუშათა წარმომადგენლობის შესაქმნელად («მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტი»). 1906 წელს კომიტეტმა სახელი გამოიცვალა და დაირქვა მუშათა (ლეიბორისტული) პარტია. ლეიბორისტული პარტია, რომელიც თავისი იდეოლოგიითა და ტაქტიკით ყველაზე უფრო ოპორტუნისტულ, «ერთიანად ბურჟუაზიულ» (ლ ე ნ ი ნ ი) ორგანიზაციას წარმოადგენს, აშკარად ატარებს ბურჟუაზიასთან კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკას. მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918 წლების) დროს ლეიბორისტული პარტიის ლიდერებს სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეჭირათ და, ლენინის თქმით, «იმპერიალისტური ბანდიტიზმის თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი» იყვნენ.

ლეიბორისტული პარტია ხელისუფლების სათავეში ჩადგა 1924, 1929 და 1945 წლებში და ადგენდა თავის მთავრობას, რომელიც უცვლელად ატარებდა ინგლისური იმპერიალიზმის პოლიტიკას. 1945 წელს შექმნილი ლეიბორისტული მთავრობა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ახორციელებს ინგლისელი იმპერიალისტების რეაქციულ პროგრამას. ლეიბორისტების მემარჯვენე ლიდერები, რომლებიც არსებითად ამერიკული იმპერიალიზმის აგენტურას წარმოადგენენ, ანტისაბჭოთა პოზიციაზე დგანან და ბრძოლას აწარმოებენ დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების წინააღმდეგ. — **41.**

15 ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა (**British Socialist Party**) დაარსდა 1911 წელს მანჩესტერში. მისი ბირთვი გახდა 1884 წელს წარმოშობილი სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია (რომელსაც სათავეში ედგნენ ჰაინდმანი, ჰარი კველჩი, ტომას მანი და სხვ.), რომელსაც შემდგომ დაერქვა სოციალ-დემოკრატიული პარტია. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია მარქსისტულ პროპაგანდა-აგიტაციას ეწეოდა და იყო «არაოპორტუნისტული, ლიბერალებისაგან ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ დამოუკიდებელი» (ლ ე ნ ი ნ ი) პარტია. პარტიის მცირერიცხოვნობა და მასებისგან მოწყვეტა ერთგვარ სექტანტურ ხასიათს აძლევდა მას.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918 წლების) პერიოდში პარტიაში გამოისახა ორი მიმდინარეობა: ერთი — აშკარა სოციალ-შოვინისტური ჰაინდმანის მეთაურობით და მეორე — ინტერნაციონალისტური ა. ინკპინის, ფ. როტშტეინისა და სხვათა მეთაურობით. 1916 **წლის აპრილში პარტია გაითიშა. ჰაინდმანი და მისი მომხ**რეები უმცირესობაში აღმოჩნდნენ და პარტიიდან გამოვიდნენ. ამ დროიდან დაწყებული ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას სათავეში ჩაუდგნენ ინტერნაციონალისტური ელემენტები, რომლებიც იბრძოდნენ

იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია ინიციატორი იყო დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის შექმნისა, რომელიც ჩამოყალიბდა 1920 წელს, და მისი ორგანიზაციების უმრავლესობა კომპარტიაში შევიდა. — **41.**

16 ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია (**Independent Labour Party**) დაარსდა 1893 წელს. პარტიას სათავეში ეღგნენ კეირ-ჰარდი, რ. მაკდონალდი და სხვ.. თუმცა დამოუკიდებელ მუშათა პარტიას ბურჟუაზიული პარტიებისგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრეტენზია ჰქონდა, მაგრამ სინამდვილეში «დამოუკიდებელი იყო სოციალიზმისაგან და დამოკიდებული ლიბერალიზმისაგან» (ლენინი). მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918 წლების) პერიოდში დამოუკიდებელი მუშათა პარტია თავდაპირველად გამოვიდა ომის საწინააღმდეგო მანიფესტით (1914 წ. 13 აგვისტოს (ახ. სტ.)). შემდეგ 1915 წლის თებერვალში, ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა ლონდონის კონფერენციაზე, დამოუკიდებლები შეუერთდნენ კონფერენციაზე მიღებულ სოციალ-შოვინისტურ რეზოლუციას. ამ დროიდან დაწყებული დამოუკიდებელთა ლიდერები პაციფისტურ ფრაზებს ეფარებოდნენ, მაგრამ სოციალ-შოვინისტურ პოზიციაზე იდგნენ. კომინტერნის დაარსების შემდეგ, 1919 წელს, გამემარცხენებული პარტიული მასების ზეგავლენით დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ლიდერებმა მიიღეს გადაწყვეტილება II ინტერნაციონალიდან გამოსვლის შესახებ. 1921 წელს დამოუკიდებელნი შევიდნენ ეგრეთწოდებულ $2^1/_2$ ინტერნაციონალში, ხოლო მისი დაშლის შემდეგ კვლავ შეუერთდნენ II ინტერნაციონალს. — **41.**

17 «Labour Leader» — ყოველკვირეული გაზეთი, დაარსებული 1890 წელს; შემდეგ ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანო გახდა. 1922 წლიდან გაზეთი გამოდის სახელწოდებით «New Leader» («ახალი ბელადი»); 1946 წლიდან — სახელწოდებით «Socialist Leader» («სოციალისტთა ბელადი»). — **41.**

18 «პრომიშლენნოსტი ტორგოვლია» — ჟურნალი, მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა ყრილობების საბჭოს ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1908 წლის იანვრიდან 1917 წლის დეკემბრამდე. ჟურნალი გამოხატავდა მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს. — **45.**

19 თ. დ. — თ. დანი — მენშევიკ-ლიკვიდატორების ერთ-ერთი ლიდერი. — **52.**

20 «ლ უ ჩ» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის სექტემბრიდან 1913 წლის ივლისამდე, არსებობდა «ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს წ რ ი დ ა ნ გ ა მ ო ს უ ლ ი მ დ ი დ ა რ ი მ ე გ ო ბ რ ე ბ ი ს სახსრებით» (ლ ე ნ ი ნ ი). «ლუჩის» ნაცვლად 1913 წლის ივლისიდან გამოდიოდა გაზეთი «ჟივაია ჟიზნ», შემდეგ «ნოვაია რაბოჩაია გაზეტა», «სევერნაია რაბოჩაია გაზეტა» და «ნაშა რაბოჩაია გაზეტა». — 52.

21 ლენინი ჯერ კიდევ 1912 წლის ზაფხულში აღნიშნავდა, რომ აუცილებელი იყო ლეგალური მუშათა გაზეთის გამოცემა მოსკოვში. «ყოველ შეგნებულ მუშას ესმის, — წერდა მაშინ ლენინი, — რომ პეტერბურგი უმოსკოვოდ — ეს იგივეა, რაც ცალი ხელი უმეოროდ... მოსკოვმა, რა თქმა უნდა, უნდა გაიჩინოს თ ა ვ ი ს ი ყოველდღიური მუშათა გაზეთი». ამასთანავე ლენინი საჭიროდ თვლიდა ჯერ განმტკიცებულიყო «პრავდა» და შემდეგ შექმნილიყო გაზეთი მოსკოვში — «მოსკოვსკაია პრავდა», როგორც მან დაარქვა ამ გაზეთს წერილში ა. მ. გორკისადმი. მოსკოვში პარტიული ორგანოს გამოცემის საკითხი ირჩეოდა ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირზე პორონინში 1913 წლის 27 ივლისს (9 აგვისტოს).

მოსკოვის გაზეთის სასარგებლოდ ფულის შეგროვების კამპანია დაიწყო 1912 წლის დეკემბრიდან, მას შემდეგ, რაც «პრავდაში» (№ 176, 1912 წ. 24 ნოემბრის თარიღით) დაიბეჭდა მოსკოველი მუშების ჯგუფის წერილი, სადაც აღნიშნული იყო, მოსკოვში მუშათა გაზეთის მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამის განხორციელება შესაძლებელიცაა და თან მოუწოდებდა მუშებს დაეწყოთ ფულის შეგროვება გაზეთის ფონდისათვის. ამ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ მუშები. გაზეთის გამოსვლა შეფერხდა იმ ბოლშევიკთა ჯგუფის დაპატიმრებასთან დაკავშირებით, რომლებიც მუშაობდნენ მისი გამოცემის მომზადებაზე. მოსკოვის მუშათა გაზეთის პირველი ნომერი «ნაშ პუტის» სახელწოდებით გამოვიდა 1913 წლის 25 აგვისტოს (7 სექტემბერს). — 53.

22 «რ უ ს ს კ ა ი ა მ ი ს ლ» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1880 წლიდან. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ — კადეტთა პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო. ლენინი ამ პერიოდში «რუსსკაია მისლს» უწოდებდა «ჩერნოსოტენნაია მისლს». ჟურნალი დახურეს 1918 წლის შუა ხანებში. — 63.

23 «ვ ე ხ ი» — კადეტების კრებული; გამოვიდა მოსკოვში 1909 წლის გაზაფხულზე; მასში მოთავსებული იყო ნ. ბერდიაევის, ს. ბულგაკოვის,

პ. სტრუვეს, მ. გერშენზონისა და კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიის სხვა წარმომადგენლების სტატიები. სტატიებში რუსი ინტელიგენციის შესახებ «ვეხელები» ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების, მათ შორის ვ. გ. ბელინსკისა და ნ. გ. ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციებისთვის; ლაფს ასხამდნენ 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას და მადლობას ეუბნებოდნენ მეფის მთავრობას იმისათვის, რომ ის «თავისი ხიშტებითა და საპყრობილეებით» იფარავს ბურჟუაზიას «ხალხის მძვინვარებისაგან». კრებული მოუწოდებდა ინტელიგენციას თვითმპყრობელობის სამსახურში ჩამდგარიყო. — **63.**

24 «კ ი ე ვ ს კ ა ი ა მ ი ს ლ» — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა 1906 წლის დეკემბრიდან 1918 წლის დეკემბრამდე. გაზეთში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკი-ლიკვიდატორები. — **66.**

25 «ზ ე მ შ ჩ ი ნ ა» — ყოველდღიური შავრაზმული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1909 წლის ივლისიდან 1917 წლის თებერვლამდე; სუბსიდიას ღებულობდა მეფის მთავრობისაგან და გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოსგან. — **71.**

26 «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. თავდაპირველად იყო ზომიერ-ლიბერალური, XIX საუკუნის 70-იანი წლების დამლევისათვის გადაიქცა რეაქციული თავადაზნაურული და ბიუროკრატიული წრეების ორგანოდ. გაზეთი ბრძოლას აწარმოებდა არა მარტო რევოლუციური, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც: 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო. «ნოვოე ვრემიას» ლენინი უწოდებდა სინდისგარეცხილ გაზეთთა ნომუშს. — **71.**

27 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXV. 1936, გვ. 544. — **72.**

28 იგულისხმება შემდეგი პარტიული გადაწყვეტილებები: «რსდმ პარტიასთან ბუნდის გაერთიანების პირობების პროექტი», მიღებული რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის მიერ 1906 წელს, და რეზოლუცია «ადგილებზე ნაციონალური ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ», მიღებული რსდმ პარტიის მეხუთე (სრულიად რუსეთის) კონფერენციის მიერ 1908 წელს (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 81 — 82, 131). — **83.**

29 «ნაშა ზარია» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910-დან 1914 წლამდე. «ნაშა ზარიას» ირგვლივ ჩამოყალიბდა ლიკვიდატორთა ცენტრი რუსეთში. — 84.

30 «ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა» — მთავრობის ყოველდღიური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1893 წლიდან 1918 წლის სექტემბრამდე. გაზეთში იბეჭდებოდა სტატისტიკური მასალები და მრეწველობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობისა და ფინანსების საკონიუნქტურო მიმოხილვები. — 98.

31 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმ პარტიის მეხუთე (სრულიად რუსეთის) კონფერენციის გადაწყვეტილებები; კონფერენცია შესდგა პარიზში 1908 წლის 21 — 27 დეკემბერს (1909 წლის 3 — 9 იანვარს). კონფერენციას დაესწრო 16 დელეგატი გადამწყვეტი ხმით: 5 ბოლშევიკი, 3 მენშევიკი, 5 პოლონელი სოციალ-დემოკრატი და 3 ბუნდელი. რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლად იყო ვ. ი. ლენინი. კონფერენციაზე ის გამოვიდა მოხსენებით «თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ», აგრეთვე სიტყვებით სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ, ორგანიზაციულ და სხვა საკითხებზე. კონფერენციაზე ბოლშევიკები იბრძოდნენ პარტიაში არსებული ორი სახის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ — ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის წინააღმდეგ. ლენინის წინადადებით კონფერენციამ დაგმო ლიკვიდატორობა და მოუწოდა ყველა პარტიულ ორგანიზაციას გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინათ პარტიის ლიკვიდაციის ცდების წინააღმდეგ. კონფერენციამ ყველა საკითხზე ბოლშევიკური გადაწყვეტილებანი მიიღო. — 109.

32 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის მეექვსე («პრაღის») კონფერენციის გადაწყვეტილებანი; კონფერენცია შესდგა 1912 წლის 5 — 17 (18 — 30) იანვარს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 20-ზე მეტი პარტიული ორგანიზაცია. ამიტომ ფორმალურად მას პარტიის ყრილობის მნიშვნელობა ჰქონდა. კონფერენციას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი; მან გააკეთა რამდენიმე მოხსენება და დაწერა პროექტები რეზოლუციებისა კონფერენციის დღის წესრიგის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

კონფერენციის დადგენილებით მენშევიკები განიდევნენ პარტიიდან; სამუდამოდ მოეღო ბოლო ბოლშევიკებისა და მენშევიკების ერთ პარტიაში ფორმალურ გაერთიანებას. პოლიტიკური ჯგუფიდან ბოლ-

შევიკები ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ პარტიად. პრაღის კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის პარტიას, ლენინიზმის პარტიას, ბოლშევიკურ პარტიას.

კონფერენციამ აირჩია პარტიის ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტი. ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, გ. კ. ორჯონიკიძე, ი. მ. სვერდლოვი, ს. ს. სპანდარიანი და სხვები. ი. ბ. სტალინი და ი. მ. სვერდლოვი ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს დაუსწრებლად, რადგან გადასახლებულნი იყვნენ. ც. კ-ის წევრობის კანდიდატთა რიცხვში აირჩიეს მ. ი. კალინინი. შექმნილ იქნა პრაქტიკული ცენტრი რევოლუციური მუშაობის სახელმძღვანელოდ რუსეთში (ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო) ი. ბ. სტალინის მეთაურობით. — **109**.

33 ლენინს მხედველობაში აქვს პარტიულ მუშაკებთან რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირის გადაწყვეტილებანი; კონსპირაციული მოსაზრებებით ამ თათბირს ეწოდა «თებერვლის» თათბირი; ის შესდგა კრაკოვში 1912 წლის 28 დეკემბერს — 1913 წლის 1 იანვარს (1913 წლის 10 — 14 იანვარს). თათბირს დაესწრო 14 კაცი: ცენტრალური კომიტეტის წევრნი ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და სხვ., IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები და პეტერბურგის, მოსკოვის ოლქის, ურალის, კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირის მოწყობის საქმეში დიდი მუშაობა ჩაატარეს ლენინმა და სტალინმა. ვ. ი. ლენინი პეტერბურგში უგზავნიდა ი. ბ. სტალინს, როგორც ც. კ-ის წევრს, მითითებებს თათბირის მომზადების საკითხებზე; წერილებში ხაზგასმით იყო აღნიშნული — ფრიად საჭიროა ი. ბ. სტალინის პირადად ჩამოსვლა კრაკოვში თათბირზეო.

თათბირმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან და ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ; 2) რევოლუციური აღმავლობა, გაფიცვები და პარტიის ამოცანები; 3) არალეგალური ორგანიზაციის მშენებლობა; 4) სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია; 5) პარტიული პრესა; 6) დაზღვევის კამპანია; 7) ლიკვიდატორობისადმი დამოკიდებულება და ერთიანობის საკითხი; 8) «ნაციონალური» სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესახებ.

თათბირი მიმდინარეობდა ლენინის თავმჯდომარეობით; ის გამოდიოდა მთელ რიგ საკითხებზე, მანვე დაწერა რეზოლუციები და ცნობა თათბირის შესახებ. წერილში გორკისადმი ლენინი აღნიშნავდა, თათბირს «დიდი წარმატება ჰქონდა და იკი დიდ როლს შეასრულებსო». — **109**.

34 «პროექტი პლატფორმისა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობისათვის» დაწერა ლენინმა 1913 წლის მაისში ლატვიელი ბოლშევიკებისათვის ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის მოწვევის მომზადებასთან დაკავშირებით. ამ პერიოდში ლატვიის სოციალ-დემოკრატიის რიგებში გამწვავდა ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის; 1913 წლისთვის ყველა ცენტრალური დაწესებულება ხელში ჰქონდათ ჩაგდებული მენშევიკ-ლიკვიდატორებსა და შემარიგებლებს. ლატვიელმა ბოლშევიკებმა, რომლებიც ბოლშევიკურად განწყობილ მუშებს ეყრდნობოდნენ, შექმნეს თავიანთი ფრაქცია. ლენინი დახმარებას უწევდა მათ ლიკვიდატორული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლატვიის ბოლშევიკთა ხელმძღვანელებმა, რომელთაც საზღვარგარეთ შექმნეს თავიანთი ცენტრი — «საზღვარგარეთულ ჯგუფთა ბიურო», 1913 წლის ნოემბერში თავიანთი «ბიულეტენის» («Biletens») მე-8 ნომრიდან ცალკე ანაბეჭდად გამოაქვეყნეს ლენინის პლატფორმა სათაურით «ჩვენი პლატფორმა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV კონგრესისათვის». მეორედ «პლატფორმის პროექტი» გამოქვეყნებულ იქნა «ბიულეტენის» მე-9 — 10 ნომერში. «ბიულეტენის რედაქციამ», მასში შემავალ შემარიგებელ ელემენტთა ზეგავლენით, ლენინის ტექსტის გამოქვეყნების დროს გამოუშვა განყოფილება, მიძღვნილი ნაციონალური საკითხისადმი, და ნაწილობრივ შეამცირა და შეცვალა სხვა განყოფილებებიც.

თხზულებათა მეოთხე გამოცემაში, ისევე როგორც მესამე გამოცემაშიც, «პლატფორმის პროექტი» დაბეჭდილია სრულად ლენინის რუსულ ენაზე შენახული ხელნაწერის მიხედვით. — **110.**

35 ან — კავკასიელი მენშევიკების ლიდერის ნ. ნ. ჟორდანიას ფსევდონიმი. — **111.**

36 «ვპერიოდ» — ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა ოტზოვისტების, ულტიმატისტების, ღვთისმშენებლების, ემპირიომონისტებისაგან (მახისა და ავენარიუსის რეაქციული იდეალისტური ფილოსოფიის მომხრეებისაგან); ის ჩამოყალიბდა საზღვარგარეთ 1909 წლის დეკემბერს ა. ბოგდანოვისა და გ. ალექსინსკის მეთაურობით; პარიზში, ჟენევასა და თბილისში ჰყავდა რამდენიმე პატარ-პატარა წრე, უმთავრესად ინტელიგენციიდან. «ვპერიოდის» ჯგუფის შეხედულებები, ლენინის თქმით, «ბოლშევიზმის კარიკატურა» იყო. «ვპერიოდის» ჯგუფს მუშებში გასავალი არ ჰქონდა და ის ფაქტიურად დაიშალა 1913 წელს. — **116.**

37 ლაპარაკია ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბრიუნის (ბრნო) 1899 წლის სექტემბრის ყრილობაზე მიღებულ ნაციონალური საკითხის პროგრამაზე. — **120.**

38 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1948, გვ. 60. — **125.**

39 სტატიას «კ ა დ ე ტ მ ა კ ლ ა კ ო ვ ი ს ს ი ტ ყ ვ ი ს გ ა მ ო» სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **139.**

40 «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური გაზეთი, სცემდნენ მოსკოვში 1863 წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალი პროფესორები და ერობის მოღვაწეები; გამოხატავდა ლიბერალი მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო; დახურეს მალე 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. — **143.**

41 პროექტი სიტყვისა «ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს» მოამზადა ლენინმა სათათბიროში ბოლშევიკი დეპუტატის გამოსასვლელად. ეს სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა ა. ე. ბადაევმა 1913 წლის 4 (17) ივნისს სათათბიროში სახალხო განათლების სამინისტროს 1913 წლის გასავლის ხარჯთაღრიცხვის გამო საბიუჯეტო კომისიის მოხსენების განხილვის დროს. ლენინის პროექტის მეტი ნაწილი ბადაევმა გამოაქვეყნა თითქმის სიტყვასიტყვით, მაგრამ სიტყვა არ დაუმთავრებია, გამოთქმისათვის: «განა ეს მთავრობა ღირსი არ არის იმისა, რომ ხალხმა გააგდოსო?» — ბადაევს სიტყვა წაერთვა. — **146.**

42 ლაპარაკია მიწის მუნიციპალიზაციის მენშევიკურ აგრარულ პროგრამაზე, რომელიც მიიღო რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელმა) ყრილობამ. ამ პროგრამის კრიტიკა მოცემულია ვ. ი. ლენინის ნაშრომებში «მოხსენება რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ» და «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 392 — 418 და ტომი 13, გვ. 312 — 458). — **165.**

43 ლენინს ციტატი მოჰყავს ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის დაგმობის გადაწყვეტილებიდან, რომელიც მიიღო რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმმა «პარტიაში არსებული საქმის ვითარების» საკითხზე (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 155). — **167.**

44 «ვოზროჟდენიე» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა 1908 წლის დეკემბრიდან 1910 წლის ივლისამდე მოსკოვში. — **171.**

45 «ნევსკი გოლოს» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის მაისიდან აგვისტომდე. — **172.**

46 ლენინს მხედველობაში აქვს 1905 წლის 11 (24) დეკემბრის კანონი «საკანონმდებლო» სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ, გამოქვეყნებული მეფის მთავრობის მიერ მოსკოვის გაცხარებული შეიარაღებული აჯანყების დროს. 1905 წლის 11 დეკემბრის კანონის საფუძველზე არჩეული პირველი სათათბირო კადეტური იყო. ამ კანონის შესახებ იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 109 — 110. — **178.**

47 ლენინი «საბლერის ხუცებს» უწოდებს იმ მღვდლებს, რომლებიც სინოდის ობერ-პროკურორის, რეაქციონერი საბლერის მითითებით ჩაბმული იყვნენ IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, რათა უზრუნველეყოთ მეფის მთავრობისთვის სასურველი დეპუტატების არჩევა. — **178.**

48 ლ. ს. (ლ. სედოვი) — მენშევიკ-ლიკვიდატორის ბ. ა. გინზბურგის ფსევდონიმი. — **184.**

49 ლენინს მხედველობაში აქვს მ. ს. ოლმინსკის (ვიტიმსკის) ორი სტატია სათაურით: «ვინ ვისთან?» და «სიმართლე», გამოქვეყნებული «პრავდის» 106-ე და 123-ე ნომრებში 1913 წლის 10 და 30 მაისის თარიღით. — **189.**

50 წერილი «ბ-ნ ბოგდანოვისა და «ვპერიოდის» ჯგუფის საკითხისათვის» დაწერილია ლენინის მიერ იმასთან დაკავშირებით, რომ «პრავდის» 120-ე ნომერში 1913 წლის 26 მაისს გამოქვეყნდა ა. ბოგდანოვის განცხადება რედაქციის მიმართ. ბოგდანოვი ცდილობდა გაებათილებინა ლენინის მიერ აღნიშნული ფაქტი, რომ სათათბიროს მუშაობისა და სხვა ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენების უარყოფა დაკავშირებული იყო «ვპერიოდელობასთან» (იხ. ეს ტომი, გვ. 168). ბოგდანოვის წერილის ქვეშ რედაქციის მინაწერში, რამაც ლენინის სასტიკი პროტესტი გამოიწვია, ნათქვამი იყო, ბოგდანოვის განცხადება ქვეყნდება «მიუდგომლობის მიზნითო».

რედაქციის მინაწერის პასუხად ლენინმა წერილთან ერთად «ბ-ნ ბოგდანოვისა» და «ვპერიოდის» ჯგუფის საკითხისათვის» «პრავდას»

გაუგზავნა შენიშვნა (რომელიც მაშინ არ გამოქვეყნებულა და დღემდე არ არის ნახული), მიმართული ბოგდანოვის მიერ პარტიის ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ. ლენინს არა ერთხელ გაუფრთხილებია «პრავდის» რედაქცია ბოლშევიკურ გაზეთში ბოგდანოვის თანამშრომლობის შეუწყნარებლობის შესახებ. ლენინის მოთხოვნით ბოგდანოვი გარიცხულ იქნა «პრავდის» თანამშრომელთა რიცხვიდან მას შემდეგ, რაც მან დაწერა სტატია «იდეოლოგია», რომელიც შეიცავდა მახისტურ შეხედულებათა აშკარა პროპაგანდას. — **192.**

51 დ ო მ ო ვ ი — მ. ნ. პოკროვსკის ფსევდონიმი. — **193.**

52 ვ ო ლ ს კ ი, ს ტ ა ნ ი ს ლ ა ვ — ა. ვ. სოკოლოვის ფსევდონიმი. — **193.**

53 ს ტ ე პ ი ნ ს კ ი — ვ. რ. მენჟინსკის ფსევდონიმი. — **193.**

54 ლაპარაკია ჟურნალზე «Der Čechoslavische Sozialdemokrat» («ჩეხოსლავეთა სოციალ-დემოკრატი»). — **196.**

55 პ რ უ ს ი ე ლ ო ქ ტ ი ა ბ რ ი ს ტ ე ბ ს და კ ა დ ე ტ ე ბ ს ლენინი უწოდებდა პროგრესისტებს, პრუსიის ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიას. — **200.**

56 პროექტი სიტყვისა «თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ა გ რ ა რ უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ ი ს (ზ ო გ ა დ ი ს) ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს» ლენინმა მოამზადა ბოლშევიკი დეპუტატის გამოსასვლელად სათათბიროში. ეს სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა ნ. რ. შაგოვმა 1913 წლის 9 (22) ივნისს, როცა სათათბიროში ირჩეოდა საბიუჯეტო კომისიის მოხსენება სახელმწიფო საადგილმამულო ქონებათა დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის შესახებ. სიტყვის კითხვის დროს ისმოდა მემარჯვენე დეპუტატთა წამოძახილები და სათათბიროს **თავმჯდომარემაც არა** ერთხელ გააფრთხილა ორატორი, სიტყვას წაგართმევ განაწესის დარღვევისათვის, რომლის მიხედვით აკრძალულია სიტყვების წაკითხვაო. შაგოვი იძულებულ• გახდა გამოეტოვებინა მთელი რიგი ადგილები სიტყვის ლენინისეული პროექტიდან; წაკითხულ იქნა დაახლოებით ტექსტის მხოლოდ ნახევარი. — **201.**

57 ლაპარაკია სლავოფილთა მანიფესტაციებზე, რომლებიც მოაწყეს პეტერბურგში რეაქციულმა ნაციონალისტურმა ელემენტებმა 1913 წლის 17, 18 და 24 მარტს (30, 31 მარტსა და 6 აპრილს) ბალკანეთის პირველ ომში სერბია-ბულგარეთის მიერ თურქების დამარცხების გამო. რეაქციული ელემენტები ცდილობდნენ ბალკანეთის ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა გამოეყენებინათ რუსეთის ცარიზმის დიდმპყრობელური, მძარცველური პოლიტიკის **მიზნებისათვის ახლო** აღმოსავლეთში. — **251.**

58 საყოველთაო გაფიცვა ბელგიაში მოხდა 1913 წლის 14 — 24 აპრილს (ახ. სტ.). ბელგიის პროლეტარიატმა მოითხოვა კონსტიტუციური რეფორმა — საყოველთაო თანასწორი საარჩევნო უფლება. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 400 — 500 ათასმა მუშამ 1 მილიონზე მეტი საერთო რიცხვიდან. «პრავდა» სისტემატურად აშუქებდა გაფიცვის მსვლელობას, ბეჭდავდა ცნობებს გაფიცულთა სასარგებლოდ რუსეთის მუშების შემოწირულებათა შესახებ. — 258.

59 ლენინს მხედველობაში აქვს 1912 წელს ლენის მუშათა დემონსტრაციის დახვრეტის პირველი წლისთავი, რაც პეტერბურგის მუშებმა აღნიშნეს ერთი დღის გაფიცვით, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 85 ათასზე მეტი მუშა. — 257.

60 საორგანიზაციო კომიტეტი — მენშევიკების ხელმძღვანელი ცენტრი; შეიქმნა 1912 წელს ლიკვიდატორთა აგვისტოს კონფერენციაზე; მოქმედებდა მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არჩევამდე 1917 წლის აგვისტოში. — 264.

61 მელითონეთა პეტერბურგის პროფესიული კავშირის გამგეობის არჩევნები მოხდა 1913 წლის 21 აპრილს (4 მაისს). მელითონეთა კრებას დაესწრო დაახლოებით 800 კაცი — 400-ზე მეტმა ვერ შეაღწია შენობაში. ბოლშევიკებმა წარადგინეს გამგეობის კანდიდატთა სია, რომელიც გამოქვეყნებული იყო «პრავდის» 91-ე ნომერში და წინასწარ გავრცელდა შეკრებილთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ ლიკვიდატორები დაჟინებით მოითხოვდნენ აერჩიათ «მიმართულებათა განურჩევლად», კრების მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა «პრავდის» სიას. გამგეობის 14 წევრიდან 10 არჩეულ იქნა «პრავდის» სიით. — 265.

62 «დისკუსსიონნი ლისტოკ» — რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» — დამატება; გამოდიოდა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის (1910 წ.) იანვრის პლენუმის დადგენილებით 1910 წლის მარტიდან 1911 წლის აპრილამდე პარიზში. გამოვიდა 3 ნომერი.

«დისკუსსიონნი ლისტოკის» მე-2 ნომერში 1910 წლის 25 მაისს (7 ივნისს) დაიბეჭდა ბოლო ნაწილი ვ. ი. ლენინის სტატიისა «პუბლიცისტის შენიშვნები» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. 255 — 323) და ი. ბ. სტალინის «წერილი კავკასიიდან» (იხ. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 200 — 208). — 265.

68 «Der Kampf» («ბრძოლა») — ყოველთვიური ჟურნალი, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო; ეჭირა ოპორტუნისტული, ცენტრის-

ტული პოზიცია, მემარცხენე ფრაზებით ფარავდა პროლეტარული რევოლუციის საქმის ღალატს და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მიმართ ლაქიობას; გამოდიოდა ვენაში 1907-დან 1938 წლამდე. — 265.

64 ნ ე ო მ ა ლ თ უ ს ი ა ნ ო ბ ა — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტის მალთუსის (1766 — 1834) რეაქციული მოძღვრების მალთუსიანობის ნაირსახეობა; მალთუსი ამტკიცებდა, რომ არსებობს მოსახლეობის «მარადი», საზოგადოებრივი წყობილების თავისებურებათაგან დამოუკიდებელი, კანონი, რომლის თანახმად მოსახლეობა ვითომ უფრო სწრაფად იზრდებოდეს, ვიდრე საარსებო საშუალებანი იზრდება. მალთუსიანელები რევოლუციური ბრძოლისაგან მუშების ჩამოშორებისა მიზნით ქადაგებდნენ ცრუ იდეას, თითქოს სოციალურ უბედურებათა თავიდან აცილება შესაძლებელი იყოს მოსახლეობის ზრდის ხელოვნური შემცირებით.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა გამოააშკარავეს მალთუსიანობის ანტიმეცნიერულობა და რეაქციული დედაარსი, დაამტკიცეს, რომ მოსახლეობის აბსოლუტური კანონი არ არსებობს, რომ კაპიტალიზმის დროს სიღატაკის მიზეზია მშრომელი მასების ექსპლოატაცია.

თანამედროვე ბურჟუაზიული «მეცნიერება» ცდილობს კვლავ აღადგინოს მალთუსიანობა და გამოიყენოს იგი მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიურ იარაღად, რათა გაამართლოს კაპიტალისტური წყობილება და იმპერიალისტური ომები. — 270.

65 «რ უ ს ს კ ო ე ს ლ ო ვ ო» — ლიბერალური მიმართულების ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1895-დან 1917 წლის ნოემბრამდე; 1918 წელს კვლავ გამოდიოდა რამდენიმე თვის განმავლობაში «ნაშე სლოვოს» სახელწოდებით. — 270.

66 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1948, გვ. 49. — 278.

67 «თ ე ზ ი ს ე ბ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ს ა კ ი თ ხ ზ ე» დაწერა ლენინმა იმ რეფერატებთან დაკავშირებით, რომლებიც მან წაიკითხა 1913 წლის 9, 10, 11 და 13 ივლისს (ახ. სტ.) შვეიცარიის ქალაქებში: ციურიხში, ჟენევაში, ლოზანასა და ბერნში ნაციონალურ საკითხზე. ლენინის კრებულებში XVII და XXX დაიბეჭდა: რეფერატის გეგმა, შენიშვნები გეგმისადმი და ამ რეფერატების გამო გამართული კამათის დაწვრილებითი ჩანაწერი. ლენინი ამ რეფერატებს იხსენიებს თავის წერილში ს. გ. შაუმიანისადმი (იხ. ეს ტომი, გვ. 599).

«თეზისები ნაციონალურ საკითხზე» წარმოადგენს 21-გვერდიან ხელნაწერს, მელნით დაწერილს ცალ გვერდზე. ხელნაწერის უკანასკ-

ნელი ფურცლის მეორე გვერდზე თეზისებს ლენინის მიერ ფანქრით დამატებული აქვს ხუთი მუხლი (იხ. ეს ტომი, გვ. 290 — 291), დანომრილი მის მიერ ბერძნული ალფაბეტის პირველი ასოებით. — **280.**

68 «უ ც უ დ ე ს ი ტ ი პ ი ს ფ ე დ ე რ ა ც ი ა» — ასეა დახასიათებული პრაღის 1912 წლის კონფერენციის გადაწყვეტილებებში ის ურთიერთობა ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რომელიც რსდმ პარტიაში არსებობდა 1907-დან 1911 წლამდე. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის, ლიტვისა და ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და ბუნდი შედიოდნენ რსდმ პარტიაში, მათ ფაქტიურად განკერძოებულად ეჭირათ თავი. მათი წარმომადგენლები არ იღებდნენ მონაწილეობას საერთო-რუსეთის პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობაში; ისინი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს უწყობდნენ ლიკვიდატორების ანტიპარტიულ საქმიანობას (იხ. ამის შესახებ თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 17, გვ. 553 — 555 და ტომი 18, გვ. 495 — 499). — **289.**

69 «რ უ ს ს კ ა ი ა მ ო ლ ვ ა» — ყოველდღიური გაზეთი, «პროგრესისტების» ბურჟუაზიული პარტიის ორგანო, რომელიც შეიქმნა 1912 წელს. ამ პარტიას ლენინი უწოდებდა ოქტიაბრისტებისა და კადეტების ნარევს. გაზეთი გამოდიოდა პეტერბურგში 1912-დან 1913 წლამდე. — **290.**

70 ნ ა რ ო დ ო ვ ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა (ნაციონალ-დემოკრატია, ნაროდოველები, ენდეკები) — პოლონეთის ბურჟუაზიის რეაქციული, შოვინისტური პარტია; შეიქმნა 1897 წელს. პოლონეთის დამოუკიდებლობის თავდაპირველი მოთხოვნა ნაროდოველებმა, რომლებიც დააფრთხო რევოლუციური მოძრაობის ზრდამ, შეცვალეს შეკვეცილი ავტონომიის მოთხოვნით თვითმპყრობელური რეჟიმის ფარგლებში. 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში ნაროდოველები გახდნენ პოლონეთის კონტრრევოლუციის ძირითადი პარტია, პოლონელი შავრაზმელები, როგორც მათ უწოდებდა ლენინი. სახელმწიფო სათათბიროში ისინი მხარს უჭერდნენ ოქტიაბრისტებს.

1919 წელს ნაციონალ-დემოკრატიამ სახელი გამოიცვალა და დაირქვა «ნაციონალური სახალხო კავშირი» («ზვიონზეკ ლიუდოვო-ნაროდოვი»). 1928 წლიდან კი დაირქვა «ნაციონალური პარტია» («სტრონნიცტვო ნაროდოვე»). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ენდეკური ელემენტები, რადგან თავიანთი პარტია არ გააჩნდათ, შეუერთდნენ მიკოლაიჩიკის რეაქციულ პარტიას — «პოლონეთის სახალხო პარტიას» («პოლსკე სტრონნიცტვო ლიუდოვე»). — **290.**

71 ლაპარაკია სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფაზე, რაც «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პროგრამის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა. — **291**.

72 ლენინს მხედველობაში აქვს IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა საზაფხულო დათხოვნა პირველი სესიის დამთავრების შემდეგ. სათათბიროს მუშაობის საზაფხულო შეწყვეტა გაგრძელდა 1913 წლის 25 ივნისიდან 15 ოქტომბრამდე (8 ივლისიდან 28 ოქტომბრამდე). — **299**.

73 ლენინს მხედველობაში აქვს «ლ ე ი ფ ც ი გ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ზ ე თ ი» (**«Leipziger Volkszeitung»**) — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთის ორგანო. გაზეთი გამოდიოდა ყოველდღიურად 1894-დან 1933 წლამდე; მთელი რიგი წლების განმავლობაში რედაქტორობდნენ ფ. მერინგი და რ. ლუქსემბურგი. 1917-დან 1922 წლამდე **«Leipziger Volkszeitung»** გერმანელ «დამოუკიდებელთა» ორგანო იყო; 1922 წლის შემდეგ — მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ორგანო. — **302**.

74 ლაპარაკია «ს ო ვ რ ე მ ე ნ ნ ო ე ს ლ ო ვ ო ზ ე» — ყოველდღიურ კადეტურ გაზეთზე, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1907-დან 1918 წლამდე. — **304**.

75 «რ ო ს ს ი ა» — ყოველდღიური შავრაზმული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1905-დან 1914 წლამდე. 1906 წლიდან — შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ორგანო. გაზეთ «როსსიას» ლენინი უწოდებდა «პოლიციის სინდისგარეცხილ გაზეთს». — **307**.

76 ლენინს მხედველობაში აქვს ბოლშევიკ-დეპუტატის გ. ი. პეტროვსკის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა სახელმწიფო სათათბიროს 1913 წლის 20 მაისის (2 ივნისის) სხდომაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს. სიტყვის პროექტი დაწერილი იყო ლენინის მიერ. ნ. კ. კრუპსკაია კრაკოვიდან პეტერბურგში გაგზავნილ წერილში 1913 წლის 18 აპრილის (1 მაისის) თარიღით ლენინის დავალებით სწერდა, საჭიროა მთელი ძალღონით შევეცადოთ, რომ სიტყვა წაკითხულ იქნას მთლიანად მისი უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამოო. სიტყვის ხელნაწერი ნახული არ არის. — **309**.

77 ლენინს მხედველობაში აქვს სტატია «ახალი რეინის გაზეთიდან» (**«Neue Rheinische Zeitung»**): **«ბერლინის დებატები რევოლუციის შესახებ»** (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 162 — 164). — **316**.

78 «ფ რ ა ნ კ ფ უ რ ტ ი ს გ ა ზ ე თ ი» (**«Frankfurter Zeitung»**) — გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა მაინის ფრანკფურტში 1856-დან 1943 წლამდე. — **321.**

79 ლ. მ. — მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი ლ. მარტოვი. — **334.**

80 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ» (**«Der Sozialdemokrat»**) — გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის არალეგალური ორგანო; გამოდიოდა 1879-დან 1890 წლამდე. — **350.**

81 ლენინს მხედველობაში აქვს ა. ბებელის სიტყვები: «თავდასხმები პარტიის ძირითად შეხედულებებსა და ტაქტიკაზე» გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჰანოვერის ყრილობაზე (1899 წლის 9 — 14 ოქტომბერს (ახ. სტ.)); «პარტიის ტაქტიკა» და «ბურჟუაზიულ პრესაში თანამშრომლობა» დრეზდენის ყრილობაზე (1903 წლის 13 — 20 სექტემბერს (ახ. სტ.)). — **352.**

82 ლენინს მხედველობაში აქვს ლასალის ცნობილი თეზისი იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის მიმართ ყველა დანარჩენი კლასი წარმოადგენს მხოლოდ ერთ რეაქციულ მასას. ეს თეზისი შეტანილ იქნა გერმანიის სოციალისტური მუშათა პარტიის პროგრამაში, რომელიც მიღებულ იქნა 1875 წელს გოთას ყრილობაზე.

ამ ანტირევოლუციური თეზისის კრიტიკა მოგვცა კ. მარქსმა თავის ნაშრომში «გოთას პროგრამის კრიტიკა» (იხ. კ. მარქსი. «გოთას პროგრამის კრიტიკა», 1940, გვ. 26). — **356.**

83 დ ა დ გ ე ნ ი ლ ი ნ ა დ ე ლ ი ეწოდებოდა მიწის იმ ნადელს, რომელიც დაწესებული იყო 1861 წლის 19 თებერვლის დებულებით რუსეთის ველიანი ზოლისთვის. მაშინ როდესაც შავნიადაგიანი და არაშავნიადაგიანი ზოლისთვის დაწესებული იყო ნადელის ორი ნორმა სულზე: უმაღლესი და უდაბლესი (უკანასკნელი ერთისამად უფრო დაბალი› უმაღლესზე), ველიანი ზოლისთვის, მიწის სიუხვის გამო, დაწესებული იყო კანონით (ბრძანებულებით) განსაზღვრული ერთი ზომის ნადელი. — **397.**

84 გ. რ. (გ. რაკიტინი) — მენშევიკ-ლიკვიდატორის ვ. ო. ცედერბაუმის ფსევდონიმი. — **403.**

85 პ პ ს — პ ო ლ ო ნ ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა (**Polska partja socjalistyczna**) — წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია, დაარსებული 1893 წელს. თავის პროგრამას საფუძვლად დაუდო რა ბრძოლა პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის, პპს პოლონელ მუშებში აწარმოებდა სეპარატისტულ, ნაციონალისტურ პროპაგან-

დას და მიისწრაფოდა, რომ ისინი ჩამოშორებოდნენ რუსეთის მუშებთან გაერთიანებულ ბრძოლას თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. რუსეთის პირველი რევოლუციის გავლენით პპს 1906 წელს გაითიშა ორ ფრაქციად: პპს «ლევიცად» და პპს «პრავიცად» («ფრაკები»). პირველი მსოფლიო ომის წლებში «ლევიცას» უმეტესი ნაწილი დადგა ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე და დაუახლოვდა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას; 1918 წლის დეკემბერში მათ ერთად შექმნეს პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტია.

«პრავიცა», რომლის სათავეში იდგა პილსუდსკი, განაგრძობდა ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკას; შემდეგში მისგან აღორძინდა პპს. 1918 წელს, როდესაც პოლონეთის ბურჟუაზიული სახელმწიფო შეიქმნა, პპს მმართველი პარტია გახდა და ატარებდა ანტისაბჭოთა პოლიტიკას, ხელს უწყობდა პოლონეთის შემადგენლობაში შემავალ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა დამონებას. მეორე მსოფლიო ომის დროს პპს გაითიშა ორ ჯგუფად. პპს რეაქციულ-შოვინისტური ნაწილი, რომელიც გამოდიოდა «ვრნ»-ის სახელწოდებით («Wolność, równość i niepodległość» — «თავისუფლება, თანასწორობა და დამოუკიდებლობა»), ფაშისტებთან თანამშრომლობის გზას დაადგა. მეორე ნაწილი, რომელიც თავს უწოდებდა «პოლონელი სოციალისტების მუშათა პარტიას», პოლონეთის მუშათა პარტიასთან (კომუნისტებთან) და უპარტიო პოლონელ პატრიოტებთან ერთად იბრძოდა ფაშისტთა დამონებისაგან პოლონეთის განთავისუფლებისა და სსრ კავშირთან მეგობრული კავშირურთიერთობის დამყარებისათვის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პპს შედის პოლონეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კოალიციის შემადგენლობაში. — **404.**

86 იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტომი II, ნაწ. I, 1936, გვ. 138. — **404.**

87 მელითონეთა პეტერბურგის კავშირის გამგეობის გადარჩევა მოხდა 1913 წლის 25 აგვისტოს (7 სექტემბერს). კრებას დაესწრო დაახლოებით სამი ათასი მუშა. მიუხედავად იმისა, რომ ლიკვიდატორები ცდილობდნენ განეწყოთ კრება კავშირის ბოლშევიკური გამგეობის წინააღმდეგ, დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლითაც მადლობას უცხადებდნენ გამგეობას მისი მუშაობისათვის. ლიკვიდატორთა სიამ, რომელსაც პირველად ეყარა კენჭი, მიიღო დაახლოებით 150 ხმა. ბოლშევიკური სია, დაბეჭდილი გაზეთ «სევერნაია პრავდაში», მიღებულ იქნა დიდი უმრავლესობით. — **412.**

88 სტატია «ციფრებისენა» დაიბეჭდა გაზეთში «ნაშ პუტ» რედაქციის შემდეგი შენიშვნით: «რედაქცია ბოდიშს იხდის ავტორის წინაშე აუცილებელი საჭირო შეკვეცისა და ცვლილებათა შეტანისათვის». სახელდობრ რა ცვლილებები იქნა შეტანილი ამ სტატიაში, დადგენილი არ არის, რადგან ლენინის ხელნაწერი ნახული არ არის. — 421.

89 «Justice» («სამართლიანობა») — ყოველკვირეული გაზეთი; დაარსდა 1884 წელს ლონდონში როგორც ინგლისის სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის ცენტრალური ორგანო; 1911 წლიდან ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ორგანო გახდა. 1916 წელს პარტიის გათიშვის შემდეგ გაზეთი «Justice» სოციალ-შოვინისტურ პოზიციებზე მდგომი უმცირესობის ორგანო გახდა; გამოდიოდა 1925 წლამდე.

1902 — 1903 წლებში «Justice»-ს სტამბაში იბეჭდებოდა ლენინური «ისკრა». — 435.

90 1906 წლის 4 (17) მარტის კანონით — დროებითი წესები საზოგადოებების, კავშირებისა და კრებების შესახებ — ნებადართული იყო საზოგადოებების, კავშირებისა და სხვ. მოწყობა, მაგრამ ამასთანავე ქმნიდა მთელ რიგ დაბრკოლებებს, რომლებიც ფაქტიურად კანონს არარად ხდიდა. კანონი შინაგან საქმეთა მინისტრს უფლებას ანიჭებდა, თავისი მიხედულებით, არათუ დაეხურა საზოგადოებები და კავშირები, არამედ ახალი კავშირების აღრიცხვაზედაც უარი ეთქვა.

1905 წლის 2 (15) დეკემბრის კანონი ეწოდებოდა დროებით წესებს, რომელთა მიხედვით გაფიცვებში მონაწილეობის მიღება განიხილებოდა როგორც სისხლის სამართლით დასასჯელი დანაშაული. — 456.

91 «ენისეისკაია მისლ» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველდღიური პროვინციული გაზეთი; გამოდიოდა კრასნოიარსკში 1912-დან 1915 წლამდე. — 461.

92 «გრაჟდანინ» — რეაქციული მიმართულების ყოველკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1872-დან 1914 წლამდე. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან უკიდურესი მონარქისტების ორგანო იყო; არსებობდა უმთავრესად მეფის მთავრობის სუბსიდიით. — 468.

93 ლენინს ცარიზმის ევოლუციის დახასიათება სტოლიპინური რეაქციის პერიოდში მოჰყავს რსდმ პარტიის 1908 წლის მეხუთე (საერთო-რუსეთის) კონფერენციის რეზოლუციიდან (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილო-

ბების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 125). — **474.**

94 საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ბრესტის (X) ყრილობა შესდგა 1913 წლის 23 — 25 მარტს (ახ. სტ.) ქ. ბრესტში (საფრანგეთი). — **480.**

95 ლენინს მხედველობაში აქვს სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა მე-4 ყრილობა, რომელიც შესდგა მოსკოვში 1913 წლის 29 ივნისს — 3 ივლისს (12 — 16 ივლისს). ყრილობას დაესწრო 378 დელეგატი. ბოლშევიკები, რომელთაც ემხრობოდა დელეგატთა მთელი რიცხვის თითქმის ნახევარი, უძღვებოდნენ აგრეთვე ყრილობის მემარცხენე ნაროდნიკების ნაწილს და მასთან ერთად შეადგენდნენ უმრავლესობას. ლიკვიდატორები წარმოდგენილი იყვნენ უმნიშვნელო რაოდენობით. ყრილობის მუშაობა დაწვრილებით შუქდებოდა «პრავდის» ფურცლებზე. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ყრილობა დახურეს. — **485.**

96 ლენინს ზოგიერთი ცვლილებით მოჰყავს ციტატი ნ. ა. ნეკრასოვის ლექსიდან «ორმოციანი წლების ადამიანი»:

«მაგრამ ხანდახან გვერდსაც აუვლი
მრისხანესა და ცოცხალ საკითხსა...»

(იხ. ნ. ა. ნეკრასოვი. რჩეული თხზულებანი, 1947, გვ. 144). — **489.**

97 რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირი პარტიულ მუშაკებთან (რომელსაც კონსპირაციის მოსაზრებებით ეწოდა «ზაფხულის» ანუ «აგვისტოს» თათბირი) შესდგა 1913 წლის 23 სექტემბერს — 1 ოქტომბერს (6 — 14 ოქტომბერს) სოფელ პორონინში (კრაკოვის ახლოს), სადაც ზაფხულობით ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი.

თათბირს დაესწრო 22 წარმომადგენელი შემდეგი ორგანიზაციებისა: ცენტრალური კომიტეტის, ცენტრ. ორგანოს რედაქციის, ჟურნალ «პროსვეშჩენიეს», სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის, პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, ეკატერინოსლავის, კოსტრომის, კიევისა და ურალის ორგანიზაციებისა. სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლები. ცენტრალური კომიტეტის წევრები ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი, ს. ს. სპანდარიანი ამ დროს გადასახლებული იყვნენ და არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ თათბირში.

თათბირმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან, მოხსენება პოლონელი სოციალ-დემოკრატების მუშაობის შესახებ, ანგარიში ც. კ-ის მუშაობის შესახებ; 2) ნაციონალური საკითხი; 3) სოციალ-დემოკრატიის სათათბიროს ხაზით მუშაობის შესახებ; 4) სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში არსებული ვითარების შესახებ; 5) ორგანიზაციული საკითხი და პარტიული ყრილობის შესახებ; 6) საგაფიცვო მოძრაობის შესახებ; 7) ლეგალურ საზოგადოებებში მუშაობის შესახებ; 8) ნაროდნიკების შესახებ; 9) პარტიული პრესის შესახებ; 10) ვენის მომავალი საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესახებ. პირველი ორი დღე მოუნდა სათათბიროს დეპუტატთა კერძო თათბირს სახელმწიფო სათათბიროში პრაქტიკული მუშაობის საკითხებზე.

თათბირს ხელმძღვანელობდა ლენინი. ლენინმა თათბირი გახსნა შესავალი სიტყვით, გამოვიდა ანგარიშით ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, მოხსენებით ნაციონალურ საკითხზე, ვენის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესახებ; გარდა ამისა ლენინი გამოდიოდა დღის წესრიგის თითქმის ყველა საკითხზე, შეჰქონდა თავისი წინადადებები, ადგენდა და რედაქციას უკეთებდა რეზოლუციების პროექტებს.

მოხსენებებში ადგილებიდან აღნიშნული იყო მუშათა მოძრაობის შემდგომი აღმავლობა. თათბირმა საჭიროდ სცნო პარტიული მუშაობის საერთო-რუსეთის მასშტაბით გაერთიანება მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით მუშათა კლასის გამოსვლებისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

გამოვიდა რა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით, ლენინმა შეაჯამა ც. კ-ის მუშაობა რსდმ პარტიის პრაღის 1912 წლის კონფერენციის დროიდან. მოხსენებაში ვენის მომავალი 1914 წლის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესახებ ლენინი წინადადებას იძლეოდა კონგრესზე გაიგზავნოს არალეგალური და ლეგალური ორგანიზაციების დელეგატთა რაც შეიძლება მეტი რიცხვიო, ვარაუდობდა რა კონგრესთან ერთად პარტიული ყრილობის ჩატარებასაც. თათბირი დაიხურა ლენინის საბოლოო სიტყვით.

პორონინის თათბირის ოქმები ნახული არ არის. რეზოლუციები გამოქვეყნდა ცალკე ბროშურად — «ცნობა და რეზოლუციები პარტიულ მუშაკებთან რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის ზაფხულის თათბირისა», რომელიც საზღვარგარეთ გამოსცა ცენტრალურმა კომიტეტმა. კონსპირაციის მოსაზრებებით ზოგიერთი რეზოლუცია მთლიანად არ გამოქვეყნებულა: გამოტოვებულია მე-6 მუხლი რეზოლუციისა საგაფიცვო მოძრაობის შესახებ და 1 — 5 მუხლი რეზოლუციისა პარტიული პრესის შესახებ. რეზოლუციების

სრული ტექსტი არალეგალურად გამოიცა ჰექტოგრაფირებულად. — **498.**

98 პარტიული ყრილობის მოწვევა დასახული იყო საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის დროისთვის, რაც აადვილებდა ყრილობის მოწვევის მოსამზადებელი მუშაობის კონსპირაციას. ყველაზე უფრო ინტენსიურად ყრილობის მოსამზადებელი მუშაობა გაჩაღდა 1914 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში. ომის დაწყების გამო ყრილობა აღარ შესდგა. — **498.**

99 ლაპარაკია ლეგალურ ყოველდღიურ ბოლშევიკურ გაზეთზე «ნ ა შ პ უ ტ», რომელიც გამოდიოდა მოსკოვში 1913 წლის 25 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე (7-დან 25 სექტემბრამდე). გაზეთი შეიქმნა ლენინის მითითებით, რომელიც ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა მასში. ლენინი თავის სტატიებს ერთსა და იმავე დროს უგზავნიდა «პრავდასაც» და «ნაშ პუტსაც». გაზეთ «ნაშ პუტის» თანამშრომელთა შორის იყო ი. ბ. სტალინი, აგრეთვე ა. მ. გორკი, IV სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები, დემიან ბედნი, მ. ს. ოლმინსკი, ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი და სხვები. გაზეთი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მუშებში, მუშები განსაკუთრებით უჭერდნენ მას მხარს. მუშათა 395 ჯგუფი ფულის შეკრებით ეხმარებოდა გაზეთს; მისი ტირაჟი 17 — 20 ათასამდე ეგზემპლარს აღწევდა.

გაზეთ «ნაშ პუტს» განუწყვეტლივ სდევნიდა პოლიცია და დახურულ იქნა; სულ გამოვიდა 16 ნომერი. «ნაშ პუტის» დახურვას მოსკოვის მუშები გამოეხმაურნენ მასობრივი საპროტესტო გაფიცვებით მუშათა პრესის დევნის წინააღმდეგ. გაზეთის გამოცემის განახლება არ მოხერხდა. — **500.**

100 იგულისხმება პირველ რიგში ლეგალური ბოლშევიკური გამომცემლობა «პრიბოი», დაარსებული პეტერბურგში 1913 წლის დამდეგს. გამომცემლობა «პრიბოი» უშვებდა წიგნებსა და ბროშურებს მუშათა მოძრაობის სხვადასხვა საკითხზე; მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მუშათა დაზღვევის საკითხებს. 1913 წლის დეკემბერს გამოიცა უბის კალენდარი: «სპუტნიკ რაბოჩეგო ნა 1914 გოდ» ვ. ი. ლენინის სტატიით «გაფიცვები რუსეთში», 1914 წელს — კრებული «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა», ი. ბ. სტალინის ბროშურა «ნაციონალური საკითხი და მარქსიზმი» და სხვა მარქსისტული ლიტერატურა. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, მუშათა პრესის დევნის გაძლიერებასთან დაკავშირებით, გამომცემლობა «პრიბოი» იძულებული გახდა შეეწყ-

ვიტა საქმიანობა და ის განაახლა მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. — **500.**

101 რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანო — გაზეთი «სოციალ-დემოკრატი» არალეგალურად გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან. პირველი ნომერი რუსეთში გამოვიდა. რედაქციისა და სტამბის ჩავარდნასთან დაკავშირებით გაზეთის გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ: ჯერ პარიზში, შემდგომ ჟენევაში. გამოვიდა გაზეთის 58 ნომერი.

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად ცენტრ. ორგანოს რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ ბოლშევიკების, მენშევიკებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლები. «სოციალ-დემოკრატში» იბეჭდებოდა ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო სტატიები. «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შიგნით ვ. ი. ლენინი ბრძოლას ეწეოდა თანამიმდევარი ბოლშევიკური ხაზისათვის. რედაქციის ერთი ნაწილი (კამენევი და ზინოვიევი) შემარიგებლად უყურებდა ლიკვიდატორებს, ცდილობდა ჩაეშალა ლენინური ხაზის გატარება. მენშევიკები მარტოვი და დანი საბოტაჟს უწევდნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მუშაობას და ამავე დროს აშკარად იცავდნენ ლიკვიდატორობას «გოლოს სოციალ-დემოკრატში». ლენინის შეურიგებელმა ბრძოლამ ლიკვიდატორების წინააღმდეგ გამოიწვია მარტოვისა და დანის წასვლა 1911 წლის ივნისში «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შემადგენლობიდან. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» რედაქტორობდა ვ. ი. ლენინი.

გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» აქტიურ მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. «სოციალ-დემოკრატში» დაიბეჭდა მისი სტატიები: «წერილები კავკასიიდან», «პეტერბურგის მუშების განაწესი თავიანთი მუშა დეპუტატისათვის», «არჩევნები პეტერბურგში» და «ნაციონალიზმის გზით» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 185 — 208, 267 — 269, 290 — 305, 306 — 311).

1912 წლიდან გაზეთი გამოდიოდა დიდი დროგამოშვებით. 1912 — 1913 წლების განმავლობაში სულ 6 ნომერი გამოვიდა. იმპერიალისტური ომის დაწყების დროიდან «სოციალ-დემოკრატი» გამოდიოდა უფრო რეგულარულად. უკანასკნელი ნომერი გამოვიდა ჟენევაში 1917 წლის 18 (31) იანვარს. — **501.**

102 ლაპარაკია ერთ განყოფილებაზე რეზოლუციისა «სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ», რომელიც მიღებული იყო რსდმ პარტიის მეხუთე (საერთო-რუსეთის) 1908 წლის კონფერენციის მიერ (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 129).

ამ განყოფილების პროექტი, შეტანილი ლენინის მიერ, კონფერენციამ მიიღო ცვლილებებით, რომლებიც აუარესებდნენ პირვანდელ ფორმულირებას (კულტურულ მოთხოვნილებათა ხარჯების მუხლებისათვის კენჭისყრის პირობები რეზოლუციაში უფრო ნაკლებ მკვეთრადაა განსაზღვრული, ვიდრე ლენინის პროექტში). პორონინის («ზაფხულის») თათბირის რეზოლუციაში «სოციალ-დემოკრატიის სათათბიროს ხაზით მუშაობის შესახებ» ეს განყოფილება დამტკიცებულ იქნა ახალი, გაუმჯობესებული, რედაქციით. — **501.**

103 ლაპარაკია რსდმ პარტიის V ყრილობისა, რომელიც შედგა ლონდონში 1907 წელს, და შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის, რომელიც იმავე წელს შედგა, გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიმართული იყო პროფესიული კავშირების «ნეიტრალობის» ოპორტუნისტული პრინციპის წინააღმდეგ. — **504.**

104 ლენინს მხედველობაში აქვს ლიკვიდატორების 1912 წლის აგვისტოს კონფერენციის გადაწყვეტილება, რომელიც რსდმ პარტიის პროგრამასთან შესათავსებლად აღიარებდა «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ლოზუნგს. — **505.**

105 «ზ ა ვ ე ტ ი» — ყოველთვიური ლეგალური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი ესერული მიმართულებისა; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის აპრილიდან 1914 წლის ივლისამდე. — **511.**

106 «გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს» ტექსტი შეიმუშავა ლენინმა სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკ-დეპუტატებთან ერთად ცენტრალური კომიტეტის პორონინის («ზაფხულის») თათბირზე პარტიულ მუშაკებთან.

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პირველ სხდომაზე 1913 წლის 16 (29) ოქტომბერს, სახელმწიფო სათათბიროს მეორე სესიის დასაწყისში, ბოლშევიკმა დეპუტატებმა მენშევიკ-დეპუტატებს წაუყენეს «ექვსეულისა» და «შვიდეულის» თანასწორუფლებიანობის ულტიმატური მოთხოვნა. რადგან დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს, ბოლშევიკმა დეპუტატებმა დასტოვეს სხდომა. 18 (31) ოქტომბერს «განცხადება», ბოლშევიკ დეპუტატების ხელმოწერით, გამოქვეყნდა გაზეთში «ზა პრავდუ», თან ბოლშევიკი დეპუტატები მიმართავდნენ მუშებს განეხილათ «ექვსეულის» მოთხოვნა «შვიდეულისადმი» და დახმარებოდნენ მუშა დეპუტატებს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთიანობის აღდგენაში. — **528.**

107 ლენინმა გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას გაუგზავნა სტატია «მ ა ს ა ლ ე ბ ი ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი

ფრაქციის შიგნით არსებული ბრძოლის საკითხისათვის» და ურჩევდა კვირის ნომერში ჩაერთოთ სპეციალური ფურცელი, რომელიც მთლიანად მიეძღვნებოდა ბოლშევიკური «ექვსეულის» მხარისდაჭერის კამპანიას. გაიგო რა გაზეთის იმ ნომრის კონფისკაცია, რომელშიც ეს სტატია იყო დაბეჭდილი, ლენინი წერილში რედაქციისადმი იმ აზრს გამოთქვამდა, რომ «მასალები» გადაებეჭდათ შემდგომ ნომრებში. მაგრამ გაზეთში ეს სტატია მეორედ აღარ მოუთავსებიათ. ის გადაბეჭდეს 1914 წელს კრებულში «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა» სათაურით «მასალები სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნის ისტორიისათვის», რომელსაც დაემატა განყოფილება «მუშების გამოხმაურება სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნაზე». — **544.**

108 «ზ ვ ე ზ დ ა» — ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი, «პრავდის» წინამორბედი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 წლის 16 (29) დეკემბრიდან 1912 წლის 22 აპრილამდე (5 მაისამდე) (ჯერ ყოველკვირეულად, 1912 წლის იანვრიდან — ორჯერ და მარტიდან — სამჯერ კვირაში). 1912 წლის 26 თებერვლიდან (10 მარტიდან), «ზვეზდასთან» ერთდროულად, გამოვიდა «ნევსკაია ზვეზდას» № 1, რომელიც «ზვეზდის» დახურვის შემდეგ მის გაგრძელებას წარმოადგენდა. «ნევსკაია ზვეზდის» უკანასკნელი, 27-ე ნომერი გამოვიდა 1912 წლის 5 (18) ოქტომბერს.

გაზეთში «ზვეზდა» თანამშრომლობდნენ: ვ. მ. მოლოტოვი, მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატურინი, ნ. გ. პოლეტაევი, ს. ერემეევი, აგრეთვე ა. მ. გორკი. 1911 წლის შემოდგომამდე «ზვეზდაში» მონაწილეობას იღებდნენ პარტიელი მენშევიკები (პლეხანოველები). გაზეთს იდეურ ხელმძღვანელობას უწევდა (საზღვარგარეთიდან) ვ. ი. ლენინი. «ზვეზდასა» და «ნევსკაია ზვეზდაში» გამოქვეყნდა ლენინის დაახლოებით 50 სტატია.

1912 წლის გაზაფხულზე «ზვეზდას» რედაქტორობდა ი. ბ. სტალინი. «თავისუფლად» ყოფნის მოკლე ხნის განმავლობაში ი. ბ. სტალინმა გაზეთის 30-ე, 31-ე, 32-ე და 33-ე ნომრებში დაბეჭდა 8 სტატია. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ლეგალური «ზვეზდა» მებრძოლი ბოლშევიკური გაზეთი იყო, რომელიც იცავდა არალეგალური პარტიის პროგრამას. «ზვეზდამ» ფართოდ დააყენა მუშათა კორესპონდენციების განყოფილება და მუდმივი მტკიცე კავშირი დაამყარა მუშებთან. მისი ცალკეული ნომრების ტირაჟი 50 — 60 ათას ეგზემპლარს აღწევდა.

გაზეთი მთავრობის მუდმივ რეპრესიას განიცდიდა: «ზვეზდისა» და «ნევსკაია ზვეზდის» 96 ნომრიდან 39 კონფისკებული იყო, 10 და-

ჯარიმებული. «ზვეზდამ» მოამზადა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთის «პრავდის» გამოცემა; დახურა მთავრობამ «პრავდის» პირველი ნომრის გამოსვლის დღეს. — **551**.

109 «გ ო რ ო დ ს კ ო ე დ ე ლ ო» — ორკვირეული კადეტური ჟურნალი, მიძღვნილი ქალაქის მეურნეობისა და მართვა-გამგეობის საკითხებისადმი; გამოდიოდა პეტერბურგში 1909-დან 1918 წლამდე. — **566**.

110 სტატია «ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ ფ რ ა ქ ც ი ა შ ი მ ო მ ხ დ ა რ ი გ ა თ ი შ ვ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» დაწერილია პასუხად ცილისმწამებლური სტატიისა სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში მომხდარი გათიშვის შესახებ, რომელიც ხელმოუწერლად გამოქვეყნდა გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში **«Leipziger Volkszeitung»** («ლეიფციგის სახალხო გაზეთი») 1913 წლის 15 ნოემბერს (ახ. სტ.).

ლენინის მისწრაფება იყო გაეცნო საერთაშორისო და განსაკუთრებით გერმანიის სოციალ-დემოკრატიისთვის რუსეთის მუშათა მოძრაობაში არსებული საქმის ნამდვილი ვითარება, მაგრამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა არ ათავსებდა ბოლშევიკების სტატიებს თავის ცენტრალურ ორგანოში **«Vorwärts»**. მხოლოდ **«Leipziger Volkszeitung»**-ის რედაქციამ გამოაქვეყნა ლენინის ეს სტატია, თუმცა დიდი დაგვიანებით, და ამ დაგვიანებას ხსნიდა ადგილის უქონლობით და «სხვა მიზეზებით». — **578**.

111 «ვ ო ლ ნ ა ი ა მ ი ს ლ» — ერთ-ერთი სახელწოდება მემარცხენე ნაროდნიკული (ესერული) გაზეთისა «ვოლნაია მისლ», რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1913 წლის აგვისტოდან 1914 წლის ივლისამდე; გაზეთმა რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება. — **579**.

112 «მ ე ფ უ რ-პ რ უ ს ი უ ლ მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ს» მარქსი და ენგელსი უწოდებდნენ ბისმარკის მთავრობასთან შეთანხმების პოლიტიკას, რომელსაც ლასალის კვალდაკვალ ატარებდა მისი მიმდევარი შვეიცერი, ლასალიანური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» რედაქტორი. — **586**.

113 უთანხმოება პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარ გამგეობასა და ვარშავის ორგანიზაციას შორის, რომელიც პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ყველაზე უფრო ძლიერი და რევოლუციურად ყველაზე მტკიცე ორგანიზაციაა, დაიწყო 1908 წლიდან, ამ პარტიის VI ყრილობის დროიდან. ყრილობაზე მკაცრად

გააკრიტიკეს მთავარი გამგეობის მოქმედების ხაზი მისი უპრინციპო პოზიციის გამო რსდმ პარტიის შიგნით, მის მიერ ადგილობრივი ორგანიზაციების მხრივ კრიტიკის დაუშვებლობის გამო და სხვა. მთავარ გამგეობას, რომლის სათავეში იდგნენ რ. ლუქსემბურგი, ლ. ტიშკო და სხვ., ყრილობამ უნდობლობა გამოუცხადა.

1912 წელს მთავარმა გამგეობამ დაშლილად გამოაცხადა ვარშავის კომიტეტი, როგორც «გამთიშველი» («როზლამოვი»), დაუსაბუთებლად დასწამა რა მას კავშირურთიერთობა ოხრანკასთან, და დანიშნა ვარშავის ახალი კომიტეტი თავისი მომხრეებისაგან. ამ დროიდან დაწყებული პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტია გაითიშა.

ლენინი სისტემატურად ადევნებდა თვალყურს ბრძოლის მსვლელობას პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის შიგნით. მან პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარი გათიშვის შესახებ მთელი რიგი სტატიები მოათავსა არა მარტო რუსულ პარტიულ პრესაში, არამედ პოლონურშიც, აგრეთვე საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში საჯაროდ გაილაშქრა ვარშავის ორგანიზაციაზე მთავარი გამგეობის თავდასხმების წინააღმდეგ.

იზიარებდნენ რა მთელ რიგ ძირითად პუნქტებში ბოლშევიკების ტაქტიკურ ხაზს, «როზლამოველები» ცდილობდნენ დაახლოებოდნენ ბოლშევიკებს ორგანიზაციულადაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის უთანხმოება არსებობდა ნაციონალურ საკითხში («როზლამოველები» იდგნენ ლუქსემბურგის ნახევრადმენშევიკურ პოზიციებზე). «როზლამოველებმა» მონაწილეობა მიიღეს პარტიულ მუშაკებთან რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოროონინის («ზაფხულის») თათბირში, რომელიც შესდგა 1913 წლის სექტემბერში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914 — 1918 წლები) პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქცია კვლავ გაერთიანდა ერთიან პარტიად, რომელიც ინტერნაციონალისტურ პლატფორმაზე იდგა. 1918 წლის დეკემბერში პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ პპს «ლევიცასთან» ერთად დააარსეს პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტია. — **592.**

114 საერთაშორისო სოციალისტური ბიურო (სსბ) — II ინტერნაციონალის აღმასრულებელი ორგანო; შექმნილია პარიზის 1900 წლის კონგრესის გადაწყვეტილებით. — **593.**

115 ლენინს მხედველობაში აქვს ფ. ენგელსის მიერ გამოთქმული აზრები სტატიაში «1891 წლის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პროექტის კრიტიკისათვის» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 110 — 111). — **597.**

116 ლაპარაკია ნაციონალურ საკითხზე ლენინის მიერ შვეიცარიის ქალაქებში — ციურიხში, ჟენევაში, ლოზანასა და ბერნში 1913 წლის 9, 10, 11 და 13 ივლისს (ახ. სტ.) წაკითხულ რეფერატებზე. — **599.**

117 I. K. (ი. კარსკი) — ი. ი. მარხლევსკის ფსევდონიმი. — **609.**

118 ბეილისის საქმე — პროვოკაციული სასამართლო პროცესი, მოწყობილი 1913 წელს კიევში მეფის მთავრობის მიერ ებრაელ ბეილისის წინააღმდეგ, რომელსაც წაუყენეს ცრუ ბრალდება რიტუალური მიზნით ქრისტიანი ბავშვის იუშჩინსკის მკვლელობისა (ნამდვილად კი მკვლელობა მოაწყეს შავრაზმელებმა). ამ პროცესის ინსცენირებით მეფის მთავრობა ცდილობდა გაეღვივებინა ანტისემიტიზმი და გამოეწვია ებრაელთა დარბევა იმ მიზნით, რომ მასები ჩამოეშორებინა ჩვენი ქვეყნის მზარდ რევოლუციურ მოძრაობას. პროცესმა ძლიერი საზოგადოებრივი აღელვება გამოიწვია; მთელ რიგ ქალაქებში შესდგა მუშათა საპროტესტო დემონსტრაციები. ბეილისი სასამართლომ გაამართლა. — **612.**

119 დრეიფუსის საქმე — პროვოკაციული პროცესი მოაწყეს 1894 წელს საფრანგეთის სამხედრო რეაქციულ-მონარქისტულმა წრეებმა გენერალური შტაბის ოფიცრის, ებრაელ დრეიფუსის წინააღმდეგ, რომელსაც წაუყენეს ჯაშუშობისა და სახელმწიფო ღალატის ცრუ ბრალდება. სამხედრო სასამართლომ დრეიფუსს მიუსაჯა სამუდამო პატიმრობა. საფრანგეთში გაჩაღებული საზოგადოებრივი მოძრაობა დრეიფუსის საქმის გადასინჯვისათვის გადაიქცა მძვინვარე ბრძოლად რესპუბლიკელებსა და მონარქისტებს შორის, რაც ბოლოსა და ბოლოს დამთავრდა დრეიფუსის გამართლებით 1906 წელს.

ლენინი დრეიფუსის საქმეს უწოდებდა «რეაქციული სამხედრო წრეების ერთ-ერთ მრავალ ათას უსინდისო ფანდთაგანს». — **615.**

120 იხ. კ. მარქსი. «გოთას პროგრამის კრიტიკა». 1940, გვ. 35. — **616.**

121 «ბიუროს გადაწყვეტილებათა საკითხისათვის» — წერილი გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციის მიმართ, დაწერილი ლენინის მიერ პირველი ცნობების მიღებისთანავე რსდმპარტიის გაერთიანების საკითხზე II ინტერნაციონალის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს 1913 წლის დეკემბრის სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ.

ეს საკითხი სესიაზე დაისვა როზა ლუქსემბურგის (რომელიც საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში შედიოდა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიისგან) ინიციატივით იმ რუსი ლიკვიდატორების მხარის დაჭერის მიზნით, რომლებიც დამარცხდნენ ბოლშე-

ვიკებთან ბრძოლაში. სსბ-ს 1913 წლის 14 დეკემბრის (ახ. სტ.) სხდომაზე მიღებულ იქნა კაუცკის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია, რომლითაც სსბ-ს აღმასრულებელ კომიტეტს ევალებოდა, ვითომდა ერთიანი რსდმ პარტიის აღსადგენად, მოეწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა «რუსეთის მუშათა მოძრაობის ყველა ფრაქციას» შორის.

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს გადაწყვეტილების თანახმად 1914 წლის ივლისს ბრიუსელში შემდგარ თათბირზე II ინტერნაციონალის ხელმძღვანელებმა ბოლშევიკებისა და ლიკვიდატორების ვითომდა «შერიგების» მიზნით ბოლშევიკებს მოსთხოვეს ლიკვიდატორთა გაკრიტიკების შეწყვეტა. ბოლშევიკები ამ მოთხოვნას არ დაემორჩილნენ და განაგრძობდნენ შეურიგებელ ბრძოლას ლიკვიდატორებთან, მუშათა მოძრაობის მტრებთან. — 618.

122 ბ უ რ ე ნ ი ნ ი — რეაქციული გაზეთის «ნოვოე ვრემიას» თანამშრომელი; ცილს სწამებდა და სდევნიდა ყველა პროგრესული საზოგადოებრივი და პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებს. ლენინი ამ სახელს ხმარობს საზოგადო სახელად იმათ მიმართ, ვინც პოლემიკაში უსინდისო მეთოდებით სარგებლობს.

გ ა მ მ ა — ლ. მარტოვის ფსევდონიმი. — 625.

123 «ნ ო ვ ა ი ა ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ს კ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა ს» ლენინი ირონიულად უწოდებდა მენშევიკურ «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას». — 625.

124 ლაპარაკია III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის კანონპროექტთა მომზადების ხელშემწყობ კომისიაზე, რომელიც მოეწყო პარიზში 1909 წელს ბოლშევიკებისა და მენშევიკების მონაწილეობით. კომისიასთან შეიქმნა ქვეკომისიები: კანონპროექტის შემუშავებისა 8 საათის სამუშაო დღის, გაფიცვათა თავისუფლებისა და პროფესიული კავშირების შესახებ. კანონპროექტი გაფიცვათა შესახებ შეიმუშავა მენშევიკმა დანმა. დანმა მასში შეიტანა მუხლი, რომელიც დასაშვებად თვლიდა სისხლის სამართლის წესით დასჯას გაფიცვებში მონაწილეობისათვის. კომისიაში კანონპროექტის განხილვის დროს ლენინმა გადაჭრით გაილაშქრა ამ მუხლის წინააღმდეგ. — 625.

125 «შ ლ ი ა ხ ი» («გზები») — უკრაინელ სტუდენტთა კავშირის ორგანო, ნაციონალისტური მიმართულებისა; გამოდიოდა ლვოვში 1913 წლის აპრილიდან 1914 წლის მარტამდე. — 629.

126 «Vorwärts» («წინ») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გაზეთი გამოდიოდა 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტისა და სხვების რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი ებრძოდა ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოხატულებას. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, გაზეთში «Vorwärts» სისტემატურად იბეჭდებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიასა და II ინტერნაციონალში გაბატონებული ოპორტუნისტების სტატიები. იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) «Vorwärts»-ი იდგა სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაზეთი «Vorwärts» ანტისაბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი ცენტრი გახდა; გამოდიოდა ბერლინში 1933 წლამდე. — 633.

127 ლენინს მხედველობაში აქვს ბოლშევიკ დეპუტატის ფ. ნ. სამოილოვის განცხადება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის სახელით სახელმწიფო სათათბიროს 1913 წლის 26 ნოემბრის (9 დეკემბრის) სხდომაზე დაბალი სასოფლო-სამეურნეო სკოლების საღვთო სჯულის მასწავლებლებისთვის ჯამაგირის მომატების კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით. — 638.

128 პერედონოვის დახასიათებას ლენინი იძლევა ნაშრომში «სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის» (იხ. ეს ტომი, გვ. 154). — 639.

129 სტატია «გაფიცვები რუსეთში» ლენინმა დაწერა უბის კალენდრისთვის «მუშის თანამგზავრი 1914 წლისთვის», რომელიც გამოსცა პარტიულმა გამომცემლობამ «პრიბოიმ» 1913 წლის დეკემბერში. უბის კალენდარში მოთავსებული იყო საჭირო ცნობები რუსეთის მუშათა კანონმდებლობაზე, რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაზე, პოლიტიკურ პარტიებზე, საზოგადოებებსა და კავშირებზე, პრესაზე და სხვა. «მუშის თანამგზავრს» ყადაღა დაადეს. მაგრამ ეს გამოცემა ერთ დღეში გასაღდა, ვიდრე პოლიცია მოასწრებდა მის კონფისკაციას. როცა ლენინმა «მუშის თანამგზავრის» ეგზემპლარი მიიღო, წერილით აცნობა ინესა არმანდს, უკვე გასაღდა 5 000 ეგზემპლარიო. 1914 წლის თებერვალში გამოვიდა კალენდრის მეორე გადამუშავებული გამოცემა, სადაც ზოგიერთი რამ შემოკლდა და შეიცვალა ცენზურულ პირობებთან შეფარდებით. აგრეთვე დაემატა ახალი მასალა — წიგნების მაჩვენებელი თკითვანვითარებისათვის. სულ გავრცელდა «მუშის თანამგზავრის» 20 000 ეგზემპლარი. — 640.

130 ლაპარაკია ი. ბ. სტალინის ნაშრომზე «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი», რომელიც დაწერილია 1912 წლის დამლევს — 1913 წლის დამდეგს ვენაში და დაიბეჭდა ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მე-3, მე-4 და მე-5 ნომრებში 1913 წელს სათაურით «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია». ლენინი აღნიშნავდა ამ ნაშრომის დიდ თეორიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას. როცა ლენინმა გაიგო, რომ «პროსვეშჩენიეს» რედაქციის ზოგიერთი წევრი გვირჩევდა სტატია სადისკუსიოდ მიგვეჩნია, მან გადაჭრით გაილაშქრა ამის წინააღმდეგ: «რა თქმა უნდა, ჩვენ აბსოლუტურად წინაალმდეგი ვართ. სტატია ძალიან კარგია. საკითხი აქტუალურია და ჩვენც ოდნავადაც არ დაეუთმობთ პრინციპულ პოზიციას ბუნდელ არამზადებს». მალე, ი. ბ. სტალინის დაპატიმრების შემდეგ, 1913 წლის მარტში, ლენინი სწერდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას: «...აჭ საშინელი დაპატიმრებებია. კობა წაუკანილია... კობამ მოასწრო დიდი სტატიის დაწერა («პროსვეშჩენიეს» სამი ნომრისთვის) ნაციონალურ საკითხზე. კარგია! უნდა ვიბრძოლოთ ბუშმარიტებისათვის ბუნდელი და ლიკვიდატორი სეპარატისტებისა და ოპორტუნისტების წინააღმდეგ».

1914 წელს ი. ბ. სტალინის ნაშრომი გამოცემულ იქნა ცალკე ბროშურად სათაურით: «ნაციონალური საკითხი და მარქსიზმი»; ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ის არა ერთხელ გამოუციათ; შესულია ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-2 ტომში. — 645.

131 ლენინს მზედველობაში აქვს პლეხანოვის სტატია «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი», გამოქვეყნებული ჟურნალ «ზარიას» მე-4 ნომერში, 1902 წლის აგვისტო.

«ზარია» — მარქსისტული მეცნიერულ-პოლიტიკური ჟურნალი: სცემდა 1901 — 1902 წლებში შტუტგარტში გაზეთ «ისკრის» რედაქცია. გამოვიდა ოთხი ნომერი — სამ წიგნად. «ზარიაში» დაიბეჭდა ლენინის სტატიები: «შემთხვევითი შენიშვნები», «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», პირველი ოთხი თავი ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (სათაურით: «ბატონი «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში»), «შინაური მიმოხილვა» და «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». — 652.

132 ლაპარაკია რსდმ პარტიის პროგრამის § 8-ზე, რომელიც მიიღო პარტიის II ყრილობამ (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 21). — 659.

133 სტატია «მ ა რ ქ ს ი ს ა დ ა ე ნ გ ე ლ ს ი ს მ ი წ ერ-მ ო წ ერ ა» დასაწყისია დიდი ნაშრომისა, რომლის დაწერა განზრახული ჰქონდა ლენინს 1913 წლის სექტემბერში მარქსისა და ენგელსის ოთხტომიანი მიწერ-მოწერის გერმანულ ენაზე გამოსვლასთან დაკავშირებით. ლენინი გულდასმით სწავლობდა მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერას. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არქივში ინახება ლენინის დიდი (76-გვერდიანი) რვეული, რომელიც შეიცავს ოთხტომიანი მიწერ-მოწერის მოკლე კონსპექტს და ამონაწერებს წერილებიდან.

განზრახული იყო ლენინის ნაშრომის «მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერა» მოთავსება ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» 1914 წელს, რის შესახებაც ცნობა იყო დაბეჭდილი გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდას» მე-7 ნომერში, 1913 წლის 14 დეკემბერს, მაგრამ სტატია დაუმთავრებელი დარჩა და დაიბეჭდა «პრავდაში» მხოლოდ 1920 წლის 28 ნოემბერს, ენგელსის დაბადების ასი წლის თავზე. ამ თარიღთან დაკავშირებით სტატიის დასაბეჭდად მომზადების დროს ლენინმა მის სათაურს დაუმატა ქვესათაური: «ენგელსი როგორც კომუნიზმის ერთ-ერთი ფ უ ძ ე მ დ ე ბ ე ლ ი», სტატიას დაურთო აგრეთვე სტრიქონქვეშა შენიშვნა: «დასაწყისი დაუმთავრებელი სტატიისა, რომელიც დაწერილია 1913 წელს თუ 1914 წლის დამდეგს». — **663.**

134 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXI, 1932, გვ. 1 — 4, 20. — **666.**

135 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 14, 15. — **667.**

136 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXI, 1932, გვ. 1, 2, 3. — **668.**

137 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXI, 1932, გვ. 14. — **668.**

138 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXI, 1932, გვ. 33. — **669.**

139 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 19, 20, 21. — **670.**

140 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 35. — **671.**

ვ. ი. ლენინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1913* წლის მარტი — დეკემბერი)

მარტი — აპრილი.	ვ. ი. ლენინი ცხოვრობს კრაკოვში.
მარტი, 22 (აპრილი, 4).	გაზეთ «პრავდის» 68-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ჩინეთის რესპუბლიკის დიდი წარმატება».
მარტი, 23 (აპრილი, 5).	წერილში «პრავდის» რედაქციის მიმართ ლენინი იძლევა მითითებებს მხარი დაუჭირონ IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ბოლშევიკურ «ექვსეულს» მის ბრძოლაში მენშევიკური «შვიდეულის» წინააღმდეგ, გააძლიერონ კამპანია «პრავდაზე» ხელის მოწერის სასარგებლოდ და არალეგალური ლიტერატურის გამოცემის გაფართოების შესახებ.
მარტი, 26 (აპრილი, 8).	«პრავდის» 71-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ძველი ამოცანები და ლიბერალიზმის ბებრული უნიათობა».
არა უადრეს 26 მარტისა (8 აპრილისა).	ლენინი წერს სტატიას ««ნავთობის შიმშილის» შესახებ» სათათბიროში ნავთობის სინდიკატის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით.
მარტი, 27 (აპრილი, 9).	«პრავდის» 72-ე ნომერში მოწინავედ ქვეყნდება ლენინის სტატია «კადეტების კანონპროექტი კრებების შესახებ».
მარტი, 29 (აპრილი, 11).	«პრავდის» 74-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ბალკანეთის ომი და ბურჟუაზიული შოვინიზმი».
მარტი - აპრილი.	ლენინი წერს სტატიას «საუბარი».

აპრილი, 5 (18). ლენინი კრაკოვში გამოდის მოხსენებით თემაზე «თანამედროვე რუსეთი და მუშათა მოძრაობა»; მოხსენების ანგარიში გამოქვეყნდა პოლონური გაზეთის «Naprzód»-ის («წინ») 92-ე ნომერში.

აპრილი, 6 (19). გამოდის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მე-3 ნომერი, მიძღვნილი კარლ მარქსის გარდაცვალების 30 წლისთავისადმი, ვ. ი. ლენინის სტატიით «მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი». ამავე ნომერში გამოქვეყნდა პირველი თავები ი. ბ. სტალინის ნაშრომისა «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია».

აპრილი, 11 (24). «პრავდის» 84-ე ნომერში დაიბეჭდა ლენინის სტატია «ვისთვისაა ხელსაყრელი?».

აპრილი, 12 (25). «პრავდის» 85-ე ნომერში დაიბეჭდა ლენინის სტატია «ინგლისში».

აპრილი, 12 (25) — ივნისი, 2 (15). «პრავდის» 85-ე, 95-ე, 110-ე, 122-ე, 124-ე და 126-ე ნომრებში ქვეყნდება ლენინის სტატიების სერია საერთო სათაურით: «სადავო საკითხები».

აპრილი, 18 (26). ლენინი ლეიფციგში კითხულობს რეფერატს თემაზე: «საზოგადოებრივი აღმავლობა რუსეთში და სოციალ-დემოკრატების ამოცანები».

აპრილი, 18-ზე (26-ე) უფრო გვიან. ლენინი წერს სტატიას, რომელშიც აკრიტიკებს პოტრესოვს იმის გამო, რომ ის თავს ესხმის პლეხანოვის ანტილიკვიდატორულ პოზიციას.

აპრილი, 14 (27). «პრავდის» 87-ე ნომერში დაიბეჭდა ლენინის სტატია «კულტურული ევროპელები და ველური აზიელები».

18 აპრილამდე (1 მაისამდე) ლენინი ნაციონალურ საკითხზე შედგენილი სიტყვის პროექტს უგზავნის დეპუტატს გ. ი. პეტროვსკის სათათბიროში გამოსასვლელად.

ლენინი «პრავდის» რედაქციას უგზავნის საპირველმაისო პროკლამაციებს.

აპრილი, 18 (მაისი, 1).	ლენინი ესწრება მუშების საპირველმაისო კრებას კრაკოვში.
აპრილი, 20 (მაისი, 3).	«პრავდის» 90-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ვაჭრული ანგარიშები».
აპრილი, 21 (მაისი, 4).	ლენინი სწერს წერილს IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკ-დეპუტატებს, რომელშიც სთხოვს გამოუგზავნონ მას ახალი კანონპროექტები და სათათბიროს საცნობარო მასალები.
	«პრავდის» 91-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ტექნიკის ერთ-ერთი დიდი გამარჯვება».
აპრილი, 23 (მაისი, 6).	«პრავდის» საიუბილეო ნომერში (№ 92), რომელიც მიძღვნილია გაზეთის გამოსვლის პირველი წლისთავისადმი, ქვეყნდება ლენინის სტატია «ცოტა რამ შედეგებსა და ფაქტებზე».
აპრილი, 23 — 24 (მაისი, 6 — 7).	ლენინი და კრუპსკაია საზაფხულოდ გადადიან სოფელ პორონინში (კრაკოვის ახლოს).
არა უადრეს 26 აპრილისა (9 მაისისა).	ლენინი სწერს წერილს ა. მ. გორკის და სთხოვს დაწეროს სტატია ან მოთხრობა ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» სამაისო ნომრისთვის.
აპრილი, 27 და მაისი, 1 (მაისი, 10 და 14).	«პრავდის» 96-ე და 99-ე ნომრებში ქვეყნდება ლენინის სტატია «გადასახლება-დასახლების საქმის მნიშვნელობა».
აპრილი, 29 (მაისი, 12).	მელითონელთა კავშირის გამგეობის არჩევნებში ბოლშევიკების გამარჯვებასთან დაკავშირებით ლენინი სწერს წერილს გაზეთ «პრავდის» რედაქციას, რომელშიც იძლევა მითითებას — განამტკიცონ კავშირის ერთიანობა ლიკვიდატორებთან ბრძოლაში და დაეხმარონ ბეჭდვითს ორგანოს «მეტალისტს».
მაისი, 4 (17).	გამოდის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მე-4 ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ლენინის ბიბლიოგრაფიული შენიშვნა «ვეხელები და ნაციონალიზმი».

«პრავდის» 101-ლი ნომრის მოწინავედ იბეჭდება ლენინის სტატია «ლიბერალები და კავშირების თავისუფლება».

მაისი, 5 (18). «პრავდის» 102-ე ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები: ««ლუჩისა» და «პრავდის» მკითხველთა საყურადღებოდ» და «იოსებ დიცგენის გარდაცვალების ოცდახუთი წლისთავისათვის».

მაისი, 7 (20). «პრავდის» 103-ე ნომერში იბეჭდება ლენინის სტატიები: «ბურჟუაზია და მშვიდობა» (მოწინავე) და «აზიის გამოღვიძება».

მაისი, 8 (21). «პრავდის» 104-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «სეპარატისტები რუსეთში და სეპარატისტები ავსტრიაში».

მაისი, 9 (22). «პრავდის» 105-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «კიდევ გადასახლება-დასახლების საქმის შესახებ».

არა უგვიანეს 10 (23) მაისისა. ლენინი პეტერბურგში გზავნის სიტყვის პროექტს 1913 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სათათბიროში განხილვის დროს ბოლშევიკი დეპუტატის გამოსასვლელად.

მაისი, 10 (23). «პრავდის» 106-ე ნომრის მოწინავედ ქვეყნდება ლენინის სტატია «მუშათა კლასი და ნაციონალური საკითხი».

არა უადრეს 13 (26) მაისისა და 3 (16) ივნისი. ლენინი წერილებში «პრავდის» რედაქციის მიმართ ულოცავს პრავდისტებს გაზეთის გაუმჯობესებას და აძლევს პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას, როგორ «მოიპოვონ ასი ათასი მკითხველი»; მოითხოვს ჩადენილი შეცდომების გამოსწორებას.

მაისი, 14 (27). «პრავდის» 109-ე ნომერში დაბეჭდილია ლენინის სტატია ««ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის» ყრილობა».

მაისი, 16 (29). «პრავდის» 111-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «წელში სწორდება თუ ღარიბდება გლეხობა?»

მაისი, 18 (31).	«პრავდის» 113-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ჩამორჩენილი ევროპა და მოწინავე აზია».
მაისი, 19 (ივნისი, 1).	«პრავდის» 114-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «არ არის კარგი!»
მაისი, 21 (ივნისი, 3).	«პრავდის» 115-ე ნომერში იბეჭდება ლენინის სტატიები «მემამულური მიწათმოწყობა» (მოწინავე), «შეიარაღება და კაპიტალიზმი» და შენიშვნა «უმწეობისა და დაბნეულობის შესახებ».
25 მაისზე (7 ივნისზე) უფრო ადრე.	ლენინი წერს ლატვიელი ბოლშევიკების პლატფორმის პროექტს ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობისათვის. პლატფორმის პროექტი ლატვიურ ენაზე გამოქვეყნდა 1913 წლის ნოემბერში ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ჯგუფთა ბიუროს **«Biletens»**-ის («ბიულეტენის») მე-8 ნომრის ცალკე ანაბეჭდად და აგრეთვე **«Biletens»**-ის მე-9 — 10 ნომერში.
მაისი — ივნისი.	ლენინი ხელმძღვანელობას უწევს პორონინის პარტიული სკოლის მოწყობას და დაკომპლექტებას; იმუშავებს მეცადინეობის პროგრამას; სწერს წერილებს გ. ვ. პლეხანოვსა და ა. მ. გორკის და სთხოვს ჩამოვიდნენ ლექციების წასაკითხად და მსმენელებთან საუბრების ჩასატარებლად.
	«პრავდის» 123-ე, 126-ე, 127-ე და 131-ე ნომრებში 30 მაისს, 2, 5 და 9 ივნისს იბეჭდება ლენინის სტატია «მეფაბრიკეები მუშათა გაფიცვების შესახებ».
ივნისის დამდეგი.	ლენინი წერს სტატიას «კადეტ მაკლაკოვის სიტყვის გამო».
ივნისი, 1 (14).	«პრავდის» 125-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ლიბერალის გულახდილი სიტყვები».
არა უგვიანეს 2 (15) ივნისისა.	სათათბიროში დეპუტატ ა. ე. ბადაევის გამოსასვლელად ლენინი წერს პროექტს სიტყვისას: «სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის».

ივნისი, 3 (16).	ლენინი სწერს წერილს მ. ს. ოლმინსკის (ვიტიმსკის) და მეორე წერილს «პრავდის» სარედაქციო კოლეგიისათვის სათაურით «ბ-ნ ბოგდანოვისა და «ვპერიოდის» ჯგუფის საკითხისათვის»; «პრავდაში» გზავნის ბოგდანოვის წინააღმდეგ მიმართულ შენიშვნას.
ივნისი, 5 (18).	«პრავდის» 127-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «დაამტკიცა თუ არა «პრავდამ» ბუნდელების სეპარატიზმი?»
ივნისი, 6 (19).	«პრავდის» 128-ე ნომრის მოწინავედ ქვეყნდება ლენინის სტატია «ლიბერალები IV სათათბიროს დამცველთა როლში».
არა უგვიანეს 7 (20) ივნისისა.	სათათბიროში დეპუტატ ნ. რ. შაგოვის გამოსასვლელად ლენინი წერს პროექტს სიტყვისას: «თანამედროვე მთავრობის აგრარული პოლიტიკის (ზოგადის) საკითხისათვის».
ივნისი, 7 (20).	«პრავდის» 129-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «კაპიტალიზმი და გადასახადები».
ივნისი, 8 (21).	გამოდის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მე-5 ნომერი ლენინის სტატიით «კლასობრივი ბრძოლის ლიბერალური და მარქსისტული გაგების შესახებ».
	«პრავდის» 130-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ეკონომიური გაფიცვები 1912 და 1905 წლებში».
ივნისი, 9 (22).	«პრავდის» 131-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «კაპიტალისტური სიმდიდრის ზრდა».
ივნისი, 9 — 11 (22 — 24).	ნ. კ. კრუპსკაიას ავადმყოფობასთან დაკავშირებით ლენინი მასთან ერთად პორონინიდან მიემგზავრება ბერნში სამკურნალოდ. ბერნში მიმავლებმა გზად შეიარეს ვენაში.
ივნისი, 11 (24).	«პრავდის» 132-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «გლეხობა და მუშათა კლასი».

ივნისი, 12 (25).	«პრავდის» 133-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «ბავშვის შრომა გლეხურ მეურნეობაში» და «1912 წლის გაფიცვათა წარმატება წარსულთან შედარებით».
ივნისი, 13 (26).	«პრავდის» 134-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ავსტრალიაში».
ივნისი, 15 (28).	გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 31-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «რევოლუციური პროლეტარიატის მაისობა» (მოწინავე) და «პუბლიცისტის შენიშვნები».
	«პრავდის» 136-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის წერილი რედაქციის მიმართ სათაურით «ერთი ტყუილის შესახებ».
ივნისი, 16 (29).	«პრავდის» 137-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «მუშათა კლასი და ნეომალთუსიანობა».
ივნისი, 17 (30).	ლენინი წერილში, რომელსაც გზავნის ნ. ი. პოდვოისკის მისამართით პეტერბურგში, მითითებებს აძლევს ბოლშევიკ დეპუტატებს — რა ტაქტიკას დაადგნენ მენშევიკ დეპუტატების მიმართ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ თავისი მუშაობის ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებით.
ივნისი, 20 (ივლისი, 3).	«პრავდის» 139-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ლიბერალების მოწოდებათა შესახებ IV სათათბიროს მხარის დასაჭერად».
ივნისი, 23 (ივლისი, 6).	«პრავდის» 142-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ბურჟუაზიული საქმოსანი-ფინანსისტები და პოლიტიკოსები».
26 ივნისამდე (9 ივლისამდე).	ლენინი ადგენს «თეზისებს ნაციონალურ საკითხზე» და ამზადებს რეფერატის გეგმას ამ თემაზე.
ივნისი, 26 (ივლისი, 9).	პეტერბურგის სამოსამართლო პალატას გამოაქვს გადაწყვეტილება მოსპობილ იქნას ლენინის ბროშურა

««მოისმენ მსჯავრსა რეგვენისასა»... (სოციალ-დემოკრატი პუბლიცისტის შენიშვნებიდან)». სპბ, 1907.

ლენინი ციურიხში გამოდის რეფერატით ნაციონალურ საკითხზე; იწერს კამათის მსვლელობას.

ივნისი, 27 (ივლისი, 10). ლენინი ჟენევაში გამოდის რეფერატით თემაზე «სოციალ-დემოკრატია და ნაციონალური საკითხი»; იწერს კამათის მსვლელობას.

ივნისი, 28 (ივლისი, 11). ლენინი ლოზანაში გამოდის რეფერატით ნაციონალურ საკითხზე.

ივნისი, 30 (ივლისი, 13). ლენინი ბერნში გამოდის რეფერატით ნაციონალურ საკითხზე; იწერს კამათის მსვლელობას.

ივლისის დამდეგი. ლენინი წერს სტატიას «საგულისხმო სიტყვები».

ივლისი, 2 (15). «პრავდის» 149-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ცხოვრების სურათები».

ივლისი, 5 (18). «პრავდის» 151-ე ნომერში მოწინავედ ქვეყნდება ლენინის სტატია «დათხოვნილი სათათბირო და თავგზააბნეული ლიბერალები». ამ ნომერზე მეფის მთავრობამ «პრავდა» დახურა.

ივლისი, 12 (25). «პრავდის» დახურვასთან დაკავშირებით ლენინი სწერს წერილს ა. მ. გორკის და სთხოვს შეხვდეს ერთ-ერთ ქალაქში ბერნიდან პორონინში დაბრუნებისას იმ საკითხის განსახილველად, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია გორკის ბოლშევიკური გაზეთის გამოცემის განახლებაში.

ივლისი, 13 (26). გაზეთ «რაბოჩაია პრავდას» პირველ ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «პროსტიტუციასთან ბრძოლის მეხუთე საერთაშორისო ყრილობა».

ივლისი, 16 (29). «რაბოჩაია პრავდას» მე-3 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «სიტყვა და საქმე» (მოწინავე), «კადეტები უკრაინის საკითხის შესახებ», «უახლესი მონაცემები გერმანიის პარტიათა შესახებ» და «ინგლისელი ოპორტუნისტების მხილება».

ივლისი, 17 (30). «რაბოჩაია პრავდას» მე-4 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «მოწინავე კაპიტალის იდეები».

ივლისი, 18 (31). «რაბოჩაია პრავდას» მე-5 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «რა შეიძლება გაკეთდეს სახალხო განათლებისათვის» და «წვრილი წარმოება მიწათმოქმედებაში».

ივლისი, 21 (აგვისტო, 3). «რაბოჩაია პრავდას» მე-8 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «მრეწველობის ერთ-ერთი «მოდური» დარგი».

რსდმ პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის მეორე კონფერენციაზე ბერნში ლენინი გამოდის მოხსენებით «პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ».

ივლისი, 22 — 24 (აგვისტო, 4 — 6). ლენინი და კრუპსკაია ბერნიდან მიემგზავრებიან პორონინში.

ივლისი, 24 (აგვისტო, 6). «რაბოჩაია პრავდას» მე-10 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «მკვდარი ლიკვიდატორობა და ცოცხალი «რეჩი»».

ივლისი, 26 (აგვისტო, 8). «რაბოჩაია პრავდას» მე-12 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «სანადელო მიწების მობილიზაცია».

ივლისი, 27 (აგვისტო, 9). ლენინი პორონინში ხელმძღვანელობას უწევს რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირს, რომელზედაც იხილავენ საკითხებს პარტიაში არსებული მდგომარეობისა და მისი მორიგი ამოცანების შესახებ, სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ, პარტიული სკოლის შესახებ, პრესის შესახებ, კერძოდ, მოსკოვში ბოლშევიკური გაზეთის შექმნის შესახებ.

ლენინი მონაწილეობას იღებს რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა ვიწრო თათბირში ცენტრალურ კომიტეტში ახალ წევრთა კოოპტაციისა და

ც. კ.-ის «რწმუნებულ პირთა» — აგენტების შერჩევის საკითხზე.

აგვისტო, 3 (16). გაზეთ «სევერნაია პრავდას» მე-3 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «როგორ გავადიდოთ სულობრივი მოხმარების ოდენობა რუსეთში?».

აგვისტო, 4 (17). გაზეთ «Vorwärts»-ის («წინ») 211-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სამძიმარი რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ავგუსტ ბებელის გარდაცვალების გამო.

აგვისტო, 8 (21). «სევერნაია პრავდას» მე-6 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ავგუსტ ბებელი».

აგვისტო, 11 (24). «სევერნაია პრავდას» მე-9 ნომერში მოწინავედ ქვეყნდება ლენინის სტატია «ლიბერალიზმის გამოყოფა დემოკრატიისაგან».

ლენინი სწერს წერილს ს. გ. შაუმიანს და სთხოვს გამოუგზავნოს მასალები ნაციონალურ საკითხზე და კავკასიის ეროვნებათა სტატისტიკა.

აგვისტო, 18 (31). «სევერნაია პრავდას» მე-14 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «შესანიშნავი საქმე» და «ებრაული სკოლის ნაციონალიზაცია».

აგვისტო, 21 (სექტემბერი, 3). პეტერბურგის სამოსამართლო პალატას გამოაქვს გადაწყვეტილება მოსპობილ იქნას ლენინის ბროშურა «მარტოვისა და ჩერევანინის გამოსვლა ბურჟუაზიულ პრესაში». სპბ, 1906.

«სევერნაია პრავდას» მე-16 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «რკინა გლეხურ მეურნეობაში».

აგვისტო, 24 — ოქტომბერი, 25 (სექტემბერი, 6 — ნოემბერი, 7). ჟურნალ «მეტალისტის» მე-7, მე-8 და მე-10 ნომრებში ქვეყნდება ლენინის სტატია «მელითონეთა გაფიცვები 1912 წელს».

აგვისტო, 27 და 28 (სექტემბერი, 9 და 10). გაზეთებში «სევერნაია პრავდა» № 21 და «ნაშ პუტ» № 3 ქვეყნდება ლენინის სტატია «რუსეთის ბურჟუაზია და რუსეთის რეფორმიზმი».

აგვისტო, 28 და 29 (სექტემბერი, 10 და 11).	გაზეთებში «სევერნაია პრავდა» № 22 და «ნაშ პუტ» № 4 ქვეყნდება ლენინის სტატია «წოდებათა და კლასთა როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში».
აგვისტო, 29 და 30 (სექტემბერი, 11 და 12).	გაზეთებში «სევერნაია პრავდა» №№ 23 და 24 და «ნაშ პუტ» №№ 4 და 5 ქვეყნდება ლენინის სტატიები «კლასობრივი ომი დუბლინში» და «საადგილ-მამულო «რეფორმის» ახალი ღონისძიებები».
აგვისტო.	ლენინი ღებულობს ცნობას ი. ბ. სტალინისაგან — მზადა ვარ, საჭიროების შემთხვევაში, გამოვიქცე გადასახლებიდანო.
სექტემბერი, 1 (14).	ლენინი მითითებებს აძლევს გამომცემლობა «პრიბოის» წარმომადგენელს, თუ როგორ უნდა დააყენოს ლეგალური პარტიული ლიტერატურის გამოცემა და ჟურნალის გამოცემა დაზღვევის საკითხებზე, აგრეთვე «პროსვეშჩენიეს» წარმომადგენელს ამ ჟურნალის შემდგომი წარმართვის შესახებ. «სევერნაია პრავდას» 26-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ვაჭარი სალაზკინი და მწერალი თ. დ.».
სექტემბერი, 3 (16).	«სევერნაია პრავდას» 27-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «ბრძოლა მარქსიზმისათვის» და «დუბლინის ხოცვა-ჟლეტის ერთი კვირის შემდეგ». მეორე სტატია გამოქვეყნდა აგრეთვე გაზეთ «ნაშ პუტის» მე-8 ნომერში.
სექტემბერი, 4 (17).	ლენინის სტატია «პოლიტიკის პრინციპული საკითხები» ქვეყნდება გაზეთებში «სევერნაია პრავდა» № 28 და «ნაშ პუტ» № 9.
სექტემბერი, 5 და 7 (18 და 20).	ლენინის სტატია «ლიბერალები და დემოკრატები ენების საკითხში» ქვეყნდება გაზეთებში «სევერნაია პრავდა» № 29 და «ნაშ პუტ» № 12.
სექტემბერი, 6 (19).	პეტერბურგის სამოსამართლო პალატას გამოაქვს ვადაწყვეტილება მოსპობილ იქნას ლენინის ბროშურა «სოციალ-დემოკრატია და სათათბიროს არჩევნები». სპბ, 1907.

სექტემბერი, 8 და 10 (21 და 23).	ლენინის სტატია «ციფრების ენა» ქვეყნდება გაზეთში «ნაშ პუტ» №№ 13 და 14.
სექტემბერი, 11, 12 და 14 (24, 25 და 27).	ლენინის სტატიები «ბატონი ბურჟუები «შრომითი» მიწათმოქმედების შესახებ» და «გარი კველჩი» ქვეყნდება გაზეთებში «ნაშ პუტ» №№ 15 და 16 და «პრავდა ტრუდა» №№ 1 და 4.
სექტემბერი, 12 (25).	გაზეთ «პრავდა ტრუდას» მე-2 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «მარქსიზმი და რეფორმიზმი».
სექტემბერი, 13 (26).	«პრავდა ტრუდას» მე-3 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «მიწათმოწყობა და სოფლის ღარიბები», «როგორ იცავს უკრაინელებს ეპისკოპოსი ნიკონი?» და «პუბლიცისტის შენიშვნები».
სექტემბერი, 17 (30).	«პრავდა ტრუდას» მე-6 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ცივილიზებული ბარბაროსობა».
სექტემბერი, 23 — ოქტომბერი, 1 (ოქტომბერი, 6 — 14).	ლენინი პორონინში ხელმძღვანელობას უწევს პარტიულ მუშაკებთან რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის «ზაფხულის», «აგვისტოს» თათბირს; წერს და რედაქციას უკეთებს თათბირის მიერ მიღებულ რეზოლუციების პროექტებს.
სექტემბერი, 23 — 24 (ოქტომბერი, 6 — 7).	ლენინი ატარებს კერძო თათბირს სათათბიროს ბოლშევიკ დეპუტატებთან სათათბიროს ხაზით მუშაობის საკითხებზე.
სექტემბერი, 25 — ოქტომბერი, 1 (ოქტომბერი, 8 — 14).	ლენინი თავმჯდომარეობს პორონინის თათბირზე; გამოდის რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით, მოხსენებებით ნაციონალურ საკითხზე და საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესახებ; გამოდის კამათში მთელ რიგ სხვა საკითხებზე.
ოქტომბერი, 1 (14).	ლენინი ხელმძღვანელობას უწევს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომას, რომელზედაც იხილავენ სათათბიროს ბოლშევიკ დეპუტატთა პრაქტიკულ ნაბიჯებს დეპუტატ მენშევიკების მიმართ; წყდება

	ი. ბ. სტალინისა და ი. მ. სვერდლოვის გადასახლებიდან გამოქცევის მოწყობის საკითხი და სხვა საკითხები.
სექტემბერი, 26 (ოქტომბერი, 9).	«პრავდა ტრუდას» მე-14 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «შავრაზმელობის შესახებ» (მოწინავე) და «რუსული მართვა-გამგეობისა და რუსული რეფორმების შესახებ».
სექტემბერი, 29 (ოქტომბერი, 12).	გამოდის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მე-9 ნომერი ლენინის სტატიით «როგორ კლავს ვ. ზასულიჩი ლიკვიდატორობას».
ოქტომბერი, 1 (14).	«პრავდა ტრუდას» მე-18 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ვითომ-ტრუდოვიკი».
ოქტომბერი, 4 (17).	გაზეთ «ზა პრავდუს» მე-3 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «დაბნეული უპარტიოები».
ოქტომბერი, 7 (20).	ლენინი და კრუპსკაია პორონინიდან ბრუნდებიან კრაკოვში.
ოქტომბერი, 12 (25).	გაზეთ «ზა პრავდუს» მე-8 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ლიბერალები და მიწის საკითხი ინგლისში».
ოქტომბერი, 17 (30).	გაზეთ «ზა პრავდუს» მე-12 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ცუდი საქმის ცუდი დაცვა».
ოქტომბერი, 18 (31).	გაზეთ «ზა პრავდუს» მე-13 ნომერში ქვეყნდება ლენინის მიერ დაწერილი განცხადება, რომელიც ბოლშევიკმა დეპუტატებმა წაუყენეს მენშევიკ დეპუტატებს.
ორა უადრეს 30 ოქტომბრისა (2 ნოემბრისა).	ლენინი წერილში გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციის მიმართ მითითებებს აძლევს ბოლშევიკ დეპუტატებს, როგორ იმოქმედონ იმ შემთხვევაში, თუ მენშევიკური «შვიდეული» თავს გამოაცხადებს სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციად.
ოქტომბერი, 25 (ნოემბერი, 7)	გაზეთ «ზა პრავდუს» მე-19 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «სათათბიროს «შვიდეული»».

ოქტომბერი, 26 (ნოემბერი, 8).	გაზეთ «ზა პრავდუს» მე-20 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ლიბერალური ბურჟუაზია და ლიკვიდატორები».
27 ოქტომბრის (9 ნოემბრის) ადრე.	ლენინი მითითებებს აძლევს გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას მოაწყოს გაზეთში კამპანია ბოლშევიკური «ექვსეულის» სასარგებლოდ.
ოქტომბერი, 29 (ნოემბერი, 11).	გაზეთ «ზა პრავდუს» 22-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «კაპიტალიზმი და მუშების იმიგრაცია» და «მასალები სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შიგნით არსებული ბრძოლის საკითხისათვის».
ოქტომბერი, 30 (ნოემბერი, 12).	გაზეთ «ზა პრავდუს» 23-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «სახლის მფლობელი კადეტი, რომელიც «მარქსის მიხედვით» მსჯელობს».
ოქტომბრის დამლევი.	წერილში გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციის მიმართ ლენინი მიულოცავს გამარჯვებას პარტიის დეზორგანიზატორებზე — მენშევიკურ «შვიდეულზე», მიულოცავს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის კონსტიტუირებას.
ოქტომბერი — დეკემბერი.	ლენინი წერს სტატიას «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე». სტატია ქვეყნდება ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მე-10, მე-11 და მე-12 ნომრებში.
ნოემბრის დამდეგი.	ლენინი სწერს წერილს ა. მ. გორკის, რომელშიც აკრიტიკებს მას ღვთისმშენებლობის გამართლებისათვის. ლენინი წერს სტატიებს «მუშათა მასა და მუშათა ინტელიგენცია» და «სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გათიშვის შესახებ». უკანასკნელი ქვეყნდება გერმანულ გაზეთში **«Leipziger Volkszeitung»** («ლეიფციგის სახალხო გაზეთი») № 298.
ნოემბერი, 13 (26).	გაზეთ «ზა პრავდუს» 34-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «მემარცხენე ნაროდნიკები მარქსისტებს შორის ბრძოლის შესახებ».

ნოემბერი, 15 (28).	გაზეთ «ზა პრავდუს» 36-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «აგრარული საკითხი და რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა», «დავისა და ბრძოლის ორი ხერხი» და «ვითომ-«გამაერთიანებელნი»».
შუა ნოემბერი.	ლენინი წერილში ა. მ. გორკისადმი ააშკარავებს ღვთისმშენებლობის რეაქციულ დედაარსს და აკრიტიკებს გორკის შეხედულებებს ამ საკითხზე.
ნოემბერი, 23 (დეკემბერი, 6).	ლენინი ს. გ. შაუმიანს სწერს წერილს, რომელიც ნაციონალური საკითხისადმია მიძღვნილი.
ნოემბერი, 28 (დეკემბერი, 11).	გაზეთ «ზა პრავდუს» 46-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები ««კულტურულ-ნაციონალური» ავტონომიის შესახებ» და «საზღვარგარეთის პაწაწა ჯგუფები და რუსი ლიკვიდატორები».
ნოემბერი, 29 (დეკემბერი, 12).	ლენინი პეტერბურგში გზავნის «ადგილებზე გასაკეთებელი მოხსენების კონსპექტს» პარტიულ მუშაკებთან რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პორონინის «ზაფხულის» თათბირის შესახებ.
	გაზეთ «ზა პრავდუს» 47-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები «კადეტი მაკლაკოვი და სოციალ-დემოკრატი პეტროვსკი» და «ცაბერნი».
დეკემბერი, 2 (15).	ლენინი სწერს წერილს გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას «ბიუროს გადაწყვეტილებათა საკითხისათვის».
დეკემბერი, 3 (16).	გაზეთ «ზა პრავდუს» 50-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «მუშათა ერთიანობის შესახებ».
დეკემბერი, 7 (20).	გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდას» პირველ ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «ცუდი საქმის ცუდი დაცვა».
დეკემბერი, 11 (24).	«პროლეტარსკაია პრავდას» მე-4 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «კადეტები და «ხალხთა თვითგამორკვევის უფლება»».
დეკემბერი. 13 (26).	«პროლეტარსკაია პრავდას» მე-6 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «კარგი რეზოლუცია და ცუდი სიტყვა».

დეკემბერი, 14 (27). «პროლეტარსკაია პრავდას» მე-7 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა რუსულ სკოლაში».

გამოდის უბის კალენდარი «მუშის თანამგზავრი 1914 წლისთვის», რომელშიც დაბეჭდილია ლენინის სტატია «გაფიცვები რუსეთში».

დეკემბერი, 15 (28). გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 32-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «რსდმ პარტიის ნაციონალური პროგრამის შესახებ».

«პროლეტარსკაია პრავდას» მე-8 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «კაუცკის შეუწყნარებელი შეცდომის შესახებ».

დეკემბერი, 17 (30). «პროლეტარსკაია პრავდას» მე-9 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატია «კიდევ სასკოლო საქმის დაყოფის შესახებ ეროვნებათა მიხედვით».

დეკემბერი, 18 (31). «პროლეტარსკაია პრავდას» მე-10 ნომერში ქვეყნდება ლენინის შენიშვნა «ბ-ნ გორსკისა და ერთი ლათინური ანდაზის შესახებ».

წლის დამლევი. ლენინი სწავლობს მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერის ოთხტომიან გამოცემას გერმანულ ენაზე; ადგენს კონსპექტს და აკეთებს ამონაწერებს წერილებიდან.

ლენინი წერს სტატიას «მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერა».

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი . . . . . 3 — 10

I 4
II 6
III 8

ჩინეთის რესპუბლიკის დიდი წარმატება . . . . 11 — 12

ძველი ამოცანები და ლიბერალიზმის ბებრული უნიათობა . . . . . 13 — 14

«ნავთობის შიმშილის» შესახებ . . . . . 15 — 19

კადეტების კანონპროექტი კრებების შესახებ . . 20 — 21

გალკანეთის ომი და ბურჟუაზიული შოვინიზმი . 22 — 23

საუბარი . . . . . 27 — 31

თანამედროვე რუსეთი და მუშათა მოძრაობა. საგაზეთო ანგარიში . . . . . 32 — 37

განათლებული დეპუტატები 38

«ვისთვისაა ხელსაყრელი?» . . . . . 39 — 40

ინგლისში (ოპორტუნიზმის საკვალო შედეგები) . . . . . 41 — 42

კულტურული ევროპელები და ველური აზიელები . 43 — 44

ვაჭრული ანგარიშები . . . . . 45 — 47

ტექნიკის ერთ-ერთი დიდი გამარჯვება . . . . . 48 — 50

ცოტა რამ შედეგებსა და ფაქტებზე . . . . . 51 — 54

გადასახლება-დასახლების საქმის მნიშვნელობა . 55 — 62
ვეხელები და ნაციონალიზმი (ბიბლიოგრაფიული
შენიშვნა) . . . . . 63 — 65

ლიბერალები და კავშირების თავისუფლება . . 66 — 68

«ლუჩისა» და «პრავდის» მკითხველთა საყურადღებოდ . . . . . 69 — 71

იოსებ დიცგენის გარდაცვალების ოცდახუთი წლის თავისათვის . . . . . 72 — 76

ბურჟუაზია და მშვიდობა . . . . . 77 — 78

აზიის გამოღვიძება . . . . . 79 — 81

სეპარატისტები რუსეთში და სეპარატისტები ავსტრიაში . . . . . 82 — 84

კიდევ გადასახლება-დასახლების საქმის შესახებ . 85 — 86

მუშათა კლასი და ნაციონალური საკითხი . . 87 — 89

«ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის» ყრილობა . 90 — 92

ნელში სწორდება თუ ღარიბდება გლეხობა? . . 93 — 95

ჩამორჩენილი ევროპა და მოწინავე აზია . . . 96 — 98

არ არის კარგი! (ერთხელ კიდევ «ლუჩისა» და
«პრავდის» მკითხველთა საყურადღებოდ) . . 99 — 101

მემამულური მიწათმოწყობა . . . . . 102 — 104

შეიარაღება და კაპიტალიზმი . . . . . 105 — 107

უმწეობისა და დაბნეულობის შესახებ (შენიშვნა) . 108 — 109

პლატფორმის პროექტი ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობისათვის . . . . 110 — 121

პოლიტიკური მდგომარეობისა და სოციალ-დემოკრატიის ზოგადი ტაქტიკური ამოცანების შეფასება . . . 111

რსდმ პარტიის ერთიანობის საკითხი 113

დამოკიდებულება ლიკვიდატორობისადმი 114
ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ლიკვიდატორული კონფერენციისა და ლიკვიდატორული საორგანიზაციო კომიტეტის მხარის დაჭერის საკითხი 116
ნაციონალური საკითხი 117

კლასობრივი ბრძოლის ლიბერალური და მარქსისტული გაგების შესახებ. შენიშვნა . . . . . 122 — 129

მეფაბრიკეები მუშათა გაფიცვების შესახებ . . 130 — 138

I 130
II 132
III 135

კადეტ მაკლაკოვის სიტყვის გამო . . . . . 139 — 142

ლიბერალის გულახდილი სიტყვები . . . . . 143 — 145

სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის (დამატებანი სახალხო განათლების საკითხისათვის) . . . . . 146 — 158

სადავო საკითხები. ღია პარტია და მარქსისტები . . . . . 159 — 188

I. 1908 წლის გადაწყვეტილება 161
II. 1910 წლის გადაწყვეტილება 167
III. ლიკვიდატორების დამოკიდებულება 1908 და 1910 წლების გადაწყვეტილებებისადმი 171
IV. ლიკვიდატორობის კლასობრივი მნიშვნელობა . . 175
V. «ღია პარტიისათვის ბრძოლის» ლოზუნგი . . . 179
VI. 184

წერილი მ. ს. ოლმინსკის (ვიტიმსკის) . . . . . 189 — 191

ბ-ნ ბოგდანოვისა და «ვპერიოდის» ჯგუფის საკითხისათვის («პრავდის» სარედაქციო კოლეგიისათვის) . . . . . 192 — 194

დაამტკიცა თუ არა «პრავდამ» ბუნდელების სეპარატიზმი? . . . . . 195 — 197

ლიბერალები IV სათათბიროს დამცველთა როლში 198 — 200

თანამედროვე მთავრობის აგრარული პოლიტიკის (ზოგადის) საკითხისათვის . . . . . 201 — 222

კაპიტალიზმი და გადასახადები . . . . . 223 — 227

ეკონომიური გაფიცვები 1912 და 1905 წლებში . . 228 — 230

კაპიტალისტური სიმდიდრის ზრდა . . . . . 231 — 233

გლეხობა და მუშათა კლასი . . . . . 234 — 237

პავშვის შრომა გლეხურ მეურნეობაში . . . 238 — 242

1912 წლის გაფიცვათა წარმატება წარსულთან შედარებით . . . . . 243 — 245

ავსტრალიაში . . . . . 246 — 248

რევოლუციური პროლეტარიატის მაისობა . . . 249 — 261

პუბლიცისტის შენიშვნები . . . . . 262 — 267

ერთი ტყუილის შესახებ (წერილი რედაქციის მიმართ) . . . . . 268 — 269

მუშათა კლასი და ნეომალთუსიანობა . . . 270 — 273

ლიბერალების მოწოდებათა შესახებ IV სათათბიროს მხარის დასაბერად . . . . . 274 — 277

ბურჟუაზიული საქმოსანი-ფინანსისტები და პოლიტიკოსები . . . . . 278 — 279

თეზისები ნაციონალურ საკითხზე . . . . . 280 — 291

საგულისხმო სიტყვები . . . . . 292 — 296

ცხოვრების სურათები . . . . . 297 — 298

დათხოვნილი სათათბიროს და თავგზააბნეული ლიბერალები . . . . . 299 — 301

პროსტიტუციასთან ბრძოლის მეხუთე საერთაშორისო ყრილობა . . . . . 302 — 303

სიტყვა და საქმე . . . . . 304 — 308

კადეტები უკრაინის საკითხის შესახებ . . . 309 — 311

უახლესი მონაცემები გერმანიის პარტიათა შესახებ . . . . . 312 — 316

ინგლისელი ოპორტუნისტების მხილება . . . 317 — 320
მოწინავე კაპიტალის იდეები . . . . . 321 — 323
რა შეიძლება გაკეთდეს სახალხო განათლებისათვის . . . . . 324 — 327
წვრილი წარმოება მიწათმოქმედებაში . . . 328 — 331
მრეწველობის ერთ-ერთი «მოდური» დარგი . . . 332 — 333
მკვდარი ლიკვიდატორობა და ცოცხალი «რეჩი» . 334 — 336
სანადელო მიწების მოგბილიზაცია . . . . .337 — 341
როგორ გავადიდოთ სულოგრივი მოხმარების ოდენობა რუსეთში? . . . . . 342 — 344
ავგუსტ ბებელი . . . . . 345 — 352
ლიბერალიზმის გამოყოფა დემოკრატიისაგან . . 353 — 356
შესანიშნავი საქმე. . . . . 357 — 359
ეგრაული სკოლის ნაციონალიზაცია . . . . 360 — 362
რკინა გლეხურ მეურნეობაში . . . . . 363 — 365
მელითონეთა გაფიცვები 1912 წელს . . . . 366 — 382

I 366
II 368
III 369
IV 371
V 372
VI 374
VII 376
VIII 377
IX 379
X 380

რუსეთის ბურჟუაზია და რუსული რეფორმიზმი . . 383 — 386
ფოდეგათა და კლასთა როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში . . . . . 387 — 390
კლასოგრივი ომი დუბლინში . . . . . 391 — 396

საადგილმამულო «რეფორმის» ახალი ღონისძიებები . . . . . 397 — 399

ვაჭარი სალაზკინი და მწერალი თ. დ. . . . . 400 — 402

ბრძოლა მარქსიზმისათვის . . . . . 403 — 408

დუბლინის ხოცვა-ულეტის ერთი კვირის შემდეგ . 409 — 411

პოლიტიკის პრინციპული საკითხები. ლიბერალური ბურჟუაზია და რეფორმიზმი . . . . 412 — 415

ლიბერალები და დემოკრატები ენების საკითხში . 416 — 420

ციფრების ენა . . . . . 421 — 428

I 421
II 422
III 424
IV 426

ბატონი ბურჟუები «შრომითი» მიწათმოქმედების შესახებ . . . . . 429 — 434

ჰარი კველჩი . . . . . 435 — 438

მარქსიზმი და რეფორმიზმი . . . . . 439 — 443

მიწათმოწყობა და სოფლის ღარიბები . . . 444 — 447

როგორ იცავს უკრაინელებს ეპისკოპოსი ნიკონი. . 448 — 450

პუბლიცისტის შენიშვნები . . . . . 451 — 457

I. უპარტიო ინტელიგენტები მარქსიზმის წინააღმდეგ . 451
II. ლიბერალური სიბეცე 452
III. საჭირო განმარტება 455

ცივილიზებული ბარბაროსობა . . . . . 458 — 459

შავრაზმელობის შესახებ . . . . . 460 — 462

რუსული მართვა-ბამბეობისა და რუსული რეფორმების შესახებ . . . . . 463 — 464

როგორ ძლავს ვ. ზასულიჩი ლიკვიდატორობას . 465 — 492

I 465
II 471
III 475
IV 479
V 482
VI 485

პარტიულ მუშაკებთან რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის ზაფხულის თათბირის რეზოლუციები . . . 493 — 510

აგიტაციის ამოცანების შესახებ ახლანდელ მომენტში 495

რეზოლუცია ორგანიზაციულ საკითხზე და პარტიული ჟრილობის შესახებ 497

საგაფიცვო მოძრაობის შესახებ 499

პარტიული პრესის შესახებ 500

სოციალ-დემოკრატიის მუშაობის შესახებ სათათბიროში 501

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ 502

ლეგალურ საზოგადოებებში მუშაობის შესახებ 504

რეზოლუცია ნაციონალურ საკითხზე . . . 505

ნაროდნიკების შესახებ 508

ვითომ-ტრუდოვიკი . . . . . 511 — 515

დაგნეული უპარტიოები . . . . . 516 — 519

ლიბერალები და მიწის საკითხი ინგლისში . . . 520 — 524

ცუდი საქმის ცუდი დაცვა . . . . . 525 — 527

განცხადება . . . . . 528 — 531

სათათბიროს «შვიდეული» . . . . . 532 — 534

ლიბერალური ბურჟუაზია და ლიკვიდატორები . . 535 — 538

კაპიტალიზმი და მუშების იმიგრაცია . . . . 539 — 543

მასალები სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შიგნით არსებული ბრძოლის საკითხისათვის . . . . . 544 — 565

ვისი ნება? 544

როგორია რუსეთის შეგნებული მუშების უმრავლესობის ნება? 546

რას გვეუბნება პროლეტარიატის ნების შესახებ II, III და IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები? . . . 547

ვინ არიან წარმომადგენლები? 548

მუშების რა ნებას მოწმობენ მუშათა გაზეთები რუსეთში? 551

მუშების რა ნებას მოწმობს ფულის შეკრება მუშათა გაზეთებისთვის? 552

მუშების რა ნებას გვიჩვენებენ პროფესიული კავშირები პეტერბურგში? 553

იდეური ერთიანობა 555

ლიკვიდატორები და ბურჟუაზია 557

დარაზმული მარქსისტების გადაწყვეტილება . . . 558

ჩვენი მუშაობა ფრაქციის შიგნით 560

რას მოითხოვენ ექვსნი? 562

ერთიანობა სათათბიროში და ერთიანობა სათათბიროს გარეთ 563

სახლის მფლობელი კადეტი, რომელიც «მარქსის მიხედვით» მსჯელობს . . . . . 566 — 568

მუშათა მასა და მუშათა ინტელიგენცია . . . 569 — 572

სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გათიშვის შესახებ . . . . . 573 — 578

მემარცხენე ნაროდნიკები მარქსისტებს შორის გრძოლის შესახებ . . . . . 579 — 581

აბრარული საკითხი და რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა (პუბლიცისტის შენიშვნები) . 582 — 587

დავისა და ბრძოლის ორი ხერხი . . . . . 588 — 591

ვითომ-«გამაერთიანებელნი» . . . . . 592 — 595

წერილი ს. ბ. შაუმიანს . . . . . 596 — 600

«კულტურულ-ნაციონალური» ავტონომიის შესახებ . 601 — 606

საზღვარგარეთის პაწაწა ჯგუფები და რუსი ლიკვიდატორები . . . . . 607 — 610

კადეტი მაკლაკოვი და სოციალ-დემოკრატი პეტროვსკი . . . . . 611 — 613

ცაბერნი . . . . . 614 — 617

ბიუროს გადაწყვეტილებათა საკითხისათვის . . 618 — 620

მუშათა ერთიანობის შესახებ . . . . . 621 — 624

ცუდი საქმის ჯიუტად დაცვა . . . . . 625 — 627

კადეტები და «ხალხთა თვითგამორკვევის უფლება» . . . . . 628 — 631

კარგი რეზოლუცია და ცუდი სიტყვა . . . . 632 — 635

მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა რუსულ სკოლაში . . . . . 636 — 639

გაფიცვები რუსეთში . . . . . 640 — 644

რსდმ პარტიის ნაციონალური პროგრამის შესახებ . 645 — 653

კაუცკის შეუწყნარებელი შეცდომის შესახებ . . 654 — 656

კიდევ სასკოლო საქმის დაყოფის შესახებ ეროვნებათა მიხედვით . . . . . 657 — 660

ბ-ნ გორსკისა და ერთი ლათინური ანდაზის შესახებ . . . . . 661 — 662

მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერა . . . . 663 — 671

I. საერთო მიმოხილვა 666

შენიშვნები . . . . . 673 — 709

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 711 — 728

ილუსტრაციები

თავფურცელი 1913 წლის მარტის თვის ჟურნალის «პროსვეშჩენიესი», მე-3 ნომერი, სადაც დაბეჭდილია: ვ. ი. ლენინის სტატია «მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი» და პირველი თავები ი. ბ. სტალინის ნაშრომისა «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია». 1

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «საუბარი». — 1913 წ. მარტი — აპრილი 25

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «თანამედროვე მთავრობის აგრარული პოლიტიკის (ზოგადის) საკითხისათვის». — 1913 წ. 203

პირველი გვერდი გაზეთისა «რაბოჩაია პრავდა» № 3, 1913 წ. 16 ივლისი, რომელშიც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატიები «სიტყვა და საქმე», «კადეტები უკრაინის საკითხის შესახებ», «უახლესი მონაცემები გერმანიის პარტიათა შესახებ» და «ინგლისელი ოპორტუნისტების მხილება» 305

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერა». — 1913 წ. დასასრული . . . 664 — 665

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VII-1951.
უე 03827. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 47.
ფასი 8 მან.

•

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 694.